

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლათავრა გელენიძე

აღაგიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან
დაკავშირებული ლექსიკა კველ ქართულში

(სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით)



1974

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1974

ნაშრომი მიზნად ისახავს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგობრივი ლექსიკის გამოვლენასა და შესწავლას ძველ ქართულში. ლექსიკური მასალა მოპოვებულია უშუალოდ პირველწყაროებიდან.

ნაშრომში ყურადღება ეთმობა გასაანალიზებელი ფუძეების აქტივობას ძველ ქართულში. ამდენად, განხილულია მოცემული სიტყვების ყველა მნიშვნელობა და აგრეთვე შესაბამისი ყველა ნაწარმოები ფუძე. ნაშრომში გათვალისწინებულია მონათესავე ქართველური ენების ჩვენებაც.

701C3

ლექსიკის მთლიანობაში შესწავლის სირთულე, პირველ რიგში, ლექსიკურ ერთეულთა მრავალრიცხოვნობითაა განპირობებული. ენათმეცნიერებაში ცნობილია სიტყვათა კლასიფიკაციის ეფექტური ხერხების დაძებნის არაერთი ცდა. ე. წ. „იდეოლოგიური ლექსიკონები“ და „სემანტიკური ველის“ თეორიის ნაირსახეობები ასეთი ცდების ნიმუშს წარმოადგენს. თემატიკურ ჯგუფებად ლექსიკის შესწავლას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა პასუხი გაეცეს ონომასიოლოგიის ძირითად პრობლემას: როგორ და რა საშუალებებით გადმოსცემს გარკვეული ენა ამა თუ იმ შინაარსს, გაირკვეს სიტყვის მოცულობა და საზღვრები, ზოგადი მნიშვნელობის სიტყვათა ტერმინოლოგიზაციის პროცესები, საკუთარ და ნასესხებ სიტყვათა შეფარდება ენაში და ამ შეფარდების ცვალებადობა, სიტყვათა მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება და სხვა. აღამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლა ძველ ქართულში ნაწილობრივ ამ პრობლემებზე პასუხის გაცემასაც ისახავს მიზნად. მაგრამ ამ მეთოდს თავისი ნაკლიც აქვს: ამა თუ იმ თემატიკურ ჯგუფში ხშირად სიტყვის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა შედის და, ამდენად, იგი მთლიანად არ მოიცავს სიტყვის მნიშვნელობას. სამართლიანია ა. ი. სმირნიცკის შენიშვნა, რომ სიტყვების, როგორც მთლიანი ერთეულების, თემატიკური კლასიფიკაცია შეუძლებელია, სიტყვათა თემატიკური კლასიფიკაცია, ფაქტობრივ, მათ მნიშვნელობათა თემატიკური კლასიფიკაციაა¹.

მუშაობის პროცესში ამ სირთულეს იმით ავუარეთ გვერდი, რომ ჩვენთვის საინტერესო დარგის სიტყვანის შედგენის შემდეგ, შეძლებისამებრ, ვიძლევიტ სიტყვის, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთობლიობის, სრულ დახასიათებას.

¹ А. И. Смирницкий, Лексикология английского языка, 1956, М., стр. 176.

სიტყვანის შედგენას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები: 1. მოცემული სემანტიკური ველის მიკროველებად დანაწილება და 2. მიღებული მიკროველების ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულებით დაფარვა.

ცნებათა კლასიფიკაციისათვის საენათმეცნიერო ლიტერატურის² გარდა ვისარგებლეთ არსებული სპეციალური ლიტერატურით ანატომიისა და ფიზიოლოგიის დარგში³. ცნებების ნუსხის შედგენისა და კლასიფიკაციის შემდეგ საჭირო იყო ძველი ქართული ენის ძეგლებში სათანადო ლექსიკური ერთეულების გამოვლენა. ამ მიზნით შევისწავლეთ თითქმის ყველა გამოცემული ტექსტი და ზოგი ზელნაწერიც. შემდეგში შესაძლებლობა მოგვეცა ზოგიერთი იშვიათი ხმარების სიტყვა შეგვემოწმებინა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ლექსიკურ ფონდში. ყველა სიტყვა ამოწერილია კონტექსტში და მითითებულია ძეგლის სახელწოდება, გვერდი და სტრიქონი, ან თავი და მუხლი. კონტექსტში ვადგენთ სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობას, შემდეგ კი ვიკვლევთ ამ სიტყვის, როგორც ენობრივი ერთეულის, სიგნიფიკაციურ მნიშვნელობას. ამიტომაც რომ ჩვენთვის საინტერესო სემანტიკური ველის ტერმინების განხილვისას გვიხდება მსჯელობა ისეთ მნიშვნელობებზეც, რომლებიც ამ სემანტიკურ ველში ვერ შემოვა. მაგ.: თავი — მეთაური, პიროვნება, თავთავი, ერთეული, თხზულების თავი, უკუქცევითი ნაცვალსახელი... თუალი — მზის თუალი, ურმის თუალი, თუალი პატიოსანი, თუალი იგი წყაროსადა...

რადგანაც ჩვენს მიზანს სიტყვის სრული შესწავლა შეადგენს, ამიტომ ყურადღება ექცევა გასაანალიზებელი ფუძის აქტივობას ძველ ქართულში, ე. ი. მის სიტყვაწარმოებითს, კომპოზიციის, ფრაზეოლოგიის წარმოქმნისა და პოლისემიის უნარს. ამით აიხსნება ის, რომ ნაშრომში ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკის გვერდით წარმოდგენილია სათანადო ფუძიდან ნაწარმოები ყველა სიტყვა, თუნდაც იგი მოცემულ სემანტიკურ ველში არც შე-

² Rudolf Hallig und Walter von Wartburg, Begriffssystem als Grundlage für die Lexikographie. Versuch eines ordnungsschemas, Berlin, 1952; F. Dornseif, Der deutsche Wortschatz nach Sachgruppen. Berlin, 1959

³ ნ. დემეტრაძე, მ. თოიძე, ტოპოგრაფიული ანატომია, თბ., 1961; ზ. შაისურაძე, ადამიანის ანატომია, თბ., 1962; ა. ნათიშვილი, ადამიანის ნორმალური ანატომია, თბ., 1954; 1955; 1960; К. П. Голышева, С. И. Гальперин, Физиология человека и животных. М., 1961; Ал. Гинецинский, А. Лебединский, Курс нормальной физиологии. М., 1956.

დიოდეს, მაგ., ძველ ქართულში თავ-ფუძის აქტივობის მაჩვენებლად განვიხილავთ მისგან ნაწარმოებ სიტყვებსაც თავისი, თვისი, თვისაგან, თავადი, თავქედვანი, თავადგამს, თავს-იღებს...

საილუსტრაციო მასალის შერჩევისას ვცდილობდით წარმოგვედგინა ყველა დადასტურებული გრამატიკული ფორმა და ლექსემათა შეხამების ყველა ტიპი და, ამდენად, გაგვეჩვენა მოცემული სიტყვის ინდივიდუალური ლექსიკური გარემოცვა.

ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკის, როგორც ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის, ისტორიულ შესწავლას თავისი წვლილი შეაქვს ენის ისტორიის გაშუქებაში. ამ მიზნით ჩვენთვის საინტერესო დარგის ყველა ლექსიკური ერთეულის ძირეული მასალა შეგუდარეთ მონათესავე ქართველური ენების მონაცემებს, რისთვისაც გამოვიყენეთ როგორც სპეციალური საენათმეცნიერო გამოკვლევები და ლექსიკონები, აგრეთვე, ამ ენებზე გამოცემული ტექსტები და ჩვენ მიერ 1962—63 წლების ზაფხულში ზემო სვანეთში სამეცნიერო მივლინების დროს მოპოვებული მასალაც. კარგი სამსახური გაგვიწია ქართველურ ენათა განყოფილებაში დამუშავებულმა სვანური ენის ლექსიკონმა.

ნაშრომი წარმოადგენს ჩვენ მიერ 1961—64 წლებში აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით დამუშავებული საკანდიდატო დისერტაციის ძირითად ნაწილს.

I. ადამიანის ანატომიასთან დაკავშირებული ლექსიკა

1. სხეულის აღმნიშვნელი სიტყვები

სხეულ-ი 'ადამიანის ან ცხოველის ტანი, ორგანიზმი':

განეშოროს რაჲ სული, ყოვლად უდრეკად და უქმად ჰგიეს სხეული (ნ. ემეს. 6,6); მიექვც შენ ქალდეველთა, რომელთაჲ ვითარცა ვირთაჲ არს სხეულები მათი (ეზეკ. 23,20); გაქუს კელმწიფებაჲ სხეულსა ჩემსა ზედა ყოფად, რომელიცა გნებაჲს (ზოსიმე 174,II₃); ვიეთმე... სამთაგან ეგულების შემტკიცებაჲ კაცისაჲ: სხეულისა, სულისაგან და გონებისა (ნ. ემეს. 4,4); ვითარ რაჲ წინაბრწყინვიდეს სახითაცა და სხეულისა ძლიერებითა (ორენტ. 311,1).

ძველ ქართულში გვხვდება ამ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები: **სხეულევან** 'სხეულის მქონე', **უსხეულო** 1. რასაც ან ვისაც არა აქვს სხეული, ფიზიკური არსებობა, 2. გადატ. ანგელოზი, და **სხეულ-დიდ**: რ' იგი უსხეულო არს და ჩ'ნთვს სხეულევან იქმნა (კიმ. I, 8,30); ფრთენი სიკეთისა შენისანი განწყობილთა შ'ს უსხეულოთა განგიცადენ (კიმ. I, 183,18); ისიძვედ ძეთა მიმართ ეგვპტისათა მოზღვარეთა შენთა სხეულ-დიდთა (ეზეკ. 16,26).

სხეული ამავე მნიშვნელობით იხმარება მეგრულშიც. აქ იგი ქართულიდანაა შესული: 'ნინა არძო სხეულიშე უკულაშიე კოჩიში ტანსუ (ბერიძე 64,1) „ენა ყველა სხეულზე უმცირესია ადამიანის ტანზე“.

სვანური ცხვემილარ||ცხვენილარ 'სხეული, სხეულის ნაწილები' (მიჩა ცხვემილარ ჟელარს ესეროღვ ლოხვამამახ მეკვშდად — 'შენი ხორცი ძალლებს შეეჭამოთო მოკლე ზანში²) შეიძლება დაუკავშირდეს ქართულ **სხეულს**: ცხვემ-ილ-არ სიტყვაში -არ მრავლობითი რიცხვის სუფიქსია, -ილ კნინობითობისა. ცხვემ- ფუძის ცხ კა-

¹ И. К и п ш и д з е. Грамматика мингральского (инверского) языка с хрестоматией и словарем. СПб., 1914, გვ. 325.

² ქართველურ ენათა განყოფილებაში შედგენილი სვანური ლექსიკონი (ბელ-ნაწერი).

ნონზომიერი შესატყვისია სხ კომპლექსისა (შდრ.: ქ: მ-სხ-ალ-ი და სვ. ი-ცხ, ქ: სხამი 'შხამი' — სვ. ცხამ), იგი სხ-საგან მიღებულად ითვლება აფრიკატიზაციით³.

ტან-ი 'სხელი': თავი და ტანი მისი ერთსა ადგილსა დაეფლნენ (სინ. 212,16); სამოსელიცა ახალი ნუ შეემოსების ტანსა შენსა (პატერიკი 76,21); ხედვიდა რაჲ მას სიგრძითა უკუე ტანისაჲთა მალლად და ზესთჰასაკად, ხოლო სხვთა აგებულებითა თვისითა, ასოებითა, გოლიათებრად (ორენტ. 313,19); უმეტესმცა ვიყავ ყოველთა დაბადებულთა სიშუენიერთთა ტანისაჲთა და სისრულითა ჰასაკისაჲთა (ბალავ. 70,18); იყო კაცი ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი (ლ. მრ. 24. 13); ტანნი იგი გამოქანდაკებულნი ქვისანი დამსურნა (კიმ. I, 190,32).

სიტყვა ტან-ი ირანულ ნასესხობას წარმოადგენს⁴. იგი შესულია სვანურსა და მეგრულშიც: ეჩქას ლწარტყათეჲნ ქა ხაწვენე ტიტველ ტან (სვ. ტ. I, 424,34) „მაშინ წელამდე კი აჩვენა შიშველი ტანი“; ტანო ჩე ჯა ოსვირინა, პიჯო მესიშ ვარდი ჯგურა (ხუბ. 341,6) „ტანად ალვის ხედ გამოიყურები(?), სახედ მაისის ვარდივით“.

ბუამ-ი 1. რაიმე სხელი, ორგანიზმი:

ამისთვის დაუსაბამოდ ჰგონო მრგულივ მორბედთა მათ გუამთა ბუნებაჲ (ექუს. 4,6); შეერთებულნი და განუყოფელნი გუამნი, და სივრცენი, და ნესუტუნი იპყრობენ ბუნებასა ხილულთასა (ექუს. 3,3); ხოლო ვინაჲთგან გუამსა მას ცისასა ზესკნელი იგი და დასასრული ადგილი დაუპყრიეს, იტყვან... (ექუს. 12,15); რომელი-იგი ცურავს გუამსა ზედა წყლისასა (ექუს. 81,8).

აქედან ნაწარმოები სიტყვებია: უგუამო 'უსხელო': რომელი-ნი ესრეთ წულილთა, და უგუამოთა, და უძლურთა დასაბამთა დაუდებენ ცასა და ქუეყანასა და ზღუასა! (ექუს. 3,10). ერთგუამ- 'ერთი ბუნების, ერთგვაროვანი': ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ (ხანძთ. 22, 8). სამგუამოვნება 'სამგვარი ბუნების ქონა': ხოლო გრიგოლ ღმრთის-მეტყუელი იტყვს სამებისა სამგუამოვნებისათვის (ხანძთ. 75,47).

³ В. Т. Г о п у р и а. Некоторые вопросы сравнительной фонетики картвельских языков, გვ. 6.

⁴ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი მ ზ ი ა, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1, 1966, გვ. 376.

2. ადამიანის ან ცხოველის სხეული, ორგანიზმი:

შებუშნეს ყოველი გუამი მისი, ოდეს იხილოს თვის უფალი (მამ. სწ. 180,8); მყისა შინა განირღუა. და დაყოლდა გუამი მისი. და დააკლდა საცნობელთაგან და სიმრთელისა (ტიმ. ანტ. 80,25); ბევრგან ლათუ იწყლის გუელმან გუამი თვისი და თავი თვისი განირინის (სინ. 221,3). უმჯობეს არს შენდა, რაათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჭენიასა (მ 5,30); ჩემ თანა შემიძრწუნდა გუამი ჩემი (ამბაკუმ 3,16); ჩრთვს ცოდვილ იქმნა იგი. და მოიდრიკა გუამი მისი. რა ჩრ აღვმალღდეთ (სახისა სიტყვ. 11,18); სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა (ფსალმ. 50,12); მრავალნი შიშუელნი დააწვინენეს თვნიერ სამოსლისა და საფარველი გუამისა მათისაჲ მოუღეს (იობ. 24,7); სენისა მისგან წრტიალისა ისწრაფდა სული განსვლად გუამისა მისგან (ხანძთ. 44,12); იყო სახშ წრდისა მარკოზისი გუამითა შუაკაც. გრძელ თავითა. შეკიცულ წარბითა. შუენიერ თუალითა (კიმ. I, 197,12); აგებულებითა გუამთა მათთაჲთა მაკუდინობლობისა მისისა საენებელსა განერებთან (ექუს. 54,20).

მ. რაფავას ცნობით, ძვ. ქართულ მწერლობაში გუამ- ფუძე დასტურდება „ინდივიდის“ მნიშვნელობით (არს. იყალთოელი, ეფ-რემ მცირე)⁵.

ახალ ქართულში გვამი მხოლოდ მკვდარი ადამიანის სხეულზე ითქმის, ძველ ქართულში კი გუამი საერთოდ ორგანიზმია, იმისდა მიუხედავად, იგი ცოცხალია თუ მკვდარი. ზემოთ განგებ მხოლოდ ისეთი მაგალითები მოვიყვანეთ, სადაც გუამი ნახმარია ცოცხალი ორგანიზმის მიმართ, ახლა დავასახელებთ შემთხვევებს, როდესაც გუამი მკვდარი სხეულის მიმართ იხმარება: თუ ვინმე თავი მოიკლის ქრისტეს მათისათვის, მოიპაროთ გუამი მისი (აბო, 74,10); აჰა იხილეს ეგოდენი იგი გუამი მომკუდარი (IV მეფეთა, 19,35); წარმოიღეს გუამი იგი საულისი და იონათანისი (I მეფ. 31,12); შემოსეს გუამი მისი და დაღვეს საფლავსა (მრკ. 6,29); საფლავნი აღებუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღღვეს (მ 27,52); შეეკრიბენით გუამნი იგი მათნი ერთსა აღვილსა (სინ. 278,29); ორთავე გარდავიხილენით გუამები იგი მოწამეთაჲ (სინ. 278,14).

გუამ- ფუძე სვანურში დასტურდება ახალი ქართულისეული მნიშვნელობის გარდა დავიწროვებული მნიშვნელობითაც: გუამ, -იშ, -ვარ 'მკერდი', ჩვეულებრივ, მრავლობითი რიცხვის ფორმით

⁵ М. А. Равава, Грузинско-армянские версии «Диалектики» Исаии Дамаскина, гл. 14.

იხმარება: ახფიშედს ქემდ, გვამპრისგა ხაჯიდ თათრი მახვმის (სვ ტ. I, 3,2) (გაუშვეს ისარი, მეკრდში მოხვდა თათრის უფროსს).

გაჭმში ფიცარ 'გულის ფიცარი'. მაქსიმე ქალდანის ცნობით გაჭმ-მუჭუედ ბეკები და მეკრდია. მეგრულში გვამი ნეხვი, ნაგავია (ი. ყიფშიძე).

გუამ- ფუძის მნიშვნელობათა ცვალება ქართველურ ენებში ასე წარმოგვიდგება: ძვ. ქართულში: სხეული > (დავიწრ.) ორგანიზ-მი > ახ. ქართ.: მკვდარი ადამიანის ორგანიზმი, სვანურში: გვამი, ორგანიზმის გარკვეული ადგილი. მეგრული მნიშვნელობა სიტყვისათვის უარყოფითი ელფერის მინიჭებით მიღებული დავიწროვებული მნიშვნელობაა: სხეული > უვარგისი სხეული: ნეხვი, ნაგავი. პრობლემატურია გუამ- ფუძის დაკავშირება სიტყვებთან: სვ. გვამი 'მაგარი, მძიმე', ლუ-გვარ, ზან. გვან- 'მსუქანი', ქართ. ქონ-, ლაზ. ქუნი 'ტვინი' (შმიდტი, გვ. 100).

ასო-ღ 'სხეულის ცალკეული ნაწილი, ორგანო; ნაკვთი': ენა მციოზ ასოა არს და დიდად მალლოვის (კათ. ეპისტ. 014,5); განიდევნოს მონასტრით და მოიკუეთოს ვითარცა ასოა დამპალი (ვაჰან. 76,4); ასოსა მას თესლმცენარესა წარსცვეს ორნი ქვანი... და იქმნა კაცი იგი ყოვლად მრთელ (ზარზმ. 177,20); განვიდოდეს კაცთაგან ყრით ასოათ მათით ქელთაგან და ფერქთაგან და ყურთაგან და ყრისაგან გუამისა მათისა (კიმ. I, 241,1); ასონი ჩემნი დასქრენ ტანჯვითა (კიმ. I, 49,30); ყოვლითურთ დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი (ზარზმ. 162,11); ნაყროვანებამან შეამძიმნის კორცნი და აურავებნ ასოთა, აჭირებნ სტომაქსა (სინ. 112,25); უფალსა ჰნებავს დამკვდრებად ასოთა შინა თქუენთა (აბო 57,18); კორცთა სიკეთისა შუენიერებად არს ასოთა სისწორე და ხატისა ფეროვნებად (ექუს. 24,3); იწყო მან გამოდებად ქელითა თვისითა შინაგანთა ასოთა უბიწოაბა მის მსხუერპლისათა ცოხნად კბილითა (კიმ. II, 13,35); მოილო მქარი ასოთა მათგან და შეჰამა (ელ. ზღაპრ. I,9); ხედვითა რაა მას სიგრძითა უკუე ტანისაათა მალლად და ზესთჰასაკად, ხოლო სხვთა აგებულეებითა თვისითა, ასოებითა, გოლიათებრად (ორენტ. 313,20).

ასო- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია: ასოდ-ასოდ, ასოვეულად||ასოეულად: მოილო მახვლი და უპყრა ცოლსა თვისსა და განყო იგი ასოდ-ასოდ ათორმეტ ნაწილად (მსაჯ. 19,29); ვერძი იგი გაყო ასოდ-ასოდ (ლევიტ. 8,20); მოიბნა ორნი იგი კარნი და დაკლნა და განყვნა ასოვეულად (I მეფ. 11,7); ვითარცა შეჰამნეს კორ-

ცნი ერისა ჩემისანი და ტყავნი მათი მათგან განსძარცუეს და ძუ-
ალნი მათნი შემუსრნეს და ასოეულად განავდეს ვითარცა კორცი
სიავსა შიდა და ვითარცა დრონეული ქოთანსა შინა (მიქია 3,3).

სვანურში დასტურდება ასე, — არ 'ბარძაყის კუნთები': ბჭი
შელდჷ თუთ ასვ ხაკუ ლედიდ. ყალაჩუყლან ხოდესგი თუთ ასვს
(სვ. ტ. I, 247,32) (ყოველ ნაბიჯზე თითო ბარკალი უნდა ჩასადე-
ბად. ყალაჩუყლანი უდებს თითო ბარკალს).

ბოლოკიდური ო-ს დავიწროების შედეგადაა მიღებული სვა-
ნურში ასე ფორმა (სონანტთა სისტ. გვ. 34). ამ ფუძიდან ნაწარ-
მოები სიტყვებია: ასე დასე 'მთელი სხეული', ნადასურ (ბქ.),
ლგასურე (ლენტ.) 'ასოასოდ აქნილი ხორცი'.

ორღანო 1. ორგანო, ნაწილი (შდრ. ასოა):

თანაშემწე და ორღანო კმისა მრავალნი, ვითარ საშუალ გუჭრდ-
თა შორის ფერდნი და მკერდის-თავი და სასულე და კუალად
კორცი და სასაა და ამათნი უფროას ხოლო უხონდროესნი და თა-
ნაალთხზულნი ძარღუნი და ენაა და ყოველნი მიმდრეკნი ამათ ასო-
თანი ნასხმანნი ბუნებისაგან მათდა ორღანო ქმნილ (ნ. ემეს. 93,13):
სიტყუათა ლოცვისათა მოკუეთაა ენისაა ენაცვალა და ძირითგან
აღმოიკუეთა ორღანოა იგი ღმრთის-მეტყუელებსაა (ცხ. პ. კაპე-
ტოლ. 57,18).

2. საკრავი:

აქებდით მას ბობღნითა და მწყობრითა, აქებდით მას ძნობითა
და ორღანოათა (ფსალმ. 150,4 გ); ძეწნთა ზედა დავკიდენით ორ-
ღანონი ჩუენნი დუმილისა მიერ თავთა თვსთა თანა და ორღანონი-
ცა თვსნი დასაჯნეს (ცხ. გ. მთაწმ. 401,18—19).

სიტყვა ნასესხებია ბერძნულიდან ორივე მნიშვნელობით:
ὄργανον — იარაღი; საკრავი; ორგანო (ანატ.); მასალა; ნაწარ-
მოები.

2. ძნობილი

ა) ე პ ი თ ე ლ უ რ ი ქ ს ო ვ ი ლ ი

ბჰაბ-ი ა) ადამიანის კანი: აღმოვაცენო თქუენ ზედა კორცი
და გარდაგართხა თქუენ ტყავი (ეზეკ. 37,6); ექუა ტყავი მათი ძუ-
ალთა ზედა მათთა (გოდ. იერ. 4, ოდ); ციხისთავი იგი შეიპყრა... და
მერმე მრთელსა ტყავი გაჰქადა (მოქც. ქართლ. 96,6); ტყავი ჩუენი
ვითარცა თორნე დაგვშავნა, შეიოჰა პირისაგან ნიავქარისა სიყმი-

ლისაჲსა (იერ. ლოცვ. 10); ტყავი უთხესი მაქუს ჩუენ ჳელთა (ნ. ემეს. 87,4); ტყავი იგი, რომელსა შინა სიმსიენე იგი იდეა, სადა არს (კიმ. I, 299,8); თავი მისი ტყავითა ოდენ ეკილა ჳედსა მისსა (სინ. 268,7);

ბ) ცხოველის ტყავი: არა გარეშემომდვა ჩუენ არცა ზრჳელი ტყავი, ვითარ ზროხათა და სხუათა ზრჳელტყავთა (ნ. ემეს. 14,25); მისცა იოვანე წიგნი იგი, რომელი იყო ტყავისაჲ, ძმათა (აპოკრ. 90,35); ტყავნი იგი თიკანთანი მოჰხვნა მკლავთა და შიშუელსა ჳედსა მისსა (დაბ. 27,16).

ტყავ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია მეგრ. ტყებ-ი და ჳან. ტყებ-ი||ტებ-ი 'ადამიანისა და ცხოველის ტყავი' (შედ. ლექსიკ. გვ. 70). ჳანური ვარიანტი მიღებულია ტყ კომპლექსის ტჳ-დ და ტ-დ ცვლის შედეგად⁶.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ ფუძის აგებულების გაგების საკითხში. აკად. არნ. ჩიქობავა გამოყოფს ტყ-ძირსა და -ავ ('შესაბამისად ზანურში -ებ) ფუძის საწარმოებელ სუფიქსს (შედ. ლექსიკ. გვ. 70). გ. კლიმოვი თავს იკავებს ბოლო მარცვლის კლასიფიკაციისაგან (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 183). კ. ჳ. შმიდტი, თ. გამყრელიძე და გ. მაჳავარიანი -ავ/-ებ შესატყვისობას ფონეტიკურად მიიჩნევენ, და არა მორფოლოგიურად (შმიდტი, გვ. 344; სონანტთა სისტ., გვ. 111, 163, 169—170). კ. ჳ. შმიდტი ზანურში ბ-ს ვ-საგან მომდინარედ თვლის, თ. გამყრელიძე და გ. მაჳავარიანი კი მიუთითებენ უ/ზ მონაცვლეობაზე ჳართველურ ენებში (სონანტთა სისტ. გვ. 111). ზანურ ე ხმოვანს კი მიიჩნევენ ჳართული ა-ს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ო-საგან მომდინარედ უმლაუტის შედეგად.

ზანური ტყებ- ფუძე დასტურდება სვანურის ბალსჳემოურ კილოში სიტყვაში ტყებ-ერ-არ 'ჳალამნები'. არსებობს კ. ჳ. შმიდტის ცდა ტყავ- ფუძეს დაუკავშიროს სვანური ტუფ 'ტყავი' და ტუფ 'კანი, ჳერჳი'. მისი აზრით, სვანურშიც უნდა გჳქონოდა თანხმოვანთა კომპლექსებში ხორხისმიერი ბგერის დაჳარგვის ტენდენცია, როგორც ჳანურის ათინურ კილოშია დღეს (შმიდტი, გვ. 62).

ბან-ი ახალ ჳართულში თხელ ტყავს ნიშნავს. საბასაც ასე აჳეს განმარტებული. ეს ფუძე სუბსტანტიური მნიშვნელობით ძველ ჳართულში ჩვენ ვერ დავადასტურეთ. იგი არც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ფონდში დაიძებნა. ერ-

⁶ არნ. ჩიქობავა, ჳანურის გრამატიკული ანალიზი, გვ.17.

თადერთი შემთხვევა ამ ფუძის ხმარებისა გვაქვს სინურ მრავალ-
თავში მიმღობის ფორმით დაკანებულ-ი: ლოცვითა მისითა იქმნა
ტყავი მუკლთა მისთა დაკანებულ ვითარცა მუკლნი აქლემისანი
(სინ. 55,15).

ამ კონტექსტში კან- ფუძეს, საბასეული გაგების საპირისპიროდ,
უხეში, გამაგრებული ტყავის მნიშვნელობა უჩანს. აღ. ჰინჰარაუ-
ლის ცნობით, დაკანებული ხევსურულშიც დასტურდება კოჟრის,
კოჟიყის მნიშვნელობით. ასეთივე გაგებით იხმარება კან- ფუძე მეგ-
რულ კომპოზიტიშიც კანჩაფულა 'ქალამანი' (სიტყვასიტყვით: კანის
ფესხაცმელი). ადამიანის ტყავის აღსანიშნავად დღეს მეგრულში,
ჩვეულებრივ, კანი იხმარება. ახალი ქართულისეული მნიშვნელო-
ბით ეს ფუძე სვანურშიც დასტურდება: აშვ გვექს ესერ ერქა ლახ-
ვედი, ლახე ქუთულართეჟი ტვიტელ კანს ქა ლახწვენი (სვ. ტ. I,
387,12) „ერთ გოქს მაშინ მოგცემო, თუ მუხლებამდე ტიტველ კანს
მიჩვენებო“.

სვანურშიც და მეგრულშიც სიტყვა შესულია ქართულიდან.

წუნა-ღ საბას განმარტებით თხელი კანია ფრჩხილის გარშემო:
ტყავი უთხესი მაქუს ჩუენ კელთა და წუნა მათ ყოველთა და
შიგნით დაფენილთა და თმათაგან უნაწილო არიან, რათა უმსწრაფ-
ლეს შეხებულთა მიითუალვიდენ. ხოლო თმათა მათ-გან არ აღმო-
ცენებისათვის ქუჭშეთ დაფენილი წუნა იქმნა მიზეზ (ნ. ემეს. 87,4
და 7); ბრძანა აღმახუვა ლერწამთა და შემშქუალვა წუნასა
ფრჩხილთა მათასა (ღალაქტ. 374,16).

სიტყვას უფრო ფართო მნიშვნელობა უჩანს, ვიდრე საბა აძ-
ლევს. იგი, საერთოდ, თხელ კანს უნდა ნიშნავდეს ძველ ქართულ-
ში. წუნა- ფუძეს მეგრულში შეესატყვისება ნოლი 1. ფრჩხილის
გარშემო კანი: ბირცხაშ ნოლი ვაპალუნა, ტან'შა ისოტუნსინი (ბე-
რიძე, 138,11) (ფრჩხილის წუნა არ გააჩნიათ, ტანზე რომ იფხანენ),
2. ღრძილი. შედარება ეკუთვნის ი. ყიფშიძეს. კ. ჰ. შმიდტი ამოსა-
ვალში აღადგენს *წონი ფორმას, იგი ქართულში ფუძისეულ -უ
ხმოვანს ო-საგან მომდინარედ მიიჩნევს, მეგრულის ლ-ს კი წ-საგან
(შმიდტი... გვ. 128).

აპკა-ღ, აპკ-ი 'თხელი კანი': განსთქდა აპკად გულისა ჩემისა
(იობ. 17,11); რომელი მიიწიის თულად, შეეზავის ასოსა მას მხედ-
ველსა და აპკათა მათ განრჩუნვილთა გუგათასა (კაც. აგებ. 228,28):
აპკად თავისა, რომლისაგან არს ძრვად ყოველთა იოგთა (კაც-
აგებ. 226,30); ძირი ლართა მოძრავობისა ყოველი აპკად არს თა-

ვისაჲ (კაც. აგებ. 223,24); არს უკუშ ნაწილსა შორის ცხოველთასა რომელიმე მსგავსნაწილი... ვითარ მსგავსნაწილი უკუშ: ტკნი, აპკი, ძარღვ (ნ. ემეს. 59,11); ერთისაგან არ სააზრო იყო კეთილ ქონებად თუმცა ფიცხელნი ძუალნი და ჩჩვლნი კორცნი და აპკნი იქმნებოდესმცა (ნ. ემეს. 59,2).

სვანურში ეს სიტყვა ჰაბტ ფორმით გვხვდება. სიტყვის თავში ხმოვნის წინ ჰ-ს განვითარების შემთხვევები სვანურში ცნობილია⁷. ასახსნელია ტ თანხმოვნის გაჩენა. როგორც მზია ანდრონიკა-შვილმა გაარკვია, აპკა ირანული წარმომავლობის სიტყვაა: საშუალო სპარსული *āpak* 'მინა, ბროლი' ნაწარმოებია ფუძიდან *āp* 'წყალი', ძვ. ირანული *āpaka*, *āp* 'წყალი'. ამოსავალი მნიშვნელობაა წყლისებური, წყალსავით გამჭვირვალე⁸.

უმენეს-ი 'აპკი': არს უკუშ ნაწილსა შორის ცხოველთასა რომელიმე მსგავსნაწილი... ვითარ მსგავსნაწილი უკუშ: ტკნი, აპკი, ძარღვ,... უმენესნი, ინესნი, თმანი, ფრჩხილნი... (ნ. ემეს. 59,12).

ეს სიტყვა ქართულში ბერძნულიდანაა ნასესხები: ბ ἄπκῃ, ἔπος 'აპკი, გარსი, თხელი კანი'. ქართულში ბერძნული ბრუნვის ნიშნით ამ ფორმის გარდა დადასტურებულია ქართული მაწარმოებლებით გაფორმებული ბერძნული სუფთა ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვა უმენ-ებრ-ივ-ი 'აპკებრივი': სხვლისა არტირიისა, რომელ არს აირის-საცავი, უზრქესი უკუშ არს ორლანო კმისა, ხოლო უმენებრივნი მისნი — საკრველ სასულისა აპკნი (ნ. ემეს. 122,2).

პანის ღერივბბმბიბ ფრჩხილი და თმა. ადამიანს აქვს ფრცხილი||ფრჩხილი: ფრცხილებითა თვისითა დამფხურელი, კორცთაცა წუთხისა თანა ქუეყანად დაპყრიდა (იოანნი 268,14); არა განეწმინდნეს ფერკნი და არცა მოექრნეს ფრცხილნი მისნი (II მეფ. 19,24); კერძოთა პონტოასათა ლერწამნი განმახუნიან და მწუერვალსა თითთა მათთასა ფრცხილთა მათთა განაცუჰიდეს (კიმ. II, 106,11); საშუებელითა ცხრბისაჲთა და მოქალაქობითა ბრწყინვალეთა სამოსელთაჲთა სიჩჩოებისა ფრცხილთაგან აღზრდილ იყო — (ცხ. 3. კაპეტოლ. 25,15); ესე იყო უთმო ყოვლითურთ გუამით მისით თავითგან ვიდრე ფრჩხილამდე მისა (კიმ. I, 311,7); ფრჩხილნი... სა-

⁷ იხ. ს. ე. ლ. ე. ტ. ი., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949, გვ. 122—125.

⁸ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I., 1966, გვ. 192, 283.

ზოგადოდ აღასრულებენ მეჭმარეობასა ფხანისასა,... ხოლო მრავალ-
თა საშინებლადცა და სიმტკიცედ მამიჯებლობისა ერთბამად მიეც-
ნეს (ნ. ემეს. 224,16); რკინაადაცა კაცისათვის უმკუთეთლეს არს და
უფიცებელს რქათა და ფუცხოვანთა ფრჩხილთა (კაც. აგებ. 153,26).

ფრცხილი||ფრჩხილი აქვს ფრინველებსაც და ცხოველებსაც:
იყო სხუაჲ ორბი დიდი. და დიდი ფრთითა, მრავალი ფრცხილთა
(ეზეკ. 17,7); ფრჩხენს ფრჩხილთა ქლაკისაჲთა (ლევიტ. 11,7);
მტაცებელთა მათ საჭიროდ მიეცა სიმახვლე იგი ფრჩხილთაჲ ნადი-
რობისათვის (ექუს. 93,23).

თუმცა, ცხოველთა ფრჩხილის აღსანიშნავად სხვა სიტყვებიცა
გვაქვს: ლომი ბჰალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან (ბას.
ეზოსმოძღვ. 19,9).

საყურადღებოა, რომ არა მარტო **ფრცხილ-/ფრჩხილ-** ფორმე-
ბი იხმარება ერთმანეთის პარალელურად ერთსა და იმავე ძეგლში,
არამედ მათგან ნაწარმოები ზმნებიც: **ფრცხენს||ფრჩხენ-ს-** რომელ-
ნი ფრცხენენ ფრცხილთა (ლევიტ. 11,4); ფრჩხილთა ფრჩხენდეს
(ლევიტ. 11,3). **ფრცხილ-||ფრჩხილ-** ფუძე კანონზომიერ ფონეტი-
კურ შესატყვისს გვაძლევს მონათესავე ენებში: ჰან. ბუცხა, მეგრ.
ბირცხა, სვან. ცხა: არ კითი არ ბუცხა ულუნ (ჰან. ტ. II, 112,16)
(ერთ თითს ერთი ფრჩხილი აქვს); ჰიმეკინდგ ჰოჩორაჰ ხე დო ბირ-
ცხა გეკონწყუგ (ყიფშ. 95,6) (მოკიდა ჰოჩორამ ხელი და ფრჩხილი
ამოაძრო); ჰგუშხარ, ცხარალ დნსა ლანსაღს სგა, მპგ ჰანჩაღს (სვ.
ტ. I, 36,37) (ფეხები, ფრჩხილები არ შეგვრჩა, სულ გაგვძვრა).

საერთო ძირია სამივე ქართველურ ენაში -ცხ. ქართული ფ-რ-
ჩხ-ილ<ფ-რ-ცხ-ილ- ფორმიდან. ქართულსა და მეგრულში რ ფო-
ნეტიკურადაა განვითარებული (შდრ. ამავე ძირის სიტყვები ფო-
ცხი, მეგრ. ბუ-ცხ-ი. სემანტიკურად ასეთი დაკავშირება სავსებით
დასაშვებია). ზანური ბუ-/ბი- და ქართული ფ- პრეფიქსები ისტო-
რიულად ნივთის კლასის ნიშნებია. ზანურ-სვანური -ა და ქართუ-
ლი -ილ სუფიქსები კი მორფოლოგიურად ტოლფასი ოდენობებია,
ფუძის დეტერმინანტი სუფიქსებია ისტორიულად (შედ. ლექსიკ.
გვ. 62). თანხმონითი ელემენტი ზანურ და სვანურ სუფიქსებსაც
რომ უნდა ჰქონოდა, ამას სვანური ცხ-არ-ალ ფორმა მოწმობს, სა-
დაც -ალ მრავლობითის სუფიქსია, -არ- კი ფუძისეული გამოდის.

მრავლობით რიცხვში გამოვლენილი -არ სუფიქსის ასეთი კვა-
ლიფიკაცია შესაძლებლად მიაჩნია პროფ. თ. შარაძენიძეს⁹.

⁹ თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში
ბალსზემოური კილოს მიხედვით, იკე, 6, 1954, გვ. 199.

ამ ფუძის სხვაგვარი ანალიზი აქვს გ. კლიმოვს. იგი საერთო ქართველურისათვის აღადგენს *ფრცხა- ფორმას (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 191).

ძაფისებური რქოვანი ნაზარდების ზოგადი სახელია თმა-მ. თმის კულუღია კოწოლ-ი, ნიკაპსა და ყბებზე ადამიანს წუერ-ი ეზრდება, შუბლს ქვემოთ — წარბ-ი, თვალის ქუთუთოებზე წამ-ი და წამწამ-ი. ფაჩუნიერ-ი გვხვდება ბალნიანი ადამიანისათვის: ესავ, ძმაჲ ჩემი, არს ფაჩუნიერ და მე კაც წყლტუ (დაბ. 27.11), მაგრამ ფაჩვ ადამიანის ბალნის სახელად ტექსტებში ჩვენ ვერ დავადასტურეთ. იგი არც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ფონდში აქვთ. ამიტომ ამ ფუძეს ჩვენ აქ არ განვიხილავთ.

თმა-მ 1. ადამიანის თავზე ამოსული ძაფისებური რქოვანი ნაზარდი (როგორც ცალკე აღებული, ისე ერთად):

თმა შენი, — ვითარცა არვეთა თხათა (ქბ. ქბ. 4,1);

არავისი თქუენგანისაჲ თმაჲ ერთი თავისაჲ წარწყმედად არს (საქმე მცქ. 27,34); დაუკუეცეს მას თმაჲ (დაბ. 41,14); თმაჲ თავისა მათისაჲ არა შეიტუსა (დანიელ 3,94); ვერ ძალგიც ერთისა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად (მ. 5,36); თმანი თავისა შენისანი ბოუწყობელ არიან (კიმ. 1, 56,31); უკუეთუ განვიდის იგი სადინელთაგან მრგულათა, გროზ იქმნის თმაჲ იგი და უკუეთუ მართლ განვიდის, არნ თმაჲ იგი მწუჭფ და ლელ (კაც. აგებ. 229,1);

მგილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა (შუშ. 17,10);

მოვიდა ჩუენებით კაცი ერთი ჰასაკითა ზომიერი, თმითა ნახევართმოსანი (მოქც. ქართ. 116,22); იხილა საკვრველებაჲ საშინელი და განსაკრთომელი: კაცი მონაზონი სახითა, მქცოვანი თმითა (ტიმ. ანტ. 111,13).

2. ბალან-ი, ბეწვი: ხოლო თავადსა იოჰანეს ემოსა სამოსელი თმისაგან აქლემისა (მ 3,4 c); ნაცვალად სამოსლისა ნებითა ღმრთისაჲთა მოეცნეს მას თმანი დამფარველად სიშიშულისა მისისა (ტიმ. ანტ. 91,29); სამოსელი აქუნდა თმისაგან თხათაჲსა ქსოვილი (ცხ. 3. კაპეტოლ. 29,10).

თმა- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვა თმოსან-ი ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება არასასულიერო პირის, ერისკაცის (თმოსან) აღსანიშნავად: ოდეს თმოსანი ვინმე მოუქდიან მონაზონებად, არცა

კასტელს და არცა ლავრასა სენაკსა შინა უტევის ყოფამ მათ (კიმ. II, 159,19).

თმა- ფუძის ზანური შესატყვისია თომა, რომელიც მეგრ. კლის ზოგ კილოში ასიმილაციით თუმა ვარიანტს გვაძლევს: კოჩის თის თომა აყვენ; ცხენის, ფუჯის, თხას — ტანის-, ემუს-თი თომა : ევენ (კან. ტ. I, 153,2) (კაცს თავზე თმა ექნება; ცხენს, ძროხას, თხა. — ტანზე-, იმათაც თმა ექნება); ართი შიბუა — თომა მუოსოფიკია (კავ. 15,4) (ერთი დაწვნა თმა მოვაგლიჯეთო); ათე ხრისტაგანს ი უ-მა გოჩანს ქუჩუჩია (ყიფშ. 90,19) (ამ ხრისტაგანს თმა აბია გაქუ. უ-ჩებული).

ზანურში მრავლობით რიცხვში დაჩნდება თომალ- ფუძე: ჳ ნ. თომალ-ეფ-ე; მეგრ. თომალ-ეფ-ი. ამავე ფუძეს ეყრდნობა ნაწარ-მოები ჳანური თომალ-ჟარ-ი 'თმიანი': კონჯოლოზი უჩა ონ, თომალ-ლჟარი (ყიფშ., ჳ. ტ. 78,10) (კონჯოლოზი შავია, თმიანი).

ზანური თომალ- ფუძის შესატყვისად ქართულში ამოსავალში ივარაუდება თამ-ან/ლ ფუძე (შედ. ლექსიკ. გვ. 71—72). თმა ფუ-ძეში ა ხმოვანს შეკუმშულად თვლის კ. ჳ. შმიდტიც (გვ. 115), ხო-ლო -ლ თანხმოვანი ჳანურ ფუძეში მეორეულად მიაჩნია გ. კლი-მოვს (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 95). გ. როგავა შესაძლებლად მიიჩნევს ქართული თმა და მეგრული თომა||თუმა სიტყვების დაკავშირებას ოივა||თიბა სიტყვებთან¹⁰.

კოწოლ-ი 'თმის დალალი, კულული': კოწოლი თმათა და სხუანი, რომელთა შენ ჳბრძანე არამსგავსება, უწარმდებესად მოვიგენ თვთ მათ ჳირმშოთა სახეთასაცა (დ. აღმ. 518,24); შკლნი კოწოლნი შუენიერნი შუბლსა დამოეკიდნეს (სინ. 215,15); თავი მისი ოქროჟსა ოფაზისა, კოწოლნი მისნი ვითარცა ხე დანაკის-კუ-ლისა, შავ ვითარცა ყორანი (ქბ. ქბ. 5,11). საბასთან ეს სიტყვა გვხვდება -ებ სუფიქსიან მრავლობითში ფუძეშეკუმშული სახით კოწლებ-ი. შესაძლოა, სიტყვა ნახური ჳგუფის ენებიდან იყოს შე-მოსული ქართულში. შდრ. ბაცბური კოწოლ, ჩაჩნ. клежап, ინგუ-შური kleж 'ნაწნავი'¹¹.

წუშერ-ი 1. თმა, რომელიც ადამიანს ეზრდება ნიკაჳსა და ყბებ-ზე: დაივარცხნე წუშერი შენი (იოვ. ურჳ. 126,36); დაჳყვენთ მაგათ

¹⁰ გ. როგავა, წამალ-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, აკად. მოამბე. ტ. VI, № 3, 1945, გვ. 232.

¹¹ И. Оздоев, А. Мадиев, Русско-чеченско-ингушский словарь, გვ. 295.

თავი და წუერი (ევსტ. მცხ. 33,7); წუერი მისნი რაჲ შეიტუნეს, არლარა მოუგრძელდეს, და დაადგრა იგი კოვსაკად (კიმ. II, 155,9); შემდგომად სამისა დლისა აღმოუქდა თმაჲ კორცთა მისთა ვითარცა ყრმასა რომელსა უწყიენ წუერთა გამოსლვაჲ (კიმ. I, 312,29), ერთმანერთისა მიმართ ფიცხელი შფოთი გინა წუერთა დაგლეჯაჲ გინა მიმთხუევაჲ (ცხ. იოვ. და ეფთ. 68,1).

2. რაიმე საგნის წაწვეტებული მხარე, წვერო:

დააწოს წუერი თითისა მისისაჲ წყალსა (ლ 16,24 ც; ბოლნ. 72,6); შეუპყრის წუერი ფრჩხილისაჲ მახითა მით მცირითა (ეფრ. ასური; ისტ. ქრ. 14,3); თაყუანის-სცა ისრაშლ წუერსა ზედა კუერ-თხისა მისისასა (დაბ. 47,31); შეეხოს წუერსა სამოსლისა მისისასა (ანგეა 2,12); ფერქისა წუერთა შეეხო (სინ. 212,11); არს უკუშ გემოჲს-ხილვაჲ ბალამთა მიმთუალველ, ხოლო ორდანო მისდა ენა და ამისი წუჭრი (ნ. ემეს. 82,9); მოიყვანა ძე მისი ტელემახოს და წინა დაუდვა იგი წუერსა ერქუნისასა (ელ. ზლაპრ. III,60); შუბის წუერს ედგნეს დარბაზნი (დმტრ. მეფე 527,10); ესრჭთ აღიწინეს წუერსა ზედა მის მთისასა (ტირიკ. 188,8).

ამავე მნიშვნელობით ძველ ქართულში დასტურდება მწუერ-ვალ- ფუძეც: მწუერვალთაგან მათათჲსა და ბორცუთაგან ნაყოფი-ერთა მოგეცინ კურთხევაჲ (ექუს. ილ. აბ. 49,19); თითთა და ნებთა წილ, რომელნი მოჭრილ იყვნეს კელთა მათთაგან, შეშანი და კალამ-ნი მოეხუნეს და მოეწყვნეს მწუერვალსა მკლავთასა (თეოდ. განგრ. 305,16); ლერწამნი განმახუნიან და მწუერვალსა თითთა მათთასა ფრცხილთა მათთა განაცუმიდეს (კიმ. II, 106,11).

ძველ ქართულში გავრცელებულია წუერ- ფუძიდან ნაწარ-მოები სიტყვები: უწუერულ-ი: უკუეთუ მო-ვინ-ვიდის მისა უწუ-ერული და არს ჰასაკითა მწვს, შეიწყნარის იგი (კიმ. II, 160,4); ნუცამცა ვინ იკადრებს თვისსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა უჰასაკოსა და უწუერულსა შემოყვანად მონასტერსა შინა (ვაჰან. 75,27). წუერ-გამო: ამისთვის შოლტითა იცემებოდიან წუერ-გამონი ჰაბუკნი (ელ. ზლაპრ. I,8).

- სვანურში მამაკაცის წვერის აღსანიშნად იხმარება ჭერე, ნათ. ბრ.: ჭერეშ. იგი შეიძლება დაეუკავშიროთ ქართულ წუერ- ფუძეს; თუ სვანურში წ-ს დაკარგულად მივიჩნევთ. შესატყვისობა ქართუ-ლი წ- სვანური ჰ>ნულს ცნობილია¹². ხოლო მეგრული კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია წვანჯ-ი||>წვანდ-ი (დენაფრიკა-ტიზაციის შედეგად) 'წვერო': ჭინჭი გურაფაში კოლო რე, მარა

¹² ე. თ. ო. უ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკას. ზოგიერთი საკითხი, იყ. XII, 1950, გვ. 156

წვანდი ჰამო რე (ყიფშ. 182,9) (ძირი სწავლისა მწარეა, მაგრამ წვერი ტკბილია).

ქართული და მეგრული მასალა ერთმანეთს შეუდარა პირველად მ. ჯანაშვილმა¹³. ქართული და სვანური, გ. კლიმოვის ცნობით, შეუდარებია უორდროპს (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 243), ფუძის ანალიზი მოცემული აქვს არნ. ჩიქობავას (სახელის ფუძე, გვ. 82). განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ეტიმ. ლექსიკ. გვ. 243 და კ. პ. შმიდტი, გვ. 154.

წარბ-ი 'შუბლისა და თვალის ფოსოს მიჯნაზე რკალივით განლაგებული თმები': იყო სახმ წმიდისა მარკოზისი გუამითა შუაკაც, გრძელ თავითა, შეკიცულ წარბითა, შუენიერ თუალითა (კიმ. I, 197,13); მოსწუნა წარბნი მისნი და წამწამნი (ლიმონ. 90,2); მოიგრემანა წარბნი თვისნი და შეიმკო თავი (IV მეფ. 9,30); განსცის იგი განსავალთაგან თუალად შეშქუმითა და მოზიდვითა წარბთათა, შთამოვიდის ნოტიებაჲ იგი და დასწუთის, და იქმნის ცრემლ (კაც. აგებ. 165,18).

მეგრულში წარბის აღსანიშნავად იხმარება წაბ-ი (სენაკ.), წარ-ი (ზუგდ.-სამურზ.). შესაძლოა, ამავე ძირისა იყოს ჰანური წარ-ი||მ-წარ-ი||ნ-წარ-ი.'ცხენის ან ხარის კუდის ძუა': თიში თოლი დო წარი უჩას აკა ქინმოჯინუას (ყიფშ. 156,16) (მის შავ თვალსა და წარბში ერთი ჩამახედა).

გ. კლიმოვის ცნობით, მ. ბროსეს დადასტურებული აქვს წარბ-ის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი მეგრულში *ჭობ-ფუძე (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 248).

წამ-ი 1. ბეწვი, რომელიც იზრდება თვალის ქუთუთოების კიდზე: ნუ სცემ ძილსა თუალთა შენთა, ნუცა ჰრულის წამსა შენსა (იგავნი სოლ. 6,4); გარდამოსთხევდედ თუალნი თქუენნი ცრემლთა. და წამნი თქუენნი გამოადინებედ წყალსა (იერ. 9,18); თუალნი მისნი დავრდომილთა ხედვენ და წამნი მისნი განიკითხვენ ძეთა კაცთასა (ფსალმ. 10,4).

2. დროის ერთეული¹⁴: ნუ შეიწყნარებ წამ ერთცა ამათ (ზედაზნ. 204,2); ვერცალა დაფლვად შემძლებელ იყვნეს ცოცხალნი ერთსა შინა წამსა (სიბრძ. სოლ. 18,12).

¹³ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 14.

¹⁴ ფ. ნაისერს ეს მნიშვნელობა მიაჩნია ამ სიტყვისათვის ამოხვლად (§ 109).

წამ- ფუძე გვაქვს კომპოზიტებშიც:

წამსა თუალისასა 'თვალის დახამხამებაში, ერთ წამს, მყის': მყისსა შინა და წამსა თუალისასა განანათლა (ექუს. 23,16); და იყოს ვითარცა თუალისა წამსა, მეყსეულად (ესაიაჲსი 23,20).

წამის ყოფა 'თვალით ნიშნება' (საიდუმლოდ): თუალთა წამის-ყოფითა ევედრებოდა მას (კიმ. II, 178,3).

წამ-უყვნა 'თვალით ანიშნა': წამ-უყვნა ძმათა მათ და აღიქუეს იგი ცხედრითა (ხანძთ. 39,29); უბრძანე ბრძოლასა დაყუდებამა..., და წამ-უყვენ შიმშილსა წარსლვად (მამ. სწ. 66,9).

რატომაა -უყვნა და არა -უყო? ალბათ, წამ- გაგებულება კრებით სახელად. აწმყოს ნაკვეთებში მოცემული კომპოზიტის სახელადი ნაწილი მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: რომელი წამს უყოფნ თუალითა, იგი შეუკრებნ კაცთა მწუხარებასა, ხოლო რომელი ამხილებნ განცხადებულად იგი მშვიდობასა ჰყოფნ (იგავნი სოლ. 10,10); ბაგითა წამს უყოფნ ყოველთა ტირილით მტერი, ხოლო გულსა თვისსა ზაკუავნ სიტყუათა ბოროტთა (იგავნი სოლ. 26,24).

უკანასკნელ შემთხვევაში წამ- ფუძე სრულიად დაცლილია მატერიალური მნიშვნელობისაგან.

წამ- ფუძის მეგრული შესატყვისი დაცულია ზმნისართში თიმ-წკან-ს 'მაშინ', სიტყვისიტყვით: „იმ წამს“ (შედ. ლექსიკ. გვ. 46). აღ. ცაგარელი მეგრულ შესატყვისად წუმ-, წუნ- ფუძეებს თვლის¹⁵. გურამ კარტოზიას ცნობით, მეგრულში წუმ-/წუნ- 'წამი' არ დასტურდება. აქ, ალბათ, ივარაუდება გამოთქმაში „აკა წუნს“ (ერთ წუთს) გამოვლენილი წუნ-ს, რომელიც ქართული წუთ-ი სიტყვის მიცემითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს. ი. ყიფშიძე ადასტურებს წუნთი ფორმას. მაშინ წუნს—წუნთ-ს (შდრ. ლორონს—ლორონთ-ს).

წამწამ-ი — იგივეა, რაც წამი 1. ძველ ქართულში წამი უფრო გავრცელებულია: წამწამისა ისრითა გულსა მიმსჭუალვენ (ვისრ. 164,33); თუალნი შენნი მართლ ჰხედვიდენ და წამწამნი შენნი სიმართლესა წამებედ (იგავნი სოლ. 4,25); მოსწუნა წარბნი მისნი და წამწამნი და წარვიდა მისგან ყოველი შეუენიერებაჲ პირისა მისისაჲ (ლიმონ. 90,3); დაწუხვაჲ თუალთაჲ არნ დამძიმებოსაგან წამწამთაჲსა მის ზედა მსგავსად ტყვეისა (კაც. აგებ. 169,27). წამწამ- ფუძეს ეყრდნობა ზმნა წამწამებ-ს 'ახამხამებს, თვალს უკრავს' და ნაზმნარი სახელები წამწამებაჲ და მეწამწამე: რომელი

¹⁵ Ал. Ц а г а р е л и, Мингрельские этюды, II, гв. 64.

წამწამებზე თუალითა, იგი ნივთებზე ძვრსა (ისო ზირაქ. 26,11); მსგავს არს იგი მეძავსა, რომელი სხუასა ზრახავს და სხუასა უწამწამებზე (მამ. სწ. 90,23); წამწამებზე თუალითა მისთა ამხილებზე მას (ისო ზირაქ. 26,11); მაშინ თუალითა იგი მეწამწამეთანი აღმოიწყებოლიან (მამ. სწ. 93,28).

წამწამ- ფუძეს ქანურში კამწამ-ი შეესატყვისება. პროფ. არნ. ჩიქობავას აზრით ქართულშიც პირველ კომპონენტად კამ- უნდა გვექნოდეს (შედ. ლექსიკ., გვ. 46). ხევსურულში დასტურდება კამწამ- ფორმა. ნ. მარი კამწამ-ის დიალექტურ ვარიანტებად იძლევა სიტყვებს: წამწამი x, px, v, წანწამი v. ირინე ასათიანს არქაბელი მთქმელისაგან ჩაუწერია წინწამი ფორმაც.

ჩანს, წამ- ფუძის რედუბლიკაცია გვაქვს აქ.

ბ) შემაერთებელი ქსოვილები

ძუალ-ი 'ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში მკვრივი წარმონაქმნი, რომელთა გარკვეული წესით შეერთება ჩონჩხს ქმნის': ესოდენ არს მკურვალებად, ვითარმედ ძუალიცა შთანთქმული დავე-დნის (სინ. 163,30); შთადგ მას დრონეული, ყოველი დრონი კეთილი და წვევი და მკარი, განშოვრებული ძუალისაგან (ეზეკ. 24,4); ტყავი და კორცი შემოსე, ძუალითა და ძარღვთა შემამაგრე მე (იობ. 10,11); ძუალითა ყოველთა სხეულთა არიან სიმტკიცე (ნ. ემეს. 124,14); ძუალითა იგი მათნი დაძვლნეს ყანასა მას იაბისსა (I მეფ. 31,13); ძუალითა ჩუენნი სადამე ეამ წვემითა დაილტვნიან (სინ. 64,15); ექუა ტყავი მათი ძუალთა ზედა მათთა (გოდ. იერ. 4, რდ); ძუალთა ჩემთაგანი და კორცთა ჩემთაგანი ხარ შენ (დაბ. 29,14); მყრალი ძუალები მძორისა (ბალავ. 33, ბ).

ძუალ- ფუძე ქართულიდანაა მეგრულში შესული: ძელი ჩხონსა უქკომუნე დო ძუალი ქეკობორგე ძვასე (ცავ. 62,14) (რბილი თევზს შეუქამია და ძვალი ნაპირზე ყრია). ძუალ- ფუძის სვანური კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ჭიჭე პირველად მ. ჭანაშვილმა გამოავლინა¹⁶. ფუძის ანალიზი მოცემული აქვს არნ. ჩიქობავას. ქართულში ძირია ძუ-, და -ალ დეტერმინანტი სუფიქსი, სვანური ჭიჭე- *დი-ჭვ, სადაც ჭვ- ქართული ძუ- ძირის კანონზომიერი შესატყვისია, დი- კბ გაქვავებული კლასკატეგორიის ნიშანი. ეს -ჭვ- ძირი მეგრულში დაცულია ზმნაში ი-ჭვიჭვინ-ან-ს 'ტლანქი', უხეში რამ გემოიყურება', სადაც გ ფონეტიკურადაა განვითარებული (სახ. ფუძე, გვ. 24—25). სვანურის საილუსტრაციოდ მოვიყ-

¹⁶ მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, გვ. 14.

ვანთ მაგალითს: იშვს ჯა იზბი ი ჯიჯვს ალჳარს ხჳმნე (სვ. ტ. I, 134,35) (ხორცს თვითონ ჭამს და ძვალს ამათ აჭმევს).

ძუალ- ფუძისაგანაა შედგენილი ტერმინები ზურგის ძუალნი 'ხერხემალი' და მძივნი ზურგის ძუალთანი 'მალეები': ვხედავთ გულსა, რამეთუ შეცვულ არს იგი, ვითარცა სახლსა შინა დამყარებულსა მოცვითა მით ფერცხალთაჲთა გარემოჲს მისა, და უკუანით კერძო მიმტკიცებულ არს ზურგის ძუალთაგან (კაც. აგებ. 227,32); დაიქსნიან მძივნი ზურგის ძუალთა მათთანი, და ზარი დაეცის ყოველთა იოგთა და დასაქსნელთა გუამისა მათისათა (მამ. სწ. 139,19).

აქვე განვიხილავთ სიტყვას **ფერცხალ-**ი 'ნეკნი', რამდენადაც სხვადასხვა კონფიგურაციის ძვლებზე გვაქვს საუბარი: ვბრძანო ხუეტაჲ გუერდთა თქუენთაჲ ფოცხვთა რკინისაჲთა, ვიდრემდის განვაშიშულნე ფერცხალნი თქუენნი (გურ. 109,34); ვხედავთ გულსა, რამეთუ შეცვულ არს იგი, ვითარცა სახლსა შინა დამყარებულსა მოცვითა მით ფერცხალთაჲთა გარემოჲს მისა, და უკუანით კერძო მომტკიცებულ არს ზურგის ძუალთაგან, შეზღუდვილ ორკერძოვე (კაც. აგებ. 227,30).

ეს ფუძე დაცულია სვანურშიც **ფარცხალ** 'ჩონჩხი': ფარცხალ გარ ლოქ ცვირ — ჩონჩხი მარტო დარჩაო (იტყვიან ძალიან გამხდარზე).

სიტყვა ნასესხებია ოსურიდან¹⁷. ფ. ნაისერი საკუთრივ ქართველური ენების საფუძველზე ცდილობს ამ სიტყვის ახსნას და მასვე უკავშირებს სიტყვას **ფენტხი** დესიბილაციით (§ 84).

ხრტილის ცნების გადმოსაცემად ძველი ქართული ენის ძეგლებში ორი სიტყვა დავადასტურეთ **ღრტილ-**ი, რომლის ფონეტიკური ვარიანტი დღესაც გავრცელებულია ქართულში, და **ხონდროჲ**.

ღრტილ-ი 'შემაერთებელი ქსოვილის ერთ-ერთი სახეობა — ხრტილი': კორკმან სტკრსა მას შინა ორთა მათგან ნესტუთა, რომელნი არიან საყნოსელსა შინა ღრტილისასა, და მით განუზოგის კმაჲ და იქმნის კმა სასმენელ (კაც. აგებ. 159,6); ამას სახესა ვხედავთ... ძუალთა და ღრტილთა და ძარღუთა და ლართა და იოგთა (კაც. აგებ. 228,21).

სვანურში ხრტილის მნიშვნელობით გვხვდება **ფხგტგნ-ილ**, **ლე-ფხგნტი**, **ლე-ფხგრტ-ინ-ე**. პირველ სიტყვაში გამოიყოფა **-ილ**

¹⁷ В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, 1958, гл. 453.

კინობითობის სუფიქსი. ლე-ფხენტი, ლე-ფხგრტ-ნ-ე კი საობიექტო მიმღებობია. ძირია -ფხენტ-/ფხგრტ-. უნდა ვიფიქროთ, ქართული ღრტ-ილ-ი'ც ნაწარმოები ფუძეა. გამოიყოფა -ღრტ- ძირი და -ილ მიმღებობის მაწარმოებელი სუფიქსი. -ღრტ (ახალ ქართულში: -ბრტ-) ძირის შესატყვისი უნდა გვქონდეს მეგრულში სიტყვაში ხუტ-ორ-უნ-ს 'ღრღის'. შესატყვისობა ქართული რ- ზანური უ ცნობილია (იხ. შედ. ლექსიკ. გვ. 229). სემანტიკურად ასეთი დაკავშირება რომ შესაძლებელია, ამას სვანურის მაგალითის გარდა, მეგრულის ფაქტებიც მოწმობს: მეგრული ხინტირ-ი 'ბრტილი'-ც მიმღებობაა უ-ხინტკ-უ-ან-ს ზმნისა.

საყურადღებოა, რომ ჰ. აკარიანი სომხურ *հրճակ* და თურქულ *harıharı* 'ბრტილი' სიტყვებს უდარებს ქართულ ღრაჰა- ფუძეს სიტყვაში ღრაჰაღრუჟი¹⁸. ღრტ-, ღრაჰ-, ხინტკ- ონომატოპოეტური სიტყვები ჩანს.

ხონდრო-ი 1. ხრტილი: იქმნების უკუშ უწყებამ ესე მათდა ქუშშეთ-კერძო ხონდროს ტერფისა, რომელი „მახვლის-სახედ“ იწოდების (ნ. ემეს. 109,18). შეერთობის უკუშ არტირისა ვრონხოჲ, რომელ არს ღაქლაჳი თანშედგმული სამთავან დიდთა ხონდროთა (ნ. ემეს. 122,16).

2. ხორკლიანი: ხოლო ინახვებს მხედვარეობამ მებრ წრფელთა მიერ წირთა, იგრძნობს... ფერთა...; წყლტუსა ვინაჲვე და ხონდროსა, და წყნარსა და უწყნაროსა (ნ. ემეს. 77,22).

სიტყვა ბერძნულიდანაა ნასესხები: ἰ γάρβρις 'მარცვალი'. ჩვენ იგი დავადასტურეთ მხოლოდ ი. პეტრიწის ენაში. იქვე გვხვდება ამავე ძირიდან ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვა უ-ხონდრო-ეს-ი 'ხრტილოვანი': ორლანო კმისა მრავალნი, ვითარ საშუალ გუჭრდთა შორის ფერდნი და მკერდის თავი და სასულე და კუალად კორკი და სასაჲ და ამათნი უფროჲს ხოლო უხონდროესნი და თანაალთხზულნი ძარლუნი და ენაჲ (ნ. ემეს. 93,16).

ტვნ-ი 1. რბილი ქსოვილი, რომლითაც ამოვსებულია ძვლის ღრუები: ნაწლევნი მისნი სავსე იყვნეს ცმელითა, ტვნი მისი განფენილ იყო (იობ. 21,24); თვთ მას ტვნსა შეიწვიენ და დაუთმენელად შეეგონებინ შენეფხულთა ვნებაჲ იგო (სინ. 119,8); ერისაგანნი იგი მგუემელნი იგი მისნი ურთიერთას ტვნსა დაიპეპდეს (კიმ. I, 133, 17); რომელნი-იგი ადვილად შეიცვალეებიან დგომითა მათ ზედა

¹⁸ ლ. ანაიასი, ლაქსიქნ არქაოლოგიური ცოდნის, IV, გვ. 441.

მთოვარისადათა ხოლო ტვნნი ცხოველთანი, და ცხოველნი ზღვსანი, და გულნი ხეთანი (ექუს. 78,4).

2. თავის ტვნი: რაჟამს იყნოსი სული მძორისაჲ, მენტქუესკე დაიბურნი საყნოსელნი შენნი, რაჲთა არა შევიდეს მიერ სული სიმყრალისაჲ ტვნად შენდა და აღძრნეს საფეთქელნი შენნი და... შეგიშალოს გონებაჲ გულისა შალვითა (მამ. სწ. 159,13); სიბერისაგან ტუინი წაგსლვია (ვისრ. 44,34); ხოლო ამისდაცა ორლანო უკანაჲთ კერძი მუცელი ტვნისაჲ, რომელსა ნათხემვად და ტვნის-მიერად უწოდენ (ნ. ემეს. 91,2).

3. (გადატ.) პოხიერება: მიგცე თქუენ კეთილი ეგვპტისაჲ და შჰამდეთ თქუენ ტვნსა ქუეყანისასა (დაბ. 45,18); აქედან ტუინოანი 'ტვინიანი, პოხიერი': საკუერთხი ტუინოანი შევეწირო შენდა (ფსალმ. 65,15).

მეგრულში გვაქვს ტვენ-ი 'ტვინი', უ-ტვენ-ე 'უტვინო', სვანურში — თუელ: ლუხვიტ მიჩა აფხნიკარს ლოხცვაჲ დჷკა თველ, ურიბს ერ ხოკონნან, ი ჟანლვარე მაგ ეჯარე (ონიან. 71,24) (დახოცილ თავის ამხანაგებს წაუსვა დევის ტვინი, „ურიბში“ რომ იყო გახვეული და გააცოცხლა ყველა ისინი).

სვანურ სიტყვაში თუელ თ-ტ'საგან. მას მეგრულის მონაცემები უკერს მხარს: თვინგალი, თვენგერე, თვენგერია 'მოსულელო', სადაც თვინ-||თვენ- ფუძისათვის ამოსავალია ტვინ ვარიანტი, -გა კი უქონლობის სუფიქსია¹⁹.

ცმელ-ი 1. ორგანიზმში ცხიმოვანი ქსოვილი: ცმელი თვისი შეიყენეს (ფსალმ. 16,10 გ); თეძოჲთურთ მოჰკუეთნე იგი და ცმელი გარდაბურვილი ქუსეტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ (ლევიტ. 3,9); კუამლი იგი ცმელისაჲ მის, რომელსა-იგი აკუმევდეს, ყოველსა ადგილსა შეაბილწებდა (სინ. 221,40); ნაწლევნი მისნი სავსე იყვნეს ცმელითა, ტვნი მისი განფენილ იყო (იობ. 21,24); შეწირა ცმელები ესე საკურთხეველსა ზედა (ლევიტ. 9,20).

2. მცენარეული ზეთი: ჰამდეს იგინი... ერბოსა ზროხათასა... ნაყობთა კუროთათა და ვაცთათა, თირკუმელთა ცმელითა იფქლისაჲთა (ფსალმ. 2,14).

ცმელ- საერთო ქართველური წარმომავლობის ფუძეა, მისი შესატყვისები დაცულია ორსავე მონათესავე ენაში: სვანური: ლე-ცტმ-ი 'კარაქი', ნა-ცმ-უნ 'ცხიმი', ცემ-ილ (ლშხ.) 'ლორის გვერდე-

¹⁹ Г. В. Рогова, Абхазско-сванско-адигейский суффикс privativum га в менгрельском, საქ. სსრ მეცნ. აკად. პრ. შეკ., ტ. III, № 6, 1942, გვ. 62ა.

ბის ქონი', ცვმ-რა (ბქ.) 'ლორის მუცლის ქონი'. მეგრ.: ციმ-უ 'შემწვარ მსუქან ხორცს რომ ცხიმი შეუღებება' (არნ. ჩიქობავას ცნობით), 'накипъ' (ი. ყიფშიძე). ჰან.: ციმ-უ- გამოთქმებში: ციმულ-ი 'ძალიან მწიფე ლეღვი', ლულ-ციმუ 'თეთრი ლეღვის ჭიშია' (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 225).

მონათესავე ენების ჩვენებათა თანახმად ქართულში გამოიყოფა -ცმ- ძირი და -ელ სუფიქსი. -ცმ- ძირში ხმოვანი აჩნს შეკუმშული. სვანური ლე-ცუმ-ი და ნა-ცმ-უნ მიმღეობის ფორმებია ლი-ცუმ-ი 'წასმა' ზმნისა. ცმ-ელ-, ციმ-უ, ნა-ცმ-უნ სიტყვების დაკავშირება სვანურ ლი-ცვმ-ენ-ი 'წასმა' ზმნის -ცვმ- ძირთან ეკუთვნის გ. მაქავარიანს²⁰, ხოლო ქართული და მეგრული ი. ყიფშიძეს ჰქონდა დაკავშირებული. ჰანური მონაცემები გ. კლიმოვმა მოიშველია. მზია ანდრონიკაშვილი ცმელ- ფუძეს უკავშირებს ოსურ სიტყვას сѣм 'талый снег, сало на реке'²¹.

სისხლ-ი 'წითელი ფერის თხიერი შემაერთებელი ქსოვილი, რომელიც მიმოიქცევა ორგანიზმში და უზრუნველყოფს სხეულის უჭრედთა კვებას და ნივთიერებათა ცვლას': სისხლი დაწმდების ტყირბისა მიერ და ნაღვლის შემწყნარებლისა ბუშტისა და თირკუმელთაგან (ნ. ემეს. 112,11); ჰკუერვიდეს რაჲ იგინი, წარვიდა სისხლი ჩემი, და მოკუდეს კორცნი ჩემნი შიშისაგან (სინ. 277,8); ვარდითა მეწამულითა, ფერად სისხლისა (სინ. 66,19); რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლის მკამელ (აბო 64,33); შებღალეს სამოსელი იგი სისხლითა (დაბ. 37,31); სიპოხესა მას და ძალსა საზრდელისასა ღვძლი განწყოფს სიმკურვალითა სისხლისაჲთა და მიუძღუნებს გულად (მამ. სწ. 176,27); მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების (ჩანძთ. 12,21).

სისხლ- ფუძე საერთო ქართველური წარმომავლობისაა. მონათესავე ენებში დაცულია მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები: ჰანურში დიცხირ-ი||დინცხირ-ი, მეგრულში ზისხირ-ი||ზისხერ-ი, სვანურში ზისხ: ეჯჷარე ზისხეშ გიმ ჩვალწკარწლი (სვ. ტ. I, 2,13) (მათი სისხლით მიწა გაწითლებულა).

სისხლ- ფუძის გაგების საკითხში სპეციალურ ლიტერატურაში არსებითად სამგვარი აზრი არსებობს:

²⁰ Г. М а ч а в а р и а н и, О трех рядах сибирянтных спирантов и аффрикат в каргвельских языках, 1960, გვ. 5; 9.

²¹ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 122.

ა) არნ. ჩიქობავა საერთო ქართველურ ძირად გამოყოფს -სხ-'ს. ქანური -ცხ- მომდინარეობს -სხ-'საგან; ქართ. სი-, მეგრ. ზი- (-დი) და ქან. დი- პრეფიქსები ნივთის კლასის გაქვევებული ნიშნებია, ხოლო -ლ ქართულში და -ირ ზანურში ფუძის დეტერმინანტი სუფიქსებია (შედ. ლექსიკ. გვ. 72).

ბ) ტ. გუდავას აზრით ქართველური ენებისათვის ამოსავალია *ზისხლ- ფორმა, რომლისაგანაც რეგრესული ასიმილაციით მივიღეთ ქართულში სისხლ-, ქანურში ჯერ სხ კომპლექსი შეიცვალა ცხ კომპლექსით, შემდეგ ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად თავკიდური ზ ძ-დ შეიცვალა და ბოლოს დეზაფრიკატიზაციით მივიღეთ დ. ე.ი . ზისხირ- → *ზიცხირ- → *ძიცხირ- → დიცხირ²².

გ) ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩის შესაძლებლად მიაჩნია აქ რედუბლიცირებული ფუძე გვქონდეს²³.

გ) ძარღუ- ტიპის სიტყვები

ცალკე ჯგუფად გამოვეყოფთ ძარღუ- ტიპის სიტყვებს, რადგან მათი ძირითადი მნიშვნელობის — შემაერთებელი ქსოვილის აღნიშვნის გარდა, ნერვული ქსოვილის მნიშვნელობაც უჩანთ. ასეთებია: ძარღვ, შეშაძარღვ, თანშემკრველი, ლარი, იოგი, ტენონი, ინოა||ინესი, ილნოა, ნევროა. აქვე განვიხილავთ კირ- ფუძესაც, რომლისთვისაც ამოსავალი ძარღვის მნიშვნელობა ჩანს.

ძარღვ 1. სისხლძარღვი: შეჰკუეთა წმიდამან მან ძარღვ უხილავად და გამოხდა სისხლი დიდძალი ტუნისა მისისაგან (კიმ. I, 312,10); ძარღვ — ჭურჭელ სისხლისა (ნ. ემეს. 114,3); სცა ზედა თეძოსა მარცხენესა და განუკუეთა მას შინა ძარღვ წელითგან ვიდრე წუერადმდე ფერჯისა მისისა (ქსენენბ. 92,7); გარემომდებარეთა ძარღუთაგან მიიწბობს იძულებით დაწმედილსა სისხლსა (ნ. ემეს. 114,13).

2. მყესი: ტყავი და კორცი შემოსე, ძუალითა და ძარღვთა შემამარე მე (იობ. 10,11); ბრძანა განაპრობაჲ და ცემაჲ მისი ძარღვთა ზროხისაჲთა კმელითა (ბაქოზ. 88,12); ყოვლითურთსა სამღდელოსა სხეულსა ზედა უზელელითა ძარღუებითა გუემათა მოწევნაჲ ბრძანა ოთხთა მგუემელთა მიერ (ასტიონ. 207,9).

²² ტ. გუდავა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ქანურში). საქ. სრ მეც. აკად. მოამბე, XXXIII, 2, 1964, გვ. 499.

²³ В. М. Иллич-Свитыч, Материалы к сравнительному словарю ностратических языков; Этимология, 1965, гв. 345.

3. ნერვი: სადაცა ძარღვ მგრძნობელობითი მიერთხას, იგიცა კერძოდ გრძნობასა მითუალავს და იქმნების მგრძნობელ (ნ. ემეს. 85,19); შეუპყრა მარცხენშ ფერკი ტკივილმან ძარღვსამან და ესრეთ ვერ ეძლო სლვად (ქსენებ. 95,14); განეყოფვის უკუშ ძარღუთა ტენონი ამით, რომელ ყოველი ძარღვ მგრძნობელობითი არს და მრგუალი და უჩჩოახსი, და დასაწყისი და დასაბამი თავის-შორისისა ტუნისაგან აქუს: ხოლო ტენონსა ძულთაგან აქუს დასაწყისი და ძარღუთაჲსა უფიცხე არს (ნ. ემეს. 118,8); მოელუ მას სიმკნე იგი ძარღუთაგან მისთა (ბოლნ. 84,12).

ძარღუ- ფუძიდანაა ნაწარმოები ზმნა მოიძარღუა 'შეიკრა': დაქსნილ არს კაცობრივი გუამი: არამედ მოიძარღუა ზიარებითა ღრმთეებისაჲთა (პეტრ. ახალი 207,52).

ძარღუ- ფუძის შესატყვისია მეგრულში ჭერღვ-ი, სვანურში ჭარღუ. ფუძისეული ა ხმოვნის შესატყვისად მეგრულში ო იყო მოსალოდნელი, გვაქვს კი ე ხმოვანი. ამ ფუძის ა ხმოვნიანი ვარიანტი დადასტურებული აქვს რაფ. ერისთავს წარმოქმნილ სახელში მაჭარღვალია 'მრავალძარღვა'²⁴ და რომ აქ ასიმილაციასთან არა გვაქვს საქმე, ამას სვანური ჭარღუ მოწმობს, რომელიც მეგრულიდან შესულადაა მიჩნეული სვანურში²⁵.

შეშაძარღვ 'მყესი': მყესნი შემტკიცებულ არიან სხეულთაგან და შეშაძარღვბრივთა ინოთაგან და ტენონისა რამეთუ თანაშეთხზულ არიან შეშაძარღუთად ინონი (ნ. ემეს. 118,4).

თანშემკრველ-ი 'შემაერთებელი ქსოვილი': მიდრეკისა დასაბამ ვინაჲმე ტუნებრივი ძარღვ... ხოლო ორღანო — ამათგან აღმოცენებულნი ძარღუნი და თანშემკრველნი და მყესნი (ნ. ემეს. 118,3); არს უკუშ ტენონი შეკრებულ და შედგმულ თანშემკრველთაგან და წურღლთა ძარღუთა (ნ. ემეს. 118,7).

ლარ-ი 'მყესი; სახმო სიმები': ამისთვის შეირინეს ძულნი ესე მაგარნი და კმელნი, და შეიხვნეს ნოტიითა კორცთაჲთა და იქმნენს შედგმულ და შენაწევრებულ ურთიერთსა და შეძერწულ ლარითა (კაც. აგებ. 223,8); აკაჲ თავისაჲ, რომლისაგან ძრვაჲ ყოველთა იოგთაჲ, შეოკვაჲ და განმარტებაჲ ლართაჲ, რომელი ძრავს ყო-

²⁴ Р. Д. Эрнстов, Краткий грузино-русско-латинский словарь, из ррех царств природы, Тифлис, 1884, გვ. 39, № 579.

²⁵ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ქართვ. ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგჯრთი საკითხი, იყე, XII, 1961, გვ. 157.

ტენონ- ფუძე ნასესხებია ბერძნულიდან: ἰ τένων 'ძარღვი, კუნთი; კეფა; ნერვი'. დადასტურებულია მხოლოდ ერთ ძეგლში.

ინო-მ||ინეს-ი 'ძარღვი': მყესნი შემტკიცებულ არიან სხეულთაგან და შემაძარღვბრივთა ინოთაგან და ტენონისა რამეთუ თანაშეთხზულ არიან შეშაძარღუთად ინონი: ვინაჲ ვიეთ-მე იპაზრნეს იგინი მეგრძნეყოფად, თანალთხზულთა მათდა ძარღუთა გრძნობისათვის (ნ. ემეს. 118,4); ტენონი ორთაგანვე არს: სუნდის-მოძსაგან და ძარღუჭბრივთა ინოთაგან (ნ. ემეს. 59,17); არს უკუშ ნაწილსა შორის ცხოველთასა რომელიმე მსგავსნაწილი ...ტენი, აპკი, ძარღვ, სიპოხე, ძუალი, კბილნი, მკერდი, ადენესი, თანშემკრველნი, უმენესნი, ინესნი, თმანი... (ნ. ემეს. 59,13).

ბერძნული ἰ ζ, ἰ σ, მრ. რ. ἰ ν, 1. ძარღვი, კუნთი, ნერვი. კრებითობის მნიშვნელობით: ქსოვილები; 2. კუნთების ძალა, ფიზიკური ძალა. ქართულში ი. პეტრიწის შემოტანილი ჩანს: ინო-მ მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითს ეყრდნობა, ინეს-ი კი მრავლობითი რიცხვის სახელობითია.

ილნიო-მ 'მუხლსუჯანა მყესები': ორთავე მუკლთა მიმართ მართლიად მოიდრეკს ბარკალთა ისქიოთა ვინაჲ-მე და ილნიოთა მიერ: რომლითამე შინაჲთ მიმართ, ხოლო რომლითამე გარეთ- მიმართ (ნ. ემეს. 118,25).

ეს სიტყვაჲ ი. პეტრიწის შემოტანილი ჩანს ბერძნულიდან: ἰ ἰχνη 'მუხლსუჯანა მყესები'.

ნავრო-მ: უმრავლესთა შორის ურთიერთას თანაშეიპებვიან სამნივე ესე: ძარღვ, ნასხმანი და ნევროჲ, რომელ და იგიცა ძარღუ-ვე არს (ნ. ემეს. 113,17); ძარღვ საზრდელსა მისცემს ნევროსა და არტირიათა, არამედ არტირიაჲ მისცემს ძარღუსა ბუნებითსა სიმკურვალესა (ნ. ემეს. 114,6).

ესეც ბერძნულიდანაა ნასესხები: τὸ νεῦρον 1. ძარღვი, ნერვი, 2. თოკი, სიმი, ღვედი.

პირ-ი: გულის წყრომითა თვისითა კირნი დაჰკუეთნეს კუროსა (1,300¹,11); გულის თქუმიოთა თვისითა კირნი დაჰკუეთნეს კუროსა (1,301²,13—14); ვითარცა სახედ გამოსტაცის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი კირნი ანუ ყურის ძირი (ამოს. 3,12); იხილა პავლე, მო-რაჲ-ვილოდა, რამეთუ იყო იგი ასოჲთა მდაბალ, თმითა ღულარ-

ქნილ, ყურიტა განქცეულ, კირ-დრეკილ, გრემან თუალითა, წარბითა შეკიცულ, ცხვრ გრძელ (მარტვ. თეკლ. 92,16).

სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა დაუდგენელია. საბაჲ განმარტებით „კისერი თუ შეშაძარღვია“, ნ. მარის აზრით — ЖИЛЫ²⁷, ილია აბულაძეს უფრო წვევი ჰგონია²⁸. ჩვენთვის ცნობილი კონტექსტები არცერთ გაგებას არ გამოორიცხავს. პარალელურ ტექსტებშიც ხან ძარღვია, ხან წვივი. საბა ამ სიტყვისათვის იმოწმებს ისო 11,6: სამწუხაროდ, ეს კონტექსტი ვერ დავადასტურეთ: ოშკის ბიბლია ნაკლებულია, ბაქარისაში კართ- ფუძეა ნახმარი: ჰუნებსა მათსაჲ დაჰკუეთნეთ კართნი, რუსულშია ЖИЛЫ. „თეკლას მარტილობაში“ დადასტურებული კირ-დრეკილის შესატყვისად სომხურშია *կარქ ფსტ.* სომხური *კარქ* ნიშნავს ანკესს, ფეხს, ფეხის ძარღვებს, წვივს²⁸.

კირ- ფუძე სვანურშიც დასტურდება: კირ, -იშ, -აღ 'ჩლიქი, ფეხი': კირს ღემ ხუგემ — ფეხს არ გადავდგამ. ეგვევი სიტყვა სვანურში თოკის კვანძს აღნიშნავს. მ. ქალდანის ცნობით, კირ ცხოველის გადაგვარებული მეხუთე თითი, ჩლიქს ზემოთ გამობერილი რომაა, იმასაც ნიშნავს. ვფიქრობთ, კირ- ფუძისათვის შეშაძარღვის მნიშვნელობა უნდა იყოს ამოსავალი.

დ) კუნთოვანი ქსოვილი

კორც-ი 1. ორგანიზმის კუნთოვანი ქსოვილი: სულსა კორც და ძუალ არა ასხენ (ლ 24,39); ტყავი და კორცი შემოსე, ძუალითა და ძარღვთა შემამაგრე (იობ. 10,11); მოკლებასა შინა კორცისასა ირემიცა წარმოუდგინა წმიდამან ბოლოკბასილის (აბუს. ტბ. X,83); ხოლო იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ (ხანძთ. 2,63); საკმელმან ჩუენმან განასუქნის კორცნი (სინ. 112,5); კორცნი მათნი დამქნარ მარხვითა და ღამის თევითა (სინ. 267,5); კუალად მოეგო ფერსავე კორცთა მიათასა (გამოსლვ. 4,7); ძუალთა ჩემთაგანი და კორცთა ჩემთაგანი ხარ შენ (დაბ. 29,14).

2. სხეული, ორგანიზმი: ნებითა უფლისაჲთა აქამომდე ვიყავ თქუენ თანა კორცითა (სინ. 246,32); მოკუდეს კორცნი ჩემნი შიშისაგან (სინ. 277,8); კორცთა სიკეთისა შუენიერებაჲ არს ასოთა სისწორე და ხატისა ფეროვნებაჲ (ექუს. 24,3); განვიხილევდით კორცთა წმიდათა მათ მოწამეთასა (სინ. 268,12).

²⁷ TP, III, გვ. XLVI.

²⁸ ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, III, მარტილობა თეკლასი, ენიქის მშვე, VIII, 1940, გვ. 85—86.

გავრცელებულია კორც- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები: კორციელ-ი: რამეთუ ყოვლითავე ცუდ არს ყოველი კაცი კორციელი (ფსალმ. 38,6). განკორციელდა-ა 'კორციელი გახდა':... ამისათვის განკორციელდა ძმ ღმრთისაჲ (ქონქ. 489,5).

ზანურში გავრცელებულია ხორც- ფუძე პირველი მნიშვნელობით. ქან.: კატუ ვა ნანქუში ნა'ნ, ხორცის ვარ ცადუმს (მარია § 23d) „კატა თუ ვერ მიწვდება, ხორცს ვერ გასინჯავს“. მეგრ.: ხორციქ ხორცი ოქკომუ და ხორხოტაქ ვა ყინტუ (ყიფშ. 178,24) „ხორცმა ხორცი ქამა და ხახამ არ ჩაყლაპა“.

მ. ანდრონიკაშვილს ქართულისათვის ამოსავლად მიაჩნია სკვითურ-ალანურე *xorc 'საკვები, ხორცი', ირან. x'arში 'საკვები', ძირიდან x'ar — 'ჭამა'²⁹.

მძორ-ი 'მკუდრის გუამი' (საბა): მოკლა იგი მახვლითა და შთააგდო მძორი მისი სამარესა (იერ. 26,24); სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები (მ 24,28); კორცი მათი არა შქამოთ და მიორსა მათსა არა შეეხნეთ (ლევიტ. 11,8); არა არიან დღეს მკეცნი მძკვარენი, რომელთამცა მძორებრ დაშალილნეს კორცინი ჩუენნი უფლისა ჩუენისათვის (სინ. 261,18); მსგავს არს იგი მძორსა მკულარისასა, სავსესა სიმყრალითა (მამ. სწ. 122,18).

სიტყვა მძორ-ი ისესხა მეგრულმა ძორ-ი ფორმით: ძორი დინას ჩაბარგ დო შური გოუტუუ ენწერიშა (ყიფშ. 158,26) (მძორი მიწას ჩააბარა და სული გაუშვა „ენწერიში“). ი. ყიფშიძე ძორ- ფუძეს უკავშირებს მეგრულში სიტყვას ძელ-ი 'უძვლო და უქონო ხორცი'³⁰. ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც ასეთი დაკავშირება სავსებით შესაძლებელია. სვანურში გვაქვს ძჷერ 'ხორცი' (ბალს-ზემოურ კილოში), ლუნძჷერ 'ხორციანი; მსუქანი': ძვერს ჯა იზბი, თველს მიჩა ხახვ ხჷმნე ი ჯიჯვარს მიჩა ლჷსმუნას ხოშდე (სვ. ტ. I, 401,30) „ხორცს თვითონ ჭამს, ტვინს თავის ცოლს აჭმევს და ძვლებს თავის ცოლის დებს (ან ძმებს) უყრის). ეს სიტყვა ბალს-ქვემოურში ძერ ფორმით გვხვდება, ლაშხურში — ძორ. ცხადია, ბქ. ძერ←ბზ. ძჷერ←ლშხ. ძორ.

სვანური და მეგრული ენების მონაცემების თანახმად, მ-ძორ-ფუძეში მ- ფონეტიკური დანართია. სავარაუდოა, მ-ძორ- ფუძისა-

²⁹ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები... გვ. 129.

³⁰ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с: хрест. и сл. лексик. გვ. 376.

თვის ამოსავალი იყოს საერთოდ ხორცის მნიშვნელობა, და არა ლეშისა: მეგრული ძელი 'რბილი ხორცი' და სვანური ძეგერ 'ხორცი' უჭერს მხარს ასეთ ვარაუდს (შდრ. ძვ. ქ. გუამ-ი 'სხეული'—ახ. ქ. ლეში).

კუთ-ი 'სისქე კორცთა' (საბა): მზარეულმან მან მოართუა ბარკალი ერთი კუთითურთ (1 მეფ. 9,24).

ახალ ქართულში ამ სიტყვაში **ნ** თანხმოვანი განვითარდა: კუნთ-ი. სვანურში დაცულია ძველი ქართულისეული ფუძე: კუთ, -იშ, კუთჟჳრ 'კუნთი'.

ნასხმან-ი: ორლანო კმისა მრავალნი, ვითარ საშუალ გუჭრდთა-შორის ფერდნი და მკერდის-თავი და სასულე... და თანაალთხულნი ძარლუნი და ენაჲ და ყოველნი მიმდრეკნი ამათ ასოთანი ნასხმანნი ბუნებისაგან მათდა ორლანო ქმნილ (ნ. ემეს. 93,17); გულიცა... მკურვალეებასა განუყოფს ყოველთა ნაწევართა სხეულთასა ნასხმანთა მიერ (ნ. ემეს. 113,11); უმრავლესთა შორის ურთიერთას თანშეიპებვიან საშნივე ესე: ძარლჳ, ნასხმანი და ნევროჲ, რომელ და იგიცა ძარლუვე არს (ნ. ემეს. 113,17); არს უკუშ ნაწილსა შორის ცხოველთასა რომელიმე მსგავს ნაწილი... თმანი, ფრჩხილნი, კორცნი, ძარლუნი, ნასხმანნი, ნესტუნი, ცმელი, ტყავი (ნ. ემეს. 59,13).

როგორც დოკუმენტაციიდან ჩანს, სიტყვა დადასტურებულია მხოლოდ ერთ ძეგლში. პირველ მაგალითში კუნთის მნიშვნელობა უჩანს მას, მომდევნო ორში — სისხლძარღვისა, ბოლო მაგალითში მისი მნიშვნელობა გაურკვეველია. საბას განმარტებით ნასხმანი, ნასხამი არის „ასო ასოთა მობმული“. შესაძლოა საბა სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან ამოდიოდეს: ნა-სხმან- სხამ- ზმნური ფუძის ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა ჩანს. ნამსხმან- ფორმით დასტურდება ეს სიტყვა აქარულში: „რაცხა შემვიდა ნამსხმანში, ფერცხები მტკივა“, „ე ბაღვები რომ გამაკუჭებენ, ნამსხმანი ამტკივდება“³¹.

მჟმს-ი 'კუნთი': მიდრეკისა დასაბამ... უკანაჲთ-კერძოჲ ტკნი, რომელი ამის ძარლჳსავე არს ნაწილ; ხოლო ორლანო — ამათგან აღმოცენებულნი ძარლუნი და თანშემკრველნი და მყესნი. არამედ

³¹ შ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ. ბათუმი, 1961, გვ. 148, სტრ. 7 და გვ. 149, სტრ. 28.

მყესნი შემტკიცებულ არიან სხეულთაგან და შეშაძარღუჭბრივთა ინოთაგან და ტენონისა (ნ. ემეს. 118,3); მყესნი, რომელ არიან მომზიდველნი თავუნი (ნ. ემეს. 119,9); რომელი დრეკს ორღანოთა სულის კუთისათა მყესთა-მიერ (ნ. ემეს. 121,24).

მყეს- ფუძე გამოყენებულა კუნთოვანი ქსოვილის სხვა ტერმინის საწარმოებლადაც: თავუნი—მყესნი (იხ.).

თავუნი-მყეს-ნ-ი, მომზიდველნი თავუ-ნ-ი—კუნთები(?), ძარღვები (საბა): თავუნი-მყესნი არიან განმღებელ მკერდის-თავთა საკუთართა სულის კუჭთისა ორღანოთაჲსა (ნ. ემეს. 120,4); მყესნი, რომელ არიან მომზიდველნი თავუნი (ნ. ემეს. 119,9). შდრ. ბერძნ. ἰμᾶξ თავუვი; კუნთი; ლათ. musculus თავუვი; კუნთი; ხევეს. სათავვე 'კუნთი' (მკლავზე).

3. თაზი

თაზ-ი 1. „არს ყოველთა ცხოველთა ყელს ზეითი“ (საბა):

თავი ჩემი მელმის (IV მეფეთა, 4,19); ვითარ არს ხატი იგი ოთხ-ფერკთაჲ? — თავი მათი ქუეყანად დადრეკილ არს (ექუს. 105,23); განაპო წმიდაჲ იგი თავი მისი ორად (სინ. 275,31); დაჰყუნეთ მაგათ თავი და წუერი (ეესტ. მცხ. 33,7); თავი მისი ტყავითა ოდენ ეკიდა ქედსა მისსა (სინ. 268,7); ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიღრიკოს (მ 8,20 DE; ლ 9,58); უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა (შუშ. 17,8); იცხო რაჲ საპონი თავსა და იბანებოდა (კიმ. I, 96,3); მახვლი არა აღსრულ იყო თავსა მისსა და ზეთი არა ეცხო (სინ. 55,10); ჰსცემდეს მას თავსა ლერწმითა (მრკ. 15,19); უკუეთუ დამარქუა თავსა ჩემსა გვრგვნი მეფობისა შენისაჲ (ბალავ. 16,14); შაპრომ რა ესე წაიკითხა..., ათროლდა და თავს ბრუ დაესხა (ვისრ. 43,31); ძაძასა შთაიკუმიდა და ნაცარსა თავსა გარდაისხმიდა (სინ. 108,3); უბრძანა განყვანებაჲ მისი გარე და მოკუეთაჲ თავისა მისისაჲ (აბო 73,27); თმაჲ თავისა მათისაჲ არა შეიტუსა (დანიელი 3,94); თმაჲ თავისა მისისაჲ სპეტაკ (ბალავ. 23,34); იწყო დაღტობად ფერკთა მისთა და თმითა თავისა თვისისაჲთა წარკოცად (ლ. 7,38); მამაკაცსა არა უღირს დაბურვაჲ თავისაჲ (სინ. 124,17); განირთხა თავით თვისით აღმოსავალით კერძო (სინ. 272,3); იყო სახჭ წმიდისა მარკოზისი გუამითა შუაკაც. გრძელ თავითა. შეკიცულ წარბითა. შუენიერ თუალითა (კიმ. I, 197,12); გუემეს ნეტარი იგი ყურიმლის-ცემითა და მჯიღებითა და ქუსლებითა, ვიდრე სრულიად მოაუძღურეს თავით-გან ფერკთამ-

დის (კიმ. I, 84,6); დაბნელებულ და შესულებულ თავნი მათნი არიედ მრავლითა მით უგუნურებითა (სინ. 110,20); ამას ზედა მთავართა მათ თავები მოიდრიკეს და თქუეს (კიმ. I, 73,9).

2. რისამე საწყისი, ძირითადი ნაწილი: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურთა (მრკ. 6,10); აღშშნებულ არს საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინაწარმეტყუელთასა, რომელსა თავ საკიდურთა არს ქრისტჳ იესუ (სინ. 196,9); შიში ღმრთისაჲ თავი არს სათნოებათაჲ (ხანძთ. 3,38);

3. რისამე წინა ნაწილი; დასაწყისი: და მოხვიდე — წარმოვლო თავსა ზედა არვეთასა, თხემსა ზედა სანირისასა (ქბ. ქბ. 4,8); თავადი იყო პირით კერძო მის ნავისასა თავსა ზედა (მრკ. 4,38); თავით კერძოჲ იგი უმაგრჭსად დგა და შეუძრავად, ხოლო ბოლოჲთ კერძოჲ იგი დაირღუევოდა სიმძაფრითა მით (საქმე მცქ. 27,41); გალობანი..., რომლისა თავნი წითელთა ასომთავართანი მსიტყუველობენ (ს. სუნგ. 546,5).

4. რისამე ზედა ნაწილი: აჰა-ესერა კიბენი აღმართებულ იყვნეს ქუეყანით, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად (დაბ. 28,12); აჩუენა თავსა ზედა მის მთისასა ცეცხლი ფრიად დიდი (სინ. 267,22); დაასხა ზეთი თავსა მის ლოდისასა (დაბ. 28,18); ამან გამოადნენა სუეტის თავნი იგი ვეცხლისანი და სუეტის თავნი იგი კარისა მის კარვისანი რვალისანი (გამოსლგ. 38,20); ვითარცა მივიდეს თავსა მის კლდისასა (ცხ. შიო და ევაგრ. 221,22);

5. მეთაური: პეტრე, თავი იგი მოციქულთაჲ და კლდჳ სიმტკიცჳ, იტყეს (სინ. 194,37).

6. თავთავი: თვისით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე თავი და მაშინ-ლა სავსჳ იფქლი თავსა მას შინა (მრკ. 4,28); აღჭდის თავსა ქუვილისასა (სახისა სიტყ. 20,42); ვინაჲცა სუდაჲ კნინ-ლა და უმუჯლო არს, ვინაჲთგან არა აქუს სიმძიმე თავსა მისსა (ექუს. 53,14). შუდნი თავნი ქუვილისანი აღმოვიდოდეს ადგილსა ერთსა (დაბ. 41,22).

თავ- ფუძე ამ მნიშვნელობით დღესაც დაცულია ქართულის დიალექტებში (ქვ. იმერულში, გურულში, გარე კახურში...) ³².

7. რაიმე თხზულების დასრულებული ნაკვეთი: საკითხავნი წმიდისა ჰაბოახსნი თავნი დ. პირველი თავი... (აბო 56,28); და თქუა მეცამეტისა თავისათვის: ძილისათვის და ფქნარებისა და სიხმართათვის (კაც. აგებ. 168,24).

³² ოტ. კ ა ხ ა ძ ე, პურიელის ლექსიკა ქართულში (ხელნაწერი). გვ. 108.

8. ერთეული, ცალი: ესე რვაჲ თავი წიგნი თარგმნა მთაწმიდას თავისა საკმრითა (ცხ. გ. მთაწმ. 357,19);

9. პიროვნება: განადიდა მარულაქ მეფემან ბაბილოენისამან თავი იოვაქიმ მეფისა იუდაჲსი და გამოიყვანა იგი სახლისა მისგან საპურობილისა (IV მეფეთა 25,27); დღეს თავნი იგი მოწაფეთანი უფროჲს აღმალდებიან (სინ. 192,2);

10. რეფლექსური ნაცვალსახელი: საკუთარი პიროვნება, საკუთარი არსება: მოიგრემანნა წარბნი თჳსნი და შეიმკო თავი (IV მეფეთა 9,30); ცულად გიმედგრებიეს თავი (ხანძთ. 61,14); იქსენ თავი თჳსი და გარდამოკედ მაგიერ ჭუარით (მრკ. 15,30); მისცა თავი თჳსი კელთა მტერთასა (სინ. 275,20); მივედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა (მრკ. 1,44); უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა (ი 7,4); მკურნალო, განიკურნე თავი შენი (ლ. 4,23); აწვე თავი ჩემი დავდვა შენ ზედა (ი 13,37 c); ნუუკუე მოიკლავს თავსა თჳსსა (ი 8,22); ვაძოებდი თავსა ჩემსა, ვითარცა აძოებნ წინამძღვარი სამწყსოთა თჳსთა (ბალავ. 45,26); განიზრახა თავსა თჳსსა და თქუა (ლ. 15,17); მღდელმან მან შემწირველმან აღილო ნაკერი ერთი კრავისაჲ მის თავისა თჳსისად (რავახ. 83,13); თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებნ (მრკ. 4,28); მომიტსენე მე თავით შენით, რაჲჲმს კეთილი გეყოს შენ (დაბ. 40,14);

თავ- ფუძეს ეყრდნობა კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისა, თჳსი: ესე რვაჲ თავი წიგნი თარგმნა მთაწმიდას თავისა საკმრითა (ცხ. გ. მთაწმ. 357,19); კაცად-კაცადი ნებასა თავისა თჳსისასა თუალთა წინაშე თჳსთა ჰყოფდა (მსაჯ. 21,25).

ნ. მარი თავ- ფუძისათვის ვარაუდობდა „ბოლო“ (конец) მნიშვნელობას გამოთქმაში „წლის თავი“ (конец года)³³.

თავ- ქართულში აქტიური ფუძეა. მისგან ნაწარმოები სიტყვებიდან დავასახელებთ ზოგს: თავად-ი 1. დიდი: დაყვნა მათ შინა თავადნი მარზვანი, ვიდრე ბზობადმდე (კიმ. II, 169,3); შემძლებელ იყო იგი თავადისა ტკრთისა აღებად და ჯორსა ზედა დადებად, რომელ არს ათორმეტი მოდი იფქლი (კიმ. II, 174,30). 2. თვითონ: დაადგრა დავით ანქუბის თანა მეფისა გეთს შინა იგი თავადი და ერი მისი (I მეფ. 27,3); შენ თავადი ხარ რომელმან ჰყავ ეგე (II მეფ. 12,7). თჳსაგან 'მარტო': დაჯდა თჳსაგან და დაყუდნა (ზედაზ. 196,38); წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳსაგან (მ 14,13).

³³ Н. Я. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка. 1925, с.р. 94.

ამ მნიშვნელობით თვისსაგან ფორმაც დასტურდება: „ხოლო ნეტარმან საბა. უბრძანა მცირედ თვისსაგანრე დადებად პატიოსანი იგი გუბამი მისი“ (კიმ. II, 175,37).

თავ-საერთო ქართველური ფუძეა. მონათესავე ენებში გვაქვს მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები: ქან. თ-ი 'თავი', მეგრ. თუ-ში 'ურმის კავები' (სიტყვასიტყვით: „თავისა“) (შედ. ლექსიკ. გვ. 43), სვან. შდა 'თავთავი', აგრეთვე გაქვევებულ გამოთქმებში ჩერშდა 'კვირისტავი' (სიტყვასიტყვით: „ჩერიის თავი“), შდნშუ 'თვთ' (მოქმ. ბრუნვის ფორმა)³⁴. ეგევე შდა- ფუძე უნდა გვქონდეს სიტყვებში მაშდნშა 'მარტოხელა' და შდნშუღავარჩილ 'მარტომართო': შდუგულდ დახხვრდ. შდარარ ესღვა ლელინთდ (სვ. ტ. I, 443,27) (თაგუნა შეხვდა. თავთავები მიაქეს საზამთროდ); მარე შდნვშ ადყვინეხ ი ზურალ შდნვშ (სვ. ტ. I, 301,1) (კაცი ცალკე დააწვინეს და ქალი ცალკე).

შდა-ფუძეში შდ-ქართული თ თანხმოვნის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია³⁵, აიდენტურია ქართულთან. იგი შესაძლოა, სხვა აფიქსის ნაშთია, შდრ. შდარ-არ 'თავთავები' (მრ. რიცხვი).

ფუძეში თავ-ს- თანხმოვანი მიაჩნია ანლაუტში დაკარგულად გ. კლიმოვს მისი სვანური შესატყვისის (შ) და წარმოებული სა-სთაუ-ლ სიტყვის ჩვენებათა თანახმად (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 175).

ფუძის ანალიზის საკითხში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. აკად. არნ. ჩიქობავა ფუძეს შლის თ- ძირად და -ავ დეტერმინანტ სუფიქსად. პროფ. ვ. თოფურია თვს და თვთ სიტყვებთან შედარებით, ქართულისათვის გამოყოფს თუ- ძირს, მეგრულ-ქანურში თი³⁶. კ. ჰ. შმიდტისათვის ვოკალიზმი არაა სავსებით ნათელი. ქართულის -ვ- თანხმოვანს და სვანურის რ-ს (რომელიც მრ. რიცხვის ფუძეში დაჩნდება შდარ-არ 'თავთავები') იგი უწოდებს Hiatus-tilger-ს (შმიდტი, გვ. 112). თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი თავ-ფუძეს არ შლიან. თჟ-ის-ი და სა-ს-თუ-ნ-ალ სიტყვებში გამოყოფილი -თჟ- და -თუ- ძირები მიჩნეულია პოზიციურ ვარიანტებად ამავე თავ-ფუძისა: ვ თანხმოვანი გვაქვს ხმოვნის შემდეგ, უ- თანხმოვანსა და ხმოვანს შუა, უ ორთანხმოვანს შუა (სონანტთა სისტ. გვ. 49).

³⁴ კ. თოფურია, ფონეტ. დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, ბგერით მოკლუნათა თანამიმდევრობა, შიმომხილველი I, 1926, გვ. 201.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე.

თხმმ-ი 1. თავის ქალას ზედა ნაწილი; თავი:

მივიდეს დაფლვად მისა და არა პოვეს მისგანი გარნა თხემი ხოლო და ფერკნი და ნებნი კელთა მისთანი (IV მეფ. 9,35); თხემა ძაღლისაჲ ზედა დაარქუა მათ ყოვლად განთქუმულმან პლოტონოს (ელ. ზღაპრ. III, 37); აკუეთა თხემსა მძღავრისასა (თეოდ. განგრ. 309,27); შვილო, დაიძარხენ შჯულნი მამისა შენისანი... და დაიდგენ იგინი თხემსა შენსა მას და შეიბენ ყელსა შენსა (იგ. სოლ. 6,21); კურთხევად ბორცუთა საუკუნეთა იყვნენ თავსა ზედა იოსებისსა და თხემსა ზედა (დაბ. 49,26); უპყრა ანგელოზმან უფლისამან თმაჲ თავისა მისისაჲ და აღილო იგი თმითა თხემისა მისისაჲთა (დანიელი 14,36); ღმერთმან შემუსრის თავები მტერთა თვსთაჲ, თხემით თმითურთ (ფსალმ. 67,22); იხილეს ყოველთა მათ... ფინეზ წყალსა შინა და ღელვაჲ იგი აღიწია ვიდრე თხემამდჳ და გამოისახა თავსა ზედა მისსა სახჳ ჯუარისაჲ (იოვ. ურკ. 129,XIX,9).

2. მეთაური, მთავარი: ვითარ ყოვლად საკუთარი შენი პეტრე, თხემი მოწაფეთა შენთაჲ (ორენტ. 320,40); ესრეთ უკუჳ სამეფოსაცა ქალაქსა, თხემსა იტალიასსა და დედოფალსა სოფლისასა შინა არს მისდა ფრიადი ძღუნისა შეწირვაჲ (ასტ. ამას., 230,21); დაამტკიცებს სიტყუასა ჩემსა მოციქულთა თხემისა პეტრეს მიმართი მესამედ მამცნებელობაჲ ქრისტესი (დიო IX, 183,29) [შდრ. პეტრე, თავი იგი მოციქულთაჲ (სინ. 194,37)]; თხემისა მის სათნობათაჲსა, კეთილად-მსახურებისა შემტკობელი (ნ. ემეს. 7,8); ყოველნი იგი წმიდანი ადგილნი მოვლნეს და თაყუანი სცეს წმიდასა საფლავსა და თხემისა ადგილსა და დედასა ეკლესიათასა სიონსა (ტიმ. ანტ. 54,28).

3. მთის ზედა ნაწილი: ერი ფრიადი შეკრბების თხემსა ზედა მთისასა ამას ღლესასწაულსა (ცხ. იოვ. და ეფთ. 56,1); დაღვა იგი თხემსა ზედა მთისასა (I მეფეთა, 26,13); მოვიდა თხემსა ზედა მთისა სინაჲსასა (ევსტ. მცხ. 37,11).

4. ზედა ნაწილი: მოვილო მე ნაძუთა მათგან. თხემისაგან გულისა მათისა მოვჰკუეთო. და დავჰნერგო მთასა მალალსა (ეზეკ. 17,22).

განხილული შემთხვევები შესაძლებლობას იძლევა თხემ- ფუძის ძირითად, ამოსავალ მნიშვნელობად მივიჩნიოთ „რისამე ზედა ნაწილი, თავი“. ზანურში ეს ფუძე არ დასტურდება. სვანურში იგი წარმოდგენილია თხტიმ, მრ. რ. თხუმ-არ ფორმით და თავს ნიშ-

ნავს³⁷. ფუძეა თხუმ-, რომელიც დაჩნდება სხვა ბრუნვებში: ღერ-
თემ მაწვეწნას შვილებდ ისგვეა თხემ (სვ. ტ. I, 47,3) (ღმერთმა
მაჩვენოს მშვიდობით თქვენი თავი); ალ მწრე სოფლი თხუმ იზგა
(სვ. ტ. I, 168,30) (ეს კაცი სოფლის თავში ცხოვრობდა); დაღმის
ი მიჩა ხახვ თხუმარ ჩვოთხგპტრე კადომ (სვ. ტ. I, 25,2) (დაღმის
და მის ცოლს თავები გაუხეთქა ნაჯახით). თხუმ- ფუძიდან ნაწარ-
მოები სიტყვებია მათხუმი 'მეთაური', თხუმი ჰაყარ 'თავის ქალა',
თხუმ-აყბა 'თავპირი'. თხუმ- ფუძე ლაშხურში სახელობით ბრუნვა-
შიც ამ სახითაა წარმოდგენილი. ქართული თხემ- და სევანური
თხუმ- ხმოვნით განსხვავდებიან. უ ხმოვნის საკითხი მსგავს შემ-
თხვევებში ქართველურ ენებში გადაუწყვეტელია. პროფ. ვ. თოფუ-
რიამ მიაქცია ყურადღება ისეთი წყვილების არსებობას, რომელ-
თაც ფუძეში ერთ შემთხვევაში უ ხმოვანი აქვთ, მეორეში — არა:
მო-კუ-ედ და მო-კ-ალ, თუ-ალ-ი და სვ. თე...³⁸. კ. ჰ. შმიდტის აზ-
რით თხუმ-თხემ-ჟ- ფორმისაგან. ჟ მიჩნეულია დაკარგულ ძველ
სუფიქსად (შმიდტი, გვ. 116). გ. კლიმოვი *თხამ- ფორმას აღად-
გენს საერთო ქართველურ ფუძედ (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 97). ფუძე-
ები მ. ჯანაშვილის დაკავშირებულია.

პირ-ი 'პირისახე': დაიბანა პირი თვისი და იცხო ზეთი თავსა
თქსსა (აბო 72,6), ვიხილე, იოსებ, პირი შენი, რამეთუ შენ ცოც-
ხალ-ლა ხარ (დაბ. 46,30); პირი მისი ბრწყინვიდა ვითარცა მზჭ
(სინ. 272,8); რად მწუხარე არს პირი შენი (ნემიასი 2,2); ოდეს გარ-
დაეხვის ნავლელი... ყვთელ იქმნის პირი მწუხარეთაჲ (კაც. აგებ.
165,6); იწყეს ვიეთმე ნერწყუვად პირსა მისსა (მრკ. 14,65); შეიტ-
კბო და პირსა აკოცა (II მეფ. 14,33); ფიჩვ დაჰბურიან პირსა მის-
სა (მრკ. 14,65 c); დავარდა იოსებ პირსა ზედა მამისა თვისისა და
ტიროდა (დაბ. 50,1). მოეხვნეს ყელსა და ლოშნიდეს ოფლსა პირი-
სა მისისა (ქრისტინა 194,2); რომლისა მიერ დავისაჯენით ოფლითა
პირისა ჩუენისაჲთა ჭამად პურისა (ექუს, 56,8); ფერი პირისა მი-
სისაჲ დაშავებულ იყო და თმაჲ თავისა მისისაჲ სპეტაკ (ბალავ.
23,33); ეშინოდენ პირისაგან მისისა ყოველსა ქუეყანასა (ამბაკუმ
2,20); რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მკე-

³⁷ ს. ო. ლ. ე. ტ. ს. თხუმ სიტყვაში ხ ფონეტ. განვითარებულად მოჩინა და მას
თავ-ფუძის ფონეტ. შესატყვისად თვლის (იხ. სევანური ენის ფონეტკის ძირითადი
საკითხები, 1949, გვ. 13!).

³⁸ ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., რელექციისათვის ქართველურ ენებში, იკვ. I, 1946,
გვ. 82.

ცის ბუნება, სისხლის მკამელ (აბო 64,33); იყო იგი მწითურ, პირითა მხიარულ, გრემან თუალითა (I მეფ. 16,12); შუენიერ იყო იგი პირითა (დაბ. 26,7); შექმუნებულთა პირითა პრქუა სერაპიონს (ზარზმ. 151,34); მე წარგყენე ქუმონი შენნი პირად შენდა და გამოჩნდეს გინებულებად შენი (იერ. 13,26); განბანა პირნი ცრემლთაგან (მამ. სწ. 65,23); მოიქცინეს ჩემდა ზურგნი და არა პირნი მათნი (იერ. 2,27); მოუპარსავს პირები მათი (იერ. 49,32); დავცვენით პირთა თვსთა ზედა თაყუანის-ცემად უფლისა (სინ. 267,25);

საინტერესოა -გან თანდებულიანი ნათესაობითის ფორმით ამ სიტყვის მნიშვნელობა ზოგ ზმნასთან; გამოვიდა იაკობ პირისაგან ისაკისა, მამისა თვისისა (დაბ. 27,30); განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოხისა (დაბ. 41,46); ვერ ეძლო მათ სივლტოლად პირისაგან მისისა (ტიმ. ანტ. 140,20); პირისა შენისაგან ნუ განმაგდებ (ს. სკნგ. 548,30); უკუეთუ გნებავს გულითად, რაათა დავჰვლა მკუდარი ჩემი პირისაგან ჩემისა (დაბ. 23,8).

პირ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ზანურში პიჯ-. პირისახის მნიშვნელობა მასაც აქვს: ჭან. სქან დერდითე პიჯის ვარ გემძინ ფერი (ყიფშ. ჭ. ტ. 43,29). (შენი დარდით სახეზე ფერ არ მადევს); პიჯის უფი ნოხვამს (ჭან. ტ. II, 67,18) (სახეზე ოფლი ასკდება). მეგრ. პიჯი გიბონუ — პირი დაიბანა. სვანურში პილ სიტყვას პირისახის მნიშვნელობა არა აქვს. ფუძის ანალიზი იხ. მის ძირითად მნიშვნელობასთან.

ხატ-ი 1. შესახედაობა, გარეგნობა: ხატი მონებისა შეიმოსა და მსგავს კაცთა იქმნა ხატითა (ბოლნ. 9,18); ხატი მათ ზღვს ქალთა ვიდრე უპედმდჷ კაცისა არს. ზოგი ხატი მათი მფრინველთა (სახისა სიტყვ. 21,16); ვარსკულავთა ხატი ცეცხლისა აქუს (სინ. 217,19); არს რ'იმე იძრვისი რომელი იწოდების გრძლადი. მომრგულალჷ არს ბირთვს სახჷ ხატითა (სახისა სიტყ. 22,3).

2. პირისახე, სახე: ამისი ხატი — ფეროვან და შუენიერ, ხოლო იოვანჷსი ფერი — ყვთელ (სინ. 80,36); ჭორცთა სიკეთისა შუენიერებად არს ასოთა სისწორე და ხატისა ფეროვნება (ექუს. 24,4); იყო ნეტარი ესე ხატითა მწითურ და თუალითა შუენიერ (კიმ. I, 221,16); მსგავსნივე თქუენნი იყვნეს ხატითა (აპოკრ. 29,34); ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხვთა ხატითა (მრკ. 16,12);

3. „მსგავსი სახე“ (საბა), სურათი, სახე: რომელი ხატი ღმრთისა იყო, ხატი მონისა შეიმოსა (სინ. 17,6); ხატიცა მონაზონებისა

ემოსა (ხანძთ. 23,34); მაშინ ხატი პირისა მეფისაჲ იცვალა (დანე-ლი 5,6); ვისი არს ხატი ესე და ზედაწერილი? (მრკ. 12,16); განვი-დე მარტოჲ და შევიცვალო ხატი სამოსლისა ჩემისაჲ (სინ. 246,18); მამაკაცი ხატად ღმრთისა შექმნა, ხოლო დედაკაცი — ხატისაგან მამაკაცისა (სინ. 124,14); იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა (მრკ. 9,2); გამოთალეს კერპი კაცისა ხატად (მრავალთ. 288,9).

4. (რელიგ.) ხატი: შენ ჩემი ხატი დაამკუ (შუშ. 15,1); მოსკა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღღელნი... და ხატი მაცხოვ-რისაჲ (მოქც. ქართლ. 86,4); უზორონ ხატსა მას, რომელსა სახელ-ედების დიოს (გურ. 107,3); ლიტანიობაჲ დიდი კონსტანტინეპოლის წინაშე ხატსა რომელი თავსმდებ ექმნა თევდორე მენავესა (კალენდ. 268 ილ).

ხატ- ფუძის შესატყვისი სხვა ქართველურ ენებში არ დასტურ-დება. მეგრული „ხატი“ და სვანური „ხატ“ ქართულიდანაა ნასეს-ხები ამ უკანასკნელი მნიშვნელობით: ოხვამეშა მინიბლინი გიბჯი-ნინი ხატი ვარე (ბერიძე, 53,27) (ეკლესიაში რომ შევედი, გავიხე-დე ხატი არაა); ეჩეგსა ლგმარდ აშირ უსგვაჲედ ი უსგვა ხატ (სვ. ტ. I, 2,23) (იმაში ყოფილა ასსამოცდაექვსი ხატი).

ხატ- ფუძეს ეყრდნობა ხატ-ავ-ს ზმნა: რომელსა ზედა წმიდაჲ მოწაფე მისი პროკლე ხატავს სახითა მთავარდიაკონობისაჲთა (აბუს. ტბ. X XIV, 177).

ხატ- ფუძის არაბულ წარმომავლობაზე მიუთითებდა ი. ყიფ-შიძე³⁹.

შუბლ-ი 'სახის ზედა ნაწილი თმასა და წარბებს შუა': მოიდ-რიკნა მუქლნი თვსნი და დადვა შუბლი თვისი მიწასა ზედა (ტიმ. ანტ. 117,29); შუბლი იგი უშუერადრე გამოუქმნიეს კელოვანთა მათ (კიმ. I, 150,29); სისხლი იგი თვისი გამოიწერა ჭუარის სახედ შუბ-ლსა თვსსა (გობრ. 182,3); შვდნი კოწოლნი შეენიერნი შუბლსა დამოეიღნეს (სინ. 215,15); ჰბერის შუბლსა და აღადგინნის ლე-კუნი იგი (სახისა სიტყვ., 4,63); მაშინ შეიტყუილნა კელნი და იხეთქნა შუბლსა თვსსა (გურ. 119,12გ); შუბლსა მისსა იყვნეს რქა-ნი ვითარცა ვერძისანი (კიმ. I, 55,8); ერთ თუალ ედგა სიმრგულესა შინა შუბლისასა (ელ. ზღაპრ. III. 63); მრავალყამ დაედრიკნეს თავნი მათნი ქუეყანად და დაესხნეს შუბლნი მათნი მიწასა ზედა (ტიმ. ანტ. 84,25).

ქართული შუბლ- სიტყვის კანონზომიერი ფონეტიკური შე-

³⁹ И. К и п ш и д з е. Грамм. мншгр. языка, гл. 399.

სატყვისია სვანურში სგობ-ინ, რომელიც ბალსზემოურში უმლაუ-ტის შედეგად სგუებ-ინ ფორმითაა წარმოდგენილი. ფუძისეული ო მეორეულია. ქართული უ ხმოვნის შესატყვისად სვანურშიც უ ივარაუდებოდა. ქართული შ-ს შესატყვისად სგ კომპლექსის წარმოჩენა უ-ს მეზობლობით აიხსნება⁴⁰. აჩად ტარიელ სგობინ (სვ. ტ. I, 61,24) „წავიდა ტარიელი წინ“; მიჩა მუ სტვებინ ესხვიდ ბალკონ-ეი (სვ. ტ. I, 209,28) (მისი მამა წინ შემოხვდა ბალკონზე).

ქართული შ, სვანური სგ-ს შესატყვისად ზანურში სგ იყო მოსალოდნელი. კ. ჰ. შმიდტის აზრით იგი უნდა იყოს წარმოდგენილი სიტყვებში სკიბუ 'წისქვილის ქვა', ან სკიბოჭ-, სკუბოჭ- 'გაშალა-შინება', გოსკიბოჭილი 'გაშალაშინებული'. ამოსავალ მნიშვნელობად ბრტყელს ვარაუდობს (შმიდტი, გვ. 146).

თუალ-ი 1. მხედველობის ორგანო: ერთ თუალ ედგა სიმრგულესა შინა შუბლისასა (ელ. ზღაპრ. III, 63); სანთელი გუამისაა არს თუალი (მ 6,22); და თუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოილე იგი (მ 18,9); თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ (მ. 5,38); თუალი ვიყავ ბრმათა და ფერკი მკელობელთა (იობ. 29,15); უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუშტა (შუშ. 17,9); რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ასმიეს (სინ. 248,39); და იყოს ვითარცა თუალისა წამსა, მეყსეულად (ესაია, 29,5); მადლი კაცისა ვითარცა გუგაა თუალისა დაიცივის (ისო ზირაქ. 17,16); მაკადე, აღმოვილო წუელი თუალისაგან შენისა (მ 7.4); იყო იგი მწითურ, პირითა მხიარულ, გრემან თუალითა (I მეფეთა, 16.12); მიუგო მრისხანითა პირითა და მკსინვართა თუალითა (კიმ. I, 167,36); ვიხილე თუალითა ჩემითა ძილსა შინა (დაბ. 31,10); მაშინ მეფემან ყოვლად რისხუელითა თუალითა მიხედნა მას (აბუჯ. 34,VIII,1); იოსებს უგუმირა ჩუენებამან მუცლისამან და მრუდად თუალითა ქალწულისა მუცელსა აღსწონიდა (მრავალთ. 258,21); როკვიდა იგი შორის მენიანკეთა მათ, განლიგებული თუალითა სიმორვალითა მით ღვნისაათა (სინ. 208,36); წამს უყოფნ თუალითა და აუწყებნ ფერკითა და მოასწავებნ ხრითა თითათათა (იგავნი სოლ. 6,13); ხედავს განწმედილითა გონებისა თუალითა ზეშთაალმატებულთა მათ გონებათაგანცა უხილავსა (ვაჰან. 83,19); რაჟამს სძინავნ მღვძარჴ არიედ თუალნი მისნი (სახისა სიტყვ. 3,47);

⁴⁰ Н. М а р р, Где сохранилось сванское склонение, 1273, შნშ. 2. თ. გამყრელიძე, სიბილინტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. 1959, გვ. 31—32.

რომელსა ესხნეს თუალნი სისხლის ფერნი (გარესჯ. 231,27); თუალნი იაკობისნი დამძიმებულ იყვნეს სიბერითა და ვერ ეძლო ხედვად (დაბ. 48,10); თუალნი ლიახანი უძღურ იყვნეს (დაბ. 29,17); და იყო შემდგომად სიბერისა მის ისაკისა, დაუბრყვილდეს თუალნი მისნი ხედვად (დაბ. 27,1); დაგეყვნედ თუალნი ეგე შენნი ამისთვის (კიმ. I, 159,13); დაუბრმეს თუალნი მათნი ჩემგან (სინ. 276,32); ამისთვის დაბნელდეს თუალნი ჩუენნი (იერ. ლოცვ. 17); რაჟამს დამდენის და დაუმძიმდიან ფრთენი მისნი და განუქმუნიან თუალნი (სახისა სიტყ. 12,7); მუნქუესვე წარმოსცკვეს თუალნი მას (კიმ. II, 13,37); ვიგნე შენ ზედა თუალნი ჩემნი (ფსალმ. 31,8); თუალნი მათნი დაიწუხნეს (მ. 13,15); ვითარ აღგებუნეს თუალნი შენნი? (ი 9,10); აღიხილნა თუალნი ზეცად (ლ 9,16); მიადგნა რებეკა თუალნი თვისნი და იხილა ისაკ (დაბ. 24,64); ვიდრე სასმენელთა, თუალნი უფრო ღირს არიან მოწამედ (სინ. 172,28); რომელსამე წყლულებათა სიმრავლითა თუალნი წარმოცკვენებულ იყვნეს (სინ. 268,8); თუალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს (ბას. ეზოსმოძღვ. 33,10); შემწირველი ცრემლთა წმიდათაჲ უძილთაგან თუალთა შენთა (ხანძთ. 57,15); ჰსცხო მან თიჟაჲ იგი თუალთა მის ბრმისათა (ი 9,6); დაბერდის და თუალთა მოაკლდის (სახისა სიტყ. 17,7); ნაყრტენი მუცლისა მისისაჲ ჰკურნებს თუალთა დადგრომილთა (სახისა სიტყ. 8,9); არცა შეემთხვა თუალთა მისთა მრუმედმხედველობაჲ (ხანძთ. 71,4); რამეთუ ვპოვე მადლი წინაშე თუალთა შენთა (რუთ. 2,10); განყენებულ იყო ძილი თუალთა ჩემთაგან (დაბ. 31,40); რომლისა ქერაბინთაცა შეუძლებელ არს თუალთა შედგამად (სინ. 192,9); იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთა შეუდგამი გარემო მისსა ცისარტყელის სახედ (ხანძთ. 69,7); მუნ იყოს ტირილი თუალთაჲ და ღრქენაჲ კბილთაჲ (მ 13,50). სულითა მით მადლისაჲთა თუალთა გულისათა განანათლებს (სინ. 17,21).

2. მრგვალი რამ: მზის თუალი 'მზის დისკო': რჩეულ ვითარცა მზის თვალი⁴¹ (ქბ. ქბ. 6,9); მზის თუალმან მან სიმართლისამან. აღგიხილნეს ორნივე თუალნი შენნი (სახისა სიტყ. 2,27); სიტყუაჲ შენი უზეშთაეს მზის-თუალისა განბრწყინდა (ი. მტბ. 472,31).

⁴¹ „თვალი“ ძვ. ქართულში უნით იწერებოდა. ალ. ცაგარელის მიერ გამოცემულ ტექსტში „ქებათა ქება“ უმარცვლო უ ვინითაა გადმოცემული (ოშკის ბიბლიაშიც უნია ჰარალულურ ადგილზე): თუალნი შენნი — ტრედისანი (ქბ. ქბ. 4,1) თუალნი შენნი ეთარცა ტბანი ესებონისანი (ქბ. ქბ. 7, 4.) ვინიანი ვარიატი შეგეხვდა აგოკთვე ბა. ეზოსმოძღვართან: მძასა თვისსა ისაკს თუალნი დასწუნა (ბას. ეზოს-მოძღვ. 31, 16).

ურმის თუალ-ი 'ურმის ბორბალი': ღმრთის მსახურებისათვის და სიყუარულისა თავს-ვიდებთ ჩუენ ურმის თუალისა დაკრვასა და ხუეტასა (სინ. 118,30); **ჰ** სანატრელებაჲ ნეტართაჲ მათ საკედართაჲ: რ' იყვნეს ამათნი იგი ურმის თუალნი: ვითარცა შორის ურმის თუალთა (იბ. თარგმ. ქბ. 8,74); ვითარცა მტუერი ურმის-თუალთაჲ. რომელი ნიავქარსა მიმოაქუნ (ესაია, 17,13);

3. იშვიათი მინერალისაგან გამოთლილი ძვირფასი ქვა, რამეში (ბექედში, გვირგვინში...) ჩასასმელი: ვპოვე თუალი იგი ბივრიტი (მოქც. ქართლ. 122,3); შეუქმნეს მათ გვრგვნი ოქროსაჲ შემკული თუალთაგან პატიოსანთა (კიმ. I, 202,9); მუცელი მისი ვითარცა ფიცარი პილოს-ძვალისა, ლესული თვალთაგან საფიროვნისათა (ქბ. ქბ. 5,14); მაშინ განიქსნა სარტყელი ოქროსაჲ კაცმან მან ღმრთისამან, შემკული თუალებითა პატიოსნითა (ბალავ. 16,13);

4. წყაროთა გამოსადინებელი (საბა): მდინარე იგი ცხორებისაჲ შენგან გამოვიდა და განავსო ყოველი სოფელი და თუალსა მას წყაროსასა არა დააკლდა ყოვლადვე (სინ. 205,5); ვითარცა მდინარე თუალისაგან წყაროსა გამოსრული, რომელმან მორწყის პირი ქუეყანისაჲ (ცხ. გ. მთაწმ. 389,12).

თუალ- აქტიური ფუძეა ძველ ქართულშიც, მისგან ნაწარმოები სიტყვებია: თუალ-უყოფს, თუალყოფა 'თვლით ნიშნება': თუალ-უყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-ძი უნდეს სახელის-დებად მისა (ლ 1,62); წამ-უყვნა მას საქმედ უჯეროსა და... თანა ეწამა უბადრუკი იგი თუალყოფითა ბილწებისაჲთა (ტიმ. ანტ. 77,30).

თუალთ-ღება, თუალთ-ხუმა 'მიეკრძება': არა თუალთ-აღებ პირსა კაცისასა, არამედ ქვემარტად გზასა ღმრთისასა ასწავებ (მრკ. 12,14 c); ნუ ჰშჯით თუალთ-ღებით, არამედ მართალი საშჯელი საჯეთ (ი 7,24DE); აჰა-ეგერა თუალ-ვახუნე სიტყუასა მაგას, რაჲთა არა დავაქციო ქალაქი ესე (დაბ. 19,21); ნუ შეგიტყუებენ შენ აღთქმული იგი წინანდელთა მამათაჲ, არა თუალ-ვახუნე კაცთა (იბ. თარგმ. ქბ. 7,20); ნუ თუალთ-ხუმით შჯით, არამედ მართალი საშჯელი საჯეთ (ი 7,24 c);

თუალ-უხუავ-ი 'მიუკერძებელი, პირდაპირი': სული წმიდაჲ თუალ-უხუავ არს (სინ. 189,19); თუალ-უხუავ არს მსაჯული იგი (სინ. 87,3); მტანჯველნი იგი თუალ-უხუავ იყვნეს, ცეცხლი განმზადებულ იყო (სინ. 117,2); კელმწიფეთა თუალუხუავად მაჰხილებლო. (ხანძთ. 57,18).

თუალ-აგნ-ა 'თუალით გაუაშვიკა' (საბა): იყო ამის სიტყვსა შემდგომად თუალ-აგნა ცოლმან ეგვპტელისა უფლისა თვისისამან იოსებს (დაბ. 39,7).

თუალ- ფუძის შესატყვისია ზანურში თოლი 'თვალი', რომელიც თუალ- ფუძიდან უა კომპლექსის ო-დ შერწყმის შედეგადაა მიღებული (შედ. ლექსიკ., გვ. 45), სვანურში კი — თე 'თვალი'⁴². ჰან.: მა თოლითე ვარ გძირი (ყიფშ. ჰ. ტ. 22,2) (მე თვალით ვერ გნახე) მეგრ.: თოლსა ჩილამური ჭგუუქუნეე (ცაგ. 66,7) (თვალს ცრემლი გააყოლე); სვან.: მიშგჷა თეჷშ მიწჷახ ამშა მჷარენის (ონიან. 11,24) (ჩემი თვალით მინახავს ამის დამწერს); ეჩის ჟი ხაც-ემენის ლაწვევევი ჩიჷგ თერალგნჷა (სვ. ტ. I, 13,7) (მას უსვამენ სახეზე ყველგან, თვალების გარდა).

თუალ- ფუძეც დასტურდება სვანურში: მაგ. ხოჩა თჷალაშ ი ტანაშ ლიხ სასაშისა (ონიან, 3,8) (ყველა კარგი თვალისა და ტანი-სა სასაშში).

სახილველ-ი 'თვალი': რაათა თუალნი იგი ხილვის მოყუარენი, ხოლო განეწმიდნე და გარწმუნო თქუნ გარე-მიქცევედ ეგრე-ბლევანისა მის სახილველისა (სინ. 210,32); იგი სახილველთა ჩუენთა უეამოსა ხილვასა მისცემს (ექუს 23,18); სახილველთა მიერ ჩუენთა განცხადებულად იხილვების (ექუს. 37,12); ვინაფთგან სახილველნი ჩუენნი დაკინდიან, ხილულიცა იგი მცირედ საგონებელ ყვიან და თესი იგი უძლურებად და ვნებად ხილულთა მათ შეახიან. ვინაფცა მტყუვარ არს სახილველი და ურწმუნო ბჷობად მისი (ექუს. 75,34—76,2).

სახედველ-ნ-ი (ხედავ-ს ზმნის მყოფ. დრ. საობ. მიმღეობა) 'თვალები': სასმენელიცა მათი მძიმე არს, და სახედველნი ზრყვლ (ექუს 91,5); შინაგანნი სახედველნი საღმრთოათა ხილვითა წმიდა ჰყვენი (ქონჷ. 490,11); უცებ ხარ შენ მეფე სასმენელთაგან და სახედველთაგან (კიმ. I, 152,19); კუამლი მავნებელ არს სახედველთა (მამ. სწ. 274,13).

საჩინო-ნ-ი 'თვალები': სასმენელნი თქუნენი საჩინოდ მომიპყრენით და საჩინონი ეგე განჰმარტენით და სცნათ თქუნ ქრისტჷს მიერნი იგი ყოფილნი (სინ. 247,26).

სა-ჩინ-ო ნაწარმოებია -ჩინ- ფუძიდან სა- — -ო აფიქსებით.

⁴² ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იყ. I, 1546, გვ. 62.

გუბა-მ 'თვალის ფერად გარსში მოქცეული მრგვალი ხვრელი, რომელიც შავ რეფლექსს იძლევა და საიდანაც შედის სინათლის სხივი': დამიციე მე, უფალო, ვითარცა გუგაა თუალისა (ფსალმ. 16,8); განკროთომილი ერთი კუერთხთა მათგანი მიიწია მეფისა მის და წარუგდო გუგაა ერთი თუალისა მისისა (კიმ. I, 138,18); გუგაა იგი რომელი დანერგულ არს თუალსა შინა, მოიყვანებს მრავალსახეთა ფერთა (კაც. აგებ. 164,2); ორბებრ გუგასა შინა მხედველობითსა შეიკრიბე შენ სიერცქ სოფლისა (ბულმ. 389, ო); შეახის გუგასა თუალისა მისისა (ზაქარია 2,8); მყოვარ-ყამ ჰხედვიდეს გუგაათა თუალისაათა (აბო, 76,3); ვითარცა მარჩბივთა თუალთა გუგითა შეულლებითა დიდთა მათ მნათობთაათა შემკობილ იყო (ექუს. 80,16); ნუცა დასცხრებიედ გუგანი თუალთა შენთან (გოდ. იერ. 2, მ); უქცევენ წრფელად ხედვასა გუგათასა, და შთავდის მთრვალი მღვიმესა (სინ. 113,7).

თვალის გუგა სვანურადაა თემი კოკ, მეგრულად — ნაკაკათოლი. გუგის შესატყვისი უნდა იყოს სვანურში გუიგუ მრ. რ.: გუგ-არ 'გული' (მაგ. პურის, კაკლის...). ფუძეა გუგ-: ხელწიფი დინად ქანდტანზე უისგუ, გუიგუ მიჩნემ ლალემ ი ცილარ მოაზხლს ხანმე (სვ. ტ. I, 395,13) (ხელმწიფის გოგომ გათალა ვაშლი, გული თითონ შექამა და კანები მოახლეს აქამა); ქუთვარს იკედ ლალ-შხანეი, გუიგუს ქა ხოკედ ი ჩუ იზბი, ტეფარს უშხვარ ხანტხე (სვ. ტ. I, 362,31) (ხაქაპურებს იღებს გოდრიდან, გულს უღებს და ქამს, ქერქებს ერთმანეთს აკრავს).

ღაწვ 'ლოყა': რაქამს-იგი სწყუროდა ნაკლულეგანებითა წყლისათა, ილოცა და რომელ-იგი კელთა ღაწვ ეპყრა გამქმარი, წყრა და მისგან ლხინებით წყურვილი იგი დაუდგა (სინ. 215,20); დღეს დაადგის გვრგვნი შემკობილი ქვათაგან პატიოსანთა თავსა მისსა და ხვალე დაუცის ღაწვ მისი სამარესა შინა (ბალავ. 8,2); განცონა ღაწუმან მან ნაყოფი იგი სამოთხესა შინა (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ., 2, 29,28); კუერთხითა სცემდენ ღაწუსა ტომსა ისრაჴლისასა (მიქია 5,1); რომელმან ლომი საშინელი გზასა ზედა მარტომან დააშთო და ერთითა ღაწვთა ათასი უცხოთესლი დარეცა (სინ. 215,18); ღაწუნი მისნი ვითარცა ფიალნი სულენელთანი (ქბ. ქბ. ოშკ. 5.13); შექმუსრენ განკვრევებითა თავნი ძლიერთანი შეიძრნენ მას შინა აღახუნენ ღაწუნი მათნი (ამბაკუმ 3,14); კიმითა და აღვრითა ქცევად ღაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნენ (ფსალმ. 31,9); ზურგი ჩემი მისცე გუემად და ღაწუნი ჩემნი ყურიმლსცემად (ესაია

50,6); კელნი თვსნი ღაწუთა თვსთა შეიდგნა და სულთ-ითქუმიდა (კიმ. I, 162,7); ცრემლითა ასოვლებდა ღაწუთა თუისთა (ბას. ეზოს-მოძღვ. 26,34); ტიროდეს და იკაქდეს ღაწუთა მათთა (შუშ. 20,23); რომელი იყოს ღაწუთა შინა ცხენისათა წმიდა უფლისა ყოვლისა-მპყრობელისა (ზაქარია 14,20); ხოლო აწ განგაცუა ხარტუკი ცხვრ-თა და აღვრნი ღაწუთა შენთა (ესაია 37,29); ღაწუთა არესა შუქნი მთვარესა, მეღნისა ტბანი დგანან მორვეად (თამარ. V, 50).

ქართულ ღაწუ- ფუძეს ზანურში უკავშირდება ღვა 'ლოყა': ქან.: ასლანიში ბიჭიქ დივის ღვას არ ზოი ქოგამოქკიდუ (ქან. ტ. II, 37,19) „ლომის შვილმა დევს ღოყაზე მაგრად გააწნა“; არ ღო-გისვა ღუალეფეს მა ნუკუ აღნე ბლერი (მარი 104,10) (ერთი დაგის-ვა ღოყაზე მე ნიკაპი ახალი მოპარსული).

მეგრულშიც დასტურდება ღვა, მრ. რ. ღვალ-ეფი 'ლოყა', ღვა-ღუ კნინ. ფორმა⁴³: ღუასა ქეკაჯუნი (ცაგ. 66,6) (ლოყაზე ვაკოცე); გამისოფანს ჩელა ღვას .ღო გურქვილო ღომინგარს (ყიფშ. 139,19) (დაიკაწრავს თეთრ ღოყას და გულსაწვავად დამიტირებს). ამჟამად მეგრულში ღოყის აღსანიშნავად გავრცელებულია ღვანწკი, ღვა კი შემორჩენილია გამოთქმებში: ქიძანაში ღვა დო კორტას ქიგიტკო-ლუ — ყბად ასაღები გახდა, „ქეყენის ღოყასა და კლიტეში ჩავარ-და“ (შედ. ლექსიკ., გვ. 52). ღვაშ უშქური — ყვრიმალი („ლოყის ვაშლი“).

ზანური ღვა საფუძველს იძლევა ქართული ღაწუ- კომპოზიტად იქნეს გაგებული (შედ. ლექსიკ. გვ. 52).

სვანურის ღაწუ-ღო დიალექტში, რომელიც ქართულის დიდ გავლენას განიცდის, დადასტურებულია სიტყვა ღაწუ 'ყბის თავი'.

საკამთე 'ლოყა, ღაწვი': განშუენდეს საკეთენი შენნი ვითარცა გურიტნი (იპოლიტ. თარგმ. ქბ. ქბ. 9,1); ტირილითა ტიროდა ღამშ და ცრემლნი მისნი ზედა საკეთეთა მისთა (გოდ. იერ. 1,2).

სა-კეთ-ე სა- -ე აფიქსებით წარმოებულ სიტყვას ჰგავს, ოღონდ გაურკვეველია -კეთ- ფუძე. სხვა ქართველურ ენებში ეს სიტყვა არ ჩანს.

ცხვრ-ი 1. ყნოსვის ორგანო, ცხვირი: თანმიხმარა ცხვრი სუ-ლის-კუშთადცა და ყნოსად შემოქმედმან ვითარ იგი ენაჲ — კმი-სადცა და გემოჲს-ხილვისად და ცოხნისად (ნ. ემეს. 122,22); ცხვრ ასხენ და არა იყნოსენ (ფსალმ. 113,14); ცხვრი შენი ვითარცა გო-

⁴³ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, лექსიკონი.

დოლი ლიბანისაჲ პირის პირ დამასკისა (ქბ. ქბ. 7,4); ცხვრსა დას-
ცა და სულნი წარკდეს (კიმ. I, 171,7); ხედვიდა რაჲ მას სიგრძითა
უკუე ტანისაჲთა მალლად...; ხოლო ცხვრითა სიფიცხისა მბერვე-
ლად (ორენტ. 313,21), რომელთა არცა თუალნი საქმარ ხედვად და
არცა ცხვრნი უკუნ საღებელად აერისა (სიბრძნე სოლ. 15,15);
კუმლ არს სული ცხვრთა შინა ჩუენთა (სიბრძნე სოლ. 2,2).

2. ცხვირის ნესტო. გვხვდება ოდენ მრავლობითის ფორმით:
არცა გამოეწმიდნეს ცხვრნი მისნი (II მეფ. 19,24); შენ განაც
აქლემსა მუსმარი ცხვრთა (მამ. სწ. 148,2); ვითარცა ძმარი ცხვრთა
მტკივან, ეგრეცა ვნებაჲ (იგ. სოლ. 25,20); და სხუამან მღოგჯ შთა-
უსხა ცხვრთა (კიმ. I, 207,14); ხოლო ქორცი სავეებით განუწესა
მრავალი ვიდრე გამოდინებადმდე ცხვრთა (აპოკრ. 79,39); აღიღეს
ნაკურთხევისა მისგან ზეთისაჲ ნეტართაჲ მათ და შთაუსხეს ცხუ-
რთა მისთა (პოვნ. 88,12).

3. გამოშვერილი ადგილი: ამან აღმართა კერპი დიდი ცხვრსა
ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი (მოქც. ქართლ. 82,6).

ცხვრ- ფუძე კანონზომიერ ფონეტ. შესატყვისას გვაძლევს ზა-
ნურში: ქან.: ჩხვინდი>||ჩხინდი 'ცხვირი': ჩხვინდი... ჩხვინდიში
ლორმა (ქან. ტ. I, 159,24—25) „ცხვირი... ცხვირის ნესტო“; ვეზი-
რის-თი ჩხინდი მეკვათერი ულუტულორენ (ყიფშ. ჯ. ტ. 30,29) (ვე-
ზირსაც ცხვირი მოჭრილი ჰქონდა); მეგრ. ჩხვინდ-ი||—ჩხვინჯი: ათე
პლატოკი ჟი ქემნაჲოთი ლურელცე ჩხვინდი დო პიც (ყიფშ. 86,22)
(ეს ცხვირსახოცი ზედ დააგდე მკვდარს ცხვირსა და პირზე).

ცხვრ- და ჩხვინდ-||ჩხვინჯ- ფუძეების შეპირისპირებით გამოი-
ყოფა ცხუ- ძირი და -ირ დეტერმინანტი სუფიქსი ქართულში, ზა-
ნურში კი შესაბამისად ჩხვ- და -ინჯ, სადაც ნ ფონეტიკური ჩანარ-
თია (შდრ. ლექსიკ. გვ. 48). ცხუ- ძირი გვაქვს სიტყვებში ა-რ-ცხვ-
ენ-ს, მო-რ-ცხვ-ი, უ-რ-ცხვ-ი, სი-რ-ცხვ-ილ-ი, ჰ-რ-ცხვ-ენ-ი-ა⁴⁴.
სვანური ენის კილოებში დადასტურებული ჩხვინდჷ (ჩბხ. ლხმ.)
'უშნო ცხვირიანი ადამიანი' (შდრ. ქართ. ცხვირა) და ჩხვინდ (ლხმ.)
'ლორის დინგი, ძაღლის დრუნჩი' შესაძლოა მეგრულიდან იყოს შე-
სული სვანურში.

სვანური ცხვი, ცხუ 'ფუტკრის ნესტარი; ისარი', საექვოა ამ
ძირის სიტყვა იყოს სემანტიკური დაშორებულობის გამო.

⁴⁴ ვ. თ ო ფ რ ი ა, ქართვ. ენათა სიტყვაწარმოებიდან, ენიშკის მოაშბე, 5—
5, გვ. 539.

საყნოსელ-ი (ი-ყნოს-ს ზმნის მყოფადის მიმღ. გასუბტანტი-
გებული).

1. ცხვირი თუ ნესტო: ორთა მათგან ნესტუთა, რომელნი არიან საყნოსელსა შინა ღრტილისასა... (კაც. აგებ. 159,6); და იყოს საყნოსელისა წილ სულნელისა მტუერი (ესაია 3,24); აღივსნეს საყნოსელნი ჩუენნი სულნელებითა მადლთა შენთანათა, ევთვი (ეზრა, 486,15); აღასრულა გუემასა შინა რავდენიმე ყამი ვიდრემდის შთობისა მისგან დაიყვნეს ნესტუნი საყნოსელთა მისთანი (კიმ. I, 292,29); განულეს საბელი საყნოსელთა მისთა პირადმდე რათა ესრეთ მცირედ პოოს ლხინება ყნოსასა მისსა (კიმ. I, 320,25); შევალს ორთა კართა შენთა საყნოსელთა სურნელებად განსარყუნელი (მამ. სწ. 148,29).

2. ყნოსვის შეგრძნება (იხ. გვ. 190).

ნესტვ 1. პატარა ხერელი; ფორი; [ფუტკარმან] განჰფინის ცკლისა მისგან ქერქი თხელი, და აღაშენის ქურელები... ყოველი ნესტვ მისგანი მიყრდნობილ არს მეორესა და სითხელითა მცირისა მის ქერქისადათა განიყოფიან ერთმანერთისაგან (ექუს. ილ. აბ. 113,31); ნესტუნი იგი გულთა მათთანი მწულილ არიან (ექუს. 54,21); რაყამს დასოვლდიან იგინი ზეთითა, მოსწყდიან, რამეთუ ნესტუნი იგი კორცთა მათთანი დაიყვნიან და უკუეთუ ძმარი ეპაუროს მათ ზედა, კუალად ცხოვნიან იგინი, რამეთუ ნესტუნი იგი მათნი კუალად განეხუნიან (ექუს. ილ. აბ. 120,2); თავთა თვსთაჲსა უმაღლეს არიან კმითა ყნოსითა მით ჰაერისადათა, რომელი-იგი ნესტუთა მათგან მკერდისათა განწვალეებითა კორკისადათა მრავალ-სახედ აღმოუტევის და ჰივინ (ექუს. 100,30); მერმე მისცის ნესტუთა გულისათა მკრთომალეთა (კაც. აგებ. 225,5); ნესტუები იგი ქმნის ერთმანერთსა ზედა ორსართულედად და ოდესმე სამსართულედად (ექუს. ილ. აბ. 114,1).

2. საკრავი ინსტრუმენტი: ამ ინსტრუმენტზე დაკვრა; ამ ინსტრუმენტზე დამკვრელი: დაბერე ნესტუსა ლოცვისასა (კლემ. 425,8); ებნითა და ქნართა და ბობლნითა და ნესტკთა ღვნოსა სუმედ (ესაია 5,12); როკვისა და ნესტკსა დასასრული არარაჲ არს (ექუს. 8,25); და კუალადცა ნესტუები ქადაგებით-ურთ მიმოვლიდეს ქალაქსა (ცხ. პ. კაპეტოლ. 55,35).

3. ცხვირის ნესტო: აღასრულა გუემასა შინა რავდენიმე ყამი ვიდრემდის შთობისა მისგან დაიყვნეს ნესტუნი საყნოსელთა მისთანი (კიმ. I, 292,29); ორნი ნესტუნი გრძნობისანი შექმნნა შორის

ცხვრთაჲსა (ნ. ემეს. 84,1); მოიზიდის... კორკმან სტკრსა მას შინა
ორთა მათგან ნესტუთა, რომელნი არიან საყნოსელსა შინა ღრტი-
ლისასა, და მით განუზოგის კმაჲ და იქმნის კმა სასმენელ (კაც. აგებ.
159,5).

ნესტუ- სიტყვაში გამოიყოფა ნე- თავსართი და -სტუ- ძირი
სტუ-ირ-, სტუ-ენ-/სტუ-ინ- ფუძეებთან შეპირისპირებით⁴⁵: ყოველ-
ნი მტერნი შენნი ისტუენდეს და დაიღრჭინდეს კბილნი მათნი (გოდ.
იერ. 2, ლთ⁷); ყოველსა მას ქუეყანასა უხაროდა და სტვნვიდეს
ნესტკთა (IV მეფ. 11,14).

-სტუ- ძირის შესატყვისია მეგრულში შვიტ-ინ-ი 'სტვენა'. კ. ჰ.
შმიდტის ცნობით, გ. დეეტერსს ეკუთვნის სვანური ნეშტრალ 'ნეს-
ტო' სიტყვის დაკავშირება ქართულთან (შმიდტი, გვ. 128). მოსე
ჯანაშვილი აღნიშნავდა ნესტო (ანატ.), ნესტუები (საკრავი) და სვა-
ნურ სტურარ 'ნესტოები'⁴⁶ ფუძეთა იგივეობას⁴⁷.

შურ-ი 'ადამიანისა და ცხოველის სმენის ორგანო': ყურ გასხენ
და არა გესმის (მრკ. 8,18); უკუეთუ მიუყო ყური შენი, ბრძენ იყო
(ისო ზირაქ. 6,34); წაპრკუეთა ყური მისი (მ 26,51); განრისხნა და
უპყრა ყური მისი და ჰზიდა (კიმ. I, 116,8); რომელი თულმან არა
იხილა და ყურსა არა ასმიეს (სინ. 248,39); რომელსა ყურსა იტყო-
დით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა (ლ. 12,3); მოილო
მოსე სისხლისაგან მისისა და სცხო ყურის ძირსა მარჯუენესა აპრო-
ნისსა (ლევიტ. 8,23); საყურნი მასკულავთაებრ უჩნდეს ბროლისა
ყურის ძირთათ (ვისრ. 192,20); ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუ-
აღნი მათნი დაიწუხნეს (მ. 13,15); სუთ ყურითა თქუენითა პირისა
წილ (სინ. 260,19); მიუდგის და ყურით შკს (სახისა სიტყ. 32,8);
იყვნედ ყურნი შენნი მორჩილ კმასა ლოცვისა ჩუენისასა (ხანძთ.
25,10); ყოველთა რომელთა ესმეს, უოხრიდენ ორნივე ყურნი მისნი
(I მეფ. 3,11); მოდრეკით არიან ყურნი ჩემნი სმენად კმისა მისსა
(ბოლნ. 81,11); ყურთა ყრუთა ესმოდის (ესაია 35,5); თქუა წინაშე
ყურთა ძეთა ქეტისთა (დაბ. 23,16); აღმღერაჲ ეგე შენი მოიწია
ყურთა ჩემთა (IV მეფ. 19,28); ჰნერწყუა ყურთა მისთა (მრკ. 7,33);

⁴⁵ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. თსუ შრომები, VII, 1933, გვ. 33; არნ. ჩ. ი. ქ. ბ. ა. ვ. ა., სახელის უ. უ. ძე, გვ. 82.

⁴⁶ სიტყვები ნეშტრალ და სტურარ სვანურში ჩვენ ვერ დავადასტურებთ.

⁴⁷ ვ. ჯ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ნაშრომი 3. ჩემი შენიშვნები: რუსთაველის გარშემო — ქართული ბიბლია მე-VI საუკ.: აღწერა, ტექსტები, ლექსიკონი. თბილისი, 1910, გვ. 67.

იყო კმახ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა (ლ 1,44); და-
ისხენით სიტყუანი ესე ყურთა თქუენტა (ლ 9,44); გულის-თქუმი-
საებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღურებასა ჭავილითა
ყურთაჲთა (აბო 58,4).

2. კუთხე:

ამან შეუპყრა ორკეცი სამოსლისა ყური ეპიფანეს და მოაპო
იგი (იოვ. ხუც. 110,30); იხილნე ნესტუნი იგი ცკლისანი ექუსყურ-
ნი (ექუს. ილ. აბ., 114,6).

ძველ ქართულში გავრცელებულია იდიომატური გამოთქმა
ყურად-ილე (მასდ. ყურადღება) ობიექტის მხოლოდობითი რიცხვის
ფორმისათვის და ყურად-იხუენით, როცა მრავლობით რიცხვშია
დასმული ობიექტი, და ნიშნავს „შეისმინე, გაიგე!“: ისმინე ცაო
და ყურად-ილე ქუეყანაო (ესაია 1,2); აწ უკუე განახუენ სასმენელნი
შენნი და ყურადილე, რამეთუ აღ-ცა-დგა იგი მკუდრეთით (კიმ. II,
9,25); რომელთა-ეგე ჭერ-არს სმენად, ყურად-ილეთ (სინ. 247,34);
ვითარი განმზადებული სული ჭერ იყო ესევითართა ამათ მალალთა
საქმეთა ყურადღებად? (ექუს. 1,12); ყურად-იხუენით სიტყუანი
ჩემნი (საქმე მცქ. 2,14);

ზანურში ყურის აღსანიშნავად იხმარება ყუჯ-ი||ყ-უჯ-ი||ყ-უჯ-ი
||ყჯ-ი (მეგრულში მხოლოდ ყუჯ-ი ვარიანტია). ჰან. ყუჯი ნოკვათუ
(ყიფშ. ჰ. ტ. 36,8) (ყური მოჭრა); აჲ ყუჯი ენ (ჰან. ტ. I, 159,24)
(ეს ყური); უჯეფე ვარ მაძირუ (მარი, 106,22) (ყურები ვერ ვნა-
ხე): მეგრ. ტურაქ ყუჯეფი გააკქვერინუ (ყიფშ. 18,25) (ტურამ
ყურები ცქვიტა).

მეგრული ყუჯ-ი, ჰანური ყუჯ-ი > ||ყუჯ-ი > ||ყუჯ-ი > ||ყჯ-ი
ქართული ყურ-ი ფუძის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისის
წარმოადგენს: ქართულ ყ-ს ზანურში შეესატყვისება ყ, რომელიც
ჰანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ თქმებში ხმოვნის წინ და
ხმოვნებს შორის გვაძლევს ყ ან ყ-ს⁴⁸, მეგრულშიც ყ-ყ-ს⁴⁹. უ ხმო-
ვანი იდენტურია. ქართული რ ზანურში ჯ ბგერას გვაძლევს, თუ
მას მოსდევს წინაენისმიერი ი ხმოვანი (წინააღმდეგ შემთხვევაში
იგი უცვლელად რჩება)⁵⁰. ე. ი. ზანური ყუჯ-ი-ყუჯ-ი-ყურ-ი.
ფუძისეული რ ბგერა დაცულია სიტყვებში ყურ-უ 'რეგენი, უქ-

⁴⁸ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 15.

⁴⁹ И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (пверского) языка, 1914, გვ. 04 а.

⁵⁰ გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან (კრებ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ 1, 1959), გვ. 278.

კუო, ახალგაზრდა⁵¹ და რაკულ ყურკიტი 'ყურპატარა' (შედ. ლექსიკ. გვ. 47) მისი პოზიციის წყალობით.

ყურ- ფუძე სვანურში კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს არ გვაძლევს. გვხვდება მისგან ნაწარმოები სიტყვები ყუგურა და ყურმანჯ 'ყრუ'. სიტყვაში ყუგურა გამოიყოფა ქონების მაწარმოებელი — რაა სუფიქსი და ყუგურა ფუძე, რომელიც მეგრული ცუნგა 'ყრუ' („უყურო“) სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. თავის მხრივ, მეგრული ცუნგა „ყრუ“ ნაწარმოებია ყურა > ყუჯ- სიტყვიდან privativum -გა სუფიქსის მეშვეობით. -ნ- თანხმოვანი განვითარებულია⁵². ამგვარად, სვანური ყუგურა „უყუროიანი“ გამოდის. ყურმანჯ ქართული ყრუმუნჯი-დან მომდინარედ ითვლება (სონანტა სისტ. გვ. 118).

ყურ- ფუძეს ივ. ჯავახიშვილი წყვილობის გამომხატველ ფუძედ მიიჩნევდა. ამიტომ იყო შესაძლებელი მას სასმენელის გარდა თვალებიც აღენიშნა, როგორც ამას სიტყვა ყურება ამჟღავნებს⁵³.

ძველ ქართულში გავრცელებულია ყურ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვა ყურე: მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწართა ცრემლითა ტიროდა (შუშ. 13,9).

სასმენელ-ი — ის, რითაც ესმით; ყური: კმაჲ ქმნულ არს სასმენელთათვის და სასმენელი კმისათვის (ექუს. ილ. აბ. 41,2); სასმენელიცა მათი მძიმე არს და სახედველნი ბრყვლ (ექუს. 91,5); სასმენელით შევიდა სული წმიდაჲ შეუფინებელსა მას ტაძარსა ქალწულისასა (სინ. 12,20); განახუენ სასმენელნი შენნი და ყურადილე (კიმ. II, 9,25); მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსლა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად (აბო 57,13); მოაცალნე სასმენელნი შენნი სმენად ჩემდა (ბალავ. 150,4); ამისგან სასმენელნი ჩუენნი გარე-წარვაქცინეთ (სინ. 48,32); მეყსეულად განეხუენეს მას სასმენელნი, და განჰკსნდა კრულებაჲ ენისა მისისაჲ⁵⁴ (მრკ. 7,35); აჰა სასმენელნი შენნი დააყრუენ (ზოსიმე 174,II,5); ვილრე სასმე-

⁵¹ გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა. ქართველურ ენათა ბეგრათშესატყვისობიდან (კრებ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ 1, 1959), გვ. 278.

⁵² Г. В. Рогова, Абхазско-чыхско-адыгейский суффикс privativum на в мерельском. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზბე, ტ. III, № 6, 1942, გვ. 626.

⁵³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 1937, გვ. 395.

⁵⁴ ივ. იმნაიშვილს ამ მაგალითში სასმენელი განმარტებული აქვს როგორც სმენა, чух (იხ. ქართ. ოთხთავის სიმფონია-ლექსიკ.).

ნელთა თუალნი უფრო ღირს არიან მოწამედ (სინ. 172, 28); მრავალი მაქუნდა ღირსი საკრველებისაჲ შეძინებად სმენის-მოყუარეთა სასმენელთა (ექუს. 88,14); რომელი არა კორციელთა სასმენელთა მიიწევს (სინ. 248,27); უცებ ხან შენ მეფე სასმენელთაგან და სახედველთაგან (კიმ. I, 152,18); რომელსა-იგი სიტყუაჲ უწყებისაჲ სასმენელთაგან აქუს (სინ. 116,3).

სიტყვა **სა-სმენ-ელ-ი** წარმოადგენს გასუბსტანტივებულ საობიექტო მიმღობას **ი-სმენ-ს** ზმნიდან. ძველ ქართულში ცოცხალია ამ მიმღობის პირველადი მნიშვნელობაც „ის, რაც უნდა ისმინონ, გაიგონონ“: სასმენელ იქმნეს ლოცვანი შენნი და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძმ (ლ 1,13 c); სიბრძნე გლახაკისაჲ შეურაცხ არს და სიტყუანი მისნი არა სასმენელ (ეკლ. 9,16); უფალო, ვის-მე ჰრწმენა სასმენელთა ჩუენთაჲ (ი 12,38 c); არა შეიწყნარო სასმენელი ამოაჲ (გამოსლგ. 23,1); ტვიადიტა მით კმითა და სასმენელიტა მით სიტყუტა ყოველნი შემოგუჟრიბნეს (სინ. 110,37).

ყურიმალ-ი 'ყურის გარეშემო' (საბა): კაცად-კაცადმან გცეს ყურიმალსა და პირსა შეგნერწყოს (კიმ. I, 85,6); სცა ყურიმალსა მეფისასა (II ეზდრა, 4,31); ესენი ვცოდენ: სახარებისა სჯულთა და მცნებათა შენთა შინა მცემელთა რაჲ ყურიმლისა მიპყრობასა (დ. აღმ. 520,18); სცემდა ყურიმალთა მისთა (კიმ. I, 145,14).

ყურიმალ- ჩვეულებრივ ცემა ზმნასთან გვხვდება, რამაც მათი შერწყმა გამოიწვია და მივიღეთ კომპოზიტი **ყურიმლისცემა**: განრისხნა საკელარი და ბრძანა ყურიმლის-ცემაჲ მისი (კიმ. I, 71,5); ნუცამცა ვიხილავ მე გვრგვნსა მას ეკლისასა, ნუცამცა მონისა მიერ ყურიმლის ცემასა (სინ. 95,28); გუემეს ნეტარი იგი ყურიმლის-ცემითა და მჯიღებითა და ქუსლებითა (კიმ. I, 84,5); ზურგი ჩემი მისცე გუემად. და ღაწუნი ჩემნი ყურიმლისცემად (ესაია 50,6); ჩუენთვს ყურიმლის ცემაჲ და ნერწყუვაჲ ნეფსით თავს იღევ (ბარლამ. ცხ. 15,14). **ყურიმლის-ცემის** სინონიმი **ყურიმლვა**: ჩუენ ცოდვილთათვს ვნებისა და ნერწყუვათა და ყურიმლვათა მიმთუალველსა (თეოფ. ჯკონომ. 271,28). **ყურიმალი** კომპოზიტი. იგი ასე დაიშლება: **ყურ-ი—მალ-ი—ყურ-ის მალ-ი**⁵⁵. **მალ-ი** იგივე ფუძეა, რაც **მალ-ა** „ზურგის ძვლის ნაკუჭთი“ (საბა) სიტყვაში გვაქვს. ინგილოურში **მალა** ძვალს ნიშნავს⁵⁶, **ყურიმალი=ყურის ძვალი**.

⁵⁵ ფ. ნ ა ი ს ე რ ი *ყურმალ-ფუძეს მიიჩნევს ამოსავლად. იხ. Neisser F., Studien zur georgischen Wortbildung. Wiesbaden, 1953. § 116.

⁵⁶ ნათელა როსტიაშვილის ცნობით.

ყვრიშალი დღეს დაწვის თავებს, ყურის წინა ძვლებს აღნიშნავს, ინგილოურში — ყურის უკანა ძვალს.

პირ-0 1. ადამიანის ზედა და ქვედა ყბებს შუა არსებული ღრუ, სახეზე მქონე შესასვლელითურთ: სუმასა შინა წყლისასა და-აყულა პირი თვისი წყაროსა ზედა (აბუს. ტბ. VII, 61); აღვალო პირი ჩემი და აღმოვთქუა ქებაჲ (სახისა სიტყ. 42,25); ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვს (მ 12,34); რაჲთა დაიკრას პირი სიკუდილმან (სინ. 88,23); დაიკშნენ თუალნი და დაღუმნეს პირი (მამ. სწ. 60,11); მოვამშვდო პირი მისი ძლუნითა ამით წინაჲს ჩემსა წარძღუანულითა (დაბ. 32,20); ამბორს-უყო მას და დასდვა პირი მისი ქედსა იაკობისსა (დაბ. 33,4); მოისპე შენგან პირი ზაკული და ცრუნი ბავენი შორად განიშოპრენ შენგან (იგავნი სოლ. 4,24); რომლისა კელნი და ფერკნი მტერისაგან მიხუმულ იყვენეს და პირი გარემიქცეულ იყო (ხანძთ. 52,4); არცა იპოოს პირსა მათსა ენაჲ მზაკუვარი (სოფონია 3,13); პირსა მისსა არღარა იყო კბილი (ბალავ. 23,35); ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი უფროჲს თაფლსა პირსა ჩემსა (ექუს. 27,17); სიჩხოთგანვე ღვნოჲ და კორცი არა შეკდა პირსა მისსა (ხანძთ. 2,33); ხენი, რომელთა აქუნ ნაყოფი და პირსაცა შე-ახლებად ვერ შესაძლებელ არნ (სინ. 232,23); ჩუენ თვთ გუესმის პირისაგან მისისა (ლ 22,71); აკოცა მას ურიცხვნოთა პირითა (იგავნი სოლ. 7,13); აღმტკობილითა პირითა გამოიღებდა სიტყუათა (სინ. 214,32); იტყოდა პირითა მონისა თვისისა ელიაჲსითა (IV მეფ. 10,10); მან რაჲჲმს შემსკუალნის ბუდენი თვისნი, ჩალასა მოი-ღებნ პირითა (ექუს. 97,19); თესლი მამლისაჲ პირით მიიღის დე-დალმან მან (სახისა სიტყ. 32,6); პირით გამოშავალი შეავინებს კაცსა (მ 15,11); ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად მივალს (მ. 15,17):

2. პირისახე (იხ. გვ. 37).

3. შესახედლობა: აპა-ესერა ვითარმცა მდინარისაგან გამოვიდოდეს შვდნი ზროხანი, შუენიერნი პირითა და მსუქანენნი კორციითა (დაბ. 41,2); ორგულნო, პირი სამე ცისაჲ იცით გამოცდად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ-გიც გულისკმის-ყოფად (მ 16,3); რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლის მკამელ (აბო 64,33).

4. ზედაპირი: დაფაროს პირი ქუეყანისაჲ (გამოსლვ. 10,5); სიყმილი იყო პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა (დაბ. 41,56); ვითარცა საფრკჷ მოუტდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა (ლ 21,35); შთაუღვეით ვეცხლი კაცად-კაცადისაჲ პირსა ზედა

ძაძისა თვისისასა (დაბ. 44,1); გარდააგორვონ ლოდი ესე პირისაგან ჳურღმულისა (დაბ. 29,8); მოისპნედ იგინი პირისაგან ქუეყანისა (კიმ. II, 9,2); შთააგდეს ზეთი იგი ზღუასა, და იქმნა იგი ცეცხლ მოტყინარე, საშინელ ფრიად, და ეგზებოდა პირსა ზედა წყლისასა (საკვრვ. 72,38); თაყუანის-სცის პირსა ზედა ქუეყანისასა (კონსტ. კახ. 165,30).

5. ნაპირი, კიდე: ანუ კბოდის პირსა, ანუ ნაპრალსა კლდისასა, ანუ ოლეთა ზედა უშიშად დაიდგნიან და იქმნიან ბუღჳ თვისი (სინ. 225,8); ვიყავ რაჲ მდინარისა მის დიდისა პირსა, რომელსა კციაი ეწოდების (ცხ; გ. მთაწმ. 346,30); საბელი მოაბა პირსა ზედა მის ქუაბისასა და საბლითა მით აღმოვიდის და შთავიდის ქუაბსა მას (კიმ. II, 149,23); ვნებაჲ რაჲმე არნ პირსა სტომაქისასა (კაც. აგებ. 164,27); ორლანო შიშისა — პირი მუცლისა (ნ. ემეს. 109,11); და-ეშშნა ევილათითგან ვიდრე სურდმდე, რომელ არს წინაშე პირსა ეგკპტისასა ვიდრე მოსლვადმდე ასურასტანელთა წინაშე (დაბ. 25,18).

6. საგნის მკრელი მხარე: განერნენ პირსა მშვლდისასა (ფსალმ. 59,6); უკუანაჲსკნელ უმწარჳს ნავდლისა ჰპოვო და უმახვლჳს მახვლისა ორ-პირისა (იგავნი სოლ. 5,4); რომელი მოგუცა ჳრისტემან განსარინებლად პირისა მისგან მშვილდისაჲსა (სინ. 236,10); პირითა მახვლისაჲთა მოსწყდეს (ევსტ. მცხ. 44,19); ისრის პირნი მისნი თუ-ალთა ჩემთა განმწონნა (იობ. 16,11).

აქედან ორპირ-ი 'ორმხრივ ბასრი, მკრელი': ბრძანებაჲ მისრ უგანმკუეთელეს არს უფროჲს მახვლისა ორპირისა (ბალავ. 71,21).

7. პირობა: შემოგწირეთ ჩუენი მკუილრი გლეხი... ამა პირითა რომე არა ეთხოებოდეს... არ კულუხი, არ მესთულეთა და მეკულუხეთა პურისა კმევა (ისტ. საბ., III, 4); არლარა აქუნდა სიტყუაჲ რაჲმეცა მიუგეს ორსავე პირსა⁵⁷ ზედა, რაჲმეთუ, უკუეთუ თქუან, ვითარმედ კერპთა მათთა დაჰბადნეს იგინი... ცხად-იყო მათ ზედა მტყუუვარობაჲ... და უკუეთუ [თქუან, ვითარმედ] უძღურ არიან და ვერ ქელ-ეწიფ[ების] დაბადებად და რგებად... იძლივნენ სამართლისა მშჳავრითა (ბალავ. 145,5);

8. ვითარება: აღმოეცენა იგი ქუაყანასა თრიალეთისასა, ვითარცა პირმან საქმისამან გაუწყოს (ცხ. გ. მთაწმ. 344,10).

9. თანდ. წინაშე: ვლიტანიობთ ჩუენ პირსა შენსა. ქალწულო (ბულმ. 389,26).

⁵⁷ მოცემულ კონტექსტში პროფ. ი. აბულაძე ამ სიტყუას თარგმნის საკითხად.

პირ- ფუძის შესატყვისია ზანურში პიჯ-, სადაც ჯ მიღებულია რ თანხმოვნისაგან მომდევნო ი ხმოვანთან პალატალიზაციის შედეგად. ამოსავალი ვითარება დაცულია სიტყვებში, სადაც არ არსებობდა პირობები რ—ჯ მონაცვლეობისათვის: პირ-უნ-ს 'მოპირავს', პირუა, ოპირუ 'მოპირვა'⁵⁸, პირჩე 'პირთეთრი': სუმი შხერქჳ სუმი ხუუ, სუმი პირჩე ხარა ხუუ, შარას ქიგილაახუუ (ყიფშ. 185,7) „სამმა ცხვარჳმა სამი შვა, სამი პირთეთრი ხარა შვა, გზაზე შვა“.

სვანურში გვაქვს პილ 'ტუჩი, ნაპირი, კიდე'. ეს ფუძე უსესხებულია ოსურს bil, bilä 'ტუჩი; კიდე, ნაპირი'⁵⁹.

ძველ ქართულში შესაძლებლად მივიჩნით პირ- სიტყვისათვის 9 მნიშვნელობა გამოგვეყო. ამათგან მხოლოდ ორი მნიშვნელობაა სამსავე ქართველურ ენაში ამ სიტყვისათვის დადასტურებული: პირი. როგორც ანატომიური ტერმინი და პირი — ნაპირი, კიდე (V მნიშვნ.). ჭან. დიჩინდუკო — პიჯიშე ფურქი დვაბლეტუ (ჭან. ტ. II, 91,28) „რომ გაიცინებდა—პირიდან ყვავილი სცვივოდა“; წალე ზულა-პიჯის ვორსი ზულაში ჩხომეფე იენ (მარი, § 12, გვ. 90); „ქვემოთ ზღვის-პირას კარგი ზღვის თევზებია“. მეგრ. პლატოკი ქიგიო-ოქოთგ ჩხვინდი დო პიცგ (ყიფშ. 86,24) „ცხვირსახოცი დააგდო ცხვირსა და პირზე“; მოლართ ზღვაპიჯიშა (ყიფშ. 38,21) „წამოვიდა ზღვის პირისაკენ“. სვან. ხოსგდის ალ ხოჩნმ ლეზობ-ლეთრა ი პილწარქა ლიც ხნგხ (სვ. ტ. I, 52,2); „უცქერიან ამ კარგ საჰმელ-სასმელს და პირზე ნერწყვი ადგათ“; ანღრის ალჟარ ათხე ძულღჳ პილ-ეი (სვ. ტ. I, 80,6) „მოდინ ესენი ახლა ზღვის პირას“; უჩუნღო, ნნბზნ პილთე, ეი იცხემხ ტაბანგს, ჩუ ისგვრის ი კნსარს ითშის (სვ. ტ. I, 13,4) „შემდეგ სალამოს პირზე, გაშლიან ტაბაკს, დასხდებიან და ირჩევენ კეისარს“; არა დჳვარ გირიმურგვალდ ლემსგა პილწარქა ჩუ აყურდახ (სვ. ტ. I, 204,9) „რვა დევი ირგვლივ იწვა ცეცხლის პირას“. პილარ მრ. რიცხვის ფორმით ტუჩეხს ნიშნავს: შნრად პილწარ ქანტკვერ (სვ. ტ. I, 57,1) „დოლაბის ქვამ ტუჩეხი დააქრა“. მეგრულში პიჯ-ი სავნის მკრელ პირსაც აღნიშნავს: მა, ჟიმა, გაჰირებული იპიიქ, ათე ჯაყვაში პიჯი მუჟამც ეზისხირებუნი (ყიფშ. 89,10) „მე, ძმაო, გაჰირებული ვიქნები, ამ ჯაყვის პირი როცა ასისხლიანდება“.

⁵⁸ გ. როგაკ, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობილან (ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები). I, 1959, გვ. 278.

⁵⁹ В. И. Абаев, Ист.-этим. сл осет. яз., М.-Л., 1958, გვ. 173.

ბაბე „ესე არს კაცთა პირისა ორნივე ლაშნი“ (საბა), 'ტუჩი': ბაგითა ამბორს უყოფენ მიგებასა კეთილთა სიტყუათა (იგაენი სოლ. 24,26); ბაგითა წამს უყოფენ ყოველთა ტირილით მტერი (იგაენი სოლ. 26,24); არცა მოვიქსენო სახელები მათი ბაგითა ჩემითა (სინ. 156,29); არა ნუგეშინის-იკე ბაგითა მათითა (ეზეკ. 24,17); ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად გან-შორებულ არიან (მ 15,8); ბაგითა ზაკულითა გულსა გულითა იტ-ყოდა (ფსალმ. 11,3); ბაგითა დაგიტკბნებოდის მტერი (ისო ზირაქ. 12,15); არარაჲ ცოდა ბაგითა თვისითა იობ წინაშე უფლისა (იობ. 2,10); სცა პირსა და შეკმუსრნა კბილნი ბაგითურთ (კიმ. I, 139,22); მეწამულ ბაგენი შენნი ვითარცა ძოწითლებულნი (ქბ. ქბ. 4,3); ბა-გენი მისნი ვითარცა შროშანნი წვრთოდინან ნელსაცხებელთა საგ-ბოლველთა (ქბ. ქბ. 5,13); იტყოდა იგი გულსა თვისსა და ბაგენი მისნი ოდენ ეძრვოდეს (I, მეფ. 1,13); მოისპე შენგან პირი ზაკუ-ლი და ცრუნი ბაგენი შორად განიშოპრენ შენგან (იგაენი სოლ. 4,24); საძაგელ არიან წინაშე ჩემსა ბაგენი მტყუევარნი (იგაენი სოლ. 6,7); არა მქონან ბაგენი ვედრებად შენდა (ბალავ. 39,7); აღახუნენ ძნობად ბაგენი ჩემნი (ბულმ. 388,39); დაადუმენ ბაგენი შენნი (ბოლნ. 18,28); განბიცნეს ბაგენი მათნი (ბას. ეზოსმოძღვ. 34,17); მრავალთა ბაგეთა გამოთქჳან ქებაჲ მეცნიერებისა მისისაჲ (ისო ზირაქ. 1,22); თათლი დამოსწვეთის ბაგეთა შენთა, დაო ჩემო (ქბ. ქბ. 4,11); იყვენ ძალი პირსა ჩემსა და განძრვად ბაგეთა ჩემთა არა ვერიდო (იობ. 16,6); ბაგეთა მღდელისათა დაიცვან სამართალი (ხანძთ. 3,58); კმაჲ ბაგეთაგან ისმა ტირილისა (იერ. 3,21).

სიტყვა ბაგე ძველ ქართულში ნაპირის მნიშვნელობით დას-ტურდება ბიბლიის გელათურ ვერსიაში. სათანადო კონტექსტში ოშკის ბიბლიაში პირია ნახმარი: წარმიყვანა მე და მიმაქცია მე ბაგისა მიმართ მდინარისაჲსა მოქცევასა შინა ჩემსა და აჰა ბაგესა ზედა მდინარისასა ხენი მრავალნი ფრიად ამიერ და იმიერ (ეზეკ. 47,6—7).

როგორც პ. გაჩეჩილაძემ მიგვითითა, არაა გამორიცხული აქ ბერძნული დედნის გავლენა გვექონდეს: ძვ. ბერძნულში τὸ γέρας ბაგესაც ნიშნავს და ნაპირსაც. უფრო მოგვიანებით, ამ მნიშვნე-ლობით ეს სიტყვა დ. გურამიშვილსაც აქვს ნახმარი:

„ვირემლის ზღვათა ბაგემლის
ჩვენ ჩავილოდით ნავითა,
გარდატრიალდა საწუთრო
მრუდისა საბრუნავითა“.

სიტყვას ბაგე სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ ეძებნება. იგი დადასტურებულია *ჩაჩნურში ბაგა ფორმით და პირს აღნიშნავს⁶⁰.

ბაგეს-უყოფს 'დასცინის': რომელნი-ესე გუაქებენ აწ აქა, და მაშინ მუნ ბაგეს-გუყოფდენ ჩუენ, და რომელნი-ესე გუნატრიან აქა, ეგრევე მუნ გუყუედრიდენ (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 20,36); ბაგე-უყვნა მას და ვეცხლის-მოყუარებაჲ შეურაცხ-ყო (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 39,33).

ნიჩურ-ი საბას განმარტებით სპილოს ხორთუმია. სინამდვილეში იგი ამასთან ერთად ტუჩებსაც უნდა აღნიშნავდეს: კულითა ნიჩურთა იფარავნ (სახისა სიტყ. 37,10); შეიმტკიცნის ნიჩურნი მისნი და შთანთქნის წულილნი იგი თევზნი (სახისა სიტყ. 26,33); რაჲა მოაწწავებს წინა-მცურვალი იგი ნიჩური პოლომსაჲ? (ექუს. 110,18).

ნიჩურ სიტყვაში გამოიყოფა ნი- თავსართი, ამ ძირის უთავსართო ვარიანტი უნდა გვექონდეს სიტყვაში ჩიჩვირი—*ჩვი — ჩვირი „ინდოურის ქათმის ცხვირი დაკიდებული და მსგავსნი მისანი“ (საბა). ნიჩურ სიტყვას უკავშირდება: მეგრული ნი-ჩვი-ი 'ტუჩი, დრუნჩი', სვანური ნი-ჩჷ 'სახე'. ქართულში რ თანხმოვნის საკითხი დგება: იგი ან სუფიქსისეულია და არ გადაჰყვება სხვა ენებში, ანდა ფუძისეულია და მოიკვეცა. მეგრ. ნიჩვიშა ხე ქიმიფორგ დო უწუუ (ყიფშ. 99,24) „პირზე ხელი მიიფარა და უთხრა“; ითამჲ წუნდგკონი, თეში ნიჩვიში ჩირქოლი დუუქყუა (ცაგ. 54,4) „ვითომ წოვდა, ისე დრუნჩის სმა დაუწყოა“; სვან. ე'ანსეღვჷან, მარე ნიჩვ შიყთე ხეყარ ი კინჩხ კანდთე (სვ. ტ. I, 86,36) „მორჩა, მაგრამ სახე ზურგისკენ ექნა და კისერი მუცლისკენ“; დე შიწარ ხანდხ ლგბარ ი დე ნიჩვარ (სვ. ტ. I, 22,10) „არც ხელები ჰქონდათ დაბანილი და არც პირები“.

გ. კლიმოვი ქართულისათვის ადასტურებს ნიჩვ- ფუძეს „морда, гунда“ და მას მეგრულ ნი[წ]ძგვ- 'ნისკარტ'-ს უკავშირებს. არაფერია ნათქვამი ქართულ ნიჩურ-, მეგრ. ნიჩვი და სვ. ნიჩჷ ფუძეების შესახებ (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 148).

სვანური ნიჩჷ სიტყვისათვის სახის მნიშვნელობა მეორეული უნდა იყოს. შდრ. ძვ. ქ. პირი — рст > лицо.

ჴბა 'ლაწკს ძვალი' (საბა): არარაჲ ცხოველთაგანი დრეკს ჴედათა ყბათა — არამედ ხვთქი ჴედათა ყბათა დრეკს (ნ. ემეს. 29,18);

⁶⁰ П. У с л а р, Черенский язык, გვ. 159.

აწ განვახუ ტრატუკი ცხვრთა შენტა და დანდალი ყბათა შენტა (IV მეფ. 19,28).

ამ ფუძეს ეყრდნობა სვანური ჰაყბა 'ლოყა', სადაც ჰა- ფონეტიკური დანართია (შდრ. ჰაკუად 'კული...'). აქედან აყბურაჲ 'უყბო'. აქ -ურ უქონლობის აფიქსია. ჰაყბაჲი ქეთხელარ ახანგან (სვ. ტ. I, 144,31) „ლოყაზე მუწუყები ამოუვიდა“; ზურალარ კილის ი ფათვარს იწანეხ ი ჰაყბარს იკანქურეხ (სვ. ტ. I, 8,7) „ქალები კივიან და თმებს იპუტავენ და ლოყებს იკაწრავენ“.

სიტყვა ყბ ა ისეთივე აგებულებისაა, როგორც ძმ მახვილი ბოლო ხმოვანზეა და სიტყვის თავში თანხმოვნებია თავმოყრილი, რაც საფუძველს იძლევა, სიტყვის თავში ხმოვანი დაკარგულად ვივარაუდოთ. ამ მხრივ საყურადღებოა სვანურის ჩვენება. ამ ძირს ეყრდნობა სიტყვები: ყაფ (ეცერ.), აბაყა (ლენ.) 'ყბა', ყბგ 'ძვლის თავი', ყბგნელ 'ძვლოვანი წანაზარდი', ყბა (ლხმ.) 'ლაქლაქა' (შდრ. ქ. ყბ-ედ-ი). გ. მაქავარიანი სვანურ შესატყვისად ყბ 'წვერი' სიტყვას ასახელებდა⁶¹. ამდენად, ქართული ყბა—ყბა. ინტერკონსონანტური ვოკალი სვანურის ძველი მდგომარეობის ამსახველად მიაჩნია კ. ჰ. შმიდტსაც (გვ. 140). გ. მაქავარიანი და თ. გამყრელიძე, პირიქით, ამ ხმოვანს მეორეულად თვლიან და შესაძლებლად მიაჩნიათ ყაფ||ყაბჟ ფუძის შემთხვევაში ქართულიდან სესხებასთან გვექონდეს საქმე ხმოვნის მეტათეზისით, სვანურისათვის დამახასიათებელი დახურული მარცვლის შექმნისაკენ მიდრეკილებისა და შეაბამისად (სონანტთა სისტ. გვ. 118).

არნ. ჩიქობავა რო-კაბ სიტყვის კაბ ფუძეს ეტიმოლოგიურად ყბას უკავშირებს: როკაბ—ყბელი⁶². შესაძლოა ფონეტიკურადაც ერთიდაიგივე იყვნენ (შდრ. კალამი — ყალამი, კანკალი — ყანყალი, კარკუმი — ყარყუმი, კასაბი — ყასაბი), სემატიკურადაც ნი-კაპ, კაპ-უნ-ი და *ყაბ-ა ძვალს უკავშირდება.

ნიკაპ-ი 'ქვედა ყბის წინწამოწეული ნაწილი': ეშმაკმან უპყრა ნიკაპსა კკონომოსობისაგანისსა მხიარულებით (თეოფ. კკონომ. 267.3); ნიკაპსა ჭერეთ ცოტა ქაფურისა ფერობა ჰქონდა, ბაგენი ლალსა უგუანდეს (ვისრ. 73,15).

ნიკაპ- საერთო ქართველური ძირის სიტყვაა: ქანურში გვაქვს ნუ-კუ||ნუ-ნ-კუ 'ნიკაპი, ყბა, პირისახე', მეგრულში ნკკჲ—ნუ-კუ,

⁶¹გ. მაქავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა. თბილისი, 1965, გვ. 15.

⁶²არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის... გვ. 178.

სვანურში ნიყფა (უშგ.). ნეკა (ბქ.) 'ნიკაპი'. მეგრულ კაპუ, ქართულ რო-კაპ 'ყბედი' და კაპუნ-ი, სვანურ კაპრჷჷ 'ყბა, ნიკაპი' სიტყვებთან შეპირისპირებით გამოიყოფა ნი-, ნუ- (—ნი-), ნე- თავსართები და -კაპ ძირი, რომელსაც ზანურში ბოლოკიდური თანხმოვანი მოკვეცილი აქვს, ძირისეული უ კი ქართული ა-ს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ო-საგანა ასიმილაციით მიღებული⁶³. სვანურში ძირი შეკუმშულია. უშგულურში ძირეული პ>ფ არსებობს საპირისპირო თვალსაზრისი: პ მიჩნეულია ფ-საგან მომდინარედ კ-სთან ასიმილაციის შედეგად (კ. შმიდტი, გვ. 128).

ნიყზმარ-ი 'ყბა': ლაწუნი და ენა და ქმნულება იგი, რომლათა იძრვის ნიყბერი მოფოლხუებითა და მოჭირებითა, განმარტებითა და შემოკრებითა, ესე ყოველი მსგავს არს ძრვასა მას ძალთა ებნისათა კმასა შინა (კაც. აგებ. 159,8); ამას ეწოდების ფქნარება, რაჟამს მოჭოლხუდის ნიყბერი და მოეხვის შინაგან კორქსა სული მრგულიად (კაც. აგებ. 170,9).

საბა „ექუსთა დღეთაჲს“ მე-13 თავის დამოწმებით ასახელებს ნიყბრი ფორმას და განმარტავს: „ნიკაპი ანუ ყბა“. ილია აბულაძე შენიშნავს, რომ ეს სიტყვა იპოვება არა „ექუსთა დღეში“, არამედ გრ. ნოსელის წიგნში „კაცისა აგებულებისათვის“ თავი მე-13, ნიყბერი-ს ფორმით⁶⁴.

ნი-ყზ-ერ-ი ყბა ძირიდან ნაწარმოები ძირი ჩანს. თვალში საცემია ანატომიის ლექსიკაში ნი- თავსართიანი სიტყვების სიმრავლე: ნი-კაპ-ი, ნი-ჩჷ, ნი-ს-კარტ- (შდრ. კრტ-ნ-ა), ნი-დაყუ-, ნი-ყზ-ერ-ი...

პბილ-ი 'პირის ღრუში ყბებზე ძვლოვანი თეთრი ამონაზარდები საკმლის დასაღეჭად': პირსა მისსა არღარა იყო კბილი (ბალავ. 24,1); აღმოვარდა კბილი იგი მისი დამპალი და შემდგომ მცირეთა დღეთა სხუაჲ აღმოუქდა მის წილ (კიმ. I, 270,36); შეკაჲენ კიილითა ანგაპრებისა მათისაჲთა თბოლთა და ქურჩეთა (სინ. 113,28); ვიპყრნე კორცნი ჩემნი კბილითა ჩემითა (იობ. 13,14); იწყო მან გამოლებად კელითა თვისითა შინაგანთა ასოთა უბიწოჲსა მის მსხუ-

⁶³ ვ. თ. ფ. უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VII, გვ. 91; არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1939, გვ. 49—50; არნ ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1940, გვ. 178.

⁶⁴ იხ. სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, IV, გვ. 597, შ53. I.

ერპლისადათა ცოხნად კბილითა (კიმ. II, 13,35); მხიარულ იყვენენ თუალნი მისნი უფროას ღვნიასა და სპეტაკ კბილნი მისნი უფროას სძისა (დაბ. 49,12); კბილნი შენნი ვითარცა არვე მორისულთა (ქბ. ქბ. 4,2); მას ხოლო ასხენ კბილნი მფრინველთა შორის (ექუს. 99,32); ნაშობსა ბოროტსა კბილნი ასხენ მახვლნი (იგავნი სოლ. 30,14); მანათა ჰამეს კაწახი და შვილთა კბილნი მოლბეს (იერ. 31,29); შთამფხურნა კბილნი ჩემნი ქვითა (გოდ. იერ. 3,6), ძირითურთ შთამუსრანეს კბილნი მისნი (კიმ. I., 190,20); სცა პირსა და შეჰმუსრნა კბილნი ბავითურთ (კიმ. I, 139,22); დაიღრპინნა ჩემ ზედა კბილნი მისნი (იობ. 16,10); კბილნი ერეკებიედ და ძარღუნი განსთქდებიედ (სინ. 119,6); ძეთა შენთა არცა დევთა გესლოვანთანი ერეოდეს კბილნი (სიბრძნე სოლ. 16,10); შოვრის კბილთა მათთა ნატაცები განოულე (იობ. 29,17); რაჟამს კბილთა აღმოსვლად იწყიან, მოართვს მას პური ტფილი და არა მაგარი (კაც. აგებ. 205,8); მათ ჟამთა ოდენ ეწყო ცვალებად კბილთა სიყრმისა თვისისათა (კიმ. I, 224,17); ვითარცა კაწახი კბილთა მავნებელ (იგავნი სოლ. 10,26).

სიტყვა კბილ- დასტურდება ზანურშიცა და სვანურშიც: ქან.: კიბ-ირ-ი||კიბ-ი-ი||კიბ-რ-ი||კიბ-რი||კირბ-ი 'კბილი, ნისკარტი': ფიმ-ვილი ღუბღუ. კიბირეფე-თი ღუწყუ (ყიფშ. ქ. ტ. 35,11) „წვერები გაპარსა, კბილებიც დააძრო“; ხაშკალური წყარი მუნქეთუ-ს, კიბრეფე (კირბეფე) გვაჭირჭილუ (ყიფშ. ქ. ტ. 79,9) „ადუღებულნი წყალი რომ გადასხა, კბილები დაელრპინა“. მეგრ.: დადის კიბირი ვა ჩანსღ დო შხვაში ჯოგჯ (ცაგ. 83, XXIII) „ბეზიას კბილი არა აბია და სხვისი სძულს“. სვან.: კიპნლ, მრ. რ. კიპნლარ 'კბილი' (კნინ.).

ქანურში დადასტურებული ხუთი ვარიანტისათვის ამოსავალია კიბ-ირ ფორმა (შედ. ლექსიკ. გვ. 54). კბილ- — კბ-ენ-ს ფორმათა შეპირისპირებისა და სხვა ქართველური ენების მონაცემების გათვალისწინების შედეგად ქართულში გამოიყოფა კბ- ძირი და -ილ სუფიქსი, რომლის ეკვივალენტია ზანურში -ირ. სვანური კიპნლ სიტყვის -ილ სუფიქსი კანინობითობის ფორმანტია და არა ქართულიდან გადასული -ილ, შდრ.: მე-კიპ-ან-აღ (ლხმ) 'ღიმილით კბილების გამომჩენი, კრეკია', კიპჷ შდიქ 'პატარა მკრელი კბილი'. ზანური და სვანური მონაცემები, აგრეთვე აქარული კიბილი ქართულის მიმართაც სვამს ძირისეული ხმოვნის საკითხს. რადგან ანალოგიურ ფორმებში ი ფონეტიკური წარმოშობისა ჩანს და ი ხმოვნის რედუქცია ქართულს არ სჩვევია⁶⁵, ამიტომ იგი ქართულში არ უნდა ვივარაუდოთ დაკარგულად.

⁶⁵ ე. თ. ფ. რ. ი. ა., რედუქციისათვის ქართველურ ენებში, ივ. I, 1946, გვ.76.

შუპა. შუპ. 'დიდი კბილი': სისხლმან კოხლიოქსამან შეღებნა შუვანი ძალისანი ვინაჲცა მწყემსმან ჰგონა, თუ წყლულ არს პირი ძალისაჲ (ელ. ზღაპრ. III, 64); გვკმდეს შუანიცა საკბენლად; რა-
ჲთა მით გარეწარვაქინეთ, რომელნი გუეწყვებოდიან მრავალთა ცხოველთა (კაც. აგებ. 153,22); არა აღტურვილ არს აღმოცენებითა რქათაჲთა და არცა ფრჩხილთაჲთა და არცა ტერფთაჲთა და ჭლაკ-
თაჲთა და არცა შუვათაჲთა (კაც. აგებ. 152,11); ღმერთმან შემუს-
რნეს კბილნი მათნი პირსა შინა მათსა და შუანი ლომთანი შეფქვენეს უფალმან (ფსალმ. 57,7);

შუვა სიტყვაში -ვ- ხმოვანთგამყარი უნდა იყოს. საინტერესოა: მიმართება მსგავსი სემანტიკის ეშუ სიტყვასთან. -შუ- ძირისაგან თითქოს სიტყვათა წყვილი გვაქვს: ე-შუ მარცვლის თავში დართ-
ვით და შუ-ა მარცვლის ბოლოში დართვით. ამ მხრივ ეს წყვილი ეზოლირებული არაა ქართულში, შდრ. იღლია და ღლიაგ-ი, იწრო და წვრილი, იფქლი და ფქვილი...

ღრძილ-ი 'კბილთ საპყრობი ხორცი' (საბა): სული ღრძილთა შენთაჲ ვითარცა ვაშლი და სასაჲ შენი ვითარცა ღვინოჲ სულნელი (ქბ. ქბ. ოშკ. 7,8). აღ. ცაგარლის გამოცემაში ღძილ ვარიანტი გვაქვს, რომელიც რ-ს დაკარგვითაა მიღებული.

ღრძ-ილ- სიტყვაში ძირია ღრძ, -ილ დეტერმინანტი სუფიქსია. მისი შესატყვისია ქანურში ჭირჯ-ილ-ი 'ღრძილი', მეგრულში ჭირგ-
ილ-ი 'ღრძილი'. ამოსავალში ზანურში უნდა გვქონოდა ღირჯ-ილ-> ჭირჯ-ილ, ამ უკანასკნელმა კი დეზაფორიკატიზაციით მოგვცა ჭირგ-
ილ (შედ. ლექსიკ. გვ. 55). ზანურშიც რომ ღ თანხმოვნიათ ვარი-
ანტი უნდა გვქონოდა, ამას ქანური ღინჯილ 'ღრძილი, ფუტკრის ნესტარი' მოწმობს (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 207).

საბა ადასტურებს გრძილი ფორმას. მასზე დაყრდნობით, კ. ჰ. შმიდტი მეგრულ ჭირგილ-ს მიიჩნევს მეტათეზისით *გირჯილ ფორ-
მიდან მომდინარედ, ქართულ ღრძ-ს კი *გრძ-დან სინკოპეთი. საერ-
თო ქართველურში *გირჯ- ფუძეს ალაღვენს (შმიდტი, გვ. 139).

სასა-ღ 'პირის ღრუს ზედა, თალისებური ნაწილი': თაფლსა ჭამს, ხოლო სიტკობებასა სასაჲ ვერ ცნობს (ცხ. გ. მთაწმ. 357,6); სასაჲ შენი ვითარცა ღვინოჲ სულნელი (ქბ. ქბ. ოშკ. 7,9); თაფლი გარდამოსწუთინ ბაგეთა დედაკაცისა მეძვისათა: რომელმან წუ-
თერთ დაატკბის სასაჲ შენი (იგავნი სოლ. 5,3); სასამან გამოიცადის გემოჲ ჭამადისაჲ ნადირთაჲ (ისო ზირაქ. 36,21); სასამან გემოჲ ცნის ჭამადისაჲ (იობ. 12,11); ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა:

(ქბ. ქბ. 2,3); რაჟამს სხუათა ნერგთა მიემთხვის იგი, დამჟავდის და უკბენს სასასა (ექუს. 61,13); შეიკრიბოს იგი ქუეშე სასასა მისსა (იობ. 20,12); ენაჲ ჩემი სასა ჩემსა აქეჟა (ფსალმ. 21,16); განექუა ენაჲ სასასა მათსა წყურილითა (გოდ. იერ. 4 ო⁷); რაჟამს კბილთა აღმოსვლად იწყიან, მოართვს მას პური ტფილი და არა მაგარი, რაჟათა არა ავნოს სასასა მისსა სიმქისემან მისმან უჩუეველობისა მისისაგან (კაც. აგებ. 205,9); დატბობითა სასისაჲთა საღმრთოთა სიტყუათა მიერ (ცხ. პ. კაპეტოლ. 25,32).

სასის აღსანიშნავად დღეს სამსავე ქართველურ ენაში -ცა- ძირია გავრცელებული: ქართ. ცა 'ნენი, ნენი', ზან. ცა, სვან. დე-ც. ამასთან, ეგ ძირი სამივე ენაში პოლისემიურია, ზეცასაც აღნიშნავს. ქართული სა-სა და სვანური დე-ც სავსებით ფარავენ ერთმანეთს: ქართულში ძირია -სა, სვანურში — -ც, რომელიც აფრიკატიზაციითაა მიღებული ხანისაგან⁶⁶, ხოლო ქართ. სა- პრეფიქსი და სვანური დე- მორფოლოგიურად ტოლფასი აფიქსებია.

მნა-მ 1. პირის ღრუში მოთავსებული მეტად მოქნილი და მოძრავი კუნთოვანი ორგანო, რომლის მეშვეობითაც შევიგრძნობთ საქმლის გემოს და წარმოვთქვამთ სამეტყველო ბგერებს: ენა მცირეწ ასოჲ არს და დიდად მალლოვის (კათ. ეპისტ. 014,5); თანმიიხმარა ცხვრი სულის-კუჭთადცა და ყნოსად შემოქმედმან ვითარ იგი ენაჲ — კმისადცა და გემოჲს-ხილვისად და ცოხნისად (ნ. ემეს. 122,23); განჰქსნა ენაჲცა თვისი უტყუებისაგან (აბო, 66,30); განექუა ენაჲ სასასა მათსა წყურილითა (გოდ. იერ. 4, ო⁷); აექვნ ენაჲ ნესტორს სასასა მისსა (ი. შავთ. 534,31); დააწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი (ლ. 16,24); მახვლი არს ენაჲ მეუფისაჲ და არა კორცი (იგავნი სოლ. 24,22); ენაჲ მისი შავ და გესლიან ვითარცა ასპიტისაჲ (კიმ. I, 55,10); ენაჲ შენი უბოროტეს ღრიაკალისა კბენს (მამ. სწ. 148,14); რამეთუ ენაჲ მათი მეტყუელებისაგან ცუდისა უტყვ არნ და ძვრის სიტყუასა უქმ (ხანძთ. 1,10); რომელსა ვერ შეუძლებს ენაჲ ესე ჩემი თქუმაღ (სინ. 202,11); აწ ესერა ყოველივე ენაჲ აქებს შუენიერებასა მათსა (სინ. 259,8); ამისთვის განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენაჲ ჩემი (საქმე მტკ. 2,26); დააცხრვენ ენაჲ თვისი ბოროტისაგან და ბაგითა ნუ იტყუიედ ზაკვასა (კათ. ეპისტ. 020,10); არცა იპოოს პირ-

⁶⁶ В. Т о п у р и а, Некоторые вопросы сравнительной фонологии картвельских языков, 1964, გვ. 6; ს. ე ლ ე ნ ტ ი, სვანური „წა“ ფონტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 180.

სა მათსა ენაჲ მზაკუევარი (სოფონია 3,13); ენამან ლბილმან შემუს-
რნის ძუალნი (იგავნი სოლ. 25,15); ყოველმან ენამან აღუვაროს,
რამეთუ უფალი იესუ ქრისტე არს (სინ. 193,34); თაფლი და სძქ
ქვეშე ენასა შენსა (ქბ. ქბ. 4,11); არა არს ენასა ჩემსა სიცრუეშ
(იობ. 6,29); გუემისაგან ენისა დაგიფაროს შენ (იობ. 5,21); აწ უბ-
რძანო აღმოკუეთაჲ ენისა შენისაჲ (კიმ. I, 192,1); განჰქსნდა კრუ-
ლებაჲ ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლ (მრკ. 7,35); დავაბრყვ-
ლოთ მახკლი ენისა ჩუენისაჲ ლოცვითა (სინ. 261,15); მოციქულ-
თა ენითა ჩუენ უფალი გუზრახავს (სინ. 11,17); წმიდათა მოძღუ-
ართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენი-
თა მისითა (ხანძთ. 33,15); არა აღიყეფნეს ძალმან ენითა თვისითა
თქუენ ზედა (აპოკრ. 32,28); ენანი მათნი განკმებიედ წყურბლითა
(სინ. 258,18); იცოხნიდეს ენათა თვსთა ტკივილისაგან (გამოცხ.
16,10).

2. ენა, აზროვნებისა და ურთიერთობის საშუალება: შეამკვეს
და აღაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წე-
რილთაჲთა (ცხ. იოვ. და ეფთ. 4,6); მისდამდის ესე წიგნი არა გა-
მოჩენილ იყო ენასა ჩუენსა, არცა ყოფილა (ექუს. 115,6); გამოი-
თარგმანების ესრე: ქელელიელ ასურთა ენისაგან ბერძენთა ენასა
ს ტ ე ფ ა ნ ო ს და ბერძენთა ენისაგან ქართველთა ენად გვრგვნ
(სინ. 69,14); მრქუა ქართულითა ენითა (ცხ. იოვ. და ეფთ. 46,1);
ჩუენ გუესმის სიტყუაჲ მათი ენითა ჩუენითა სიმდიდრშ ესე ღმრთი-
საჲ (საქმე მცქ. 2,11); მას ჟამს განიბნინეს ენანი გოდლისა მისთვს
(სინ. 181,15); მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი (ხანძთ. 12,58);
იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა (საქმე მცქ. 2,4); მას ჟამსა განყოფა-
მან მან ენათამან საქმენი ცუდნი განაქარვნა (სინ. 181,9); ყრმაჲ
ესე, სომეხთა შორის ზრდილობისათვს, იყო ენითა ქართულისაჲთა
მცირედ რაჲმე ნაკლულევანი (აბუს. ტბ. XVI, 123).

3. (ცეცხლის) ალი: ცეცხლისანი თუ იყვნეს ენანი იგი, ვითარ
არა შეიწუნეს ვითარცა ცეცხლითა (სინ. 219,27); თუალითაცა იხი-
ლონ ენები იგი ცეცხლისაჲ (სინ. 18. 187,7).

ენა აქტიური სიტყვაჲ ძველ ქართულში:

ენაჲ აღმოკუეთილი: ენაჲ აღმოკუეთილი ვიტყვ (კიმ. II, 192,12).

ენაბრგუნვილი: ბასილიცა ნეტარი ენა-ბრგუნვილი იყო (აბუს.
ტბ. XI, 79).

ენა-მძიმე: კმა-წულილ და ენა-მძიმე ვარ მე (გამოსლ. 4,10).

ორენა-ჲ: ნუ ხუალ ყოველთა ალაგთა სიცრუვისათა ვითარცა
ცოდვილი იგი და ორენაჲ (ისო ზირაქ. 5,11); ცუნდრუკთა და ორე-
ნათა ერთბამად სწყვედიოთ (ისო ზირაქ. 28,14).

ენოვანი: კაცი ენოვანი და მოწრადჴ ენითა საძულელ იქმნის (ისო ზირაქ. 9,23); ნუ ჰლალავ კაცსა ენოვანსა და ნუ დაჰკრებ ცეცხლსა მისსა ზედა შეშასა (ისო ზირაქ. 8,4).

ფუძე წარმოდგენილია ყველა ქართველურ ენაში: ქან. ნენა: ჩქინი ოლარღალუ დო მეგრელეფიშ ნენა ართი მაჟურას ნუნგაფან (ყიფშ. ჳ. ტ. 4,24) „ჩვენი ლაპარაკი და მეგრელების ენა ერთმანეთს ჰგვანან“; კადიქ ოყოროფუში ნენათე დუწუ (ყიფშ. ჳ. ტ. 14,27) „მოლამ სასიყვარულო სიტყვები უთხრა“. მეგრ. ნინა: ხოს ქათ დააკირანა, კოს ნინათ (ყიფშ. 180,4) „ხარს რქით დააბამენ, კაცს — ენით“. სვან. ნინ: ნინ მაწვენ, ვირია! (სვ. ტ. I, 63,34) „ენა მაჩვენე, ურია“; ნინ მამა ნიხალდა ი სჩივართე დემ ღურდად (სვ. ტ. I, 38,4) „ენა არ ვიცოდით და საჩივარში ვერ მივიდიოდით“.

ძირია -ნა, სვანური -ნა-ნა. ნე-||ნი- თავსართი ისტორიულად ნივთის კლასის ნიშანია, ქართული ე- თავსართიც ასეთივე ფუნქციის ფორმანტის ნაშთია. სვანური ნინ მიჩნეულია მეგრულიდან შესულად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ქართულს უნდა მიყვებოდეს (შედ. ლექსიკ. გვ. 53). გ. კლიმოვი საერთო ქართველურ ფუძედ აღადგენს ფორმას *ნენა-, იგი მას თვლის სიმბოლური ხასიათისად და პარალელს ავლებს სხვა ჯგუფის ენების მსგავს ფუძეებთან (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 147).

მედ-ი 1. კისრის უკანა მხარე: მოუღრიკა ქედი თვისი მახვლსა (აბო 73,36); წარუჰყრა ქედი თვისი წმიდამან პავლე მეგრმლესა მას სიხარულით (სინ. 253,10); მძლავრ ეჩოჲთა წარიკუეთოს ქედი შენი ამისთვს (მრავალთ. 257,5); არა შეყონ ქედი მათი უღელსა ქუეშქ მეფისა ბაბილოვნისასა (იერ. 27,8); ძარღვ რკინისაჲ არს ქედი შენი. შუბლი შენი რვალისაჲ (ესაია 48,4); არა სძაგდა სიძვითა შესუარული ქედი მისი (ბოლნ. 37,22); შეილ თუ გესხენ, განსწავლენ იგინი და მოღრიკენ სიყრმითგანვე ქედი მათი (ისო ზირაქ. 7,25); თავი მისი ტყავითა ოდენ ეკიდა ქედსა მისსა (სინ. 268,7); უმჯობეს არს მისა, გამო-თუ-იბას ქედსა მისსა ვირით საფქველი და შთავარდეს ზღუასა (მრკ. 9,42); უბრძანა დადებად ჯაჰვ ქედსა მისსა (შუშ. 20,10); ტყავნი იგი თიკანთანი მოჰხვნა მკლავთა და შიშუელსა ქედსა მისსა (დაბ. 27,16); დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს-უყოფდა (ლ 15,20); მოსდვა იოაბ ამესას კელი ქედსა მისსა მიზეზად ამბორებისა (II მეფ. 20,9); იქმნენ შენდად შესაკრველნი

და საკივნი. და დაისხენ ქედსა შენსა (იერ. 27,2); ბოროტი მჯდომი ქედსა მისსა გამოაჯდა (ხანძთ. 61,2); მეცსეულად მოექსნნეს მარკილნი უღლეულსა მას კართასა და უღელი ქედსავე ზედა დაშთა მათსა (აბუს. ტბ. VIII, 69); სძჟ გამოჯდა სისხლისა წილ ქედისაგან წმიდისა პავლჳსა (სინ. 253,13); ამალდდეს ასულნი სიონისანი და ვიდოდეს ქედითა მალლითა და წამის-ყოფითა თუალთაჲთა და სლვითა ფერკთაჲთა ითრევდეს ერთბამად სამოსელსა (ესაია, 3,16); უღელმან და ლუელმან ქედნი ამპარტავანთანი მოდრიკნიან (ისო ზირაქ, 33,27); ქედნი მტერთა ჩემთანი დავთრგუნენ (II მეფ. 22,41); მოეხვა ქედთა მათა და პატივ-სცა დიდითა პატივითა (ბალავ. 31,13); განკუეთნის მახვლითა თვისითა ქედთა წილ გონებანი (სინ. 261,15); სძლეს სიფიცხლესა მახვლისასა სიჩჩვლითა ქედთა თვისთაჲთა (სინ. 261,17).

2. მთა, ქედი: ვიდოდეთ ქედთა რაჲმე მალალთა, ტყიანთა და ლოდოანთა (ზარზმ. 160,16); ლადირ სახელ-ედვა, რომელ არს ქედი, რამეთუ ვითარცა ქედი ქუეყანისაჲ არს ადგილი იგი ლადირისაჲ (ელ. ზღაპრ. II, 16).

ქედ- ფუძეს შეიცავს კომპოზიტები: ქედდარეკილი, ქედფიცხელი: მე ქედდარეკილი წარმოგიდგე განკითხვად (დ. აღმ. 521,3); ყოველნი შიშუელნი და ქედდარეკილნი წარვიდეთ წინაშე მისა ადგილსა მას შესაძრწუნებელსა (მამ. სწ. 14,36); ბარბაროზნი და უეკნი ქედფიცხელნი ტრედმან წმიდამან... სიტკობებათა თვისთა მიერ ღუმლით კელთ უსხნა შემოქმედსა (ბულმ. 389,1).

ქედ- ფუძეს მეგრულში შეესატყვისება ქინდირი 'კისერი' (შმიდტი, გვ. 137), შდრ. თავი ჩაქინდრა.

შელ-ი 'სხეულის ნაწილი, რომელიც აერთებს თავს ტანთან,— კისერი': გრძელ არს ყელი აქლემისაჲ (ექუს. 110,11); მოკლე არს და შთასუმულ მკართა შინა ყელი დათვსაჲ და ლომისაჲ (ექუს. 110,14); ყელი შენი ვითარცა გოდოლი პოლოჲს ძუალისაჲ (ქბ. ქბ. ოშკ. 7,4); შეეხვა ყელსა მისსა, ამბორს-უყო (ლ 15,20); მოხვოს კელი მისი ყელსა მოყუსისა თვისისასა (ზაქარია 14,13); მირბიოდა და მოეხვა ყელსა მისსა (ბოლნ. 37,19); ძოწუელი შეიმოსოს და მანიაკი ოქროსაჲ ყელსა მისსა (დანელი 5,7); გარდავაცუათა საბელი ყელსა მისსა (აპოკრ. 36,10); უბრძანა გამოზმად ლოდისა დიდისაჲ ყელსა მისსა და შთავდებად მისი ზღუასა (ქრისტინა 189,15); უკუეთუ განიხილო ყელი ბალაჰვარისი, იხილო მის თანა ჟუარი (ბალავ. 15,22); უადვილესმცა იყო, ქვაჲ ფქვისაჲ და მოეკიდა ყელსა მისსა და შთამცა-ვარდა ზღუასა (ლ 17,2 c); შვილო, და-

იმარხენ შჯულნი მამისა შენისანი... და დაიდგენ იგინი თხემსა შენსა მას და შეიბენ ყელსა შენსა (იგავნი სოლ. 6,21); სძალო, გული გვალმე ჩუჭნ ერთითა ყელისა საბელითა მძივის შენისათა (ქბ. ქბ. 4,9); წამოჰკიდონ ქედსა ქვაჲ და ჩააგდონ იგი მდინარესა. და ვითარცა ესე ყვეს, მოსტქდა ქვაჲ იგი ყელისაგან მისისა (კიმ. II, 84,16); წყალი იგი ამალღდა ვიდრე ყელადმდე მათ კაცთამსა (აპოკრ. 40,5); განაწონნეს მუსმარნი იგი წმიდასა თაესა მისსა ვიდრე ყელადმდე მისა (კიმ. I, 122,17).

ახალ ქართულში ყელ- სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა: იგი კისრის მხოლოდ წინა მხარეს აღნიშნავს. ასეთივე გაგებით ხმარობს საბაც ამ სიტყვას, როცა კისერს განმარტავს: ქედი და ყელიო. ცალკე ყელ-ის ახსნა მოცემული არა აქვს.

ქართული ყელ- სიტყვის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ზანურში ძალი||ძალ-ი||ალი 'ყელი' (შედ. ლექსიკ. გვ. 56). ჰანურშიც რომ ყალი||ძალ-ი||ალი კისრის ზოგადი სახელი იყო, ამას მოწმობს გამოთქმები: ყალი ქართალი სქანის გოლაგიდვატი გინძე კლავეფე ჩქიმი! (ყიფშ. ჰ. ტ. 24,22) „ქალღლივით შენს ყელზე გადაგდებდი ჩემს გრძელ მკლავებს“; ჰემუქ-ნა გამამქკიდუ-მა, ძალი გომაქიმოშუ-მა (ჰან. ტ. II, 37,36) „იმან რომ მთხლიშაო, ყელი (ე. ი. კისერი) მომეღრიცაო“; აღის ხე-მოღვაღური გოგაონარე (ყიფშ. ჰ. ტ. 39,3) „ყელზე ხელმოდებული გაგატარებდი“. მეგრულში ყალ-||ძალ- ფუძე შემორჩენილია ნაწარმოებ სიტყვაში ო-ყალ-ე-შ-ი||ო-ძალ-ე-შ-ი („სა-ყელ-ე-ს-ი“) 'საყელო' (ძვ. ქართ. საყელ-ე) ოყალეში ყალ-||ძალ- ფუძისათვის მეგრულშიც ძველ-ქართულისებრ შინაარსს გვაეარაუდებინებს ამოსავლად.

ღღეს გავრცელებულ გამოთქმებში „ღოქის ყელი“, ნახევარკუნძულის ყელი“ სიტყვა ყელი ძველი ქართულისეული მნიშვნელობითაა ნახმარი.

სვანურში ყელის აღსანიშნავად იხმარება ყია, რომელიც ქართულიდან ნასესხებადაა მიჩნეული (კ. შმიდტი, გვ. 140), მგ-ყლ-ა 'ყელი' სიტყვაში გამოყოფილი ძირი ქართული ყელ- ფუძის შეკუმშული ვარიანტია. დასაბუთებული არ ჩანს კ. შმიდტისეული დაკავშირება სვანურ ყიყულდ 'ყანყრატო' და მეგრულ ყორყელი სიტყვებთან.

სვანურში ყურადღებას იქცევს სიტყვა ყელშირ||ყელშირ 'ღაბაბი' და ყელშირ 'ღაბაბიანი'. ამ სიტყვის ყელ- ელემენტი შეიძლება იგივე ქართული ყელი იყოს, ასახსნელია -შირ.

შია 'ყელის ყანყრატი' (საბა), 'ხახა': აქუნდა მარგალიტი იგი პირსა მისსა, ხოლო მე უპყარ ყიაჲ მისი და ვიწყე შთობად, ვიდრემდის წარმოაგდო წმიდაჲ წმიდათაჲ (ლიმონ. 123,7); ფირტყ აგებული არს თხელად ღრუბლის სახედ, მრავალ სადინელ, შეძერწულ ყიასა თანა (კაც. აგებ. 225,16); ნაწლევთა ჩუენთა შორის აგებულ არს ფირტყ, ნაწლევი თხელი და ვრცელი, რომელი-იგი განწვალე-ბითა ყიისაჲთა შეიწყნარებს ჰაერსა და იყნოსს (ექუს. 81,35); არს ესე ვითარცა სტკრი კმისა გამომცემელი ლართაგან... და მოიზიდის, რომელი-იგი გამოვალნ ყიისაგან, კორკმან სტკრსა მას შინა ორთა მათგან ნესტუთა (კაც. აგებ. 159,5).

ამავე ძირიდანაა ნაწარმოები ქართული ყი-ვ-ა, ყვილი (შდრ. რუსული горло—горланит), ჰან.: ყი(ვ)-, მეგრ. ყი(ვ)- ქართ.: იწყეს სიმღერად, და კმობდეს და ტყუელვიდეს და ყიოდეს უწესოდ (აპოკრ. 70,21); მასვე ყამსა ისმა კმაჲ ვითარცა ყვილი ერისა მრავლისაჲ (ცხ. იოვ. და ეფთ. 56,3); ჰან.: ემ ვახთის მამულქ ქოდიყიუ (ჰან. ტ. I, 127,10) „ამ დროს მამალმა იყივლა“; მეგრ.: მუმულქ მიოყიოუ-მამალმა დაიყივლა (შედ. ლექსიკ. ნვ. 454).

ყიის, ხახის აღსანიშნავად მეგრულში იხმარება ნოყორი: ნდემქ ნოყორი გააქიქინუუ (ყიფშ. 59,11) „დეგმა ხახა დააფჩინა“.

სიტყვა ყია გვხვდება მეგრულშიცა და სვანურშიც. მეგრულში ყია ი. ყიფშიძის ცნობით მუცელს აღნიშნავს⁶⁷. ჩემთვის ცნობილია გამოთქმა „ყიაქ მემაჭუ“ — კუჭი, მუცელი ამეწვა (შიმშილის ან წყურვილის დროს იტყვიან). სვანურში კი ყია ყელს ნიშნავს: ყიას ხოწიბ ვოქრჲ ჯვარ (სვ. ტ. I, 127,8) „ყელზე ჰკიდია ოქროს ჯვარი“.

თუ ეს ყია სამივე ენაში ერთიდაიგივე სიტყვაა, მაშინ საინტერესოა სემანტიკური გადასვლები: ქართული: ყია 'ხახა', სვანური: ყია 'ყელი', მეგრული: ყია 'მუცელი, კუჭი'. საერთო ქართველური ყია ხომ არ აღნიშნავდა საკვების მისაღებ მთელ გზას ხახიდან კუჭამდე? ამას ხელს არ შეუშლის ყია და ყელ- სიტყვების დაკავშირებაც.

ჰორტ-ი „მკერდის კერძი ნაწილი ყელისა, სადა აღმოდის კმანი სამუსიკონი“ (საბა): სამარე ზე-აღებულ არს კორკი მათი, ენითა მათითა ზაკუვენ (ფსალმ. 5,10); მოაქციენ ფერკნი შენნი გზისაგან ფიცხლისა და კორკი შენი წყურიელისაგან (იერ. 2,25); კორკი მისი

⁶⁷ И. К и п ш и д з е, Грамматика мнигрельского (иверского) языка. Лექსიკონი, გვ. 254.

სავსე სიტყვობებითა (ქბ. ქბ. ოშკ. 5,16); ქარმან გამოსცის ადგილით თვისით და განვლის კორკი კაცისაჲ, რაჟამს იგი ენების კმობად (კაც. აგებ. 158,32); რომელ არს კორკი მიმსგავსებული ნასხვეთა მათ სტკრისათა (კაც. აგებ. 159,1); სიტყუაჲცა ძნად გამოვიდოდა კორკით მისით (კიმ. I, 320,21); ჰაერისაჲთა, რომელი-იგი ნესტუთა მათგან მკერდისათა განწვალებითა კორკისაჲთა მრავალ-სახედ აღ-მოუტევის (ექუს. 100,31); არცაღა კმობენ კორკითა მათითა (ფსალმ. 113,15); მოსრულა სული ჩემი კორკად ჩემდა (მოქც. ქართლ. 105,34);

კორკის-თავი: შეერთობის უკუშ არტირიასა ვრონხოჲ... და ამით კორკის-თავიცა და მერმელა — პირი და ცხკრი (ნ. ემეს. 122,16);

კორკ- ფუძეს მეგრულში შეესატყვისება ხურხ-ი 'ხორხი; მკერ-დი'; გადატ. 'სული, გული'⁶⁸: ნანასგთი თინა უცორს, ხურხის იხუ-ტოლუანს (ყიფშ. 116,23) „დედასაც ის უყვარს, გულში იხუ-ტებს“; სათავადოს მითა რხუნცუ, ხურხი, უჯგუში (ყიფშ. 136,19) „სათავადოში არავინ გყვავს, სულო, უკეთესი“. მეგრული ხურ-ხი—ხორხი—კორკი. ხურხ- ფუძე ჰანურშიც დასტურდება⁶⁹.

სვანურში ხორხის აღსანიშნავად იხმარება ყგრყინჯ. -ინჯ და-ბოლოება სიტყვის ზანურ წარმომავლობაზე მეტყველებს. ფუძეა ყგრყ-. სემანტიკური იგივეობა და ფონეტიკური მსგავსება საფუძ-ველს იძლევა იგი ქართულ კორკ-ს დავეუკავშიროთ. კ—ყ ბგერათ-შესატყვისობის შესახებ იხ. გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რი-გისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში, იკე I, 1946 წ. გვ. 11.

მეგრულში გვხვდება სიტყვა ყორყელი 'ყელი, სასუნთქი მი-ლი'⁷⁰. სპეციალურ ლიტერატურაში იგი მიჩნეული იყო რედუბლი-ცირებულ ფუძედ ხმოვნისა და თანხმოვნის მონაცვლეობით⁷¹. მეგ-რული ყორყ-ელ იმავე ძირს ეყრდნობა, რასაც სვანური ყგრყ-ინჯ. განსხვავებაა დეტერმინანტ სუფიქსებში.

კორკ- ფუძის საფუძვლად *ხორხ- ვარიანტის აღდგენა გ. კლი-მოვის მიერ გაუმართლებელია (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 261).

სასულე 'სასუნთქი მილი': თანაშემწე და ორღანო კმისა მრავალნი, ვითარ საშუალ გუშრდთა შორის ფერდნი და მკერდის-თავი

⁶⁸ И. К и п и и д з е, Грамматика минирельского (иверского) языка, лექსიკონი.

⁶⁹ Н. М а р р, Грамматика чапского языка, გვ. 234.

⁷⁰ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ჰანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 20.

⁷¹ ს. ყ ღ ე ტ ი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, 1, 1961, გვ.173.

და სასულე და კულად კორკი და სასაჲ (ნ. ემეს. 93,15); არიან... არაადომოფშენველნი ჰაერისა... ყოველნი, რომელთა არა აქუს სასულე (ნ. ემეს. 28,13); შეუძლებელ ფშენვაჲ თვნიერ სასულისა (ნ. ემეს. 28,14).

სა- — ე აფიქსებით ნაწარმოები სიტყვაა სულ- ფუძიდან.

ლაპლაჰ-ი 'ბრონქი': შეერთობის უკუშ არტირიასა ვრონხოჲ, რომელ არს ლაქლაჰი თანშედგმული სამთაგან დიდთა ხონდროთა (ნ. ემეს. 122,15); **ლაჰლა-ჰ-ი** ფუძეგაორმაგებული კომპოზიტიჲ. მარტივი ფუძეჲ ლაჰ-. მონათესავე ენებში ყურადღებას იქცევს სიტყვები: სვან. ღაჰა 'ყბის ძირი', ღაჰან 'ენატარტალა, კაპასი' (მდრ. ყბა—ყბელი) და მეგრ. ღაჰ-ალ-ი 'გაწყრომა, ყაყანი'. შესაძლებელია, აქ საერთო ძირის სიტყვა გვქონდეს. ასეთი სემანტიკური გადახრა დასაშვებია.

პრონხო-ი 'ბრონქი': შეერთობის უკუშ არტირიასა ვრონხოჲ, რომელ არს ლაქლაჰი თანშედგმული სამთაგან დიდთა ხონდროთა (ნ. ემეს. 122,15).

სიტყვა ნასესხებია ბერძნულიდან: ὁ βρόγχος 'სასუნთქი მილი, ტრაქეა'.

4. კიდეზმები და სახსრები

კელ-ი 1. ადამიანის ზემო კიდური: იყო მუნ კაცი, რომელსა კელი მისი მარჯუენშ განკმელ ედგა (ლ 6,6); უკუეთუ მარჯუენშ კელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი (მ 5,30); შევახო კელი ჩემი წყულულებასა მისსა და მაშინ მრწმენეს ხილული იგი (სინ. 172,29); თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდვა კელი და განკურნა იგი (ლ 4,40); უპყრა კელი და აღადგინა იგი (მრკ. 1,31); მიყო კელი მისი იესუ, შევახო და ჰრქუა (მ 8,3); რომელმან შთამოყოს ჩემ თანა კელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს მე (მ 26,23); განირთხ კელი შენი (მ. 12,13); განყარა კელი და ჰიქაჲ იგი პირსა შეალეწა (შუშ. 17,5); რომელმან კელი კელსა მისცის სიცრუით, არა უტანჯველ იყოს (იგავნი სოლ. 11,21); წარიკადა ფარაო ბეჰედი კელისაგან თვისისა და შეაცუა კელსა იოსებისსა (დაბ. 41,42); და სხუაჲ კელით და ფერკით დაჰრილი იდვა (სინ. 268,9); შეგინებულითა კელითა ჰამენ პურსა (მრკ. 7,5); ყოველი, რომელი ვალს კელითა ყოველთა შოვრის მკეცთა, რომელი ვალს ოთხითა, არაწმინდა არის იგი თქუენდა (ლევიტ. 11,27); მან თვისითა კელითა აილო და დადვა

იგი ურემსა მას ზედა (სინ. 122,29); შემუსრა კელითა მტერთაჲთა ზღუდე ტაძართა მისთაჲ (გოდ. იერ. 2 კთ^რ); დაწერა ებისტოლჲ კელითა თვისითა (ხანძთ. 11,11); ვითარცა მკეცი განძნდებოდა და უნდა პეტრჲსი კელითა თვისითა განხეთქაჲ (სინ. 245,26); არა დაიბანნიან კელნი, ოდეს პურსა ჰამედ (მ 15,2); განყენეს კაცთა მათ კელნი მათნი და შეიტაცეს ლოტ შინა სახიდ (დაბ. 19,10); იუდას დაუკვრდა ფრიად, კელნი შეიტყუელნა და თქუა (სინ. 242,6); აქუნდა რტოები ბაიაჲსაჲ კელთა მათთა (სინ. 278,34); კელთა ზედა ალგიქუან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერკი შენი (მ 4,6 c); მანქანებითა მისითა კელთა მისთა ათნივე თითნი ნებთა მისთა ზედა დაჰკრნა (ხანძთ. 54,7); დაჰჰნდეს ძარღუნი კელთა მკლავთა მათთანი კელითა ძლიერთა იაკობის მიერ (დაბ. 49,24); კელთაჲნ მისთა წმიდათა შექმნული იგი კუალად განაახლოს (სინ. 22,20).

2. უფლება, ძალაუფლება, განმგებლობა: მიიქეც დედოფლისა შენისა და დამდაბლდი ქუეშე კელსა მისსა (დაბ. 16,9); ამას იტყვს კელითა ძლიერთა ურჩთა მათთვს (ესაიაჲსი 8,11); მისცა თავი თვისი კელთა მტერთასა (სინ. 275,20); აჰა მკევალი შენი კელთა შენთა შინა არს (დაბ. 16,6); სიკუდილი და ცხოვრებით კელთა შინა ენისათა (იგავნი სოლ. 18,22); მიქსენ მე კელთაჲნ მეფისა ასურთაჲსა და კელთაჲნ მეფისა ისრაჲლისთა (IV მეფ. 16,7).

3. ხელობა, სამსახური: მრავალჯერ იქმნა ნეტარი ესე მეჯორეცა და სხუაჲცა მრავალი კელი, რომელი მოჰხუდა, უზაყუველად და უდრტვნველად გარდაიქადა (კიმ. II, 145,14); ისწავლებოდა კელსა მექამლეობისასა (ევსტ. მცხ. 30,5).

4. ხელნაწერი: მოართუა კუალად მწიგნობარმან კელი იგი პატრეაქსა (ლიმონ. 78,19); დაწერე კელი ორმოცდაათისა ლიტრისა ოქროჲსაჲ მთავრისაჲ მის, კაბუკისა მამისაჲ, ეკლესიასა ზედა და შთაწერენ მას შინა მოწამენი, რომელნი მომკუდარ არიან (ლიმონ. 78,10).

კელ- ფუძე პროდუქტიულია ძვ. ქართულში:

უქელო 'ვისაც ხელი არა აქვს': უმჯობეს არს შენდა უქელოჲსა შესლვად ცხოვრებასა, ვიდრე ორთა კელთა სხმასა და შესლვად გეჰენიასა (მრკ. 9,43);

ერთ-კელი 'ცალხელა': უმჯობეს არს შენდა ერთ-კელისა ცხოვრებასა შესლვაჲ ვიდრე-და არა ორთა კელთა დგმასა და მისლვად ცეცხლსა მას დაუშრეტელსა (მრკ. 9,43c).

კელ-ყო 'ხელი მოკიდა, გააკეთა': თვნიერ დედისა ფებრონიჲსაჲნ ზრახვისა საქმჲ არა კელყვიან (ხანძთ. 55,53).

კელთ დებულნი 'ის, ვინც ან რაც ხელთ იგდეს': რომელნი შეყენებულ იყვნეს საკუდილსა, კელთ დებულნი მისგან მიუხუნა (სინ. 102,12).

კელთ-რევნა 'ძალადობა': იზარდებიან თვნიერ ხოლო უძლურთასა, რომელნი-იგი გარდარეულისა მისთვის მოშიშებისა და სიჯანსაღისა ზედას-ზედა კელთ-რევნასა და წყინებასა ვერ დაუთმობენ (ექუს. 94,24).

კელთ-საქმარი 1. ხელობა, ხელით საქმიანობა: ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდად გრიგოლ და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებნ... რომელთაგანმე უძლურებასა და კელთ-საქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნობათა (ხანძთ. 5,44). 2. ნამუშევარი, ნახელავი: მოართუმიდეს მათ იფქლსა ეგკპტით და წარიღებდეს კელთ-საქმარსა მათსა ნაცვალად მისა (სინ. 272,19).

კელ-იწიფა 'შეიძლო', კელ-ეწიფა 'ხელი მიუწვდა, შეძლო': უნდა მოკლვამ მისი და ვერა-რაჲ კელ-იწიფა (მრკ. 6,19, c :ვერ კელს-იწიფებდა); შენ ქალაქი ერთი დიდი ყოვლითა კეთილითა სავსე და ურიცხვ ბევრეული უღებ-ჰყავ, რადენ შენ კელ-გეწიფა (სინ. 106,35); ვერ კელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად (მ 6,24).

კელმწიფე 'შემძლებელი, ვისაც ხელი მიუწვდება რამეზე': რამეთუ იყო სწავლად მათა კელმწიფე (მ 7,29 c); რაჟამს გენებოს, კელმწიფე ხართ მათა კეთილის ყოფად (მრკ. 14,7 c).

კელო(ვ)ან-ი 'საქმის კეთილად მოქმედი' (საბა), კელოვნება: ვითარ შეუძნიერ არს სვლა შენი, ასულო ნაბადისო! ეჟამიერად ქმნული მუხლთა შენთა მგზავს არს მძივთა — დაცმულთა საქმე კელოვნისა (ქბ. ქბ. 7,1); ენაჲ ჩემი, ვითარცა საწერელი მწიგნობრისა კელოვნისაჲ შეუნიერად (სინ. 230,13); კელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი (მოქც. ქართ. 131,15); უკუეთუ არა პოოს კელოანმან ნივთი შემსგავსებული თვისისა კელოვნებისაჲ, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალეებაჲ საქმეთა თვსთაჲ (ცხ. გ. მთაწმ. 358,10).

სიკელოვნე: არა პატივ ვსცემდეთ სასუმელთა შემზადებულთა, არცა სიკელოვნესა მზარაულთასა (მრავალთ. 295,1).

კელთ-იგლო: მძლავრქმნილი იგი მონაჲ კელთ-იგლო (ცხ. პ. კაპეტოლ. 24,4).

კელთ-უსხენ: მიმართე, ვიდრემდის ბრჭალსა შენსა კელთ უსხენცა დიდ სანოაგედ მოქმედმან (ბულმ. 389,ო).

საკელ-ი: რა თავისა სახლსა შიგან მტერი გიჯდეს, ვითარმცა საკელსა შიგან გუელი გიზის (ვისრ. 56,25).

კელგანპყრობით: გრიგოლ გონებითა შემუსრვილითა ლოცვაჲ
ესჷ ცრემლით კელგანპყრობით წართქუა (ხანძთ. 6,104).

კელის-ამპყრობელ-ი: უძლურთა შემწე, დაცემულთა კელის ამ-
პყრობელი, ჰირვეულთა ნუგეშინის-მცემელი (სინ. 52,37).

კელის-წერილ-ი: დაწერა კელის-წერილი აღსარებაჲ მართლისა
სარწმუნოებისაჲ (კიმ. I, 67,2).

კელ- ფუძეს შეესატყვისება ზანურში ხე—ხელ-, რომელიც
აღდგება მრავლობით რიცხვში: მეგრ. ხელ-ეფ-ი, ჰან. ხელ-ეფ-ე
(შედ. ლექსიკ. გვ. 58). ჰან. მო წილუმტი, მეგოტროხას ხე სკანი
(მარი, 106,34) „რატომ ჰკრეფდი, მოგტყდეს ხელი შენი“. მეგრ.
მოთხუ თე ვეზირს ხე დო დუდი ვიშო მესოფუ ბოშიქ (ხუბ. 2,1)
„მოკიდა ამ ვეზირს ხელი და თავი იქით წააწყვიტა ბიჭმა“;

სვანურში ეს ფუძე უნდა გვქონდეს სიტყვაში კაღლ 'სიგრძის
საზომი, გაშლილი ხელების მანძილი' (შდრ. ჰართ. მკარი — ანატ.
ტერმინი და სიგრძის ერთეული), და მრ. რიცხვის ფორმა ამავე
ფუძისა კალარ 'გაშლილი მკლავები': ჰერი ნაკლანთხი ლი ეშდოხ-
ვიშდ კაღლ (სვ. ტ. I, 17,27) „ჰერის სიგრძეა თხუთმეტი მკლავი“:
ამნემ კალარ ლოხედე ი სგა ლანკვირ სგანჩუ მურყვამთესგა (სვ.
ტ. I, 281,2) „ამან მკლავები მოხვია და შემოიტოვა კოშკში“.

ჰართულ და ზანურ ფორმებში ხმოვნის იდენტურობის საფუძ-
ველზე კელ- ფუძეში ლ თანხმოვანს მეორეულად მიიჩნევს გ. კლი-
მოვი (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 264). სვანურისა და ჰართულის მონაცემე-
ბი ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ამოსავალში ლ თანხმოვნის
არსებობას ვარაუდობენ გ. მაჰავარიანი და თ. გამყრელიძე (სო-
ნანტთა სისტ. გვ. 148—149 შნშნ. 5), და ამავე ძირისად თვლიან
მეგრულ ხუ 'მუკი' სიტყვასაც (იქვე, გვ. 89). ასეთ ეტიმოლოგიურ
დაკავშირებას გ. კლიმოვი საექვოდ მიიჩნევს⁷². ჩვენთვის კი ასეთი
დაკავშირება სემანტიკურადაც და ფონეტიკურადაც დასაშვებია,
შდრ. მეგრ. ხე-ხუ, ჰართ. ხე-ხულ-ებ-ი, სადაც რედუბლიცირებული
ფუძე სწორედ ხუ ვარიანტს წარმოგვიდგენს.

ნ. მარი ჰართული კელ- ფუძის შესატყვისად სვანურში მე-ჰარ,
მე-ჰერ სიტყვებს მიიჩნევდა⁷³.

ე. წ. ნოსტრატულ ენათა ოჯახის ფუძე ენის კუთვნილებად
თვლიდა ამ ფუძეს ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩი⁷⁴.

⁷² გ. კლიმოვი, რევენზა თ. გამყრელიძისა და გ. მაჰავარიანის წიგნზე
„სონანტთა სისტემა და აბლაუტი ჰართველურ ენებში“, РЯ. 1964, № 4, გვ. 124.

⁷³ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка,
გვ. 34.

⁷⁴ В. И. Ильич-Свитыч, Материалы... გვ. 262.

მკლავ-ი 'ადამიანის ზედა კიდური მტევნამდე; ცხოველის წინა კიდური, ტორი': კელნი მისნი განუხუნა გლახაკთა და მკლავი მისი მიყო დავრდომილსა (იგავნი სოლ. 31,20); დაგიტევებიან ცხოვარნი მახვლი მკლავსა მათსა და თუალსა მარჯუენესა მისსა. და მკლავი მისი განკმობით განკემეს (ზაქარია 11,17); აღვჰკადე თავსა მისსა შარავანდი და სავლტჳ მკლავსა მისსა (II მეფ. 1,10); ვერ განძლეს კაცი ჭამითა კორცისა მკლავისა თვისისაჲთა (ესაია 9,20); სიმტყიცესა მკლავისა შენისასა ვინ წინა აღუდგეს (სიბრძნე სოლ. 11,22); მკლავითა თვისითა შეიკრიბნეს კრავნი (ესაია 40,11); მარჯუენითა თვისითა დაიფარნეს იგინი და მკლავითა თვისითა შეეწიოს მათ (სიბრძნე სოლ. 5,16); გბრძოდი მე თქუენ კელითა განმზადებულითა და მკლავითა მაგრითა (იერ. 21,5); მკლავითა მათითა აღგიპყრან შენ, რაჲთა არა წარსცე ჴვასა ფერტი შენი (ფსალმ. 90,12); ყოვლადძლიერითა მკლავითა შენითა „განახუენ გარდამოსაქანელნი ცათანი“ (ტიმ. ანტ. 88,8); განგარინნე თქუენ მკლავითა მალლითა (გამოსლვ. 6,6); დათვ ზედა მომიჯდის. მე მკლავნი მოვხვნი და შევმუხრი და მოვკლი იგი (I მეფ. 17,35); მოასხნეს მისა გარემო მკლავნი მათნი (სინ. 108,23); დაიძრნა მკლავნი მისნი საქმედ (იგავნი სოლ. 31,17); ყვნა მკლავნი ჩემნი ვითარცა მშვლდი მტკიცე (ფსალმ. 17,35); ტყავნი იგი თიკანთანი მოჰხვნა მკლავთა და შიშუელსა ჴედსა მისსა (დაბ. 27,16); მან მოყვნა კელნი თვისნი და აღიქუა იგი მკლავთა თვისთა ზედა (ტირიჳ. 188,17); იტვრთა მკლავთა ზედა ძმ (სინ. 204,29); მან მოიქუა იგი მკლავთა ზედა მისთა (ლ 2,28); ნუ დაჰყოვნი უცხოჲსა თანა დედაკაცისა, ნუცა მოიხუევე მკლავთა მისთა (იგავნი სოლ. 5,20); აღილო მკლავთა კერპი იგი და დამუხრა მუქლთა თვისთა ზედა (კიმ. I, 155,11); დაჰქსნდეს ძარლუნი მკლავთა მისთანი (ხანძთ. 69,10); მიქსნა მე პირისაგან ირმისა და მკლავთაგან დათვსათა (I მეფ. 17,37).

მ-კლ-ავ-ის შესატყვისია მეგრულში კვლ-ეჰკილ-ეჰკი-ე 'მკლავი'. პროფ. გ. როგავას ვარაუდით, კილე—კვლე—*კულე. ქართული მკლავ უნდა იყოს მიღებული *(მ)კალ-ავ- ფორმიდან. კვლჰკილ-ე ფუძის -ე ელემენტი ქართული (მ)კლ-ავ სიტყვის -ავ სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტია⁷⁵. ცირა დო მუში ქომონჯი ართი ონჯუას კვლე მუკოდვალრო გილეეშეს... (ყიფშ. 64.23) „ახალგაზრდა ქალი და მისი ქმარი ერთ საღამოს მკლავგაყრილი დადიოდნენ“. ქანური კლავეფე 'მკლავები' ქართულიდან ნასესხები ჩანს:

⁷⁵ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, 1962, გვ. 59.

ყალი ქართალი სქანის გილაგიდვატი გინძე კლავეფე ჩქიმი! (ყიფშ. კ. ტ. 24,23) „შენს ქალღღივით ყელზე ჩამოგადებდი ჩემს გრძელ მკლავებს“.

იდაყვ 'ნიდაყვი, მკლავთ სადრეკი (საბა), სახსარი': ვაჲ რო-მელნი შეაკერვენ სასთაულსა ყოველსა ქუეშქ იდაყუსა კელისასა (ეზექ. 13,18); ფარისეველთა და ყოველთა ჰურიათა უკუეთუ არა იდაყვთან დაიბანნიან კელნი, არა ქამიან (მრკ. 7,3); იდაყუნი უქ-მნნა ვეცხლისანი სუეტთა მათ (გამოსლვ. 38,20).

იდაყუ- ფუძის შესატყვისია ქანურში დურყ-უ||დუყუ||ხეშ-დიუ || ხე დუღი 'იდაყვი', მეგრულში დუყ-ი 'იდაყვი' (შდრ. ლექსიკ. გვ. 59).

ქართულში სიტყვის ძირია -დაყ-, რომლის შესატყვისად ზანუ-რში მოსალოდნელი ***-დოყ-** გვაძლევს -დუყ- ფუძეს. ქანურში ყ-ს წინ ფონეტიკურად განვითარდა რ, მეგრულში კი ყ→რ: დუყ-ი→დუქ-ი. ქანური -დიუ და -დუღი⁷⁶სთვისაც ამოსავალია დუყი. პირ-ველი ყ-ს რეფლექსის დაკარგვითაა მიღებული, მეორე კი ყ³ს გამ-უღერებით. არც დაყ- ფუძეა მარტივი. ბა-ყვ-, ყვ-ლ-ივ- ფუძეებ-თან შეპირისპირებით -ყვ- ძირი გამოიყოფა⁷⁶.

დლაყვ-თან გაიგივების საფუძველზე ფ. ნაისერი ლ თანხმო-ვანს ამოვარდნილად მიიჩნევს იდაყვ- სიტყვაში (§ 57).

ნებ-ი „ხელის სიბრტყე შინაგანი“ (საბა), 'ხელის მტევანი შიგ-ნიდან, ხელის გული (თითებითურთ)': იხილა ღრუბელი, ვითარცა ნები კაცისაჲ ზედა სუეტსა მისსა ზეცით მომავალი (ტიმ. ანტ. 88,21); აჰა მცირე ღრუბელი, ვითარცა ნები კაცისაჲ, რომელსა აღ-მოაქუნდა წყალი ზღვთ (III მეფ., 18,44); რომელმანმცა დადვა ნები თვისი მკლავსა ზედა დაქყლემად მისა (კიმ. I, 139,15); რაჲ-იგი უპყრიეს ნებსა შინა ღმრთეებისა თვისისასა (კაც. აგებ. 210,5); მო-ილო ლოდი იგი და დაიდვა ნებსა ზედა თვისსა (ქრისტეფ. 196,12,21); მოილო ნაკუერცხალი და დაიკრიბა ნებსა ზედა მარჯუენესა შიშუ-ელსა (ცხ. შიო და ევაგრ. 223,20); ორითავე ნებითა აიქუა ეპიფანე და დასუა იგი სარბიელსა აქლემსა (იოვ. ხუც. 101,1); მოვიდეს დაფლვად მისა და არა პოვეს მისგანი გარნა თხემი ხოლო და ფერ-ქნი და ნებნი კელთა მისთანი (IV მეფ. 9,35); შემდგომად მცირედ-

⁷⁶ ქ. ლომთათიძე, გაქვავებულ გრამატიკულ კლასნიშანთა საკითხისა-თვის აფხაზური ენის სახელის ფუძეებში. აკად. მოამბე, ტ XXVI, №1, 1961, გვ. 116.

თა დღეთა კორცი თითთა და ნებთა მისთაჲ მოსცკვა (კიმ. I, 317,23): კელთა მისთა ათნივე თითნი ნებთა მისთა ზედა დაჰკრნა (ხანძთ. 54,8).

მნიშვნელობის გადახრის საინტერესო შემთხვევაა კონტექსტში: სოფელი. ესე ყოვლითურთ ნებსა შინა თუალისასა დამტკიცებულ არს (კაც. აგებ. 210,1).

ნებ- ფუძე სვანურში დაცულია სიტყვაში ნებ-პრ (უშგ.) 'ხელთათმანები', -პრ კი მრავლობითი რიცხვის სუფიქსია.

თით-ი 'ადამიანის კიდურების (ხელის ან ფეხის) თითოეული ხუთ ბოლო ნაწილთაგანი': დაწოს თითი მღღელმან მან სისხლსა მას და აჰკუროს სისხლისა მისგანი შვდ გზის თითითა თვისითა (ლევ. ვიტ. 4,6); თითისა საჩუენებელ ყო ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მტერი იგი ყოვლისა სოფლისაჲ (აბო 71,35); თქუენ ერთითაცა თითითა თქუენითა არა შეახით ტვრთსა მას (ლ 11,46); თაყუანისსცეს მათ, რომელ ქმნეს თითითა (ესაია 2,8); სული წმიდაჲ ვითარცა თითითა უჩუენებდა და ეტყოდა (კიმ. I, 256,33); ხოლო მათ თითითაცა ერთითა შეძრვად არა ჰნებავნ იგი (მ 23,4); ღირს იქმნა იგი მოღებად ფიცართა მათ შჯულისათა თითითა ღმრთისაჲთა დაწერილთა (ბოლნ. 5,7); გამოჩნდა კელი კაცისაჲ თითითურთ. და წერდა (დანელი 5,5); კელთა მისთა ათნივე თითნი ზედა დაჰკრნა (ხანძთ. 54,8); წარკდეს თითნი მტარვალთანი მათ კოჭითგან და დამოეკიდნეს თითნი იგი თმათა მის წმიდისათა (კიმ. I, 146,19); დავასხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამშუალთასა (ი 20,25); თითნი კელთა მისთანი და ფერკთა მისთანი ექუს ექუს რიცხვთ კ'დ (II მეფ. 21,20); არცა თუალნი საქმარ ხედვად და არცა ცხვრნი უკუნ საღებელად აერისა და არცა თითნი კელთანი საქმედ (სიბრძნე სოლ. 15,15); კორცი თითთა და ნებთა მისთაჲ მოსცკვა (კიმ. I, 317,23); ვიხილნეთ ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი (სინ. 136,30); სცხო ყურის ძირსა მარჯუენესა აპრონისსა და მწუერვალთა თითთა კელისა მარჯუენისათა და მწუერვალთა თითთა ფერკისა მარჯუენისათა (ლევ. ვიტ. 8,23); წამს უყოფნ თუალითა და აუწყებნ ფერკითა და მოასწავებნ ხრითა თითთაჲთა (იგავნი სოლ. 6,13).

ქართული თი-თ-ი რედუპლიცირებული ფუძეა. მარტივი ძირია -თ-, რომელიც ზანურშიც მეორდება: კი-თ-ი. ზანურის კი- ელემენტს უკავშირებენ სიტყვა აკა 'ერთი' (აფხაზ. აკვ 'ერთი') (შდრ. ლექსიკ. გვ. 61). კ. ჰ. შმიდტი ქართულ ვარიანტს მეგრულისაგან ასიმილაციით განვითარებულად თვლის (გვ. 114). ჰან.: კითის მაწ-

კინდი-ნა მოძიტუ, ბოზოქ გამოწკერენ (ყიფშ. კ. ტ. 17,33) „თითზე რომ ბეჭედი ეკეთა, გოგოს მოუხსნია“; მეგრ.: ათე მარწკინდი ხეთე მარძგვანი ხეში კითის ქგმაავია (ყიფშ. 83,20) „ეს ბეჭედი მაშინვე მარჯვენა ხელის თითზე გაუკეთო“.

ცმრი 'დიდი თითი': მონაგები და სიმდიდრე დაუდგრომელ არს და ეგრეთვე სიგლახაკე, არამედ ორნივე ცერსა ზედა დგანან გარდაქცევად (ბალავ. 164,28); სხუანი ეკიდნიან ცერითა ფერკთა მათათათა (კიმ. II, 107,36);

ეს ფუძე ასევეა სვანურშიც, მეგრულში კი გვაძლევს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს ჩანჯ-ი (შედ. ლექსიკ. გვ. 61).

წპრთბ 'მანძილი იდაყვიდან თითის წვერამდე': აქუნდა კელსა მის კაცისასა ლერწამი საზომით ექუს წყრთა წყრთითა და ციდ ერთ (ეზეკ. 40,5); წარილო ნაბუზარდან ათრვამეტ წყრთა სიმალლშ ერთისაჲ მის სუეტისაჲ (IV მეფ. 25,17); დადგა ხარისხსა მას ქუეყანით აღმორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა (მოქც. ქართ. 141,35); დაარღვა ზღუდლშ იგი იერუსალშმისაჲ ბქითგან ეფრემისით ვიდრე ბქედმდე კიდისათა ოთხას წყრთა (IV მეფ. 14,13); ჰქმნე ტაბლაჲ ოქროჲსაჲ, ორ წყრთა სიგრძლშ მისი და წყრთა ერთ სივრცლშ მისი და წყრთა და კერძო სიმალლშ მისი (გამოსლვ. 25,22); ვინ უკუე თქუენგანი ზრუნვიდეს და უძლოს შეძინებად ჰასაკისა თვისისა წყრთა ერთ? (ლ 12,25); დამოეკიდნეს ალყენებულად ქუეყანისაგან ვითარ სამით წყრთით ოდენ (სინ. 66,27); ესე საზომი არს საკურთხეველისაჲ მის წყრთითა წყრთა და ციდ წიაღად ღრმა წყრთადმდე (ეზეკ. 43,13); წყრთებით განზომა არს, რაოდენსა წყრთასა მოცინალოს წყალმან (ელ. ზღაპრ. I, 19).

წყრთა'ს უკავშირდება სვანური ჭითხ'მანძილი იდაყვიდან ცერისა და საჩვენებელი თითის გასაყრისადმე' (მაგ. ბაწარს რომ მოთოკავენ). ამავე ძირს ეყრდნობა ნა-ჭთხ-ე 'ერთი მკლავი' (შეშა, თივა...). წ—ჭ კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობაა. რ ქართულშია განვითარებული. -ა სუფიქსის მიზეზით ქართულში შესაძლოა ხმოვანი იყოს შეკუმშული, რომელიც სვანურშია დაცული. მეგრულში კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ჭყი(რ)თა. ყ ქართულ-ზანურში და სვანურის ხ ქმნის ჰარმონიულ კომპლექსებს.

ფუძეები პირველად ს. ყლენტმა შეადარა⁷⁷. განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. სონანტთა სისტ. გვ. 96.

⁷⁷ ს. ყლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949, გვ. 131.

მტკაველ-ი 'მანძილი ცერისა და ნეკის წვერებს შორის': გ(რ)ძილი გარემო ბაკოთა მისთა მტკაველ ერთ (ეზეკ. 43,13); სი-მალღშ მისი ოთხ წყრთა და მტკაველი (I მეფ. 17,4); დადვა ბალა-პვარად კარსა დასავალისასა, რომელ არს მცირედლა უნაკლულე-ვანეს ათერმეტისა მტკაველისა (აბუს. ტბ. VIII, 72); ვინ აღწყნა პევშითა თვისითა წყალნი. და ცაჲ მტკაველითა თვისითა. და ყოველი ქუეყანაჲ ცილითა თვისითა (ესაია 40,12); განზომნა ცანი მტკაველი-თა თვისითა (კიმ. I, 182,24): სილიდე ქუეყანისა მტკაველითა გასაზო-მლად უჩნდა (ვისრ. 72,25);

მ-ტკავ-ელ'ს შეესატყვისება ქანურში მ-ტკო||მ-ტუ მეგრულში ტკუ-||ტკუუ||ტკოუ (შდრ. ლექსიკ. გვ. 75). მეგრ.: ართი ტკუ ქო-მიძინი (ბერიძე, 60,24) „ერთი მტკაველი მოიმატე“.

მ- ფონეტიკური დანართია ქართულსა და ქანურში, -ელ დე-ტერმინანტი სუფიქსია, ძირია -ტკავ- ქართულში, ზანურში კი — -ტკოუ- (შედ. ლექსიკ. გვ. 75). სვანურ კამჯლ'თან შეპირისპირებით კ. ჰ. შმიდტი ტ-საც არ მიიჩნევს ძირეულად (გვ. 125).

ციღ-ი 'მანძილი ცერისა და საჩვენებელი თითის წვერებს შო-რის': აქუნდა კელსა მის კაცისასა ლერწამი საზომით ექუს წყრთა წყრთითა და ციდ ერთ (ეზეკ. 40,5); ესე საზომი არს საკურთხევე-ლისაჲ მის წყრთითა წყრთა და ციდ წიალად ღრმა წყრთადმდე (ეზეკ. 43,13); აქმნე მას გვრგვნი ცილით ერთით გარემო (გამოსლვ. 25,24); ვინ აღწყნა პევშითა თვისითა წყალნი. და ცაჲ მტკაველითა თვისითა და ყოველი ქუეყანაჲ ცილითა თვისითა (ესაია 40,12).

ახალ ქართულში ციდ- ფუძე -ა სუფიქსით იხმარება: ციდა- ეს ფუძე დასტურდება ქანურში მ-ციდა'ს, მეგრულში კი ცინდა'ს სახით. ქანურში მ- და მეგრულში -ნ- ფონეტიკურადაა განვითარე-ბული (შეად. ლექსიკ. გვ. 75).

უმართებულოა *მციდა- ფორმის აღდგენა ამოსავალში გ. კლი-მოვის მიერ (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 141). ჯერ ერთი, -ა სუფიქსი გვი-ანდელი დანართია⁷⁸, მეორე. არც მ-ს სიძველეს უკერს მხარს ძვე-ლი ქართული.

პევეშ-ი||პეშ-ი 'ორივე კელი რა მოხაროს ჭურჭელსავით' (საბა): ვინ აღწყნა პევშითა თვისითა წყალნი. და ცაჲ მტკაველითა

⁷⁸ მსგავსა შემთხვევების შესახებ ძველ ქართულში იხ. აღ. მანჯალაძე, ა-ხმო-ვაჩუე დასრულებულ ზოგი სახელის ფუძის აგებულებასათვის ქართულში, კრებ. „სახელის სიტყვების ისტორიასათვის ქართველურ ენებში“, I, 195წ, გვ. 171 — 186.

თვსითა (ესაია 40,12); აღილო პეშვთა თვსითა იფქლი (კიმ. I, 274, 13); მაშინ ფილობანის აღივსნა ორნივე პეშვნი თვსნი ქვშითა (ლი- მონ. 70,1).

მჰმლ-ი 'პეშვი': რომლისაგან არა განივსის მქელი თვსი მომ- კალმან და არცა მქარი, რომელნი შეპკრებენ მქელეულეზსა მათსა (ფსალმ. 128,7); აღილოს მისგანი სავსე მქელი სამინდოასა მისგან ზეთითურთ და ყოველივე იგი გუნდრუკი მისი (ლევიტ. 2,2); უმ- ჭობეს არს მქელი სავსე განსუენებით უფროეს სავსეთა ორთა მქელთასა შრომით და კლომით სულსადათა (ეკლ. 4,6); მოდიოდეს ვითარცა ნაკადულნი ცრემლნი თულათაგან მისთა. და დაიპყრობდა მქელითა და აღაფრქუევედა ცად (კიმ. I, 141,8).

მქელ- ფუძიდანაა ნაწარმოები სიტყვა მქელე-ულ-ი 'ქელეული ყანისა' (საბა): არა იპოვების პური, არცა მქელეული, არცა მდელი (სინ. 129,5); მოიძკო მქელეული. იფქლისადა ნაყოფი უბიწოა (ალა- თანგ. 233, II, 8).

მჯილ-ი 1. თითებმოხრილი ხელი სითხის ან ფხვიერი ნივთიე- რების დასაპერად, მუჭი. პეშვი: რომელთა-იგი ყოველთავე გამო- წულილვით წარმოთქემა სწორ არს ლელვათა უფსკრულისათა აღრიცხუვისა, ანუთუ მჯილითა წყალთა ზღვსათა გარდაწყვისა (ექუს. 81,23);

2. თითებმოქული ხელი, მუშტი. „უკუეთუ ნეკის მხარე დაპ- კრა, ეწოდების მჯილი“ (საბა): მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყა- ლოდ (შუშ. 17,9); გუემეს ნეტარი იგი ყურბლის-ცემითა და მჯი- ლებითა და ქუსლებითა (კიმ. I, 84,5).

გვხვდება მჯილუი, ჭილუი ფონეტიკური ვარიანტებიც: მჯილუ- ითა მკერდსა იღებებდა (ვისრ. 196,17); ორისავე ჭილუითა პირი და მკერდი ლილის ფერად გაიკადა (ვისრ. 53,15).

ქანურში გვაქვს მჯიხი||ნჯიხი 1. პეშვი, 2. მუშტი: ვალიშა ქო- მებთუ, მჯიხის ლირაფე გებლერი (ყიფშ. კ. ტ. 16,2) „ვალისთან მი- ვიდა, პეშვში ლირებ-დაყრილი“; ნჯიხი გეჩუ კაქარის (ქან. ტ. II, 35,23) „მჯილი დაპკრა ლურსმანს“; მჯიხი გეჩუ თის (ქან. ტ. II, 38,28) „მჯილი დაპკრა თავზე“; მეგრულში გვაქვს ჭიხი. ზანური ხ ღ'ს დაყრუებითაა მიღებული. მ- (resp. ნ- ქანურში) ფონეტიკური დანართია. ძირია -ჯილ- (შედ. ლექსიკ. გვ. 62). საბა ადასტურებს ამ ძირის სისინა ვარიანტს ქართულში: მძილ-ი. გ. კლიმოვი ანლა- უტში მ-ს ძირეულად თვლის (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 142).

კვრთ-ი, კურთ-ი 'მჯილი, მუშტი': კვრთითა ჰსცემდეს თავსა მისსა და რომელნიმე ყურთმალსა ჰსცემდეს (მ. 26,67); იწყეს ვიეთმე... კვრთითა ცემად მისა (მრკ. 14,65); სხუამან კურთითა შემუსრა და სხუამან მდოგვ შთაუსხა ცხვრთა (სინ. 207,13); სცემდა კვრთითა თავსა მისსა (ეცტ. მცხ. 41,9).

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ს. კაკაბაძისეულ გამოცემაში მზ. ანდრონიკაშვილი ადასტურებს ხურდ-ი⁷⁹ ვარიანტსაც და იმავე ფუძისად მიიჩნევს, რაც გვაქვს სიტყვაში ხურდა და ირანულ ნასესხობად თვლის; სიტყვის მნიშვნელობას განსაზღვრავს, როგორც 'ნაგლეჯი, ნამტვრევი, წვრილმანი რამ⁸⁰. ჩვენთვის ცნობილი კონტექსტები ასეთ გაგებას არ გამოორიცხავს, მაგრამ მაშინ გაურკვეველია მიმართება ამ სიტყვის მნიშვნელობის ტრადიციულ ინტერპრეტაციასთან.

ფერგ-ი 'ადამიანის ქვედა კიდური': შეუბრკუმა მას და შთამოიჭრა ქუეყანად და აღმოვარდა ფერკი მისი (ლიმონ. 101,28); მკლავითა მათითა აღვიპყრან შენ, რადთა არა წარსცე ქვასა ფერკი შენი (მ. 4,6D); უკუეთუ ფერკი შენი დაგაბრკოლებდეს შენ, მოიკუეთე იგი (მრკ. 9,45); თუალი ვიყავ ბრმათაჲ და ფერკი მკელობელთაჲ (იობ. 29,15); ნუ ვინ ფერკსა მიცემნ მე ქურივსა და დავრდომილსა (ბარუხ. 4,12); არამედ ფერკისა წუერითა შეეხო (სინ. 212,11); დაამდაბლის, რომელი ადამაღლის, ვიდრემდის ფერკის საცემელ ყვის მტერთა მისთა (ბალავ. 7,29); უმჯობეს არს შენდა მკელობლისა შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერკითა შესლვად გეჰენიასა (მრკ. 9,45); ესე მეუფე, რომელსა... ჰქონან... სიმრავლე ეტლთაჲ და მკედართაჲ, ესე ქუემთ ფერკითა მივიდის საფლავსა მას მონადირისა (მამ. სწ. 87,30); თვისითა ფერკითა მკლდომარე, ეკლესიად მიიწია (აბუჯ. 39, XVI,13); დათრგუნის ფერკითა და მოკლის (სახისა სიტყ., 42,17); იგინი სცემდეს და ფერკითა დაითრევდეს (კიმ. I, 205,30); სხუაჲ კელით და ფერკით დაჭრილი იღვა (სინ. 268,9); დასდვა იობს წყლულებაჲ ბოროტი ფერკითგან ვიდრე თავადმდე (იობ. 2,7); უფსკრულსა ზედა ფერკივ მგლეელი (დიო VII, 179,29); ფრკივ ევლტოდენ მძლეველთა (ორენტ. 312,10); დიდისა ზედგომისაგან ლოცვათა შინა ვნებულ იყვნეს ფერკნი მისნი (კიმ. I, 129,5); მეყსეულად განემტკიცნეს ფერკნი მისნი და კოჰნი

⁷⁹ საისტორიო კრებული, წიგნი III, 1928, ეცტ. მცხ. 90, 11.

⁸⁰ მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 409.

(საქმე მცქ. 3,7); დაიწყვნა კელნი და ფერკნი თვსნი და შეისუენა (სინ. 272,4); აღიხუნა ფერკნი თვსნი ცხედრად (დაბ. 49,33); ფერკთა ასწავის სლვად (სინ. 113,18); დაადგრა მდგომარჳ ზედა ფერკთა თვსთა, ვიდრე განთიადმდე, ყოვლადვე დაუჯდომელად (აბო 71,10); დადვა ფერკთა თანა მოციქულთასა (საქმე მცქ. 5,2); შეუფრდა ფერკთა მისთა (მრკ. 5,22); დამიდვა ბადჳ ფერკთა ჩემთა (გოდ. იერ. 1, იგ); ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თვნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერკთა შესასხმელთა (ლ 22,35); დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა (მ 22,44); ყოველივე ქუეშე ფერკთა მისთა დაამორჩილა (კიმ. I, 50,17); მოართუა მას წყალი ფერკთა საბანელად (დაბ. 24,32); წარმართებად ფერკთა ჩუენთა გზასა მშვდობისასა (ლ 1,79); კუარცხლბერკი არს ფერკთა მისთაჲ (მ 5,35); სანდალნი წარიკადენ ფერკთაგან შენთა (ესაიამსი 20,2); განიყარეთ მტუერი ფერკთაგან თქუენთა (მ 10,14); სლვანი ფერკთანი შეურღვნის (სინ. 113,5); გუემეს ნეტარი იგი ყურიმლის-ცემითა და მჯიღებითა და ქუსლებითა. ვიდრე სრულიად მოაძღურეს, თავით-გან ფერკთამდის (კიმ. I, 84,6).

ფერკ- აქტიური ფუძეა ძველ ქართულში. გავრცელებულია მისგან ნაწარმოები სიტყვები:

განფერკულ-ი 'შებოქილი, შეფერხებული': ხოლო უკუეთუ ყოვლად-ურჩად პოვედ იგი და ყოვლითა ღონითა წარუტყუენველად. იგი ვიდრემე მყის განფერკულ ყვედ და ცხორებით განიყვანენ (თეოდ. განგრ. 293,10).

განფერხულობა-ჲ 'შეჩერება; შეფერხება'; ელინურისა კერპთ-მბორგელობისა განფერკულობასა და სრულიად განქარვებასა (ევს. სამოსატ. 140, I,5).

განმფერკველმყოფელი: მუნ უკუე დიდთა ამათ სარწმუნობასა წინაბრძოლთა განმფერკველმყოფელმან უცხოქმნილმან მეორე ღუაწლი ყო (თეოდ. განგრ. 300,13);

საფრკე: განერე ვითარცა ქურციკი საფრკესა და ვითარცა სირი ირეჳსა (სინ. 226,4).

უფერკო: უფერკონი მქართა ზედა მოიხუნიან (იერ. ებისტ. 25).

ოთხფერკ-ი: რაჲ არს ღომისა უბოროტჳსი ოთხფერკთა შორის (სინ. 213,7).

ფერკჩაცთუმილ-ი: ტიალსა ადგილსა შთასაქრელად განმზადებულთა კაცთა და ფერკჩაცთუმითა აღმოყვანებით ქსნანი (აბუს. ტბ. XX, 152).

ფრკიობა: ვითარ ყოვლად საკუთარი შენი პეტრე, თხემი მოწაფეთა შენთაჲ, ფრკიობად ღელვათა ზედა განმშხადი (ორენტ. 321,1).

ფერკ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი უნდა გვქონდეს დაცული სვანური ენის უშგულურ თქმაში ბწრკ 'ნაბიჯი' სიტყვის სახით. აქედანაა ნაწარმოები ნაბწრკუ 'გადანაბიჯები'. სვანურში ამჟამად გავრცელებულია ბწკ- ფუძე, რ თანხმომვანდაკარგული (შდრ. ძვ. ქ. ფერკი>ქ.: ფეხი): ეჩითან აგის ხვარდად, ერე ეშხუ ბწკ ჰავე ქა ლანბწკან, მვგ ჩუ ხვიდშეაოლდ, ეშდგორი მწრე (სვ. ტ. I, 34,14) „ისეთ ადგილზე ვიყავით, რომ ერთ ნაბიჯს თუკი გადავბიჯებდით, ყველა დავშავდებოდით, თორმეტი კაცი“.

ეგვეე ფუძე რომ მეგრულშიც იხმარებოდა, ამას მოწმობს ლაბახ-უ (გვარი ლაბახუა), ქართ. ლა-ბახ-ო 'ალაგე, ღობეზე გადასასვლელი' სვ. ბწკ, მეგრ. ბახ- და ქართ. ფერკ- ფუძეების შედარება ეკუთვნის პროფ. ვ. თოფურიას⁸¹, ქართულში ფ- მიღებული უნდა იყოს ბ-ს დაყრუებით: შდრ. სა-ბრკ-ე 'მახე' (ზედმიწვევით: სა-ფერკ-ე), ხევს.: ე-ბეკ-ე-ბ-ა 'აცაბაცად დადის': გამომიყვანე მე საბრკისა მისგან, რომელ დამირწყეს მე (ფსალმ. 30,5).

ბარკალ-ი 'ფეხი თედოს სახსრიდან მუხლის თავამდე': დაიდგნა მუტლნი თვსნი ქუეყანასა ზედა და დაადგრა წელიწადსა სრულიად ეგრეთ ვიდრემდის მოჰლბა ბარკალი მისი და დაეკრა წვევი მისი წყვლთა მისთა (კიმ. I, 231,35); შხარეულმან მან მოართუა ბარკალი ერთი კუთითურთ (I მეფ. 9,24); თითოვეუღად მახვლი ბარკალსა მათსა (იბ. თარგმ. ქბ. 27,5); შეახო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბუშა ვრცელი ბარკლისა იაკობისი ბრძოლასა მას მის თანა (დაბ. 32,25); იგი კელობდა ბარკლითა მით (დაბ. 32,31); ერთი მათგანი გუემულ იყო ფერკითა ბარკლითგან მისით და კელობდა იგი ფიცხლად (კიმ. I, 244,30); დაყროლდა წყლული იგი მისი და მოჰშქამა ფერკი მისი ვიდრე ბარკლადმდე მისა (ლიმონ. 102,5); ხატი რომლისა თავი მისი ოქროხსა წმიდისაჲ, კელნი და მკერდი და მკლავნი მისნი ვეცხლისანი, მუცელი და ბარკალნი რვალისანი და წვენი რკინისანი; ფერკნი რომელიმე ზოგ რკინისაჲ და ზოგ-კეცი-საჲ (დანიელ 2,32); განავლინენ ბარკალნი შენნი ყოველსა თანაწარმავალსა გზისასა (ეზეკ. 16,25); იყვნეს კელნი მისნი შედრევილ და ფერკნი მისნი დაკრულ ბარკალთა მისთა (კიმ. I, 288,6); ყოველთა [უბყრიათ] მახვილი კელთა, წრთვილნი ღვაწლსა, კაცად-კაცადსა

⁸¹ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებდან, IV, ხმ. ენათვისარაოვანი სახელგბრ. თსუ შრ., XXX—XXXI b, 1947, გვ. 452.

ბარკალთა თანა, შიშისათვის ღამისასა (ქბ. ქბ. 3,8); ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთა და ღვძლის ყურნი იგი თირკუმლითურთ მოჰქადოს (ლევიტ. 3,10).

სიტყვის ძირია ბარკ-, რომლის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია მეგრული ბორკ-ი, -ალ ფუძის დეტერმინანტი სუფიქსია. -ალ სუფიქსის გამოყოფას ქართულში მხარს უჭერს, აგრეთვე სიტყვები: ბრკ-ოლ-, ბრკ-უმ-, ბორკ-ილ: იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს (ფსალმ. 19,9); უბრკუმეს ღათუ მართალსა, არავე დაეცეს (ფსალმ. 36,24); არა შემბრკუმენ სღვანი ჩემნი (ფსალმ. 16,5). ეგვევი ძირი უნდა გეჰონდეს სღვანურ სიტყვებში ბორკჷ||ბარკჷ 'კაჷკა, მრუდე ფეხებიანი', ბრიჷ 'ნაბიჯი', პროფ. ვ. თოფურიამ ბარკალფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი გამოავლინა სიტყვაში ღვძრკლამა 'წვივშიშველი'⁸². ქართული და მეგრული მასალა შეადარა ნ. მარმა⁸³. პროფ. გ. როგავა ბა-რ-კ-ალ- ფუძეს უკავშირებს ზანურში ბუ-რ-გ-ულ- მუხლი ფუძეს, სადაც მუხლის, ფეხის გამომხატველ ძირად გამოყოფს რეფლექსებს -გ-, -კ-, -ქ- ძირებს⁸⁴.

ბარბალ-სხვლ-ი 'ბარძაყი'. საბა ასახელებს ფორმას **სხვილ-ბარკალი**: „ესე არს მუქლის ზედეთ თეძომდისი“. **ბარკალ-სხვლ-ი** და **სხვილ ბარკალ-ი** პარალელური ფორმებია: დაფარა პირი მისი ცმელსა თვისსა და ქმნა საყელჳ მისი ბარკალსხვლით (იობ. 15,27); განვლო წყალი იგი წყალი ვიდრე ბარკალსხვლადმდე (ეზეკ. 47,4); იაკობ ფიცით ბარკალ სხვლთა თვისთა ზედა დადებად სცემდა ქელთა იოსებისთა (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 27,103); რომელნი მახვლსა ბარკალ სხვლთა შებმად შემძლებელ არიან (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 27,83); არა თუ ძალი ცხენისაა უნდა უფალსა, არცა ბარკალსხვლნი გმირისანი სთნდეს მას (ფსალმ. 146,10, Ⴀ რედაქ. სხვლბარკალნი); პოვნეს თავნი ნეტართანი მათ ცოცხალნი და მკლავნი და ბარკალსხვილნი და სხუაჲ იგი ყოველი მიწად გარდაქცეულ იყო (პოვნ. 87,17).

რადგან ბარძაყის აღსანიშნავად **ბარკალ-** სიტყვისათვის საჭირო შეიქმნა **სხვლი** განსაზღვრების დამატება, შეიძლება ვივარაუ-

⁸² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართულურ ენებში, V, ენმკი-მოამბე, X, 1941, გვ. 233.

⁸³ Н. М а р р, Из поездок в Сваншию, გვ. 27.

⁸⁴ გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართულურსა და აღი-
ლურ ენებში, იკე, 1, 1946, გვ. 10.

დოთ, რომ მისთვის თავდაპირველი არაა ბარძაყის მნიშვნელობა, არამედ იგი, მეგრულივით, საერთოდ ფეხს აღნიშნავდა⁸⁵ ამდენად, ბარკალ-სხვლი=მსხვილი ფეხი=ბარძაყი. არაა გამორიცხული, ძვ. ქართულშიც ზოგ კონტექსტში ბარკალ სიტყვა გააზრებულ იქნეს ფეხის სინონიმად.

პრცელი ბარკლისა-მ 'ბარძაყის კუნთები': შეახო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბუშა ვრცელი ბარკლისა იაკობისი ბრძოლასა მას მის თანა (დაბ. 32,25); ამისთვის არა ჭამიან ძეთა ისრაჴლისათა ძარღვ იგი, რომელ დაუბუშა, რომელი არს ვრცელსა ბარკლისასა, ვიდრე დღენდელად დღედმდე, რამეთუ შეახო ვრცელსა ბარკლისა იაკობისსა, რომელ დაუბუშა (დაბ. 32,32).

მუჴლ-ი 1. წვივისა და თედოს ძელების შემაერთებელი სახსარი: მცირე კოკი მოკიდებულ არს ფერკთა პილოჯსათა, და არცა სადრეკელი აქუს და არცა მუკლი (ექუს. 110,33); ყოველი მუკლი მისა მოდრკეს (სინ. 148,6); ჩემდამო შედრკეს ყოველი მუკლი (ესაია 45,23); იყო ფერკი მისი მუხლითგან დაქსნილი ვიდრე ქუსლადმდე მისა (კიმ. I, 290,29); მოიდრიკნა მუკლნი თვსნი და დაღვა შუბლი თვსი მიწასა ზედა (ტიმ. ანტ. 117,29); არა მოუდრეკიან მუკლნი მათნი ბაალისა მიმართ (III მეფ. 19,18); ანუ რაჲსათვს შემემთვნეს მუკლნი ამქუმელთა ჩემთანი, ანუ რაჲსათვს ძუძუთა განმზარდეს მე? (იობ. 3,12); მუკლნი ჩემნი მოუძღურდეს მარხვითა (ფსალმ. 108,24); გულის-სიტყუანი მისნი შეაძრწუნებდეს მას. და შემტკიცებულნი იგი წელთა მისთანი დაჰქსნდებოდეს. და მუკლნი ერეკებოდეს (დანიელი 5,6); მუკლთა უძღურთასა კურნება-ეცა (იობ. 4,4); შეუვრდა მუკლთა იესუჯსთა (ლ. 5,8); აღმადგინა ნე მუკლთა ჩემთა ზედა (დანიელი, 10,10); დაისუა იგი დედამან თვსმან მუკლთა თვსთა ზედა სამხრადმდე (IV მეფ. 4,20); მოდრკა მუკლთა თვსთა ზედა წინაშე ელიაჲსა, ევედრებოდა მას (IV მეფ. 1,13); ვიხილნე ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუკლთა ზედა (მოქც. ქართლ. 123,21); დაღვა პირი მისი შორის ორთა მუკლთა მისთა (III მეფ. 18,42); წელთა სიმრავლითა დადრეკელ იყო ზურგი ფრიად ვიდრემდის თავი მისი მუკლთა შუა ჩაჩრილ იყო (კიმ. I, 211,26); ვითარ შეუენიერ არს სლვაჲ შენი, ასულო ნადაბისო, ჟამიერად ქმნული მუკლთა შენთაჲ (ქბ. ქბ. ოშკ., 7,1); ზედგომაჲ და მუკლთა მოდრეკაჲ ფრიადი აქუნდა ნეტარსა

⁸⁵ როგორც აღადგენს აჲას გ. კლიმოვი. ეტიმ. ლექსიკ., გვ. 49.

მას (ხანძთ. 37,4); მარადის ლოცვითა მისითა იქმნა ტყავი მუკლთა მისთაჲ დაკანებულ ვითარცა მუკლნი აქლემისანი (სინ. 55,14); მუკლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის (ვისრ. 72,11).

2. ზოგიერთი მცენარის ღეროს ნაწევართა შეერთების ადგილი: მუკლებითა მოირტყმის წულაჲ იფქლისაჲ, რაჲთა, ვითარცა საკრველთა მიერ, ადვილად იტკრთოს სიმძიმე თავისაჲ (ექუს. 53, 11); იფქლი კორძებითა მით და მუკლებითა მოჰკრძალა ბუნებამან (ექუს. 53,15).

3. გადატ.: და აწ, მომდრეკელი მუკლთა გულისათა, ვკმობ (დ. აღმ. 520,27).

4. „მუკლად ითქმის ტაეპი“ (საბა): სვმიონ კმითა გალობისაჲთა წართქვს უკუნანასკნელი მუკლი იგი დავითის ფსალმუნისაჲ (კიმ. I, 235,14); იტყოდა მთავარ-დიაკონი იგი მუკლსა დავითისსა (მოქც. ქართლ. 86,22); უბრძანა ძმათა მათ დავითის გალობის მუკლთა ამათ წართქუმაჲ (ხანძთ. 7,24); საგალობელად მუკლისა მის ითქვს შემდგომად სიტყუაჲ იგი ნეტარისა მის ავაზაკისაჲ (აბო 73,4); პირველად აღვწერენ თავნი მუკლ-მუკლად (საქმე მცქ. 214, 23); დაესრულა მეორე კათოლიკე იოვანესი, მუკლი ვ, ხოლო თავნი ბ (კათ. ეპისტ. 94).

დაჩოქების მნიშვნელობით გვხვდება გამოთქმები მუკლ-დადგმა, მუკლთ-დაბნევა და იმუკლნა: მუკლ-დადგმით ილოცვიდეს (აბოკრ. 9,7); თაყუანისჰსცემდა ეზეკია მუკლ-დადგმით წინაშე უფლისა ღმრთისა (ესაია, 37,15); ჰლოცვიდა მათ მუკლთ-დაბნევით, რაჲთა მწრაფლ ღირს-ყონ იგი ნათლისღებასა (გულანდუხტ 213, 27); მირბიოდა ვინმე ერთი, იმუკლნა, ევედრებოდა მას და ჰკითხვიდა (მრკ. 10,17 c).

უმუკლო 'ის, რასაც მუხლი არა აქვს': ამისთვის არიან ფერკნი იგი მისნი მყარ, და უმუკლო, და შეყინულ-ნასხმანნი მისნი (ექუს. 111,6); ვინაჲცა სუდაჲ კნინ-ლა და უმუკლო არს, ვინაჲთგან არა აქუს სიმძიმე თავსა მისსა (ექუს. 53,13).

მუკლის-თავ-ი: აღილო ფერკი იგი და დასდვა წყლულსა მას ზედა და აგო ურთიერთას ნაწევარსა მუკლის-თავსა მას ზედა (კიმ. I, 149,32); მიყრასა მას მარჯუენისა ფერკისა მისასასა წარჰვარდა მუკლის-თავითგან ფერკი (კიმ. I, 149,8); მუნქუესვე სარცხვნელნი მისნი განუსივნეს და მიიწივნეს ვიდრე მუხლის-თავადმდე მისა (კიმ. I, 298,7).

ეგვემ მუქლ- ფუძე გვაქვს მეგრულში სიტყვაში მუხურ-ი 'კუთხე': ართი ქიყანასჲ, ართი სახენწიფოსჲ, ართი მუხურსჲ, ართი სოფერსჲ — ქოცოფე ართი ობოლი (კაც. 1,2) „ერთ ქვეყანაში, ერთ სახელმწიფოში, ერთ კუთხეში, ერთ სოფელში — ყოფილა ერთი ობოლი“.

სვანური მუხჷირ—მუხურ 'კუთხე' მეგრულიდან ნასესხები სიტყვა ჩანს, რადგან კ-ს ნაცვლად ხ ბგერა გვაქვს და -ურ სუფიქსი (შდრ. ვაშ-ლ—უშქ-ურ—ჷისგ-ჷ). ამდენად, თუმცა სვანური პარალელი არ მოპყავს, მართებულაა გ. კლიმოვის მიერ ამ ფუძის მიჩნევა საერთო ქართულ-ზანური პერიოდისეულად (გვ. 138).

სვანურ შესატყვისად კ. შმიდტი ასახელებს მარჯალ მრ. მარკლარ სიტყვას. აუხსენლად ტოვებს რ-სა და ვოკალიზმის საკითხს (გვ. 125).

წჷმ-ი 'ფეხი მუხლიდან კოჭამდე, — კანჭი, წვივი': შთაადგ მას დრონეული ყოველი დრონი კეთილი. წვევი და მქარი. გამოშვრებული ძუალისაგან (ეხეკ. 24,4); მოჰლბა ბარკალი მისი და დაეკრა წვევი მისი წყვილთა მისთა (კიმ. I, 231,35); განახლო კორცი ესე განრყუნილი წვეითურთ და იქმნე განახლებულ ყოვლითურთ ფერქსა მას შინა (კიმ. I, 290,33); ასხენ წვენი უზეშთაშს ფერქთა მისთა ხლდომად მით ქუეყანასა ზედა (ლევიტ. 11,21); ალიკრიბე კუბასტი შენი: გამოაჩინენ წვენი შენნი: წიალ-კედ მდინარეთა (ესაია, 47,2); წვენი მისნი მარმარინოხსანი, დამტკიცებულ ზედასადგომთა ოქროხსათა (ქბ. ქბ. 5,15); იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წვენი მისნი (ი 19,33); ეპიკტიტოს ფილოსოფოსსა შეეკრნეს წვენი მძლავრისაგან მაკედონელისა (ელ. ზღაპრ. III,14); სხუათანი განჭურიტნიან ბრჷალნი, და სხუათა დაუმუსმარნიან წვენი უროთა (კიმ. II, 107,35);

ტერფ-ი „ფერქის ქვეითი სიბრტყე“ (საბა) ადამიანის ან პირუტყვისა: იქმნების უკუშ უწყებაჲ ესე მათდა ქუშშეთ-კერძო ხონდროხს ტერფისა, რომელი „მახვლის-სახედ“ იწოდების (ნ. ემეს. 109,18); არლარა აღქდა ეტლსა ზედა, არამედ ტერფნი მისნი შიშუელნი მიწასა და ქვათა ზედა მოვიდოდეს (მოქც. ქართლ. 99, 36); უკბენდეს ტერფთა ცხენთასა (დაბ. 49,17); აღგვეკვა ქუემოჲ შენი განსაქიქებულად ტერფთა შენთა (იერ. 13,22); ტერფთაგან ცხენთასა განიჭრნეს კორცინი მისნი (გობრ. 173,34); ფერქნიმცა მისნი არა მოჰყფდებოდეს სიმაგრისაგან, რომელ არს სიმტკიცესა შინა ტერფთასა და ჭლაკთასა (კაც. აგებ. 153,4); არა აღჭურვილ

არს აღმოცენებითა რქათაჲთა და არცა ფრჩხილთაჲთა და არცა ტერფთაჲთა (კაც. აგებ. 152,11).

ძველ ქართულში გვხვდება ტერფ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები: ტერფმოსილ-ი, მხოლოტერფ-ი: ხოლო ებრაელთა გარდაცემაჲ ყოველსა ამის კაცისათჳს იტყჳს შექმნად, არამედ უფროჲს მისდა უმახლობელესთა ყოველთასა, ვითარ ტერფმოსილთა და ზროხათასა (ნ. ემეს. 18,9); ფრჩხილნი... საზოგადოდ აღასრულებენ მეკმარეობასა ფხანისასა,... ხოლო მრავალთა საშინებლადცა და სიმტკიცედ მაბიჯებლობისა ერთბამად მიეცნეს, ვითარ იგი ცხენთა და ყოველთა მხოლოტერფთა (ნ. ემეს. 124,22).

ტერფ- ფუძეს პარალელი მონათესავე ენებში არ ეძებნება.

ნახჭ-ი 'ტერფი': კაცთა ნახჭნი ფერკთანნი არა ოდეს თიჯიან ექმნებიან სლვასა მათსა (ხანძთ. 22,13); არღარა ნახჭი გამოტყფოლვილ და არცა ძელსა მეცნიერებისასა შეხებულ (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 25,58).

სიტყვას ნ. მარი სომხურ ნასესხობად თვლიდა, თუმცა თვითვე აღნიშნავდა სომხურ შესატყვისის ვერ ვპოულობო⁸⁶.

ბრჭალ-ი 'ტერფის ქვედა მხარე', «ქუსლით ვიდრე თითთა ფრჩხილამდე». აღვიდა სუეტსა მას ზედა რომელს აქუნდა სიგრძე ორმეოცი ბრჭალი კაცისაჲ (კიმ. I, 340,1); რომელი ჭამდა პურსა ჩემთანა, აღილო ჩემ ზედა ბრჭალი მისი (ი 13,18); ჯელი მისი მოხუეულ იყო ბრჭალსა ესავისსა (დაბ. 25,26); ბრჭალსა შებმა ეყო ესავისსა (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 2,162); დასწყივა მტერი, საკმლად სცა მტვერი, სთქვა: «ერთი თავსა და გველი ბრჭალსა!» (თამარიანი I, 37); ჯალა ცას ერქვევ, მოსრვით ასე ფქვევ, ბრჭალი ჰქმენ მათზედ მეოტმპყრობელი (აბდულმესია, 36,3); დაეტკებნონ ბრჭალითა ფერკთა ჩემთაჲთა ყოველნი მდინარენი სასტიკნი (IV მეფ. 19,24); განზომნა ცანი მტკავლითა თჳსითა, და ქუეყანაჲ ბრჭალითა თჳსითა (კიმ. I, 182,24); მსგავს აბესალომისა არა იყო კაც ქმნულ კეთილობით ისრაჴლსა შორის ქებულ ბრჭალითგან ფერკისაჲთ ვიდრე თავადმდე მისა არა იყო მისთანა (II მეფ. 14,25); განაძლიერნა იგინი საკუტრველითა მით ძლიერებისაჲთა ბრჭალადმდენითა მით (ისო ზირაქ. 45,10); ძიებასა მისსა აღასუბუქენით ბრჭალნი ფერკთა თქუენთანნი და გულს-მოდგინედ ისწრაფეთ მოგებად იგი (მამ. სწ. 188,28); თავი დაგონისი და ორნივე კელნი და

⁸⁶ Н. Я. Марр, ТР, III, 1901, გვ. LXVI.

ბრჭალნი მისნი მირდომილ იყვნეს გარნა გუამი ზოლო მისთა დაშ-
თომილ იყო ზღურბლთა ზედა (I მეფ. 5,4); მწირ იქმნედ იგინი და
დაეფარნედ, რამეთუ იგინი ბრჭალსა ჩემსა უმზირდეს, რაჟთამცა
უმზირდეს სულსა ჩემსა (ფსალმ. 55,7); განიცადენ უქმნი საკმლად
კეთილნი და მიმართე, ვიდრემდის ბრჭალსა შენსა კელთ უსხენცა
დიდ სანოაგედ მოქმედმან! (ბულმ. 389,ო).

დასტურდება ბჭალ- ფორმაც: პოვა ცხენი პილასოჲ, რომლი-
სათკს ითქემოდა ქონებაჲ ფრთეთაჲ და წყალი დამოსწყუეთდა
ბჭალთა მისთა (ელ. ზღაპრ. II, 8).

გვხვდება ბრჭალ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები:

ბრჭალამდის-ი 'სამოსი, რომელიც ადამიანს ბრჭალამდე სწვდე-
ბოდა': განეწესნეს მღდელნი იგი და ეცუა მათ ბრჭალამდისი იგი
ნოვაგითა და ნესუტკთურთ (II ეზდრა 5,81).

ბრჭალ-ფიცხელ-ი: შინაგან ბადეთა აქუს სანადიროჲ, ძალთა
მათ — კრავი იგი, მგელთა — ტარიგი იგი, მტაცებელთა, ბრჭალ-
ფიცხელთა — ტრედი იგი (ასტ. ამას., 228,35).

ბრჭალ-ფუძის შესატყვისებს მონათესავე ენებში ვერ ვადას-
ტურებთ. ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩი საერთო ქართველურისათვის ვარა-
უდობს *brč-al — ფუძეს და მას უკავშირებს ინდო-ევროპულ
*pers-nā, pers-ni 'ქუსლი, თეძო' და ურალურ per/s/λ 'tergum'
ფუძეებს⁸⁷.

ქუსლ-ი 'ადამიანის ტერფის უკანა მომრგვალებული ნაწილი':
მისცენით კამლნი ფერკთა მისთა, ნუუკუე (კუალად) პოოს გუელ-
მან შიშუელი (ქუსლი მისი) (ბოლნ. 40,4); იყო ფერკი მისი მუხ-
ლითგან დაქსნილი ვიდრე ქუსლადმდე მისა (კიმ. I, 290,29); გუე-
მეს ნეტარი იგი ყურიმლის-ცემითა და მჯიღებითა და ქუსლებითა
(კიმ. I, 84,5).

ქუსლ- ფუძეს უკავშირდება ქანურში ქუს-იქურ-იქუ-ი
'ქუსლი', მეგრულში — ქურს-იქურც-იქურ-ი 'ქუსლი; წიხლი':
ქან.: ქუსი გეჩია (ყიფშ. ჭ. ტ. 29,20); „ქუსლი ჩაარტყიო“; ა ჩქვა
ქუსი ქემონთხი, გჟული ჩქიმი? (მარი, 106,12) „ერთი სხვა ქუსლი
ჩამარტყი, ჩემო ვარდო“; მეგრ. მუკიფურიინუ ქურცი დო ქოზეპუ
(ყიფშ. 80,11) „მოიქნია ქუსლი და სთხლიშა“; მეურსგ დო ნაქური
ვა მიოხენი? (ცაგ. 84, XXV) „მიდის და ნაკვალევი („ნაქუსლი“)
რომ არ აჩნია?“.

⁸⁷ В. М. Иллич - Свитыч, Материалы... გვ. 342.

ქართულში ძირია ჭუს-, -ლ ფუძის დეტერმინანტი სუფიქსია. ზანურში შესატყვისად ივარაუდება *ჭუს-რ- ფუძე. მისგან მეტათეზისით უნდა მიგველო ჭურს-, რომელმაც მოგვცა ჭურც- ვარიანტი, ჭურ-ი კი მიღებულია ჭუსრ- ფუძიდან სრ კომპლექსის გამარტივების შედეგად (შედ. ლექსიკ. გვ. 65).

ამ ფუძის სვანური შესატყვისი შესაძლოა დაცული გვექონდეს სიტყვაში ჰა-გუ 'ქუსლი': ეჩქად დწვდ ჰაგვ ხაჟიდ გიმჩუ (სვ. ტ. I, 105,28) „მანამდი დეგმა ქუსლი ჩაარტყა მიწაზე“. აქ ჰა- ისეთივე ოდენობაა, როგორცაა სიტყვებში ჰა-ყბა 'ლოყა' (შდრ. ქ. ყბა), ჰა-კუდულ 'კუდუსუნი', ჰა-კუად 'კული'... ძირია — გუ-. სვანური გ და ქართულ-ზანური ქ შესატყვისობა შესაძლებელია, შდრ.: გბტ — ქატო, გიცარ — მეგრ. ქაცარი-ი 'თიკანი'...

ძველ ქართულში მოგვ-ი ფეხსაცმლის სახეობაა: სარმუზა აცვია, ანუ ჩაფლა მოგვესა ზედა (ხელმწ. კარის გარიგ. 14,14). თუშურში ფეკი ჩუსტებია. ამ კონტექსტში ჩნდება კითხვა მოგვ- და ჰაგუ-სიტყვების ურთიერთმიმართების თაობაზე.

საპსარ-ი „ცხო(ვ)ელთ ნაწევარი, გინა ტყვეთ გამოსაქსნელი“ (საბა): უკუეთუ საქსარი დასდვას, მისცეს მას საქსარი, რაჲცა-იგი დასდვან მას სულისა მისისა წილ (გამოსლვ. 21,30); დაკლა მამამან მისმან ზუარაკი იგი საქსრად ყრმისა მისთვის (I მეფ. 1,25); მოგუცნა საქსრად თვსნი სისხლნი (სინ. 43,35); არა მისცა მან ღმერთსა საქსარი თავისა თვისსაჲ, არცა სასყიდელი საქსრად სულისა თვისისა (ფსალმ. 48,8—9); დაიკლა კრავი იგი ეგვპტეს საქსრად პირმშოთა (მ. მოღრ. 473,4).

სიტყვა სა-ქს-არ-ი წარმოადგენს სა- — არ- აფიქსებით ნაწარმოებ მყოფადის მიმღობას, გასუბსტანტივებულს. -ქს- ძირი იგივეა. რაც გვაქვს ზმნაში გან-ჰ-ქს-ნ-ა: განჰქსნა ენაჲცა თვისი უტყუებისაგან (აბო 66,30).

მეგრულში მას შეესაბამება სა-რ-სხ-ალ-ი 'სახსარი', სადაც მიმღობის იგივე მაწარმოებლებია გამოყენებული, -რ- განვითარებულია. -ქს- კომპლექსი კი მეგრულში გადასმულია.

ქანურში გვაქვს შესატყვისად მე-მ-ცხვ-ერ-ი||მე-ცხ-ულ-ი, მე-ნ-ცხ-ურ-ი||მე-მ-ცხ-ურ-ი 'სახსარი'. აქაც იგივე ძირია: -ცხ-←-სხ-←-ხს-←-ქს-. -ნ- და -მ- განვითარებული ბგერებია. სიტყვა ნამყოს მიმღობას წარმოადგენს (შედ. ლექსიკონი, გვ. 59).

გ. კლიმოვი, ტ. გუდავას ცნობაზე დაყრდნობით, სა-ქს-არ-ის შესატყვისად ასახელებს სიტყვებს მეგრ. ო(ნ)ცხონდ- 'საყრდენი

ღირე' და ჰან. ონცხოონ- 'ღირეებიანი ქერი'. ამოსავლად მიიჩნევს -ქს- 'ხშვა' ძირს (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 171). ასეთი ეტიმოლოგია მისა-
ლები იქნებოდა, კს-ვ-ა სიტყვის -ქს- ძირი რომ მატერიალურად
იგივე იყოს, რაც გან-ჰ-ქს-ნ-ა ზმნაში გვაქვს, ე. ი. და-ქს-ა და გან-
ჰ-ქს-ნ-ა ისეთი წყვილი იყოს, როგორცაა დააკანონა — განჰკანო-
ნა, იქორწინებოდიან — განჰქორწინებდენ. და-ჰ-კაშ ფორმაში გა-
მოვლენილი -კაშ- ფუძე⁸⁵ აძნელებს მის განჰ-ქს-ნ-ა ზმნასთან და
ზანურ სხ-||ცხ- ძირთან დაკავშირებას. ცნობილია, რომ ზანურისა-
თვის დამახასიათებელია სრულზმოვნობა და ქართული -კაშ- (თუ
*-ქას-) ძირის შესატყვისად ხმოვნიათი ვარიანტი იყო მოსალოდნე-
ლი და არა -ცხ- კომპლექსი.

სვანურად საქსარია ლაფშვა. იგი ლი-ფშვე 'გახსნა' ზმნის მყო-
ფადის მიმღობაა. ე. ი. აქ გვაქვს დამთხვევა სიტყვის წარმოების
პრინციპში. სიტყვა საქსარ- ქართულიდან ისეხსა სვანურმა გადა-
ტანითი მნიშვნელობით: ეჩქანლო კარშარე ნათიწრდ ესნარ საჯ-
სარ ანნაზორეხ (სვ. ტ. I, 26,12) „შემდეგ ყაბარდოელთა ნათესა-
ვებმა თურმე სახსრები შეაგროვეს“.

ნაწივარ-ი 1. საქსართ შედგმულობა (საბა): აღილო ფერხი იგი
და დასდვა წყულუსა მას ზედა და აგო ურთიერთას ნაწევარსა
მუკლის-თავსა მას ზედა (კიმ. I, 149,32); და მისწულები იგი... სუ-
ლისა ნაწევართა და ტვნთა (სამოციქ. 152v); ნაწევარნი ასოთა მის-
თანი დაექსნებოდეს (თეოფ. კკონომ. 273,14); ნაწევარნი ძუალთა-
ნი განშიშულდენ (მამ. სწ. 225,20); ხოლო იყო ვინმე მაშინ ლავ-
რასა უძლური ძმაჲ, სახელით გიორგი, ნაწევართა ტყვილითა შეპ-
ყრობილი და ერდოსა ზედა მდებარე სამ წელ (აბუჯ. 39, XVI,2).

2. ნაწილი: იხილენ შენ ნაწევარნი იგი ოგ მეფისანი (ეფრ.
ასურ. ისტ. ქრესტ. 2; 30,19); აურაცხელ იყოს სიმრავლჳ ძუალთა
კაცთა ბუნებისაჲ, თითოეულად მიმოდარბიოდინან და ეძიებდენ
თვსთა მათ ნაწევართა (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 5,12); ...გული-
ცა... რომელი მის-შორის დანერგულსა და ცხოელობითსა მქურვა-
ლებსა განუყოფს ყოველთა ნაწევართა სხეულთასა ნასხმანთამიერ,
ვითარცა იგი ღვძლი ძარღუთა-მიერ საზრდელსა (ნ. ემეს. 113,11).

გვხვდება ამ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვა შენაწევრებულ-ი
'ემეტკიცებული, გამაგრებული': ამისთვის შეიბრინეს ძუალნი ესე მა-
გარნი და კმელნი. და შეიხვნეს ნოტიითა კორცთაჲთა და იქმნენ
შედგმულ და შენაწევრებულ ერთიერთსა და შეძერწულ ლარითა
(კაც. აგებ. 223,7).

⁸⁵ შდრ. სიმძიმლთა ერლო დახაშ, სიხარულის კარი აღი. ვ.-ტ. 397, 3.

სადრემბელ-ი 'სახსარი': მცირე კოქი მოკიდებულ არს ფერ-
ქთა პილოქსათა, და არცა სადრეკელი აქუს და არცა მუქლი (ექუს.
110,33).

სიტყვა აგებულებით წარმოადგენს სა- — ელ აფიქსებით
დრეკ-ს ზმნიდან ნაწარმოებ მყოფადის მიმღობას. საინტერესოა,
რომ ჰანურშიც ამავე ფუძიდან ნაწარმოები მყოფადის მიმღობა
მე-დრიკ-ონ-ი||მენ-დრიკ-ონ-ი||მენ-დიკ-ონ-ი სახსარს აღნიშნავს:
არ კითის სუმ მენდიკონი ულუნ (ჰან. ტ. I, 159,29) „ერთ თითს
სამი სახსარი აქეს“; არ კითის სუმ მენდრიკონი, ჟურ მემცხვერი
(ჰან. ტ. II, 76,17) „ერთ თითს სამი სახსარი, ორი მოსახრელი“.

ჰანური ფორმებისათვის ამოსავალია მე-დრიკ-ონ-ი, სადაც
მე-ონ მყოფადის მიმღობის მაწარმოებელია, ძირი -დრიკ- მატე-
რიალურადაც და მნიშვნელობითაც იგივეა, რაც ქართულ დრეკ-ს/
-დრიკ-ა ზმნაში გვაქვს (შედ. ლექსიკ. გვ. 60).

გოჯ-ი 1. თითთ ნაწევარი (საბა): წუერი ხოლო თითისა მისი-
სა მოჰვარდა. ფრჩხილით აღმოუქდა. რომელი უფროჲს ბუნებისა
იყო მეორესა გოჯსა საშუევალ ოდენ თითისა (კიმ. I, 318,13); თით-
თა და მკლავისა და გოჯთა მიერ შედგა ყოვლობაჲ ქელისაჲ (ი. პე-
ტრიწი II, 131,33);

2. მუხლი: ვიდრემდე თქვენ ჰკელობდეთ ორითავე გოჯითა
თქუენითა, უკუეთუ არს უფალი ღმერთი მოვედით და შეუდევით
კუალსა მისსა (III მეფ. 18,21) (ⲁⲟⲩⲟ ⲛⲏ ⲉⲁⲙ Ვⲣⲥⲙⲁⲧⲏ ⲛⲁ ⲥⲃⲁ
ⲕⲟⲗⲉⲛⲁ?).

ამ კონტექსტის მიხედვით გოჯ-ი ფეხის რაღაც ნაწილი გამო-
დის. საბასთან გვხვდება გოჯითა — „უკანა კერძი მუქლთა სადრე-
კისა, რომელსა ზედა მოდრკების და გაემართების ფერკი“. ლიტე-
რატურული წყარო დამოწმებული არაა. ჩვენს კონტექსტში გოჯითა
მოქმედებით ბრუნვის ფორმას წარმოადგენს და, ამდენად, გაურ-
კვეველია მისი მიმართება საბასეულ გოჯითა-სთან. სათანადო აღ-
გილას რუსულ ტექსტში გვაქვს колени 'მუხლი', რაც საბას გან-
მარტებას უახლოვდება.

3. მცენარის მუხლი: და ვითარცა იგი მარცუალსა იფქლისასა,
გინა თუ სხუათა თესლთასა, არს ძალი გამოღებად თავისა, რომელი
იხილვებინ სესტკთურთ და გოჯებით ფურცლითურთ (კაც. აგებ.
217,20).

4. მალა: აჰკაჲ ესე ნივთი არს, რომელი აწოვებს ზმთგან ვიდ-
რე ქუჭდმდე, შემცველ მრავალთა მათ, რომელ არიან გოჯნი ზურ-

გისანი (კაც. აგებ. 227,4); გემოჲს-ხილვაჲცა მითვე განიზოგების მახლობელად, რამეთუ აჰკისაგან გამოვალს ლარისა მისგან მგრძნობელისა, გოჯთა მათგან საღინელად განმყვანებელისა (კაც. აგებ. 164,7).

სვანურში გვაქვს გოჯ 'გოჯი', მეგრულში გვხვდება გვაჯ-ა-გოჯ-ა 'პატარა ტანის კაცი'; გილა-გვაჯ-ან-ს 'პატარა ტანის კაცი დაღის'.

კოჭ-ი 1. ტერფის და წვივის ძვლების შემაერთებელი ძვალი და სახსარი: მცირე კოჭი მოკიდებულ არს ფერჯთა პილოჲსათა, და არცა სადრეკელი აქუს და არცა მუქლი (ეჭუს. 110,32); მეყსეულად განემტკიცნეს ფერჯნი მისნი და კოჭნი (საქმე მტკ. 3,7); ჯორცი იგი რჩეულთაჲ მათ შეჰკამოს და კოჭნი მათნი განუმრუდნეს (ზაქარ. 11,16); განაცუნეს გრკალნი იგი კოჭთა მისთა; დამოჰკიდეს იგი თავდამოქცევით ეზოსა მას (აპოკრ. 5,14); უბრძანა შეპყრობაჲ ფილიპესი და განჭურეტაჲ კოჭთა მისთაჲ (აპოკრ. 5,12).

2. ნების ძვალისა და თითის პირველი ფალანგის შეერთების ადგილი: წარტდეს თითნი მტარვალთანი მათ კოჭით-გან და დამოეკიდნეს თითნი იგი თმათა მის წმიდისათა (კიმ. I, 146,19).

კოჭ- ფუძე დასტურდება მონათესავე ენებშიც: ჰან. კოჭი, მეგრ. კონჭ-ი 'კარის საკეტი', სვან. კოჭა 'ღირე'. მეგრულში 5 განვითარებულია ჰ-ს წინ, სემანტიკური გადახრაც დასაშვებია (შედ. ლექსიკ. გვ. 63).

ახალ ქართულში კოჭი ანატომიური ცნების აღსანიშნავადაც იხმარება (ოლონდ მხოლოდ ფეხის მიმართ) და ღირისაც. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ესენი ომონიმებადაა კვალიფიცირებული. ვფიქრობთ, აქ ერთ სიტყვასთან გვაქვს საქმე: ანატომიურმა ტერმინმა აღნიშნა სამშენებლო ცნება მსგავსი ფუნქციის საფუძველზე.

შენადგამ-ი 'სახსარი': რომელნიმე თავდამოქცევით დამოკიდნიან, და სხუთა შენადგამნი მკართანი დაჰკნსნიან (კიმ. II, 107,32).

სიტყვა წარმოადგენს დგამ- ფუძიდან წარმოებულ ნამყოფდროის საობიექტო მიმღეობას.

მზარ-ი 1. ადამიანის სხეულის ნაწილი კისრიდან მკლავამდე: ედგა სარწყული მკარსა მისსა (დაბ. 24,15); რომელსამე მკარსა ეხეთქნა და ორად განებო ვიდრე მკრდადმდე (სინ. 276,7); ეკუთება მკარსა მისსა (კიმ. I, 115,26); ასულნი შენნი მკრითა მათითა მოაქუნდენ (ესაია, 60,4); გუერდითა თქუენითა და მკრითა თქუენითა აქენებდით (ეზეკ. 34,21); არავინ იყო უმაღლესი მისა ჰასაკითა ისრაშლსა შორის რამეთუ კმრითგან უმაღლესი იყო ყოველსა კაცსა (I მეფ. 9,2); მისცნა მკარნი თვისნი შრომად და იქმნა კაც ქუეყანის მოქმედ (დაბ. 49,14); რაჟამს უზორვიდენ ფრკველნი, მკართა და წელთა თვისთა მახვლითა იჭრიან (ელ. ზღაპრ. I, 2); ჟამსა ამათ ღლეთასავე ცოცხალ იყო შენ და იყოს ყრმაჲ მკართა შენთა (IV მეფ. 4,16); მან აღიკიდა მკართა თვისთა (დაბ. 21,14); კელნი მისნი დაესხნეს მკართა ზედა ბარაქიადსთა (ბალავ. 160,22); არა რეცა გუშინ გიგურკნევდი შენ მკართა ზედა ჩემთა (კიმ. I, 142,16); აღიხუნიან იგინი მკართა მათთა ზედა და წავიდიან (ესაია 46,7); დისიუას მკართა ზედა თვისთა სიხარულით (ლ 15,5); აღილო ჭუარი მკართა თვისთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლაჲ იკუმია (ცხ. იოვ. და ეფთ. 8,1); უფერკონი მკართა ზედა მოიხუნიან (იერ. ებისტ. 25); მოკლე არს და შთასუმულ მკართა შინა ყელი დათვსაჲ (ექუს. 110,13); რომელნიმე თავდამოქცევით დამოჰკიდნიან, და სხუათა შენადგამნი მკართანი დაჰქსნიან (კიმ. II, 107,32).

2. ცხოველის ბეჰის ქვევითა ძვალი მასზე დამაგრებული კუნთებითურთ: მოილო მკარი ასოთა მათგან და შექამა (ელ. ზღაპრ. I, 9); მკარი იგი მარჯუნჴ მიეცით მღდელსა მას შესაწირავისათვს შესაწირავთაგან ცხორებისა თქუენისათა (ლევიტ. 7,22); შთადგ მას დრონეული. ყოველი დრონი კეთილი და წკვი და მკარი გამოშოვრებული ძუალისაგან (ეზეკ. 24,4).

3. საზომი ერთეული. „ოთხი წყრთა ერთი მკარი არს, ვიდრე ორთავე კელთა სრულიად გაწუდა“ (საბა): რომლისაგან არა განივსის მქელი თვაი მომკალმან და არცა მკარი, რომელნი შეჰკრებენ მველეულებსა მათსა (ფსალმ. 128,7); გარდაუტევეს საზომი იგი და იყო ოც მკარ... და კულად ზომეს და იყო ათხუთმეტ მკარ (საქმე მცქ. 27,28); აწვე მრავლად უზენაეს ქუეყანად განყვანებული ქანებითა წყლისაჲთა, ვითარ მკართა ერგასისთა ასთა თანა (ორენტ. 321,13);

4. მიმართულება, ადგილმდებარეობა ვისიმე (ან რისამე) მიმართ; მხარე, გვერდი: უპატიონსნჴსი მკარი საკურთხეველისაჲ უპ-

ყრიეს (სინ. 26,21): ამისთვის აჰა ესერა მე დაე(ა)რღვო მქარი მოაბისაჲ ქალაქთაგან მწუერვალთა მისთა (ეზეკ. 25,9); ვინ არიან ესე, რომელნი მკრით ვლენან გუნდსა ამას ჩუენსა (I მეფ. 29,3); გარემოადგის მარჯუენით მკრით ტაძრისაჲ მის ვიდრე მარცხენედ მკრადმდე ტაძრისა მის და საკურთხეველისა (IV მეფ., 11,11).

ქართული მქარ- ფუძის შესატყვისია ქანურში ხუჯ-ი||მხუჯ-ი||ფხუჯი, მეგრულში ხუჯი და სვანურში მექარ:

ფხუჯი მოიდი! ფხუჯი მოიდი, ხუსეინ, ფხუჯი მოიდი! (მარი 59, § 19b) „მხარზე მოიგდე! მხარზე მოიგდე, ჰუსეინ, მხარზე მოიგდე!“ ხუჯიშა ქიგილეფხუნუ (ცაგ. 34,17) „მხარზე შეისვა“. ეესრილჷ ქალუცკირ ტოტ ეი აკოფს რ ქმთქვაც მექერ (ონიან. 62,19) „დასცა მოტეხილ ხელზე იაკობს და მოსკრა მხარი“; ლოხვსგი მურსგვენ მექართე (სვ. ტ. I, 40,9) „გავიხედე მარჯვენა მხრისკენ“.

მქარ-ი საერთო ქართველური ძირის სიტყვაა: ძველი ქართული კ ბგერა ზანურში კანონზომიერად წარმოდგენილია ხ ბგერით. ფუძის ბოლოს გადასვლა -რ—ჯ ზანურში კანონზომიერია⁸⁹. ა ხმოვნის შესატყვისად სვანურში უმლაუტანი ა საკუთრივ სვანურ ნი-ადაგზე აიხსნება. ზანურში კი მოსალოდნელი ო მ-სთან ასიმილაციის შედეგად კანონზომიერად გვაძლევს უ-ს. ამდენად, მ-ს საკითხიც იხსნება: იგი ამოსავალში ივარაუდება სამივე ქართველური ენისათვის⁹⁰. სვანურ მე-ქარ||მე-ქერ ფუძეებს ნ. მარი უკავშირებდა ქართულ კელ- ფუძეს⁹¹.

ლლია 'ილია': მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაქვსაჲ ლლიასა ქუშშე; და აღიპყრა რა კრმალი თვისი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ლლიასა ქუშშე და მით მოიკლა (ქრონიკ. I. 50,22—24); მას ვისმე მონაზონსა ლლიასა ქუშშე უპყრივარ და მაქირებს მე, რადთა არა წარვიდე მისგან (პატერიკი 148,12); დაუპყარ ძუელი ესე ძონძი და ფარტენანი ესე მატყლისანი საბელთა მაგათ ლლიათა ქუეშშ კელთა შენთასა (იერ.

⁸⁹ გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა სვერათქუათყვისობიდან (ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1957, გვ. 277—230).

⁹⁰ ტ. გ უ ღ ა ვ ა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ქანურ) ენაში; საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზბე, ტ. 25, № 1, 1950, გვ. 121; Энцикл., გვ. 144.

⁹¹ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, გვ. 34.

38,12); უკეთუ კულა მუნცა აღსლვად კველობთ, მაშა ღლიათა მის-
თაგან ნუმცა დავეცემით (კლემაქსი 293,16).

სიტყვის ანლაუტში ი- რომ თავსართია, სპეციალურ ლიტერა-
ტურაში ცნობილია⁹². არც -ღლია ფუძე უნდა იყოს მარტივი. სა-
ინტერესოა მონათესავე ენების ჩვენება, კერძოდ, ჰანურსა და სვა-
ნურის. მეგრული ამ მხრივ არაფერს იძლევა, რადგან მეგრული
რღია იგივე ქართული ღლიაა.

სვანურში ფიქსირებულია ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიან-
ტები: ლაღლიაშ, ნაღლიაშ, ლანღლაშ, ნანღლაშ (ბქ.), ნაღლაშ
(ფარ.): მამილვს ლაღლიაშ იჩხინე, ჩანგს შგნეი იყღანი (სვ. ტ. I,
9,2) „მამალს იღლიაში იჩრის, ჩანგს ხელში იქერს“; მიშგუ მუხვბე,
ნაღლიაშეი ლამჩიხინ (სვ. ტ. I, 376,10) „ჩემო ძმაო, იღლიაში
ამომიჩარა“.

ზემოთ ჩამოთვლილ ფორმებში ადვილად გამოიყოფა -შ ნათე-
საობითი ბრუნვის ნიშანი, ლა-/ნა- თავსართები და ღლ- ძირი. -ღლ-
ძირის სემანტიკისათვის მიმანიშნებელია ჰანური ლალა-ჯიჯი 'ილ-
ლია', სადაც ჯიჯი ძირს ნიშნავს. ე. ი. ლალა-ჯიჯი გამოდის „ლალა“-ს
ძირი. იბადება კითხვა, რა არის ლალა. სამწუხაროდ, ჰანურის სრუ-
ლი ლექსიკონის უქონლობის გამო არ გვქონდა შესაძლებლობა იგი
დაგვედასტურებინა, მაგრამ რადგან სათანადო სიტყვის ძიარად სვა-
ნურში -ღლ- გამოიყოფა, შეიძლება ვივარაუდოთ აქაც იგივე
-ღალ- ძირის შეკუმშული ვარიანტი გვქონდეს. საამისო ფონეტიკუ-
რი პირობები არსებობს. -ღალ- კი იგივე უნდა იყოს, რაც გვაქვს
სვანურში სიტყვაში ღალე 'ფრთა'. ე. ი. ლალა-ჯიჯი — ფრთის ძი-
რი, ლან-ღლ-აშ/ნა-ღლ-აშ სა-ფრთ-ის-ი/ნა-ფრთ-ის-ი გამოდის. ამ-
რიგად, სვანურსა და ჰანურში ილლის აღმნიშვნელი ტერმინის სა-
წარმოებლად გამოყენებულია ერთი და იგივე -ღალ-/ღლ- ძირი,
ოღონდ გაფორმებულია სხვადასხვაგვარად: ერთ ენაში გამოყენე-
ბულია მაწარმოებელი აფიქსები, მეორეში — კომპოზიცია. ილლის
აღმნიშვნელი სიტყვა სემანტიკურად ფრთას რომ უკავშირდებოდეს,
სხვა ენებიდანაც ცნობილია. შდრ. ჩაჩნური ტანიკიელ||ტენიკიელ
'იღლია', რაც ეტიმოლოგიურად ფრთის ქვეშეს, ფრთის ძირს ნიშ-
ნავს⁹³.

⁹² ე. თ. ო. უ. რ. ი. ა. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV, ხმოვანთაესა-
რთოვანი სახელები; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიაგბე, ტ. 30—31 b,
1947, გვ. 456.

⁹³ ცნობა მოკეაწოდა თინ. გონიაშვილმა.

ქართული ი-ღლ-ი-ა სვანურისებრი აგებულებისა ჩანს. ქართულში გამოყოფილი ი- თავსართი სვანური ლა-/ნა- თავსართების მორფოლოგიური ეკვივალენტია. ბოლოკიდური -ა მასუბსტანტივებელი სუფიქსია⁹⁴, ხოლო -ი -ივ სუფიქსის ნაშთია. -ა სუფიქსის დართვის შედეგად ვ თანხმოვანი დაიკარგა ორ ხმოვანს შორის. შდრ. ძვ. ქართული ტყვ-ი -ახ. ქართული ტყვია+*ტყვივ-ა, შვრია+შვრია⁹⁵. ე. ი. ი-ღლ-ი-ა+ი-ღლ-ივ-ა. იღლივ- ფუძე დასტურდება ზმნისართში მხარიღლივ. ი-ღლ-ივ- ისეთივე წარმოებისაა, როგორც გვაქვს სიტყვებში: ბედ- — ი-ბედ-ივ, გუერდ- — ი-გუერდ-ივ, რგულ — ი-რგულ-ივ... თუკი იგურდივ ნიშნავს გუერდ-თან, გუერდ-ით მდებარეს, ირგულივ — რგულთან, მაშინ იღლივ -ღლ- —-ღალ- „ფრთა“-სთან მდებარე ადგილი გამოდის. -ივ. სუფიქსი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კვალიფიციონრებულია როგორც ისტორიული ბრუნვის ნიშანი⁹⁶. ამ მხრივაც შეხვედრა გვაქვს სვანურთან.

შესაძლებელია ეგევე ფუძე გვქონდეს სიტყვაში ღაღღა რედუპლიციონრებულად წარმოდგენილი⁹⁷. ფრინველის სახელწოდების სემანტიკური დაკავშირება ფრთის აღმნიშვნელ სიტყვასთან სავსებით დასაშვებია.

იღლია სიტყვის სხვაგვარ ეტიმოლოგიას იძლევა კ. ჰ. შმიდტი. იგი იღლიის სახელწოდებისათვის ამოსავლად მიიჩნევს ღუნვის მნიშვნელობას და მატერიალურადაც უკავშირებს -ღუნ-/ღულ- ფუძეებს სიტყვებში: ქართ. ღუნ- (მოღუნვა), მეგრ. ღულ-ა 'მრუდე, მოღუნული', სვან. ღულ- 'მუხლი', ულუწა 'იდაყვი' (შმიდტი, გვ. 117).

საყურადღებოა, რომ იღლია აფხაზურშიც ეტიმოლოგიზებული სიტყვაა: ავგწა სიტყვაში გამოიყოფა -კვ- ძირი, რომელიც მატე-

⁹⁴ ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, თუბალ - თაბალი, ტობარენი, იბერა; შრომები, ტ. III, 1959, გვ. 45.

⁹⁵ ალ. შ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე, - ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის თუქის აგებულებისათვის ქართულში: კრებს. „სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართულურ ენებში“, I, 1956, გვ. 171 — 186.

⁹⁶ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 30; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 76.

⁹⁷ ეს ვარაუდი გამოთქვა ალ. ჰინჭარაულმა პირად საუბარში.

რიალურად ქართულ ღ-ს უკავშირდება სიტყვაში იღლია, — წაკი ქვეშ, ძირს ნიშნავს⁹⁸.

უღელ-ნ-ი 'ლავიწი': ვხედავთ გულსა, რამეთუ შეცვულ არს იგი, ვითარცა სახლსა შინა დამყარებულსა მოცვითა მით ფერცხალთაჲთა. გარემოჲს მისა, უკუანით კერძო მომტკიცებულ არს ზურგის ძულთაგან... წინაჲ კერძო გარდართხმულ არს მკერდი და უღელნი საფარველად მისა ვნებათაგან (კაც. აგებ. 227,33).

უღელ- ფუძისათვის ანატომიური ტერმინის მნიშვნელობა მეორეული, მსგავსების საფუძველზე გადატანილი ჩანს. მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი უღუ მეგრულში ამ მნიშვნელობით არ დასტურდება, იგი ახალი ქართულის უღელ- ფუძის სემანტიკის მქონეა. სვანური ამ ტერმინს აღწერთად აწარმოებს ამავე უღელ- ფუძის გამოყენებით: ბარჯა უღუა 'ლავიწის ძვალი'.

ფიცარნი გულისა: ესე ყოველი მაქუნდეს დაწერილი ფიცართა გულისა ჩემისათა (კიმ. I, 80,23).

მაპარღ-ი 'ტანის წინა ნაწილი „ყელსა და მუცელს შუა“ (საბა), აგრეთვე სივრცე მის შიგნით': ვხედავთ გულსა... უკუანით კერძო მომტკიცებულ არს ზურგის ძულთაგან... წინაჲ კერძო გარდართხმულ არს მკერდი და უღელნი საფარველად მისა ვნებათაგან (კაც. აგებ. 227,33); ოდეს-იგი განიშიშულოს მკერდი შენი და ცხადად გამოჩნდეს წერილი იგი გულისა შენისაჲ (მამ. სწ. 131,1); ჰსცა აქაბს მეფესა ისრაჴლისასა შორის ნესტუ ფერდსა და მკერდსა (III მეფ. 22,34); მოიქცა ისარი იგი და მეცა მკერდსა ჩემსა, ხოლო მავნო არარაჲ (რავახ. 82,2); ფრად იცემდა მკერდსა (ბოლნ. 37,13); მიეყრდნა იგი მკერდსა იესუხსსა (ი 13,25); შემიტყბო მე მკერდსა მისსა (მოქც. ქართლ. 110,4); იყო იგი ყოვლად შიშუელ და სახარებაჲ მკერდსა მისსა (კიმ. I, 203,21); დაეცა მკერდსა ზედა მისსა გოდებითა (კიმ. I, 164,25); შერტყმული სარტყლითა ოქროსაჲთა არა წელთა ზედა... არამედ მკერდსა ზედა ერტყა ძეძუთა თანა (გამოცხ. თ. 1,13); დაისხნე კელნი მკერდსა ზედა (იგავნი სოლ. 6,10); რომელთამე ჰქუანან ძეძუნი შორის მკერდსა, ხოლო რომელთამე მუცელსა შორის, ხოლო რომელთამე წელთა ქუჭშე (ნ. ემეს. 60,15); რომელსამე მკარსა ეხეთქნა და ორად განეპო ვიდრე მკერდად-

⁹⁸ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ბვერათა პროქესებისა და ბვერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერულ-კავკასურ ენებში. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 10, 1955, გვ. 825.

ზღე (სინ. 276,7); იწყეს ტირილდ და იცემდეს მკერდთა მათთა (სინ. 278,22).

მკერდ- ფუძეს შეესატყვისება მეგრულში კილირ-ი||კჯღჯრ-ი, სვანურში მუქჭედ—მუჭოდ (ლშხ.) 'მკერდი'. რადგანაც სვანური ო ხმოვანი ზანური -ირ მიმდევრობის შესატყვისია, ამიტომ ზანურში კილირ- ფუძეს რ'ს მეტათეზისით კირდ- ფორმიდან მომდინარედ მიიჩნევენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი და საერთო ქართველურისათვის აღადგენენ *მკერდ ფუძეს (სონანტთა სისტ. გვ. 287).

კ. ჰ. შვიდტს (გვ. 124) სვანური ვოკალიზმი იმ შემთხვევაში მიიჩნია ასახსნელად, თუ მუქჭედ მომდინარეობს მუქედ-ჭ ფორმისაგან. მეგრულ კილირ-ს ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევენ: *კერდი→*კირდი→*კილრი—კილირ-ი.

ინდოევროპულ *kerd- / kred — 'გული' ფუძეს უკავშირებდა ქართულ მკერდ-ს ილიჩ-სვიტიჩი⁹⁹. ამ ფუძეთა მსგავსებაზე გ. კლიმოვიც მიუთითებს (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 135).

მკერდის თაზ-ი: თანაშემწე და ორდანო კმისა მრავალნი, ვითარ საშუალ გუჭრდთა-შორის ფერდნი და მკერდის-თავი და სასულე... ნ. ემეს. 93,14; თავუნი — მყესნი არიან განმღებელ მკერდის-თავთა საკუთართა სულისკუჭთისა ორდანოთაჲსა (ნ. ემეს. 120,4); დრკეს ორდანოთა სულის-კუჭთისათა მყესთამიერ, და პირველსა — მკერდის თავსა და ამათვე თანა მიდრკების სასულე (ნ. ემეს. 121,24).

თორაპ-ი 'მკერდი ბეკითურთ' (საბა): უმზავსო ნაწილი, ვითარ: თავი, თორაკი, კელნი, ფერკნი და სხუანი ასონი კაცისანი (ნ. ემეს. 59,18).

სიტყვა ბერძნულიდან უნდა იყოს ნასესხები ἰ μίτρα, αἶκο 1. ჭავჭანი (უპირატესად გულმკერდის დასაფარავად), 2. საფარი, სიმაგრე, საყრდენი, 3. (სხეულის ნაწილი, რომელსაც ჭავჭანით იფარავენ), ე. ი. მკერდი ან ტორსი.

ძუძუ-ღ 'სარძევე ჭირკვალი': განკმა ძუძუჲ იგი მარცხენე და იქმნა ვითარცა მამაკაცისაჲ (კიმ. I, 218,25); ვიდრე-ლა სწოვდა ძუძუსა, მკვრცხედ „ღმრთისა“ იწამა (ექუს. 2,2); რაჲსა მაგას შენ ძუძუსა აწოვებ (სინ. 96,30). დედაკაცსა მას ძუძუსა აჯდა მჯდომი, დიდად ფიცხელი (ლიმონ. 138,6); პოხდა ყრმასა მას ვიდრე განყე-

⁹⁹ В. М. Иллич-Свигыч, Материалы... გვ. 354.

ნებადმდე ძუძუსა (I მეფ. 1,23); მოსარ ამაღეკი და ყოველი რა-
 აცა იყოს მათი კაცი და დედაკაცი; ყრმა და ძუძუს მწოვარი (I
 მეფ. 15,3); ვითარცა ყრმა და ძუძუსთვის დედისა თვისისა, ეგრეთ
 სურვიელ იყო ხილვისათვის სასურველისა თვისისა (მოქც. ქართლ.
 29,42); ორნი ძუძუნი შენნი ვითარცა ორნი თიკანნი ქურციკისანნი
 (ქბ. ქბ. 4,5); და ჩუქნი მცირე არს და ძუძუნი არა ასხენ (ქბ. ქბ.
 8,8); ძუძუნი შენნი აღმართნეს და თმანი შენნი აღმოსცენდეს
 (ეზეკ. 16,7); უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფროს ღვინისა (ქბ. ქბ.
 1,1); მყის ძუძუნი საცხოვართა მათთანი დაიყვენეს და სძმ არა გა-
 მოუტევეს (კიმ. II, 192,12); ისიძვიდეს ეგვპტეს სიჭაბუკესა მათ-
 სა, მუნ დაეთხინეს ძუძუნი მათნი (ეზეკ. 23,3); მიეც მათ საშოა
 უშვილოებისა და ძუძუნი კმელნი (წწყ. ოსესი 9,14); რაესათვის
 ძუძუთა განმზარდეს მე? (იობ. 3,12); ძუძუთა თქუენთა ზედა ეტ-
 ყებდით აგარაკათავს გულის-სათქუმელთა (ესაია 32,12); შორის
 ძუძუთა ჩემთა დაიმკვდროს (იბოლიტ. თარგმ. ქბ., 12,14); უბრძა-
 ნა ძუძუთა მისთა მოკუეთა (ქრისტინა 194,31); აწ მოწუელმ ძუ-
 ძუთა მათგან სძმ (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 2,41); წარიტაცნეს ობოლნი
 ძუძუთაგან და დავრდომილნი დაამდაბლნეს (იობ. 24,9); პიტიახშ-
 მან გამოარჩია ძუძუს-მტმ მისი საკუთარი (შუშ. 24,11).

ქანურში შესატყვისად გვაქვს ბუძი 'ძუძუ': ჰედაქ ბუძი გაუბუ
 ე-ლო ბერე დორდუ (ქან. ტ. II, 33,27) „მან ძუძუ აწოვა და ბავშვი
 გაზარდა“. მეგრულში იხმარება ძუძუ.

ბუ-ძ-ი და ძუ-ძუ სიტყვების შეპირისპირებით ძირად გამოი-
 ყოფა -ძ-, ხოლო ბუ- და -ძუ-←*დუ- გაქვევებული პრეფიქსებია¹⁰⁰.
 გ. კლიმოვი ფუძეს დაუშლელად მიიჩნევს. სხვაობას ქართულ და
 ქანურ ფორმებს შორის სიტყვის სიმბოლური ხასიათით ხსნის და
 მიუთითებს მსგავს ფუძეებზე აფხაზურ-ადიღურ ენებში (ეტიმ.
 ლექსიკ. გვ. 235).

სასძეურ-ნ-ი 'ძუძუები': ემსგავსა სიმალმ შენი ფინიკსა
 და სასძეურნი შენნი ტევანთა მისთა (ქბ. ქბ. ოშკ. 7,7); შევიყუა-
 რენ სასძეურნი შენნი უფროს ღვინისა (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 3,13);
 სასძეურნი იგი ქრისტმს მიერ ორნი იგი მცნებანი იყვენეს (იბოლიტ.
 თარგმ. ქბ. 3,21); შეკრული შტახში ძმის წულაკი ჩემი ჩემდა შო-
 რის სასძეურთა ჩემთა განისუენეს (ქბ. ქბ. ოშკ. 1,12); დისწულაკი
 ჩემი შორის სასძეურთა ჩემთა დამკვდრებულ (იბოლიტ. თარგმ. ქბ.
 12,10).

¹⁰⁰ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის... გვ. 170.

სა-სძე-ურ-ნი ნაწარმოებია სძე 'რძე' სიტყვიდან სა- — -ურ აფიქსებით. -ნი მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

სასმეურ-ნი 'ძუძუები': შეკრული შტახში — ძმისწულაკი ჩემი ჩემდა — შორის სასმეურთა ჩემთა განისვენებს (ქბ. ქბ. 1,12).

სა-სმ-ე-ურ-ნი ნაწარმოები სახელია ასმევს ზმნიდან.

მუცელ-ი 1. ადამიანის ან ცხოველის სხეულის ნაწილი, რომელშიაც საკმლის მომწელებელი ორგანოებია მოთავსებული: ჰგავს ვინაჲ-მე მუცელი ქუჭყანასა, რომელსა უპყრიეს საზრდელი ნერგ-თათჳს (ნ. ემეს. 112,1); შეაზღუდისა მუცელი უქუჭნაეს ძეს, ხოლო გული უზენაეს (ნ. ემეს. 109,20); მთრვალობითა და გარდარეულად ქამადითა დასტენო და აღმოივსო მუცელი შენი დღეს (სინ. 109,37); ნაყოფისაგან პირისა კაცმან განიძლოს მუცელი თჳსი (იგავნი სოლ. 18,21); დედალსა მას, რამეთუ არა ადგნ მუცელი, რაჲთა-შცა მართუენი იტკრთა (სახისა სიტყვ. 17,21); მელმის მუცელი ჩემი (ბოლნ. 81,8); შეძრწუნდა მუცელი ჩემი (გოდ. იერ. 2 ლგ); მუცელი ჩემი შეიწუების ტირილითა (იობ. 16,17); ძმისწულმან ჩემმან მოჰყო კელი სარკმელით-გამო და მუცელი ჩემი აღძრა მას ზედა (ქბ. ქბ. 5,4); მუცელი შენი ვითარცა ხუავი იფქლისაჲ გარემოცული შროშნითა (ქბ. ქბ. ოშკ. 7,2); მუცელი მისი ვითარცა ფიცარი პილოს-ძვალისა, ლესულ თვალთაგან საფიროვნისათა (ქბ. ქბ. 5,14); განიზიან მუცელი და ნაწლევთა შინა და ღძქლსა ჰყოფდიან წინამოსწაგებასა რასმე (ელ. ზლაპრ. 1,15); აპისთჳს მუცელი ჩემი მოაბსა ზედა ვითარცა ქნარი ოხრიდეს (ესაია, 16,11); რაჲამს შობდა იგი, იყენეს მარჩბივნი მუცელსა მისსა (დაბ. 38,27); მუცელსა დედისასა გამოვითალე ჳორცი (სიბრძნ. სოლ. 7,2); ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა მისსა (ლ 1,41); მუცელსა შიდა უბრკულა ძჳსა თჳსსა (წწულ. ოსესი 12,4); ნაწლევნი მისნი იღულარქნებოდეს მუცელსა შინა მისსა (ქსენებ. 91,25); რომელთამე ჰქუანან, ძუძუნი შორის მკერდსა, ხოლო რომელთამე მუცელსა შორის, ხოლო რომელთამე წელთა ქუჭმე (ნ. ემეს. 60,16); გული ეტყოდა განძღებად მუცლისა თჳსისა რქისა მისგან, რომელსა-იგი ქამედ ღორნი (ლ 15,16); მოიღონ შესაწირავისა მისგან ცხორებისაჲსა... ცმელი იგი გარდაბურვილი ქუხეტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ (ლევიტ. 3,3). ესოდენ არს მკურვალებაჲ მუცლისაჲ, ვითარმედ ძუალიცა შთანთქმული და-ვე-დნის (სინ. 163,29); რაჲ არს შვილო მუცლისა ჩემისაო (იგავნი სოლ. 31,2); მუცლისა ტკივილი მიზეზი იდგას და თავი იღმოს (მამ. სწ. 243,3); ნაკრტენი მუცლისა მისისაჲ ჰკურნებს თუალთა დადგრომილთა (სახისა სიტყ. 8,8); მო-ვე

შიშუელი - ვედ მუცლისაგან დედისა ჩემისაჲთ (იობ. 1,21); არა ყოველი მუცლისათჳს ხოლო დაბადებულ არს ჩუენისა (ექუს. 53,27); ვითარ არს ხატი იგი ოთხ-ფერკთაჲ? — თავი მათი ქუეყანად დადრევილ არს და მუცლისა მიმართ ხედავს (ექუს. 105,24); სენი ძნელი მოიწია ერთსა მათგანსა ზედა, და იპირვოდა მუცლითა და ნაწლევითა შეპყრობილ იყო (აპოკრ. 71,36); რომელი ვალს მუცლითა (ლევიტ. 11,42); იოვანე მუცლით გამო ასწავებს სიტყუასა (სინ. 207,16); კაცი ვინმე იყო მკელობელი დედის მუცლითგან (საქმე მტკ. 3,2); ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად მივალს (მ 15,17); შეწუხებულთა არამცირედი შთაედინების მუცლად მწითურისა ნაველისაჲ (ნ. ემეს. 109,14).

2. რისამე გამობერილი ნაწილი: შთამოვიდა ნავი ეგვპტით... და დავსხედით მუცელსა მისსა (აპოკრ. 56,25); აქუს უკუშ და გულიცა დასაბამად, უფროჲს ხოლო მარცხენითი მისი მუცელი, რომელი მფშვნვიერებითად იწოდების (ნ. ემეს. 113,9); ხოლო ამისდაცა ორღანო უკანაჲთკერძო მუცელი ტვნისაჲ, რომელსა ნათხემვად და ტვნის-მიერად უწოდენ (ნ. ემეს. 91,2); საგრძნობელთა დასაწყისად და ძირად წინაჲთ-კერძოთა მუცელთა ვიტყვით ტვნისათა, ხოლო სიტყუერებისათჳს — საშუალსა, არამედ მომქსენებლობისათჳს — უკანაჲ-კერძოსა (ნ. ემეს. 91,6).

3. სხეულის წინა მხარე: კრისპინოს ბრძანა გართხმა მისი და გარეკცევით გუემა ზურგიოცა და მუცლით ფრიად მრავლად (ეგესტოქი, 157,VI,5).

უპმ 'კიპი': შობასა მას ოდეს იშევ, არა შეგიხვეს უპშ შენი და წყლითა არა განიბანე (ეზეკ. 16,4); უპშ შენი ტაკუკ წახნაგებულ. მუცელი შენი ვითარცა ხუავი იფქლისაჲ (ქბ. ქბ. ოშკ. 7,2); აღმოავსებედ უპესა და მუცელსა თვისსა და განსივებულნი კუნესიედ (სინ. 110,19); განიშიშულნა კორცნი მისნი, დაასხა უპესა წყალი იგი იორღანისაჲ და დასწერა ჳუარი (ლიმონ. 120,3); ხატი მათ ზღვს ქალთაჲ ვიდრე უპედმდშ კაცისაჲ არს. ზოგი ხატი მათი ფრინველთაჲ (სახისა სიტყუ. 21,17); ამისი სახე იყო ვიდრე უპემდე — დედაკაცისა ქმნულკეთილისაჲ... ხოლო სხუაჲ გუამი მისი — გუელისა სახე (ელ. ზღაპრ. III, 52); კულა მოუქდა ღორი, მოჰკრა ეშუი მკერდსა და უპემდის გაუპო (ვისრ. 292,35);

ოშკის ბილიაში დადასტურებულია უბე ვარიანტიც, რაც შეიძლება გრაფიკული შეცდომა იყოს: ჰსცა იოაბ უბესა ზეშთა ამესას და გარდამოუყარა ნაწლავი მისი (II მეტ. 20,10).

უბე-ს შეესატყვისება ჰანურში უმბა, ომბა 'უბე' (მედ. ლექსიკ. გვ. 69) სემანტიკური გადახრით ეგვეე ძირი მეგრულშიც დასტურდება: ომბა 'სახლის სახურავის ზედა ძელი'. ზანურში მ მეორეულია (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 186).

გუერდ-ი 1. გულმკერდის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილი ილიიდან ქვემო ნეკნამდე: უჩუენნა კელნი და გუერდიცა მისი (ბოლნ. 80,12); გუერდი განუბეს ლახურითა (მამ. სწ. 70,27); ხოლო დომნოს წყლულ იყო გუერდსა მისსა (სინ. 278,8); სამგზის იგუმირა ლახურითა გუერდსა (პეტრ. ახალი 219, XIV, 14). გუერდსა ზედა არა დაწვებოდა (ლიმონ. 8,25); ერთმან მჭურვალეზამან, და გუერდისა გურემამან, გინა ღვძლისამან, ანუ თუ ფირტკსამან, მსწრაფლ წარიტაცის კაცთაგან კაცი (ექუს. 52,15); გუერდითა თქუენითა და მკრითა თქუენითა აქენებდით და რქითა თქუენითა ურქენდით (ეზეკ. 34,21); შეკეცენ გუერდნი მისნი ვიდრე იყოს-და ყრმა (ისო ზირაქ. 30,12); იყვნენ სიმართლით მორტყმულ წელნი მისნი და ქეშმარიტებითა შეხუეულ გუერდნი მისნი (ესაია 11,5); სცემდეს ქვითა მით გუერდთა მისთა (სინ. 275,27); უბრძანა დამოკიდებაჲ და ხუეტაჲ გუერდთა მისთაჲ (ქრისტინა 188,2).

2. რისამე მარჯვენა ან მარცხენა მხარე: დათხარა ღამე გუერდი სახლისაჲ (იობ. 24,16); მონასტერსა ტბას ახლოს მყაფარსა მას გუერდსა საშინელი ლოდი იძრვოდა (ხანძთ. 64,3); დაკლან იგი გუერდით კერძო საკურთხეველსა მას ბლუარით კერძო წინაშე უფლისა (ლევიტ. 1,11); დაისუა იგი გუერდით მისა (პანტ. 51,25); დავკმარხეთ იგი თვსაგან სხუასა ადგილსა, გუერდით წმიდათა მათ (სინ. 278,38); სივრცქ გუერდისაჲ მის გარეშესა წყრთითა ხუთ და ნეშტი იგი შორის გუერდთა მათ სახლისათა (ეზეკ. 41,9).

3. შემადგენელი ნაწილი, მამრავლი (?): გუჭრდ ექუსისა — ორი და სამი, არამედ ოცდა ოთხისა — ოთხი და ექუსი (ნ. ემეს. 28,26).

გვერდით ზმნიზედის მნიშვნელობით გავრცელებულია იგურდივ ფორმა: ხოლო სივრცისა მათისა იმიერ და ამიერ განღებულნი იგი დაკშულადმცა და უნათლოდ დაშთებოდეს და ანუ თუ იგურდივმცა მიიღებდეს მცირესა რასმე ბრწყინვალეზასა (ექუს. 79,15).

მეგრულში დასტურდება გვერდი 'ნახევარი', ე. ი. საგნის ცალი მხარე—ნახევარი. ჰანური გვერ(დ)-იც ამავე მნიშვნელობისაა. ფუძეები შეუღარა ნ. მარმა¹⁰¹.

¹⁰¹ Н. М а р р, К вопросу о ближайшем родстве армянского с ивэрским. ЗВОРАО, т. X IX, вып. I, СПб., 1909, გვ. 070.

შერღ-ი „გუერდს ქუეშეთი“ (საბა), ‘ადამიანის ან ცხოველის სხეულის ნაწილი ნეკნებიდან თეძომდე’: ჰსცა აქაბს მეფესა ისრაშ-ლისასა შორს ნესტუ ფერდსა და მკერდსა (III მეფ. 22,34), თანა-შემწე და ორდანო კმისა მრავალნი, ვითარ საშუალ გუჭრდთა-შო-რის ფერდნი და მკერდის-თავი და სასულე... (ნ. ემეს. 93,14).

ზურბ-ი 1. ტანის უკანა მხარე კისრიდან წელამდე; ცხოველის შესაბამისი ადგილი: ძუალნი ყოველთა სხეულთა არიან სიმტკიცე, და უფროჲს ხოლო ზურგი (ნ. ემეს. 124,15); დაუბნელდენ თუალ-ნი მათნი... და ზურგი მათი მარადლე შედრიკე (ფსალმ. 68,24); და-ეცა ზღურბლთა ზედა მართლ უკუნ და განიტეხა ზურგი და სოკუ-და (I მეფ. 4,18); წელთა სიმრავლითა დადრეკილ იყო ზურგი ფრი-ად ვიდრემდის თავი მისი მუქლთა შუა ჩაჩრილ იყო (კიმ. I, 211, 25); ზურგი ჩემი მისცე გუემად და დაწუნი ჩემნი ყურბმლისცემად (ესაია 50,6); უჩუენო მათ ზურგი და არა პირი დღესა მას წარწყმე-დისა მათისასა (იერ. 18,17); ზურგი მისი შექურვილ არს ეკლითა (სახისა სიტყვ. 22,3); დამკვდრებულ არიან კაცნი მკეცისა ბუნებანი, მტაცებელნი, რომელთა სახლი არს და ცხორებაჲ აქლემისა ზურგი (გობრ. 179,6); ჰსცა იორამს შაშუვალ ბეჰთა და განსწონა ზურგსა მისსა (IV მეფ. 9,24); მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა (შუშ. 19,23); უბრძანა მტარვალთა, რაჲთა აღჰკადონ ტყავი ზურგსა მისსა (კიმ. I, 49,24); გარდავლო ურემმან მან ზედა ზურგსა ჩჩკლისა მის ყრმისასა (ცხ. გ. მთაწმ. 405,37); აღიკიდეს ზურგსა მათსა (გამოსლვ. 12,34); უკუნისხნა კელნი თვსნი ჯუარის სახედ ზედა ზურგსა თვსსა (აბო 73,34); კელნი შენნი ზურგსა მტერ-თა შენთასა (დაბ. 49,8); უკუანით კერძო მომტკიცებულ არს ზურ-გის ძუალთაგან (კაც. აგებ. 227,32); თითოეულად თქუენი ანგელო-ზი ზურგით თქუენსა დგა (აბოკრ. 29,34); გარე მიიქციის პირი და ზურგით იგდის იგი (ისო ზირაქ. 21,18); ბენიამინ მოიხილა ზურ-გით კერძო (მსაჯ. 20,40); გამოვიდა მათა ლოტ წინაშე კარსა და კარი შემოიწება ზურგით (დაბ. 19,6); კირი ფრიად შორით მოა-ქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა (ხანძთ. 28,29); მოაწია უდით ზურგითა თვსითა მრავალთაგან ძნიად სატკრთავი ძელი წი-ნაშე ამის ტაძრისა (აბუს. ტბ. XII, 94); ნუ იქადინ ზურგითა ბლუ-ნარშ ვითარცა ზურგმართალი (III მეფ. 20,11); მათ არა ისმინეს მათი და განაფიცხნეს ზურგნი მათნი უფროჲს მამათა მათთა (IV მეფ. 17,14); მოიქცინეს ჩემდა ზურგნი და არა პირნი მათნი (იერ.

2,27); ზურგნი მრავალთა წარმართთანი ვითარცა ზღუაჲ ოხრიდენ (ესაია 17,12).

2. რისამე უკანა მხარე: რაჟამს განეშოროს ბუნებასა შუენიერებაჲ იგი თვისი, იქმნეს იგი ვითარცა ზურგი სარკისაჲ (კაც. აგებ. 167,15); დაიბანაკეს მაქმასს ზურგით კერძო ბეთორსა (I მეფ. 13,5); განზომა სიგრძელს იგი განსაყოფელისაჲ მის წინაშე პირსა მის ნეშტისასა ზურგით კერძოთა მათ მის ტაძრისათა (ეზეკ. 41,15); კრისპინოს ბრძანა გართხმა მისი და გარექცევით გუემა ზურგით-ცა და მუცლით ფრიად მრავლად (ევესტოქი 157,VI,5).

3. რისამე ზედა მხარე: ზღუამან ზურგი თვისი განუმარტა ლელვათაგან (სინ. 40,9); რავდენ საწადელ არნ ხილვად ზღუაჲ, რაჟამს არნ იგი დაყუდებულ, და ნიავქარისაგან ყუდროჲსა აღმქისებულ არნ ზურგი მისი იისფერად და ლურჯად (ექუს. ილ. აბ., 61,6); დაიკეცებინ იგი ზურგსა ზედა წყლისასა ყუდროდ (კაც. აგებ. 146,11); მცურვალი, რომელი ცურავს ზურგსა ზედა წყლისასა (ექუს. ილ. აბ. 96,17); წყალი ბუნებით მდინარე არს და მსხლტარ სიმაღლისაგან, ვითარ შეუძლო მან დადგრომად ზურგსა ზედა სამყაროჲსასა (ექუს. ილ. აბ. 43,3); არა დაეყენოს დინებისაგან თვისისა, ვიდრემდის დავაკნეს ზურგი მისი და არა არს რომელიმე ადგილი უვაკეს წყლისა ზურგისაო (ექუს. ილ. აბ. 55,3).

სიტყვის ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად გეოგრაფიულ სახელს **ხიხათა ზურგი**: საოცარი ესე ხიხათა ზურგით მომავალ არს (აბუს. ტბ. VI,59).

4. მომხრე, დამხმარე: უმჯობეს და უკეთეს ჩუენ ზედა იგი არს, შენ თუ ქალაქსა შინა იყო ზურგად შეწვენისა ჩუენისა და გკზახებდ ჩუენ (II მეფ. 18,3); წარავლინეს ლეონტი ბკზანტიელი კონსტანტინეპოლისა, რამეთუ აქუნდეს მათ ზურგად დომენტიანოს, გალატიანსა ებისკოპოსი (კიმ. II, 213,17); იყოს აქა ჩემად იმედად და ზურგადო (ვისრ. 128,29).

ზურგ- ფუძის შემცველი სვანური სიტყვა **ზურგუევილ** 'ხერხემალი; ზურგიელი' ქართულიდან ნასესხები **ზურგიელია** გაფართოებული მნიშვნელობით.

ბეჰ-ი — სამკუთხედისებრი ბრტყელი ძვალი ზურგზე მხარს ქვემოთ; საერთოდ ზურგის ის ნაწილი, სადაც ეს ძვალია მოთავსებული: უმაღლეს იყო იგი ყოვლისა მის ერისა ბეჭითგან აღმართ (I მეფ. 10,22); დათუნი იგი მრისხანედ უკუმოასხმიდეს მიწასა მას ვიდრე ბეჭადმდე (კიმ. I, 156,13); მოიდრიკენ(ი)თ ბეჭნი თქუენნი

და კმსახურებლით მეფეშსა ბაბილონისასა (ბარუხ. 2,21); განაშორ-
 ნა ტვრთსა ბექნი მისნი (ფსალმ. 80,7); მიყვენ ბექნი შენნი და იტ-
 ვრთე იგი (ისო ზირაქ. 6,26); ხედვიდა იგი კელსა მომავალსა ზე-
 ცით. რომელი შეეხო ბექთა მისთა (ტიმ. ანტ. 88,15); შემიყვანენ
 ჩუენ საბრკესა, დაჰკრიბე ჳირი ბექთა ჩუენთა (ფსალმ. 65,11); ბე-
 კთა ზედა ქერობინთასა გიცოდი შენ (კიმ. I, 175,17); შეკრიან
 ტვრთები მიმიე და ძნიად სატვრთველი და დასდვიან ბექთა ზედა
 კაცთასა (მ 23,4 c); ბექთა ზედა მცემდეს მე ცოდვილნი (ფსალმ.
 128,3); გაზაკთა ბრპენი დადნობილი, მდულარჴ სასტიკად, გარდაას-
 ხიან ბექთა მათთა და ზურგთა (კიმ. II, 106,12); მოადგა წყალი იგი
 ზედა ბექთა მისთა (ქსენეზ. 94,3); მერმე აღიხუნა კელნი თვსნი
 ბექთაგან ბარაქიამსთა (ბალავ. 160,24); თმაჲ თავისა მისისაჲ გარ-
 დაეცილ არს ვიდრე ბექთამდე (ქრისტეფ. 188,8).

ბექ- ფუძის შესატყვისია სევანურში ბარჯ 'ბექი; მხარი', სადაც
 -რ- ფონეტიკურადაა განვითარებული (შდრ. კაპრეტ 'მოხუცი ქა-
 ლი' — ქ: კაპოეტი, დეც. — ლშხ. ლადრეც-ილ 'სასა', ფენტხგ||ფან-
 თხჴ — ლაშ. ფერთხ. 'ფენტხი'), ჯ-ჰ ასიმილაციური გამჟღერებაა
 (შდრ. გიჯი 'პატარა კბილი' — კიჰი). ლმჯიდ მამაჰირაჲდ თეტენ
 ი ჩუ ხაძგერ მარე ბარჯ ნესგაჩუ (სვ. ტ. I, 364,34) „აილო ზარმაც-
 მა სადგისი და აძგერა ორ ბექს შუა“; არაბდ ლმსგურე მაც
 აღმარ ბარჯჳი (სვ. ტ. I, 207,22) „არაბმა შეისვა ყველა ესენი
 ბექზე“; ეჯ ბარჯჲ დფჳი ესზიგენა ეშხვი სოფელ (სვ. ტ. I, 216,5)
 „იმ ბექის ძვალზე დასახლებულა ერთი სოფელი“.

გეჰ-შაშუალ-ი, გეჰთ-საშუალ-ი 'ბექებს შუა არე': ფრთე-
 ნი ტრედისანი ვეცხლით მოსილნი და ბექ-შაშუალი მისი ფერიოთა
 ოქრომსაჲთა (ფსალმ. 67,14); ბექთ-საშუალითა მისითა გფარვიდეს
 შენ, და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე (ფსალმ. 90,4);

წელ-ი 1. ნაწლავი (იხ. გვ. 116); 2. ზურგისა და გავის საზღვა-
 რი: სცა ზედა თეძოსა მარცხენესა და განკუეთა მას შინა ძარღვ
 წელითგან ვიდრე წუერადმდე ფერკისა მისისა (ქსენეზ. 92,7); შე-
 ვედ ვიდრე წელად შენდამდე და შთაყავ კელი შენი წყალსა მას
 (კიმ. I, 334,11); მოირტყნა ძლიერად წელნი მისნი და დაიძრნა
 მკლავნი მისნი საქმედ (იგავნი სოლ. 31,17); იყვენენ სიმაართლით
 მორტყმულ წელნი მისნი და კეშმარტებითა შეხუეულ გუერდნი მის-
 ნი (ესაია 11,5); მოიმტკიცენ წელნი შენნი და წარილჴ რქაჲ ეგე
 საცხებლისაჲ კელთა შენთა (IV მეფ. 9,1); შეიპყრენ წელნი, განმ-
 კნდი ძალითა ფრიად (ნაუმ. 2,2); ამისთვის წელნი ჩემნი აღივსნეს

დაქსნითა, და სალმობათა შემიპყრეს მე ვითარცა შობადი (ესაიაჲსი 21,3); შეიბნ კაცად-კაცადმან მახვლი წელთა თვსთა (გამოსლვ. 32,27); სარტყელი ტყავისაჲ ერთყა წელთა მისთა (IV მეფ. 1,8); მოიგე შენდად სახუფველი მჩურისაჲ. და იხვე წელთა შენთა (იერ. 13,1); აჰა ესრა მსგავსებაჲ მამაკაცისაჲ წელთა მისთაჲთგან და დამართ ცეცხლ, და წელთა მისთაჲთგან და აღმართ ვითარცა ხილვაჲ (ეზეკ. 8,2); აღმოკდეს კაცნი შეჭურვილნი, რომელნი იგი ჩნდეს ქუეყანასა ზედა წელთაჲთგან აღმართ (ელ. ზღაპრ. II, 18); შეიმოსა ძაძაჲ წელთა მისთა (დაბ. 37,34); შთაიციუეს ძაძაჲ წელთა მათთა (III მეფ. 20,32); შემტყიცებულნი იგი წელთა მისთანი დაჰქსნდებოდეს (დანიელი, 5,6); არარაჲ ემოსა, გარნა ძუელი რაჲმე შემოედვა წელთა ზედა (ბალავ. 119,21); რომელთამე ჰქუანან ძუძუნი შორის მკერდსა, ხოლო რომელთამე მუცელსა შორის, ხოლო რომელთამე წელთა ქუშშე (ნ. ემეს. 60,16).

წელ- ფუძისათვის ამოსავალია ნაწლავის მნიშვნელობა: მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები მონათესავე ენებში მხოლოდ ამ მნიშვნელობით დასტურდება. ნაწლავის მნიშვნელობა აქვს ამ ფუძეს ნაწარმოებ სახელებშიც: ყვერე-ჰი 'ბრმა ნაწლავი', ო-ჰ-იშ-ი 'წელი, ზურგი' (სიტყვასიტყვით: სა-წელ-ის-ი). საყურადღებოა, რომ წელის მიდამოს აღსანიშნავად სევანურში იხმარება ჯაჭარ (ზედმიწევნით: ჰაჰები, თირკმლები), ე. ი. აქაც ერთ-ერთი შინაგანი ორგანოს სახელია განზოგადებული.

თეძო 'მენჯი': სცა ზედა თეძოსა მარცხენესა და განკუეთა მას შინა ძარღვ წელითგან ვიდრე წუერადმდე ფერჯისა მისისა (ცსენებ. 92,6); შეწიროს შესაწირავი იგი ცხორებისაჲ მსხუერპლად ღმრთისა, ცმელი და წელნი უბიწოჲ. თეძოჲთურთ მოჰკუეთნე იგი და ცმელი გარდაბურვილი ქუსეტსა (ლევიტ. 3,9); თეძონი ჩემნი აღივსნეს ნაგუემითა და არა არს კურნებაჲ კორცთა ჩემთაჲ (ფსალმ. 37,8).

ისქიო 'თეძო': ორთავე მუკლთა-მიმართ მართლიად მოიდრეკს ბარკალთა ისქიოთა ვინაჲ-მე და ილნიოთა მიერ: რომელთამე შინაჲთ მიმართ, ხოლო რომელთამე გარეთ-მიმართ (ნ. ემეს. 118,24).

საბას განმარტებით „ისქიო და ილუნიო ძარღვნი არიან, რომელთა მიერ აქვს მდრეკელობა მუკლთა და ბარკალთა“. ძველ ბერძნულში τὸ ἰσχιόν თეძოა. მოყვანილი კონტექსტი არც ერთ გაგებას არ გამორიცხავს, მაგრამ რადგან ტექსტი ბერძნულის თარგმანს

წარმოადგენს, ამიტომ ბუნებრივია ნაესხები სიტყვა თავისივე მნიშვნელობით გადმოეტანათ ქართულში.

სარცხვენლ-ი 1. ის, რაც შეარცხვენს ადამიანს: რომელსა-იგი სარცხვენლ უჩნდე მე და სიტყუანი ესე ჩემნი, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხვნოს მას (მრკ. 8,38); სარცხვენლ იქმნა ისრაჴლსა შოვრის, ვითარმედ დაწვა ასულისა თანა იაკობისა (დაბ. 34,7); გამოაჩინოს უფალმან სარცხვენლი ეგვპტისაჲ (ესაიასი 20,4).

2. სასქესო ორგანოები: მოულო სამოსელი ჩემი და ტილოჲ ჩემი, რაჲთა არა დაიფაროს სარცხვენლი თვისი (წწყლ. ოსესი 2,9); დასაბამი ცხორებისაჲ არს პური და წყალი, და სამოსელი და სახლი, რომელმან დაუფარის სარცხვენლი თვისი (ისო ზირაქ. 29,24); სისხლი წარსდიოდა სარცხვენლსა მისსა (ზარზმ. 177,16); მუნქუესვე სარცხვენლნი მისნი განუსიენეს და მიიწიენეს ვიდრე მუხლისთავადმდე მისა (კიმ. I, 298,6); კრონოს დაჰკუეთნა სარცხვენლნი მამისანი (ელ. ზღაპრ. III, 90).

სიტყვა წარმოადგენს მყოფადი ღროის საობიექტო მიმღეობას არცხვნა ზმნისა: ძემანცა კაცისამან არცხვნოს მას, რაჲამს მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისაჲთა (მრკ. 8,38).

წყვილ-ნ-ი 'ადამიანის წყვილეული ორგანოები: ბარკლები ან სათესლე ჯირკვლები': რაჲამს უზორვიდეს ფრკვიელნი, მკართა და წყვილთა თვსთა მახვლითა დაიჭრიან (ელ. ზღაპრ. III, 6); შეიქამნენდ წყვილნი, განლიენ შუენიერებაჲ მისი სიკუდილმან (იობ. 18,13); დასდვა კელი მონამან მან წყვილთა აბრაჰამისთა, უფლისა თვისისათა, და ეფუცა მას სიტყუსა მისთვს (დაბ. 24,9); რომელმან დაჰბადე მშობელი ესე ჩემი უწინარეს ჩემსა, და მე დამბადე წყვილთა შინა მისთა (ბალავ. 156,3); დამოეკიდა ხესა მას შორის ცასა და ქუეყანასა და საქედარი იგი გამოუტდა ქუეშე წყვილთა მისთა (II მეფ. 18,9); მოჰლპა ბარკალი მისი და დაეკრა წკვი მისი წყვილთა მისთა (კიმ. I, 231,35); ყოველნი, რომელნი შევიდეს იაკობის თანა ეგვპტეს, რომელნი გამოსრულ იყვნეს წყვილთაგან მისთა, გარეშე ცოლთა ძეთა იაკობისთა, ყოველი სული სამეოც და ექუს (დაბ. 46,26); არა მოაკლდეს მთავარი იუდაჲსგან და წინამძღუარი წყვილთაგან მისთა (დაბ. 49,10);

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წყვილ- ფუძის ოდენ მრავლობითის ფორმით გამოყენებასთან. წყვილ- ფუძე ანატომიური ტერმინის მნიშვნელობით სხვა ქართველურ ენებში არ გვხვდება.

ტჷშუბ-ნ-ი იგივეა. რაც წყვილნი: ესე ვინაჲ-მე ძარღუნი და გულისბჷკენი იქმნებიან მჯდომის სახედ და ლაქვარდის სახედ თანათხზულ ოსქიოთა მიერ, სადა იგი არს ნოტიოჲ მმურკნველობითი და შთაეკრების ორთავე ტყუბთა შორის (ნ. ემეს. 115,18).

ანატომიური ტერმინის მნიშვნელობით ეს სიტყვა მონათესავე ენებში ვერ დავადასტურეთ.

საშრველ-ნ-ი 'სათესლე ჭირკვლები': საურველნი მისნი საკურნებელად წამლად არს (სახისა სიტყ. 34,3); რაჟამს შვიან ხუადო კიცკ, მამამან დაუტოხნნის საურველნი, და უქმ ქმნის (სახისა სიტყ. 15,8); დედალმან რაჟამს შთანთქის თესლი იგი, საურველნი მოჰკუეთნის მამალსა მას (სახისა სიტყ. 16,9).

სიტყვა წარმოადგენს აურვებს ზმნის მყოფადის მიმღეობას, სა- — ელ აფიქსებით წარმოებულს, გასუბსტანტივებულს. ამ მიმღეობის უსუფიქსო წარმოება იხმარება თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით: საურავი — რაც აურვებს ადამიანს: მამასა ჩემტკს კორციელსა საურავსა ვაწყინებდი (ხანძთ. 86,14); ხოლო მე თანამაც, დედაო, ბრძანებისა შენისა სმენაჲ და ზრუნვაჲ ყოველთა ამათ შენთა საურავთაჲ (ხანძთ. 29,48).

ოხჷიო: ესე ვინაჲ-მე ძარღუნი და გულის-ბჷკენი იქმნებიან მჯდომის-სახედ და ლაქვარდის სახედ თანათხზულ ოსქიოთა მიერ, სადა იგი არს ნოტიოჲ მმურკნველობითი და შთაეკრების ორთავე ტყუბთა შორის (ნ. ემეს. 115,18).

სიტყვა ბერძნულია: ἡ ἄρχη, ὁ ἄρχηγός ანატ. სათესლის პარტი.

6. შინაგანი ორგანოები

შინაგან-ი 'შინაგანი ორგანო': უკუეთუ ესმინ კმაჲ შემაწუხებელისა მისისაჲ... აღეტყინის იგი ვითარცა ნაძეძი, და შინაგანი მისი ყოველი შეელმინ (მამ. სწ. 30,27).

-გან თანდებულიანი ზმნიზედის გასუბსტანტივებულ ფორმას წარმოადგენს ეს სიტყვა: იგი ბერძნულის კალკი ჩანს: ἡ ἐνδομήτη „შინაგანი“ იშლება ἐνδο- 'შიგ, შიგა' და — მή: ადგილის აღმნიშვნელ თანდებულად.

სასულე 'სასუნთქი მილი': ამათვე თანა მიდრკეების სასულე და მსხვლნი არტირიანი, რომელ არიან აირის-საცავნი, რომელნი ნაწილცა არიან სასულისა (ნ. ემეს. 121,25); სხვლისა არტირიისა,

რომელ არს აირის-საცავი, უზრქესი უკუშ არს ორღანო კმისა, ხოლო უმენებრივნი მისნი საკრველ სასულისა აპკნი (ნ. ემეს. 122,2); შეუძლებელ ფშვნავა თვნიერ სასულისა (ნ. ემეს. 28,14).

სა-სულ-ე სულ- ფუძიდან სა- — ე აფიქსებით ნაწარმოები დანიშნულების სახელია. მ. ქალდანის ცნობით, ამ მნიშვნელობით სევანურში იხმარება მწრმე ქარკ (სიტყვასიტყვით: მეორე ხორხი).

არტირია 1. სასუნთქი მილი: ძარღვ — ქურტველ სისხლისა... და არტირიაა — ქურტველ სულისა (ნ. ემეს. 114,4); შეერთობის უკუშ არტირიასა ვრონხოა, რომელ არს ღაქლაქი (ნ. ემეს. 122,16): სხვლისა არტირიისა, რომელ არს აირისსაცავი, უზრქესი უკუშ არს ორღანო კმისა (ნ. ემეს. 122,1); ამათვე თანა მიდრკების სასულე და მსხვლნი არტირიანი, რომელ არიან აირის-საცავნი, რომელნი ნაწილცა არიან სასულისა (ნ. ემეს. 121,25).

2. არტერია: განელებიან მძლავრად არტირიანი, რომელ არიან გულისბქენი (ნ. ემეს. 114,10); ძარღვ საზრდელსა მისცემს ნევროსა და არტირიათა, არამედ არტირიაა მისცემს ძარღუსა ბუნებითსა სიმკურვალესა და სულსა ცხოვლებრივსა. ვინაჲ არცა არტირიაა არს თვნიერ დაწმედილისა სისხლისა და არცა ძარღვ — თვნიერ ორთქლებრივისა სულისა (ნ. ემეს. 114,6).

სიტყვა ნასესხებია ბერძნულიდან: ἡ ἀρτηρία 1. სასუნთქი მილი, ტრაქეა; 2. არტერია; 3. სისხლძარღვი.

გულის-ბჰე-ნ-ი 'არტერია': განელებიან მძლავრად არტირიანი, რომელ არიან გულის-ბქენი (ნ. ემეს. 114,11); მოადნობენ ვინაჲვე გულის-ბქენი და ძარღუნი სისხლსა აღმურკნვილის სახედ ნოტიოსა, რათა იზარდებოდინ (ნ. ემეს. 115,10); ესე ვინაჲ-მე ძარღუნი და გულის-ბქენი იქმნებიან მკდომის სახედ და ლაქვარდის სახედ (ნ. ემეს. 115,18).

შუასაძგიდ-ი 'ღიაფრაგმა': ოდეს რაჲ ვილმობდეთ რომლი-სავე სულისკუშთითთა ნაწილთაგანსა... გინა შუასაძგიდსა, გინა ფაწალსა, გინა მუცელსა... (ნ. ემეს. 120,10).

სიტყვა წარმოადგენს ბერძნული ἡ β:χ-ζαμδ, ან: 'ღიაფრაგმა' სიტყვის კალკს

შუაზღუდე 'ღიაფრაგმა': შუაზღუდისა მუცელი უქუშნაეს ძეს, ხოლო გული უზენაეს (ნ. ემეს. 109,20).

შუაზღუდე წარმოადგენს ბერძნული ომ-ფარჯა სიტყვის კალკს, სადაც ომ- თავსართი „გაყოფას“ ნიშნავს, ომ-ფარჯა, ანუ: 'ზღუდე'.

ფირტვ 'გულმკერდის ღრუში მოთავსებული სასუნთქი ორგანო, ფილტვი': ფირტვ, რომელ-იგი არს ჭური აერისა (კაც. აგებ. 224,30); ნაწლევთა ჩუენთა შორის აგებულ არს ფირტვ, ნაწლევითხელი და ვრცელი, რომელი-იგი განწვალებითა ყიისაჲთა შეიწყნარებს ჰაერსა და იყნოსს, და შინაგანსა მას მჭურვალებასა უმწერობს და აგრილობს (ექუს. 81,34); გულისკმა ყავ, რამეთუ არა არს მათ თანა ყნოსაჲ, არცა ფირტვ. და ყოვლითურთ და ყოვლითკერძო ცხონდების იგი ჰაერთა შინა (ექუს. 101,1); ფირტვ არს, რომელი აგრძობს ცეცხლსა მას გულისასა (კაც. აგებ. 221,28); ფირტვ აგებული არს თხელად ღრუბლის სახედ, მრავალ სადინელ, შეძერწულ ყიასა თანა (კაც. აგებ. 225,14); იქმნა ადგილი გულისაჲ უკუნა-კერძო ფირტვსა. (კაც. აგებ. 226,9); გუერდისა გურემამან, გინაღძქლისამან, ანუ თუ ფირტვსამან, მსწრაფლ წარიტაცის კაცთაგან კაცი (ექუს. 52,15).

ახალ ქართულში ფირტვ შეიცვალა ფილტვ-ად. ფირტვი დასტურდება მეგრულშიც ამავე მნიშვნელობით გამოთქმაში ფირტხვალი „ფილტვის ხველება“, 'ჭლექი' (შედ. ლექსიკ. გვ. 67). მეგრული ფირტვი შეიძლება ნასესხები იყოს ქართულიდან (კ. ჰ. შმიდტი, გვ. 136), ოღონდ, რ-ლ სუბსტიტუცია ქართულის ფაქტია და არა მეგრულისა, როგორც ამას კ. ჰ. შმიდტი ვარაუდობს, ფირტვ-ფუქეს უკავშირებს არნ. ჩიქობავა ჰანურ სიტყვას ფურ-ფ-უ „ფილტვი“. სვანური კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია პერშუღა 'ფილტვი'. ყვიუზლ, გვიპარ, ჯაპარ, ნენერპლ ი პერშუღალ ახვტყაბედ (სვ. ტ. I, 40,25) „ღვიძლები, გულები, ჰაქები, ელენთები და ფილტვები შეეწვით“.

შესაძლოა ამავე ძირისა იყოს სვანური სიტყვა ლი-ფურთე 'გასიება, შეშუპება', ჩუ-ად-ფურთ-ან 'გასიება' (შდრ. მეგრ. ფიფვი 'ფილტვი'; ფიფვინაფა "შეშუპება, გასიება").

ფუქეთა ფონეტიკური იდენტიფიკაცია მოცემული აქვს გ. მაჰვარიანს: ქართული ფირტვი- \leftarrow *ფირტჟი-ი პროგრესული დისიმილაციით. ჰანური ფურფუ- \leftarrow *ფირთუ ასიმილაციით (თ) \rightarrow ფ ლაბიალურ გარემოცვაში), სვანურ პერშუღაში ჰ ფ'საგან მიმდინარეობს, ჟ კი მეტათეზისით დ-ს წინაა გადასული¹⁰².

¹⁰² გ. მაჰვარიანის, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 18.

გულ-ი 1. ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შე-
 კუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს სისხლძარღვებში: გული
 გვალმე ჩუშნ ერთითა ყელისა-საბელითა მძივის შენისათა (ქბ. ქბ.
 4,9); ვსცე მათ გული გონიერი და ყურნი მორჩილნი (ბარუხ. 2,31);
 მუცელი ჩემი შეძრწუნდა. და გული ჩემი გარდაიქცა ჩემ თანა. რა-
 მეთუ განმწარებით განმამწარე მე (გოდ. იერ. I, კ'); ვითარცა სა-
 ხედ განამზიარულის ღვინომან გული (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 2,30);
 სიხარულსა დიდსა შინა იყო გული ჩემი (რაგაბ. 94,13); უფალმან
 მოაჩხო გული ჩემი (იობ. 23,16); განზრქა გული ერისაჲ ამის (მ
 13,15); ხოლო მე განვაფიცხო გული ფარაოჲსი (გამოსლვ. 7,3); ნუ
 შეძრწუნდებინ გული თქუენი (ი 14,1); ფრიად წუხნდა გული მისი
 (ხანძთ. 4,2); ვნებაჲ, რომელი შეეხის კორცთა, გული შეაწუხის
 იგავნი სოლ. 25,20); ამისთვის გული მოაბისა ვითარცა ნესტკ ოხრი-
 დეს (იერ. 48,36); განმრავლდეს სულთქუმანი ჩემნი და გული ჩემი
 ზრუნავს (გოდ. იერ. 1, კბ); გული ყოვლისა კაცისა ისრაჴლისაჲ
 აბესალომის თანა არს (II მეფ. 15,13); იტყოდა იგი გულსა თვსსა
 და ბაგენი მისნი ოდენ ეძრვოდეს (I მეფ. 1,13); გულსა შიდა მიც
 იკვ (სინ. 243,16); დაუკვრდა გულსა მათსა (სინ. 253,35); განიცინ-
 ნა სარა გულსა თვსსა (დაბ. 18,12); დედასა მისსა დაესხნეს ყოველ-
 ნი ესე სიტყუანი გულსა თვსსა (ლ 2,51); სიხარული იგი აქუნდა
 გულსა თვსსა (სინ. 27,35); კუალი არს გულისა კეთილისაჲ პირი
 მზიარული (ისო ზირაქ. 13,28); კურაპალატმან გულისა შეჭირვები-
 საგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“ (ხანძთ.
 55,78); გულის წყებით განრისხებული გამოვიდა და არა ჳამა პური
 (I მეფ. 20,34); კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა
 თვსისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან სა-
 უნჯისა გულისა თვსისა გამოიღის ბოროტი; რამეთუ ნამეტნავისაგან
 გულისა იტყვნ პირი მისი (ლ 6,45); მიმოიხედა მათა რისხვით და
 მწუხარედ სიბრმისათვის გულისა მათისა (მრკ. 3,5); გამომავალი
 პირით გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა (მ 15,18);
 ნუგეშინის-სცა მათ და ეტყოდა გულისაებრ მათისა (დაბ. 50,21);
 ბაგითა დაგიტკნებოდის მტერი და გულითა თვსითა ზრახვიდის
 შთაგდებასა შენსა ქნარცუად (ისო ზირაქ. 12,15); განსთქდებოდეს
 გულითა მათითა და იღრჭენდეს მის ზედა კბილთა მათთა (საქმე მცქ.
 7,54); მშკდ ვარ და მდაბალ გულითა (მ 11,29); მახარებელად გლა-
 ხაკთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსრვილთა გულითა (ლ 4,18);
 ყოვლითა გულითა ჳხალოდიან მას (ცხ. პ. კაპეტოლ. 28,9); სიბოხე-
 სა მას ძალსა საზრდელისასა ღძლი განჳყოფს სიმეტურვალითა სის-

ხლისადათა და მიუძღუანებს გულად, მეუფისა მის ასოთაჲსა (მამ. სწ. 176,28); დაუბრმეს თუალნი მათნი და დაუსულებეს გულნი მათნი (ი 12,40); ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი (ლ 16,15); ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან (მრკ. 7,6); იგი არს გულთ მეცნიერი ღმერთი (ბოლნ. 12,18).

2. რისამე შინაგანი ნაწილი: რომელნი-იგი ადვილად შეიცვალეზიან დგომითა მათ ზედა მთოვარისადათა ხოლო ტვნნი ცხოველთანი, და ცხოველნი ზღვსანი და გულნი ხეთანი (ექუს. 78,4); დაედლა გულსა ქუეყანისასა (სინ. 227,5); ეგრძთ იყოს ძმ კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე (მ 12,40).

3. მეკრდი: კელნი სანატრელნი... უბიწოსა გულსა ზედა თვსსა დაიჭუარდნა (ცხ. გ. მთაწმ. 397,7); დაიწერა ჯუარი შუბლსა და გულსა (ეგესტ. მცხ. 31,17).

გავრცელებულია გულ-ლექსემით აგებული იდიომები:

გული განაწყ-ო, გული განიწყ-ო, 'განრისხდა', გულწყებული 'განრისხებული': რადათა გული განაწყოს და მოკლას იგი (სინ. 276,25); გული განიწყეს ორთა მათ ძმათათვს (მ 20,24 ც); ამისთვს გულ-წყებულ იყო ნერონ ფრიად და მრავალ ჟამ აგრიპას არა ზრახვიდა (სინ. 249,32).

გულსა მოგიქდა-ა 'აზრად მომივიდა': მომიქდა ოდესმე გულსა... რადათა წარვიდე პალესტინედ (სინ. 266,4); არა ვითარ-ეგე თქუენ გულსა მოგიქდა, არამედ ვითარცა წერილ არს (სინ. 188,30); გულსა მოუქდა ამას მონაზონებაჲ წყალობითა ღმრთისადათა (კიმ. 11, 164,5).

გულის თქუმა-ჲ 'რისიმე სურვილი, ნდომა': შერტყმული სარტყლითა ოქროჲსადათა არა წელთა ზედა, ვითარცა-იგი სხუათა კაცთა არტყია აღვრ-სასხმელად გულის-თქუმათა (გამოცხ. თ. 1,13); გულმან მითქუა ლოცვად ადგილთა წმიდათა (სინ. 266, 12); მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა გული უთქუმიდა ხილვად, რომელსა თქუენ ჰხედავთ, და ვერ იხილეს (მ 13,17);

გულის წყრომა-ჲ 'გაბრაზება, წყენა': ორდნო საგრძნო გულის-მითქუმელობისა არს ღვძლი, ხოლო გულის-წყრომისად — გული (ნ. ემეს. 95,24).

გულსა აღუშლი-ს 'გულს აურევს': ნელ-ტფილი წყალი გულსა აღუშლის აღმოსაგდებელად (გამოცხ. თ. 3,17).

გულ-ფუძე პროდუქტიულია ქართულში. დავასახელებთ ამ ძირიდან წარმოქმნილ ზოგიერთ სიტყვას:

იგულები „გულად იღეთ“ (საბა), ‘გულისხმა-ჰყავთ’: უბრალო ვარ მე სისხლისაგან ამის მართლისაჲსა, თქუენ იგულები (მ 27,24c); ეგულები-ს ‘გულში უძევს, განზრახული აქვს; ჰსურს’: ძიებაჲ ეგულების ძელისაჲ მის (სინ. 239,33); ეგულებოდა მას ქალწულე-ბით დადგრომაჲ (ქრისტინა 183,4); რომლითა სიკუდილითა ეგუ-ლებოდა მოსიკუდიდი (ი 18,32); შეძრწუნდა იოსებ, რამეთუ შეი-წუებოდეს ნაწლევნი მისნი ძმასა მისსა ზედა და ეგულვა ტირილდ (დაბ. 43,30).

განიგულ-ა ‘გაითვალისწინა’: ღმერთმან წინამსწარ განიგულა ყოველივე და განუადვილა გზაჲ მონათა მისთაჲ (კიმ. I, 2,37); გა-ნიგულეთ, რამეთუ არა ჩემთვის ვშუერ (ისო ზირაქ. 33,17).

გულითად ‘მთელი არსებით, მთელი გულით’: უკუეთუ გნებავს გულითად, რაჲთა დავჰვლა მკუდარი ჩემი პირისაგან ჩემისა, ისმი-ნეთ ჩემი (დაბ. 23,8).

გულ-ჩჩკლ-ი: ვიქმნეთ ჩუენ მოწყალე, სახიერ და გულ-ჩჩკლ ყოველთა ზედა მწუხარეთა (მამ. სწ. 54,22).

გულ-ი საერთო იბერიულ-კავკასიური ძირის სიტყვაა. ამაზე ჯერ კიდევ პ. კ. უსლარი მიუთითებდა¹⁰³. ქ.: გ-უ-ლ-ი, ზან. გ-უ-რ-ი || გუ-ი, სვ. გ-უი-გუ (ლშხ.)—*გულ-, აფხ.: ა-გუ, ხუნძ.: რა-კ. ლაკ.: და-კ. ჰან.: მციქა გური მაწკუნუ (ყიფშ. კ. ტ. 69,10) „ცოტა გული მეტიანა“; მეგრ.: გური მანგარი ქოგილუნჯ და, ლეკურს სიკუათესა ნუ უწონენქჲ (ცაგ. 83, XXVIII) „გული თუ მაგარი გაქვს, ხმალს მპრელობას ნუ უწუნებ“; სვან.: გვიდ ლიჯგენე ოთბინე (სვ. ტ. I, 108,20) „გულმა კანკალი დაუწყო“; ათხე ალას ხაჩა გუისგა სვ. ტ. I, 120,3 „ახლა ამას ეცინება გულში“.

გულ- ფუძეს უკავშირებს ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩი ალტაიურ $\text{g\ddot{u}l}$ ‘შუაგული’ და სემიტურ-ქამიტურ gwl ‘გული’ ფუძეებს¹⁰⁴.

სტომამ-ი ‘კუჭი’: სტომაქი მოიდნობს საკმელსა და სიპოხესა მისსა მისცემს ნესტუთა მათ ღვძლისათა (მამ. სწ. 176,22); სიმძაფ-რისა მით სიცხისაჲთა დაიწუებოდა სტომაქი მისი, და წყურილითა დიდითა განქჲ ენაჲ მისი (საკითხ. II, 90,5); ნანდკლვე ფრიადისა მარხვისაგან და მოლუაწებისა დაქსნილ იყო სტომაქი მისი (კიმ. I, 129,4); სტომაქი მისი ფიცხლად ელმოდა სიყრმითგან მისით და ვერ შემძლებელ იყო იგი ჰამად საკმლისა გრილისა ყოვლად რამეთუ

¹⁰³ П. К. У с л а р, Этнография Кавказа, Абхазский язык, 1687, гл. 127.

¹⁰⁴ В. М. И л л и ч - С в и т ы ч, Материалы... გვ. 364.

სალმობისა მისგან არღარა მოიდნობდა სტომატი მისი (კიმ. I, 238,34); ორღანო ვიდრე-მე მოზარდობითისა პირი და სტომაქი, რომელსა უწოდიან პირის-მბრძოლად და მუცელი, და ღვძლი (ნ. ემეს. 111,11); რამეთუ ნაყროვანებამან შეამძიმნის კორცნი და აურვებნ ასოთა, აკირებნ სტომაქსა (სინ. 112,26); ადგილი სტომაქისაჲ არს მახლობელად გულსა (კაც. აგებ. 226,12); ბუნებითი იგი განსავალი იყო დაყოფილ სტომაქისა მისისაჲ (კიმ. I, 267,33); დიდი სიმყრალე გამოდიოდა სტომაქისა მისისაგან (კიმ. I, 337,6); სიმძიმჴ და განრყუნილებაჲ სტომაქისაჲ, და წყლით განსივებაჲ... მუცლისაჲ... — ნაყროვანებისაგან და ფუფუნებისაგან იტყვედ მკურნალნი (სინ. 109,14); ოდეს გარდაეხვის ნავდელი განმამწარებელი სტომაქისაჲ და ფრიად შეჴყლიმის იგი (კაც. აგებ. 165,5); არა ცუდად იქმნა ცხოველთათჴს, რომელთა აქუს სტომაქებ და იქუანჩებ და ქუსეტებ (ექუს. ილ. აბ. 131,18).

სტომაქ-ი ბერძნულიდანაა ნასესხები: ἡ σάμαχος 'ყელი; ხა-ხა; კუქი'. სხვა ქართველურ ენებში არ გვხვდება. შეიძლება სიტყვა სტომაქი ხახას ნიშნავდეს კონტექსტში: ხოლო ოდეს რაჲ ესრეთ შეიშადოს საზრდელი, წარივლინების მუცლად სტომაქისა მიერ (ნ. ემეს. 111,20).

პირი მუცლისა-ი 'სტომაქი': ორღანო შიშისა — პირი მუცლისა (ნ. ემეს. 109,11); ძუჭლნი პირსა მუცლისასა, რომელ არს სტომაქი, გულად უწესს (ნ. ემეს. 109,21).

პირის-მბრძოლ-ი 'სტომაქი': ღვძლი და ტუნი და გული და პირის-მბრძოლი, რომელ არს სტომაქი; და თირკუმელნი... (ნ. ემეს. 27,18); ორღანო ვიდრე-მე მოზარდობითისა პირი და სტომაქი, რომელსა უწოდიან პირის-მბრძოლად, და მუცელი და ღვძლი... (ნ. ემეს. 111,12).

ღვძლ-ი 'შინაგანი სეკრეციის ორღანო, რომელიც გამოყოფს ნაღველს და მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის მნიშვნელოვან პროცესებში': შეელმა მას ღვძლი ფრიად და ძლიერად, რომლისაგანცა აღესრულა (ლიმონ. 31,19); შეკრებასა მათსა ნუ აჴყვებინ ღვძლი ჩემი (დაბ. 49,6); წყაროჲ იგი სისხლისაჲ, რომელ არს ღვძლი, ნივთი არს მზრდელი საჴმელთა და სასუმელთა მიერ (კაც. აგებ. 224,22); სიპოხესა მას და ძალსა საზრდელისასა ღვძლი განჴყოფს სიმჴურვალითა სისხლისაჲთა (მამ. სწ. 176,27); ღვძლმან მითუალის მუცლისაგან აღმრღუჭული ვინაჲვე ბალღამი... სისხ-

ლად გარდააქცევს ბალღამსა (ნ. ემეს. 112,7); ადგილი ღვძლისაჲ შორავს გულსა (კაც. აგებ. 227,18); ძირი იგი ღვძლისაჲ თირკუმელთა თანა მოჰქადოს (ლევიტ. 4,9); გუერდისა გურემამან, გინა ღვძლისამან, ანუ თუ ფირტკსამან, მსწრაფლ წარიტაცის კაცთაგან კაცი (ექუს. 52,15); ღვძლისაგან გამოვლენ ორნი განსადინენი, მიმსგავსებულნი ღართა (კაც. აგებ. 226,22); ღვძლიდეს კორცთა მათთა, ღანებითა განაპებდეს, და ღვძლები იგი მათი, ვითარცა ძალთა პირითა განეტაცა (გობრ. 180,35).

ღვძლ- ფუძე გამოყენებულია იდიომატურ გამოთქმაში ღვძლის შემტყუები 'მისანი, გრძნეული': მოგუნი ნათესავ არიან მიღელთა, რომელთაგან გამოვიდეს ღვძლის შემტყუებნი (ელ. ზღაპრ. 1,15).

სიტყვაში ღვძლ-ი ძირია ღვძ-, რომლის შესატყვისია სვანურში ყვიფე 'ღვიძლი' (შედ. ლექს. გვ. 67) (ქართული ღ სვანური ყ შესატყვისობისათვის შდრ.: ჯველფი „ნაკვერცხალი შეგროვებული (საბა) — ყველფ 'კერის გარშემო ადგილი', ღლაპი — ყლაფ 'ჩია ბავშვი'...): ისევე ხოხვრა მუხებქემიშ ყვიფე ესერ ხაშიდ, აღო იშგენ მამგვეშ! (სვ. ტ. I, 78,25) „შენი პატარა ძმის ღვიძლი მოგიხდებო, სხვა არაფერი“; ამი ტებდი ყვიჟანგქა ისგვი თწრრე ეაგწარ მამა როქვ ლი (სვ. ტ. I, 78,37) „ამისი თბილი ღვიძლის გარდა შენი თვალების წამალი არააო“.

ყვიფ-პერშვდა 'გულღვიძლი' (ზედმიწეენით: ღვიძლ-ფილტვი): ჩიწსგი მახვში ირემ პრი, ეჩი ყვიფ-პერშვდა ხწარ ხოჩა დედფაღს (სვ. ტ. I, 228,5) „ყველაზე უფროსი ირემი არის, მისი გულღვიძლი მოუხდება დედოფალს“.

მეგრული შესატყვისი გამოავლინა გ. კლიმოვმა სიტყვაში ი-ყვიფ-ინ-ან-ს 'ყვითლად, ავადმყოფურად გამოიყურება'. იგი ყ თანხმოვნიან ვარიანტს მიიჩნევს პირველადად (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 211). გ. მაჭავარიანიც ყ თანხმოვნის პირველადობას უჭერს მხარს და შესაძლებლად მიაჩნია ღ ასიმილაციის შედეგად იყოს მიღებული ძ'ს გავლენით¹⁰⁵.

ღვძლის ყწრ-ი: ესე არს ცმელი მკრდისაჲ და ღვძლის ყური (ლევიტ. 7,20); ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთაჲ და ღვძლის ყურნი იგი თირკუმლითურთ მოჰქადოს (ლევიტ. 3,10); ღვძლის ყურნი იგი ღვძლისაჲ თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს (ლევიტ. 3,15).

¹⁰⁵ გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 71.

სათანადო ადგილას რუსულ ტექსტში ყველგან გვაქვს „салыник на печени“.

ნავლელ-ი 1. მომწვანო-ყვითელი ფერის მწარე სითხე, რომელსაც გამოიმუშავენ ღვიძლი: მწუანე არს ნავლელი (გამოცხ. თ. 6,8); განმწონნეს თირკუმელთა ჩემთა; ურიდად დასთხიეს ქუეყანასა ზედა ნავლელი ჩემი (იობ. 16,14); ვერ უძლონ შეწევნად თავისა თვისისა ნავლელი ასპიტისაჲ მუცელსა მისსა (იობ. 20,14); მცეს მე საკმლად ჩემდა ნავლელი (ფსალმ. 68,22); ნელსაცხებელი არა სცხეს, არამედ ძმარი და ნავლელი მიუპყრეს (სინ. 125,22); გარდაეხვის ნავლელი განმამწარებელი სტომაქისაჲ და ფრიად შეკყლიმის. იგი. და ამისთვის ყვთელ იქმნის პირი მწუხარეთაჲ... და ესე ფრიად განსლვისაგან ნავლისა ძარლუთაგან ზედა კერძოჲსა გუამისასა (კაც. აგებ. 165,5); უმწარეს ნავლისა აღესრულოს ჩუენ ზედა სიტკბობეჲჲ იგი (მამ. სწ. 233,15); ყოველი სხეული უკუჭ ოთხთა ასოთა არს თანშეშჯა და მათგან ქმნილ: რამეთუ მახლობელად სისხლის-შორისნი ცხოველთანი ოთხთაგან ბალდამთა: სისხლისაგან და წათხისა და მწითურისა ნავლისა და შავისა (ნ. ემეს. 58,10); მისცეს მას ძმარი ნავლითა შეზავებული (მ 27,34); განმადლო მე სიმწარითა. და დამათრო მე ნავლელითა (გოდ. იერ. 3 მთ.); მისცეს მას სუმაღ ღვნოჲ ნავლელ-რეული (მ 27,34 ც).

2. (გადატ.) დარდი, ჯავრი, მწუხარება, სიმწარე: ყოველნი დღენი მისნი ბნელსა და გლოვასა შინა და გულის წყრომასა მრავალსა და სნეულებასა და ნავლელსა (ეკლ. 5,16).

ი. ყიფშიძეს მეგრულში დადასტურებული აქვს ნალმელი 'ნალველი', ნალველი დარდის მნიშვნელობით კი გვაქვს ნარლი. სვანურში ნალველი წარმოდგენილია ფორმებით: ნაჭლჭელ||ნანღჭელ||ლანღჭელ, ეს ტერმინი ორივეგან ქართულიდან ნასესხები ჩანს.

ნალუელ- ნა- --- -ელ აფიქსებით ნაწარმოებ ფუძეებსა ჰგავს. -ლუ- ძირიც შეიძლება ღვიძლ- ფუძესთან დაკვეკავშირებინა ძ თანხმოვნის საკითხი რომ ამ უშლიდეს ხელს.

ნავლის შემწყნარებელი ბუშტი 'ნავლის ბუშტი': სისხლი დაწმდების ტყირობისა მიერ და ნავლის-შემწყნარებლისა ბუშტისა და თირკუმელთაგან; რამეთუ ტყირობისა მიერ ბრკებრივი მიიზიდვის მკმნელისა მისისა თვისად საზრდელად, ხოლო ნავლის-შემწყნარებლისა ბუშტისა მიერ — ღრუმოჲ, რომელ არს მკბენლობეჲ (ნ. ემეს. 112,12).

ტყირბ-ი 'შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, ცერცვის მოყვანელობის, მოლურჯო-მოწითალო ფერისა. მდებარეობს მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში, — ტყირბი, ფაწალა, ელენთა': ტყირბიცა არა მცირედ შეეწევის მოდნობისა-თვის (ნ. ემეს. 123,17); ვითარცა ირემი რომელსა კემოლ არს ტყირბსა და იწრაფინ (იგავნი სოლ. 7,23); სისხლი დაწმდების ტყირბისა მიერ და ნავლის-შემწყნარებლისა ბუშტისა და თირკუმელთაგან; რამეთუ ტყირბისა მიერ ბრკებრივი მიიზიდვის მქმნელისა მისისა თუსად საზრდელად (ნ. ემეს. 112,11—12).

ელენთა სვანურად არის ნენრ||ნინრ, რომელსაც უკავშირდება მეგრული ნე 'ელენთა'. ტყირბ- ფუძე სვანურში შემორჩენილი გვაქვს წარმოქმნილ სახელში ნა-ტყგრბ-ელ 'ქორფლი' (ზედმიწვევით: ნა-ტყირბ-ალ-ი). ყვიჟალ, გვიარ, ჯაჟარ, ნენრპლ ი პერ-შედალ ახეტყაბედ (სვ. ტ. I, 40,24) „ღვიძლები, გულები, თირკმლები, ელენთები და ფილტვები შეეწეით“.

ტყირბ- ფუძის შესატყვისია მეგრულში ტყილ-ი 'ელენთა'. მთანხმოვანი აქ ისევე იკარგება, როგორც წარბ-/წარ-ის შემთხვევაში გვქონდა, ლ ენაცვლება რ-ს. მეგრული ტყიბ-ი ვარიანტი კი შესაძლოა ახ. ქართული ტყლიბ- ფორმიდან მომდინარეობდეს.

უმართებულაა ქართულ-ზანურის პრაფორმად ტყირბ- ფუძის აღდგენა (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 184), სამივე ქართველური ენა ტყირბ- ფორმას უპერს მხარს.

ფაწალ-ი 'ტყირბი': ოდეს რა ვილმოზდეთ რომლისავე სულის-კუჭთითთა ნაწილთაგანსა, გინათუ... ღვძლსა, გინა შუასაძგიდსა, გინა ფაწალსა, გინა მუცელსა და წურილადთა ძარლუთა (ნ. ემეს. 120,10).

ეს ფუძე დასტურდება კანურშიც ფაწალა||ფანწალა ფორმებით. ფუძეში ნ მეორეულია (შედ. ლექსიკ. გვ. 67).

თირკუმელ-ი 'შარდის გამოყოფი (წარმოქმნილი) წყვილელი ორგანო, მდებარეობს მუცლის ღრუში ხერხემლის გვერდებზე, წელთან'; უფალი არა ვითარ კაცი პირსა ჰხედავს, არამედ განიკითხავს გულსა და თირკუმელსა (კიმ. I, 323,21); ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი, რომელ მათ ზედა არს,.. თირკუმელთა თანა მოკუეთოს (ლევიტ. 3,4); რომელმან განვკითხნი გულნი და გამოცადნი თირკუმელნი (იერ. 17,10); კუნესიან თირკუმელნი ჩემნი, მელმის მუცელი ჩემი (ბოლნ. 81,8); თირკუმელნიცა ვინაჲვე სისხლისა განსაწმედელ არიან და მიზეზ წადილისათვის შეერთებასა

ქორწინებისასა (ნ. ემეს. 123,22); ღამემდე უმეტეს განმსწავლეს მე თირკუმელთა ჩემთა (სინ. 156,34); განსწონა თირკუმელთა ჩემთა გესლი კაპარკთა მისთაჲ (გოდ. იერ. 3, მთ); მახლობელ ხარ შენ პირსა მათსა და ჰშორავ თირკუმელთა მათთა (იერ. 12,2); უფალო ძალთაო გამომცდელი სიმართლისაო და მცნობელი გულთა და თირკუმელთა (იერ. 20,12); თირკუმელთა მისთა მოწამე არს ღმერთი და გულისა მსტუვარი ჭემმარიტ (სიბრძნ. სოლ. 1,6); სისხლი დაწმდების ტყირბისა მიერ და ნავლლის-შემწყნარებლისა ბუშტისა და თირკუმელთაგან (ნ. ემეს. 112,12).

ნ. მარი თირკუმელ- სიტყვას რუსულად თარგმნის როგორც почки, внутренности. შიგნეულობის მნიშვნელობით ეს სიტყვა ტექსტებში ჩვენ არ შეგვხვებდრია. ნ. მარი თირკუმელს pl. tantum-ად მიიჩნევს. მასში გამოყოფს მრავლობითობის -მ და -ელ სუფიქსებს, ძირად კი თირ(ი)კ- || ≧ ერიკ'ს და უკავშირებს სომხურ *երկ-ամուნი* 'თირკუმელ' სიტყვას¹⁰⁶. ქართულში არა გვაქვს მრავლობითობის -მ და -ელ სუფიქსები. ამდენად. არც ამ სიტყვის მრავლობითის ფორმად გამოცხადებაა მართებული.

ბუშტი-ი 'საშარდე ბუშტი': რომელთამე ბუშტი არა აქუს, ვითარ რაჲ მფრინველთა ქათამთა და ყოველთა ამფსმელთა (ნ. ემეს. 60,6).

წელ-ი 1. ნაწლავი: ღვძლი და ტვნი და გული და პირის-მბრძოლი, რომელ არს სტომაქი და თირკუმელნი და წელნი და სხუანი მრავალნი (ნ. ემეს. 27,19); მელმიან წელნი ჩემნი შენთვის შეილო (კიმ. I, 145,17).

2. ზურგისა და გავის საზღვარი (იხ. გვ. 103).

წელ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ჰანური ჰუ||მ-ჰუ და მეგრული ჰი 'ნაწლავი' (შედ. ლექსიკ., გვ. 69). სვანურში წარმოდგენილია ამ ფუძის რედუპლიცირებული ვარიანტი: ჰინჰილ: წიროლს მჰა ხაკუ? — ჰინჰლარ (სვ. ტ. I, 390,15) „წიროლს“ რა უნდა? — წელეზი“.

ნაწლევი-ი „მუცლის შიგანაური“ (საბა), ნაწლავი; შინაგანი ორგანო: ნაწლევეთა ჩუენთა შორის აგებულ არს ფირტკ, ნაწლევი თხელი და ვრცელი, რომელი იგი განწვალეზითა ყიისამთა შეიწყნა-

¹⁰⁶ Н. Я. Марр. Яфетические названия деревьев и растений. гв. 770—771.

რებს ჰაერსა და იყნოსს (ექუს. 81,34); ჰსცა იოაბ უბესა ზეშთა ამესას და გარდამოუყარა ნაწლევი მისი (II მეფ. 20,10); შეუტდის პირსა მის კორკოდინოს მკეცისასა და ყოველი ნაწლევი შეუქამის (სახისა სიტყ. 36,14); ტყავი კბოჯსაჲ მის და ყოველი კორცი მისი თავ-ფერკითურთ და ნაწლევით და ფუშნიერით, და ყოვლადვე კბოჲ იგი განილოს გარე ბანაქსა მას (ლევიტ. 4,11); იყო მამაჲ პოპ-ლიოჯსი სიციხითა და ნაწლევითა სნეულ და მწოლარე (საქმე მცქ. 28,8); შვილო ჩემო, ნაწლეო მუტლისა ჩემისაო (ბალავ. 107,29); სენი ძნელი მოიწია ერთსა მათგანსა ზედა, და იქირვოდა მუტლითა ნაწლევითა შეპყრობილ იყო (აპოკრ. 71,36); განსივნა და განსთქდა შორის, და განიბნიენს ყოველნი ნაწლევი მისნი (საქმე მცქ. 1,18); რომელსამე მახვლითა ნაწლევი გამოუხსნიან (სინ. 276,6); ნაწლევი მისნი სავსე იყვნეს ცმელითა, ტკნი მისი განფენილ იყო (იობ. 21,24); ნაწლევი და ფერკნი განპრცხნე წყლითა (ლევიტ. 1,9); დაიჭრებოდეს ნაწლევი მისნი. და შეიმრლუა ცნობაჲ მისი (ტიმ. ანტ. 83,24); შექრწუნდა იოსებ, რამეთუ შეიწუებოდეს ნაწლევი მისნი ძმასა მისსა ზედა და ეგულვა ტირილდ (დაბ. 43,30); ნაწლევი განეჭრებოდეს თანალმობითა (ცხ. პ. კაპეტოლ. 58,2); სტომაქი მოიღნობს საქმელსა და სიპოხესა მისსა მისცემს ნესტუთა მას ღვძლისათა, და ნაწლევი შეიწყნარებენ რუგთა შინა მათთა ნივთსა მას უშუერსა და გარყუნილსა და მიერ განსთხევენ (მამ. სწ. 176,24); ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არა შევიწყალე, არა განუხუენ ნაწლევი მოქენეთა (დ. აღმ. 520,12); გაღნობილი ბრპენი შთაგისხა პირთა თქუენთა და მით დავწუნე შინაგან ნაწლევი თქუენნი (გურ. 110,2); სურის ნაწლევთა ჩემთა, სწადის თუალთა ჩემთა ხილვაჲ პირისა მისისაჲ (ბოლნ. 81,10); თვთ მეცა მრავალთა წელთა ნაწლევთა შორის ტკივილი შექმნილი შეხებითა ქელისაჲთა მყის განმიკურნა (იოანნი 268,26); სულთქუმიითა სისხლითა ნაწლევთა გლოვითა იყო შენ (ეზეკ. 24,17).

ნა-წლ-ევ- სიტყვაში გამოიყოფა ნა- — -ევ აფიქსები და -წლ-წელ ძირი. სხვა ქართველურ ენებში ნაწლავის მნიშვნელობით იხმარება მარტივი წელ- ძირის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ფუძეები (იხ.).

წელ-სხვლ-ნ-ი: ამისთვის არა უქმად მდებარე არიან ცხოველთა შორის ქუსეტნი, და იტუანჩნი, და მრავალ-ურჩხნი, და წელ-სხვლნი (ექუს. 110,9).

ჟუსეტი-ი 'გრძელი ნაწლავი' (საბა): მოიღონ შესაწირავისა მის-
გან ცხორებისაჲსა ნაყოფად ღმრთისა ცმელი იგი გარდაბურვილი
ქუსეტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ (ლევიტ. 3,3); ცმელი იგი
გარდაბურვილი ქუსეტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ (ლევიტ.
3,9); მოილო ცმელი იგი მუცლისაჲ და ცმელი ქუსეტისაჲ (ლევიტ.
8,25); ამისთვის არა უქმად მდებარე არიან ცხოველთა შორის ქუ-
სეტნი, და იქუანჩნი, და მრავალ-ურჩხნი, და წელ-სხვლნი (ექუს.
110,8).

ფუშნიერ-ი 'ფაშფუულანგი' (საბა): ზუარაკი იგი და ტყავი
მისი და ყოველი ქორცი მისი და ფუშნიერი მისი დაწუეს ცეცხლი-
თა გარეშე ბანაკსა მას (ლევიტ. 8,17); ყოველი ქორცი მისი თავ-
ფერკითურთ და ნაწლევით და ფუშნიერით, და ყოვლადვე კბოჲ
იგი განილოს გარე ბანაკსა მას ადგილსა წმიდსა (ლევიტ. 4,11).

ფუშნიერ-ი ფაშუ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვაა. **ფაშ-** გვხვდე-
ბა სვანურშიც: არწივ ანტხენი ეჩანლო თხუმთე ი ფაშთე (ონიან.
63,18) „არწივი დაბრუნდება შემდეგ თავისკენ და ფაშვისკენ“.

საშო-ი 1. საშვილოსნო: მიეც მათ საშოჲ უშვილოებისაჲ და
ძუძუნი კმელნი (წყულ. ოსესი 9,14); იხილა უფალმან, რამეთუ
სძულს ლია, და განულო საშოჲ მისი, ხოლო რაქელ იყო ბერწ (დაბ.
29,31); არა მომკლა მე საშოსა შინა (იერ. 20,17); ხოლო იოვანე
ხლდებოდა წინავე საშოსა შინა სიხარულით (სინ. 86,11); რამსა
მე გამოვედ საშოჲთ ხილვად შრომისა და ღმობისა (იერ. 20,18);
საშოჲთგანვე დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაჲგან თკა-
სა (ხანძთ. 2,30); გარდამოკდა საშოდ მარიამისა (სახისა სიტყ.
3,34).

2. სამშობლო: დაუტევე მამაჲ შენი და დედაჲ შენი და ქუე-
ყანაჲ საშოჲ შენი და მოხუედ ერისა, რომელ არა იცოდე შენ გუ-
შინ (რუთ. 2,11); წარვედ ქუეყანად შენდა საშოჲსა და კეთილი
გეყოს შენ (დაბ. 32,9).

სიტყვა წარმოადგენს გასუბსტანტივებულ მიმღობას შვა
ზმნიდან. ტერმინი ასევეა ნაწარმოები სხვა ქართველურ ენებშიც:
მეგრ. სა-სკუ-ო 'საშვილოსნო' (ზედმიწვენით: საშვილო), სვან. ლა-
გზელ-ირ 'საშვილოსნო' (სიტყვიდან გეზალ 'შვილი').

ჰარვა 'თესლთა ადგილსა ეწოდების ცხოველისასა' (საბა): არს
თესლი დედაკაცისა და საზრდელ ექმნების თესლსა მამაკაცისაჲ;
რამეთუ თესლისა მისგან დედაკაცისაჲსა, რომელსამე ადგილსა,

რომელსა კერვად უწოდენ, თანშეცხვების და წოდებული იგი ზღვს-
სახედ აღვილ ექმნების ნაყრსა და ნამეტავსა შათესულისასა (ნ.
ემეს. 116,15).

II. ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა

I. სიცოცხლე

სიცოცხლე 'სიცოცხლე, ცოცხლად ყოფნა, ჯანმრთელობა':
შვკდობაჲ და სიცოცხლე თქუენ თანა იყავნ (I მეფ. 25,5); მიიღეს
სნეულებაჲ იგი სოფლისაჲ და მოაქცინეს სიცოცხლედ (სინ. 220,6).

სიტყვა წარმოადგენს -ცოცხალ- ფუძიდან სი- — -ე აფიქ-
სებით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელს. სიცოცხლე ამავე ფორმი-
თა და მნიშვნელობით დასტურდება მეგრულშიც¹.

ცოცხალ-ი I. ის, ვინც ცოცხლობს (საპირისპ. მკვდარი): რო-
შელმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისაჲთა შეისუენა ჟამდ-ჟამდ და
რომელნიმე ცოცხალ არიან (ეესტ. მცხ. 34,14); ესმა სანატრელსა
დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თვისსაჲ რამეთუ იყო იგი ცოც-
ხალ და მიწევნულ მოხუცებულობასა (ხანძთ. 29,4); მან მაცთურ-
მან თქუა, ვიდრე ცოცხალ-და იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა
დღისა აღედგეო (მ 27,63); პატროკლე, ცოცხალ ხარა? (სინ. 251,3);
წიპყრენით ეგენი ცოცხალნი და მოსრენით (IV მეფ. 10,14); ჩუენ
პირველ მოქსენებულნი ესე ცოცხალნი და მიცვალებულნი მოგვკ-
სენენით ღმრთისათვს წმიდათა ლოცვათა თქუენთა შინა (სის.
280,19).

2. ჯანმრთელი: უპყრა კელი განრღუეულსა მას და თქუა: სა-
ხელითა იესუ ქრისტჳსითა იქმენ ამიერითგან ცოცხალ და განკურ-
ნებულ (პანტ. 58,25); უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოც-
ხალმცა ხართ იგიცა და შენცა (შუშ. 12,17); ხოლო ერი იგი განი-
კურნა გუემისა მისგან და ცოცხალ იქმნეს ვითარცა პირველ იყვნეს
(სინ. 61, 9); მან განირთხა კელი, და კულად მიეგო ცოცხალი, ვი-
თარცა ერთი იგი (მ 12,13); არა უქმს ცოცხალთა მკურნალი, არა-
შედ სნეულთა (მ 9,12); სავესენი ყოვლითა კეთილითა ღმრთისა სიტ-
ყუათაჲთა მოხუედით კაცისა უქონოჲსა და სიყმილითა დამდნა-
რისა... ვითარ ცოცხალნი სნეულისა (მამ. სწ. 233,4).

3. მთელი: არავინ სადგმელი უმურკნველი ახალი დაადგის სა-
მოსელსა ძუელსა, უკუეთუ არა, მოაბის ცოცხალიცა იგი მისგან
ახალმან მან ძუელისაჲ მის და უფროჲსად განაბის (მრკ. 2,21).

¹И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хро-
стоматнею и словарем, СПб., 1914, გვ. 371.

ცოცხლობ-ს 'ცოცხალია, ცხოვრობს': საუნჯე მაქუს სავანესა შინა ჩემსა, და ვიდრელა ვცოცხლობ მნებავს შენდა დატევებად იგი (ზოსიმე 176, VIII, 2); ცოცხალი არლარა თავისად ცოცხლობდეს მოციქულისაებრ, არამედ მწედ ჩუენდა მომკუდრისა და აღდგომილისა (დიონ. 59,28).

ცოცხლებით 'ჯანმრთელად, კარგად, უვნებლად, მშვიდობით': იყავ შენ ცოცხლებით გუემისა მისგან შენისა (მრკ. 5,34 c); ცოცხლებით არსა შამაჲ იგი თქუენი მოხუცებული, ცოცხალ არსა? (დაბ. 43,27); ცოცხლებით არსა ზამბრი მკლველი იგი უფლისა თვისისაჲ (IV მეფ. 9,31); მომაქციოს მე ცოცხლებით სახლსა მამისა ჩემისასა (დაბ. 28,21); წარვიდეს ცოცხლებით (დაბ. 26,31); რომლისა თანა იპოვა ბარძიმი იგი, იგიცა იყოს მონა ჩემდა, ხოლო თქუენ აღვედით ცოცხლებით მამისა თქუენისა (დაბ. 44,17); გუალე, ვიდოდე ცოცხლებით (გამოსლვ. 4,18).

განაცოცხლებ-ს 1. სიცოცხლეს მიანიჭებს, ცოცხალს გახდის: ეტყოდა ელისე დედაკაცსა მას, რომლისაჲ განაცოცხლა ძმ იგი მისი (IV მეფ. 8,1); ვინ არს, რომელმან განგაცოცხლა შენ? (სინ. 251,4).

2. კურნავს, არჩენს: წყლულეზანი ჩუენნი განკურნენს და ნაგუემნი ჩუენნი განაცოცხლენს (სინ. 218,19).

განცოცხლდა-ა 1. გაცოცხლდა: იხარებდი, რამეთუ ძმაჲ შენი მომკუდარიყო და განცოცხლდა (ბოლნ. 45,8). 2. განიკურნა, ჯანმრთელი გახდა: განცოცხლდა კელი იგი მისი (მრკ. 3,5 c); მან განირთხა, და განცოცხლდა, ვითარცა ერთი იგი (მ 12,13 c); განცოცხლდა კაცი იგი (ი 5,8; c :განიკურნა); მოიღე შენ კუერი ლელვსაჲ და მოგალე და დაიდევ წყლულეზასა შენსა და განცოცხლდე (ესაია 38,21); სნეულთა ზედა კელი დასდვან, და განცოცხლდენ (მრკ. 16.18).

ცოცხალ- ფუძე ქართულიდან შესულია მეგრულში ახალი ქართულისეული მნიშვნელობით: ცოცხალი, ცხორცხალი 'ცოცხალი': სქანი ბოში ცხორცხალი ყოფენია (ყიფშ. 106,17) „შენი ბიჭი ცოცხალი ყოფილაო“; ქაშაყუხუ ქოჩორაქ ჯარცვ, კოჩი ვე გიიტუ ცხორცხალო (ყიფშ. 98,19) „მიჰყვა ქოჩორა ჯარს, კაცი არ დატოვა ცოცხლად“. აცოცხლენ-ს 'აცოცხლებს', ცოცხლენ-ს 'ცოცხლობს', გეცორცხალუ 'გაცოცხლდა', გაცოცოცხალუ 'გააცოცხლა'.

ცოცხალ- ფუძისათვის ამოსავლად ივარაუდება სო-ცხ-ალ-ფორმა². -ცხ- კი იგივე ძირია, რაც გვაქვს სიტყვებში ცხ-ოვ-ელ-, ა-ცხ-ოვ-ნ-ა.

² არნ. ხ ი ქ ო ბ ა ე ა, სახელის ფუძის... გვ. 36.

ცხოვრება-2, ცხოვრება-2 1. სიცოცხლე: მარტოობითი და და-
ყუდებითი ცხოვრებაა აღირჩია (თეოდ. განგრ. 289,18). მოწამენი
ვიდრე კორცთა ცხოვრებასაღა შინა იყვენს... (სინ. 255,21); აჭი-
რებდეს საღმობით ცხოვრებასა მას მათსა საქმითა მით ფიცხლითა
(გამოსლ. 1,14); ნუცა სიკუდილსა უჟამოსა ცხოვრებისა მის წილ
ტკილისა შეიმთხუევთ (სინ. 117,34); მრავლითა ჰირითა
ცხოვრებოდა და შორის სიკუდილისა და ცხოვრებისა მყო-
ფი იყო (ცხ. გ. მთაწმ. 385,25); შეუმატა მას ღმერთმან ათხუთმეტი
წელი ცხოვრებისაჲ (სინ. 227,23); მათ მიერ ცხოვრებისა სასობაჲ
ქრისტეანეთაჲ მღღელობასა შეჰვედრა (ხანძთ. 3,30); რომელი მე
დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა
(აბუს. ტბ. XX, 155); არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან
ცხოვრებად (ი 5,24); ქრისტე, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებათა აფხა-
ზეთისა კათალიკოზი ევდემონ (ცხ. პ. კაპეტოლ. 16,2).

2. ხსნა, გადარჩენა: უნდა მამასა ცხოვრებაჲ ჩუენი (სინ. 181,25);
რომელსა უნდეს თავისა თვისისა ცხოვრებაჲ, მან წარწყმიდოს იგი
(მ 16,25 c); რაჲ ჯერ-არს შაბათსა... სულისა ცხოვრებაჲ ანუ მოკლ-
ვაჲ? (ლ 6,9); ვის-მე კელ-ეწიფების ცხოვრების (ლ 18,26 c; ცხოვ-
რებად მრკ. 10,26); ღმერთი რომელი მოვიდა ცხოვრებად ჩუენდა
(სინ. 184,6).

ცხოვრებ- ფუძიდან ნაწარმოები სახელია **ცხოვრებულ-**ი: მკვდ-
რნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი,...
და დღე-მოკლედ ცხოვრებულნი (შუშ. 25,14).

მეგრულში იხმარება **ცხოურება, ცხოვრება** — 1. სიცოცხლე;
2. ცხოვრება³. იგი ქართულიდანაა ნასესხები. მეგრულისათვის უჩ-
ვეულო ვრ მიმდევრობა ერთ შემთხვევაში შეცვლილია ურ მიმდევ-
რობით, მეორე შემთხვევაში კი იგი გამარტივებულია.

ცხო(ვ)ელ-ი 1. ცოცხალი: არა მოკვუედ, არამედ ცხოველ ვარ-
მე უფლისა ჩემისა მიერ (სინ. 252,11); ვითარცა მამამან ალაღინ-
ნეს მკუდარნი და ცხოელ ყვენეს, ეგრეცა ძემან, რომელთაჲ უნდეს,
ცხოელ ყვენეს (ი 5,21 c); რომელთაცა წარუდგინა თავი თვისი ცხო-
ველი შემდგომად ვნებისა მისისა მრავლითა სახითა (საქმე მკქ.
1,3); შენ ცხოველმან ვითარცა მკუდარმან მკუდარი დაილუაწე (სინ.
249,20); რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა (სინ. 160,25);
შენ ხარ ქრისტე, ძჲ ღმრთისა ცხოველისაჲ (მ 16,16); იხილა ჯურ-

³ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка к хрестоматии и словарем, СПб., 1914, გვ. 372.

დმული წყლისა ცხოველისაჲ (დაბ. 21,19); ილრქენდეს თითოეულად კბილთა მათთა მისთვის და ენება ცხოველივ შთათქმაჲ მისი (ეფრ. ასურ. 60,11); ცხოველივე მკუდარ არიან (ეფრ. ასურ. 56,25); მკუდარნი განცხოველდეს, ხოლო ცხოველნი იგი განცოფნეს (სინ. 182,24); სიკუდილისა მათისა შემდგომად უძლიერჴსლა არიან ცხოველთასა (სინ. 221,15).

2. სულდგმული არსება: ხენი და ნერგნი დალაცათუ მოძრავად იწოდებიან ძალისათვის ზრდისა და აღორძინებისა მათისა, გარნა არა არიან იგინი ცხოველ, არცა მშვნვიერ (ექუს. 81,4).

განაცხოველებ-ს 'გაცოცხლებს': მონათა განათავისუფლებს, მომწყუდართა განაცხოველებს (სინ. 11,37); ცოდვითა მომკუდარი იგი პირველ შექმნული იგი კაცი კუალად განაცხოველოს (სინ. 17,34).

განცხოველ-ა 'გაცოცხლდა': ვითარ იხილა ყრმები იგი, რომელ მიუძღუნა იოსებ, რაათა წარიყვანოს იგი, განცხოველდა სული იაკობისი (დაბ. 45,27); მკუდარნი განცხოველდეს (სინ. 182,24); რომელნი-იგი მოკუდეს, იგინივე აღდგენ; და რომელნი განირყუნეს, იგინივე განცხოველდენ (სინ. 263,27).

განცხოველება 'გაცოცხლება': ჯელმწიფებაჲ აქუს განცხოველებად, ვითარცა იგი მოსიკუდიდ (კონსტ.-კახ. 168,29).

ცხოველ- ფუძისათვის პირველადია ატრიბუტული მნიშვნელობა. მისი ანალიზი მოცემული აქვს არნ. ჩიქობავას⁴: **ცხოვ-ელ-** და **ცხოვ-არ-** ფუძეთა შეპირისპირებით გამოიყოფა -ელ და -არ დეტერმინანტი სუფიქსები. სხვათა შორის, **ცხოვარ-** ფუძისთვისაც რომ ამოსავალია სიცოცხლის მნიშვნელობა, ამას **ცხოვრ-ებ-ა** 'სიცოცხლე'-ც უნდა მოწმობდეს. -**ცხოვ-** ფუძეს ეყრდნობა ზმნა **ა-ცხოვ-ნ-ა**, არც -**ცხოვ-** ფუძეა მარტივი. მასში გამოიყოფა -**ცხ-** ძირი, რომელიც **ცო-ცხ-ალ** < ***სო-ცხ-ალ**- სიტყვაში გვაქვს. ზანურის ჩვენებაც ასეთ ანალიზს უჭერს მხარს: **კან. მ-ჩხ-ურ-ი** 'ცხვარი', **მეგრ. შხ-ურ-ი** 'ცხვარი', **მეგრ. ჩხ-ოუ** 'ძროხა' სიტყვების ძირი ქართული -**ცხ-** ძირის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია. სემანტიკური გადახრა დაბრკოლებას არ ქმნის ასეთი დაკავშირებისათვის.

ქართული **ცხოველ-** და **მეგრ. ჩხოუ** დაკავშირებული აქვს ი. ყიფშიძეს⁵.

⁴ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის..., გვ 34—36.

⁵ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914, გვ. 372.

აცხოვნებ-ს 'აცოცხლებს': (ცოცხლობ-ს ზმნის შესატყვისი გარდაშეცვლილი ზმნა), 'გადაარჩენს, იხსნის': კაცსა და საცხოვარსა აცხოვნებ შენ, უფალო (ფსალმ. 35,7); რაჲსათჳს ჰყავთ ესე საქმე და აცხოვნებთ წულსა? (გამოსლვ. 1,18); ყოველი წული რომელი შვენიერაელთა, მდინარესა შათსთხვედით და ყოველსა ქალსა აცხოვნებდით (გამოლ. 1,22); სხუანი აცხოვნნა, თავისა თვისისა ვერ ძალუც ცხოვნებად (მ 27,42).

ცხო(ვ)ნდები-ს||ცხომდები-ს 1. ცოცხლობს, ცხოვრობს: არა არს მათ თანა ყნოსაჲ, არცა ფირტკ, და ყოვლითურთ და ყოვლითკერძო ცხოვნდების იგი ჰაერთა შინა (ექუს. 101,2); არა ბოლო თუ პურიტა ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლიტა სიტყუტა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა (მ. 4,40); ესევეთარითა მრავალფერითა კეთილად-განგებითა ცხოვნდებოდა ქაბუკი ესე სამღდელოჲ სათნოდ უფლოსა (ხანძთ. 2,61); ცხოვნდებოდა წმიდაჲ ეგესტათი ქრისტეანობასა შინა (ეგესტ. მცხ. 30,11); ქმარნი რაჲთა სიმშვიდით ცხოვნდებოდინ თვსთა ცოლთა თანა (კათ. ეპისტ. 52,23); ცხოვნდა იოსებ ას და ათ წელ (დაბ. 50,22); მახვლიტა შენითა სცხოვნდე და ძმასა შენსა ჰმონებდე (დაბ. 27,40); მეც ჩუენ თესლი, რაჲთა ვსთესოთ, ვცხოვნდე და არა მოვწყდე (დაბ. 47,19); აღიტყუელნა ერმან მან და თქუეს ცხოვნდინ მეფე (IV მეფ. 11,12); ცხოვნდა იაკობ ქუეყანასა ეგვიპტისასა ათჩვდმეტ წელ (დაბ. 47,28); დაღათუ მრავალ წელ ცხოვნდეს კაცი და მათ ყოველთა შინა იხარებდეს (ეკლ. 11,9); სათნობათა განისწავლნეს კაცნი და სიბრძნითა ცხოვნდეს (სიბრძ. სოლ. 9,19); ოთხთაგან ქართა ცისათა მოვედ სული და შთაებერე მკუდართა მაგათ. და ცხოვნდე (ეზეკ. 37,9); რაჲამს მოვიდა იგი ქართლდ, ცხოვნდებოდა იგი ნერსე ერისთავისა თანა (აბო, 64,8).

2. გადარჩება: ჰხედავა. ვითარ შვილთ-სხმისაგან ცხოვნდების დედაკაცი (სინ. 124,25); უკუეთუმცა არა უფალმან შეამოკლნა დღენი იგი, არამცა ცხოვნდა ყოველი ქორციელი (მრკ. 13,20); ვევედრნეთ ტირილით უფალსა, რაჲთა ცხოვნდეს ყრმაჲ ესე (სინ. 250,28); რომელმან დაითმინოს სრულიად იგი ცხოვნდეს (მ 24,13); მოვწყდე თ უფლისათჳს, რომლიტა ვცხოვნდე ჩუენ სრულიად (სინ. 120,10).

3. მორჩება, განიკურნება: რაოდენნი შეეხებოდეს, ცხოვნდებოდეს (მრკ. 6,56; c :ცხოვნდებოდეს); დაასხნე კელნი მას, და განერეს და ცხოვნდეს (მრკ. 5,23; c :ცხოვნდეს); დასდევ კელი შენი,

და ცხონდეს (მ 9,18); ვითარ თქუა ესე, მეყსეულად ცხონდა ყრმაჲ იგი და აღდგა (პანტ. 53,5).

ცხომდები-ს ფორმა მიღებულია **ცხოვნდების** ფორმისაგან ლაბიალიზაციით. ტექსტებში დასტურდება ამ ორი ფორმის კონტამინაციით მიღებული **ცხომნდე-ს**: რომელი ვიდოდეს სიბრძნით, იგი ცხომნდეს (იგავნი სოლ. 28,26).

ცხოვნება-ჲ (აცხოვნებ-ს ზმნის მასდარი) 'გადარჩენა, ცხონება': თავისა თვისისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად (მ 27,42); მოვიდა ძმ კაცისაჲ ცხოვნებად წარწყმედულოსა (მ 18,11 c).

მაცხოვნებელ-ი (სასუბ. მიმღ. აცხოვნებ-ს ზმნისა), ის ვინც (ან რაც) აცხოვნებს: თუ მაკუდინებელ არნ. თუ მაცხოვნებელ სნეულმან მან შეჰყერტნის და ჰხედავენ (სახისა სიტყ. 8,19).

ცხოვნ- ფუძის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისად გვაქვს მეგრულში -**ჩხონ-** 'ცხონება, ხანა': დოღურულ ნი ჩხონდგ (ცაგ. 54,18) „რომ მოკვდა, ცხონდა“; ღურელი არძო ჩხონაფილი (ცაგ. 68,6) „მკვდარი ყველა ცხონებული“.

ფუძეები შეადარა გ. როგავამ⁶.

2. სიკვდილი

სიკუდილ-ი 'სიცოცხლის შეწყვეტა': ცხორებაჲ და სიკუდილი წინაშე გიც (სინ. 240,36); ლათუ იყოს შენ თანა სიკუდილი ჩემი, არასადა უვარ-გყო შენ (მ 26,35); დაიკრას პირი სიკუდილმან (სინ. 88,23); განისუენე სიკუდილსა შინა (სინ. 263,24); მრავალი ბოროტი შემამთხვეს მე ვიდრე მიწეენადმდე სიკუდილისა (რავახ. 91,15); ჯელმწიფებაჲ მაქუს კორციელისაცა და სულიერისა სიკუდილისაჲ (გამოცხ. თ. 1,18); რომელმან ბოროტი თქუას მამისათვის და დედისათვის, სიკუდილით მოკუედინ (მრკ. 7,10); ხვალე სიკუდილდ ვართ (სინ. 112,23); ნუუკუე დავიძინო მე სიკუდილდ (ფსალმ. 12,4 Ⴀ რედ. სიკუდილდ); უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილდ მისლვად (ლ 22,33); მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდილდ (მ 10,21); დასაჯონ იგი სიკუდილდ (მ 20,18); შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე (მ 26,38); სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით (შუშ. 21,22); მკურნალმან განწირა იგი სიკუდილდ (კიმ. II, 176,10); არცა შეუტრაცხიეს დედაკაცსა ბოროტსა ქმრისა თვისისაჲ სიკუდილდ მიცემაჲ (სინ.

⁶ გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რივისათვის ქართველურსა და აღიღურ ენებში, იყვ, I, 1946, გვ. 12.

214,24); განკურნოს ძმ იგი მისი, რომელი მიახნდა სიკუდილ (ი 4,47); სიკუდილ განწირულთა სნეულთა სიტყვთ მსწრაფლ გან-
ჰკურნებდა (ხანძთ. 43,11); ვიდრე სიკუდილმდე ჰბრძოდე ჭეშმარი-
ტებისათვის (ისო ზირაქ. 4,32); შექუენებულ არს სული ჩემი მისი-
კუდილმდე (მ. 26,38 c);

მოსიკუდილ-ი 'სიკვდილი': მაშინ ბრძანა მათ ყოველთაჲ შიშუ-
ელთაჲ აერსა ქუეშე შორის ქალაქსა ნეფხვითა მოსიკუდილი (სინ. 118,40); აღკდა მთასა მას მოსიკუდილ (აპოკრ. 20,12); გამომიყვა-
ნენ ჩუენ მოსიკუდილ უდაბნოსა ზედა (გამოსლვ. 14,11); მოასწა-
ვებდა, რომლითა სიკუდილითა მოსიკუდილ იყო (ი 12,33 c); ნეფ-
სით მოვიდა მოსიკუდილ ჭუართა და ესენი თანა-ეტყუან მას (სინ. 194,29); უფალო, მოვედ პირველ მოსიკუდილმდე ყრმისა მის (ი 4,49); ქელმწიფებაჲ აქუს განცხოველებად, ვითარცა-იგი მოსიკუ-
დილ (კონსტ. კახ. 168,30).

მოსიკუდილ-ი 'მომაკვდავი': არა მნებავს სიკუდილი მოსიკუ-
დილისაჲ მის (ეზექ. 18,32); დათუნი მოსიკუდილნი ეგრე სულთა
ჰბერვიდენ (ესაია 59,11).

მოკუდებ-ი-ს 'სიცოცხლეს წყვეტს, გარდაიცვლება': ლალადებ-
და მოციქული, ვითარმედ მარადლე მოკუდები (სინ. 261,2); შიშ-
თვილ-იბა და მოკუდა (მ 27,5); არა მოკუედ, არამედ ცხოველ ვარ
შე ღმრთისა ჩემისა მიერ (სინ. 253,23); მოკუდეს კორცნი ჩემნი
შიშისაგან (სინ. 277,8); უკუეთუ ესე მოკუდეს, გუეშინის ჩუენ
(სინ. 247,3); რომელმან მამული რჩული არა აღიაროს, ივი საპყრო-
ბილესა შინა მოკუედინ (ევსტ. მცხ. 33,12).

მოაკუდინებ-ს 'სიცოცხლეს ართმევს, კლავს': ურჩთა სიტყვთ-
ვე მოაკუდინებდა (ხანძთ. 43,12); ეძიებდეს ცრუს წამებასა იესუ-
სთვის, რაჲთამცა მოაკუდინეს იგი (მ 26,59 c); მოაკუდინნის ცოდ-
ვილნი და გულნი განაცხოველნის (სინ. 188,33); მო-ლათუ ვინმე-
გაკუდინოს შენ, გზადვე შენი იგი არს (სინ. 221,11).

მოიკუდინებ-ს 'მოიკლავს': აქა მოიკუდინა თავი თვისი (ზედაზნ. 202,30).

მაკუდინებელ-ი (სასუბ. მიმლ. აკუდინებ-ს ზმნისა) 'მომაკვდი-
ნებელი': სისხლი იგი კურომასაჲ მაკუდინებელ არს შენდა (ექუს. 54,5); თუ მაკუდინებელ არს. თუ მაცხოვრებელ. სნეულმან მან შეპ-
კერტნის და ჰხედავენ (სახისა სიტყ. 8,18); აღმოსცენდეს საზრდელ-
თა თანა მაკუდინებელნიცა (ექუს. 53,22).

სასიკუდინებელ-ი 'სასიკვდილო': თუ სნეული ვინმე არნ და სნეულებამ იგი მის კაცისაჲ სასიკუდინებელი სენი არნ (სახისა-სიტყ. 8,15).

სასიკუდინე, სასიკუდინო-ჲ 'იგივეა; რაც სასიკუდინებელი': ესე უძღურებამ არა არს სასიკუდინშ (ი 11,4); დათუ სასიკუდინშ სუან, არარაჲ ავნოს მათ (მრკ. 16,18); უადვილე არს მისა აღდგი-ნებად აღამისა და მიგებად მართალთა მისაგებელი კეთილი..., ზო-ლო უძღებთა და უღმრთოთა — პატიყი სასიკუდინშ (სინ. 264,27); რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოოს და მოს-ცეს მას ცხორებამ (კათ. ეპისტ. 91,16); საგუმერელითა სასიკუდი-ნოჲთა და განტუეპოს შენ. მკდომმან მან ძალთამან (სახისა სიტყ-22,33).

საკუდინელ-ი: ღირს მყავ მე ცოდვილი ესე და მასწავლე მე არა საკუდინელად (კიმ. I, 156,17).

მკუდარ-ი 'ის, ვინც მოკვდა მიცვალებული, მკვდარი': კორცნი თვნიერ სულისა მკუდარ არიან (კათ. ეპისტ. 014,26); დაჰჰლა მკუდარი ჩემი პირისაგან ჩემისა (დაბ. 23,8); შემოსეს მკუდარის მმოსელთა მათ ისრაშლ (დაბ. 50,2); რომელსა ჰრქვან უდაბნოჲ ზღუა მკუდრისაჲ (რავახ. 87,29); გინდა მკუდრად შერაცხაჲ მისი (სინ. 238,36); რაჲჲმს შვნის ძუმან ლომმან. ლეკუნი მკუდარნი სხნის (სახისა სიტყ. 4,60); აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუ-დართა (მ 8,22);

მომკუდარ-ი: არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე, არამედ სძინავს (მ 9,24); ჰკონებედ მფრინველნი თუ მომკუდარ არს (სახისა სიტყ. 23,12); სხუაჲ სხუასა აღდილსა დაცემულ იყო, ზოგი მომკუდარი (სიბრძნე სოლ. 18,18); ჰპოვოთ ჰაბუკი ერთი გარდამოვრდომილი სარკუმლით და მომკუდარი (სინ. 250,24).

მკუდარ- ფუძიდან ნაწარმოები სახელია მკუდრეთ-ი 'მკვდრე-ბის სამყოფი აღვილი': იგი აღდგომილ არს მკუდრეთით (მ 14,2); მიეგებვოდე კურთხევად მკუდრეთით აღდგომილსა (სინ. 91,6).

ზემოგანხილულ სიტყვებში ძირად გამოიყოფა კუედ- → -კუდ, რომლის შესატყვისად ზანურში ვარაუდობენ ყვილ-, ყვილ- 'კვლა' ფუძეს (შმიდტი, გვ. 119). ამ ძირიდან ნაწარმოებ ფორმებში საინ-ტერესოა სიტყვები მოკუდავი, მოკუდავებამ და უკუდავი, რამდე-ნადაც ესენი ფუძეში გამოავლენენ -ავ თემატურ სუფიქსს, რომე-ლიც პირიელ ფორმებში არ დასტურდება ამ ზმნასთან: მოკუდავი მოკუდავებითა არავინ დასაჯოს (ნ. ემეს. 12,3); მეცა კაცი ვარ მო-კუდავი (სიბრძნე სოლ. 7,1); მოკუდავსა გუამსა დაიტია დაუტევე-

ნელი იგი, რაღათა იგიცა უკუდავ ყოს (სინ. 22,18); მოსცა სასოებაჲ მოკუდავთა (სინ. 264,10); კულად განვახლდი, უკუდაო ნათესავით, უხილაო სიკეთითა (სინ. 16,17).

გარდაიცვალ- (გადატ.) 'მოკვდა': გარდაიცვალნეს მშობელნი მისნი ერთსა შინა ჟამსა (კიმ. I, 202,22); მისვე არჩილის ზე ოთხნი მთავარ ებისკოპოსნი გარდაიცვალნეს (მოქც. ქართლ. 92,34).

გარდაცვალებულ-ი 'მომკვდარი': წარავლინა იგინი ფერსათს... ლოცვად საფლავსა მას სანატრელსა დედუფლისასა, რამეთუ გარდაცვალებულ იყო იგი (ხანძთ. 56,52); მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი (მოქც. ქართლ. 93,30); საქსენებელად სულთა ჩუენთათჳს და სულთა მშობელთა ჩუენთათჳს და ყოველთა გარდაცვალებულთა თჳსთა ჩუენთათჳს (სინ. 280,15); ყოველთა საბაწმიდას გარდაცვალებულთა მამათა სახელებისა ქსენებაჲ (კალენდ. 259, კდ.).

მიიცვალ- 'მოკვდა, ამქვეყნიური ყოფა შეცვალა იმქვეყნიურზე': შემდგომად მცირედისა უფლისა მიმართ მიიცვალა (ცხ. გ. მთაწმ. 371,32); კელითა სიკუდილისაჲთა იქმნეს წარსლვაჲ ჩუენი სოფლისა ამისგან და მივიცვალნეთ სოფელსა მას წარუვალსა (სინ. 265,6); დღეს მივიცვალეჲ ჯორცთა ამათგან უბადრუეთა უფლისა ჩემისა (სინ. 271,39); ყოველნი ნაშობნი მისნი მიიცვალეზიან მუნვე მიწად (სინ. 265,8); ძმაჲ რაჲ მიიცვალეზოდის, ვერ კელეწიფების დატევებად თჳსთა და ნათესავთა ნაქონებისა თჳსისა (ვაჰან. 83,26).

მიცვალეზა- 'სიკვდილი': მოსე დიდისა წინაჲსწარმეტყუელი-საჲ მიცვალეზაჲ (კალენდ. 271, დ). მოიწია რაჲ ჟამი მიცვალეზისა მისისაჲ, არცა ესე დაეთარა წმიდისა მას (ტიმ. ანტ. 142,16).

მიცვალეზულ-ი: მიცვალეზულნი მოგვკსენენით ღმრთისათჳს წმიდათა ლოცვათა თქუენთა (სინ. 280,19); გვედიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა მე ფრიად ცოდვილი იოვანე და მიქაელ... და ყოველნივე ჩუენეულნი, ცოცხალნი და მიცვალეზულნი, სულიერნი და ჯორციელნი (სინ. 282,12).

მოიცვალ- 'გარდაიცვალა': იონა მოიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა (მოქც. ქართლ. 92,27).

ცვალ- ფუძისათვის ძირითადია შეცვლის, სხვად ქცევის, გარდაქმნის მნიშვნელობა: საშჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად (ი 5,24); რავდენი კეთილი და გარდაცვალეზაჲ ქმნა ჟუარჲმან მორწმუნეთა მიმართ მისთა და მოშიშთა (სინ. 233,35); რომელი მოცვალეზულ იყო ცხორე-

ბასა უქბრწნელსა, სიწმიდით და სათნოებით ცხონდებოდა (სინ. 8,35).

-სრულ- ფუძისათვის ძირითადია ასრულების, შესრულების მნიშვნელობა: აღესრულა სიტყუაჲ იგი ბერისაჲ (ლიმონ. 25,30). გადატანით იგი სიკვდილის მნიშვნელობითაც იხმარება.

აღესრულება-ს 'კვდება': აღესრულა ყოველი სიკუდილითა (სიბრძნე სოლ. 18,16); ასული ჩემი აღესრულებს, რაათა თოხვდე და დაასხნე ჭელნი მას, და განერეს და ცხოვნდეს (მრკ. 5,23); შეელმა მას ღვძლი ფრიად და ძლიერად, რომლისაგანცა აღესრულა (ლიმონ. 31,20); უკუეთუ უანდერძოჲ აღესრულოს, რაეცა იპოოს მისი, შუა გაიყოს (ვაჰან. 85,6); ვითარ აღესრულნეს მშობელნი იგი, დაშეთეს შვილნი მათნი ობლად (მოქც. ქართლ. 106,32).

აღსრულება-ჲ 'სიკვდილი, მოკვდომა': აჰა ესერა მე მიახლებულ ვარ აღსრულებად (დაბ. 25,32); და იყო მუნ, ვიდრე აღსრულებადმდე ჰეროდესა (მ 2,14 D).

აღსასრულ-ი 'სიკვდილი': და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი (შუშ. 11,3); ესამი აღსასრულისა ჩემისაჲ მოწვევულ არს (ცხ. შიო და ევაგრ. 227,20).

აღსრულებულ-ი 'მკვდარი': ვიწყე გარდახილვად წმიდათა მათ გუამებისა და ვპოვე იგინი ყოველნი, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს (სინ. 278,7).

აღსრულებად-ი 'მომაკვდავი': ევსევიოს, უკუანაჲსკნელთა აღმოფუშვნათა მიწვევულმან და აწლა აღსრულებადმან ფიცით ამცნო ყოველთა (ევს. სამოსატ. 145,IX,10).

სუჲნ- 1. დახარჯული ენერგიის აღდგენა, დასვენება:

განისუენა 'დახარჯული ენერგია აღიდგინა, შეება, სიმშვიდე მიეცა, დაისვენა': განისუენე, ჰამე, სუ და იხარებდ (ლ 12,19); შესუენებულთა განისუენონ (სინ. 263,20); ქალწულისა მარიამისგან ყრმად იშვა და ბაგასა შიდა განისუენა და კაცთა თანა იქცეოდა (მრავალთ. 303,6).

განუსუენ-ა 'სხვას მიანიჭა სიმშვიდე, სხვა დაასვენა': ფრიად განმისუენეთ მე (ხანძთ. 73,37); მოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და რომელთა ტვირთი მძიმე გეტკრთა, და მე განგისუენო თქუენ (მ 11,28); მე განგისუენო თქუენ შრომათაგან ამის სოფლისათა (სინ. 274,32);

განსუენება-ჲ (განისუენა ზმნის მასდარი) 'დასვენება': ნუ სცემ განსუენებასა თავსა შენსა (გოლ. იერ. 2, მ^რ); უმჯობეს არს მკეელი სავსე განსუენებით უფროჲს სავსეთა ორთა მკელთასა შრომით და კლომით სულისაჲთა (ეკლ. 4,6);

(გან)სასუენებელ-ი (მყ. დრ. საობ. მიმლ. განისუენებს ზმნისა) 'დასასვენებელი' (ადგილი): დარელ მეფე შევიდა სასუენებელად თვსა და აღქდა საგებელსა თვსა და დაიძინა (II ეზდრა 3,3); რაჲჲჲმს სული არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსასუენებელსა და არა პოვის (მ 12,43);

2. (გადატ.) დასვენება ამქვეყნიური ზრუნვისაგან, სიკვდილი.

განისუენ-ა, შეისუენ-ა 'მოკვდა': რომელსა შინა განისუენა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან (სინ. 7,34); შეისუენა და სული თვისი შეჰვედრა კელთა დამბადებელისა თვისაჲთა (სინ. 272,4); რომელმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისაჲთა შეისუენა ჟამად-ჟამად და რომელნიმე ცოცხალ არიან (ევსტ. მცხ. 34,13); შემდგომად არა-მრავალთა ჟამთა შეისვენეს მშობელთა მისთა (კიმ. II, 44,16); იყოფოდეს იგინი ქუაბსა მას შინა, ვიდრემდის შეეასუენეს და დაემარხნეს წმიდისა მის თანა (ქსენებ. 99,37).

შესუენებულ-ი 'მკვდარი, გარდაცვლილი': არს განცხოველებად შესუენებულისა მის (სინ. 264,18); შესუენებულთა განისუენონ. და აღდგენ (სინ. 263,20); საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმინდათანი აღდგეს (მ 27,52).

სუენ- ფუძეში გამოიყოფა სუ- ძირი და -ენ ფუძის დეტერმინანტი სუფიქსი. მას შეესატყვისება -შვ- ზანურსა (შედ. ლექსიკ. გვ. 361) და სვანურში: ქან. შვ-აჲ- 'დასვენება': ქოდოხედეს, ქამუიშვაჯეს (ქან. ტ. I, 120,9) „დასხდნენ, დაისვენეს“; მეგრ. შვ-ანდ|| სვ-ანჯ|| სვ-ანდ- 'დასვენება': ქიძისვანჯუ ბოშიქ ძალამი (ხუბ. 5,36) „დაისვენა ბიქმა ძალიან“. შვანდ- ვარიანტი დღეს გავრცელებულია სამურზაყანულ მეგრულში. მეგრულში ს ჯ'სთან დისიმილაციით აიხსნება (შმიდტი, გვ. 132); სვ. ლი-შუ-მ-ინ-ე 'დასვენება', ი-შუ-მინ-ე 'ისვენებს', ჟანშუ-ემ 'განი-სუენ-ა', ფუძეა შოშ⁷.

სუ-ენ- ფუძეს გ. კლიმოვი უკავშირებს სულ- ფუძეს (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 174).

და-ი-ძინ-ა (გადატ.) 'გარდაიცვალა': დაიძინა აზარია მამათა თვსთა თანა და დაჰფლნეს იგი ქალაქსა მას დავითისსა (IV მეფ.

⁷ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მთხრობილელი, 1926, გვ. 204.

15,17); ეამთა ჰასაკისა მისისათა ოთხმეოც და მეცხრესა წელსა შე-
ისუენა მამამან ჩუენმან საბა. და მშუდობით მას ზედა დაიძინა (კიმ.
I. 23,11); შუდთა ყრმათაჲ, რომელთა ეფესოს დაიძინეს (კალენდ-
269, ბ); დამეძინებიან ძილითა მით დედისა ჩემისაჲთა საუკუნოდ
(მოქც. ქართლ. 105,34).

მიიძინ-ა (გადატ.) 'მიიცვალა': მიიძინა მრავლითა შიმშილითა
და წყურილითა (სინ. 128,17); მიწოლით მიიძინო ვითარცა ლომ-
მან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან (დაბ. 49,9).

ძინ- ფუძისათვის ძირითადია ძილის მნიშვნელობა (იხ. გვ. 238).

აღმოგებრა სული 'მოკვდა': ხოლო იესუ აღუტევა კმაჲ და
აღმოგებრა სული (მრკ. 15,37 ც).

განუტევა სული, აღმოუტევა სული 'სული დალია, მოკვ-
და': იესუ კუალად დაღად-ყო კმითა დიდითა და განუტევა სული
(წ 27,50); წმიდასა მას მოწამესა დათმენად ვერღარა ეძლო ტანჯვი-
სა მისგან საღმობითა და განუტევა სული (კიმ. II, 63,15); კმა-ყო
კმითა დიდითა და აღმოუტევა სული (ბალავ. 155,6); ხოლო ვითარ
აღმო-უტევებდა სულსა, კელნი მისნი აღიპყრნა ზეცად და თქუა
(სინ. 240,15).

ეს გამოთქმა მეგრულშიც გვხვდება: შური გოტჷ — (ჩვეუ-
ლებრივ იხმარება გადატანით) სული დალია (ისე ძალიან მოუნდა).

მისცა სული თვისი ანგელოზთა 'მოკვდა': დიდად რაჲმე
აღმოიფუჴვნა, ერთგზის ხოლო, და მისცა წმიდაჲ სული თვისი წმი-
დათა ანგელოზთა (ცხ. გ. მთაწმ. 397,14).

წარჴდა სული 'მოკვდა': შეიპყრა იგი კორვებამან ფიცხელ-
მან სამ დღე და საღმობამან სასტიკმან და დაშრიტა და წარჴდა
სული მისი (კიმ. I, 3,4); დაეცა მეაქლემჴ იგი და სულნი წარჴდეს
საქებელად და სადიდებლად ღმრთისა (კიმ. II, 14,3); დაეცა კართა
ზედა მის სახლისათა, სადა იყო ქმარი იგი მისი, და სულნი წარ-
ჴდეს (მსაჯ. 19,26).

შეჴვედრა სული 'მოკვდა': შეჴვედრა სული თვისი უფალსა
(ფილეთ. 98, VIII, 7); დასაჩრულსა მრავალსახეთა ტკივილთა მი-
მართ სხეულისათა შესუსტებულმან, სული შეყუარებულსა ქრის-
ტესა შეჴვედრა (თეოდ. განგრ. 302,1); „უფალო, კელთა შენთა
შეჴვედრებ სულსა ჩემსა!“ და შეჴვედრა სული თვისი (კიმ. II,
207,12).

წარვიდა თვისისა მამისა (პეტრ. ახალი 209,31) 'გარდაიცვალა'; ხოლო **შენ წარხვდე მამათა შენთა** თანა მშვედობით, განზრდით სიბერითა კეთილითა (დაბ. 15,15).

დასასრულსა უკუნსცა აღმოფშვნვამ 'გარდაიცვალა': იულისისა თთვისა ოცდამეოთხესა აწით სიცოცხლით მიიცვალა ანასტასი, ხოლო ავლუსტოსისა ათდამესამესა მოწევენასა წმიდამან მაქსიმე დასასრულსა უკუნსცა აღმოფშვნვამ (თეოდ. განგრ. 307,32).

მიიწოდა ზენამან სუფევაზამან: ორნი ჩკლნი ქალ-ყრმანი ჩემნი მარჩბივნი მიიწოდნა ზენამან სუფევაზამან (აბუს. ტბ. XXIV, 176).

სულთა ჰბრძავს 'კვდება': იგი მოქირნე ძეს ცხედარსა ზედა და სულთა ჰბრძავს (I მეფ. 19,14).

მიუღო სული 'მოკლა': ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან (ლ. 12,20).

სულის (||სულთა) აღმოსლვამ 'სიკვდილი': და იყო აღმოსლვასა სულისა მისისასა, რამეთუ მოკუდებოდა (დაბ. 35,18); მომკლან მე და სულთა აღმოსლვასა კიცხევით დამწერტდენ მე (I მეფ. 31,4).

მორცთავან განსლვამ 'სიკვდილი': ამას ზედა ყავნ უფალმან განსლვამ ჩემი კორცთავან (მოქც. ქართ. 146,18); ესრეთ იყო სრულიად განსლვამ მისი კორცთავან (ცხ. გ. მთაწმ. 397,3).

3. ასაპი

ჰასაპ-ი 1. სიცოცხლის ხანგრძლივობა, წლოვანება: მკცოვანებაა არს გონიერებაა კაცისაა და ჰასაკ სიბერის ცხორებაა უბიწოა (ხანძთ. 3,43); ყოველი ჰასაკი აკურთხა მამათაა და დედათაა, ჰაბუკთა და ყრმათაა (სინ. 14,12); ყოველივე წინაწარმეტყუელი რაჟამს ჰასაკსა თვისსა მოიწიის, მაშინლა მადლსა მას წინაწარმეტყუელობნ, და რომელსამე უკუანაძსკნელ ჟამთა მოეცის (სინ. 207,5); შიში დაეცა სიახლისათვს ჰასაკისა მისისა (ხანძთ. 3,12); ოთხმეოცი სული... მოქენე იყვენს სძესა დედისასა საზრდელად მათდა, პირველსა მას ჰასაკის ქცევასა შინა. ხოლო სხუანი მეორესა მას ჰასაკსა შინა შესრულნი სიჩოვებისაგან მცირეოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი (ცხ. გ. მთაწმ. 384,25); ორნი იგი ასულნი...

ვანსა შეჰვედრნა ორ წლის ყოფასა ჰასაკისა მათისასა (ცხ. პ. კაპეტოლ. 26,33); ხოლო იგი სიჩჩოვსათჳს ჰასაკისა თვისისა ვერ შემძლებელ იყო ჭეროვნად აღსრულებად მსახურებისა თვისისა (ტიმ. ანტ. 49,3); მუნქუესვე აღმოაცენოს უფალმან ჩემ გლახაკისა მიერთმაჲ გუამსა შენსა მსგავსად ჰასაკისა შენისა (კიმ. I, 311,11); სხუჲჲ ვინჲე ჰაბუჲი ჰასაკითა და გონებითა მრავლის-მეტყუელებითა და სიტყუათა შეწყობითა აღიძრა და აღდგა მათ ზედა (ექუს. 14,1); კორციელითა ჰასაკითა იქმნა ოცდა ათის წლის (ცხ. გ. მთაწმ. 352,33); მკცოანნი ჰასაკითაცა და გონებითა (ვაჰან. 81,1).

2. აღმიანის სიმაღლე, ტანადობა, გარეგნობა; კორპუსი: ჰასაკი კაცისაჲ მართლ მდგომარე არს და ცად მიმართ აღმართებულ არს (კაც. აგებ. 154,13); აღიზარდა და ჰასაკი მიილო მამაკაცისაჲ (სინ. 49,2); შემძლებელ არს იგი შეძინებად ჰასაკსა თვისსა წყრთა ერთ? (მ 6,27); სიდიდითა უფროჲს იყო იგი მამაკაცისა ჰასაკისა (ტიმ. ანტ. 90,33); ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზრდებოდა (ხანძთ. 2,50); იყო ხილვითა დიდ, კორციითა თხელ. ჰასაკითა სრულ (ხანძთ. 2,63); მას ესუა ასული შობითგან ყრუჲ და უტყუჲ, ხოლო ჰასაკითა მრთელი (ხანძთ. 85,5); იყო იგი ჰასაკითა დიდ და ქმნულ კეთილ და არავინ იყო უმაღლესი მისა ჰასაკითა ისრაჲლსა შორის, რამეთუ ჯმრითგან უმაღლეს იყო ყოველსა კაცსა (I მეფ. 9,2); იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ევთჳში სახითა მყუდრო და გონებითა წრფელ და მდაბალ და სულითა განათლებულ... და ჰასაკითა წესიერ (ცხ. იოვ. და ეფთ. 108,1); ჟამითი-ჟამად წარემატებოდა ჰასაკითა და კაცობრივსა მას ზომასა დაამტკიცებდა, ვითარცა იტყუჲს მახარებელი: და ყრმაჲ იგი იესუ აღემატებოდა ჰასაკითა და სიბრძნითა (სინ. 97,36); აღმკულ მოთმინებითა: განმზიარლებულ და უბიწო ჰასაკითა, ყუდრო ხილვითა (კიმ. I, 188,24); იყო მიქაელ მკვრცხლ სახითა და კეთილად გრძელ ჰასაკითა (აბუჲ. 32,IV,5); შენ ხარა ავათე-ანგელე, რომელი ხარ შუენიერ ჰასაკითა (ალათანგ. 235,VI,10).

3. სრულწლოვანება; ახალგაზრდობა: ჩუენ არა ვიცით, მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს, ეგე თავისა თვისისათჳს იტყოდენ (ი 2,21); არავე უჯერო არს, თუ მეცა ვიხილო თავისა ჩემისათჳს უმჯობესი, რამეთუ თვთ ჰასაკი მაქუს (ბალავ. 19,23); რომელნიმე ოდეს იშვინენ, მაშინვე წარიტაცებს სიკუდილი, და რომელთამე — მცირედ რაჲ აღიზარდნენ, და ზოგთა — ჰასაკსა რაჲ მოვიდენ (ბალავ. 25,5); იგი ყრმაჲ გან-სამე-ზრდილ არს, საზომსა ჰასაკისასა მოწევნულ არს (მოქც. ქართლ. 127,21); არა სამართალ არს სწრაფით წარწყმე-

დად სიჭაბუქს თქუენი ტანჯვითა და დაქნობაჲ ჰასაკთა თქუენთაჲ (შვლ. ყრმ. 106,1).

ეს მნიშვნელობა უძვეეს საფუძვლად ნაწარმოებ სიტყვებს უშასაკო-
-და 'ასაკს, სრულწლოვანობას მიულწეველი', და უასაკობა-
-და: რათა არა მისისა მეფობისა მენაცვალე იქმნეს, მისისა შვილისა კონ-
-სტანტინეს, ვითარცა ჯერეთ უშასაკოჲსა (თეოდ. განგრ. 292,2);
დაუკვრდა სიმრავლე იგი ობოლთაჲ მათ და უასაკობაჲ (ცხ. გ.
მთაწმ. 394,34).

გავრცელებულია ჰასაკ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები:

ჰასაკოვან-ი 'ტანადი': ვიხილე კაცი ერთი ჰასაკოვანი და მო-
-ხუცებული და საკვრველად შეენიერი (სინ. 63,29); პირველ სიჭა-
-ბუქესა იყო სანატრელი მატრი ჰასაკოვან და შეენიერ (ხანძთ.
39,24).

მოჰასაკე 'ტოლი, კბილა': ამისთვის არაოდეს შეექცეოდა სახი-
-ობათა და ლაღობათა მოჰასაკეთა თანა (კიმ. I, 60,25); დაღაცა თუ
-ჰასაკითა ერთი მეორისა უმეტეს იხილვებოდა, ხოლო სწავლულე-
-ბისა მიერ ურთიერთარს მოჰასაკე იყვნეს (ცხ. გ. მთაწმ. 386,39).

თანამოჰასაკე 'თანატოლი, კბილა': ხოლო ტიმოთე აღორძინდა
-ჰასაკითა და წარემატა მეცნიერებითა თანამოჰასაკეთა თვსთა (ტიმ.
ანტ. 51,14).

წესთჰასაკ-ი: ხედვიდა რაჲ მას სიგრძითა უკუე ტანისაჲთა მა-
-ღლად და წესთჰასაკად, ხოლო სხვთა აგებულებითა თვისითა, ასო-
-ებითა გოილათებრად (ორენტ. 313,20).

სიტყვა ჰასაკი ახალ ქართულში იხმარება ასაკი ფორმით და
-მხოლოდ პირველი მნიშვნელობით. ეს ფორმა ძველ ქართულშიც
-დავადსტურეთ ერთხელ: ყრმა ფრიად შეენიერი ასაკითა, ვითარ-
-ცა შეენის მეფეთა შვილსა (ბ. ეზოსმოძღვ. 17,28).

მონათესავე ენებიდან მხოლოდ სვანურში გვხვდება ეს სიტ-
-ყვა: ხასაკ 'ასაკი'.

მზ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, ეს სიტყვა საშუალო ირა-
-ნული წარმოშობისაა⁸.

ჩჩვლ-ი 1. ყრმა მცირე (საბა), თოთო (ბავშვი ან რაიმე ნაში-
-ერი), ახალშობილი: ჩჩვლ იქმნა, რაჲთა პირთაგან ჩჩვლთაჲსა დაემ-
-ტკიცოს ქებაჲ (სინ. 32,5); მკლავთა ზედა იტკრთო ჩჩვლი (მრ-
-ვალთ. 257,16); მოიბა კბოჲ ჩჩვლი და კეთილი (დაბ. 18,7); იქმნა
-დედა ჩჩვლის და სძალ არასადა ყოფილ იყო (სინ. 204,30); დაგუ-

⁸ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები... გვ. 277—278.

აობლნა ჩუენ ახლად შობილნი ჩიკლნი უმეცარნი (მოქც. ქართლ. 161,3); აქუნდენ ყრმანი ჩიკლნი ძუძუმს მწოვარნი მათ დღეთა შინა (სახისა სიტყ. 29,4); ორნი ჩკლნი ქალ-ყრმანი ჩემნი მარჩბივნი მიიწოდნა ზენამან სუფევამან (აბუს. ტბ. XXIV, 176); მოსცეს სა-შუმინელი ცხორებისაჲ ჩიკლთა, რომელნი არიედ მუცელსა დედისასა (შვდ. ყრმ. 110,4); წარავლინნა მოწყუედად ყოველთა ჩიკლთა ყრმათა ბეთლემისათა და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უდარესი, ჟამისა მისებრ (მ 2,16 D).

2. ნაზი, რბილი: ჩიკლ ლათუ იყვნეს კორცინი მათნი, ვითარცა ცკლნი (სინ. 219,36); დაჯედ ბნელსა ასული ეგე ქალდეველთაჲ. რამეთუ არღარა შესძინონ წოდებად შენდა ნუკეულ, ჩიკლ, ფუფუნეულ (ესაია 47,1); მეკჭცემან ჩიკლი შეზილის მიწაჲ (სიბრძნე სოლ. 15,7); სამოსლითა ჩიკლითა მოსილ არიან (მ 11,8); რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, სამოსლითა ჩიკლითა შემოსილსა? (ლ 7,25); ისარ ჩიკლად შემირაცხიეს ტანჯვაჲ ეგე თქუენი (სინ. 118,20); იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ დამოსდიოდა ჩიკლთა მათ კორცთა მისთა (შუშ. 20,10).

ჩიკლ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია:

ჩკლ-ედ-ი: მეხუთე ხატი საღმრთოჲსა პირისაჲ და მეექუსე ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ ჩკლელი (აბუს. ტბ. XXIV, 177).

სი-ჩიკლ-ჭ 'სინაზე, სირბილე': სიჩიკლჭ იგი ყოვლისა მის ბუნებისაჲ სახედ ლოდისა გარდაიქცა (სინ. 119,20); სძლეს სიფიცლესა მახვლისასა სიჩიკლითა ქედთა თვსთაჲთა (სინ. 261,17).

ჩიხუ-ილ- ფუძეში გამოიყოფა -ილ სუფიქსი. შღრ. მოაჩიო 'დაარბილა'; აქედან სათავისო ქცევა აღიჩიუა, სასხვისო — აღუჩიუა: უფალმან მოაჩიო გული ჩემი და ყოვლისა მპყრობელმან მოწრაფება მცა მე (იობ. 23,16); აღიჩიუა გული და იწყო ტირილად (ბალავ. 56,29); აღუჩიუა მათ გული მათი (გარესჯ. 233,22).

სიჩიო, სიჩიოება-ჲ 'ჩიკლის ასაკი': ტიმოთე ვინაჲთგან სიჩიოსავე თვსსა დააკლდა სძისა-გან დედისა თვსისა (ტიმ. ანტ. 48,37); სიჩიოჲთგანვე ღვწოჲ და კორცი არა შექდა პირსა მისსა (ხანძთ. 2,33); სიჩიოჲთგანვე სიყრმისაჲთ სიწმინდით ცხონდებოდა (კიმ. II, 112,10); სიჩიოჲთგანვე თვსით მკვრცლ იყო ღმრთისაჲ ყრმაჲ იგი (ცხ. გ. მთაწმ. 346,16); ამიერიოთგან ვიწყო და მიგიოხრა თქუენ სიჩიოჲთგან ჰასაკისა მისისაჲთ (ი. ოქრობ. ცხ. 60,11); სხუანი მეორესა მას ჰასაკსა შინა შესრულნი სიჩიოებთსაგან მცირედ-ოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი (ცხ. გ. მთაწმ. 384,26).

სიჩჩოებაჲ სინაზესაც ნიშნავს ძველ ქართულში: მფრინველთა და პირუტყვთა და მკეცთაცა უფროჲსი სიჩჩოებაჲ აქუს ნაშობთა მიმართ (ბალავ. 132,8).

უჩჩო (შედარებითი ხარისხი ჩჩკლ სიტყვისა): არცა მიხედვამ ამისი და სამოხელი იოვანჭსსა ესწორების, რამეთუ უჩჩო არს (სინ. 80,36).

ჩჩუ-ილ- ფუძეს შეესატყვისება მეგრულში ჩჩიჩქუ||ჩჩჯჩქჲ, ჭანურში ჩუჩქ-უ||ჩიჩქ-უ 'ჩვილი, რბილი': არ ჯადი ოხორჯა ჩიჩქუ ონწელიში ბერეს ქონაჩქინერეტუ (ყიფშ. ჭ. ტ. 13,3) „ერთი ჯადო-სანი ქალი თითო აკვნის ბავშვს შესჩენოდა“.

სიტყვაში მწ-შგჳ-ე 'რბილი' თ. გამყრელიძემ გამოავლინა ჩჩკლ- ფუძის სვანური კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი⁹.

აქ გვაქვს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა: ქართ. ჩ — ზან. ჩქ — სვ. შგ. ზანურის მსგავსად, ქართულშიც უნდა გვქონოდა ხმოვანი პირველი თანხმოვნის შემდეგ. არნ. ჩიქობავას მართლაც აქვს დადასტურებული ასეთი ვარიანტი ჩჯჩკლნი¹⁰. პროფ. გ. როგავა ზანური ჩუჩქ-უ'ს შესატყვისად ქართულში აღადგენს 'ჩუჩუ-ილ ფორმას'¹¹.

სიტყვა ჩჩკლ- ფუძე გაორკეცებული კომპოზიტი ჩანს (აგრეთვე ზანური ჩუჩქუ). ამას სვანურის ჩვენება ცხადყოფს: 1) სვანურ სიტყვაში მწ-შგჳ-ე ძირია -შგჳ, რომელიც შესატყვისად ქართულში -ჩუ- და ზანურში -ჩქუ-ს ვარაუდობს. 2) სვანურში დასტურდება ფორმები ჩჳინ-ჩჳილ (ფარ.) 'ჩვილი'—ჩინჩჳილ (უშგ. ბქ.)¹².→ ჩიჩჳილ||ჩიჩჳილი, რომლებიც ნასესხებ ფორმებს წარმოადგენენ.

შრმა-ღ 'ბავშვი' (განურჩველად სქესისა); ახალგაზრდა: ყრმა ვიყავ, დავბერდი, არა ვიხილე მართალი დაგდებულ (ფსალმ. 36,25); დღითა ყრმა იყო იგი ვითარ ოც და ათ წლის (ევსტ. მცხ. 30,4); ყრმაჲ¹³ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს (მრკ. 5,39); შერბიოდა ყრმაჲ¹³ იგი სახიდ დედისა თვისსა (დაბ. 24,28); მომგუარე ყრმაჲ ესე ცოლად (დაბ. 34,4); სხუათა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა

⁹ თ. გამყრელიძე სობლანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, გვ. 20.

¹⁰ არნ. ჩიქობავა, სახელის ოუქის..., გვ. 47.

¹¹ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, გვ. 58.

¹² ფორმები დამოწმებულია ქართვ. ენათა ვანკოფლებაში დამუშავებული სვანური ლექსიკონიდან.

¹³ ქალზეა ლაპარაკი.

ესუა შვილი. ყრმად წული (ხანძთ. 45,1); ყრმად იგი ვიდრე სიბერედმდე კეთილად ცხოვრებოდა (ხანძთ. 44,31); ჰკრთებოდა ყრმად იგი მუცელსა შინა მისსა (სინ. 13,9); ესე ყრმად ხარ და იგი განძლიერებული კაცი არს და ბრძოლი სიჭაბუკითგან თვისით. ვერ შემძლებელ ხარ წინა დადგომად მისა (I მეფ. 17,33); დედისაგან სძმ მიიღო ვითარცა ყრმამან (სინ. 32,4); ყრმასა რვისა დღისასა წინა-დასცვთოთ ყოველსა წულსა ნათესავსა შოვრის თქუენსა (დაბ. 17,12); უშვილო იყვნეს ბუნებით და ჟამნი ყრმისა შობისანი განწესებულნი წარეწყმიდნეს უთესლობითა (სინ. 25,32); მოქენე იყვნეს სძესა დედისასა საზრდელად მათდა, პირველსა მას ჰასაყის ქცევასა შინა. ხოლო სხუანი მეორესა მას ჰასაყსა შინა შერულნი სიჩოვებისაგან მცირედ-ოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი (ცხ. გ. მთაწმ. 384,27); რაფთაჲცა აღჰზარდე და გესუა ეგე ყრმად (სინ. 96,31); შენ გეტყვ, ყრმაო, აღდეგ (მრკ. 5,41); მოჰგუარეს მას ყრმები (მ 19,13); რომელთა ჰამეს იყვნეს ოთხ ათას მამანი ხოლო, თვნიერ ყრმებისა და დედებისა (მ 15,38); მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თვისითა... ჰაბუკნი სრბით, ყრმანი კლდით ურთიერთას (აბო 75,21); ყრმანო, საჰმელ გაჰუს რააჲ? (ი 21,5); თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა (ხანძთ. 2,35).

ყრმისა აღმქუმელი 'ბებია ქალი': იყო ფიცხლად შობასა მისა, ჰრქუა მას ყრმისა აღმქუმელმან მან (დაბ. 35,17); შვიან ვიდრე შესლვადმდე ყრმის აღმქუმელთა (გამოსლ. 1,19).

სიყრმე 'ბავშვობა': სიყრმესა მას მისსა ზრუნავნ ქალწულებასა ნუთუ გარდაჰკდეს (ისო ზირაჲ. 42,9); უკუეთუ სიყრმესა მას შინა არა მოიპოვე შენ გონებაჲ, აწ სიბერესა ვინ მოგცეს შენ გონებაჲ (ისო ზირაჲ. 25,5); ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს. რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით (აბო 58,16); დასაბამი მადლისაჲ ესჲ იხილვა ზაქარიაჲს სიყრმისა ჟამთა (ხანძთ. 67,1); მონაზონ ქმნულ იყო იგი სიყრმით მისითგან (სინ. 269,35); შვილ თუ გესხენ განსწავლენ იგინი და მოდრიკე სიყრმითგანვე ქედი მათი (ისო ზირაჲ. 7,25); სიყრმითგანვე უყუარდა სათნობაჲ (გულანდუხტ-235,25).

ბავშვობა: ის იყო კილიკიელი, ბავშობიდან ცნობილი შეიქმნა მონაზონთა ცხოვრებით (კიმ. II, 217,3).

სიტყვა წარმოადგენს ბავშვ- ფუძიდან ნაწარმოებ აბსტრაქტურ სახელს. ძველი ქართული ენის ძეგლებში მარტივი ფუძე ვერ დავადასტურეთ. კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები გვაქვს მონათესავე ენებში: სვანური ბეფშუ, მრ. რ. ბოფშარ, მეგრული ბოში 'ბიკი'¹⁴.

მწვს-ი 'მოზრდილი, ზრდადასრულებული': იყო იგი სულითა ფრთხილ და გუამითა მწვს და ძლიერ (კიმ. II, 145,8); მწვსნი მოსიერ არიედ და სიცივე ევენებინ, და ჩჩვლი თოვლსა და მყინვარსა და სასტიკსა სიცივესა შიშუელი იქცევიან და არაჲ ევენებინ ყოლადვე (მამ. სწ. 300,1); კაცნი ჰასაკითა დიდნი და მწვსნი (იპოლიტ. 257², 13, TP., III, გვ. XLVIII); ლათუ მწვსთა გონებანი რომელთანიმე დაბრმეს, არამედ ჩჩვლთა უმანკოთანი ქმნულთა მისთანი სულნი განათლდეს (სინ. 135,5).

განმწვსებულ-ი: ვითარ აღუსუბუქა საკვრველად მძიმე იგი ურმის თუალი, რომელ აგრძნაცა ვერ ყრმამან მან მცირემან! ხოლო აწ განმწვსებულ არს და თვთ მოუთხრობს საკვრველსა მას დიდებულსა (ცხ. გ. მთაწმ. 406,15).

განმწვსებულ- ნამყო დროის საობიექტო მიმღეობაა განმწვსნ-ა ზმნისა (იხ. გვ. 153).

ნ. მარი მწვს- ფუძეს უკავშირებს მწვედ 'весьма' ზმნიზედას¹⁵. ეგვე მწვს- ფუძე გვაქვს აბსტრაქტულ სახელში სიმწვსე 'სისრულე ტანთა' (საბა): ნუ ჰხედავ შენ ქმნულებასა მაგისსა ნუცა სიმწვსესა ჰასაკისა მისისასა რამეთუ შეურაცხ მიყოფიეს იგი (I მეფ. 16,7); ესენი სიმწვსითა კორცთაჲთა და შუენიერებითა ჰასაკთაჲთა და ძალითა უფროს სახელოვნად იქცევიდეს (სინ. 116,31).

მიწიფებულ-ი 'ასაკში მოსული, დავაყვაცებული (ანდა დაქალებული), — მოწიფული': არა შეუგვანდა ჯერეთ ქალსა მას მიოდენ-წიფებულსა. ასულსა მეფისასა, რათამცა გამოაჩინა შუენიერებაჲ თვისი (კიმ. I, 203,1).

მი-წიფ-ებ-ულ სიტყვა წარმოადგენს ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობას მიწიფებ-ი-ს ზმნისა (იხ. მოიწიფა გვ. 153).

ჭაბუპი||ჭაბუპი 1. ახალგაზრდა: იყო ესე ყრმა. ჭაბუკ, ვითარ ათრვამეტის წლის (აბო, 63,23); ისხნეს ორ კაც: ერთი იგი მკრცო-

¹⁴ ივ. ავანცილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტბილისი, 1937, გვ. 184 — 185.

¹⁵ TP., III, Ипполит, გვ. XVIII.

ვან და ერთი იგი ჭაბუჯ (სინ. 68,36); იყო იგი ჭაბუჯი ჰასაკითა (ცხ. გ. მთაწმ. 381,34); არა იყო ვითარცა ჭაბუჯი მზუაობარ და ჭამად-თა გულის-სათქუმელთა მოყუარე (ხანძთ. 2,52); ვინ არს ჭაბუჯი ესე?... დედაკაცი ესე არს მოაბელი (რუთ. 2,5); ხოლო მე ვითარ-ცა ჭაბუჯმან და უგუნურმან შეურაცხ ვყავ ზრახებად მისი (კიმ. I, 24,28); მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჭაბუჯსა ჰასაკითა (ზარზმ. 158,19); რომელ-იგი დადგრომილ იყო ეშმაკი, მოაშთობდა ერთსა ჭაბუჯსა: გინა ქალსა, გინა წულსა (აპოკრ. 60,35); სისხლი უბრა-ლოდსა ჭაბუჯისა დასთხია (ხანძთ. 56,65); კაცნი იგი ქალაქისა სოდომელნი გარე მოადგეს სახლსა მას ჭაბუჯითგან ვიდრე მოხუ-ცებულადმდე (დაბ. 19,4); ხოლო მო-რაჲ-იქცეს სკკთნი, იპოვნეს მონათაგანნი იგი ძენი ცოლთა მათთანი ჭაბუჯად წუერ-გამოდ და წინა განმწყობად მათდა (ელ. ზღაპრ. III,75); ჭაბუჯო, შენ გეტყვ, აღდეგ (ლ 7,14); მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თვისი-თა... ჭაბუჯნი სრბით, ყრმანი ჯდომით ურთიერთას (აბო. 75,21); ჭა-ბუჯნი დაემორჩილენით მოხუცებულთა (კათ. ეპისტ. 64,5); ყრმა-თა ჭაბუჯთა ქალწულთა შეგიყუარეს შენ (იპოლიტ. თარგმ. ჯბ. 2,272); ყოველი ჰასაკი აკურთხა მამათა და დედათა, ჭაბუჯთა და ყრმათა (სინ. 14,13).

2. ვაჟი: ჭაბუჯნი და ქალწულნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა (ფსალმ. 148,12).

ჭაბუჯ- ფუძიდანაა ნაწარმოები სიტყვები:

სიჭაბუჯ-ე||სი-ჭაბუჯ-ე 'ახალგაზრდობის, ჭაბუჯობის ხანა; ახალ-გაზრდობა': ემსგავსებიან იგინი წესითა თვისითა სიჭაბუჯესა და სი-ბერესა კაცობრივსა (ექუს. 58,32); ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუჯესა შენსა განჰვაკრი ქრისტეანედ (აბო, 70,19); სიჭაბუჯესა ჩემსა მამისა გრიგოლის საჯედარსა ვხედავდი (ხანძთ. 86,13); ისი-ძვიდეს ეგვპტეს სიჭაბუჯესა მათსა (ეზეკ. 23,3); იხარებდ სიჭაბუ-ჯესა შენსა (იგავნი სოლ. 5,18); შვილი იგი მისი სულიერდა იყო ძალისა მისგან სიჭაბუჯისა (სინ. 122,27); გარე- მომადგინენ მე სი-ჭაბუჯისა ჩემისა ცოდვანი (იობ. 13,26); ორგულეებისა მისგან და თავკედლობისა რომელი მაქუნდა სიჭაბუჯისა სილაღითა (რაფახ. 86,2); ესე ყოველი ვყავ სიჭაბუჯით ჩემითგან (მრკ. 10,20); ძულანი მისნი აღივსნენ სიჭაბუჯითა მისითა (იობ. 20,11); ესე ყრმაჲ ხარ და იგი განძლიერებული კაცი არს და ბრძოლი სიჭაბუჯითგან თვისით (I მეფ. 17,33); არა თუ შენ უმეცარ ხარ ცხორებასა განთქუმულისა ამის კაცისასა სიჭაბუჯითგან მისით, ვიდრე სიბერედმდე (ცხ. გ. მთაწმ. 338,20);

ჭაბუჯროვანი-ი 'ახალგაზრდა, ჭაბუჯი' (ზედსართავი სახ.): ხოლო კაცი ჭაბუჯროვანი და კეთილ კეთილი ტყეულ წარმოიყვანა (I მეფ. 15,9); ჭაბუჯ-რ-ოვანი- ნაწარმოებია ქონების -ოვან სუფიქსით. რ ფონეტიკური ჩანართი ჩანს.

განაჭაბუკებ-ს 'გაახალგაზრდავებს': ხოლო გუამისა ორღანოთა მათ ასოთა განჭაბუკებასა და საცნობელთა გარეშეთა განვრცელებასა თანა შინაგან გონებისა ორღანოთა და საცნობელთა განაფრთხობდა და განაჭაბუკებდა (ცხ. გ. მთაწმ. 386,27);

განჭაბუკენის 'გაახალგაზრდავდება, ჭაბუჯი გახდება': გამობრწყინებასა მზისასა აღეხუნიან თუალნი მისნი. და განჭაბუკენის (სახისა სიტყ. 1,16); დააგდოს ტყავი იგი მისი ძუელი და განჭაბუკენის (სახისა სიტყ. 18,17).

განჭაბუკება-ა, განჭაბუკ-ებ-ა-ა- (განაჭაბუკებს, განაჭაბუკებს ზმნის მასდარი) 'გაახალგაზრდავება': ხოლო გუამისა ორღანოთა მათ ასოთა განჭაბუკებასა და საცნობელთა გარეშეთა განვრცელებასა თანა შინაგან გონებისა ორღანოთა და საცნობელთა განაფრთხობდა და განაჭაბუკებდა (ცხ. გ. მთაწმ. 386,25); რაჟამს დაბერდის და თუალთა მოაკლდის და ჰნებავენ განჭაბუკებაჲ (სახისა სიტყვ. 17.8).

განჭაბუკებულ-ი ('განაჭაბუკებს' ზმნის საობიექტო მიმღ.) 'გაზრდილი, დავაყვაცებული, ჭაბუჯად გამხდარი': იხილნეს განჭაბუკებულნი და სრულნი სიბრძნითა და ჰასაკითა ღირსნი იგი ღმრთისანი არსენი და ეფრემ (ხანძთ. 30,2); რომელი იგი ვერლაცა თვთ მას ცხედარსა ზედა ადვილად შეძრვად შემძლებელ იყო, განჭაბუკებულად იხილვებოდა და მრთელად (აბუჯ. 39, XVI, 12).

ჭაბუჯ- ფუძე დასტურდება სვანურშიც: ჭაბიგჷ: როსტომ ჭაბიგჷ (სვ. ტ. I, 208,1) „როსტომ ჭაბუჯი“.

ჭაბუჯ-, ჭაბუჯ- ირანული წარმოშობის სიტყვაა. შდრ. ს.ა.შ. სპარსული *čāpūk* 'ცოცხალი, მარდი, მოხერხებული, მხნე, სწრაფი', აზ. სპარსული *čāxuk* 'ცოცხალი, სწრაფი, მოხერხებული, გამჭრიახი, გონებამახვილი, ლამაზი', სომხ. *ծապուկ* 'სწრაფი, მოხერხებული'¹⁶.

ბმრ-ი 'მოხუცი, „ხანმრავალი კაცი“ (საბა): ვითარ კელ-ეწითების შობად კაცსა ბერსა (ი 3,4); ვაჲ ჩემდა ბერისა ამისვან მდგრისა (სინ. 270,20); სწორად მიცემს ჭაბუჯთა და ბერთა, დედათა და ყრმათა (სინ. 17,30).

¹⁶ მზ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ე ი ლ ი, ნარკვევები... გვ. 409.

დაბერდა 'მოხუცდა, სიბერეს მიაღწია': ნეტარი მამაე ჩუენი იოვანე დაბერდა ქუაბსა მას შინა (ცხ. შიო და ევაგრ. 227,15); ყრმა ვიყავ, დავბერდი, (ფსალმ. 36,25); კეშმარიტად ვშვე მეა, რამეთუ მე დავბერდი (დაბ. 18,13); ჰასაკი ჩემი დაბერდეს, ვითარცა ხმ და-ნაიკსკუდისაჲ მრავალ ჟამ ვცხონდე (იობ. 29,18); რაჟამს დაჰბერ-დე, განგოპყრნენ კელნი შენნი და სხუათა შეგარტყან შენ (ი 21,18); ნუ აგინებ კაცსა სიბჭრესა მისსა, რ' შენცა და-ვე-ჰბერდ-ები (ისო ზირაქ. 8,7).

დაბერებულ-ი (ნ. დროის საობიექტო მიმღეობაა დააბერებს ზმნისა) 'ხანში შესული, მოხუცებული': მოხუცებულ იყო და დაბე-რებულ და იგი იღუწიდა ისრაშლსა ოთხმეოც წელ ოდენ (I მეფ. 4:18).

დაუბერებელ-ი 'ვინც (ან რაც) არ ბერდება': დაუბერებელთა-გან სამოთხეთა ნაყოფ-შუენიერნი იგი ყუავილნი მოუქდეთ და ქე-ლითა მოვისთულნეთ (სინ. 18,1).

სიბერე 'ბებრის ასაკი, მოხუცებულობა': რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერე ჩემი და ამაღლდა სიხარული ჩემი (ხანძთ. 6,76); ჭეროვნად პატივ-სცემნ მას და ერიდებინ (და განუსუენებნ) და სწყალობნ სიბერესა მისსა (ცხ. იოვ. და ეფთ. 28,4); რათგან სი-ბერისა ჟამსა ასეთი გულისა წამღებელი ხარ, ნეტარ სიყრმისა ჟამ-სა ვითარი ყოფილ ხარ? (ვისრ. 36,22); სიპოხედ ღრმისა სიბერისა ნიწევნული მიიცვალა უფლისა მიმართ (იოან. დამასკ. 171,19); მრ-ავალნი წიგნნი ეკლესიისანი ჟამსა სიბერისასა თვისითა კელითა აღ-წერნეს (ცხ. გ. მთაწმ. 360,29); თუალნი იაკობისნი დამძიმებულ იყვნეს სიბერიითა და ვერ ეძლო ხედვად (დაბ. 48,10); მოკუდა აბ-რაჰამ სიბერიითა კეთილითა მოხუცებული და სავსე დლითა (დაბ. 25,8); ყრმაჲ იგი ვიდრე სიბერედმდე კეთილად ცხოვნდებოდა (ხანძთ. 44,31); მიმტკოანებადმდე და სიბერედმდე, ღმერთო ჩემო, ნუ დამაგდებ მე (ფსალმ. 70,18);

ბერ-, ესოდენ აქტიური ფუძე ქართულში, სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება. არსებობს შეხედულება მისი ირანული ენებიდან მომდინარეობის შესახებ¹⁷.

დედაბერ-ი 'მოხუცი ქალი': მაშინ კმა-ყუო კაბუქმან დედაბერ-სა (ბალავ. 54,13); და დაეყო დედაბერსა მას ას ოცი წელი მეკა-რეობასა მონასტრისასა (კიმ. I, 204,34); და ესე სიტყუაჲ გარე-

¹⁷ Н. М а р р , Древнегрузинские одописаны, გვ. 166; მზ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა-შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 292—3.

წარვიქადოთ ვითაოცა სიზმარი და დედაბერებრნი ზღაპარნი (ექუს. ილ. აბ. 51,7).

მეგრულში დედიბ-ი, ვფიქრობთ, ქართულიდანაა ნახესხები და შემდეგში ფონეტიკურად გამარტივებული.

ხუცეს-ი 'მოხუცებული': მოვიდეს მისა მღდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და ხუცესნი (მ 11,27); მზრახვა-ყვეს ყოველთა მღდელთ მოძღუართა და ხუცესთა ერისათა იესუსთეს (მ 27,1 c); მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა მას ხუცესთასა (მ 15,2).

ხუცეს-ი წარმოშობით ზედსართავი სახელია ხ-უ-ც-ეს-ი — მასზე (III პირზე) უფროსი. მისი კახონზომიერი ფონეტი. შესატყვისია მეგრულში უ-ჩ-ა-შ-ი 'უფროსი' და სვ. ხ-ო-შ-ა 'უფროსი, დიდი'¹⁸ მას შემდეგ, რაც ხ- თავართმა დაკარგა თავისი ფუნქცია, იგი ფუძეში იქნა გადარიცხული და აქედან ხელმეორედ აწარმოეს უფროობითი ხარისხი უ-ხუცეს-ი¹⁹: შევიდა უხუცესი და დაწვა მანისა თვისსა თანა მას ლამესა (დაბ. 19,33); და ორნი ასულნი მის თანა, ჰრქუა უხუცესმან უმრწემესსა მას (დაბ. 19,31).

ნიკო მარი ხუც-ეს- სიტყვაში ხუც- ფუძეს თვლიდა ხუცა- ფორმიდან მომდინარედ და სვანურ ნასესხობად -შ- ძირის შედარებითი ხარისხის ხო-შა სიტყვის შ ბგერის ს > ც ცვლილების შედეგად²⁰.

მოხუცებულ-ი 'სიბერემოწვევული (საბა), დაბერებული, ის, ვინც მოხუცდა': ვითარ მოხუცებულ იყო, იქმნა ნეტარი იგი ოთხშეოც და ხუთისა წლისა (კონსტ.-კახ. 157,1); აბრაჰამ და სარა მოხუცებულ იყვნეს და გარდასრულ დღეთა (დაბ. 18,11); მოკუდა აბრაჰამ სიბერითა კეთილითა მოხუცებული და სავსე დღითა (დაბ. 25,8); ვიხილე კაცი ერთი ჰასაკოვანი და მოხუცებული და საკვრველად შეუნიერი (სინ. 63,30); იხილა ბერი ვინმე ერთი ფრიად მოხუცებული, დაღონებული ქუეყანად (ბალავ. 23,31); ვითარცა აღმართი მქვროვანი ფერკთა მოხუცებულისათა, ეგრეცა დედაკაცი ცხარი ქმრისა მშვდისა თანა (ისო ზირაქ. 25,22); არცა მოხუცებულისაგან შევიკდიმოთ მკცეთა მრავლისა ეამისათა (სიბრძნე სოლ. 2,10); მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თვისითა (აბო

¹⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 145.

¹⁹ ი ქ ვ ე.

²⁰ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, 60.

75,19); ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ვნებაჲ ფრიად და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგან და მღღელთ მოძღუართა და მწიგნობართა (მრკ. 8,31).

სიტყვა წარმოადგენს მოახუცებ-ს ზმნის ნ. დროის ვნებითი გვარის მიმღობას.

მოხუცებულ- უღევს საფუძვლად სიტყვას მოხუცებულება-ა|| მოხუცებულობა-ა 'სიბერე': შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულებაჲ გონებისაჲ (ხანძთ. 3,47); ესჴ ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა (ხანძთ. 12,29); შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი... კელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა: ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა (სინ. 282,5).

მეგრული მოხუცებულ-ი ქართულიდანაა ნასესხები.

მცცოვან-ი 'ბერი წვერთეთრი' (საბა), „ჰლაროსანი“; ოდეს-მე მცცოვანი ჩანნ და ოდესმე ჰაბუკი (კიმ. I, 129,34); თქუ ბოროტთა დღეთა შინა დაძუელებულო. ცუდად მცცოვანო (კიმ. I, 84,14).

სინურ მრავალთაჲში გვხვდება ფორმა მკრცოვან: ისხნეს ორ კაც: ერთი იგი მკრცოვან და ერთი ჰაბუკ (სინ. 68,35). -რ- აქ ფონეტიკური ჩანართია.

მცცოვანება-ა 'სიჰლარავე': მცცოვანებაჲ არს გონიერებაჲ კაცისაჲ (ხანძთ. 3,43); მიმცცოვანებადმდე და სიბერედმდე, ლმერთო ჩემო, ნუ დამაგდებ მე (ფსალმ. 70,18).

მცცოვან- და მცცოვანება- ნაწარმოები ფუძეებია სიტყვისაგან მცცე 'ჰლარა': აღიძარცუე პირის საფარველი ეგე შენი. გამოაჩინენ მცცენი შენნი (ესაია 47,2); არცა მოხუცებულისაგან შევიკლომთ მცცეთა მრავლისა უამისათა (სიბრძნე სოლ. 2,10); დაეცა მკერდსა ზედა მისსა გოდებითა და მცცეთა თჳსთა იფხურიდა (კიმ. I, 164,25);

არც მცცე გახლავს მარტივი ფუძე. იგი მ- — ე აფიქსებით ნაწარმოები ჩანს -ჰც- ძირიდან. იგი კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს გვაძლევს ზანურში: ჰან. ხჩ-ინ-ი||ჩჰ-ინ-ი 'მოხუცი ქალი, დედაბერი': ამა არ ოხორჯაჰ არ ჩქვა ხჩინი ოხორჯას უწუ (ყიფშ. ჰ. ტ. 12,34) „ეს ერთმა ქალმა ერთ სხვა მოხუც ქალს უთხრა“; ოკულე არ ქჩინი ქომოხტუ (ყიფშ. ჰ. ტ. 28,17) „მერე ერთი მოხუცი მოვიდა“; ა-ჟურ წანაში დუნმას უკაჲე დოვიხჩინით (ყიფშ. ჰ. ტ. 20,12) „ერთი-ორი წლის ქვეყანაში [წუთისოფელში] უსიხარულოდ [უკარგოდ] დავბერდით“. მეგრ. რჩ-ინ-უ 'მოხუცებული': ართი ძალამი რჩინუ კოჩი ქოძირეს (ყიფშ. 4,13) „ერთი ძალიან მოხუცი კაცი ნახეს“.

-ქც- ძირის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია კანურში -ხჩ-, რომლის ფონეტიკური ვარიანტია -ქჩ-, მეგრულში კი -ხჩ->-რჩ- (შდრ. ქ. -ქედ-; ქან. მო-ხთ-უ და მეგრ. მო-რთ-უ). -ხჩ- ძირი ზანურში თეთრს აღნიშნავს (შედ. ლექსიკ. გვ. 40).

მოდღევნებულ-ი 'ხნიერი' (в петях): დაიწერა ქორონიკონსა ტივ დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას. დედა გიორგი მთაწმიდელისა მქონდა, მაგრამ ეზომ წვრილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა გვანდა და მე კაც ვიყავ მოდღევნებული (ლიტურგ. 396).

მოდღევნებულ-ი -დღე- ფუძიდან ნაწარმოები ნაზმნარი სახელია.

გარდასულ დღეთა 'ღრმა მოხუცი, ცხოვრების დღეები რომ განვლილი აქვს': აბრაჰამ და სარა მოხუცებულ იყვნეს და გარდასრულ დღეთა (დაბ. 18,11); მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა მისთა (ლ 1,18).

სავსე დღითა 'ღრმა მოხუცი': მოკუდა აბრაჰამ სიბერითა კეთილითა მოხუცებული და სავსე დღითა (დაბ. 25,8).

4. გამრავლება

მიდგომილება-მ||**მიდგომილობა-მ** 'ორსულობა': მოსცა მას უფალმან მიდგომილება და შვა ძმ (რუთ. 4,13); ოდეს იხილოს მიდგომილება თვნიერ თესლისა (კიმ. I, 177,24); რამეთუ მიდგომილებისა თესლი წმიდასა ქალწულსა სულმან წმიდამან მისცა (სინ. 6,14); არა ვითარ-იგი სარას რა ეხარა ძისა მიდგომილობისათვის და თავქედად იცინოდა (სინ. 19,10).

მიდგომა 'დაორსულება': მეექუსესა თუესა მიდგომასა ელისა-ბედისსა ნაზარეთა მივიდა გაბრიელ (სინ. 28,3); ვითარ აღივსნეს დღენი იგი მიდგომისა მისისანი. შვა დედაკაცმან მან ღირსმან ძმ თვისი უღმობელად (კიმ. I, 218,14).

მიდგომილ-ი 'ორსული': მიდგომილ არს ძესა სიბერესა თვისსა (ლ 1,36); ვიდრე შერთვადმდე მათა იბოვა იგი მიდგომილ სულისა-გან წმიდისა (მ 1,18 D); ბერწობა და სიბერე მიდგომილად ვთქუა (სინ. 29,2); ვაჟ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა! (მ 24,19).

მიუდგა 'დაორსულდა': შემდგომად დღეთა ამათ მიუდგა ცოლი მისი (ლ 1,24); შევიდა მისა და მიუდგა მისგან (დაბ. 38,18);

უფალო მიუდგეით. გუელმოდა და ვშევით (ესაია 26,18); მიუდგეს ორნივე იგი ასულნი ლოთისგან, მამისა თვისისა (დაბ. 19,36); აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძმ (მ 1,23).

მი-უ-დგ-ა ზმნაში -დგ- (←-დგგ-) იგივე ძირია, რაც გვაქვს ზიტყვაში დგ-ა-ხ. საინტერესოა უფუნქციო -უ თავსართის გამოვლენა ამ ზმნაში. დაორსულების მნიშვნელობით იგი ერთპირიანი ზმნაა და სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

მუცლად-ღება 'დაორსულება': არცა მუცლად ღებასა მისსა და არცა შობასა მას დიდისა მის მეუფისასა განელო ბქმ იგი (სინ. 204,36).

მუცლად-იღებ-ს 'ორსულდება': მუცლად-ილო მან და შვა წული (გამოსლვ. 2,2); ძალი მადლისაჲ გფარვიდეს შენ, რომლისაგან მუცლად-ილო და 'შვე ძმ (სინ. 19,24); აჰა ესერა ქალწული მუცლად იღებს (სინ. 34,6); რაჟამს დამაკდებიდ ცხოვარნი და მუცლად-იღებედ (დაბ. 30,41).

ზმნა **მუცლად-ილო** ძვ. ქართულში, ჩვეულებრივ, უობიექტოა. იშვიათად გვხვდება პირდაპირი ობიექტითაც: ვითარ-მე ასულმან ადამისმან მუცლად-ილო დამბადებელი მათი (სინ. 202,29); ქალწულმან თვნიერ მამაკაცისა უფალი მუცლად-ილო (სინ. 125,1); მუცლად-ილე ღმერთი (სინ. 203,3); მუცლად-ილენ სალმობაჲ (იობ. 15,35);

მუცლად-ღებულ-ი 'ორსული' (მუცლად-ილო ზმნის ნ. დროის საობ. მიმდ.): მუცლად-ღებულთა მათ ნუგეშინის-სცეს (ესაია 40,11).

მუცელ-ქუმულ-ი 'ორსული, ის ვინც მუცლად ილო, აღიქვა': ვაჲ მუცელ-ქუმულთა და რომელნი აწოვებდენ მათ ღლეთა შინა (ლ 21,23); მოწვენულ არიან სალმობანი მუცელ-ქუმულთანი და ვერ შობენ (IV მეფ. 19,3).

მუცელ-ქმნულ-ი 'ორსული': ვაჲ მუცელ-ქმნულთა და რომელნი აწოვებდენ მათ ღლეთა შინა (ლ 21,23 c); ვაჲ მუცელ-ქმნულთა მათ და მაწოვებელთა მათ ღლეთა შინა (მ 24,19 c).

დაორსულ-ა: შემდგომად მცირედისა ჟამისა დაორსულდა თამარ (ბ. ეზოს. მოძღვ. 339,21); და შემდგომად წელიწდისა კუალად დაორსულდა და შვა ასული (ბ. ეზოსმოძღვ. 339,26).

დაორსულება: ამაზედა მოესმა შაჰი მოაბადს დაორსულება მეოცდაათესა წელსა შაჰროსი მის ძუირფასითა მარგალიტითა (ვისრ. 37,23).

უძლეზ-ი 'ორსული': ცოლი მისი, ასული ბარტომისი, უძლები დარჩა, ივლტოდა და წარვიდა სომხითს. და მუნ შვა ყრმა (ლ. მრ. 32,17).

უ-ძლ-ებ- ფუძეში გამოიყოფა უ- უარყოფითობის თავსართი, **-ძლ-ძალ-** ძირი (იხ. თ. 12, ძალ-ი) და **-ებ** სუფიქსი.

ნაყოფ-ი, ნაყოფ-ი 1. ანატ. მცენარის ის ნაწილი, რომელიც ვითარდება ყვავილიდან განაყოფიერების შემდეგ: აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო (მ 13,26); ეგრეცა ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს (მ 7,17); ყო ქუეყანამან შკდთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა ნაყოფი (დაბ. 41,47; ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი (მ 7,16).

2. ადამიანისა და ძუძუმწოვრის ჩანასახი დედის მუცელში: მიესცნე პირმშონი ჩემნი უღმრთოებისათჳს და ნაყოფი მუცლისა ჩემისაჲ ცოდვისათჳს სულისა ჩემისა (მიქია 6,7); კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ (ლ 1,42); ყოველთა კეთილთა დამნერგველი შენდა ნაყოფად გამოჩნდა (სინ. 13,28); ჭამდეს იგინი... ერბოსა ზროხათასა... ნაყოფთა კურთათათა და ვაცათათა, თირკუმელთა ცმელითა იფქლისაჲთა (გალობ. 2,14).

სიტყვა წარმოადგენს მ-ყოფ-ს ზმნის ნამყო დროის საობიექტო მიმღობას.

შობ-ს 1. დაბადებს, შვილს გააჩენს: მოწევნულ არიან სალმობანი მუცელ ქუმულთანი და ვერ შობენ (IV მეფ. 19,3); დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ (ი 16,21); რაჟამს შობედ, არა დასვის (დაბ. 30,42); ხოლო სარა, ცოლი მისი, არა შობდა (დაბ. 16,1); აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი და შვა ძჳ (სინ. 7,16); გიხაროდენ ბერწო, რომელმან არა ჰშევ (სახისა სიტყ. 16,19); ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შვნეს (ლ 23,29); მიუდევით, გუელმოდა და ვშევით (ესაია 26,18); შვიან ვიდრე შესლვადმდე ყრმის აღმქუმელთა (გამოსლ. 1,19); აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძჳ (მ 1,23); ჭეშმარიტად ვშვე მეა, რამეთუ მე დავბერდი (დაბ. 18,13); ყოველი წული რომელი შვენ ებრაელთა,

მდინარესა შთასთხევდით (გამოსლ. 1,22); მე დღეს მიშობიე შენ (ფსალმ. 2,7); აქამდინ მე ქალი არა მიშობია (ვისრ. 36,35).

2. ბავშვს გააჩენს მამაკაცი, შვილი შეეძინება მამაკაცს: აბრაჰამ შვა ისაკი, ისაკმან შვა იაკობი, იაკობ შვა იუდა... (მ 1,2 ც); სალმონ შვა ბოოზ რექაბისგან, ბოოზ შვა იობედ რუთისგან... (მ 1,5 ც);

3. გააჩენს, შექმნის: ამით ეგულების განკმობაჲ წყალთაჲ და დაკლებაჲ მათი ყოლადვე, რომლისაგან შობს ქუეყანაჲ ნაყოფთა (ექქუს. ილ. აბ. 49,24).

უ-შვ-ა (შვ-ა ზმნის სასხვისო ქცევა) 'შვა მისთვის: უშვა აგარ აბრაჰამს ძმ (დაბ. 16,15); ცოლმან შენმან გიშვეს შენ ძმ და ამას უწოდი იოვანე (სინ. 26,30);

ი-შვ-ა (სათავ. ქცევა) 'შვა თავისთვის': ნუ გეშინინ, რამეთუ შვილ იღშევ (I მეფ. 4,20).

ი-შვ-ა (ვნებ. გვ.) 'დაიბადა': ბრმაჲ იშვა (ი 9,2); წარწყმდინ დღშ იგი, რომელსა მე ვიშევ (იობ. 3,3); რომელნი მუტლითგან დედისა თვისსაჲთ საკურისნი იშვენეს (მ 19,12); ჩუენ რაჟამს ვიშვინით, სალმობაჲ იგი შობისაჲ მის დასცხრის (სინ. 105,27).

აღმო-ი-შვ-ა: არამედ მყუარნი, და მკალნი, და მუმლნი მათგან აღმოიშვენეს (ექქუს. 80,23).

გამოშვის: ცოდვაჲ იგი სრულ იქმნის და გამოშვის სიკუდილი: (ათ. ეპისტ. 012,15).

შვა ზმნის კაუზატიური ფორმა ძვ. ქართულში ჩვენ არ შეგვხვედრია. მისი მასდარი კი გვაქვს შვინება: ოდეს შეხვდეთ შვინებად ებრაელთა მათ და შობასა იყვენენ, უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით იგი (გამოსლ. 1,16).

შობა-ა 'დაბადება, გაჩენა': მყის აღუდგა მას შობაჲ, შვა და მოკუდა (I მეფ. 4,19); აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი (ლ 2,6); განვედ ამიერ ქუეყანით და მივედ ქუეყანად შობისა შენისა (დაბ. 31,13); მას ესუა ასული შობითგან ყრუჲ და უტყვ (ხანძთ. 85,4).

შობითგან-ი 'დაბადებით': იხილა კაცი, ბრმაჲ შობითგანი (ი 9,1); იხილეს მათ ყრმაჲ შობითგანი ახილული და მადიდებელი უფლისაჲ (სინ. 144,6).

შობად-ი 'ის, ვინც შობს, ბადებს, მშობიარე, მელოგინე (ქალი)': სალმობათა შემიპყრეს მე ვითარცა შობადი (ესაია, 21,3); სალმობამან შეიპყრნეს ივინი ვითარცა დედაკაცისა შობადისამან (ესაია

13,8); შესულებითა მძლეს მე სალმობათა ვითარცა შობადისათა (იერ. 8,21).

შობიერ-ი — იგივეა, რაც შობადი: ხუროსა ვხედავ და ბაგასა, და ქალწულსა შობიერსა და ყრმასა (მრავალთ. 287,10).

მშობიარჳ 'ის ვინც შობს, ბადებს, შობადი': დაშტანი და მშობიარჳ ჰრევედ მათ პირველად მათ (იერ. ებისტ. 28).

მ-შობ-იერ-ი 'იგივეა, რაც შობადი': ხუროსა ვხედავ და ბაგასა და ქალწულსა მშობიერსა და ყრმასა (სინ. 37,35).

მ-შობ-ელ-ი (შობა ზმნის სასუბიექტო მიმღ.) I. ის, ვინც შობს ან შობა: მშობელ იქმნა შვილთა. წულისა ერთისა და ქალთა ორთა (ცხ. პ. კაპეტოლ. 25,22); ვითარ აღიდა შობილმან მშობელი თვისი (სინ. 199,6); სალმობითა შეგიპყრან შენ ვითარცა დედაკაცი მშობელი (იერ. 13,21); სალმობაჲ იგი შობისაჲ მის დასცხრის და მშობელი იგი დაყუდნის (სინ. 105,27); ქმაჲ ვითარცა სალმობისაჲ მესმა კუნესისა შენისაჲ ვითარცა პირველად მშობელისაჲ (იერ. 4,31).

ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად ნაწარმოებ სიტყვებს ტყუბთ-მშობელ-ი და ღმრთის-მშობელ-ი: არნნი ველურნი ტყუბთ-მშობელ არიან (ექუს. 109,27); ღმრთის-მშობელ რაჲ მყო, კუალად ქალწულადვე დამმარხა (სინ. 14,9).

2. დედა ან მამა შვილისათვის: ვითარცა ზომად გუამსა გონებისასა მოიწინიან მიერთვან თვისი იცნის მშობელი (სახისა სიტყ. 28,33); მუნ ელმოდა შენთვის დედასა შენსა, მუნ ელმოდა მშობელსა შენსა (ქბ. ქბ. 8,5); გარდაიცვალნეს მშობელნი მისნი ერთსა შინა ჟამსა (კიმ. I, 202,22); შენ ყოველნი შვილნი ჩუენნი აკურთხენ ჩუენ მშობელთა მათთა თანა (ხანძთ. 9,40); საჯსენებელად სულთა ჩუენთათვის და სულთა მშობელთა ჩუენთათვის (სინ. 280,15).

შობ-ილ-ი 'ის, ვინც იშვა, დაბადებული': ერთისაგან მამისა და ერთისაგან დედისა შობილ არიან (სინ. 116,26); უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი (მ 26,24); სადა არს ახლად შობილი იგი მეუფე ჰურიათა? (მ 2,2 D); ამისთვისცა შობილსა მას წმიდასა სახელი ეწოდოს ძე ღმრთის (სინ. 4,15).

მხოლოდ-შობილ-ი 'ერთადერთი შვილი, დედისერთა': აჰა ესერა გამოაქუნდა მკუდარი, ძმ მხოლოდ-შობილი დედისა თვისისაჲ (ლ 7,12).

სიტყვა წარმოადგენს **შობ-ს** ზმნის ნამყო დროის საობიექტო მიმღეობას, წარმოებულს -ილ სუფიქსით.

ნაშობი-ი 'ის, ვინც შობეს, დაბადებული, შობილი': პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ (შუშ. 11,7); ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა (მ 21,5); განრისხნა საულ ფრიად იონათანის ზედა და ჰრქუა ნაშობო ქალო, გულდელალო, მდედრ გაზრდილო (I მეფ. 20,30); ყოველნი ნაშობნი მისნი მიიცვალეზიან მუნვე მიწად (სინ. 265,8); ნაშობნო იქედნეთანო, ვერ კელ-გეწიფეზის კეთილისა სიტყუად (მ 12,34); უსამართლო არს ნაშობთა აღზრდისათჳს არწივი (ექუს. 98,16); ყრამან მცირემან ქურელსა ასპიტისასა და საწოლსა ნაშობთა ასპიტთასა კელი დასდვას და არა რაჲ ავნონ (ესაია 11,8).

სიტყვა წარმოადგენს შობ-ს ზმნის აწმყოს ფუძიდან ნაწარმოებ ნამყო დროის ნა- პრეფექსიან საობიექტო მიმლეობას.

ნაშუ 'ნაშობი' (მიმლეობა ემყარება ნამყოს ფუძეს): მიაწვევნეს ნაშუნი თჳსნი საგრილსა მისსა და რტოთა მისთა ქუემშ დამკვდროს (ისო ზირაქ. 14,26).

შვილ-ი (ნ. დროის საობ. მიმლ.) 'ის, ვინც შვეს, დაჰბადეს, — ნაშობი': იაკობს უყუარდა იოსებ უფროჲს ყოველთა ძეთა თჳსთა, რამეთუ შვილი სიბერისაჲ იყო იგი (დაბ. 37,3); ესჲ იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედათაჲ (ხანძთ. 2,27); აქუნდა ვითარცა შვილისა მიმართ დედობისაჲ იგი შრომაჲ და ზრუნვაჲ (სინ. 98,13); საქსენებელი მისი განწეწსენ შვილითი შვილად (სინ. 265,22); შვილნი მათნი და შვილნი შვილთა მათთანი ვითარცა ყვეს მამათა მათთა, ჰყოფდეს ეგრევე (IV მეფ. 17,41).

პირმშო 'პირველი შვილი': იქმნა პირმშო მკუდართა (სინ. 171,12); შვა ძჲ იგი მისი პირმშო (ლ 2,7); უკუეთუ მივსცნე პირმშონი ჩემნი უღმრთოებისათჳს და ნაყოფი მუცლისა ჩემისაჲ ცოდვისათჳს სულისა ჩემისა (მიქია 6,7).

პირმშო საინტერესო აგებულების სიტყვაჲ: იგი კომპოზიტია: პირ-მშო. პირ- იგივეა, რაც გვაქვს სიტყვაში პირ-ველ-ი, მშო კი შვა ზმნის მიმლეობაჲ, ფრიად თავისებური: 1. მასში გვაქვს სასუბიექტო მიმლეობის მ- თავსართი, მიმლეობა კი საობიექტოა. 2. -ო სუფიქსში სამი ბგერაა შერწყმული *-მ-შევ-ე → მშო²¹.

უშობელ-ი ის, ვინც არ შობილა, არ დაბადებულა: მან უშობელი შეირთო, და დედამან უშობელი გაათხოვა (ვისრ. 37,10).

²¹ იხ. თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენა სტრუქტურის ზოგი საკითხი, გვ. 58.

ზემოგანხილულ სიტყვებში ძირია -შევ-. იგი კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისის გვაძლევს სხვა ქართველურ ენებშიც. ჰან.: სქვ.: სქ-ირ-ი 'შვილი, ვაჟიშვილი' (||სკირი), ქოდო-სქ-უ 'კვერციხი დადო': ქორმე მაქვალი ქოდოსქუ (ჰან. ტ. II, 115,2) „ქათამმა კვერციხი დადო“. მეგრ. სქვ-: სქი (←სქირი) 'შვილი' (გამოთქმებში), სქუ-ა 'შვილი', ქო-სქ-უ 'კვერციხი დადო': გუერი ირი დლასა თითო ხვითოსა უსქენდგ (ცაგ. 4,8) „გველი ყოველ დღეს თითო ხვითოს უდებდა“; გუერქა ხვითოში სქჟალა ქიმოტუუ (ცაგ. 6,1) „გველმა ხვითოს დება მიატოვა“; თი ხვითოში მასქჟალი გუერი ქაადირგ (ცაგ. 5,11) „იმ ხვითოს დამდები გველი აჩვენა“.

სვანურში შევ- ფუძის შესატყვისი დღეს არ გვხვდება. იგი გამოავლინა თ. გამყრელიძემ სიტყვაში გმსგე (ჩბხ. ლხმ.) სგეა (ბზ.) 'ძე, ვაჟიშვილი'. მ-სგ-ე←*მ-სგჟ-ე←*მ-შგჟ-ე. ეს უკანასკნელი კი ქართული -მ-შო←*მ-შე-ე (სიტყვაში პირშო) სიტყვის კანონზომიერი შესატყვისია²².

სხ-ნ-ი-ს 'შვა, დაბადა' (მრავალი): რაემს შვნის ძუამან ლომ-მან. ლეკუნი მკუდარნი სხნის (სახისა სიტყ. 4,60).

უ-სხ-ენ-ედ 'ჰყავს, უვის' (შვილები): მეფესა, რომელსა უსხენედ შვილნი საყუარელნი (მამ. სწ. 102,21).

უ-სხ-ნ-ა (სასხ. ქც.) 'დაუბადა' (მრავალი): რვანი ესე ძენი, რომელნი უსხნა მელქა ნაქორს (დაბ. 22,23);

ი-სხ-ნ-ა 'შვა, დაბადა (მრავალი) თავისთვის' (სათავისო ქც.): შვილ ვისხენ და აღვიზარდენ, ხოლო ივინი მეცრუვენს მე (სინ. 239,9); რომელთა შვილ ისხნეს და აღვიზარდეს, მოწვენასა სიკუდი-ისასა ვერაა ირგეს (მამ. სწ. 224,12).

შვილთ-სხმა 'შვილების გაჩენა': შვილთ-სხმისაგან ცხონდების დედაკაცი (სინ. 124,25); ადამ... სამოთხისაგან შიშუელი გამოვარდა, და ლელვსა ფურცლითა შვილთ-სხმისა მიზეზნი იგი გონიერად დაიფარნა (მრავალთ. 311,10).

სხ-ნ-ი-ს, ი-სხ-ნ-ა, ... სიტყვებში ძირია -სხ-, -ნ ობიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანია. ამავე -სხ- ძირიდან ნაწარმოები სიტყვებია:

უ-სხ-ი 'ნასუქი საქონელი' (ეტიმოლოგიურად: რომელსაც არ უშობია²³): წმიდა არს მამაა რომელმან არა ინება დაკლვად კბოა იგი უსხი (ბოლნ. 41,3).

²² იხ. თ. გამყრელიძე. სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი, გვ. 59.

²³ ივ. ქაეთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ქართულში, იყ I, 1946, გვ. 147.

და-სხ-ა 'დასვა მრავალი': დასხით კაცები ეგე (ი 6,10); დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერ-კთა შენთა (მ 22,44).

შე-სხ-ნ-ა 'ჩასვა მრავალი': შემსხნა ჩუენ საპყრობილესა (დაბ. 42,30).

ი-სხ-ნ-ა (ცოლნი) 'ცოლი შეირთო': აღდგომასა მას არცა ცოლს ისხმიდენ, არცა ქმრის ვიდოდიან (მ 22,30 ც); უკუეთუ ისხნე ცო-ლნი სხუანი ასულთა ჩემთა ზედა (დაბ. 31,50).

გამო-ა-სხ-ა 'გარეთ გამოსვა, გამოდევნა': რაჟამს გამოასხა ერი იგი (მ 9,25);

ყველა მოცემულ შემთხვევაში ქართული სხ- ფუძის შესატყვი-სად ზანურში გვაქვს -ხ- ძირი, რაც ქართულშიც -ხ'ს გამოგვაყო-ფინებს ძირად, ხოლო ხ-ს თავსართად მიჩნევის საშუალებას იძლე-ვა (შედ. ლექსიკ. გვ. 421).

ქან.: მონკვა გეხენ მარქვალის, უინ გეხენ (ქან. ტ. I, 164,9) „კრუხი ზის კვერცხზე, ზედ აზის“.

მეგრ.: ხე-ნ 'ზის': სუმი ანგელოზი ჯგუა ოსურსქუალეფი ქო-ხენან დო ქოლურქულანა (ხუბ. 3,35) „სამი ანგელოზივით ქალიშვი-ლები სხედან და კიკიკებენ“; ეკუხე „უზის“, 'ცოლად ჰყავს': თი-ში ძღაბი აფხაზას ეკუხე „მისი გოგო აფხაზს ჰყავს ცოლად“. ეგე-ვე -ხ- ძირი უნდა გვექონდეს სიტყვებში: ქო-ხ-ან-ს 'შობს' (მდრ. ს-ხ-ნ-ის), მა-ხ-ალ-ი 'მშობელი' (ვინც დასუა) მდრ. დამსმელი, ნა-ხ-ა 'ნაშობი'.

სვანური ხუნ 'საძირკველი' ხომ არაა საერთო ქართველურ -ხ- (დაჯენა, დასმა) ძირთან კავშირში?

მ-ბად-მბ-ი-ს 'უჩნდება': ცოლი ვისუ და შვილი არა მებადე-ბის (პოენ. 86,3).

ლაბადება ძველ ქართულში რამის შექმნას, გაჩენას ნიშნავს. ახალ ქართულში მას შვილის გაჩენის მნიშვნელობა აქვს. ზემოთ მოყვანილი კონტექსტი მიმანიშნებელია ასეთი მნიშვნელობის გან-ვითარებისათვის.

5. ზრდა

ზრდა 'ორგანიზმის მიერ განვითარების შემდგომი საფეხურე-ბის მიღწევა (სიდიდის, სიმაღლის... მომატება, თანდათანობითი ყო-ველმხრივი დასრულება)': ჰასაკისა ზრდასა თანა სათნობაჲცა კე-თილი იზარდებოდა (ხანძთ. 2,51).

ზრდილობა 'აღზრდა, გაზრდა' (ВОСПИТАНИЕ და არა ВОСПИТАННОСТЬ): აქა სრულ-ვეყო სამცხეს ზრდილობისა მისისათვის სიტყუაჲ (ცხ. გ. მთაწმ. 347,15); ყრმაჲ ესე, სომეხთა შორის ზრდილობისათვის, იყო ენითა ქართულისაჲთა მცირედ რაჲმე ნაკლულე-ვანი (აბუხ. ტბ. XVI, 123).

აღზარდ-ა, გან-ზარდ-ა 'ვისიმე (ან რისამე) ზრდას შეუწყო ხელი': რაჲთამცა აღჰზარდე და გესუა ეგე ყრმად (სინ. 36,30); წარიყვანნეს... იგი ყრმანი... და აღზარდეს კეთილად. ნაცვალად სძისა ღმრთისა მადლითა (ხანძთ. 23,88); რომელ-იგი იშვილა ასულმან ფარაოჲსმან, და განზარდა იგი სამეუფოდ (ექუს. 2,3); მე ვარ გამალიელ, რომელმან პავლე განვზარდე და შჯულისმოძღუარ ვყავ იერუსალემს (სინ. 64,20).

აღ-ი-ზარდ-ა (სათავისო ქც.): შვილ ვიხსენ და აღვიზარდენ. ხოლო იგინი მეცრუენეს მე (სინ. 239,9); რომელთა შვილ-ისხნეს და აღიზარდნეს, მოწევნასა სიკუდილისასა ვერაჲ ირგეს (მამ. სწ. 224,12).

აღ-ი-ზარდ-ა (ვნებ. გვარი) 'გაიზარდა, ზრდა დაასრულა': ყრმა იქმნა და აღიზარდა და ჰასაკი მიიღო მამაკაცისაჲ (სინ. 49,2); იშვა და აღიზარდა დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლეს (კიმ. I, 60,20); აღიზარდა მუნ (ბარლაამ. ცხ. 8,14).

ი-ზარდ-ებ-ოდ-ა 'იზარდებოდა': იოვანე ექუსისა თჳსა რაჲამს იდვალა მუცელსა შინა, წესსა მას სჯულისასა იზარდებოდა იგი (სინ. 207,8); პავლს თანა იზარდებოდა ბაგინსა შინა (სინ. 65,20); სახლსა შინა მამისა თვისისასა იზარდებოდა (ხანძთ. 19,9); ვისი და იგი ერთსა ქუეყანასა შიგან იზარდებოდეს (ვისრ. 37,35).

მ-ზარდ-ელ-ი (სასუბ. მიმლ. ზრდის ზმნისა): კაცნი საცხოვრის მზრდელნი ვართ. მონანი შენნი სიყრმითგან ვიდრე მოაქადმდე (დაბ. 46,34).

აღზრდილ-ი, განზრდილ-ი (ნამყ. დროის საობ. მიმლ.) 'ის, ვინც აღზარდეს': ხოლო ვინაჲთგან დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესევეითართა პირთათვის უბნობაჲ და ჰამბავი უყუარდა (ცხ. იოვ. და ეფთ. 29,1); სახლსა შინა სამეუფოსა დიდსა ნერსს ერისთვისასა აღზრდილ იყო კელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსსს ცოლისაჲთა (ხანძთ. 2,28); განრისხნა საულ ფრიად იონათანის ზედა და ჰრქუა: ნაშობო ქალო, გულდედალო, მდებარ განზრდილო (I მეფ. 20,30).

ზარდ- ფუძე ძველ ქართულში პოლისემიურია. აქ ჩვენ განვიხილეთ მისი ერთი მნიშვნელობა: ზრდა — სიდიდეში მატება. იგი

ძვ. ქართულში კვებასაც ნიშნავს. ამის შესახებ იხ. თ. 6. ზარდ- ფუ-
ძეს სხვა მონათესავე ენებში -რდ- შეესატყვისება: ჭან. ი-რდ-უ
'გაიზარდა': ჰეა დალის ირდუ (ჭან. ტ. II, 34,28) „ეს ტყეში გაი-
ზარდა“, ირი მორდერი ონი? — მორდერ ონ (მარი 83,3) „ყველა
გაზრდილია? — გაზრდილია“; ენ მორდერი ხოჯა მი ონ? (მარი
97,23) „ყველაზე უფროსი ხოჯა ვინაა?“. მეგრ. ი-რდ-უ 'გაიზარდა':
ბოშენქ არძაქ ირდანი (ყიფშ. 117,26) „ბიჭები ყველანი გაიზარ-
დონო“; სვ. ლი-რდ-ი 'გაზრდა', ანგრდე 'გაზარდა', ანგ-რდ-ან 'გა-
იზარდა'.

ზანურსა და სვანურში ქართულთან შედარებით გვაკლია ზა-
მარცვალი. სიტყვის დანარჩენ ნაწილში დამთხვევაა. არნ. ჩიქობა-
ვას ვარაუდით, -ზა- არ არის ძირეული (შედ. ლექსიკ., გვ. 309).
გ. კლიმოვი კი მას დაკარგულად თვლის ზანურსა და სვანურში
(ეტიმ. ლექსიკ. გვ. 88). სვანურში -რდ- ძირი გვაქვს აგრეთვე სიტ-
ყვაში ლი-რდ-ე 'ყოფნა, სიცოცხლე'. სემანტიკურად არაა გამორიც-
ხული შესაძლებლობა, აქ ერთი და იგივე ძირი გვქონდეს.

ორძი-ს 'იზრდება, ჰყვავის': ყოველი წარმოუთხრა... ვითარ
ადგილსა მას ორძის სიმრავლე ძმათაჲ (ზარზმ. 168,33); ქუეყანისა
ესე ადგილი ამათისა წესიერად შეზავებისაგან ნაყოფიერ იქმნების
და ორძის (ექუს. 37,20).

(გან)- ორძ-ნ-დ-ებ-ი-ს 'გაიზრდება': ყრმაჲ იგი ორძნდებოდა
და განძლიერდებოდა სულითა (ლ 1,80 c); თესლი იგი აღმოჰსცენ-
დის და განორძნდებინ (მრკ. 4,27); მათ ელოდით თქუენ, ვიდრემ-
დე განორძნდენ და დაგიყენნე თქუენ, რაჲთა არა ისხნეთ ქმარ?
(რუთ. 1,13).

აღ-ა-ორძ-ინ-ა 'გაზარდა': აღმორძინა მე ღმერთმან სიმდაბ-
ლესა შინა ჩემსა (დაბ. 41,52); წესიერებაჲ ესე უშუენიერეს და
უმეტეს აღაორძინოთ ქრისტჱს იესუს მიერ (ექუს. 49,21); ღმერ-
თმან ჩემმან გაკურთხენ შენ და აღაორძინენ და განგამრავლენ
შენ (დაბ. 28,3).

აღორძ-ნ-დ-ა (←აღ-ორძ-ინ-დ-ა) (აღაორძინა ზმნის ვნებ.) 'გა-
იზარდა: აღორძინდა რაჲ და მეოცედ წლად მიიწია (იოანნი 261,34);
ნერგი ჰეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძინდა სულსა მისსა
(სანძთ. 2,59); აღორძინდეს ჰაბუკნი ესე (დაბ. 25,27); მე ვარ ღმერ-
თი შენი, აღორძინდი და განმრავლდი (დაბ. 35,11). განიცადეთ შრო-
შანი, ვითარ-იგი აღორძინდის (ლ 12,27); რაჲჲამს მართუენი გამოი-
ქადნის და კნინ აღორძინიან, დათრგუნნიან და მოკლნიან მართუ-
ენი თვისნი (სახისა სიტყ. 9,9); ყრმაჲ იგი აღორძინდებოდა, განმტკი-

ცნებობდა სულითა (ლ 1,80; ც:ორძნდებოდა); დლითი დღე აღორძნდებოდა იგი კეთილად (ხანძთ. 25,19).

აღ-ორძ-ნ-ებ-ოდ-ა 'იზრდებოდა': (—აღორძნდებოდა?): სამოელ ყრმაჲ იგი აღორძნებოდა და განმტყიცნებოდა (I მეფ. 2,26); ყრმაჲ იგი სამოელ აღორძნებოდა და განგრძნდებოდა წინაშე უფლისა ფრიად (I მეფ. 2,21).

აღმორძნდა: იგი აღმოსცენდა და აღმორძნდა მორჩი და მწვანე იყვნეს ტევანნი იგი ყურძნისანი (დაბ. 40,9).

სი-ორძ-ილ-ი (ორძის ზმნის მსდარი) 'ზრდა, აყვავება': იგივე ფურცელ იქმნების, და მწუერვალად, და რტობად განიყოფვის, და ნაყოფთა მისცემს სიორძილსა (ექუს. 60,25).

აღორძინება (აღაორძინა ზმნის მსდარი) 'გაზრდა': ყრმათა მათ აღორძინებადმდე არა განეშორნეს მათგან (ხანძთ. 30,4); იგი ჭერარს აღორძინებად და ჩემდა მოკლებად (ი 3,30).

აღორძინებულ-ი (აღაორძინა ზმნის ნამყ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, ვინც ან რაც აღორძინდა, — გაზრდილი': წესი მონაზონებისაჲ მათ შორის აღორძინებულ არს (ხანძთ. 22,6).

არსებობს მოსაზრება ორძ- ძირის ირანული წარმომავლობის შესახებ²⁴.

გან-მწვს-ნ-ა 'გაიზარდა (გარკვეულ სიდიდემდე), მწვსი გახდა': განმწვსნა სელომ, ძმ მისი, და მან არა მისცა მას იგი ცოლად (დაბ. 38,14); განმწვსნა მოსე და განვიდა ძმათა მისთა ძეთა ისრაელისათა ხილვად ქირთათვს მათისა (გამოსლ. 2,11); დაჭედ ქურივად სახლსა შინა მამისა შენისასა, ვიდრემდე განმწვსნეს სელომ, ძმ ჩემი (დაბ. 38,11); ველსა კეთილსა წყალთა ზედა მრავალთა <...> იგი. რაჲთა განმწვსნეს და მოილოს მორჩი და გამოსცეს ნაყოფი (ეზეკ. 17,8); ლათუ განმრავლდენ ძენი მათნი, საკლავადვე მიეცნენ; გინა თუ გაწვსნენ, პურის მთხოველვე იქმნენ (იობ. 27,14).

განმწვს-ნა ანასახელარი ზმნაა მწვს- ფუძიდან ნაწარმოები.

მოიწიფ-ა 'სიმწიფის ასაკს მიაღწია': ოდეს მოიწიფა წესისა-ებრ ჰრქუა ევფემიანე ცოლსა თვსსა: მო და ვქმნეთ ქორწილი საყუარელისა ამის შვილისა ჩუენისაჲ (კიმ. I, 161,18); ოდეს მოიწიფა ყრმაჲ იგი, მისცეს სამოდღუროდ და დაისწავლა ყოველი წიგნები (კიმ. I, 161,17).

²⁴ მზ. ა ნ დ რ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები... გვ. 103—105.

მიწიფებულ-ი 'სიმწიფის ასაკს მიღწეული': არა შეუგვანდა ჯერეთ ქალსა მას მი-ოდენ-წიფებულსა. ასულსა მეფისასა. რათამცა გამოაჩინა შეუნიერებაჲ თჳსი (კიმ. I, 203,1).

მო-ი-წიფ-ა, მი-წიფ-ებ-ულ- -წიფ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია. წ-იფ- ფუძეც იშლება, სადაც -წ- იგივე ძირია, რაც მიაღ-წ-ი-ა, მო-ი-წ-ი-ა, კელ-ე-წ-იფ-ებ-ი-ს 'ხელი მიუწვედება, შეუძლია'. მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია სევანურში ჰ- :ხე-ჰა 'ეწევა'. ად-ჰ-ე 'მიაღწია', მგ-ჰ-ი 'მწიფე'²⁵, მეგრულში კი -ჰ-: მონ-ჰა 'მწიფე'. ლ. ნაღარეიშვილის ცნობით, ქანურში იხმარება მონ-ჰაფერი 'მწიფე'. თ. გამყრელიძე და გ. მაქავარიანი ზანურ შესატყვისად ჰოფ- 'დაქერა' ფუძეს მიიჩნევენ (სონანტთა სისტ., გვ. 270).

ბასრულებულ-ი 'სრულწლოვანი': ჩუენ არა ვიცით, მაგას ჰკითხეთ, გასრულებულ არს (ი 9,21 c); გასრულებულ არს, მაგას ჰკითხეთ (ი 9,23 c).

ე. ძველი

ჰ-ზრდ-ი-ს 'კვებავეს, არჩენს': განყიდა მან ყოველი, რადცა აქუნდა მას, და ჰზრდიდა იგი მშვიერთა და ნაკლულევანთა მის თანა ჰყობილთა მათ (აბო 70,16); მათ ჰმშვიის და სხუათა ჰზრდიანს; მათ სწყურის და სხუათა ასუმენ (მრავალთ. 285,26).

გან-ზარდ-ა 'გამოკვება': უფროდსლა მოძღურებითა ღმრთის მსახურებისაჲთა განზარდა, ვიდრელა სძითა (სინ. 122,38); ანუ რა-დსათვს ძუძუთა განმზარდეს მე? (იობ. 3,12); ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შენეს, და ძუძუნი, რომელთა არა გან-ზარდნეს (ლ 23,29; ც :აწოეს); ძუძუნი იგი, რომელთა განგუზარდეს შენ და მე (ტირიჭ. 189,34).

გამო-ზარდ-ა 'გამოკვება, არჩინა': მანვე მცირედისა მის პური-საგან უხუებით გამოზარდა კაცი იგი ლოცვითა წმიდისა ტიმოთესითა (ტიმ. ანტ. 132,31): გამოზარდნა იგინი მას წელიწადსა შინა პურითა ყოვლისა წილ საცხოვრისა მათისა (დაბ. 47,17); ყორანთა მათთა შინა ელია გამოზარდეს (სინ. 213,20); რომელთა შემდგომად ღმრთისა თავადი პალესტინის გამოზარდეთ ჟამსა სიყმილისასა. მიკვრს თუ ეგე გან-ვითარ-ადლოთ საქმლითა! (კიმ. II, 196,1); უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი და გამოგზარდეთ? (მ 25,37); უკუეთუ ჰშიოდის მტერსა შენსა, გამოზარდე იგი, უკუეთუ ჰსწყურო-

²⁵ В. Т о п у р н я, Некоторые вопросы сравнительной фонетики картвельских языков, 1960, გვ. 10.

დის, ასუ მას (იგავნი სოლ. 25,22); ნუ გეშინინ, მე გამოგზარდნე თქუენ და სახლნი თქუენნი (დაბ. 50,21); პურითა მრავალნი მშინიანი გამოზარდნიან (ხანძთ. 66,6).

ი-ზარდ-ებ-ი-ს 'იკვებება, არსებობს, თავს ირჩენს' (ზრდის ვნებ.) ღრუბელი ზღვსაჲ, რომელი იპოხების და იზარდების ზღუათა შინა დიდად ნოტიობისაგან (კაც. აგებ. 223,4); რომელნი იზარდებიან საქმლითა უღმრთოებისაჲთა და ღვნითა უშჯულოებისაჲთა ღაითრენიან (იგავნი სოლ. 4,17); ძალნიცა იზარდებიედ ნაბიჟევისა მისგან უფალთა მათთაჲსა (ეფრ. ასურ. 6,33); წიაღთა შინა დისა თვისისათა მაწონებელთა მიერ იზარდებოდა (ტიმ. ანტ. 48,38); რომელნი იგი იზარდებოდეს მძოვრთა სახედ მწუანვილითა და ხილითა (ხანძთ. 5,37); რაჲთა სახლეულთა შენთა ტრაპეზისაგან, რომელ ნეშტი დაუშთებოდის, მით ვიზარდებოდი და იზარებდეს სული ჩემი (კიმ. I, 163,5).

ამ სიტყვის შეკუმშული ვარიანტი გვხვდება ბალავარიანში: რაჲ არს საზრდელი თქუენი, რომლითა იზრდებით უდაბნოსა მას შინა? (ბალავ. 80,39).

ზარდ-ფუძიდან ნაწარმოები სახელებია:

გამოზრდა-ი 'გამოკვება': მუნ უბრძანო დედაკაცსა ქურივსა გამოზრდაჲ შენი (სინ. 129,15); ქსნად სიკუდილისაგან სულთა მათთა და გამოზრდად მათდა სიყმილსა (ფსალმ. 32,19).

გამო-მ-ზარდ-ელ-ი 'ის, ვინც (ან რაც) გამოზრდის, გამომკვება-ვი': იყოს იგი შენი მოსაქცეველ სულისა და გამომზრდელ სიბერესა შენსა (რუთ. 4,15); რომელნიმე ფურცელთა მიერ და ნაყოფთა გამომზრდელად პირუტყუთა და საცხოვართა შეიმზადნეს (ექქუს. 61,36).

სა-ზარდ-ელ-ი 'საზრდო, საკვები, საქმელი': მიუვლინა მათ საზრდელი სავსებით განსაძღებელად (ფსალმ. 77,25); ესრჳთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ ჯორცთა თვსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ (ხანძთ. 2,55); საზრდელი მისი პური კმელი და მცირედი მხალი უგბოლველი (კიმ. I. 64,3); სცა საზრდელი ვირთა სადგურსა ზედა (დაბ. 42,27); შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არარაჲს მიიღებს საზრდელსა (შუშ. 21,24); მისცემენ პირსა საზრდელსა, და კბილნი განსცოხნიან, და სასაჲ გემოსა იხილავს, და ჯორკი შთააბნევს სტომაქად (მამ. სწ. 176,11); ერთგზის შვდეულსა შინა მიიღებს საზრდელსა, პურსა ოდენ და მისცა ფრიად მცირესა, რომელიდა ძლით ოდენ შესაძლებელ იყო პყრობაჲ სამშვნეელსა მისისაჲ (ღალაქტ. 371,16); მიმიყვანეს რაკა ქალაქად

ოვნიერ საზრდელისა და სასუმელისა (რავახ. 95,3); საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური (მ. 3.4 D).

მონათესავე ენებში ზარდ- ფუძეს ეს მეორე მნიშვნელობა არ უჩანს. თითქოს.

მამ-ს 'იკვებება, საკვებს ღეკავს და ყლაპავს': რაფსათვს მე- ლუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს და სუამს მოძღუარი თქუენი? (მ 9,11); შეგინებულთა კელითა ჭამენ პურსა (მრკ. 7,5); ნუც მათ თანა შკამთ, ნუცა მათ თანა სუამთ, ნუცა გემოსა იხილავთ (სინ. 48,10); მოჰპრიდეს თავსა ჭუვილისასა, მუსრვიდეს კელითა და ჭამ- დეს (ლ 6,1); ამიერითგან ნაშრომსა კელთა მათთასა ჭამდენ (სინ. 56,23); რომელთა შინა ჭამოდიან მუნ მღდელთა ძეთა სადუკისთა (ეზეკ. 41,13); არარაჲ ჭამა მათ დღეთა შინა (ლ 4,2); ჭამეს ყოველ- თა და განძღეს (მ 14,20); განისუენე, ჭამე, სუ და იხარებდ (ლ 12,19); ჰსკამეთ, მოყვასნო, და სუთ და დაითრვენით (ქბ. ქბ. 5,1); ყოველი ცმელი და ყოველი სისხლი არა შკამოთ (ლევიტ. 3,17); იყიდონ თავისა მათისა, რაჲ-იგი ჭამონ (მრკ. 6,36); ძალწინცა ტაბ- ლასა ქუეშე ჭამედ ბიჭისაგან შვილთაფსა (მრკ. 7,28); უკეთუ არა ჭამიან (მრკ. 7,4); ოდეს ყოფილ არა აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?! (შუშ. 17,5).

ი-ჭამ-ებ-ის (ჭამ-ს ზმნის ვნებითი) 'იჭმება': ყოველა საჭმელი, რომელი იჭამების (ლევიტ. 11,34).

ა-ჭამ-ებ-ს 'აჭმევს': მაჭამებ ჩუენ პურსა ცრემლით და მასუამ ჩუენ ცრემლთა საწყაულითა (ფსალმ. 79,6); აჭამებნ მათ და ზრდიან მრავალ-ჟამ (ექუს 98,32); განმომზადე ტაბლაჲ მწირო და კელითა შენითა მაჭამებდ მე (ისო ზირაქ. 29,29); თივასა ვითარცა ზროხასა გაჭამებდენ შენ (დანიელი 4,22); აჭამა მას პური იგი სიბრძნისაჲ და ასუა მას ღვწოჲ გონიერებისაჲ (ისო ზირაქ. 15,3).

ჭამა-ჲ (ჭამ-ს ზმნის მასდარი): ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ (შუშ. 16,24); პირველ ინაჰიდ-ჯდომაჲ პურის ჭამასა (მრკ. 12,39); ჟამსა პურის ჭამისასა მოვედ აქა და ჭამე პური (რუთ 2,14); ჟამსა ჭამისასა იხილა გემოჲ და პოვა, რამეთუ მწარე იყო (ციმ. II, 177,27); დაუგო მათ პური ჭამად (დაბ. 24,33); იწყეს მუსრვად თავისა კოვილისა და ჭამად (მ 12,1 C).

ჭამ-ად-ი 'საჭმელი': მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი (შუშ. 18,16); მე ჭამადი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იციოთ (ი 4,32); თქუენ ეციოთ მაგათ ჭამადი (ლ 9,13); ქმნა დედამან მისმან ჭამადი, ვითარცა უყუარდა მამასა მისსა (დაბ. 27,14); შეშკამენ ერსა ჩემსა ვითარცა ჭამადსა პურისასა (ფსალმ. 13,4); ყოველი ჭა-

მადი დაადნვის მუცელმან და არნ კამადი უმჯობესა კამადისა (ისო ზირაქ. 36,20); გულმან უთქუა კამადისა (იპოლიტ. თარგმ. კბ. 25,117); სასამან გემოა ცნის კამადისა (იობ. 12,11); მთრვალობითა და გარდარეულად კამადითა დასტენო და აღმოივსო მუცელი შენი (სინ. 109,37); მუცელი მიიღებს კამადთა ჭურჭერთა მათ თვსთა შინა (კაც. აგებ. 221,29); არა იყო ვითარცა კაბუჯი მზუაობარ და კამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარე (ხანძთ. 2,52); დაყენებაჲ კამადთაჲ დაყენებითა კორცთაჲთა აღესრულების (სინ. 114,7).

სა-კამად-ი: საკამადი და ლუინო მოიღეს (ვისრ. 149,18); ერაციისა და სრულისა სპარსეთისა საკამადი სპარსეთით და ზორასანიოთ მოვა (ვისრ. 108,7); არაწმიდანი საკმელნი ქრისტიანეთათვს საკამადად დაყენებულნი, ნიჰად დიდად შიმშილსა მიეძღუანებოდეს (ცხ. გ მთაწმ. 385,3).

მ-კამ-ელ-ი (სასაუბ. მიმლ. კამ-ს ზმნისა): ეარჷთ მამა-დედისა მკამელ არიან (სახისა სიტყ. 17,27); მამაჲ იგი მძორის-მკამელ არს და დედაჲ თივის მკამელ (სახისა სიტყ. 31,8); იოვანე გლახაკ და უპოვარ, უქალაქო, უქუეყანო, უზმა და არა მკამელ (სინ. 208,3); აჰა კაცი მკამელი და მსუმელი ღვნისა (მ 11,19); ორთა ძაღლთა სისხლის მკამელთა ვჰბრძოდი (სინ. 59,32).

კამ-ულ-ი (ნ. დროის საობ. მიმლ. კამ-ს ზმნისა): უყუეთუ ნამკეცავ იქმნეს, მიიყვანონ იგი კამულსა მას ზედა (გამოსლ. 22,13); რამეთუ არა შევალს გულსა მისსა, არამედ მუცელსა და განსავალსა განვალს და განსწმედს ყოველთა კამულთა (მრკ. 7,19 ც).

კამ-ებ-ულ-ი (ნ. დროის საობ. მიმლ. აკამებს ზმნისა) 'ნასუქი': მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი კამებული (ლ 15,27); მამამან შენმან დაკლა კბოჲ იგი კამებული (ბოლნ. 41,16).

სა-კმ-ელ-ი (მყ. დროის საობ. მიმლ.) 'ის, რასაც კამენ ან შეკამენ, საკვები': კიმტჷ ერთი ლელვთა ჯერკულითა ფრიად რომელი ვერ საკმელ იყო სიმწართა თვსითა (იერ. 24,2); ყრმანო, საკმელ გაქუს რაჲ? (ი 21,5; ც:კამადი); შვილო გაბრიელ, საოსტიგნიო ცხელი საკმელი კორკოტისაჲ მომართუ (ხანძთ. 86,7); ლანკლასა ზედა დაიდების თავი წინაწარმეტყუელისაჲ მის, რომელსა ზედაცა საკმელი დაეგების! და იგივე ჭურქელი საკმლისათვსცა და მოკლვისათვსცა! (სინ. 210,23); ნუ გარდაიქცევი შენ პირად პირადითა საკმლითა. რამეთუ მრავალსა კამადსა შეჰყვის საღმობაჲ (ისო ზირაქ. 37,33); საკმელად მისა იყო მცირედ დანაკისკული (სინ. 270,7); მცეს მე პური საკმლად (დაბ. 28,20); იქმნე შენ საკმლად ცეცხლისა მის უშრეტისა (მამ. სწ. 3,33); მერმე ყოველნი საშუებელნი და

საკმელნი მან შეზავნის (სინ. 233,5); მუნ სულისა წარსაწყმედელ-
თა საკმელთა იყიდდა (ბოლნ. 35,1); გარნა თუ იშვთ ოდესმე სტუ-
მართოყოუარებისა მიზეზითა, იქმნას მომატებაჲ საკმელთა რათაჲ-
მე ბრძანებითა მოძღურისაჲთა (ვაჰან. 68,25).

უ-კმ-ი (ჰამ-ს ზმნის უარყ. მიმლ.) 1. ის, ვინც არ ჰამს: ვითარ-
მედ უკმ იყვნენ იგინი ვითარცა მართუენი ორბისანი (იგავნი სოლ.
24,22).

2. ის, რაც არ იკმება: განიცადენ უკმნი საკმელად კეთილნი
(ბულპ. 389, ო).

უ-კმ-ელ-ი 'ის, ვინც არ ჰამა': დაყვეს ყრმათა მათ შვიდი ღღჭ'
უკმელად და უსუმელად (კოლაელ. 185,5).

ჰამ- ფუძესთან ხშირია შე- პრევერბიანი ფორმები, უფრო იშ-
ვიათად იხმარება და- და მო- პრევერბები.

დაჰამ-ა: საძოღელი თქუენი მდილთა დაუჰამიეს (კათ. ეპიტ. 48,2).
მო-ს-ჰამ-ს: ვითარცა მკალნი მოსჰამდეს ფურცელსა ხეთასა.
(გობრ. 177,17).

მო-ა-ჰამ-ა: მოგაჰამო სიბერე შენი ჩემ თანა იერუსალჰმს ში-
ნა (II მეფ. 19,33 ბაქ.).

შე-ჰამ-ა: მკეცმან შეჰამა იგი (დაბ. 44,28); პურნი იგი შესაწი-
რავისანი შეჰამნა (მ 12,4); შურმან სახლისა შენისამან შემჰამა მე
(რ 2,17); რაჟამს შევეჰამე იგი, დაამწარა მუცელი ჩემი (გამოცხ.
10,10); იაზაბელ შეჰამონ ძაღლთა ნაწილსა მას იეზრაველისსა (IV
მეფ. 9,10); შეჰამენ ერსა ჩემსა, ვითარცა ჰამადსა პურისასა
(ფსალმ. 13,4); რომელნი შეჰამენ სახლებსა ქურივთასა (ლ 20,47).

შე-უ-ჰამ-ა: შეუჰადის პირსა მის კორკოდინოს მკეციისასა და
ყოველი ნაწლავი შეუჰამის (სახისა სიტყ. 36,15).

შე-ი-ჰამ-ა (ვნებ.): შეიჰამნედ წყვილნი, განლიენ შუენიერე-
ბაჲ მისი სიკუდილმან (იობ. 18,13).

შე-ჰამ-ა 'ჰამა' (მასდ.): უკუეთუ მოგავლინნა უფალმან შეჰა-
მად კორცთა ჩემთა, მე განმზადებულ ვარ (კიმ. I, 156,14).

შემჰამელ-ი: რადთამცა წარიქციენეს იგინი ბაბილოვნად მრავ-
ალთა შემჰამელსა მას ჯოჯოხეთსა (ზედაზნ. 207,4).

შე-სა-კმ-ელ-ი: რადთამცა იყო იგი შესაკმელად მკეცთა და
განსაკრელად მფრინველთა (სინ. 64,26).

ჰამ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია სვანურ-
ში -ჲ მ²⁶ (ლა-ლ-ჲმ შეჰამა'), ზანურში ჰკომ-, კანურში -შკომ- —

²⁶ H. M a p p, Определение языка второй категории Ахеменидских клин о
образных надписей, გვ. 14; ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა შედარებითი.
ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, გვ. 156.

კომ-ს. კან.: უგუბუ ფრინჯი ბკომით (მარი, 102 § 8) „მოუხარშავი ბრინჯი ვკამეთ“; მაქვალი დევუჯიბი დო ვა შკომუ დო მა ოფშკომი (ყიფშ. ჭ. ტ. 79,19) „კვერცხი მოუხარშე და არ კამა და მე შეეკამე“; ოკკომალე დვაჩოდეს (ყიფშ. ჭ. ტ. 5,14) „საქმელი გაუთავდათ“. მეგრ.: კვიდი კკომი ტუტამია (ცაგ. 8,2) „მქადი კამე ნაკრიანი“; ირო ქოპკუმუ, მარა ჩქიმი რძაფაქე ღლასე ვევესუ დო ირო ფშქირენციე (ყიფშ. 69,19) „მუდამ კი ვკამ, მაგრამ ჩემი გაძლომა არასდროს არ იქნა და მუდამ მშიაო“.

სვანურში ფუძის ე ხმოვანი, მოსალოდნელი ა-ს ნაცვლად შესაძლოა მეორეული იყოს და მიეწერებოდეს აორისტიან -ე სუფიქსის გავლენას²⁷. -ჰამ- ვარიანტი დაცულია სიტყვაში ჭიჰმ ‘მარხვა’ (რელიგ.) და ლი-ჭიჰმ-ალ- ‘მარხვის წინა ღამე’. ჭიჰმ-უჰმ უ-ს უმლაუტით. უჰმ სვანურში ნასესხები უნდა იყოს, თუმცა ქართულში ეს სიტყვა ასეთი მნიშვნელობით დადასტურებული არაა. იბნი პერპოლდაში უჰმ. პერპოლდაში ლიჰკმალე მიშისა ხოსალს ლეჰ ლაშხარს (ონიან. 29,20) „იწყება პერპოლდაშის მარხვა. პერპოლდაშის მარხულობა კვირას იციან ზემო ლაშხეთში“.

ს-ძოვ-ს ‘ქამს (ჩვეულებრივ მცენარეულ საკვებს); ბალახობს’: გუელმან ვნებაჲ თუალთაჲ განიკურნოს, ძოვის რაჲ კამაჲ (ექუს. 106,28); ორნი ძუძუნი შენნი ვითარცა ორნი თიკანნი ქურციკისანი, რომელნი ჰსძოვედ შორის შროშანთა (ქბ. ქბ. 4,5); იგი განვიდის ველად ჩუეულებისაებრ, რაჲთა ძოოს (ბალავ. 79,30).

ა-ძოვ-ებ-ს ‘აქმევს, კვებავს’: პოვა იამენი უდაზნოსა, ოდეს-იგი აძოვებდა მეუღლეთა საბეგორისთა, მამისა თვისისათა (დაბ. 36,24).

და-ა-ძოვ-ა ‘აბალახა’: ჰრქუა მას იესუ: დააძოვენ კრავნი ჩემნი (ი 21,15).

ძოვ-ნ-ა (ს-ძოვ-ს ზმნის მასდარი) ‘ქამა, კვება’ (უპირატესად მცენარეულით): მან წარავლინა იგი ველად თვსა ძოვნად ღორთა (ლ 15,15); განვიდიან რაჲ კარაულნი ძოვნად (ცხ. შიო და ევაგრ. 220,32).

მ-ძოვ-არ-ი, მ-ძოვ-რ-ი (სასუბ. მიმღ.) ‘ის, რაც (ვინც) სძოვს’: იყო მათგან შორს კოლტი ღორთაჲ მძოვარი (მ 8,30); ვირი კდალი მძოვარი ხუთას (იობ. 1,3); ამბა იოვანე აკურთხა წყალი ორთა მათ თანა მოხუცებულთა და მძოვართა (რავახ. 89,26); მძოვრთა თანა წარვიდა მონებად იესუ ქრისტესა (ბალავ. 16,28); რომელნი იგი

²⁷ გ. მაქაქარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, 1965, გვ. 44.

იზარდებოდეს მძოვრთა სახედ მწუანვილითა და ხილითა (ხანძთ. 5.37).

სა-ძოვ-არ-ი „ხვასტაგთ სამქმო“ (საბა), „საბალახო ადგილი“: იყოს დაბნეები ქუაბებ ვიდრე უკუნისადმდე და განსაცხრომელ კანჯართა და საძოვარ მწყემსთა (ესაია 32,14); საძოვარი პოვოს (ი 10,9); მწირობად მოსრულ ვართ ქუეყანასა, რამეთუ არა არს საძოვარი საცხოვართა მონათა შენთაჲსა (დაბ. 47,4).

ძ-ოვ-ს ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი დაცულია მხოლოდ ჭანურში: ჭ-ვ-ინ-||ჭ-უფ- 'ძოვება, ძოვნა'. „არ ფუჯი დოჲჯვინი!“ „ბომჯვინა!“ (ჭან. ტ. II, 127,30) „ერთი ძროხა მოაძოვე! მოვაძოვებ!“; მჩხურიქ ჩაი ჯუფს (ჭანტ. I, 71,3) „ცხვარი ბალახს ძოვს“. ქართულში ძირია -ძ-, ჭანურში კი -ჭ- (შედ. ლექსიკ., გვ. 437).

შთა-ნთჱ-ამ-ს, შთა-თჱ-ამ-ს 'ჩაყლაპავს, შეჭამს' (უარყ. იერ.): შეიპყრა ნუკრი ერთი და შთანთქა იგი (გარესჯ. 231,30); ვითარცა ლომი მყუიარალჷ მიმოვალს და ეძებს, ვინმცა შთანთქა (კათ. ეპისტ. 022,8); შთამთქა მე ვითარცა ვეშაპმან, და აღივსო მუცელი თვისი საშუებელისაგან ჩემისა (იერ. 51,34); შთანთქნეს შვდთა მათ თავთა, წულილთა და ხორშაკეულთა, შვდნი, იგი თავნი, სავსენი და კეთილნი (დაბ. 41,21); ქალანდრმან მან შთანთქის საღმობაჲ სნეულებისაჲ მის (სახისა სიტყ. 8,23); რომელნი დასწურავთ კურნაქსა და აქლემსა შთანთქამთ (მ 23,24); ვხედევდი მეფეთა მათ..., რამეთუ ცოცხლივ შთაენთქნეს ეშაქსა (მოქც. ქართლ. 120,10).

შთანთქმა-ჲ, შთათქმა-ჲ (მასდარი): უბრძანა უფალმან ვეშაპსა დიდსა შთანთქმაჲ იონაჲსი. და იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღჷ და სამ ღამჷ (იონა წყყ. 2,1); რეცა კბენად და შთანთქმად მიუტღდებიედ მას ზედა (ბარლაამ. ცხ. 20,33); იღრქენდეს თითოეულად კბილთა მათთა მისთვის და ენება ცხოვლივ შთათქმაჲ მისი (ეფრ. ასურ. 60,11).

შთანთქმულ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.): ძუალიცა შთანთქმული და-ვე-დნის (სინ. 163,30).

შთაუთქამ-ი (უარყ. მიმღ.): რომლისაგან გემოჲ არა იხილოს, ვითარცა ხეკერი განუცოხნელი და შთაუთქამი (იობ. 20,18).

ძირია -ნთჱ-. კ. პ. შმიდტი მას უკავშირებს სვანურ -რტყჷ/-ნტყჷ- ძირს: ლი-რტყჷი/ლი-ნტყჷი 'ყლაპვა'. სვანურში რ<ნ, ხოლო ტყ შეესატყვისება ქართულ თჱ კომპლექსს. ასეთივე მონაცვლეობის მაგალითად თვლის ქართულ თჱუ — ტყუ მონაცვლეო-

ბას შმიდტი (გვ. 128; 51). არსებობს თვალსაზრისი ამ ფუძეში ნ თანხმობის მეორეულობის შესახებაც (ნაისერი, § 11).

პოხ-ს 'ასუქებს, კვებავს': პოხდა ყრმასა მას ვიდრე განყენებადმდე ძუძუმსა (I მეფ. 1,23).

ი-პოხ-ებ-ი-ს (პოხ-ს ზმნის ვნებ.): ღრუბელი ზღვსაჲ, რომელი იპოხების და იზარდების ზღუასა შინა დიდად ნოტიობისაგან (კაც. აგებ. 223,4).

გან-(ა)-პოხ-ა 1. გაასუქა: სულმან განაპოხა რაჲ ქადაგი თვისი, იქმნა ღმრთის მხილველ (ბულმ. 388, ე); მის მიერ დანერგულნი იგი ახალნერგნი სწავლათა თვსთა წყლითა განაპოხნეს (ტიმ. ანტ. 68,15); ამან მუცელსა შინა დედისასა განაპოხა სამოელ (ზედაზნ. 193,4); მე გშევ და ჩემითა ძუძუმთა განგპოხე (ქრისტინა 187,14).

2. გააცხიმინა: ვითარცა ზეთი განაპოხებს მორკინალსა, ეგრეთვე მოწყალეებაჲ სულიერად ახოვან ჰყოფს მოლუაწესა (ცხ. პ. კაპეტოლ. 48,7).

გან-ი-პოხ-ა (განაპოხებს ზმნის ვნებ.) 'გასუქება': რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერჲ ჩემი (ხანძთ. 6,76).

გან-პოხ-ნ-ა (განაპოხებს ზმნის ვნებ.) 'გასუქდა, პოხიერი გახდა': ძულნი მისნი განპოხნის გონიერებითა თვისითა (ისო ზირაქ. 26,16); განდიდნეს და განმდიდრდეს და განსუქნეს და განაპოხნეს (იერ. 5,27); აჰა ესერა განაპოხნების, ნუ უკუჲ წარემართოს. ანუ არა მობერვასა თანა ქარისა ცეცხლისასა განკემს (ეზეკ. 17,10).

და-ა-პოხ-ი-ს 'პოხიერს, ქონიანს გახდის რამეს': ჰამბავმან კეთილმან დააპოხნის ძულნი (იგავნი სოლ. 16,2).

პოხ- ფუძიდან ნაწარმოები ნაზმნარი სახელებია:

მ-პოხ-ელ-ი (სასუბ. მიმლ.) 'ის, ვინც პოხს': მოიქუა ნოომინ ყრმაჲ იგი და დაისუა წიაღთა თვსთა და ექმნა მას მპოხელ (რუთ. 4,16).

განმაპოხებელ-ი (განაპოხებს-ს ზმნის სასუბ. მიმლ.): არარას გემოვნებითთაგანსა შეეხებოდა არცა რას. რაოდენი განმაპოხებელ ქორცთა არს (ცხ. პ. კაპეტოლ. 28,34).

პოხ-ილ-ი (ნ. დროის საობ. მიმლ.) 'ის რაც (ვინც) პოხეს, — ნასუქი, გამოკვებილი': ზროხანი მათნი პოხილ არიან (ფსალმ. 143,14); შვილი აღტევებულად პოხილი გამოკდის უსწავლელად (ისო ზირაქ. 30,8); თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფნი, მცენარენი სულნელნი... ზეთითა მით სიწმიდისაჲთა პოხილნი, რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერჲ ჩემი (ხანძთ. 6,76); ჰამონ და თაყუანის-სცენ მას ყოველთა პოხილთა ქუეყანისათა (ფსალმ. 21,30).

გან-პოხ-ილ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, ვინც განპოხეს': გან-პოხილნი მეწაპულსა ზედა შეიბღალნეს სკორესა (გოდ. იერ. 4, 10^ა).

სი-პოხ-მ 'სიმსუქნე, ცხიმი, ნოყიერება': მათ შესუან სიპოხმ შენი (ეზიკ. 25,4); სტომაქი მოიდნობს საქმელსა და სიპოხესა მისსა მისცემს ნესტუთა მათ ღვდლისათა (მამ. სწ. 176,23); სიმრავლისაგან სიპოხისა თვისისა განვარდა და წარწყმდა უგუნურებითა თვისითა (იგავნი. სოლ. 5,22); აქამა მათ სიპოხისაგან იფქლისა და კლდისაგან თაფლითა განაძლნა იგინი (ფსალმ. 80,17); ველნი შენნი აღივსენ სიპოხითა (ფსალმ. 64,12).

პოხიერება 'სიპოხე': აღმაღლდეს, ვითარცა მარტორქისა, რქაჲ ჩემი. სიბერე ჩემი ზეთითა და აიახიერებითა (ფსალმ. 91,11).

სვანურში გვაქვს სიტყვა პეხ-ილ 'მუცლის ქონი'. -ილ ფუძის დეტერმინანტი სუფიქსია (შდრ. უდ-ილ- 'და' (დისთვის), ჯგმ-ილ 'ძმა' (ძმისთვის). ფაშ-ილ-აჲ 'ლიპიანი'). ძირი -პეხ- ← *-პუეხ- ← ~-პოხ- ← -პოხ- იგივეა, რაც ქართული -პოხ- სიტყვებში პოხ-ს, სი-პოხ-ე...

პოხ- ფუძეს ჩვენს ენებში ირანული ენებიდან მომდინარედ მიიჩნევენ: საშ. სპარსული pih (puh) 'ცხიმი, ქონი, სიმსუქნე', ახ. სპარსული pih 'ცხიმი, ქონი'²⁸.

ბან-სუშ-ნ-ბ 'მსუქანი გახდა, სხეულზე ქონი მოედო კარბად': განდიდნეს და განმდიდრდეს და განსუქნეს და განპოხნეს (იერ. 5,27); ქამა იაკობ, განძლა და შეპტრიობდა საყუარელი იგი, განსუქნა, განსხუნა, განიშუა (გალობ. 2,15).

გან-ა-სუქ-ა 'მსუქანი გახდა': საკმელმან ჩუენმან განასუქნის კორცნი და ღვნომან ფეროვან ქმნის ფერი პირისაჲ (სინ. 112,5).

მ-სუქ-ან-ი, მ-სუქ-ან-ე 'ის, ვისაც კარბად აქვს ქონი სხეულზე': მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანი (ლ 15,20); მდინარისაგან გამოვიდოდეს შვდნი ზროხანი, შუენიერნი პირითა და მსუქანენი კორციითა (დაბ. 41,2); გუამსა შინა მსუქანესა და ნუკვეულსა ეგზებინ დაუშრეტელად ალი იგი სიძვისაჲ (მამ. სწ. 304,16).

მსუქან-ი სიტყვიდანაა ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი სიმსუქნე: ბალღამთანი გემოჲს-ხილვითნი რომელობანი არიან ესე: ტკბილობაჲ და მჟავეობაჲ... სიტუტე და სიმსუქნე (ნ. ემეს. 62,15);

ფუძეა -სუქ-. შესატყვისი სხვა მონათესავე ენებში არ უჩანს.

²⁸ მს. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 269.

ცოხ-ნ-ი-ს 'ლექავს, ქამს': განყენებულ ვართ ქორცისა ქამისაგან და ქორცსა მოყუასთა ჩუენთასა ვცოხნით (ზედაზნ. 215,40).

ი-ცოხ-ნ-ი-ს (სათავ. ქცევა) 'ლექავს, ქამს': ქამშ და ნუ ორითა იცოხნი, რაათა არა საძულელ იქმნე (ისო ზირაქ. 31,18); ძირსაცა ხეთასა იცოხნიდეს სიყმილისაგან დიდისა (იობ. 30,4); იცოხნიდეს ენათა თვსთა ტკივილისაგან (გამოცხ. 16,10).

გან-ს-ცოხ-ნ-ი-ს 'დალექავს': მისცემენ პირსა საზრდელსა, და კბილნი განსცოხნიან, და სასაჲ გემოსა იხილავს, და ქორკი შთააბნევს სტომაქად (მამ. სწ. 176,12); განცოხნა ლაწუმან მან ნაყოფი იგი სამოთხესა შინა (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 29,28).

და-ს-ცოხ-ნ-ი-ს 'დალექავს': ყოველთა თევზთა ასხენ კბილები მახკლები და მტკიცეები, რაათა არა გამოსცვოდის საქმელი მარადის ცოხნასა მას შინა, და უკუეთუმცა არა ადრე დასცოხნიდა და შთაიღებდა მუცლად, წყალმანმცა განაბნია იგი (ექუს. ილ. აბ. 58,30).

და-უ-ცოხ-ნ-ი-ს 'დაულექავს': მამამან დაუცოხნის საურველნი და უქმ ქმნის (სახისა სიტყ. 15,7); დაუცოხნის იგი პირითა თვსითა, ვიდრემდის განმარჯუდის იგი საქმლად მსგავსად ძალისა მის მქამელისა (კაც. აგებ. 205,10).

ცოხ-ნ-ა-ჲ (მასდ.): ენათა ცოხნაჲ გარდამეტებულთა მათ ჰირთა და საღმობათა სახშ არს (გამოცხ. თ. 16,11); რაათა არა გამოსცვოდის საქმელი მარადის ცოხნასა მას შინა (ექუს. ილ. აბ. 98,29); იწყო მან გამოღებად კელითა თვსითა შინაგანთა ასოთა უბიწოჲსა მის მსხუერპლისათა ცოხნად კბილითა (კიმ. II, 13,35).

გან-უ-ცოხნ-ელ-ი — ის, რასაც ვერ დალექავენ, ან არ დაილექება: ვითარცა ხეკერი განუცოხნელი და შთაუთქამი (იობ. 20,18).

სა-ცოხნ-ელ-ი (საობ. მიმლ. მყ. დროისა) 'ის, რასაც ცოხნიან, დასაღეკი'; აღმოიცოხნიდეს საცოხნელსა (ლევიტ. 11,3).

აღმო-ი-ცოხნ-ი-ს 1. პირუტყვი რომ ნაკვამს ისევ ამოიღებს და ლექავს, იცოხნის': ღორი, რამეთუ განაბებულ არს ჭლაკი მისი და ფრჩხენს ფრჩხილითა ჭლაკისაჲთა და ესე არა აღმოიცოხნის (ლევიტ. 11,7); არარაჲ არს მათ შორის, რომელიმცა აღმოიცოხნიდა (ექუს. ილ. აბ. 98,26).

2. გადატ.: აღმოიცოხნი სიტყუასა (მრავალთ. 301,2).

აღმო-ცოხ-ნ-ა-ე: კულად აღმოიღოს, რომელი-იგი შთაუნთ-ქან, ვიდრემდის დალბეს იგი აღმოცოხნითა მით და იქმნეს საზ-რდელი საკმარ (ექუს. ილ. აბ. 131,16).

-ცოხნ- ფუძეში ნ არ უნდა იყოს ძირეული. იგი ისეთივე ოდენობაა, რაც გვაქვს სიტყვებში წოვ-ნ-ა, შოვ-ნ-ა... ძირია -ცოხნ-. სვანურში მას უკავშირდება ლი-ჩეხჷ 'ძონა'. ასეთი სემანტიკური გადახრა დასაშვებია: ქართ. -ცონ- = სვ. *ჩონ- → -ჩჷეხ- → -ჩე-ხჷ-.

ბან-ძლ-მზ-ი-ს 1. საკმელ-სასმელით დაკმაყოფილდება, მაძღრისად ჰამს და სვამს: ესე ვითარცა სიკუდილი ვერ განძლა (ამბაკუმ. 2,5); სიმართლისათვის იმშიე და საღმრთოხსა ტაბლისაგან განსძელ (იოანნი 270,10); მომკალ მე უღმრთოვო და განძელი სისხლითა (ტირიკ. 189,27); შკამეთ პურთა მათგან და განსძელით (ი 6,26); თაფლი ჰპოვე, ჰამე რავდენ წეს არს, ნუჟუჟე განსძლე და წარმოსთხიო (იგავნი სოლ. 25,16); განძლენ კანჯარნი წყურილსა მათსა (ფსალმ. 103,11); ნეტარ ხართ რომელთა გმშიის აწ, რამეთუ განსძლეთ (ლ 6,21); რავდენნი მუშაკნი მამისა ჩემისანი განძლებიან პურითა (ბოლნ. 36,4); არა განძლებოდის სისხლითა შენითა (ისო ზირაქ. 12,15).

2. (გადატ.) დაკმაყოფილდება: წმიდა მათ მარტკლთა ქსენე-ბითა ვინმემცა განძლა მარტკლთ-მოყუარჷ? (აბო 59,11); რა სჰამე ჩემგან ესეთი, რომელ აღრე განსძელ? (ვისრ. 135,11); ნუ განსძლები ტირილითა (მამ. სწ. 132,23); მედრეკანთა და განმზრწნელთა სმენითა არა განძლებიან (ექუს. 40,23); ესე ვერ შეგიძლია, რაათამცა ეკლესიასაცა იღვძებდი და სენაკსაცა ძილითა გაძლებოდე? (ცხ. იოვ. და ეფთ. 94,2); კმათა სიტყობობამან შვის სულთა შინა განრყუნილებად მრავალი, რომლისაგან ვერ განძლებიედ მსმენელნი (ექუს. ილ. აბ., 53,10).

გან-ა-ძლ-ებ-ს 'შიმშილს მოუკლავს, მაძღრისად აჰმევს': პურითა ზეცისადათა განაძლნა იგინი (ფსალმ. 104,40); განამძლო მე სიმწარითა და დამათრო მე ნავლელითა (გოდ. იერ. 3, მ თ); ყოველი სული მშიერი განვაძლე კეთილითა (იერ. 31,25); განაძლენ სულნი წყურიელნი შენისა მაგის სავესებისაგან (აპოკრ. 14,21); განაძლნეს ობოლნი (მამ. სწ. 212,26); რომელთა შემდგომად ღმრთისა თავადი პალესტინჷ გამოჰზარდეთ ჟამსა სიყმილისასა, მიკვრს თუ ეგე გან-ვითარ-აძლოთ საკმლითა (კიმ. II, 196,2); განაძლნა ყოველნი გლახაკნი და აღუესო წიალი მათნი უხუებით (ბ. ეზოს-მოძღვ. 350,7).

გან-ი-ძლ-ებ-ს (სათავისო ქცევა განაძლებს ზმნისა): რამეთუ-
ცა კორცნი იგი განიძლნეს (სინ. 77,10); ჭამეთ და განიძლენით
სულნი თქუენნი (ქრისტეფ. 189,37); განიძლოს სული მშიერი
(იგავნი სოლ. 6,30); ნაყოფისაგან პირისა კაცმან განიძლოს მუცე-
ლი თვისი (იგავნი სოლ. 18,21);

გან-ძლ-ებ-ა-ა, გან-ძლ-ომ-ა-ა 'მაძღრისად ჭამა, დაკმაყოფი-
ლება': შეკრებასა მას ჭამადთასა განძლებაჲცა აქუს, ხოლო
ღმრთისა სიტყუათა მოქსენებასა არა არს განძლებაჲ ღმრთის-მო-
ყუარეთა სულთაჲ (აბო 59,9); ვინაჲ ძალ-გვც აქა განძლებად პუ-
რითა ესოდენი ერი უდაბნოსა ზედა? (მრკ. 8,4); გული ეტყოდა
განძლებად ნაბიჭვევისა მისგან გარდამოცვენებულისა ტაბლისაგან
მის მდიდრისა (ლ 16,21); მინდა განძლებად შიშშილი მისი (ზედაზნ.
192,34); სწადინ განძლომად ნაბიჭვევისა მისგან (ლ 16,21 c); აცა-
დე პირველად განძლომად შვილთა (მრკ. 7,27 c).

მაძლ-არ-ი, განმაძღარ-ი (სასუბ. მიმლ.) 'ის, ვინც გაძლა': მაძ-
ღარ და სავეს არიედ ჭამადითა (სინ. 109,29); სული მაძღარი გუ-
ლსა უმღერინ (იგავნი სოლ. 27,7); მუცელი მაძღარი ვითარცა ნა-
ვი დამძიმებული ადვილად დაინთქის ღელვათგან (ბოლნ. 5,23);
მაძღარსა მშიერი ემთრვალეების (ვისრ. 146,2); განმაძღარ იყო
ნაყოფთაგან ურჩებისათა (კიმ. I, 21,20); ვაჲ თქუენდა, განმაძღა-
რნო აწ, რამეთუ გმშიოდის (ლ 6,25); მრავალნი უშვილონი მოვ-
ლენედ და ილოცვედ მისგან შვილიერებასა, და შვილთა განმაძ-
ღარნი აღიდებედ ღმერთსა (მოქც. ქართლ. 157,1).

ვერმაძღარ-ი: სოლომონისაჲსა წურბლისა მსგავსად ვერმაძ-
ღარი სხუათა სოფლის-კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად (დ. აღმ.
519,28).

გაუძღომელ-ი (უარყ. მიმლ.): ვინ ესრეთ შეუდგა კუალსა
წმიდათა მამათა ცხორებისასა და თანა მსრბოლ ექმნა მათ გაუძ-
ღომელად (ცხ. გ. მთაწმ. 410,32).

მაძღრივ 'გასაძლომად, მაძღრისად': ჭამდით კორცსა მაძღრივ
(ეზეკ. 39,19); განძლეს მაძღრივ და აღმალდეს გულნი მათნი
(წწყლ. ოსესი 13,6); პური ნაყოფისა ქუეყანისა შენისაჲ იყოს
მაძღრივ და პოხილ (ესაიაჲსი 30,23); შრომაჲ იგი თქუენი არა
მაძღრივ არს (ესაია 55,2); ვიხარო სიკეთისა შენისაგან მაძღრივ,
განძელ შენცა ჩემისაგან ქმნულ-კეთილებისა (ეფრ. ასურ. 65,33).

სი-მაძღრ-ე 'ნაყროვანება': სიუზმესა შეუდგეს სიმაძღრჲ და
კუალად სიმაძღრესა სიუზმჲ (კაც. აგებ. 169,2); რამეთუ მექმნე-
ნით მე სიმაძღრჲ. არღარა მიგიტევნე ცოდვანი თქუენნი (ესაია

1,14): ალივსო სიმადღრითა იფქლისაჲთა (იგავნი სოლ. 3,10); ყოველი სავაქროჲ მისი ჳამად და სუმად და სიმადღრედ (ესაია 23,18).

მადღრობა-ჲ — იგივეა, რაც სიმადღრე: იცის მადღრობაჲ და სიმჴილი, გარდამატებაჲ და ნაკლულევანებაჲ (კიმ, II, 196,6); ძალნი არიან უძღებნი გულითა, და არა იციან მადღრობაჲ (ესაია 56,11); მიწოლილ იყო გზასა ჴედა განსუენებად მადღრობისგან (კიმ. I. 305,19); მოიქსენე ჟამი იგი სიყმილისაჲ და ჟამსა მადღრობისასა გლახაკებაჲ (ისო ჴირაქ. 18,25).

განსაძღებელ-ი (მყ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, რაც გააძღებს': ეგვპტემან მისცა ჳელი ასურს განსაძღებელად მათა (იერ. ლოცვ. 6); მიუვლინა მათ საზრდელი სავსებით განსაძღებელად (ფსალმ. 77,25).

უძღები 'ის, ვინც ვერ ძღება': უძღები კაცი ჳმჴინ ცუდად (იგავნი სოლ. 28,25); ძენი ელისნი ნაშობნი უძღებნი და უმჴულონი (I მეფ. 2,12); უადვილე არს მისა აღდგინებად ადამისა და მიგებად მართალთა მისაგებელი კეთილი... ხოლო უძღებთა და უღმართთა — პატიჳი სასიკუდინჴ (სინ. 264,27).

უძღებებაჲ 'გაუმადღრობა': არა თუ ცუდთა განცხრომათა და ჳამადთა ნაყროვენებისა უძღებებაჲ შორის მათსა იბოვის (აბო 59,3); ანგაჳრებასა და უძღებებასა მას მათსა ძალლად ეტყოდა (სინ. 78,35).

ზემოგანნილულ სიტყვებში ძირია -ძღ- → -ძღ-. ჴანურში შესატყვისად ეგვევე შეკუმჴული ძირი გვხვდება: ჳან. დი-ძღ-უ 'გაძღა': ჳორბა თჳენი მუთუთე ვარ იძღერტუ. თჳეა ნა ჳკომით, ვით მაკუძღლი დიძღეტუ (ი ყ. 37,2) „მუცელი თჳენი არაფრით არ ძღებოდა. თჳევენ რომ ჳამეთ, ათი გოლიათი გაძღებოდა“. მეგრ.: დი-რ-ძღ-უ 'გაძღა': დირძღეს ღვინით ძალამინი (ხუბ. 5,1) „ღვინით ძალიან რომ გაძღნენ“; ბეათი მუჳანს დუგორძღანჳი, გიბირჳ დბრგდბრუსი (ყიფშ. 137,2) „რძით როცა გაგაძღებ, გიმღერებ დბრგ-დბრუს“; ირო ჳოპჳკუმუ, მარა ჩჳიმი რძღაფაჳკ დღასგ ვე ესუუ დო ირო ფჳჳირენციე (ყიფშ. 69,19) „მუდამ კი ვჳამ, მაგრამ ჩემი გაძღომა არასდროს არ იჳნა და მუდამ მჴიარა“.

მეგრულში რ ფონეტიკურად განვითარებულადაა მიჩნეული (შედ. ლეჳსიკ. გვ. 391). სვანური ძღერ 'ცხიმი' ხომ არაა ამავე -ძღ- ძირიდან ნაწარმოები?

ჳართულისა და ჴანურისათვის გ. კლიმოვი უხმოვნო ვარიანტს ვარაუდობს ამოსავლად (ეტიმ. ლეჳსიკ. გვ. 235).

ნაპროვ(ა)ნება-მ, ნაპროვნობა-მ 'უწესო სიმაძღრე' (სა-
ბა): არცა ამას სოფელსა სარგებელ არს ნაყროვანებაჲ და სიმთ-
ვრალჴ (სინ. 112,24); ნაყროვანებამან შეამძიმნის კორცნი და
აურვებნ ასოთა (სინ. 112,25); ბევრნი სიმრავლენი საღმობათა-
ნი — ნაყროვანებისაგან და ფუფუნებისაგან იტყვედ მკურნალნი
(სინ. 109,16); სარგებელი თქუენი მარხვითა იყოს და ნაყროვნე-
ბითა და მთრვალობითა ნუმცა შეურაცხ-იქმნების (სინ. 109,27);
ხოლო ნაყროვნებასა, დედასა სიბილწისასა, ნუცამცა ადგილი
აქუს თქუენ შორის (ვაჰან. 82,27); რომელმან შეგუჯრნა ჩუენ საკ-
რველითა ნაყროვნობისაათა (სინ. 100,28).

ნაყროან-ი 'ის, ვინც მაძღრისად ჟამს, ბევრი ჭამის მოყვარუ-
ლი': არა ჰნებავეს მას მრავალი სანოაგე, ვითარცა ნაყროანთა (მამ.
სწ. 173,36).

ამ სიტყვებში გამოიყოფა ნაყრ- ძირი. ივარაუდება მისი კავ-
შირი ნოყიერ- ფუძესთან (სონანტა სისტ. გვ. 125).

პურ-ი 'პურმარლი, საკმელ-სასმელი': დაუგო მათ პური კა-
მად (დაბ. 24,33); დაკალთ საკლველები და მზა-ყავთ, რადთა კა-
მონ პური ჩემ თანა კაცთა მაგათ სამხრის (დაბ. 43,16); დაუმზადა
ლევი პური დიდი იესუს სახლსა თესსა. (ლ 5,29); უყუარს ზემო-
ჯდომად პურსა ზედა და წინაჯდომად შესაკრებელთა შორის (მ
23,6); ვითარცა გემოჲ იხილა პურისა უფალმან მან წყალი იგი,
რომელ ღვნო იქმნა (ი 2,9).

პურ- სიტყვის მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელო-
ბას განვიხილავთ აქ. რადგან მისი ძირითადი მნიშვნელობა კვე-
ბის პროდუქტისა ისედაც ცნობილია, და არც ჩვენი კვლევის
სფეროში შემოდის.

შდრ. ბერძნ. ἰ πῦρα 'ხორბალი, პურის მარცვალი'.

სადილ-ი 'დილის საკმელი' (საბა): ოდეს ჰყოფდე სადილსა
გინა სერსა, ნუ ჰხადი მეგობართა შენთა (ლ 14,12).

სა-დილ- ნაწარმოები სიტყვაა. **სა-** თავსართი დანიშნულებას
გადმოგვცემს, **დილ-** კი იგივე ფუძეა, რაც გვაქვს სიტყვაში **დი-**
ლა, ამდენად, **სა-დილ-ი** გამოდის „დილისათვის განკუთვნილი“. ახალ
ქართულზე რომ არაფერი ვთქვათ, არც ძველ ქართულში
უნდა ჰქონოდა ამ სიტყვას წმინდა ეტიმოლოგიური მნიშვნელო-
ბა. **ი-სადილებ-ს** არ ნიშნავს ძვ. ქართულში მაინცდამაინც დილით
ჭამას: ხოლო მათ მომზადეს ძღუენი მოსლვად იოსებისა სამხრად,
რამეთუ ესმა, ვითარმედ ისადილებს მუნ (დაბ. 43,25); მოვედით

და ისადილენით (ი 21,12); (ც :ვისადილენეთ); ოდეს ისადილენეს, აჰქუა სიმონ-პეტრეს (ი 21,15).

ი-სადილ-ებ-ი-ს (ვნებ.): იწყეს განცხრომად რომელ არს განცხრომად სულისა და ისადილებიან რომელნი შესწირვენ წმიდასა შესაწირავსა (ბოლნ. 40,18).

სადილ- დღეს იხმარება მეგრულშიც. გვაქვს მისგან ნაწარმოები სიტყვაც ოსადიე (კარანჩხა) 'სადილის კალათა' (მარტვილურ-ში) ოსადიე < ო-სადილ-ე.

სამხარი-ი „ჭამადთა ჟამთა სახელი არს... შუადღე ჭამადი არს სამხარი, ხოლო მიმწუხრი ჭამადი — სერობა“ (საბა): მერმე ოდესმე სამხარი იყო საეპისკოპოს შინა, და ჰქონდეს ეპიფანეს ყოველნი ზღვლნი ტაბლანა მას ზედა (იოვ. ხუც. 119,9); მოიწია ჟამი სამხრისა (იოვ. ხუც. 102,38); უბრძანა მათ ებისკოპოზმან მის თანა სამხრის ყოფად (იოვ. ხუც. 97,4).

ისამხრები-ს (ი-თავსართიანი ვნებითი) 'სამხრობს': ხოლო ქარინოს ჰრქუა მათ, რომელნი-იგი ისამხრებოდეს (იოვ. ხუც. 119,14); ისამხრნეს იგინი, და წარვიდა კაცად-კაცადი თქსსა ეკლესიასა (იოვ. ხუც. 118,9).

სერ-ი 'ვახშამი': უმზადეს მათ სერი და უქმნეს მათ უცომოდ და ჰამეს ვიდრე დაძინებამდე (დაბ. 19,3); ოდეს ჰყოფდეს სადილსა გინა სერსა, ნუ ჰხადი მეგობართა შენთა (ლ 14,12);

უ-სერ-ო-დ 'უვახშმოდ': ამისთვისა უბრძანიან კელოვანთა უსეროდ და გემოუხილველად დაძინებად (სინ. 109,33).

ი-სერ-ებ-ს 'ივახშმებს': მხიარულებით ეზრახებინ და მის თანა ისერებნ სანოვაგედ ქონებისა სულიერისა (ცხ. პ. კაპეტოლ. 33,2); მზა მიყავ მე, რაათა ვისერო (ლ 17,8 ც :ვჭამო).

სერ-ობ-ა-ე 'ვახშმობა': ვითარცა სერობაე იგი იყო (ი 13,2 ც :სერისა ჟამი იყო); არავინ მათ კაცთაგანმან გემოე იხილოს სერობისა ამისგან ჩემისა (ლ 14,24).

სერ-ი, უ-სერ-ო-დ, ი-სერ-ა, სერ-ობ-ა სიტყვების სერ ფუძე იგივეა, რაც ზანური სერ-ი 'ლამე' (შედ. ლექსიკ. გვ. 195), ო-სო-რ-იშ-ო-ო-სერ-იშ-ო 'სერი, ვახშამი'.

ჰ-მშო-ი-ს 'ჰშია': ჰმშინ და არა პოვის ნადირი ჭამად (სახისა სიტყ. 23,3); მათ ჰმშოის, და სხუათა ჰზრდიან; მათ სწყურის, და სხუათა ასუმენ (მრავალთ. 285,26); ნეტარ ხართ რომელთა გმშოის აწ, რამეთუ განსძლეთ (ლ 6,21); ვაე თქუენდა, განმამდარნო აწ, რა-

მეთუ გმშიოდის (ლ 6,25E); (DC : გშიოდის); მშიოდა, და მეცთ მე კამადი (მ 25,35); კმაჲ ნესტკსაჲ არა გუესმეს და პურიტა არა გუ-მშიოდის (იერ. 42,14); შიოდეს თუ მტერსა შენსა პური ეც მას (ბოლნ. 25,16).

ა-მში-ა: ბრძანა, რაჲთა განმზადნენ ყოველნი მკეცნი და ამ-შიონ მათ (პანტ. 60,31).

ი-მში-ა: რომელმან სიმართლისათჳს იმშიე და საღმრთოჲსა ტაბლისაგან განსძელ (იოანნი 270,10).

მოამში-ა: უკუეთუ სული შენი მინდობილ იყოს მისა, არა მო-გამშიოს (მამ. სწ. 199,3).

მოემში-ა: მოემშია და მოეწყურა (მრავალთ. 299,38); ხოლო იყო წმიდაჲ იგი ჭურღმულსა მას შინა მრავალთა დღეთა უზმაჲ და მოემშია (გულანდუხტ. 218,8).

შე-ე-მში-ა 'მოშვიდა': იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე და მერმე შეემშია (მ 4,2); შე-თუ-მემშიოს, არავე შენ გეტყო-ღი (ფსალმ. 49,12).

შიმშილი-ი 'საკვების მიღების მოთხოვნილება': მინდა გაძლებად შიმშილი მისი (ზედაზნ. 192,34); შევიდეს განბოროტებულნი იგი შიმშილისაგან კარავსა ერთსა, კამეს და სუეს (IV მეფ. 7,8); მიიძი-ნა მრავლითა შიმშილითა და წყურილითა (სინ. 128,17); შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არარას მიიღებს საზრდელსა (წუშ. 21,23); შეიიწრე მუცელი შენი შიმშილითა და წყურვილითა (მამ. სწ. 288,18).

მშიერი-ი 'ის, ვისაც კშია': მაძლარსა მშიერი ემთრვალეების (ვისრ. 146,2); სულსა მშიერსა ნუ შეაკუენებ (ისო ზირაქ. 4,2); სი-ნართლისათჳს მშიერო და წყურიელო (ხანძთ. 78,20); პურიტა მრავალნი მშიერნი გამოზარდნიან (ხანძთ. 66,6); მშიერნი ალავსნა კე-თილითა და მდიდარნი განაბნინა ცუდნი (ლ 1,53); არცა წყალი წყურიელთა ასუ, არამედ მშიერთა მოულე პური (იობ. 22,7); მის-ცემს მშიერთა საზრდელსა (ტიმ. ანტ. 76,17); ესე განსუენებაჲ მშიერთა (ესაია 28,12).

ჰ-მში-ი-ს, შე-ე-მში-ა, ში-მში-ი-ლ-ი ← სი-მში-ი-ლ-ი, მში-ერიო სიტყვებისათვის ძირად გამოიყოფა -მში-. ახალ ქართულში -მში- → -შ-, მ-ბგერის პირველი ობიექტური პირის პრეფიქსად მიჩნევის შე-ღეგად²⁹. ეს პროცესი დასტურდება ძველ ქართულშივე: ნეტარ

²⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრე-ფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. თბილისი, 1920, გვ. 73.

იყვნენ რომელთა ჰშიოდის და ჰსწყუროდის (მ 5,6); არღარა ამიე-
რიტვან ჰშიოდის და არცა მიუჰყრას კაცთა ჰამადი განსარყუნელი
(იბოლიტ. თარგმ. ჰბ. 25,118); ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდის და
სწყუროდის (სინ. 112,18).

ეს ძირი კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისის გვაძლევს ზა-
ნურში: ჰან. (მ)-შკ-ორ-, შკ-ირ-: არ ღერის ამშჰორინეს, დოხედეს
დო გჰარი ოჰკომეს (ი. ყ. IV,16) „ერთ ადგილას მოშივდათ, დასხ-
დნენ და პური ჰამეს“; გჰაი ორდო მეჩი-ჰი-ა, ბელჰი შჰირონსჰა
(ჰან. ტ. I, 126,12) „საჰმელი მალე აჰამე, ეგების შიאו. მეგრ.
შკ-ირ-, შკ-გრ-: ირო ჰოპჰკუჰმუ, მარა ჩჰიმი რძღაფჰკ ღლასჰ ვე
ეჰუუ დო ირო ფშჰირენციე (ყიფშ. 69,20) „ყოველთვის კი ვჰამ,
მაგრამ ჩემი გჰძღომა არასდროს არა იჰნა, და ყოველთვის მშიაო“.

ზანურშიც მ თანხმონიან ძირს ვარაუდობს გ. კლიმოვი ამო-
სავლად (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 139). ჰრინციჰში, მ ზანურშიც იმავე
მიზეზების გამო შეიძღებოდა დაკარგულიყო, რამაც ეს ჰართულ-
ში გამოიწვია, ოღონდ ჰანურის ათინურ კილოკავში დადასტურე-
ბულ მ თანხმონიან ვარიანტში იგი ფონეტ. ნიადაგზე ახალი წარ-
მოშობისადაა მიჩნეული (შედ. ლექსიკ. გვ. 368). შკ კანონზომიერი
ფონეტიკური შესატყვისია ჰართული შ ბგერისა. ხოლო -ორ||-ირ
სუფიჰსები ფუძის დეტერმინანტებია. ჰართულ მშ-ი-აში ი -ივ||-ევ
სუფიჰსის ნაშთია (შდრ.: დიალ, მ-შ-ივ-ა, ა-მშ-ევ-ს). ივ. ჰავთარა-
ძეს ძვ. ჰართულშიც აჰვს დადასტურებული -ივ სუფიჰსიანი ფორ-
მა: გშვივს³⁰, ხოლო -ევ → -ე სუფიჰსიანი ვარიანტი გვხვდება ოშ-
კის ბიბლიაში „პურიტა არღარა გუემშეოდის“ (იერ. 42,14). მიმ-
ღეობაში მში-ერ ეგევე -ევ სუფიჰსი გვაჰვს³¹: მშიერ-მშივერ-
მშივერ.

სი-ჰმ-ილ-ი 'შიმშილი, შიმშილობა': იყო სიყმილი ძღიერი
სოფელსა მას (ლ 15,14); საცხოვარი მათი სიყმილსა შეაყენა
(ფსალმ. 77,50); სიყმილსა შინა მკირიტა პურიტა მრავალნი მში-
ერნი გჰაოზარდნიან (ხანძთ. 66,5); დღესა სიყმილისჰსა განძღენ
(ფსალმ. 36,19); არა მოისრას ჰუეყანაჰ სიყმილიტა (დაბ. 41,36);
სიყმილიტა მოკლან იგი (შუნ. 21,15); მე აჰა სიყმილიტა წარვეყმ-
დები (ლ 15,17); იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილდ-
ადგილდ (მ 24,7);

³⁰ ი. ჰ ა ე თ ა რ ა ძ ე. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ
ჰართულში, თბილისი, 1954, გვ. 75.

³¹ ევ. ო ს ი ძ ე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ჰართულში-
ჰართულურ ენათა სტრუქტურის საკითხებო, III, თბილისი, 1953, გვ. 13.

მო-ყმ-ებ-ი-ს 'დაიმშევა': უწყოდეს რამეთუ მოვეყმებით (IV ნეტ. 7,12).

მო-ა-ყმ-ო 'დაამშია': მოგაყმო შენ, უკუეთუ არა აღმიარო (სინ. 241,15).

შე-ჰ-ყმ-ა 'მოჰშივდა': შემყმა მე შიმშილითა (I მეფ. 30,13).

შეყმედლილ-ი (ნ. დროის საობ. მიმლ.) 'ის, ვისაც შეჰყმა, მოშივებულნი': რომელნი შეყმედლილ არიან სიყმილითა დასაბამსა ყოველთა გამოსლვათასა (გოდ. იერ. 2, მა).

სი-ყმ-ილ-, შე-ჰ-ყმ-ა, მო-ე-ყმ-ებ-ი-თ სიტყვებში ძირია -ყმ-, რომელიც დასტურდება დანარჩენ ქართულურ ენებშიც: ჰან. ყომ-ინ-||ომ-ინ||მბ-ინ- 'წყურვილი': ასკერეფეს წყაი დვყომინეეტეს (ჰან. ტ. I. 119,26) „ჯარისკაცებს წყალი მოსწყურებოდათ“; მა წარი მამინენ (ჰან. ტ. II, 109,25) „მე წყალი მწყურდება“. მეგრ. ხუმ-ენ- 'წყურვილი': ვაი, დიდა, დობლური, პუმენცე! (ყიფშ. 15.11) „ვაი, დედა მოვეკდი, მწყურია“. სვ. ყმ-: სვანურში შიმშილის გამოსახატავად დღეს გავრცელებულია სხვა ძირი: ხ-აჲლ 'ჰშია', მჲაღარ 'მშიერი'. ყმ- ჩვენ გავვიგონია მხოლოდ გამოთქმაში „სი მჲაღარ -მაყმარ“ „შე მშიერო“ (ლანძღვაა). ეგევე -ყმ- ძირი უნდა გვეკონდეს სვანურ სიტყვაში ნჲ-ყიმ-ან-აჲლ (ბქ) 'წყურვილით შენაწყუხები'.

ზანური და სვანურის ჩვენება ქართულშიც გვავარაუდებინებს -ყმ- ფუძეში ხმოვანს დაკარგულად. არნ. ჩიქობავას აზრით, ეს უნდა იყოს ა ხმოვანი (შედ. ლექსიკ., გვ. 355). გ. კლიმოვის აზრით, ზანურში ხმოვანი თანხმოვანთგამყარია (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 212).

უზმა, უზმებულ-ი 'უქმელი': მუცელი უზმაჲ და ცარიელი ადვილად განერის საცთურისაგან (ბოლნ. 5,26); ერი ესე, ესოდენი დღჷ არს, ვინაჲთგან უზმა არიან (ევესტ. მცხ. 39,31); მრავალგზის ყოველი იგი შაბათიცა უზმამან გარდავლის (კიმ. II, 112,23); რაჲთამცა მასცა აჲამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაველნეს (შუშ. 17,1); ხოლო წმიდათა მათ დაყვეს საპყრობილესა მას შეყენებულთა ოთხი დღჷ უზმათა (კიმ. II, 57,5); მძვნარ და ძლიერ არს ლომი, განმტეხელ და წარმწყმედელ — უფროჲსლა, რომელნი-იგი შვდ დღე შეყენებულ და უზმებულ იყენეს ჩუეულისა მისგან საზრდელისა (სინ. 108,21).

სიუზმე 'შიმშილი': საუზმესა შეუდგს სიმამღრჷ და კუალად სიმამღრესა სიუზმჷ (კაც. აგებ. 169,1).

უზმობა 'უქმელობა': ვისხენით ჩუენ ყოველნი ქუეყანასა ზედა ვითარცა მკუდარნი, დიდისა მისგან კირისა და უზმობისა (იოვ. ზუტ. 116,10).

ს-წყურ-ი-ს 'წყლის დაღვევის მოთხოვნილება აქვს': რაჟამს სწყურინ მივიდის ფისონდ მდინარედ და სკს წყალი (სახისა სიტყ. 5,11); ვითარცა ძილსა შინა სწყურინ და სუამნ და აღ-რაჲ დგის, მერმე სწყურინვე (ესაიაჲსი 29,8); ჰწყურის თუ ვისმე, მოვედინ ჩემდა, სუნ. (ი 7,37 c); სწყუროდა ნაკლულევანებითა წყლისაჲთა (სინ. 215,19); ყოველი რომელი სუამს წყლისა ამისგან, მერმეცა სწყუროდის (ი 4,13); რომელსა სწყუროდის მოვედინ ჩემდა და სუემდინ (ბოლნ. 16); უწინა მიკურვიდა გული და მწყუროდაცა ხოლო რაჟამს შევსკ, ესე განმიქარდა და აღარა მწყურის (იოვ. ურჰ. 126,34).

მო-ე-წყურ-ა: დიდისა მის სიცხისაგან ფრიად მოეწყურა ნეტარსა საბას (კიმ. II, 147,2); დაშურა, მოეშია და მოეწყურა (მრავალთ. 299,38).

შე-ე-წყურ-ა 'მოსწყურდა': შეეწყურა ერსა მას წყლითა (გამოსლვ. 17,3); შეეწყურის სნეულსა ფრიად მკურვალეებისა მისგან, რომელ არნ გუამსა შინა მისსა (მამ. სწ. 192,9).

წყურ-ი-ელ-ი 'მოწყურებული, მწყურვალი': წყურიელი ითმენდინ (ეფრ. ასური 24,24); იხარებდ უდაბნოჲ ესე წყურიელი (ესაია 35,1); ქუეყანაჲ წყურიელი, რომელი მოელინ წკმასა (იობ. 29,23); ვითარცა მოგზაურმან წყურიელმან პირი თვისი აღადის (ისო ზირაქ. 26,14); მოაქციეს ფერკნი შენნი გზისაგან ფიცხლისა. და კორკი შენი წყურიელისაგან (იერ. 2,25); სიმართლისათკს მშიერო და წყურიელო (ხანძთ. 78,20); განძლიერდედ მის ზედა წყურიელნი (იობ. 18,9); არცა წყალი წყურიელთა ასუ, არამედ მშიერთა მოულე პური (იობ. 22,7).

წყურ-ილ-ი, წყურ-ვ-ილ-ი 'წყლის დაღვევის მოთხოვნილება': განუქარვე ქაბუკსა ამას წყურილი (კიმ. II, 147,7); განძლენ კანჯარნი წყურილსა მათსა (ფსალმ. 103,11); კირი იგი წყურილისაჲ წყლისა მის გამოწურვითა მცირედ რაჲმე აღისუბუქიან და ნუგეშინის იციან (ექუს. 49,1); ენანი მათნი განკმებიედ წყურილითა (სინ. 258,18); შეიიწრე მუცელი შენი შიმშილითა და წყურილითა (მამ. სწ. 288,18); ძმაჲ ვინმე სულმოკლე იქმნა წყურვილითა დღეთა სიცხისათა (კიმ. I, 299,35); არა უტევა მათ წყურიდ. და უდაბნოჲთ მოუწოდა მას. და წყალი კლდისაგან გამოუდინოს მათ (ესაია 48,21).

წყურ-ვ-ილ ფორმაში ვ მეორეულია: წყურ-ი-ს — წყურ-ი-ლ-ი (შდრ. ტირ-ი-ს — ტირ-ი-ლი). წყურ- ფუძეში ძირეული ელემენტია წყ-, იგივე, რაც გვაქვს სიტყვაში წყ-ალ-ი, ხოლო -ურ-, როგორც აკად. ვ. თოფურიამ გაარკვია, უქონლობის სუფიქსია³².

სშ-ბმ-ს 'სითხეს იღებს' (ორგანიზმში): მოვიდა ძმ კაცისაჲ, ჰამს და სუამს (მ 11,19); რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰშუამთ და ჰსუამთ? (მრკ. 2,16); ნუცა მათ თანა შუამთ, ნუცა მათ თანა სუამთ, ნუცა გემოს იხილავთ (სინ. 48,11); არა ესე არსა, რომლითა სუამს უფალი ჩემი (დაბ. 44,5); არცა ჰამდა, არცა სუმიდა (მ. 11,18); ძენი იობისნი და ასულნი მისნი სუმიდეს სახლსა შინა ძმისა მათისა უხუცესისასა (იობ. 1,13); შენ და მთავარნი შენნი და ხარკნი შენნი და თანამწოლნი შენნი ჰსუემდით ღვოსა მით (დანიელ 5,23); ჰამდით და სუემდით მათ თანა (ლ 10,7); რომელსა სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ (ბოლნ. 24,16); სუემდ წყალსა კევისა მისგან (III მეფ. 17,4); სუ და აქლემთაცა შენთა ასუ (დაბ. 24,14); ჰსუამეთ, მოყვანო, და სუთ და დაითრვენით (ქბ. ქბ. 5,1); ჰწყურის თუ ვისმე, მოვედინ ჩემდა, სუნ (ი 7,37); რაჲჲმს სწყურინ მივიდის ფისონდ მდინარედ და სკს წყალი (სახისა სიტყ. 5,12); არა ჯერ-არს რათამცა სვი ეგე (აბუს. ტბ. VII,62). მომიდრიკე სარწყული შენი, რაჲთა ვსუა (დაბ. 24,14); ლათუ სასიკუდინშ სუან, არარაჲ ავნოს მათ (მრკ. 16,18); ღვნოჲ და თათლუქი არა ესუა და მშუმინვიერისაგანი არა ეკამა (სინ. 55,9); უკუეთუ არა გისუამს წყალი ეგე, სუ და ვიდოდე (ზარზმ. 214,16).

ა-სუამ-ს (სუამ-ს ზმნის კაუზატივი) 'ასმევს': მკამებ ჩუენ ჰურსა ცრემლით და მასუამ ჩუენ ცრემლთა საწყაულითა (ფსალმ. 79,6); მოილო ღრუბელი და ადავსო ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას (მ 27,48); სძესა და თათლსა ასუმიდა (ცხ. გ. მთაწმ. 386, 25); მდინარშ საშუებლისა შენისაჲ ასუა მათ (სინ. 188,31); ასუ იგი ასულსა შენსა (ხანძთ. 85,8); მასუ მე წყალი სარწყულისაჲ შენისა (დაბ. 24,17); მასუ ჩუენ ღვნოჲ მწუხარებისაჲ (ფსალმ. 59,5); ძმარი ასუეს მას (სინ. 258,19); მწყუროდა, და მასუთ მე (მ 25,35); უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? (მ 25,37); კაცად-კაცადმან თქუენმან არა აღჰკნისა შაბათსა კარი გინა ვირი ბავათაგან თვსთა და წარიბის და ასკს წყალი (ლ 13,15); რომელმან გასუას თქუენ სასუმელი ერთი წყალი სახელისა ჩემისათჳს (მრკ. 9,41).

³² ვ. თოფურიამ, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. ენაიკის მოამბე, 5-6, გვ. 533.

სუმ-ა 'სითხის მიღება (ორგანიზმში), დაღვევა': ხოლო სუმასა შინა წყლისასა დააყუდა პირი თვისი წყაროსა ზედა (აბუს. ტბ. VII.61); და თუ სუმის გინდეს, გექმნეს შენ იგი სასუმელ (სინ. 219,8); მი-რაჲ-ილო, არა უნდა სუმის (მ 27,34); გთრავს მთრვალობითა არა ღვნისა სუმითა, არამედ სისხლისა სიყუარულითა (სინ. 125,36); ვერ ეძლო ეგვიპტელთა მათ წყალი იგი მდინარისაჲ მის სუმად (გამოსლვ. 7,21); დასხდეს სუმად, და წარმოკდეს მროკვალნი როკვად და მახიობელნი იგი სუმასა ზედა (სინ. 206,14).

მ-სუმ-ელ-ი (სასუმბ. მიმლ.) 'ის, ვინც სვამს': აჰა კაცი მქამელი და მსუმელი ღვნისაჲ (მ 11,19).

მოსუმ-ურ-ი 'მსმელი, ლოთი': ვითარ იკადრე და შეხუედ მოს-მურთა თანა? (ლიმონ. 125,1).

მოსუმ-ურ-ობ-აჲ 'მსმელობა, ლოთობა': არა იყოს უქმსიტყუ-აობაჲ... და ზდილობითი მოსუმურობაჲ (ვაჰან. 83,1).

სასუმ-ელ-ი (მყ. დროის საობ. მიმლ.) 1. ის, რასაც სვამენ: სასუმელი სამე ჩემი შესუათ (მ 20,23); ძალ-გიცა სასუმელი შესუმად, რომელი მე შევესუა (მრკ. 10,38); ასუას ერთსა ამას მცირეთაგანა სასუმელი ერთი წყალი გრილი (მ 10,42); სასუმელი, რომელი ღირს არს ქორწილისა, წეს არს ჩუენდა შესუმად (სინ. 260,24); ღვნოჲ ეგე სასუმლად მაშურალთა მათ წყურლითა უდაბნოსა ზედა (II მეფ. 16,2); საკმლად მისა იყო მცირედ დანაკისკუდი და სასუმლად მისა წყალი საწყაულით (სინ. 270,7); პური იყო მისა საზრდელად და სასუმელად წყალი (კიმ. II, 112,20).

2. ის, რითაც სვამენ: უყუეთუ ჰამის გინდეს, გექმნეს შენ იგი ტაბლა, და თუ სუმის გინდეს, გექმნეს შენ იგი სასუმელ (სინ. 219,8); წარმოაცალიერა სარწყული წყლის სასუმელსა მას (დაბ. 24,20); ვიდრემდე აღივსნეს წყლის სასუმელები იგი, რაჲთა ასუან ცხოვართა მამისა თვისისათა (გამოსლვ. 2,16); განრცხაჲ სასუმელებისაჲ და სტამნებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ (მრკ. 7,4).

პირველი მნიშვნელობით „ვისრამიანში“ დადასტურებულია ფორმა სასუმად-ი: აწ ჩუენი აღარცა ტანისამოსი მოეწონების, არცა სასუმად-საჰამადი (ვისრ. 39,7).

სასუმურ-ი 'ის, რასაც სვამენ, სასმელი': მწარისა მის სასუმურისაჲ (სინ. 210,35).

უსუმელ-ი (უარყ. მიმლ.): დაყვეს ყრმათა მათ შვიდი დღე უქმელად და უსუმელად (კოლაელ. 185,6).

სუ- ფუძესთან გავრცელებულია შე- პრევერბი:

შე-სუ-ა: უკუეთუ შესაძლებელი არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რამცა არა შევსკ იგი (მ 26,42); სასუმელი სამე ჩემი შესუათ (მ 20,23).

შე-სუმ-ა: ჰნებავნ შესუმად წამლისა (სინ. 109,29); ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი ჩემდა შესუმად არს (მ 20,22).

შესასუმელი: იგი არს, რომელსა მე დავაწო შესასუმელი და მივსცე. და დააწო შესასუმელი და მისცა იუდას სკარიოტელსა (ი 13,26 c);

ძირია სუ-, იგი კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისებს გვაძლევს სვანურსა და ზანურში. კან.: შუ- 'სმა': ყინი წკაი ქოშუ (კან. ტ. I, 45,30) „ცივი წყალი დალია“; მეგრ.: შუ- 'სმა', -შუმ- 'თრობა': შქა ღვინო შვი შურამია (ცაგ. 8,3) „შუა ღვინო სვი სუნია-ნო“; ხოჯეფქ წყარი ვა შვეს (ყიფშ. 9,3) „ხარებმა წყალი არ სვეს“; დიო დიფშუმათ დო უკული იბრკინათიე (ხუბ. 4,15) „ჯერ დავთვრეთ და მერე ვიჭიდაოთო“. სვ. შუ- 'სმა': ღვინლ ლახჰშ ქარახსშე (სვ. ტ. I, 347,24) „ღვინო ასეა ყანწით“.

შესატყვისები გამოვლენილია ალ. ცაგარლის (Мишур. этиоды, II, 47), არნ. ჩიქობავას (შედ. ლექსიკ., გვ. 360), ვ. თოფურიას (ფონეტ. დაკვ. I, მიმომხილველი I, 1926, გვ. 202) მიერ.

ს-წოზ-ს 'ძუძუს პირში მოქცევით ისრუტავს რძეს': ვიდრე-და სწოვდა ძუძუსა (ექუს. 2,2); ნეტარ არს იგი მუცელი, რომელმან გიტკრთა შენ, და ძუძუნი, რომელთა ჰსწოვდი (ლ 11,27); სწოვდით და განსძლეთ ძუძუთაგან ნუგეშინისცემისა მისისათა (ესაია 66,11).

გამო-ს-წოვ-ს: ვითარცა ჩჩვლნი რომელნი გამოსწოვენ ძუძუთაგან გამოსწოვად სძისა (იპოლიტ. თარგ. ქბ. 2,32); ქიქაე იგი, რომლითა გამოსწოვენ სისხლსა მკურნალნი (ექუს. 32,30).

ა-წო(ვ)-ებ-ს 'ძუძუს აკმევს': დამიმარხე ყრმაე ესე და აწოებდ მაგას და მე მიგცე სასყიდელი შენი (გამოსლ. 2,9); ვაე მუცელ-ქუმულთა და რომელნი აწოვებდენ მათ დღეთა შინა (ლ 21,23); ნეტარ იგი ძუძუნი, რომელნი გაწოვებდეს შენ (სინ. 98,18); ნეტარ ბერწთა და მუცელთა, რომელთა არა შევს, და ძუძუთა, რომელთა არა აწოეს (ლ 23,29 c).

უ-წო-(ვ)-ებ-ს 'აწოვებს სხვისას': გნებავს, თუ მოგიხადო დე-დაკაცსა მზარდულსა ებრაელთაგანსა და გიწოებდეს ყრმასა მაგას? (გამოსლვ. 2,7).

მ-წო(ვ)-არ-ი 'ის, ვინც სწოვს': დაკლა დედაკაცმან მან კბოე ერთი მწოვარი (I მეფ. 28,24); რომელთა აქუნდენ ყრმანი, ჩჩვლნი

ძუძუს მწოვარნი მათ დღეთა შინა (სახისა სიტყ. 29,5); რად იქმთ თქუენ ძკრთა დიდ დიდთა სულთა თქუენათავს მოსრვად მამათა თქუენთა და დედათა თქუენთა. ჩიკლთა და მწოართა შორის იუდა-
ასა (იერ. 44,7); პირისაგან ჩიკლთა მწოვართაასა დაემტკიცოს ქე-
ბაჲ (მ 21,16);

მ-ა-წოვ-ნ-ებ-ელ-ი 'ის, ვინც (ძუძუს) აწოვებს': ვაჲ მუცელ-
ქმულთა მათ და მაწოვნებელთა მათ დღეთა შინა (მ 24,19 c); წი-
ალთა შინა დისა თვისისათა მაწოვნებელთა მიერ იზარდებოდა (ტიმ.
ანტ. 48,38).

წოვ- ფუძეს შეესატყვისება კანურში წ-უფ-, მეგრულში
-წ-უნ (შედ. ლექსიკ., გვ. 392), სვანურში — -წობ-; ენ-წობ-ე (ლშხ.)
'მოსრუტა, მოწრუპა' (სონანტთა სისტ. გვ. 247); კან.: გენიქ ბუძი
წუფს... გენის არ წანაშა ოწვაფაფან (კან. ტ. I, 165,32) „ხბო ძუ-
ძუს წოვს... ხბოს ერთ წლამდე აწოვინებენ“. მეგრ.: ძუძუს წუნს
„ძუძუს წოვს“.

წ-ოვ- მიღებული უნდა იყოს წვ-ევ- ფორმიდან. წვ- ძირის ვ
ელემენტის სუფიქსისეული ხმოვანთან შერწყმის შედეგად მივი-
დეთ ო ხმოვანი ფუძეში. ძირეული ვ'ს აღდგენას მხარს უჭერს მეგ-
რული ფორმები: გეწუ 'მოწოვა', წუ-ალ-ა 'წოვა'.

ს-თრავ-ს 'სიმთრავლე ერევა, ითვრება (ბრუვდება)': სთრავს.
რამეთუ სუეს ცნობადისა მის ვენაჯისაჲ (სინ. 189,1); ამათ სთრავს
და რამეთუ გუთრავს ჩუენ (სინ. 188, 29); რამეთუ არა ვითარ თქუ-
ენ ჰკონებთ, ვითარმედ ამათ სთრავსო (საქმე მცქ. 2,15); ვაჲ გვრ-
გვსა გინებისასა, ნადთა მათ ეფრემისთა,... რომელთა გთრავს თვნი-
ერ ღვნისა (ესაიამსი 28,1); ვიდრემდე გთროდის ხოლო წარვედ
და მიჰრიდე პირისაგან უფლისა და განიქარვე ღვნოჲ ევე შენგან
(I მეფ. 1,14); სთროდა მთრვალობითა მით სითრთხილისაჲთა (სინ.
188,32).

და-ა-თრ-ო 'ბევრი სითხე დაალევინა, მთვრალი გახდა, გააბ-
რუა': შეიქმნა წვამჲ საშინელი და დაათრო ყოველი ქუეყანაჲ (ცხ.
იოვ. და ეფთ. 55,4); განმადლო მე სიმწარითა. და დამათრო მე ნავ-
ღელითა (გოდ. იერ. 3, მთ); დავათრვე ყოველი სული წყურთიელი
და ყოველი სული მშვიერი განვაძღე კეთილითა (იერ. 31,25).

და-ი-თრვ-ა (ვნებ.) 'მთვრალი გახდა': სუეს ღვნოჲ და დაითრ-
ვნეს მის თანა (დაბ. 43,34); დაითრვენით ნუ ღვნისაგან (ესაიამსი
29,9); რაჟამს დაითრვის, არა მოიკსენნის მეგობარნი (II ეზდრა
3,22); ღვნითა უშჯულოებისაჲთა დაითრენიან (იგავნი სოლ. 4,17),

დაითროს ქუეყანაჲ სისხლითა მათითა (ესაია 34,7); დაითრენენ იგინი სიპოხითა სახლისა შენისაჲთა (ფსალმ. 35,9).

და-თრ-ობ-ა 'ალკოპოლიანი სასმელის დაღვეით გაბრუება': იწყოს გუემად მონათა და მკევეალთა, ჭამად და სუჲმად და დათრო-ბად (ლ 12,45).

მ-თრვ-ალ-ი (სასუბ. მიმლ. ათრობს ზმნისა) 'ის, ვინც დათვრა': დაემკო ძალი, პირველ სისხლითა მთრვალი (ბორენა, 498,5); ვი-თარცა-იგი შესცთის მთრვალი და რომელი სთხვენ ერთბამად (ესა-იაჲსი 19,14); მთრვალმან არა იცნის მეზობელი თვისი (სინ. 113,2); და ჩუენ ყოველთა ვითარცა მთრვალთა მიგუერულებოდა (სინ. 69,20).

მიმღეობის ამ ფუძიდანაა ხელახლა ნაწარმოები ორპირიანი ვნებითი ე-მთრვალ-ებ-ი-ს: მაძლარსა მშიერი ემთრვალეების (ვისრ. 146,3).

მთრვ-ალ-ობ-ა-ჲ 'სიმთვრალე, ლოთობა': არცა საჭირო და არცა ბუნებით, ვითარ იგი მთვრვალობაჲ და ლირწებაჲ და უძღე-ბებაჲ საქმართაჲ ნამეტნავი (ნ. ემეს. 101,8); ვითარცა მთვრალ-ობ-ამან და ბრუ-ქცეულებამან ვინმე შეიპყრის, ცუდად მიმოდავალნ (სინ. 104,16); მთვრალობასა და უძღებებასა... გწადის მიახლებაჲ (სინ. 109,24); მორიდებაჲ წეს არს ნაყროვანებისაგან და მთრვა-ლობისაგან (სინ. 100,27); ღვნოჲ მთრვალობისაჲ გემოჲვე არა იხი-ლოს (I მეფ. 1,11); ღვნოსა გარდარეულად ნუ სუჲამთ მთრვალ-ობით (იპოლიტ. თარგმ. ჭბ. 3,26); სთროდა მთრვალობითა მით სიფ-რთხილისაჲთა (სინ. 188,32).

მო-მთრვალ-ე 'ლოთი': ჭამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თა-ნა (მ. 24,49).

სი-მთრვალ-ე: არცა ამას სოფელსა სარგებელ არს ნაყროვანე-ბაჲ და სიმთრვალეჲ (სინ. 112,24); რომელი-მე ვნებაჲ არს, რომე-ლი არა შეაბს სიმთრვალესა? (სინ. 113,4); როკვიდა იგი შორის მენიანკეთა მათ, განლიგებული თუალითა სიმთრვალითა მით ღვნი-საჲთა (სინ. 208,36).

ს-თრ-ავ-ს, ს-თრ-ოდ-ა, დაა-თრ-ო, და-ვ-ა-თრ-ვ-ე... სიტყვებში ძირია -თრ-, -ავ თემატური სუფიქსია, რომელიც ფუძეს შეერწყა და მომღვენო აფიქსის დართვის შედეგად ფონეტიკურ ცვლილე-ბებს განიცდის: ს-თრ-ოდ-ა-^{*}ს-თრ-ავ-ი-დ-ა³³, და-ა-თრ-ო-^{*}და-ა-თრ-ვ-ა (შლრ. და-ვ-ა-თრ-ვ-ე), და-თრ-ობ-ა-^{*}და-თრ-ვ-ებ-ა.

³³ -ოდ სუფიქსის ეტ-მოლოგიის შესახებ იხ. ეკ. ო ს ი ძ ე, ერთი ტიპის ზმნათა აწყობის ფუძის ავტოკლეზისათვის ქარაულში, კრებულში: ქარაველურ ენათა სტრუქ-ტურის საკითხები, III. თბ., 1963.

თრ-ავ- → თრვ- → თვრ- ფუძე გვაქვს ახალ ქართულში მეტათეზისით.

თრ- ძირი დასტურდება სვანურშიც: ეჩანლო ითრეხ ზედაშს (სვ. ტ. 1, 15,35) „შემდეგ სვამენ ზედაშს“; ეჩეჩუნ გუნ ლითრე ლი კვერწილენ (სვ. I, 6,25) „იქ დიდი სმაა ქორწილში“.

სვანური ლი-თრ-ე 'სმა' სიტყვის თრ ძირი ქართულს დაუკავშირა ა. ჩიქობავამ (შედ. ლექსიკ. გვ. 360), გ. კლიმოვმა ლი-თვრ-ე 'понтъ', ნა-თუნ *напуншннся* და თრ- 'სმა' ძირები (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 95).

გ. კლიმოვი ძველ ქართულში თრ- ძირის პარალელურად თვრ- ვარიანტსაც ასახელებს დამოწმების გარეშე. ავტორისათვის ამოსავალი ჩანს ახალი ქართულის დავი-თვერ- *და-ვ-ი-თერ-ვ. სინამდვილეში ახალი ქართულის დავითვერ მიღებულია -თვრ- ფუძის. ჩამოყალიბების შემდეგ (-თრ-ავ → თრვ- → -თვრ-) აორისტის -ე. სუფიქსის მეტათეზისით ფუძეში გადასვლის შემდეგ: და-ვ-ი-თვრ-ე — და-ვ-ი-თვერ.

-თრ- ფუძისათვის ამოსავალში სმის მნიშვნელობა ივარაუდება³⁴.

7. სუნთქვა

სუნს- ფუძისათვის სუნთქვისა და ყნოსვის მნიშვნელობები რადგან ხშირად ძნელი გასამიჯნავია, ამიტომ მას განვიხილავთ შეგარძნებებში (იხ. გვ. 189).

სულის კუმთა 'სუნთქვა': სულის-კუჭთასა არცათუ მეათესაჲჲმის ნაწილსა დათმენად შემძლებელ ვართ, არამედ მოვიშთობვით ჩუენ-შორისისა მკურვალეებისაგან (ნ. ემეს. 120,19); დრეკს ორღანოთა სულის-კუჭთისათა მყესთა-მიერ (ნ. ემეს. 121,23).

სულ(თ)თქუმა 'ხენემა, ამოხენემა': სულთქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი (ზარზმ. 163,24); უღებებისა მედგრობათაგან ძლეული ვქმობ სულთქუმით (ხანძთ. 7,13); ნეტარი იგი ცრემლორდა სულთქუმით (ხანძთ. 45,9); შეისმინნა ღმერთმან სულთ-თქუმანი იგი მათნი (გამოსლვ. 2,24); დავშუერი მე სულთქუმითა ჩემითა, დავბანე მე მარადის ღამე ცხედარი ჩემი (ფსალმ. 6,7).

სულთთქუმა გამარტივების შედეგად ძვ. ქართულშივე გვაძლევს სულთქუმა ვარიანტს. ახალი ქართულისეული სუნთქვა სულთ-

³⁴ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1964, გვ. 60.

თქუმა კომპოზიციისაგან მომდინარეობს. ამ სიტყვის საინტერესო ვარიანტია დადასტურებული „ვისრამიანში“: ათთასა მიჯნურსა მისი ოდენ სუთქნა დასწუავს (ვისრ. 93,18).

სულ(თ)-ითქუამ-ს 'ობრავეს': ნუ შეორგულდები, ნუცადა სულთ-ითქუამ, რამეთუ მახლობელად მოსვლად არს (სინ. 229,27); სულთ-ითქუმიდეს ძენი ისრაჴლისანი საქმეთა მათგან ფიცხელთა (გამოსლვ. 2,23); აღიხილნა ზეცად და სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას (მრკ. 7,34); სულ-ითქუნა სულითა თვისითა და თქუა (მრკ. 8,12); სულთ-ითქუნეს ყოველთა ღმრთისა მიმართ (სინ. 250,29).

მოიდგნა სულნი, მოუღგნა სულნი 'სული ჩაუდგა, ამოი-სუნთქა; სული მოითქვა': მადლითა ქრისტჴსითა მოიდგნა სულნი და აღდგა (სინ. 250,30); ჭამა და სუა ლელვს კუერი და სკიქი და მოუღგნეს მას სულნი, რამეთუ სამ დღე და სამ ღამშ პური არა ეჭამა (I მეფ. 30,12).

მსგავსი წარმოება გვხვდება მეგრულშიც: შური მიიდგუ 'სული მოიდგა', გადატ. 'სული მოითქვა, გაუუმჯობესდა ცხოვრების პირობები'.

სულნი უკუნისუთნა 'ჩაისუნთქა, სული მოითქვა': მწუხრი-სა ოდენ ჟამსა სულნი უკუნისუნა ყრმამან მან და თუალნი აღი-ხილნა (მოქც. ქართლ. 156,27).

სული ყმიდნი-ს 'სუნთქვას შეიკრავს, გაიტრუნება ხოლმე': ხოლო ისტუანაენ. სული ყმიდნის და განსიყუნის ყოვლად (სახისა სიტყ. 23,10).

ფშვნვაჲ 'სუნთქვა': ყოველნი, რომელთა არა აქუს სასულე, რამეთუ შეუძლებელ ფშვნვაჲ თვნიერ სასულისა (ნ. ემეს. 28,14).

ფშვ-ს ზმნა სუნთქვის მნიშვნელობით ტექსტებში ვერ დავა-დასტურეთ. მეგრული კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ფუშ-ან-ს 'ხენეშის'.

მშვნველ-ი 'სულის მღაფავი': მყის ვიდრემე შთამოვარდების ჰუნით ლალი მარმაროთ, ხოლო მისთანა შთამოიჭრების გარდაკლო-მილი ორენტოსცა და მშვნველსაღა უბადრუკსა წარჰკუეთს თავსა (ორენტ. 314,29).

მფშვნვიერებით-ი: აქუს უკუშ და გულიცა დასაბამად, უფ-როჯს ხოლო მარტხენითი მისი მუცელი, რომელი მფშვნვიერები-თად იწოდების, რომელი მის შორის დანერგულსა და ცხოელობით-

სა მკურვალებასა განუყოფს ყოველთა ნაწევართა სხეულთასა ნას-
ხმანთა მიერ (ნ. ემეს. 113,9).

აღმოიფშვნებ-ს 'ამოიუნთქავს': რომელიმე სასულისაგან დაკლებულა, რომელ არღარა აღმოიფშვნებს აერსა (ნ. ემეს. 60,5); დიდად რაამე აღმოიფშვნა, ერთგზის ხოლო, და მისცა წმიდაჲ სული თვისი წმიდათა ანგელოზთა (ცხ. გ. მთაწმ. 397,14).

აღმოფშვნა-ა 'ამოსუნთქვა': რაჲ სულისა აღმოფშვნა მადლი იქმნების და რაჲ სულისა აღმოფშვნა ბრალი იქმნების ჩუენ შო-
რის (ხანძთ. 7,61); წმიდამან მაქსიმე დასასრულსა უკუნსცა აღ-
მოფშვნაჲ (თეოდ. განგრ. 307,30); ეგულებოდა ესე. არა თუმცა ეხილვა იგი უკანასკნელსა ზედა აღმოფშვნასა (ცხ. პ. კაპეტოლ. 42,1); ევსევოს, უკუანაჲსკნელთა აღმოფშვნათამი მიწვენულმან და აწლა აღსრულებადმან ფიცით ამცნო ყოველთა (ევს. სამოსატ. 145.IX,9); ჟამი რაჲ წუხილთა და ავთა აღმოფშვნათაჲ წარბოდ-
გეს, ზარი მეფობისაჲ წარკდეს (დ. აღმ. 520,37).

აღმოფშვნვილ-ი 'ამოსუნთქული': კუალად აღმოფშვნვილი და გამოთხეული და თვსთავე საზღვართა კუალად გებული (ექუს. 78,22).

შუმინვა-ა 'სუნთქვა': რაჟამს გამოვიდის თევზი წყლისაგან, მოკუდის, რამეთუ არა აქუს მათ შუმინვაჲ, რომლითამცა იყნოსეს ჰაერი ესე (ექუს ილ. აბ. 97,3).

გავრცელებულია შუმინ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები: **მშუმინვიერ-ი**, **მშვნვიერ-ი** 'სულიერი, სულდგმული': ხენი და ნე-
რგნი დაღაცათუ მოძრავად იწოდებიან ძალისათვს ზრდისა და აღორძინებისა მათისა, გარნა არა არიან ივინი ცხოველ, არცა მშვნ-
ვიერ (ექუს. 81,4); იქმნას მშვნვიერი იგი სულიერ და შეიმოსის ხა-
ტი იგი პირველი (გამოცხ. თ. 12,2); აწ დაებადა პირველი ცხოვე-
ლი მშვნვიერი და გრძნობისა ზიარი (ექუს. 81,2); აწ ეგრეცა მე მიგცემ პირველად სულიერსა და მერმელა მშუმინვიერსა (ბალავ. 163,26); განყენებულ იყო მშვნვიერთაგან და ხილისა, ღვინისა და ზეთისა (ცხ. პ. კაპეტოლ. 29,1); წყლისა ქუეწარმავალთა კორცნი დაიბადნეს მშვნვიერნი (რამეთუ ქუეწარმავალნი სამშვნველთა ცხოველთაჲ წარმოაჩინა წყალთაგან) (ექუს. 91,14).

საშუმინველ-ი 'სასუნთქი': არა აქუს მას საშუმინველი, არცა ფილტვ, და ცხოვრების იგი ჰაერთა შინა (ექუს. ილ. აბ. 119,33); სული თქუენი, საშუმინველი და გუამი უბიწოდ მოსლვასა მას უფ-
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსსა დაგმარხენინ (მრავალთ. 316,40); გამოიღეს წყალთა ქუეწარმავალი საშუმინველი, ცხოველი (ექუს.

ილ: აბ. 107,8); ფირტკ, რომელ-იგი არს ჰური აერისა მომყვანებელი ნესტკსა მის მიერ, რომელი შეადგს პირისაგან, და მით მოიზიდავს საშუმინველსა აერისაგან გარეშეშთ (კაც. აგებ. 224,32); იყო პირველი იგი ადამ საშუმინველა ცხოველად, ხოლო უქუანააქსენელ ესე ადამ სულად განმაცხოველებელად (მრავალთ. 311,13);

სამშვნველ-ი 1. სულდგმული: რაჟსათვს გამოაქუს ქუეყანასა სამშვნველი ცხოველი? რაჟთა სცნა განყოფაჲ შორის საშუმინველისა პირუტყუსა და შორის საშუმინველისა კაცთაჲსა (ექუს. ილ. აბ. 109,6); იყოს სამშვნველი გამომღებელად ქორცთა (ექუს. ილ. აბ. 108,12); გამოიღენ ქუეყანამან სამშვნველი ცხოველი თესლად-თესლადი, ოთხფერკნი და ქუეწარმავალნი, და მკეცი თესლად-თესლადი (ექუს. ილ. აბ. 107,3).

2. სულის დგმა, სიცოცხლე: იკურთხოს გუამი შენი, სული და სამშვნველი (მამ. სწ. 19,10); ერთგზის შკდელუსა შინა მიიღებნ საზრდელსა, პურსა ოდენ და მასცა ფრიად მცირესა. რომელიდა ძლით ოდენ შესაძლებელ იყო პყრობაჲ სამშვნველისა მისისაჲ (ღალაქტ. 371,16); ხოლო იყო იგი სიყრმიტგან საღმრთოთა წერილთაგან სწავლულ და თვისისა სამშვნველისაცა უბირატეს მპყრობელ საეკლესიოთა წესთა და შჯულთა სწავლისა (ცხ. პ. კაპეტოლ. 25,26).

უსამშვნველო: უსამშვნველოთა და ნახევარ მკუდართა გარდავლეს მრავალი ჟამი (მაქს. 299,38).

მქშა 'ქოშინი': სულთქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი (ზარზმ. 163,24); მიიწია მსაჯული იგი დიდითა წრაფითა სრბით, ექვთ ვითარცა ცხენი (აპოკრ. 3,19).

ექუ-ა ხომ არაა რაიმე კავშირში სვან. ქუ-ნ 'სული' სიტყვასთან? ასეთი დაშვება სემატიკურადაც და ფონეტიკურადაც შეიძლება. ორივე ენაში -ქუ- ძირი გამოიყოფა ქართ.: სუ-ლ, მეგრ. შუ-რ სიტყვებთან შეპირისპირებით. ექუა სიტყვის სვანურ ჭვინ'თან დაკავშირების შესაძლებლობაზე მიმითითა არნ. ჩიქობავამ.

8. შებრძნებები

ა) ზოგადი სიტყვები

ბრძნობა-ი 1. რაიმე ფიზიკური გაღიზიანების ზემოქმედების განცდა; რისაჲ შეცნობა, შეგნება, მიხვედრა: აწ დაებადა პირველი ცხოველი მშვნვიერი და გრძნობისა ზიარი (ექუს. 81,2); რაჟთამცა ცხოვართა და თხათა იცოდეს გრძნობითა ხოლო მავნებელისა

განრჩევა და განმხრწნელთაგან ცხორებისა მათისათა სივლტოლაჲ (ექუს. 54,11); სადაცა ძარღვ მგრძნობელობითი მიერთხას, იგიცა კერძოჲ გრძნობასა მიითულავს და იქმნების მგრძნობელ (ნ. ემეს. 85,20); ხილულთა-მიერსა გემოვნებასა ვრცლად განუხუენ გრძნობანი (დ. აღმ. 518,11).

მეგრძნე 'ის, ვისაც (ან რასაც) შეგრძნების უნარი აქვს' (ზღრ. მგრძნობელობითი): სმენაჲ კმათა და ბგერათა არს მეგრძნე (ნ. ემეს. 87,15); თანაშეთხზულ არიან შეშაძარღუთად ინონი; ვინაჲ ვიეთ-მე იპაზრნეს იგინი მეგრძნეყოფად, თანაღთხზულთა მათდა ძარღუთა გრძნობისათვს (ნ. ემეს. 118,6).

მგრძნობელ-ი 'ის, ვინც გრძნობს, შეიგრძნობს': სადაცა ძარღვ მგრძნობელობითი მიერთხას, იგიცა კერძოჲ გრძნობასა მიითულავს და იქმნების მგრძნობელ (ნ. ემეს. 85,21).

სასუბიექტო მიმღეობის მგრძნობელ- ფუძიდანა ნაწარმოები ტერმინი მგრძნობელ-ობა-ჲ შეგრძნების უნარის აღსანიშნავად: მგრძნობელობაჲ მისცა მათ შემხებელობისაჲ (ნ. ემეს. 9,7); ხოლო შეგრძნების უნარიანი არის მგრძნობელობ-ით-ი: სადაცა ძარღვ მგრძნობელობითი მიერთხას... (ნ. ემეს. 85,19); განეყოფვის უკუშ ძარღუთა ტენონი ამით, რომელ ყოველი ძარღვ მგრძნობელობითი არს (ნ. ემეს. 118,9).

გრძნობად-ი 'ის, რასაც შეიგრძნობენ': ქსენებისა მათისა მიერ ცისკროვან იქმნების ხილული ესე და გრძნობადი ქუეყანაჲ (ასურ. 3,6); საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე (დ. აღმ. 518,6).

უგრძნულ-ი 'უგრძნობელი': ტენონსა ძულთაგან აქუს დასაწყისი და ძარღუთაჲსა უფიცხე არს და თვთ თვს-შორის უგრძნულ და ოდესმე ბრტყელცა (ნ. ემეს. 118,12); მიფენასა ნათლისასა მყისსა შინა და უგრძნულად წამსა თუალისასა ყოველთავე კიდეთა თვსთა შეიწყნარებს (ექუს. 23,19).

საგრძნო, საგრძნობელი ძველ ქართულში გავრცელებულია შეგრძნების უნარიანი არის მგრძნობელობ-ით-ი: სადაცა ძარღვ ძნოთანი, ვითარ იგი მხედველობაჲ და სმენაჲ და ყნოსაჲ (ნ. ემეს. 80,11); ესე ამისთვის იყო, რათა აკლდეს ცხოველთა უპატიოსნესი იგი საგრძნობელი. ვიტყვთ შეხებასა (კაც. აგებ. 223,1); იბოვა უკუე გამოცნობაჲ ამისი პოვნელ ერთსა ქუეშე საგრძნობელსა, ...რომელ არს გემოჲს-ხილვაჲ, ხედვაჲ და სმენაჲ, შეხებაჲ და ყნოსაჲ (კაც. აგებ. 161,8); გემოჲს-ხილვაჲ თვნიერ შეხებისა ვეროდეს იგრძნობს საგრძნობელსა (ნ. ემეს. 80,14); გულისხმა-გყვიით

მრავალი რამე ერთისა მიერ საგრძნობელისა, რომელ არს სასმენელი (კაც. აგებ. 161,15); ოდესმე შეკრბის ჩუენ თანა მეცნიერებაჲ ერთისაჲ ხოლო საგრძნობელთაგან მრავალთა (კაც. აგებ. 160,29).

სიტყვას საგრძნო ი. პეტრიწთან შემგრძნობის, გრძნობის ორგანოს მნიშვნელობაც აქვს: ხოლო ორდანო საგრძნო გულის-მთქუშელობისა არს ღკლი, ხოლო გულის-წყრომისად გული (ნ. ემეს. 95,23).

ა-გრძნობ-ს 'გრძნობს, იგრძნობს, გაიგებს': ფირტვ არს, რომელი აგრძნობს ცეცხლსა მას გულისასა (კაც. აგებ. 221,28); შეპრისხნა მათ იესუ და ჰრქუა: იგულეთ, ნუმცა ვინ აგრძნობა (მ 9,30 c); ვაგრძნობდ ქორცითა ჩემითა დიდსა სიტფოებასა წყალთა მათ შინა (რავახ. 90,7); ვითარ აგრძნა იესუ, ჰრქუა (მ 25,10); აგრძნა ქსანთიბე ქმრისა თვისისა იგი ზრახვად აგრიპაჲს თანა (სინ. 246,12); ვითარ აგრძნეს შავთა მათ, განიშზადნეს თავნი მათნი ბრძოლად (სინ. 277,31); ამცნებდა მათ ფრიად, რადთა არავინ აგრძნეს ესე (მრკ. 5,43); არა აგრძენ, რად იქმნა (ლ 24,18 c); ნუ აგრძნობნ მარცხენშ შენი რასა იქმოდის მარჯუნშ შენი (ბოლნ. 18,7); აგრძნა ვიდრემე ვითარმედ ცილის-წაშებაჲ იყო საქმე იგი (აბუკ. 33.VII,15); ვითარ აღუსუბუქა საკვრველად მძიმე იგი ურმის თუალი, რომელ აგრძნაცა ვერ ყრმამან მან მციერემან (ცხ. გ. მთაწმ. 406,14); ვერ ვაგრძენით სიგრძოჲ იგი თქუმულისაჲ მის (ექქუს. ილ. აბ. 106,15).

ი-გრძნ-ობ-ს ძველ ქართულში ნაკლებად გავრცელებული ფორმაა. მისი გამოყენების რამდენიმე შემთხვევა დავადასტურეთ სულ: ვერღარა იგრძნობდა ყინელსა ზამთრისასა (ელ. ზღაპრ. III, 22); მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი მისნი, შეეკუნა და იგრძნა მიზეზი მისი (ბალავ. 91,1); იგრძნის გემოჲ იგი მისი (ექქუს. ილ. აბ. 73,2); გემოჲს-ხილვად თვნიერ შეხებისა ვეროდეს იგრძნობს საგრძნობელსა (ნ. ემეს. 80,14).

სასხვისო ქცევის ფორმას უ-გრძნ-ა გაგების, შეტყობის მნიშვნელობა უჩანს: არ გამოცხადდა მათი საქმე და ვერცავინ უგრძნა (ვისრ. 276,6).

ზემოთ განხილულ სიტყვებში ძირია -გრძ-—გრძენ-. ეგევე ძირი გვაქვს სიტყვაში გრძნ-ებ-ა 'ეშმაკთ მოქმედება' (საბა). აქედან გრძნეულ-ი 'ეშმაკურობის მოქმედი' (საბა), და განგრძნდებოდა: ყრმაჲ იგი სამოელ აღორძნებოდა და განგრძნდებოდა წინაშე უფლისა ფრიად (I მეფ. 2,21).

შესაძლოა, არც -გრძენ- იყოს მარტივი ძირი და აქ ფუძეს შე-
ხორცებული -ენ სუფიქსი გვქონდეს.

ბ) ს მ ე ნ ა

მ-სმ-ი-ს 1. სმენის ორგანოთი, ყურით, აღიქვამს (ხმას, ლაპა-
რაკს...): ბრძანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი გან-
წმდებიან, ყრუთა ესმის (ლ 7,22); ყურსა არა ესმის და ენაჲ ვერ
შემძლებელ არს მითხრობად (სინ. 269,30); ჩუენ თვთ გუესჲმის პი-
რისაგან მისისა (ლ 22,71); რომელსა სიტყუაჲ იგი ესმინ, წუთ ერთ
სიხარულით შეიწყნარის იგი (მ 13,20 c); ესმოდა ყურთა მათთა
გინებაჲ (სინ. 259,7); რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ (მ
11,15 c); სმენით ესმოდის და ვერ გულისკმა-ყონ (მრკ. 4,12); მეს-
მა ყურთა ჩემთა (რაჯახ. 88,6); მესმენს სულთ-თქუმანი ძეთა ის-
რაჲლისათანი (გამოსლვ. 6,5).

2. იგებს, ხვდება: მათ არა იცოდეს, ვითარმედ ესმის ყოველი
იგი იოსებს, რამეთუ თარგმანი დგა მათ შოვრის (დაბ. 42,23); არა
მესჲოდა კმაჲ მასწავლელისა ჩემისაჲ და მოძღურებისა ჩემისაჲ,
არცა მივყავ ყური ჩემი (იგაენი სოლ. 5,13); ესმა სიკუდილი პატ-
როკლჲსი (სინ. 250,33).

ესმი-ს ზმნა გვხვდება მი- და შე- პერევერბებითაც, სათანადო
ნიუანსებით: აღიმაღლა კმაჲ ტირილით და ესმა ყოველთა ეგკპ-
ტელთა და მიესმა სახლსა ფარაოჲსსა (დაბ. 45,2); შეესმენს ვედ-
რებანი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძჲ (ლ
1,13); უფალსა შეესემინ ჩემი ღალადებასა ჩემსა მისა მიმართ
(ფსალმ. 4,4); შეგესემინ ლოცვისა ჩემისა (ფსალმ. 4,2).

ა-სმენ-ს (კაუზ. ესმის ზმნისა) 1. ასმენინებს, გააგონებს: ყრუ-
თა აჲმენ და უტყუთა ატყუებს (მრკ. 7,37); სახელი უფლისა მი-
სისაჲ ასმინა ყურთა ჩემთა (მრავალთ. 264,26); მიჩუენე პირი შენი
და მასმინე კმაჲ შენი (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 19,22); ღმერთმან შენი
უბედურობა და ჳირი ნუოდეს მასმინოს (ვისრ. 74,21); ნუცა ასმენ
სასმენელთა ჩუენთა ეგვეითარსა მაგას (ბალავ. 157,11).

2. აბეზლებს: არა მიუგებ, რასა ესენი გასმენენ შენ? (მ 26,62
c); ვითარ ასმენდეს მას მღდელთ მოძღუარნი იგი და მოხუცებულ-
ნი (მ 27,12 c);

ასმენ-ს ზმნა პირველი მნიშვნელობით სამპირიანია, მეორით—
ორპირიანი. უკანასკნელი მნიშვნელობით გავრცელებულია შე-
პრევერბიანი ფორმა ამ ზმნისა: შეგაგლო ცთომასა შენმან პირმან,

შენ შეგასმენენ შენნი ბაგენი (მრავალთ. 257,19); ფრიად შეპრისხ-
ნა შემასმენელთა მისთა, რომელთა-იგი უსამართლოდ შეასმინეს
სუცესი (ლიმონ. 54,29); უშირდეს მას პოვნად რასმე სიტყუასა პი-
რისაგან მისისა, რაათა შეასმინონ იგი (ლ. 11,54); ნუ ჰგონებთ, ვი-
თარმედ მე შეგასმინნე თქუენ მამასა (ი 5,45);

გავრცელებულია შეასმენ-ს ზმნიდან ნაწარმოები სახელები:
შესმენა 'დაბეზლება', შემასმენელ-ი 'დაბეზლებელი', შესმენილი
'დაბეზლებული': შესმენასა მას მდღელთ მოძღუართასა და მოხუ-
ცებულთასა არარაჲ მიუგო (მ 27,12); რასა შესმენასა მოიღებთ
კაცსა ამას ზედა? (ი 18,29); არს შემასმენელი თქუენი მოსე, რო-
მელსა თქუენ ესავთ (ი 5,45); ცეცხლმან შეკამა შემასმენელნი იგი
სამთა ყრმათანი (მამ. სწ. 278,12); მლიქნელთა ძმაუცი სივერაგე
ვითნე და შემასმენელთანი დავიტკებენ ზრახვანი (დ. აღმ. 520,9);
იგიცა, ვითარცა უფროსდა საკუთარი მესაღღუმლე ქრისტესი,
შესმენილ იქმნა (ასტ. ამას. 228,22).

შესმენა სიტყვისათვის არც დღეს გავრცელებული მნიშვნე-
ლობაა უცხო: იცის შესმენაჲ ვედრებისა მათისაჲ, რომელნი ყოვე-
ლითა გულითა ჰხადოდინან მას (ხ. პ. კაპეტოლ. 28,8); ცხადია, აქ
შესმენა შეისმენ-ს ზმნის მასდარია და არა შეასმენ-ს ზმნისა.

ასმიეს, ასმია (სტატ.) 'ჰსმენია, გაუგონია': თუალმან არა იხი-
ლა და ყურსა არა ასმიეს (სინ. 248,39); არა გასმიესა წმიდათა მათ-
გან წინაწარმეტყუელთა...? (სინ. 239,4); მასმიეს, ვითარმედ ოთხას
სასწორის არს (დაბ. 23,15); მასმიეს მე მისი კაცთმოყუარებაჲ,
მასმიეს მისი სახიერებაჲ (ბოლნ. 11,6); ჩუენ გუასმიეს შჯულისა-
გან (ი 12,34); მრავალგზის ასმიოდა სახელი საღმრთოჲსა მის მო-
ქალაქობისა მისისაჲ (კიმ. I, 66,15); მრავლით ეამითგან არა მეხი-
ლვა მამაჲ გრიგოლ, არამედ მასმიოდა (ხანძთ. 42,85); მასმიეს მე
პავლეს მოციქულისაგან (შუშ. 14,10); არასადა ვის ასმია მათგანსა
ქებაჲ ქრისტეანთაჲ (მოქც. ქართლ. 103,2).

უსმენ-ს 'ყურს უგდებს სხვის ლაპარაკს, ნათქვამს': უკუეთუ
ყოველნი ძალნი ცათანი შემოკრბენ და მეტყოდიან ქმნად, არა უს-
მენ, არცა ვიქმ (კიმ. I, 83,36).

ზმნა ფორმით სამპირიანია, სინაპდვილეში კი 2 პირი შეეწყო-
ბა: სუბიექტი და მიცემითიანი ობიექტი, სახელობითის ობიექტი
კი არ ჩანს. ასევეა ჭანურშიც: ოხორჯაქ ჰიქ ვა ნუსიმინუ (ჭან. ტ.
I, 111,19) „ქალმა სრულებით არ უსმინა“, მუელიმი თქვანის ნუ-
სიმინით (ჭან. ტ. I, 26,8) „თქვენს მასწავლებელს გაუგონეთ“.

ისმინა-ა 'სმენის ორგანოთი, ყურით, აღიქვა (ბგერები', გაიგონა, ყური უგდო': უფალმან ისმინა, ვითარმედ ესძულ მე, და მომცა მე ესეცა (დაბ. 29,33); ყურითა მიძიმედ ისმინეს (მ 13,15); ყურადილეთ და ისმინეთ კვისა ჩემისაჲ (ესაიასი 28,23); რომელსა ასხენ ყური სმენად. ისმინენ (მ 13,9); ისმინენით სიტყუანი ჩემნი, ისმინენით. რამეთუ გითხრა თქუენ (იობ. 13,17); რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის (მ 13,20); ყოველსა ჟამსა ისმინი ჩემი (სინ. 60,23); ისმინიან ყვირილი მონადირეთა მათ (სახისა სიტყ. 5,26); მან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე (მ 7,24); ნუუკუე ოხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ (მ 13,15); მო-ლა-ვისმინოთ კმაჲ იგი გურიტისაჲ მის (სინ. 226,31).

შე-ი-სმ-ინა-ა 'გაიგონა': მოიქსენა ღმერთმან რაქელ და შეისმინა მისი (დაბ. 30,22); შეისმინნა ღმერთმან სულთ-თქუმანი იგი მათნი (გამოსლვ. 2,24).

ესმინები-ს (ორპირიანი ვნებითი): ვითარცა ისმინ ნოვაგი იგი სახიობისაჲ, ეგოდენ ესმინებინ და სთნავნ ვიდრემდის შესულბიან (სახისა სიტყ. 2012).

ისმი-ს (ერთპირიანი ვნებითი) 'ყურთასმენამდე აღწევს, გასაგონი ხდება' (არის): ვითარცა ისმინ ნოვაგი იგი სახიობისაჲ, ეგოდენ ესმინებინ (სახისა სიტყ. 20,11); კმაჲ ჰრამათ ისმა ტირილისაჲ და გოდებისაჲ (მ 2,18 D); ესე ნიში არს კმისაჲ მის გურიტისაჲ, რომელი-იგი ისმა (სინ. 226,30); რომელი ბნელსა შინა ჰსთქუათ, ნათელსა ისმეს (ლ 12,3).

განისმა 'ყურთა-სმენამდე მოაღწია, გასაგონი გახდა': ლალადებაჲ შენი ზლუასა შინა ერკორასა განისმა კმაჲ შენი (იერ. 49,21).

სასმენელ-ი 1. (მყ. დროის საობიექტო მიმღეობა) 'გასაგონი': განიხარეს მშობელთა მათთა, რამეთუ სასმენელ ყვნა ღმერთმან ლოცვანი მათნი (ტირიკ. 186,17); გინა მკედრისა ახოვნებაჲ ვინაჲ სასმენელ იქმნას და იდიდოს, უკუეთუ განწყობილთა არა ეკუეთოს მრავალგზის! (ცხ. მთაწმ. 358,14); აქებდით მას კმითა სასმენელითა, აქებდით მას კმითა ლალადებისაჲთა (ფსალმ. 150,5); ხოლო მან განცხადებულად სასმენელად ყოველთა ბრძანა (ცხ. გ. მთაწმ. 394,20); სასმენელად ყოველთა წინაჲსწარმეტყუელა და თქუა (ცხ. გ. მთაწმ. 366,19).

2. ყური (იხ. გვ. 50).

3. სმენა: გულისხმა-ვყვით მრავალი. რაჲმე ერთისა მიერ საგრძნობელისა, რომელ არს სასმენელი (კაც. აგებ. 161,15).

სმენა-ა (მასდ.) 'ერთ-ერთი შეგრძნება, რომლის ორგანოა ყუ-
რი: ორგანიზმის მიერ ბგერის გაგონების უნარი, — გაგონება': ორ-
თა ყურთა სმენა შენთუის უკმარიაო (ვისრ. 170,31); არა იყო კმაჲ,
არცა სმენაჲ (IV მეფ. 4,31); სამნი უკუშ საგრძნოთანი, ვითარ იგი
მხედველობაჲ და სმენაჲ და ყნოსაჲ (ნ. ემეს. 80,12); არა სმენი-
სათვს სიტყუათა ჩემ გლახაკისათა მიეცე ბოროტთა სენთა (ხანძთ.
56,13); მრავალი მაქუნდა ღირსი საკვრველებისაჲ შეძინებად სმე-
ნის მოყუარეთა სასმენელთა (ექუს. 88,14); არა ცუდად დავშუ-
რეთ: მე სიტყვთა და თქუენ სმენითა (აბო 57,25); რომელსა ასხენ
ყურნი სმენად, ისმინენ! (მ 11,15); გუწადის სმენად კმისაჲ მამათ-
მთავრისაჲ ამის (სინ. 110,29).

მსმენელ-ი (სასუბ. მიმლ.) 'ის, ვისაც ესმის, ან ვინც ისმენს':
ვინ შექმნა მსმენელი და ყრუჲ...? (გამოსლვ. 4,11); მრავალი სიტ-
ყუაჲ თქუეს ღღეს და დაშურეს მსმენელნი (სინ. 189,23); ნუუკუე
ვინმე ძნიად მსმენელთაგანმან იკადროს (სინ. 202,3); იხილვებოდა
საკვრველად მხილველთა და მსმენელთაგან (ცხ. გ. მთაწმ. 346,20);
არა მსმენელ არს კმაჲ და არცა მეტყუელ სმენაჲ (კაც. აგებ.
159,26).

მასმენელ-ი (სასუბ. მიმლ. ასმენ-ს ზმნისა) 'ის, ვინც ასმენს':
წმიდა გყოს ჭეშმარიტ წინამძღუარ კეთილისა, თითის საჩუნებელ
მოშიშებითა, ამხილველ ბრმათა, მასმენელ ყრუთა (ბალავ. 56,15).

უსმ-ი 'ის, ვისაც არ ესმის. — ყრუ, ყრუმუნჯი, შეუსმენელი':
კეთილად ესმოდა უსმსა მას (ხანძთ. 45,17); ვიქმენ მე, ვითარცა კა-
ცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაჲ (ფსალმ.
37,15); ხოლო უსმ ექმნა რაჲ და იცნა თავი თვისი, სისრულისაგან
უკუშ განეარდა (ნ. ემეს. 13,3).

ძველ ქართულში ყრუ და მისგან ნაწარმოები ფუძეებიცაა გავ-
რცელებული: წარიყვანეს ბერი კაცთა მათ ყრუესა მის მიმართ და
უსულოესა ღმერთისა მათისა (ცხ. გ. მთაწმ. 365,32); დავყრუვდი,
დავმდაბლდი, დავდუმენ მე კეთილთაგან (ფსალმ. 38,3).

უსმენელ-ი 'ის, ვისაც არ მოუსმენია': ვითარ საღმრთოთა უს-
მენელმან, ვიჩქურენ (დ. აღმ. 519,8).

სმენილ-ი (ნ. დროის საობ. მიმლ.) 'ის, რაც ისმა, გაიგონეს':
სმენილ იყო მათა ჰამბავი იგი (სინ. 277,30); საუკუნითგან არავისდა
სმენილა ვითარცა გამოვიდა მუცლისაგან შვილი თვნიერ მამაკა-
ცისა (კიმ. I, 179,20); პირველ სმენილი ვიხილე თუალითა (ხანძთ.
43,87); კაცთა ხილული სმენილსა უფროეს სარწმუნოდ შეჰრაცხიან
(სინ. 33,11); მარტივად და სულ-მცირედ აღვსწერო არა თუ სხუა-

თავან სმენილი, არამედ... პირისა მისისაგან მოთხრობილი (ცხ. გ. მთაწმ. 340.15).

განსმენილი-ი 'ის, რაც განისმა, განითქვა': რამეთუ განსმენილ იყო მოსლვაჲ ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა და გუქითხვიდა კაცი იგი (ზარზმ. 160.1); ეგრეთვე ამის მოწამისაცა ჰამბავი ყოველთა სასმენელსა განსმენილ არს (ასტ. ამას., 227,33).

მი-სმენილი-ი (ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა მიესმა ზმნი-სა): განთქუმულ იყო სახელი მისი ქუეყანათა შორიელთა, ვიდრემდის მეფეთაცა მისმენილ იყო მისთვის (კონსტ.-კახ. 165,21).

მარტივი ძირია -სემ-. იგი დასტურდება ზანურშიც (შედ. ლექსიკ. 314) და სვანურშიც (ეტიმ. ლექსიკ. 164). ჰან. სიმ-ინ- 'სმენა, გაგონება': ვარ ვისიშინი (მარი 117,3) „ვერ გავიგონე“; ბადიქ ემ სერის ოხორჯას ქონუსიშინუ (ყიფშ. ჭ. ტ. 13,22) „მოხუცმა იმ ლამეს ქალს დაუყურადა, „მოუსმინა“. მეგრ. -სიმ- 'სმენა': მუგდენი ზონარქა მასიმგ (ცაგ. 28,2) „რალაც ხმა მოესმა“; მუგიდარენი ზონარობა ეფერი ისიმედგ ათე ტყასა (ცაგ. 25,2) „რალაც ხმიანობა ისეთი ისმოდა ამ ტყეში“; ათეგურაქ მა მალოლენი, ვა მოკო გემასგმასიევე (ყიფშ. 77,25) „ასეთი რომ მე დამემართა, არ მინდა გაქმემსო“. სვან. -სემ-/-სმინ- 'სმენა, გაგონება': ალე მიჩნასგმ ხნარ შვანისა (ონიან. 86,50) „ეს მას მონასმენი აქვს სვანეთში“, ლი-სმინ-ე 'გაგონება', ლახ-სემ-და 'ესმა'.

ქართულსა და ზანურში დარღვეულია შესატყვისობა ხმოვნებს შორის. ამას თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ხსნიან იმ $[m]$ სონანტფუთიანი სიტყვების ანალოგიით, რომელთაც $\#c-v$ პოზიციონში $[im]$ იმღვერობა მოგვცეს (სონანტთა სისტ. გვ. 121).

განგონება-მ, გაგონება-მ 'შესმენა, სმენის ორგანოთი აღქმა ბგერისა': მოქმედებაჲ ჭურჭერსა ამას შინა მრჩობლი არს. ერთი იგი ყოფისათვის კმისა და მეორე იგი შეწყნარებისათვის გაგონებისა, მომავალისა გარეშტთ (კაც. აგებ. 159,22); რად საკმარ იყო მათთვის სიტყუაჲ, რომელნი-იგი თვთ მებრ გონებისა ზიარებითა ურთიერთარს განზრახვასა განგონებად შემძლებელ იყვნეს? (ექუს. 29,6).

განგონებელ-ი (სასუბ. მიმღ.) 'ის, ვინც გაიგონებს, თუ გაუგონებს, დაუჭერებს': უკუეთუ პირუტყუნი განგონებელ არიან და მცველ არსებისა და ცხორებისა თვისისა (ექუს. 86,35).

გან-გონ-ებ-ა, გან-მ-გონ-ებ-ელ სიტყვებში იგივე გონ- ძირია, რაც გონ-ი-ერ, გონ-ებ-ა, მ-გონ-ი-ეს, ა-გონ-ა, ი-გონ-ებ-ს სიტყვებში გვაქვს.

გონ- ფუძე ამ მნიშვნელობით (შესმენა) დასტურდება ზანურ-შიც (შედ. ლექსიკ. გვ. 262): ქან. ო-გნ-უ 'გაიგონა, გაიგო', ქომუნ-გონ-უ 'მოუგონა'. მეგრ. გე-გონ-უ 'გაიგონა', მნ-გონ-უ 'მოიგონა'.

გ) ყ ნ ო ს ვ ა

ი-ყნოს-ს 'ყნოსვით შეიგრძნობს (რისამე სუნს), — უსუნებს, შეისუნთქავს': ნაწლავი თხელი და ვრცელი, რომელი იგი განწვავლებითა ყისიადთა შეიწყნარებს ჰაერსა და იყნოსს, და შინაგანსა მას მკურვალეებასა ჩუენსა უმწერობს და აგრილობს (ექუს. 81,35); ცხვრ ასხენ და არა იყნოსენ (ფსალმ. 113,14); არმაზ და ზადენ, რომელნი იყნოსდეს სულმყარალობით ათასსა სულსა ყრმისა პირ-მშოდასა (მოქც. ქართლ. 125,37); სურნელებაჲ რომელი იყნოსე, მე არა მომიგიეს ქალაქთა შინა (ილარ. 290,30); არა აქუს მათ შუმინვაჲ, რომლითამცა იყნოსეს ჰაერი ესე (ექუს. ილ. აბ. 97,3); რაჟამს იყნოსი სული მძორისაჲ მენტქუესვე დაიბურნი საყნოსელნი შენნი (მამ. სწ. 159,13); ეგევითარი სული არავის უყნოსიეს (იოვ. ურპ. 118,VI,28).

დასტურდება -ებ თემისნიშნისანი ვარიანტიც აწმყოში: ჰაერსა, — ... მზრდელსა ყოვლისასა, რომელი იყნოსებს მას (ექუს. ილ. აბ. 54,1).

ი-ყნოს-ებ-ი-ს (ერთპირიანი ვნებითი იყნოს-ს ზმნისა): სურნელებაჲ ფრიადი იყნოსებოდა (ცხ. გ. მთაწმ. 361,1).

ყნოსა-ჲ 'სუნთქვა; ყნოსვა': აღავსებნ საყნოსელთა სულნელე-ბაჲ მისი და განამზიარულებნ გონებასა ყნოსაჲ მისი (ლიმონ. 1,14); გულისკმა ყავ, რამეთუ არა არს მათ თანა ყნოსაჲ, არცა ფირტყ, და ყოვლითურთ და ყოვლით-კერძო ცხონდების იგი ჰაერთა შინა (ექუს. 101,1); განუდეს საბელი საყნოსელთა მისთა პირადმდე, რა-ჲთა ესრეთ მცირედ ბოოს ლხინებაჲ ყნოსასა მისსა (კიმ. I, 320,26); ზოლო ზღუჲა იგი დასავალისაჲ ეგრეთვე სახედ ჰყოფს აღწობა-გამოთხოვასა თვისსა, რამეთუ ოდესმე აღემატების და გარდაეცემის, და კუალად გარდაირლუნების და უკუნ დგების, ვითარცა ყნოსი-საგან მთოვარისა ყნოსილი უკულმართ (ექუს. 78,21); ვერ შეუძ-ლებდა დაწებვად ბაგეთა მისთა ყნოსისაგან (კიმ. I, 320,23); საგ-რძნობელსა, ... რომელ არს გემოჲს-ხილვაჲ და სმენაჲ, შეხებაჲ და ყნოსაჲ (კაც. აგებ. 161,11); სამნი უკუშ საგრძნოთანი, ვითარ იგი

წხედველობა და სმენა და ყნოსა... (ნ. ემეს. 80,12); სურვიელ არს ყნოსად წმიდისა ჰაერისა (პეტრ. ახალი 204,18); ფირტვ ჩუენი ასოა არს თხელი და ყნოსითა ყიისაათა მიიღებს ჰაერსა (ექუს. ილ. აბ. 97,6); თანმიიხმარა ცხკრი სულისკუჭთადცა და ყნოსად შემოქმედმან (ნ. ემეს. 122,23).

საყნოსელი-ი 'ყნოსვა; სუნთქვა': მეხუთე გრძნობის-საცავი, რომელ არს საყნოსელი, ბუნებისამიერ მოაზოა (ნ. ემეს. 74,7); ხოლო თევზნი განხუმითა ქიმთათა და შეყოფითა მიიღებენ წყალსა და განუტევებენ, და ესე არს საყნოსელი მათი (ექუს. ილ. აბ. 97,9).

ძველ ქართულში ეს სიტყვა გავრცელებულია ცხვირის მნიშვნელობით (იხ. გვ. 47).

ყნოს- ფუძეს კ. ჰ. შმიდტი შლის -ყნ- ძირად, სადაც ხმოვანს ვარაუდობს ამოღებულად, და -ოს სუფიქსად, რომელიც შეიძლება ფუძის მავრცობი იყოსო, -ყნ- ძირს კი უკავშირებს ლი-კან 'სუნის. ქონა' სიტყვის -კან- ძირს, ხმოვნის სიგრძე მეორეულიაო (შმიდტი, გვ. 141). უფრო მართებული იქნებოდა სვანური კან ფუძის დაკავშირება ქართულ ყარ-ს სიტყვასთან.

ი-სუნ-მბ-ს 'იყნოსავს': ვიდრე აღსლვადმღ მის თავისა ისუნებნ. იფქლისაძი არს. ანუ ქრთილისაა (სახისა სიტყ. 20,45); მოუქდა ლომი ფრიად დიდი მოწაფესა მას მისსა... და ისუნებდა მას. ფერკითვან ვიდრე თავადმდე (კიმ. II, 155,19).

მოისუნებ-ს 'დაყნოსავს': რამეთუ ეძიებნ იგი კუალსა ნადირისასა და რაჟამს პოვის კუალი მისი ფრიად ზლლარკნით, მოისუნენის ადგილი იგი (ექუს. ილ. აბ. 130,2).

შეისუნებ-ს 'დაყნოსავს': მერმე შეისუნეს ურთიერთას (ბალავ-79,36).

ი-სუნ-ებ-ს, მო-ი-სუნ-ებ-ს, შე-ი-სუნ-ებ-ს ნაწარმოებია სიტყვიდან სუნ-ი||სულ-ი 'ნივთიერებათა თვისება, რომელიც ყნოსვით აღიქმება': სული სულნელებისაა გუეცა ჩუენ შორეულთა და მახლობელთა (სახისა სიტყ. 25,35); ყვრილსა მას მისსა, გამოსცის სული საკუმეველთა პირსა მისსა (სახისა სიტყ. 25,28); რავდენ შვენიერ არიან ძუძუნი შენნი ღვინისაგან და სუნი სამოსლისა შენისა უმეტეს საკმეველთა ყოველთა (ქბ. ქბ. 4,10); იყვნედ ძუძუნი შენნი ვითარცა ტევანნი ვენახსა და სუნი ღძილთა შენთა ვითარცა ვაშლი(სა) (ქბ. ქბ. 7,8).

სუნ-||სულ- ფუძიდანაა ნაწარმოები სუნნელი || სულნელი 'სასიამოვნო სუნისა, სურნელოვანი': სასა შენი ვითარცა ღვინო სუნნელი (ქბ. ქბ. 7,9); აწცა სულნელ არს ეკლესია (სინ. 124,7);

აქაცამცა ეცა ჭამადი სულნელი (სინ. 128,28); სავე იყო სულნელთა შროშნითა (სინ. 66,20).

სუნნელეზა-ჲ || სულნელეზა-ჲ 'სურნელეზა': ეცა სულნელეზაჲ სამოსლისა მისისაჲ (დაბ. 27,27); სუნნელეზა ნელსაცხებელთა შუნთა უფროს ყოველთა სუნნელეზათა (ქბ. ქბ. 1,2).

სუნ-||სულ- ფუძე კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს გვაძლევს ზანურსა და სვანურში³⁵. სონორთა ნ:ლ მიმართებაში ამოსვლად ნ ითვლება³⁶. კან. შურ-: ვიშურამ — ვსუნავ, „ვისუნებ“, იშურამს „სუნს იღებს“. ჯოდორი ა-შურ-ს „ძალი სუნავს³⁷. მეგრ. შურ-: ირი კოჩქე შურიში ქალი მეკყვიდღ (ყიფშ. 68,17) „ყველამ სუნთქვა შეწყვიტა“. სვან. ქჷინ<ქუნ 'სული, სუნი': ფათვარს ლემესთე შგდეს ი ეჩა ქუნ ლოქ კან (ონიანი 58,9) „თმებს ცეცხლში ჰყრიან და მისი სუნი დისო“; ეჯარე ლიკედს ქუნუშ ახლელის აგნიშარ (ონიანი 24,9) „მათ მოსვლას სულთ ელიან შინაურები“; ეჩქანლო ქვინი ლტხათე ღვრიხ (სვ. ტ. I, 8,35) „შემდეგ სულის დასაბრუნებლად მიდიან“.

დ) გ ე მ ო

გემო-ღ 1. ერთ-ერთი შეგრძნება, რომლის ორგანოა პირის ღრუს ლორწოვანი გარსი: გემოჲ იგი სიმწარისაჲ დაუშთის (სინ. 109,30); სასამან გემოჲ ცნის ჭამადისაჲ (იობ. 12,11); სასამან გამოიცადის გემოჲ ჭამადისაჲ ნადირთაჲ (ისო ზირაქ. 36,21); მაშინლა ცნის სასამან გემოჲ ჭამადთაჲ (ბალავ. 45,2); მწარე არს გემოჲ სასუმელისა შენისაჲ (მამ. სწ. 220,10); ვითარცა ცოდვაჲ ტკბილ არს გემოჲთა პირსა შინა (გამოცხ. თ. 10,10).

2. გემრიელი რამ, სიტკბოება, განცხრომა: შეურაცხ ჰყვენ შენ გემონი და დაუტევე სიმდიდრე ქუეყანისაჲ (რავახ. 102,8); რომელთა ისმინიან სიტყუაჲ და ზრუნვათაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ (ლ 8,14); გემონი ესე ბოროტნი ამის სოფლისანი არა უმტკიცეს არიან სიზმართა და აჩრდილისა (მამ. სწ. 113,20).

³⁵ Н. Я. Марр, Определение языка второй категории Ахеменидских ПЕРСИДСКИХ надписей по данным флетического языкознания. გვ. 37.

³⁶ გ. როგავა, ფუძის ბოლოკიდურ სონორთა პოზიციური ცვლილებებისა თვის ქართულურ ენებში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1, 1962, გვ. 229.

³⁷ Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, გვ. 207.

ძველ ქართულში გავრცელებულია გემო- ფუძიდან წარმოქმნილი სიტყვები: გემო(ვ)ან-ი 'გემრიელი': ტკბილად გემოვან ჰყოფნ პირსა გემოჲს-ხილვაჲ ნაყოფთა მისთა (ლიმონ. 1,15); ხოლო სხუანი იმღერიან და განსცხრებიან ნესტუებითა და ქნარებითა, რაჲთა კმათა მათთა გემოვნად და უტკივრად თავს ისხნენ წყლულებანი (ელ. ზღაპრ. 1,2); სიკუდილი მართლისაჲ ტკბილ და გემოან არს (მამ. სწ. 139,4).

გემოვნება-ჲ 'განცხრომა, სიტკბოება': ხილულთა მიერსა გემოვნებასა ვრცლად განუხუენ გრძნობანი (დ. აღმ. 518,11).

გემოვნებით-ი 'გემრიელი': არარას გემოვნებითთაგანსა შეეხებოდა არცა რას, რაოდენი განმაპოხებელ კორცთა არს (ცხ. პ. კაპეტოლ. 28,33).

იგემოვნებ-ს 'მოსწონს, გემოვნად მიიჩნევს': იქმნის იგი ჭურ დაქსნილობისა და ჭურჭერ მცონარობისა და იგემოვნებნ ნებასა კორცთასა (მამ. სწ. 235,2); ეყუარებინ გინებაჲ კაცთაჲ და იგემოვნებ სხვსა განკითხვასა (მამ. სწ. 239,28); ნეტარ არს, რომელი არა იგემოვნებდეს სიტყუასა გინებისასა (მამ. სწ. 244,22).

ეგემოვნ-ა 'მოეწონა': რომელთა დაუტკბა აქა მარხვაჲ და ეგემოვნა მღვძარებაჲ (მამ. სწ. 139,1).

გემოჲს-ხილვაჲ 'გემოს შეგრძნება, გემოს გასინჯვა': გემოჲს-ხილვაჲ თვნიერ შეხებისა ვეროდეს იგრძნობს საგრძნობელსა (ნ. ემეს. 80,13); საგრძნობელსა რომელ არს გემოჲს-ხილვაჲ, ხედვაჲ და სმენაჲ, შეხებაჲ და ყნოსაჲ (კაც. აგებ. 161,10); არს უკუშ გემოჲს-ხილვაჲ ბალღამთა მიმთუალველ, ხოლო ორღანო მისდა ენა და ამისი წუჭრი... და ამასვე-თანა ზედაკერძოჲ სასისაჲ (ნ. ემეს. 82,8); განაშორო მისგან სიშავე, და სიგრილე, და სიმძიმე, და სიმტკიცე და მის შორის მყოფნი იგი გემოჲს-ხილვისა სიპოხენი (ექუს. 10,24); ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოჲს ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან (შუშ. 18,18).

გემოჲ იხილა 'გემო გაუსინჯა': გემოჲ არარაჲსაჲ იხილა (შუშ. 17,2); ეჲმსა ჭამისასა იხილა გემოჲ და პოვა, რამეთუ მწარე იყო (კიმ. II, 177,27); ღვნოჲ მთრვალობისაჲ გემოჲვე არა იხილოს (I მეფ. 1,11); არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ (მ 16,28); პურის გემოჲ არა მიხილავს (ქრისტინა 186,16); მისცემენ პირსა საზრდელსა, და კბილნი განსცოხნიან, და სასაჲ გემოსა იხილავს, და კორკი შთააბნევს სტომაქად (მამ. სწ. 176,12).

გემოჲ ახილვა-ა 'გაასინჯა': გემოჲ მახილვე მგბრისა მაგისგან იფქლისა, რამეთუ მოუძლურდი (დაბ. 25,30).

გემოა უჩუენ-ა 'გაასინჯა': გიჩუენო თქუენ მცირედ ოდენ გემოა (სინ. 257,4).

გემოს გასინჯვის მნიშვნელობით ძველ ქართულში გავრცელებულია ზმნის ორგანული წარმოებაც:

აგემა: რომელმან ძუძუთა თვსთა მიერ იესუ ღმერთი აგემა, ეგრე სახედვე სუეტისა მიერ მიპრონსა ჩუენცა გუაგეგე შენ (ნ. გულაბ. 541,30).

იგემებ-ს: წმიდათა დღეთა შინა ორმეოცთასა არა უპირატეს იგემებდა საზრდელსა პირველ ვიდრე მზრდელისაგან საღმრთოდ ტაძრად წარყვანებად (იოანნი 261,30).

გემო ფუძე დასტურდება მეგრულშიც და სვანურშიც. მეგრ. გემუან-ი „გემოიანი“, 'გემრიელი'. სვან. გამ 'გემო': ღვ'ესერ ამგვამ გვამშ ლიმო მარემი ლელვ? (სვ. ტ. I, 328,26) „მერე ასეთი გემრიელიაო კაცის ხორცი?“.

ე) შეხების შეგრძნება

შეხებალოზის მგრძნობელოზაჲ 'შეხების შეგრძნება': მგრძნობელოზაჲ მისცა მათ შემხებელოზისაჲ (ნ. ემეს. 9,8).

შე-ა-ხ-ო 'შიაკარა, დაადო, ახლო': შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა (მ. 9,20); შეახო მას კელი თვისი (მ 8,15); მიყო კელი მისი იესუ, შეახო და ჰრქუა (მ 8,3); მაშინ შეახო თუალთა მათთა (მ 9,29), შე-ხოლო თუ -ვახო ფესუსა სამოსლისა მისისასა, ვცხოვნდე (მ 9,21).

შე-ე-ხ-ო (ორპირიანი ვნებითი შეახო ზმნისა): აბიმელიქ არა შეეხო მას (დაბ. 20,4); შეეხო მას დედაკაცი იგი წიღოვანი ფესუსა სამოსლისა მისისასა (სინ. 227,11); დედალი იგი სხუასა მამალსა არა შეეხის (სახისა სიტყ. 39,8).

შე-ხ-ებ-ა (მასდ. შეახებ-ს ზმნისა): შეიშინეს და ვერ იკადრეს შეხებად კორცთა (სინ. 108,19); ვიხილე თუალითა ჩემითა: და მესმა ყურთა ჩემთა ვიდრე კელისა შეხებადმდეცა (რავან. 88,7). საგრძნობელსა, ... რომელ არს გემოჲს-ხილვაჲ, ხედვაჲ და სმენაჲ, შეხებაჲ და ყნოსაჲ (კაც. აგებ. 161,10); გემოჲს-ხილვაჲ თვნიერ შეხებისა ვეროდეს იგრძნობს საგრძნობელსა (ნ. ემეს. 80,14); ესე ამისთვის იყო, რათა აკლდეს ცხოველთა უპატიოსნესი იგი საგრძნობელი, ვიტყვთ — შეხებასა (კაც. აგებ. 223,2).

შე-ხ-ებ-ულ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, ვინც (ან რაც) შეეხო რასმე': არღარა ნახქი გამოტყფოლვილ და არცა ძელსა მეცნიერებისასა შეხებულ (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 25,60).

მიეხო 'მიეკარა, მიედო': ხოლო ხისა მისგან ცნობისა კეთი-
ლისა და ბოროტისა არა შქამოთ, არცა მიეხნეთ (სინ. 101,29).

ვ) მხედველობა

ხედვა-ღ 'ერთ-ერთი ხუთ-გრძნობათაგანი, რომლის ორგა-
ნოა თვალი; დანახვის უნარი; — მხედველობა': მრავალთა ბრმათა.
მიჰმადლა ხედვაჲ (ლ 7,21, c : მიჰმადლებდა ხედვასა); აცთუნებნ
სიტყუათა პირისა მისისათა, და უქცევნ წრფელად ხედვასა გუ-
გათასა (სინ. 113,7); ხედვით ჰხედვიდენ და არა იხილონ (მრკ.
4,12); თუალნი იაკობისნი დამძიმებულ იყვნეს სიბერიითა და ვერ
ქძლო ხედვად (დაბ. 48,10); ვერ შეუძლე ხედვად მოოკრებასა მის
ადგილისასა (სინ. 279,5); იფქლი ესე შუენიერ არს ხედვად (სინ.
232,19): ...საგრძნობელსა, ... რომელ არს გემოჲს-ხილვაჲ, ხედვაჲ
და სმენაჲ, შეხებაჲ და ყნოსაჲ (კაც. აგებ. 161,10).

ხედვება 'იგივეა, რაც ხედვაჲ': ორთა თუალთა ხედვება.
და ორთა ყურთა სმენა შენთუის უქმარიოა (ვისრ. 170,31).

მხედველობა-ა 'იგივეა, რაც ხედვაჲ': განმინათლე მხედვე-
ლობაჲ სულისაჲ (დ. აღმ. 521,12); არცა შეემთხვა თუალთა მის-
თა მრუმედ-მხედველობაჲ (ხანძთ. 71,4); იხილა რაჲ გონიერებაჲ
ქაბუჯისა მის და შინაგანი მხედველობაჲ (ასურ. 73,1); სამნი უკუშ'
საგრძნობთანი, ვითარ იგი მხედველობაჲ და სმენაჲ და ყნოსაჲ (ნ.
ემეს. 80,11); მხოლოდ მხედველობისა-მიერ ოდენ მივითუალავთ
ფერთა (ნ. ემეს. 78,2).

სიტყვა წარმოადგენს მხედველობ-ს ზმნის მასდარს; რასა
დასდევ სლვისაგან და ჩემდამი ესრეთ მხედველობ? (იოანნი
2633,22); მყის დადგა და მისსა მიმართ სილალით მხედველობდა
(იოანნი 263,20).

მხედვარება-ა, მხედვარეობა-ა 'იგივეა, რაც ხედვაჲ': მე კა-
ცი ვარ მკურნალი და ვხედავ მძიმედ მხედველობასა შენსა (ბალავ.
28,35); ხოლო ინახებნ მხედვარეობაჲ მებრ წრფელთა-მიერ წირ-
თა, იგრძნობს... ფერთა (ნ. ემეს. 77,18); მიითუალნა მხედვარეობა-
მან და განიხილნა, ვითარმედ ვაშლ არს (ნ. ემეს. 80,2).

მხედვარეობა წარმოადგენს მხედვარეობ-ს 'ხედვას, ხედვის
ფუნქციას ასრულებს' ზმნის მასდარს: მეორე შემასრულებელი
თუალისაჲ არს მოქმედებაჲ, რომლითა მხედვარეობს (ნ. ემეს.
37,7).

მხედველობით-ი 1. ის, რასაც დანახვის, მხედველობის უნარი აქვს. ორბებზე გუგასა შინა მხედველობითა შეიკრიბე შენ სივრცე სოფლისაჲ, ნინო (ბულმ. 389, ო).

2. თეორიული: არაადვილ სარაცხ არიან მისნი ღმრთივ სულიერნი და სულთ სარგებელნი... ნაწერნი... ვიტყვ მხედველობითისა და საქმისათა (თეოდ. განგრ. 305,32).

უმხედველო-ა 1. მხედველობის უნარს მოკლებული, — ბრმა: თუალნი სულისანი აქუნდეს ყოვლად უმხედველო (ასურ. 69,5).

2. ის, ვისაც არ უნახავს: „ბრმა-შობილმან ბრმადვე წარვლო“ უმხედველომ თამარისმან (ბ. ეზოსმ. 333,32).

ჰ-ხედავ-ს 'თვლით აღიქვამს, დასანახია მისთვის': ღმერთი არა სიტყუასა ჰხედავს, არამედ გონებასა (სინ. 140,6); რაჲსა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა (მ 7,3); ვხედავ, კაცებსა, ვითარცა ხეთა მიმომავალთა (მრკ. 8,24); ნეტარ არიან თუალნი თქუენნი, რამეთუ ჰხედვენ (მ 13,16); ხატი ესე, რომელსა მხედავთ მე დამოკიდებულსა, მისი გამოხატული არს (სინ. 248,9); რასაცა ხედვედ, იგიცა ჰრწამნ (სინ. 33,12); ჰხედვიდა დაჲ მისი შორით, რაჲთა იხილოს, რაჲ-ძი შეემთხვოს მას (გამოსლ. 2,4); ვხედვედ დამოკიდებულთა ოთხთა კიშტეთა (სინ. 66,16); მე ვხედვედი სიკუდილსა შვილისა ჩემისასა (სინ. 240,13); თუალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლს (ხანძთ. 42,68); ყოველი რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას (მ 5,28); განკურნ(ა) იგი, ვითარმედ ყრუჲ იგი და ბრმაჲ იტყოდესცა და ხედვიდესცა (მ 12,22 c); ხედვით ჰხედვიდენ და არა იხილონ (მრკ. 4,12); სოფელი ესე არღარა მხედვიდეს მე, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე (ი 14,19).

იხედავ-ს (სათავისო ქცევა ხედავ-ს ზმნისა) 'ხედავს თავისას ან თავისთვის': რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა შიდა ძმისა შენისასა და თუალსა შიდა შენსა დკრესა არა იხედავ? (მ 7,3 c); იხედვიდეს ურთიერთას მოწაფენი და ვერ იცოდეს, ვისთვის იტყოდა (ი 13,22); აღიხილნა დაწყნარებულად და იხედვიდა სრულიად ყოველსა (მრკ. 8,25 c);

მხედველ-ი (სასაუბ. მიმღ.) 1. ის, ვინც ჰხედავს: რაჲთა იყოს მხედველ საკვრველებათა მათ (კაც. აგებ. 147,6); რომელმან დაჰბადე მეტყუელი და უტყვ. მხედველი და ბრმაჲ (კიმ. I, 176,9); რომელ-ესე ჩემ თანა სული არს შენი მოყუარჴ, შენი მეტყუელი და შენი მხედველი (სინ. 248,32); ესე არს ნაწილი კაცისა უღმრთოჲსაჲ უფლისა მიერ და მონაგები ნაყოფთა მისთაჲ ყოველთა

მხედველისაგან (იობ. 20,29); ქრთამმან დააბრმნის თუალნი მხედველთანი (გამოსლვ. 23,8).

2. დაძვალეიერებელი, მნახველი: მივიდის მათა, ვითარ მხედველი უცხოა (ოთხმ. 81,36).

მხედვარ-ი (სასუბ. მიმლ.) ის, ვინც ხედავს, — მხედველი: კაცი იგი მენავჭ, რომელი დაეტევა მხედვარად ნავისა მის (სინ. 277,19); შევიდა მეყსეულად ბრმა და გამოვიდა მუნქუესვე მხედვარი (ეფრ. ასურ. 26,21); მონაზონება არს... გონება განათლებული და მხედვარი (კლემქსი 22,29); მიუდრეკელობისა მიერ ვინაჲვე ხელული... და გაგონებაჲცა მხედვარისაჲ... საპარადისოდ აღრთხჷულა (ნ. ემეს. 105,15).

სახედველ-ი 1. თვალი (იხ. გვ. 43) 2. შესახედაობა (შდრ. მიხედვაჲ 3); წმიდამან წარმოიჭკრა რაჲ, იხილა ვინმე სახედველითა ვიდრემე შავი, ხოლო გრძელითა კუკულითა ყოვლითურთ გარემოჲს დაფარული (იოანნი 263,11).

გარდამოხედავ-ს 'ზემოდან ქვევით გადმოხედავს, გამოიხედავს': მოიგრემანნა წარბნი თვისნი და შეიმკო თავი და გარდამოხედვიდა სარკუმლით (IV მეფ. 9,30).

მიჰხედ-ა 'მიიხედა მისკენ': მიჰხედა მათ ყოველთა (ლ 6,10); მიხედა მათ მრისხანედ შეჭუნებულად სიბრმესა მას ზედა გული-სა მათისასა (მრკ. 3,5 c); მაშინ მიხედა სტეფანე ერსა მას და იხილნა გუმულნი იგი ქვისა მისგან (სინ. 60,38); მოვიდენ სუმაღ და მიჰხედონ ცხოვართა მათ კუერთებზსა მას (დაბ. 30,38); მაშინ შეფემან ყოვლად რისხუეულითა თუალითა მიხედნა მას (აბუკ. 34, VIII,1).

მიხედვა-ჲ (მიჰხედავ-ს ზმნის მასდარი) 1. იქითკენ გახედვა: ლიტონ იყო მიხედვაჲ მისი (სინ. 92,12); გარე მიიქცია პირი მისი მოსე, რამეთუ ეშინოდა მიხედვად წინაშე ღმრთისა (გამოსლ. 3,6).

2. ყურადღების მიქცევა, მოვლა, პატრონობა: ნუ გკონინ მიხედვად სნეულთა (ისო ზირაქ. 7,38).

3. შესახედაობა: საშინელ ვარ მე და მიხედვითა ხოლო მსგავს ბრდლუენასა ლომისასა რომელი იგი კმა არს შემაშინებელად თვნიერ ყოვლისა ტანჯვისა — (S—384, 202b, 7).

მიმოიხედავ-ს 'გაიხედ-გამოიხედავს': მიმოიხედვიდა იესუ, რაჲთამცა იხილა, რომელმან ესე ყო (მრკ. 5,32).

მიჰხედ-ა 'აქეთკენ გამოიხედა, ყურადღება მიაქცია': მიჰხედდა ღმერთმან ერსა თვისსა (ლ 7,16 D); რომელმან-მე მწემან მრუმელ მოხედა მას? (სინ. 227,1); მყის მოხედნა მას ღმერთმან (კიმ.

I, 20,29); რამეთუ მრუმედ მომხედა მე მზემან პირველისათვის საცთურისა (სინ. 226,37); შენ ხარ ღმერთი, რომელმან მომხედენ მე (დაბ. 16,13); უფალო, შეწევნად ჩემდა მომხედენ (სინ. 43,30).

მოხედვა-ა (მოჰხედავს ზმნის მასდარი): რამეთუ მოხედვაჲ იყოს მისა ქუხილითა და ძრვიითა (ესაიაჲსი 29,6).

მოხედვა-ყო 'ყურადღება გამოიჩინა ვინმეს მიმართ': რამეთუ მოხედვაყო ღმერთმან ერსა თვისსა (ლ 7,16 ც).

უკმოჰხედ-ა 'უკან მოჰხედა': ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას (შუშ. 20,24).

შთაჰხედ-ა 'ჩაიხედა რალაცაში': შთაჰხედა საფლავსა მას (ი 20,5, ც: შთახედა).

ამგვარად, თვალთ შეგარძნების უნარის გამოსახატავად ქართულში გავრცელებულია -ხედ- ფუძე. იგი რიგ თავისებურებებს ამჟღავნებს: 1. პრევერბთან ჩანს დაკავშირებული ზმნის ღინამიკურობა: ჰხედავს — მაგარამ: მიჰხედავს, მოჰხედავს, შთაჰხედავს... 2. მიჰხედა, მოჰხედა, შთაჰხედა, გარდამოხედავს ზმნები ფორმით სამპირიანებია, რეალურად კი მხოლოდ ორი პირი შეეწყობა: სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში და მიცემითიანი ობიექტი. 3. მიმო-ი-ხედ-ავ-ს ზმნას მხოლოდ სუბიექტი შეეწყობა. სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი აქაც არ ჩანს.

ხედ- ფუძე სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

ხილვა-ა (მასდარი იხილავ-ს ზმნისა) 1. ნახვა, თვალთ აღქმა: იყო ხილვაჲ მისი-ვითარცა ელვაჲ (მ. 28,3); ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას (სინ. 197,25); თუალნი იგი ხილვის მოყუარენი ხოლო განვწმიდნე (სინ. 210,30); თუალნი ღიამსნი უძღურ იყვნეს, ხოლო რაქელ იყო კეთილ ხილვითა და შეუნიერ პირითა (დაბ. 29,17); ჰასაკიაა ხილვითა ჩნდა მრთელად (ხანძთ. 45,2); რომლისა-იგი არა ჯერ-იყო ხილვად პირი მამათაჲ (სინ. 208,28); ვის უნებნ გემოჲს ხილვად კორცთა მისთაგან (სახისა სიტყ. 23,20).

2. შესახედაობა: ნუ გიკვრნ ხილვაჲ ესე ჩემი: რამეთუ ვარ დაშავებულ (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 4,8); ხილვაჲ მისი ვითარცა ღიბანე და ვითარცა ნაძვი რჩეული (ქბ. ქბ. 5,15); ხილვაჲ იგი მისი შეურაცხ. უდარჭს ყოველთა კაცთა (სინ. 229,6); იყო იგი მწითურ, პირითა მხიარულ, გრემან თუალითა, ქმნულ კეთილ ხილვითა (I მეფ. 16,12); კაცი ბრძენი და ძალითა ძლიერი და მკნე და ბჰეკვარ სიტყუთა და შეუნიერ ხილვითა (I მეფ. 16,18); ხოლო იყო ხილვითა დიდ. კორცითა თხელ. ჰასაკითა სრულ (ხანძთ. 2,63).

3. ზმანება: აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ხილვით იოსებს (მ 2,13 D); ვითარცა ვიხილე ხილვაჲ იგი შევეძრწუნდი (რავახ. 82,32).

იხილავ-ს 'მხედველობით აღიქვამს, — უყურებს, ჰხედავს, ნახავს': ნუ გარეუკუნ იხილავ (დაბ. 19,17); ჩუენებასა იხილვიდა (დაბ. 28,12); თუალმან არა იხილა და ყურსა არა ასმიეს (სინ. 248,39); იხილნა ორნი ძმანი (მ 4,18); უკუეთუ ისხნე ცოლნი სხუანი ასულთა ჩემთა ზედა, იხილე, არავინ არს ჩუენ თანა (დაბ. 31,50); იხილენა კიშტენი ეგე? (სინ. 66,27); ვიხილე თუალითა ჩემითა ძილსა შინა (დაბ. 31,10); იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი (სინ. 91,25); უბრალომცა ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ (მ 27,24); სასწაულნი იხილენით თქუენ ჩემ მიერ (სინ. 247,7); უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი და გამოგზარდეთ? (მ 25,37); რომელთა იგი არა ჰრწამს დაფარული, იხილენ აწ ესერა, რომელ ცხად არს (სინ. 259,24); მივიდე და ვიხილო ვიდრე სიკუდილმდე ჩემდა (დაბ. 45,28); გიხილნე თქუენ (სინ. 8,14) ჰხედვიდენ და ვერ იხილონ (ლ 8,10); უთხრობდეს მათ, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი იქმნა ეშმაკეულისა მისთვის (მრკ. 5,19); ზოლო მოძმენი და რომელთა ეხილა იგი პირველად, რამეთუ მთხოველ იყო, იტყოდეს (ი 9,8).

უხილავ-ს 'თვალეზი გახელილი, ღია აქვს': რაჟამს სძინავნ მღკძარქ არიედ თუალნი მისნი. რამეთუ ზქ უხილვედ (სახისა სიტყ. 3,48); თუალნი ზე ეხილნეს³⁸ და ჰხედვიდა არარაჲს (საქმე მცქ. 9,8).

ი-ხილვები-ს (ერთპირიანი ვნებ. იხილავ-ს ზმნისა) 'ჩანს': დღეს ხილული იგი უხილავ იქმნების კაცთაგან, არამედ იხილვების ანგელოზთაგან (სინ. 202,2); იყო იგი სავსე სიბნელითა ვიდრემდის დღქ და ღამქ ერთ სახედ იხილვებოდა (რავახ. 92,27).

მხილვარე (სასუბ. მიმღ. უხილავ-ს ზმნისა) 'ის, რაც გახელილია; ის ვინც ჰხედავს': მომცა მე ნაშობი მუცლისა ჩემისაჲ დაჯდომად საყდართა ჩემთა და მიჩუენა მე თუალთა მხილვარეთა (III ეფე. 1,48); კაცი ბრმაჲ მხილვარედ ვერ ავლინონ (იერ. ებისტ. 36); ხილვა ღმრთისაჲ იხილა ძილსა შინა ზე მხილვარითა თუალითა (რიცხ. 24,4).

მხილველ-ი (სასაუბ. მიმღ. იხილავ-ს ზმნისა) 'ის, ვინც იხილავს (ან იხილა), ნახავს': დასაბამით თუალით მხილველ და მსახურ ექმ-

³⁸ ხელნაწერშია: ეხილენა.

წნეს სიტყუასა მას (ლ 1,2 ც); აჰა ჩუენების მხილველი იგი მოვალს (დაბ. 37,19); მითხარ მე სახელი მხილველისაჲ მის (I მეფ. 9,18); იქმნა ჰასაკითა ათისა წლისაჲ, ხოლო გონებითა, ვითარცა მკოვანი და მოხუცებული იხილვებოდა საკვრველად მხილველთა და მამენელთაგან (ცხ. გ. მთაწმ. 346,19). მისგან ნაწარმოები სიტყუებია **ღმრთის-მხილველი** და **თვთმმხილველი**: **ღმრთის-მხილველთა** კაცთა გამოცხადებასა მღდლობითა დაჰბეჭდა (ხანძთ. 3,32); მუნ ნათლის-ღებასა მას ახალი ელია იყო თვთმხილველ და მსახურ და ქადაგ (სინ. 194,7).

ხილულ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, რაც იხილვების, რასაც იხილავენ': დღეს ხილული იგი უხილავ იქმნების კაცთაგან (სინ. 202,1); იქმნა ღელე გლოვის მტერთა მათ უხილავთა და ხილულთა (ხანძთ. 25,20); ქსენებისა მათისა მიერ ცისკროვან იქმნების ხილული ესე და გრძნობადი ქუეყანაჲ (ასურ. 3,6).

უხილავ-ი (უარყ. მიმღ.) ის, რაც არ იხილვები-ს: გინა ხლო-შაჲ საცხოვართაჲ უხილავი, გინა ყვრილი (სიბრძნე სოლ. 17,18); უფალი უწოდდა მათ უხილავად ბრძანებით (ხანძთ. 30,8).

სახილველ-ი (მყ. დროის საობ. მიმღ. იხილავ-ს ზმნისა) 1. ის, რაც უნდა იხილოს: ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ სახილველად კაცთა (მ 23,5 ც); იქმნა დიდსა შინა უშუერობასა, და იყო საშინელ სახილველად (კიმ. I, 326,31).

2. ის, რითაც იხილავენ, თვალი (იხ. გვ. 43).

აღხილვა 'თვალის გახელა, ახედვა, შეხედვა': ვერ იკადრებდა თუალთაცა ზეცად აღხილვად (ლ 18,13); იყო იგი დაღონებულ და ვერ ეძლო ზე აღხილვად ყოვლითურთ (ლ 13,11).

აღიხილ-ავ-ს (თვალეbs) 'გაახელს, გააღებს, შეხედავს': ბრძანი აღიხილვენ (მ 11,5); აღიხილნეს თუალნი მათნი და არავინ იხილეს (მ 17,8); თუალნი თვსნი ზეცად აღიხილნიან (სინ. 258,30); აღვი-ბილნე თუალნი ჩემნი (მრკ. 10,51).

აღუხილავ-ს 'თვალეbs აუხელს, მხედველობას დაუბრუნებს': მერმე კუალად დაასხნა ქელნი თუალთა მისთა და აღუხილნა (მრკ. მ.25): მე აღიხილნა თუალნი ჩემნი (ი. 9,30); მზის თუალმან მან სიპართლისამან აღვიბილნეს ორნივე თუალნი შენნი (სახისა სიტყ. 2,28).

აღეხილვები-ს (ორბ. ვნებ. აღუხილავ-ს ზმნისა) 'თვალი აეხი-ლება': ვითარ აღეხილნეს თუალნი შენნი? (ი 9,10); შეახო თუალ-თა მისთა და მეყსეულად აღეხილნეს (მ 20,34).

ახილულ-ი (ნ. დროის საობ. მიმლ.) 'ის, ვისაც აუხილეს თვალი': იხილეს მათ ყრმაჲ შობითგანი ახილული და მადიდებელი უფლისაჲ (სინ. 144,6).

განხილვა 'გარჩევა, გარკვევა, განკვერტა': რაჲთა ნახვად მისა და განხილვად და სმენად ზრახვათა მისთა შეუძლოთ (სინ. 15,13).

განიხილა 'დაათვალიერა': უკუეთუ განიხილო ყელი ბალაჰვარისი, იხილო მის თანა ჯუარი (ბალავ. 15,22).

დაიხილავ-ს 'იხილავს, შეხედავს რამეს დაბლა მდებარეს': დავიხილე ყანობირი იგი საზღვრით დიდ-ვაკე, შუენიერ, განსათქუნელ (სინ. 67,32).

მიიხილა 'მიიხედა': მიიხილა აქა და იქი და არავინ იხილა (გამოსლ. 2,12).

მიმოიხილა-ა 'მიიხედ-მოიხედა, თვალი მოავლო': მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრმისათვის გულისა მათისა (მრკ. 3,5); მეყსეულად მიმოიხილეს და არავინ იხილეს (მრკ. 9,8).

მიმოდანიხილა-ა 'დაბლა მიიხედ-მოიხედა, დაათვალიერა': მიმოდანიხილა გარემო მისა მოწაფეთა თვისთა მსხდომარეთა (მრკ. 3,34); წყსეულად მიმოდანიხილეს და არლარავინ იხილეს (მრკ. 9,8 ც).

მოიხილა-ა 1. მოიხედა: ბენიამენ მოიხილა ზურგით კერძო და აჰა-ესერა აღვიდოდა არმური ქალაქისა მისგან ზეცად (მსაჯ. 20,40); ჩემდა მოიხილე, ხუცეს! (სინ. 66,10); მოიხილე ძესა ზედა ჩემსა (ლ 9,38); მოიხილე შეწვენად ჩემდა, უფალო ღმერთო ცხორებისა ჩემისაჲ (ფსალმ. 37,23).

2. დაათვალიერა, იხილა: მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი (ხანძთ. 20,38).

მოახილვა-ა (კაუზ. მოიხილავს ზმნისა) 'აჩვენა, დაათვალიერებინა': განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანძთისაჲ (ხანძთ. 6,64).

მოხილვა-ა 'მონახულება': განიზრახა წარსლვაჲ... და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად (ხანძთ. 12,49).

შეიხილნეს (ურთიერთას) — (ერთმანეთს) გადაჰხედეს, შეათვალიერეს (ერთმანეთი): შეიხილნეს ურთიერთას მოწაფეთა მისთა და შეზრუნდეს (ი 13,22 ც); ვითარცა მრისხანეთა მკლველთა შეიხილნეს ურთიერთას (სინ. 108,23).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხედ-/ხილ- ფუძეები ფონეტიკურ ვარიანტებადაა მიჩნეული ('შმიდტი, გვ. 158).

ნახვა 'ხილვა, თვალით აღქმა': ნახვად მისა და განხილვად და სმენად ზრახვათა მისთა შეუძლოთ (სინ. 15,13).

გამონახვა 'შემოხედვა; გამოძებნა': გამონახვად უც ადგილიცა იგი, სადა მე დამალულ ვიყავ, და მპონ და მომკლან (სინ. 277,9); უბრძანა დადგამა კიბისაჲ... და გამონახვად, უკუეთუ არს ვინმე მის თანა სხუაჲ (ტიმ. ანტ. 398,17); რათა ადგილიცა და საქმენი და წესნი სულიერთა მამათა განზრახვითა და ფრიადითა გამონახვითა ესევეითარნი მოიგნენ (კლემქსი 33,10).

ნახ- ფუძე სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

განცდა-მ 'დანახვა, შეგრძნება, გამოცდა': გამოვიდა დინა- ასული იგი ლიადსი, რომელ უშვა იაკობს, განცდად ასულთა მის სოფლისათა (დაბ. 34,1); ნუუკუე მიცნას მე ეშმაკმან და ვერღარა- მკადროს მე განცდად ვითარცა აღაშსა (სინ. 81,13).

განცაღა-ა 'გამოცაღა': გაღ განცლით განცაღოს იგი და მანცა განცაღოს იგი შემდგომად კუალსა მისსა (დაბ. 49,19).

განიცდი-ს 'ხედავს': ნუ განიცდი პირსა დედაკაცისა მეძვისასა, რაჲთა არა შეჰვარდე მახეთა მათ მისთა (ისო ზირაქ. 9,3); რაჲსა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და ღირესა თუალისა შენისასა არა განიცდი? (ლ 6,41); მე ვხედევდ სარკუმლისა მის გან: და ვჰგებდ: და განვიციდიდ თუ რაჲძი ყონ (რავახ. 82,22); თავსა მისსა ზედა იყო ჭუარი და ფრიად ბრწყინვალეებითა მისითა ვერ განვიციდიდ ხატსა მას მისსა (სინ. 62,3); რაჲთაჲცა განიცადეს ქორ- წინებაჲ იგი უგუნურებისა მათისაჲ (სინ. 208,15); განიცადეთ შრო- შანი, ვითარ-იგი აღორძნდის (ლ 12,27); განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა ჰსთესვენ, არცა მკიან (ლ 12,24); ჰასაკი კაციჲაჲ მართლ მდგომარე არს და ცად მიმართ აღმართებულ არს, და განიცდის, რომელ არს ზედა კერძო ამათ ყოველთა (კაც. აგებ. 154,13); სიმ- რგულს მზისაჲ ვერვინ განიცადის (ევსტ. მცხ. 38,23); ყავ სიყუარ- რული და განმიცადე, თუ ვითარი ვარ? (ცხ. გ. მთაწმ. 355,37); ვი- თარ განიცდიდეს ქურელით შეღმართ, იხილეს კაცი იგი (ბალავ. 50,16).

ძირია -ცად-. სემანტიკურად გამოცდა ამოდის ნახვის შინაარ- სიდან (შედ. ლექსიკ. გვ. 282). ახალი ქართულის განცდა, განიც- დის სიტყვებისათვის ამოსავალია თვალთ შეგრძნების სემანტიკა.

-ცად- ფუძე დასტურდება ზანურშიც. ქან.: ცად- 'ნახვა; გა- მოცდა': ბაბაში ნენა დოფცაღა-ჲა (ქან. ტ. I, 14,4) „მამის სიტყვა გამოვცადო“. მეგრ. ცად- 'ცდა': ფცადი 'ვცადე'; ოცადუ(ნ) 'ცდი- ლობს'.

უ-მზირ-ი-ს 'უცქერის. უთვალთვალებს': ეამ რავედენმე უბან-თა ზედა ყოველსა ყორესა უმზირის (იგავნი სოლ. 7,12); გიჟბრო-ბენ შენ, ვითარმედ დავით გიმზირის მოკლვად (I მეფ. 24,10); გან-მზადებულ ვართ დაფარვად და განრინებად ქორცთა ჩუენთა და ურვათავან ამის სოფლისათა, რომელნი გვმზირიან და გუბრძევანახ ჩუენ (სინ. 110,16); უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათსა განკურნოს იგი (მრკ. 3,2); განვედ და შეუდეგ მას ვითარცა მეკუალე და უმ-ზირდე გზათა მისთა (ისო ზირაქ. 14,23); უკუეთუ ვინმე უმზიროს მოყუასსა თვისსა ზაკუევით (გამოსლვ. 21,14); მრავალნი მოსრულ არიან და უმზირიან განყოფად ძულათა ჩემთავანსა (ქრისტეფ-198,22).

მზირ-ი-ნ: (სტატ.): კაცი ცოდვილი სისხლსა მზირინ (ისო ზი-რაქ. 11,29); მზირინ იგი. რაფთამცა მისტაცა გლახაკსა მიტაცებად გლახაკისა და მიზიდვად მისა (ფსალმ. 9,30).

მზირ-ი 'მოთვალთვალე, ჯაშუში': თუ მზირ მექმნა მე იგი და ვითარცა ლომი სამალველით მდევდა მე განშორებულსა (გოდ. იერ. 3, მშ); ალაგნი ჩემნი განრყუნნა დათუჲმან მზირმან (გოდ. იერ. 3, მზ); წარვიდა მზირად ტყესა მას ხანძთისასა (ხანძთ. 68,18); მექმნნეს მე ვითარცა ლომი განმზადებული ნადირსა და ვითარცა ლეკვ ლომისაჲ რაჲ ზინ მზირად (ფსალმ. 16,12); მზირნი განაჩინნა და მიავლინნა, რაფთა უწყოდის, ვიდრე იგინი მივიდიან (სინ. 245,14); ესვიდეს იგინი მზირთა მათ, რომელნი დაედგინნეს გარემო გაბასა (მსაჯ. 20,36).

მზირ-უჯო 'უჯამუშა, ჩაუსაფრდა': წარვედოთ და მზირ-უყავთ ვენაქოვანსა შინა (მსაჯ. 21,20); მზირ-უყვეს მას და მიავ-ლინნეს მზირნი ორგულნი (ლ 20,20).

მომზირალობა-ჲ: რომელმან ესოდენ შეურაცხყვნა მომზირა-ლობანი ჩემნი (ცხ. პ. კაპეტოლ. 43,15).

ზემოგანხილული სიტყვები **მზირ-** ფუძეს ეყრდნობა. მაგრამ არც ეს ფუძეა მარტივი. არნ. ჩიქობავა მასში გამოყოფს **-ირ** სუ-ფიქსს³⁹. შესატყვისები **მზ-ირ-** ფუძეს სხვა ქართველურ ენებში არ ეძებნება, თუ ზანურ ჯინ- 'ცქერა' ფუძეს არ დაუკავშირებდით. ქ.: **მ-ზ-ირ** — ზან. **-ჯ-ინ**. **ზ**→**ჯ** გადასვლა პრინციპში არაა გამო-რიცხული: შდრ. **ზ-ი-ს** დიალ. **ჯ-ი-ს**, ქ: **ზახ** — ზ: **ჯოხ-** (იხ.) მეგრ. გამკაჭუ კარი დო მინაჯინუ დინახალე ნი... (ხუბ. 3,33) „გამოალო კარი და შიგ რომ შეიხედა“...

³⁹ სახელის ფუძის... გვ. მ?

ახალ ქართულში მზერა-/მზირ- ფუძედრეკადი ზმნაა. ძველ ქართულში ენიანი ვარიანტი ვერ დავადასტურეთ.

ი-ჰვრ-ობ-ს 'უქვრეტს, იცქირება': კაცი უგუნური შეწუდებინ და იქვრობნ სახიდ (ისო ზირაქ. 21,26); ალიწუდებინ და იქვრობნ სარკუმლით მისით (ისო ზირაქ. 14,24); გარეშე მდგომარე ნაპრალსა რაფსაგანმე იქვრობდა და ისმენდა მათსა (ტიმ. ანტ. 50,23); სხვთ აღგილით მივიდეს და იქვრობდეს მას, ჯდა რაფ იგი და ტიროდა (ქრისტეფ. 189,6); ვითარცა იქვრა ბერმან სარკუმელით სენაქისა მისისაფთ და იცნნა იგინი (ლიმონ. 27,14); სარკუმელთაჲჲ მიერ ვიქუროთ (ნ. ემეს. 20,22).

უ-ჰვრობ-ს 'უცქერის': გიხაროდენ სუეტო სანატრელო, რომელი სამარადისოდ ბრწყინვალითა თუალითა უქვრობ წმიდასა კუართსა (ნ. გულაბ. 539,35).

იქვრობ-ს თავისებური ზმნაა: აწმყოს მწკრივებში -ობ სუფიქსს დაირთავს და უობიექტოდ იხმარება, რითაც ენიანი ვნებითს ჰგავს, თუმცა „იგინი იქვრობდეს მას“ არ შეიძლება ვნებითი იყოს, აორისტში სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობს. უქვრობ ფორმაში იგივე ობიექტი მიცემითიან ობიექტადაა წარმოდგენილი, სახელობითში დასმული ობიექტი კი გვაკლია. პირდაპირი და ირიბი ობიექტების მიმართების და ხმოვან თავსართების ფუნქციის საკითხი დგება. იქვრობ მას და უქვრობ მას სინონიმები გამოდის.

ჰვრობა-ჲ (მასდარი იქვრობს ზმნისა) 'ქვრეტა, ცქერა': უგუნურება არს კაცისა ჰვრობაჲ კარით (ისო ზირაქ. 21,27); ჩუენგან ამისი ჰვრობაჲცა შეუძლებელ იყო, არათუ თარგმნაჲ (ექქუს. 114,32); შევიდა იგი შეღვწეულთა მათ თანა მოსუმურთა, რიკვიდა მახობრებლ სეფე-ქალი იგი. რომელი-იგი ჰვრობადცა არა ჯერყო დედათაჲ (სინ. 208,27); რომლისათვის სწადის ანგელოზთა ჰვრობად (კათ. ეპისტ. 51,13).

მ-ჰვრობ-ელ-ი (სასუბ. მიმლეობ.) 'ის, ვინც იქვრობს, მაცქერალი, მზირალი': რამეთუ მრავალ-გზის ეჩუენა მმართველსა, აფქიონისა ზედა მორულებულსა ღამე ღელვისა მოლოდებასა, და კუალად ოდესმე საბლებისა განმრთხმელთა, და აფრისა მოურნეთა, და წინაფთ-კერძო მქვრობელთა სითხისათა (ასტ. ამას. 231,13).

წარმომჰვრობელ-ი: ქუაბი მცირედი პოვა, რომელსა შინა იხილა წარმომჰვრობელად მონაზონი ვინმე (იოანნი 266,23).

გარდამოიქვრობ-ნ 'ზემოდან იცქირება ხოლმე': სარკუმლით სახლისა მისისაფთ უბანთა გარდამოიქვრობნ (იგავნი სოლ. 7,6).

წარმოიქმნა: წმიდამან წარმოიქმნა რაჲ, იხილა ვინმე სახედ-
ველითა ვიდრემე შავი (იოანნი 263,11).

ამავე -ქვრ- ფუძეს ეყრდნობა ქართული **ქურ-ეტ-ა**, დიალ.
ქუჭრუტანა 'პატარა ნახვრეტი, ღრიჭო' (←*ქურ-ქურ-ეტ-ან-ა) და
მეგრ. **ჭვრ-იტ-ე** 'ქუჭურუტანა'. კ—უ მონაცვლეობა ხელს არ შე-
უშლის (მდრ. წკმა — დიალ. წუმა, წკვი — დიალ. წუვი, გვრგვნი—
მეგრ. გურგინი, ნანდკლ — მეგრ. ნანდული...). -ეტ სუფიქსიანი
ქურ-ეტ- ფუძე შედარებით იშვიათია ძველ ქართულში. მასკულა-
თა უჭურეტლის (ვისრ. 71,34); ვისი თუით ძიძასა მოეყვანა მალვით
და სარკუმელთა აჭურეტინებდა მსუმელთა დიდებულთა და რა-
მინს (ვისრ. 94,30); ასპარეზთა მისებრ ვერავინ იმღერდის, ესრე
რომელ ჭურეტასა მისსა შეექციან (ვისრ. 38,20); სასმენელად რა-
მინს ჩანვისა კმა იამებოდა და საჭურეტლად — ვისის პირი (ვისრ.
130,30); მთხრებლად შთამჭურეტელნი... განცვბრდებოდეს (გუ-
ლანხდუხტ. 242,1).

მიადგნა თუალნი 'შეხედა': ნუცა მიადგამ თუალთა შენთა
მას (იგავნი სოლ. 9,20); მიადგნა რებეკა თუალნი თვისნი და იხილა
ისაკ (დაბ. 24,64).

შევეკრტნეს თუალნი 'უცქერის': თეკლა დგა და დუმნა. და
შევეკრტნეს თუალნი და შეხედვიდა პავლეს და ყოვლადვე არას
მიუგებდა სიტყუჟსა მსაჯულსა მას (მარტვ. თეკლ. 103,27); ვიდრე
იგი შევეკრტნეს თუალნი და სტუანვიდა მას, აღდგა მიერ უფალი
და აღმალდა ზეცად (მარტვ. თეკლ. 104,20).

საბასთან შევეკრტა შეცქერაა.

განსთუალავ-ს 'ათვალიერებს': ეძებდა იგი პავლეს და ვიდ-
რე (მიმოიხედვიდა იგი და) განსთუალვიდა ყოველსა მას კაცებსა,
იხილა მან უფალი იესუ ქრისტე (მარტვ. თეკლ. 104,16).

თუალ- ფუძიდან ნაწარმოები ზმნაა.

დ. მატყაულება

ა) ზოგადი სიტყვები

მეტყველების ცნების აღსანიშნავად ძველ ქართულშიც იგივე
ტერმინი გვხვდება, რასაც დღესაც ვხმარობთ — **მეტყუელება-ა**:
ბრძნად მეტყუელებაჲ ვერცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი ოქ-
როჲ რჩეული (ხანძთ. 1,6); რათა გრძლად მეტყუელებითა არღა

საწყინო იქმნას (აბუს. ტბ. VIII, 65); უქმად და უძრავად ორღანო-ნი იგი მეტყუელებისა ჩუენისანი ღუმლისა მიერ შეშათა ზედა დაჰკიდენითა (ცხ. გ. მთაწმ. 401,26).

დანაწევრებული მეტყველება არის ნაწევაროანი მიმორჩუმამა: ნაწევაროანი მიმორჩუმამა შეეხო რამე გაგონებასა და გულის-სიტყუ-ასა, ქადაგადცა შეიქმნა იგი გონებითა მიმოდრეკათამსა (ნ. ემეს. 10,6).

მეტყველების უნარის მქონეა მეტყუელ-ი, პირმეტყუელ-ი და სიტყვერ-ი. მეტყუელი მოსაუბრესაც ნიშნავს ძველ ქართულში: ესერა მწერალნი მშვდნი მეტყუელ ქმნულ არიან მათთვის (სინ. 259,16); რომელნიმე მკმობარე არიან და მეტყუელ, და რომელნიმე მდუმარე და რომელნიმე მგალობელ (ექუს. 94,29); მამხილებლად აქუნდა თვისისა უმჯულოებისა კარაული უტყვ, კაცობრივითა კმითა მეტყუელი (კათ. ეპისტ. 72,16); რომელმან დაჰბადე მეტყუელი და უტყვ. მხედველი და ბრმამ (კიმ. I, 176,9); მოჰუარეს მას ყრუმ და ძნიად მეტყუელი (მრკ. 7,32); მიუგო მეტყუელსა მას და პრქუა (მ 12,48 c); ვერ შემძლებელ იყო სიტყუად, არცაღა თუ ენამ აქუნდა მეტყუელად, არცაღა პირი ეღგა (სინ. 207,14); არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული წმიდამ (მრკ. 13,11).

მეტყუელი შეიძლება იყოს: ღმრთის-მეტყუელ-ი: ნეტარი იოვანე ღმრთისმეტყუელ ითქუმის (სინ. 193,17), ძკრის-მეტყუელ-ი: არსენი კათალიკოზი ნებითა ღმრთისაჲთა კათალიკოზი არს. დ-ძკრის-მეტყუელთა მისთა, რომელთა არა შეინანონ, კდემულ იყვნენ (ხანძთ. 42,78) და წინაწარმეტყუელ-ი: ეკრძალენით ცრუ წინა-წარმეტყუელთაგან (მ 7,15).

პირმეტყუელ: კაცად და პირმეტყუელად დამბადა მე (კიმ. I, 50,11); არა ეგების უტყუთა კმობამ და პირ-მეტყუელთა უმანკოთა დაღუმებამ (სინ. 149,14); წმიდამ საწმისი იყო, რომელ-იგი მწყემსმან პირმეტყუელთა ცხოვართამან შეიმოსა (სინ. 40,22).

სიტყვერ-ი: კაცსა განასაზღვრებენ რამე, საზღვარისა მიერ შემოსწერენ ესრე: „ცხოველი სიტყვერი, მოკუდავი“... „სიტყვერი“ რათა განეყოს უტყუთა (ნ. ემეს. 17,19).

მეტყველების უნარის უქონლობის აღსანიშნავად გვხვდება უტყუება-ჲ: აწ მიიღე უტყუებამ ყრმის შობისათვის წინდად და იყავ მდუმარე (სინ. 27,25); მოვიყვანე ძმ ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ (მრკ. 9,17); მშობელი შენი უტყუებისა-გან განჰკურნე (სინ. 30,5).

მეტყველების უნარს მოკლებულის აღსანიშნავად ოთხ ტერ-
ზინს ვადასტურებთ: უტყვ, უსიტყვ. უსიტყუელ-ი და ვერ-მეტყუ-
ელ-ი:

უტყვ: ვითარ ისმინოს ჩემი ფარაო, რამეთუ მე უტყუ ვარ?!
(გამოსლვ. 6,12); მეყსეულად უტყუ იქმნა და ხვალისა დღე სულ-
ნი წარჰქედეს (ცხ. იოვ. და ეფთ. 54,5); უნდა ამას შემუსრვად და
უტყუ ყოფად სახლი იგი აქაბისი (სინ. 128,2); მას ესუა ასული
შობითგან ყრუმ და უტყვ (ხანძთ. 85,5); მამხილებელად აქუნდა
თვისისა უმჭულოებისა კარაული უტყვ, კაცობრივითა ჯმითა მეტყუ-
ელი (კათ. ეპისტ. 72,16); რომელმან დაჰბადე მეტყუელი და უტყვ,
მხედველი და ბრმაჲ (კიმ. I, 176,9); ვითარცა უტყუმანდა არა აღ-
ლის პირი თვისი (ფსალმ. 37,14); ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა
(მრკ. 9,25); იგი წამს-უყოფდა მათ და დაადგრა უტყუად (ლ 1,22);
ყრუნი და უტყუნი იტყოდეს, მკელობელნი ვილოდეს (მ 15,31);
ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს (მრკ. 7,37); ესე ყოველი სა-
ზიარო კაცთა და უტყუთა არს (ნ. ემეს. 7,5); კაცსა განასაზღვრე-
ბენ რაჲ, საზღვრისა მიერ შემოსწერენ ესრე: „ცხოველი სიტყვერი,
მოკუდავი“... „სიტყვერი“, რათა განეყოს უტყუთა (ნ. ემეს. 17,22).

უსიტყვ: აჰა დიდი და განთქუმული სერაპიონი, ვითარცა უსი-
ტყუ და უქმო იხილვების (ზარზმ. 170,20); მახლობელად არიან ვე-
ლურნი და კნინდა უსიტყუნი კაცნი (თეოდ. განგრ. 305,1).

უსიტყუელ-ი: თაყუანის ეც ბაგასა, რომლისაგან გამოიზარდე
სიტყვთა, რაჟამს იგი იყავ უსიტყუელ (მრავალთ. 300,40); ძალლი
უსიტყუელ არს, არამედ აქუს მას გრძნობაჲ, რომელი შეეტყუების
ძალსა სიტყვასასა... (ექუს. ილ. აბ. 130,28); მეყსეულად დაადგრა
სიტყუა-მეცნიერი იგი მოგუი პირ-უტყუად უსიტყუელად და შეუძ-
რველად ადგილსა მას (იოვ. ხუც. 102,11).

ვერ-მეტყუელ-ი: ენა-ბრკვნვალ ვარ და ვერ-მეტყუელ (ზედაზნ.
192,37).

პირმეტყუელ-ის საპირისპირო ცნებაა პირუტყუ-, მაგრამ იგი
ცხოველის სინონიმად იქცა ძველ ქართულშივე: ქრთილი იგი პი-
რუტყუთა საქმელ არს (სახისა სიტყ. 20,49); საქმელმან და სასუ-
ნელმან დაამდაბლიან კაცი და მიაწიიან სახესა პირუტყუთასა (სინ.
112,11).

ყველა ზემოგანხილული ტერმინი იმდენად გამჭვირვალე ეტი-
მოლოგიისაა, რომ საჭიროდ არ ჩავთვალეთ ამ საკითხზე აქ საგან-
გებოდ შეჩერება, მით უმეტეს, რომ სათანადო ზმნების განხილვი-
სას მაინც მოგვიწევს საწარმოებელ ფუძეებზე მსჯელობა.

ბ) მეტყველების ზმნები

მეტყველების ზმნებში, ჩვეულებრივ, აერთიანებენ ყველა ზმნას, რომლის მიერაც გამოხატული მოქმედება სრულდება სამეტყველო აპარატით დანაწევრებული ბგერების წარმოქმნის პროცესში⁴⁰. ამდენად, ამ ჯგუფში შევა არა მარტო დანაწევრებული ბგერების წარმოქმნის აღმნიშვნელი ზმნა, არამედ ისეთი ზმნებიც, რომლებშიც გადმოცემულია აგრეთვე გამონათქვამის შინაარსი, ან რაღაც ინფორმაცია. ასეთი ზმნების მნიშვნელობაში მთავარია არა მეტყველების ფიზიოლოგიურ აქტზე მითითება, არამედ იმ ინფორმაციაზე, რასაც ეს სიტყვა შეიცავს. მაგ.: აქებ-ს 'დიდებას ასხამს, მის სიკეთეს ამბობს', ყუედრი-ს 'საყუედურობს, მის საყუედურს ამბობს', ქადაგებ-ს 'მალალის ხმით ასწავლის', წამ-ა 'დაადასტურა', ბრძან-ა 'განკარგულება გასცა'... ასეთ ზმნებში გამოვლენილი მეტყველების საერთო სემა არაა ძირითადი. ამიტომ ამ უკანასკნელებს ჩვენ აქ არ განვიხილავთ, თუ არ ჩავთვლით იმ სიტყვებს, რომელთათვისაც ასეთი მნიშვნელობა მეორეულია და ამოსავალში ივარაუდება მხოლოდ მეტყველების აქტზე მითითება, და, აგრეთვე, დაძახების, წოდების მნიშვნელობის მქონე ზმნებს.

ძველი ქართული ენის ძეგლებიდან გამოვლენილი და გაანალიზებულია მეტყველების პროცესის აღმნიშვნელი 90 ზმნა. სხვადასხვა გვარის, ქცევის, კონტაქტისა და ზმნისწინიანი ფორმები ცალკე ლექსიკურ ერთეულებადაა წარმოდგენილი. აქვეა მოცემული მათგან ნაწარმოები ნაზმნარი სახელები და ეტიმოლოგიურად მათთან დაკავშირებული ზოგი სიტყვაც. საერთო ძირის სიტყვები ერთადაა განხილული. უღარდილოდ, ფლაფნა და ჩურჩულება ნაზმნარი სახელების პირიანი ზმნის ფორმები ვერ დავადასტურეთ ტექსტებში. სულ 19 ძირი გამოიყო. ძირებია შედარებული სხვა ქართველური ენების მონაცემებთან.

ზმნურ ფუძეთა ასეთი სიმრავლე, ფორმათწარმოებისა და სიტყვათწარმოების ურთიერთგადახლართულობა ქართულ გრამატიკაში და სიტყვის პოლისემიურობა აძნელებდა ამ ზმნათა სემანტიკურ კლასიფიკაციას. აღნიშნული ზმნები ორ ჯგუფად გავყავით: ნეიტრალურებად და დამატებითი სემანტიკური მახასიათებლის მქონე ზმნებად. დამატებითი სემანტიკური მახასიათებლები შეიძლება იყოს საგნობრივი, ან ემოციური, ანდა ორივე ერთად.

⁴⁰ მაგალითად იხ. В. П. Б а х т н а, К семантической характеристике глаголов речи в русском языке. Материалы по русско-славянскому языкознанию, Воронеж, 1963..

ნეიტრალურს ვუწოდებთ ზმნებს, რომელთა ფუძის მნიშვნელობა განისაზღვრება მხოლოდ მეტყველების აქტზე მითითებით. ასეთებია უბნ-, -თხარ-, -ტყუ-, -თქუ-, -რქუ-, -ზრახ- ძირის ზმნები. მეტყველება ეს ისეთი მოქმედებაა, რომელიც რეფერენტს გარდა გულახმობს თანამოსაუბრესაც (გრამატიკულ ირიბ ობიექტს) და სამოქმედო ობიექტსაც (გარამატიკულ პირდაპირ ობიექტს). მეტყველების ზმნის მნიშვნელობა შეიძლება შეიცავდეს, ან არ შეიცავდეს მიმართებებს ამ ობიექტთან. ამასთან, ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ლექსიკური (უბნობს იგი — თქუა მან იგი), აგრეთვე გრამატიკული საშუალებებით (აღთქუა მან იგი — აღუთქუა მან მას იგი). ამიტომ სიმარტივისათვის მასალა დავალაგეთ მორფოლოგიურ პრინციპზე. სემანტიკური კლასიფიკაციისას ერთი და იგივე ძირის სიტყვები სხვადასხვა ჯგუფში მოხვდებოდა, არც სიტყვის დახასიათება იქნებოდა სრული და ვერც გამეორებებს დავალწევდით თავს.

უბნობ-ს 'ლაპარაკობს': მრავალ ჟამ მარტოდ უბნობდეს ნეტარნი ესჴ (ხანძთ. 55,51); აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად კსნილად უბნობდი (ცხ. იოვ. და ეფთ. 46,1); მეტსა ნუ უბნობ, ჩანგი აილე და ზედა იმღერდიო (ვისრ. 132,6); წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ (ცხ. იოვ. და ეფთ. 71,1); დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა (ცხ. იოვ. და ეფთ. 52,2); მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად (ცხ. იოვ. და ეფთ. 46,2).

ე-უბნ-ებ-ი-ს 'ელაპარაკება': აწ დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობაჲ და ამიერითგან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს (ცხოვ. იოვ. და ეფთ. 29,3); მიერითგან მონასტრისა ძმათა არლარა ვის ეუბნებინ, გარნა თუ უცხოჲ ვინ მოვიდის და მცირედი რაჲმე სიტყუაჲ მიუგის მას (ცხ. იოვ. და ეფთ. 29,6); უნდა კათალიკოზსა, რაჲთამცა მოაქცია იგი ქრისტიანედ და ზედაჲს-ზედა ეუბნებინ (ცხ. იოვ. და ეფთ. 53,2); ჰრომს ოდესმე ვეუბნებოდდე და სიტყუაჲ მოვიდე მეფისათჳს (კიმ. I, 170,29); შევიდიან და ეუბნებოდნიან მას ზემო თქუმულთა ამათ პირთათჳს (ცხ. იოვ. და ეფთ. 29,2).

და-ი-უბნ-ებ-ს 'დაესაუბრება, დაელაპარაკება': მინდა რაჲთამცა ესევითართა პირთათჳს მყოვარჟამ დაგიუბნე (კიმ. I, 78,16); მას თანა კმამალლობაჲ და უწესოჲ გულის წყრომაჲ არა იყო... ტკბილითა და ჰამოჲთა სიტყვთა დაიუბნნის წიგნთაგან და ზეპირით (ცხ.

იოვ. და ეფთ. 68,1); უკუეთუ ზეთი აკლდის, კელარი დაიუბნის და ამცნის განმართებად... შზარეული, დაიუბნის და ჰრქკს (ცხ. იოვ. და ეფთ. 70,6); უკუეთუ დიდი რაამე საქმე არნ გინა სამეფოჲ გინა ბჰისაჲ, ეკლესიას დაიუბნის ძმანი (ცხ. იოვ. და ეფთ. 74,1); თუესა შინა ორგზის და სამ გზის კვრიაკობათა დაიუბნის ძმანი სწავლითა სულიერითა (ცხ. იოვ. და ეფთ. 77,1).

უბნობ-ა-ე (უბნობ-ს ზმნის მასდ.) 'საუბარი, ლაპარაკი': მრავალფერითა სიტყვთა განგრძობილად იყო უბნობაჲ მათი (ხანძთ. 29,22); ეკლესიასა კულა შინა ყოლადვე უბნობასა ვერეინ იკადრებდა (ცხ. იოვ. და ეფთ. 58,7); სხუაჲ კულა ძმათაგანი ყოვლადვე ვერეინ იკადრებნ უბნობასა. მეტრაპეზე კულა და კელოსანნი, უკუეთუ საქიროჲ რაამე საქმე იყვის, იღუმალ დაჩურჩნიან (ცხ. იოვ. და ეფთ. 71,4); არა კელ-ეწიფებოდა ძმათა არცა სენაკსა შეკრებად უბნობისათვის, არცა მონასტერსა შინა უბნობად (ცხ. იოვ. და ეფთ. 66,1); იწყო უბნობად ბერისა ღმრთიესულიერთა წიგნთაგან (ცხ. გ. მწათმ. 372,36).

უბნ-ობ-ს, ე-უბნ-ებ-ი-ს, და-ი-უბნ-ებ-ს ზმნებში გამოყოფილი -უბნ- ძირი იგივეა, რაც გვაქვს სიტყვაში უბან-ი. მეტყველების ზმნის კავშირი ადგილის, ჩვეულებრივ, თავშეყრის, სახელთან ინდოევროპულ ენებში ცნობილია: ბერძნული $\lambda\epsilon\sigma\chi\eta$ 'იაფფასიანი სასტუმრო' — პოლიტიკურ ენაში 'რატუშა; კრება' — 'თათბირი, საუბარი'; გერმანულ ენებში: გუთური $ma\beta l$ 'ბაზარი', $ma\beta ljan$ 'ლაპარაკი', გერმანული $hring, ring$ 'წრე, კრება'; იტალიურში $aringo$ 'სასაუბრო მოედანი', $aringa$ 'საჯაროდ ლაპარაკი'⁴¹. მსგავსი სემანტიკური გადასვლები არც ქართულისთვისაა უცხო: ლაპარაკი უკავშირდება სიტყვას ურაკპარაკ-ი 'ქუჩა, მოედანი, ხალხის შესაკრებელი ადგილი', რომელიც, თავის მხრივ; წარმოადგენს ირანულ ნასესხობას: საშუალო სპარსული $frapadak$ 'მოედანი, საკრებულო', (სომხ. $հրապարակ$)⁴². აგრეთვე სპარსული $كراچا$ 'კრებუ-ლი, კრება' ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია ძველ ქართულში ანჰმან-ი 'ბჭობა, თათბირი', ანჰმნობ-ს 'ბჭობს, თათბრობს', საანჰმნო⁴³ 'საჯაროდ ლაპარაკი': ესე კულა კართა ზედა შეკრებასა ანუ

⁴¹ М. И. Покровский, Семаснологические исследования в области древних языков (Исранные работы по языкознанию), 1959, гл. 93—94.

⁴² შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 190.

⁴³ Н. Я. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, СПб., 1911, лексикони, ანჰმნობა.

მონასტერსა შინა ანჯამანსა ანუ სენაკსა შინა უბნობასა ურგებსა რაფთურთით არავინ იკადრებდა ყოვლადვე (ცხ. იოვ. და ეფთ. 95,6); წადიერად მოელოდეს ყოველნი და მარტოდ ანჯმობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოზისათვის და ვერაჲ დაამტკიცეს სიტყუაჲ მათი (ხანძთ. 42,21); იყო ღედაკაცი სისხლისდინებითა გუემული... ვერ შემძლებელ იყო თვისსა მას სენაკსა საანჯმნო ყოფად. არამედ მღუმრიად სულთქუშით დაალტობდა ფერქთა მისთა ცრემლითა და ითხოვდა კურნებასა (ხანძთ. 53,3).

ქართულში გავრცელებულია უბნობ-ს ზმნიდან ნაწარმოები სიტყვები მო-უბ-არ-ი, ნა-უბ-არ-ი, სა-უბ-არ-ი. ნ. მარი აქ ნ—რ მონაცვლეობას ხედავდა⁴⁴. მოგვიანებით ეს აზრი განავითარა გ. დეტერსმა⁴⁵. ეს შემთხვევა არ გვეჩვენება კარ/კან- ფუძეთა მონაცვლეობის ტიპისად. აქ ჩვენ გვაქვს წყვილელი აფიქსებით ნაწარმოები ფუძეები. ამიტომ აქ ნ თანხმოვანი შენაცვლებული კი არა, ჩავარდნილი უნდა იყოს. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ისეთი ფორმების ჩვენება, სადაც -არ მაწარმოებლის წინ დაცულია ფუძისეული ნ'ც: საუბნარი, სასაუბნარო: გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია (ვ. ტ. 34,4); გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა (ვ. ტ. 35,1).

უ-თხრ-ობ-ს 'უებნება, ეტყვის, უყვება': იხილე, ნუვის უთხრობ (მ 8,4); ქეშმარიტთა საიღუმლოთა კმა-მალლად ვითხრობ შენ (სინ. 7,7); ქალწულნი სიძესა უთხრობენ სახელსა (ქბ. ქბ. 1,3); იგივე ანასტასი მითხრობდა გიორგი დაყუდებულისთვის (ლიმონ. 25,31); ზრახვასა მიმოდებისასა ოთხთა მათ მახარებელთასა უთხრობდეს კეთილსა (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 8,63); ვითხრობდენ შენ და გაუწყებდენ შენ (ესაიამსი 19,12); აღმოვიდა ძმათა მათ თანა და უთხრა, რაჲ-იგი იხილა და ესმა (სინ. 246,26); მან მითხრა ჩუენ ამბა გიორგისთვის დაყუდებულისა და გურქუა (ლიმონ. 25,2); მითხარ ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ მის და აგარაკისაჲ (მ 13,36); აწ ვკთხარ ჩუენ განცხადებულად იესუმსთვის (სინ. 56,10); ყოველნი სასწაულნი უთხრენით (მოქც. ქართლ. 102,3); უთხრნეს რებეკას სიტყუანი ესე ძისა მისისა უხუცესისანი (დაბ. 27,42); მივედით და უთ-

⁴⁴ Н. Я. Марр, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным филологического языкознания, ЗВРАО, т. XXII, 1914, გვ. 70.

⁴⁵ გ. დეტერსი, ნ/რ მონაცვლეობის შესახებ ქართულში. სამეცნიერო ბიბლიოგრაფიული კრებული, 2—3. 1964.

ხართ იოვანეს რომელი გესმის და ხედავთ (მ. 11,4); მითხართ მე ქმრისა ჩემისაჲ (სინ. 228,32); აწ მივიდეთ მისა და მითხრაჲ ჩუენ რაჲ ჟერ იყოს (I მეფ. 9,6); მოზიდნის ნელიად და შტოსა გაიყვანის და მუნ უთხრის ბრძანებაჲ მამისაჲ (ცხ. იოვ. და ეფთ. 58,5); ყოველივე, რაჲცა ექმნა და ეთხრა მისდა წმიდასა დავითს, წარმოუთხრა მან (გარესჯ. 236,5).

თხრობა-ა (მასდ. უთხრობ-ს ზმნისა): ამის ყოვლისა შემდგომად თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა, რომელი წიგნთაგან ვიცი კითხვით და მამისა ჩემისაგან თხრობილსა (მოქც. ქართლ. 126,9); მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა (მ 28,8); ესე და ესე ვიხილე თხრობად შენდა (სინ. 69,3).

თხრობ-ილ-ი (ნამყ. დროის საობიექტო მიმღ.): რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჰეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწათის მოწაფეთაგან მის წმიდისათა (ხანძთ. 1,21).

გვხვდება მი-, მო-, შე-, წარმო- ზმნისწინიანი ფორმები:

მიუთხრა-ა: მიუთხარ მათ, რაოდენი შენ უფალძან გიყო და შეგიწყალა შენ (მრკ. 5,19); მწყემსნი იგი ივლტოდეს ქალაქად და მიუთხრეს ყოველი (მ 8,33); სამართალი წარმართთა მიუთხრნენ (მ 12,18 c; DE: მან მიუთხრას); ვის მიუთხრათ ესე ძკრი, ვის მიუთხრათ თხრობაჲ (ესაიაჲსი 28,9).

მიეთხრა-ა (ენებ. მიუთხრობ-ს ზმნისა): უფალო ამისთვისცა მიგეთხრა შენ. განაღვიძე გონებაჲ ჩემი (ესაია 38,16).

მითხრობა (მასდ. მიუთხრობ-ს ზმნისა) 'თქმა': რომელი ყურსა არა ესმის და ენაჲ ვერ შემძლებელ არს მითხრობად (სინ. 269,31).

მო-გუ-ე-თხრა-ობ-ვ-ი-ს 'მოგვიყვებიან, ჩვენთვის იქნება თქმული'. უკუეთუ შეუნიერებაჲ ერთი რაჲმე არს, რომლითა მოგუეთხრობვის ღმერთი (კაც. აგებ. 167,21); ეზეკიელის მიერ მოგუეთხრა (იბოლიტ., თარგმ. ქბ. 8,100); ჰეშმარიტებისაჲ რომელ მართლად მოგუეთხრა (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 8,5).

მო-მთხრა-ობ-ელ-ი (სასუბ. მიმღ. მოუთხრობ-ს ზმნისა): ხოლო იგინი ვთქუნე ყოვლითა ჰეშმარიტებითა, რომელნი მის სანატრელისა მომთხრობელისაგან მესმნეს (იოანნი 260,11).

შე-უ-თხრა-ა: შჯული შეუთხრა მათ ნეტარმან მან, რაჲთა ევანგელს და სხუანი ლოცვანი აღასრულნოდინ სომეხთა ენითა (კიმ. II, 162,26).

წარმო-უ-თხრა-ა 'უთხრა, უამბო': წარმოუთხრა ესე ყოველი პატრიაქსა ანგელოზმან უფლისამან (გარესჯ. 238,28); ესე წარმო-მითხრა მე ამისათვის, რამეთუ ფრიად შექცეულ ვიყავ კელთ-საქ-

მარსა და უღებ ვიყავ ლოცვისათვის (ლიმონ. 51,8); გხედავ თქუენ, რამეთუ გნებავს სმენად, ვითარ-იგი მოისრნეს მამანი... და მე წარ-მოგიოხრა თქუენ ყოველივე (სინ. 272,15).

თხარ- ფუძეს როცა ხმოვნიანი სუფიქსი დაერთვის, ა ხმოვანი იკუმშება. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ფუძეში გამოყოფენ გაქ-ვავებულ აფიქსებს. დ- (→ თ-) უძველეს კლას-ნიშანსა და -არ სუ-ფიქსს, -ხ- ძირს კი უკავშირებენ ხ-ად-ი-ს 'ეძახის' სიტყვის -ხ ძირს⁴⁶.

თხარ- ფუძე იმითაცაა საინტერესო, რომ სიტყვაში უ-თხარ-ა უ- თავსართს ქცევის გაგება არა აქვს. **თხარ-** ფუძეს ფონეტიკური შესატყვისები ზანურსა და სვანურში არ უჩანს.

ი-ტყვ-ს 'ამბობს': ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვს (მ 12,34); ნუ ჰგონებთ და იტყვთ თავით თვისით (მ 3,9 D) (ც :იტყუთ); ნულა-რა იტყუთ, ვითარმედ... (ლ. 3,8 ც); სიმრავლენი საღმობათანი ნაყ-როვანებისაგან და ფუფუნებისაგან იტყვედ მკურნალნი (სინ. 109,16). განჰქსნდა კრულუბაჲ ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლ (მრკ. 7,35); განვიზრახვედ და ვიტყოდე თავსა შინა ჩემსა (რავახ. 86,9); უკვრდაცა ერსა მას, ჰხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი და უტყუნი იტყოდეს (მ 15,31); არა იტყოდის პირი ჩემი საქმესა კაც-თასა (სინ. 134,19); ყრუჲ იგი და ბრმაჲ იტყოდესცა და ხედვიდეს-ცა (მ 12,22 ც); აწ იტყოდე და გესმოდენ, ვითარცა წინამთ (იოვ. ხუც. 102,19).

ე-ტყვ-ს 'ეუბნება': ჭაბუკო, შენ გეტყვ, აღდეგ! (ლ 7,14); მო-უწოდედ მოყუასთა თვისთა და ეტყვედ მათ (მ 11,17); ასწავებდენ ძეთა ისრაჴლისათა ყოველსა მას რჩულსა, რომელსა ეტყოდა ღმერ-თი მათ კელითა მოსესითა (ლევიტ. 10,11); ეტყოდეთ ყურთა ფა-რაოჲსთა და არქუთ (დაბ. 50,4).

თანა-ეტყვ-ს: ნეფსით მოვიდა მოსიკუდიდ ჭუართა და ესენი თანა-ეტყვან მას (სინ. 194,29).

ა-ტყუ-ებ-ს (კაუზ. იტყვ-ს ზმნისა) 'აალაპარაკებს': ყრუთა ას-მენს და უტყუთა ატყუებს (მრკ. 7,37); მან გატყუას შენ ერისა მი-მართ და იგი იყოს პირ შენდა და შენ ეყო მას ღმრთისა მიერ (გა-მოსლვ. 4,16).

სიტყუა (მასდარი იტყვ-ს ზმნისა) 1. მეტყველება, ლაპარაკი, თქმა: მოიწია მის ზედა გულის სიტყუაჲ, რაჲთა წარვიდეს (ლიმონ. 92,8). ნუცა სიტყუასა ჰყოფთ მათ თანა... რამეთუ სიტყუატკბილო-

⁴⁶ ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიები..., ვგ. 291.

ბითა მათითა და ქენებითა გარდააქცინიან გულნი და გონებანი უჰანკოთანი (სინ. 48,11); შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუა-ყო⁴⁷ მათ მონათა თანა (მ 25,19); ღონჴ სიტყუსაჲ არღარა აქუნდა მეფესა მართლმხილებისა-გან მის წმიდისა (ხანძთ. 20,29); არა ცუდად დავეურეთ: მე სიტყუთა და თქუენ სმენითა (აბო 57,25); კაცი ბრძენი და ძალითა ძლიერი და მკნე და ბჰევეარ სიტყუთა და შუენიერ ხილვითა (I მეფ. 16,18); თუ ვითარნი კრძალვანი უკმან მღდღელობასა და ყოვლად უბრალოებაჲ არა ხოლო საქმით, არამედ გონებითაცა და სიტყუთა (ხანძთ. 3,17); რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუმად: აღდეგ და ვილოდე? (მ 9,5); ვერ კელ-გე-წიფების კეთილისა სიტყუად (მ 12,34); იყავენ ყოველი კაცი მოსწრაფჴ სმენად, მძიმე სიტყუად, მძიმე გულის წყრომად (კათ. ეპისტ. 012,19); იწყეს მათ უცხოთა ენათა, ვითარ სული იგი მოსცემდა მათ, სიტყუად (სინ. 187,24); გამოცხადნენ ყოველთა კაცთა გულის სიტყუანი (სინ. 97,16).

2. ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, — სიტყვა: გკითხო მეცა თქუენ სიტყუა ერთ (მ 21,24 ც); ყოველი სიტყუაჲ უქმი, რომელსა იტყოდინ კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთვის დღესა მას საშჯელისასა (მ 12,36); ცნობადითა მით სათრომელითა სიტყუსაჲთა სამ ათასნი სულნი მონადირნა ცხორებად (სინ. 189,34); სიტყუთ ხოლო ბრძანე, და განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი (მ 8,8); რომელნიმე სიტყუთა შეამკობენ და რომელნიმე ფიცართა გამოჰხატვენ (სინ. 116,1); ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე (მ 7,24); რაჲთა დაუბრკოლებელად შთავიდოდინ სიტყუანი მათნი გულთა თქუენთა (სინ. 257,7); არა ცუდად რას დავღუარავთ სიტყუათა ამათ (სინ. 218,20); სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო (მ 12,37).

3. სული: ივლტინ სიტფოჲ იგი ყოველთაგან კიდეთა გუამისათა და შეივტინ სიღრმესა მას, რომლისაგან სიტყუაჲ იგი განეშოვრის და მკუდარი დაუტევის (სინ. 119,11).

სიტყუა აქტიური ფუძეჲ ძველ ქართულში. მისგან ნაწარმოებია ახალი ფუძეებო:

⁴⁷ სიტყუა-ყო ამ ადგილის დამოწმებით ივ. იმანიშვილს განმარტებული აქვს როგორც ანგარიშის გასწორება (ქართული ოთხთავის სიმჟონია-ლექსიკონი ა. შანიძის რედაქციით, 1949).

მსიტყველობ-ს 'მეტყველებს': გალობანი..., რომლისა თავნი წითელა ასომთავართანი მსიტყველობენ (ს. სვგ. 546,6).

სიტყუაქელოვან-ი 'მქვერმეტყველი': იყო იგი ფრიად სიტყუა-ქელოვან (ხანძთ. 42,89).

სიტყუა-მეცნიერ-ი: მეყსეულად დაადგრა სიტყუა-მეცნიერი იგი მოგუი პირ-უტყუად უსიტყუელად და შეუძრველად ადგილსა მას (იოვ. ხუც. 102,10).

სიტყუა-პოვნიერ-ი 'ენამახვილი': იყო იგი ფრიად გონიერ და სიტყუა-პოვნიერ (ბალავ. 125,6).

სასიტყუელ-ი 'სალაპარაკო; დასაციინი': მე ვიქმენ სასიტყუელ მათა (გოდ. იერ. 3, ძგ); აწ ესრა ქნარი მათი მე ვარ, და მე სასიტყუელად ვაქუ (იობ. 30,9); დამდევ მე სასიტყუელად თესლებსა შოვრის და საცინელ მათა ვიქმენ (იობ. 17,6).

სიტყუა[ს] უგებ-ს 'პასუხობს', სიტყვს მიგება 'შეპასუხება': ესრჷთ სიტყუას უგება მდღელთ მოძღუარსა? (ი 18,22); არცალა სიტყუასა მიუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ (მ 26,62); სიტყუა-უგებდა მათ გულითა მწუხარითა და ჰრქუა (სინ. 275,7); ვერვინ უძლო მას სიტყვს მიგებად, არლაცა იკადრა ვინ მიერ დლითგან კითხვად მისა არლარა (მ 22,46).

იტყვ-ს ზმნის სასუბიექტო მიმღეობის ფუძიდან ხელახლა ნაწარმოებია მეტყუელებ-ს: მსგავსად შეძლებისა ჩუენისა ვმეტყუელებდეთ (კიმ. I, 176,21). ამ უკანასკნელისაგან კი სიბრძნის-მეტყუელებ-ს და წინაწარმეტყუელებ-ს||წინაწარმეტყუელობ-ს||წინააღწარმეტყუელებ-ს: აწ სულელნი სიბრძნის-მეტყუელებენ (ხანძთ. 1,5); არა სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელებდით და სახელითა შენითა ეშმაკთა განვასხემდით... (მ 7,22); კეთილად წინააღწარმეტყუელებდა თქუენთს ესაია და თქუა (მ 15,7 c); ყოველივე წინაწარმეტყუელი რაჟამს პასაკსა თვსსა მოიწიის, მაშინლა მადლსა მას წინაწარმეტყუელობნ (სინ. 207,6); ორგულნო, კეთილად წინაწარმეტყუელა თქუენთს ესაია და თქუა (მ 15,7); წინაწარმეტყუელა მათთს მეშვდემან ადამისითგან ენუქ (კათ. ეპისტ. 101,14).

მეტყუელებით-ი 'ზეპირი, სიტყვიერი': მაშა უძლიერესმცა არს მარტავი იგი სარწმუნოებაჲ მეტყუელებითთა წამებათა (ექუს. i2,32).

გავრცელებულია აღ-, გამო-, მო-, შე-, წარმო- პრევერბიანი ფორმები:

აღიტყუა 'მეტყველების უნარი დაუბრუნდა, ამეტყველდა'-მსწრაფლ ხოლო სიბრძნით აღიტყუა უტყვ იგი (ხანძთ. 45,17); ვი-

თარცა აღიტყუა ყრმა იგი, უმეტეს ხოლო დაუკრდა ყოველთა (კიმ. I, 154,10).

აღეტყუა-ა 'ამეტყუელდა, ალაპარაკდა': აწ იტყოდე დე გესმოდენ, ვითარცა წინაჲთ... მაშინ მოგვ იგი აღეტყუა და შეინანა და თქუა შეცოდებაჲ იგი წინაშე ეპიტანესა (იოვ. ხუც. 102,20); წარიყუანე ეგე სახიდ შენდა, მუნ აღეტყუას (კიმ. I, 310,30).

აღატყუა-ა 'აალაპარაკა, მეტყველების უნარი, შესაძლებლობა მისცა': სიტყვთა აღატყუე ყრუ იგი და უტყვ (ზარზმ. 171,9).

გამოიტყვ-ს 'ამბობს, წარმოსთქვამს': წინაჲსწარ სიბრძნითა გამოიტყვს იგავთა (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 1,24); სული წმიდაჲ არს რომელი გამოიტყოდა სამებასა (იბოლიტ. თარგმ. ქბ. 1,21).

გამომეტყუელ- (სასუბ. მიმღ. გამოიტყვ-ს ზმნისა) „ნათლად მთქმელი“ (საბა): ჩუენებაჲ ვიხილეთ და გამომეტყუელ არავინ არა მისა (დაბ. 40,8); ჰაერთა ზედა მავალად შერაცხილ ვიქმნე (ზეცი)-სა ძალსა გამომეტყუელი (სინ. 25,15); უთხარ ესე გამომეტყუელთა ამათ და არავინ არს, რომელმანმცა მითხრა მე (დაბ. 41,24).

მოიტყვ-ს: გზასა იადონისებრითა კმითა მრავალფერთა სიმღერათა მოიტყოდა (ვისრ. 143,29); მოიტყოდა, ვითა ქირისა-უფალი, მოსთქუმიდა (ვისრ. 262,12).

შეეტყუები-ს 1. შეესიტყვება, შეეკამათება: ვინ თქუნგანი შეეტყუების მე ცოდვათათჳს? (ი 8,46); ესმა მას კჳაჲ ვითარცა ცოლისა თვისისაჲ... არამედ ბოროტი ეშმაკი შეეტყუებოდა მას (კიმ. I, 298,6); დადადებდა და შეეტყუებოდა წილი იგი და შესწამებდა (სინ. 106,19).

2. შეესატყვისება, შეჰგავს, შეენის: დაწერონ წიგნი მაგიერი, ვითარცა შეეტყუების შურსა მას მისსა (დამასკ. 151,28). აღილო მცირედი რაჲმე ევლოგიაჲ, რომელი შეეტყუებოდა კაცთა მათ (ზარზმ. 156,12).

შეტყუება (მასღარი შეეტყუები-ს ზმნისა) შეეკამათება: აწ იუენცა აღვიარებთ წიგნთა მათ და წინააღუდგებით შეტყუებასა მათსა (ბალავ. 48,13); ღმერთი არს, რომელი განჰმზადებდა და შეტყუებით ამხილებდა ამით სახითა და საქმითა განსწავლიდა წინაწარმეტყუელსა მას (სინ. 106,30); არა თუ მე ვიკადრებ წინაწარმეტყუელთა შეტყუებად, არამედ უფალი იგი მათი და ჩუენი იეპუ ქრისტჳ იტყვს (სინ. 85,36).

წარმოიტყვ-ს 'წარმოსთქვამს': ხილულთა ამათ და კორციელთა დასაბამისა წარმოიტყვს (ექუს. 7,8).

აქ ჩვენ ტყუ- ფუძის გამოყენების მხოლოდ ის შემთხვევები განვიხილეთ, როდესაც თქმის მნიშვნელობა გვაქვს. ძველ ქართულში კი დასტურდება სემანტიკურად განსხვავებული სიტყვების წყება, რომლებიც ტყუ- ფუძეს ეყრდნობიან:

ა) მო-ა-ტყუ-ებ-ს 'მონიჭებს': ცნობაჲ ამისი არამცირედსა-სარგებელსა მოატყუებს მსმენელთა (ტიმ. ანტ. 95,26); შენ საუკუნესა მას სატანჯველსა მოატყუებდი გმობითა (სინ. 215,4); ეკრძა-ლებოდე საქმესა, რომლისა დასასრული ბოროტსა მოგატყუებდეს და ურვითა დაგიბეჭდვიდეს საქმეთა შენთა (ბალავ. 87,17); მომაკუ-დავებისა მის წილ მოგატყუა უკუდავებაჲ (სასულ. რეჟ 79); მომ-რუშემან ნაკლულევანებითა გონებისაჲთა წარწყმედაჲ თავსა თვისსა-ნოატყვს (იგავნი სოლ. 6,32); თმენამან ჳირისამან მოატყვს გვრგვნი ცხოვრებისაჲ⁴⁸ (წარტყუნ. იგ. 7).

მო-ე-ტყუ-ებ-ი-ს (ვნებ.) 'მოენიჭება': ჳუარი არა იქადაგებო-და პირველ და ყოველი სოფელი სიკუდილსა დაეპყრა, ხოლო აწ ჳუარისა ქადაგებითა სიკუდილი უკუდავებად და ცხოვრებად საუ-კუნოდ მოგუეტყუა (სინ. 234,11). მაგრამ მო-მა-ტყუ-ებ-ელ- 1. მა-უწყებელი, შემტყობინებელი: მძულს ნიჳი ზღვევისა მომატყუებ-ელი (სინ. 118,5); ჳუარი ამის ყოვლისათვის ჩუენდა მომატყუებელად აღემართა (სინ. 234,33); მუნ გურიტნი უდაბნოსა შინა ყოფნი, ჳლუმინველნი და ჳაფხულისა მომატყუებელნი (სინ. 76,16).

2. მომნიჭებელი: ვიხილოთ, რავდენსა კეთილსა მომატყუებელ გუექმნა ჩუენ ჳუარი ქრისტჳსი (სინ. 233,11); რომელთა იგი მსოფ-ლიოჲსა სიბრძნისა გარდამეტებულებაჲ უძკრესისა საშეჯელისა ექ-მნეს მომატყუებელ (ექუს. 5,8).

მო-ა-ტყუ-ებ-ს რიგის სიტყვათა სემანტიკური ანალიზი ცხად-ყოფს, რომ აქაც ტყუ- ფუძისათვის ამოსავალია თქმის მნიშვნე-ლობა.

ბ) შე-ა-ტყუებ-ს 'შეიტყობს' (სამპირიანი ფორმა): აწ შევატ-ყუა და წარმოგიდგინო ესე ყოველი შენ წინაშე (ფსალმ. 49,21); გვედრებით შენ, რაჲთა ჩუენცა გულისხმა-ვყოთ და შევატყუათ-სიტყუაჲ თქუმულთა მაგათ შენთა (სინ. 239,27).

შე-ტყუ-ებ-ა-ჲ (მასდ. შეატყუებ-ს ჳმნისა) 'შეტყობა', შეუტ-ყუებელ (უარყ. მიმლ. შეატყუებ-ს ჳმნისა) 'ის, რასაც ვერ (ან არ) შეიტყობენ': რამეთუ მონისაჲ მის მონათა მიერ არს მეტყუებაჲ, ხოლო ძისა მადლი მონათა მიერ შეუტყუებელ არს (სინ. 86,3).

⁴⁸ დამოწმებულია ივ. ჳავთარაძის მიხედვით, იხ. დ-და რ- თავ:ართები ქარ-თულ ჳნებში, უნივერსიტეტის შრ., 30—31b. 1947, გვ. 448.

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია იტყუ-ი-ს და შე-
ვ-ი-ტყვ-ე (ძვ. ქართულით: შე-ვ-ატყუ-ე) სიტყვათა -ტყუ- ძირის
იგივეობა⁴⁹. ოლონდ ნ. მარი პირველად შეტყობის მნიშვნელობას
მიიჩნევდა: „ვიტყუ ‘говорио’ собственно значит „осведомляюсь
по лицу или устам“, отсюда [პირ]მეტყუელი говорящий, Слукв.
„осведомляющийся лицом || устами (პირი), პირ-უტყვ безсловесный
„не осведомляющийся лицом || устами“.

ივ. ქავთარაძის სამართლიანი შენიშვნით „ვიტყობ“ის გაგებით
ამ ზმნის ხმარება ჯერ კიდევ იშვიათია. თანდათანობით ვითარდება
და ჩვეულებრივი ხდება ახალ ქართულში.

ბ) ეგვივე ტყუ- ძირია ტყუ[ვ]- ფუძეშიც: უწყის ქრისტემან,
რამეთუ არა ვტყუვი (რავახ. 90,17); ზეთი იგი გამოსტყუა (წარ-
ტყუენ, კთ 2); სახეტკიბლებითა შეიტყუვებენ სულთა დაუმტკიცე-
ბელთა (სახისა სიტყ. 21,41); პირველი იგი ქალწული ევა მარტოჲ
სამოთხესა შინა უსუსური გონებითა შეიტყუვა გუელისაგან (სინ.
21,33); ესმ ბრძანებაჲ უტყუველი აღუსრულა ქრისტემან ნეტარსა
გრიგოლს (ხანძთ. 36,17); იტყოდა ღმერთშემოსილი იგი უტყუე-
ლითა მით პირითა (ზარზმ. 168,13); რომელი ჭამდა პურსა ჩემსა,
მან განადიდა ჩემ ზედა შეტყუილი (ფსალმ. 40,10).

„კაცთა ზილული სმენილსა უფროჲს სარწმუნოდ შეპრაცხიან“
(სინ. 33,11) და, ალბათ, ამიტომ ჰეშმარიტი „თვალთ ნახული“ და-
არქვა ხალხმა ნამდვილს და სიყალბის აღსანიშნავად მეტყველების,
თქმის გამომხატველი ფუძე გამოიყენა.

ტყუ- ფუძე დასტურდება მეგრულშიც: მა ქიბტყუქგ, დო
იყინ და ვარჲ, — ჯარი ვა მოქე (ცაგ. 82, XIV) „მე კი ვიტყვი, და
იქნება თუ არა, — ჯავრი არა მკირს“; ბტყვებულენქ ‘ვტყობილობ’;
შივტყვენქ “შევიტყობ”; სიტყვა: ჯიმუშ მათხუალიშა ჯიმუ ვე
მგგაჩენდა, იშენ ჯიმუამი სიტყვა ქუუწი (ყიფშ. 178,17) „მარილის
ძთხოვნელს მარილს თუ ვერ მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთ-
ხარი“.

ივ. ქავთარაძის აზრით ტყუ- ← დ-ყუ-, სადაც დ- ნივთის გრა-
მატიკული კლასის ნიშანია, ყუ-ს კი უკავშირებს სევანურ სიტყვას

⁴⁹ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка. Л., 1925, გვ. 204, § 238; ივ. ქავთარაძე, დ- და რ- თავსართები ქართულ ზმნებში, უნივერსიტეტის შრო., 30—31 ბ, 1947, გვ. 447; Г. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 184.

ყვლე 'იძახის, ამბობს'⁵⁰. ჩიქი მგრა ზარს ყვლებ (სვ. ტ. I, 7,24)
„ჩერ მოზარენი ზარს ამბობენ“.

კ. ჰ. შმიდტი ტყუ- ძირს თქუ-ს მეორეულ ვარიანტად თვლის, შესაძლებლად მიაჩნია მისი დაკავშირება სვანურ -ყლ- ძირთან და წინაქართულშიც ვარაუდობს ქ-ს ექსპრესიული ვარიანტის ყ-ს არსებობას (შმიდტი, გვ. 115).

თქუ-ბ 'სიტყვიერად გამოხატა, გადმოსცა აზრი, თქვა': ოდეს თქუა მოსლვაჲ? (სინ. 228,34); უკუეთუ იგინი თქუნა ღმრთად (ი 10,35); შენ ხარ, რომელმან სთქუ საქმედ ესე (სინ. 73,11); თქუეს გულსა მათსა (მ 21,38); რაჲ თქვან ჩემთვის კაცთა, ძისა კაცისაჲ ყოფაჲ? (მ 16,13); მარიამ, დამან მოსტყმან, ქნართა თქუას (სინ. 230,34); ხოლო იგინი ვთქუნე ყოვლითა ჰეშმარიტებითა, რომელნი მის სანატრელისა მომთხრობელისაგან მესმნეს (იოანნი 260,10); უქალაქო ვთქუნეთ იგინი, ანუ ყოვლისა სოფლისა მოქალაქე? (სინ. 116,15); თქუ სიტყვით, და განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი (ლ 7,7); მაგას ჰკითხეთ, გასრულებულ არს, თვთ თავისა თვისისათვის თქუნ (ი 9.21 c).

ითქუმი-ს (ერთპირიანი ვნებითი თქუ-ა ზმნისა) 'იაქმება': სადაცა იქადაგის სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელცა-ესე იყო, საკსენებელად მაგისა (მ 26,13, c :ითქუას); ისმინე, ასულო, რომელნი პირველთაგან შენთვის წინაწარმეტყულებით ითქუნეს (სინ. 7,4).

ათქუმევ-ს, ათქუმევიანებ-ს (კაუზ. თქუა ზმნისა): ნაძეთა მათ ქუეშე დაადგინა იგი... და ათქუმია სამგზის (მოცქ. ქართლ. 134,17): ვერრაჲ სხუაჲ ათქუმია (ლიმონ. 67,6); გულსა სხუა გიცს და ენასა სხუასა ათქუმევ (ვისრ. 179,13); ჩუენთვის შენდობასა ათქუმევდენ (ქრონიკ. II, 135,29); ანუ მოკუდეს, ანუ გრძნეულობა და მჩხიბაობა ათქუმევიანის (ვისრ. 158,19).

თქუმა (მასდარი თქუ-ა ზმნისა) 'თქმა': დადგა წინაშე ჩემსა იგივე უფალი საკვრველი გამალიელ, თქუმით შემრისხნა და მრქუა (სინ. 67,6); რაჲ უადვილე არს თქუმად: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი (მ 9,5 c); არცა შემეშინა თქუმათა მათგან წმიდისა თევდორტსთა (რავახ. 85,32).

⁵⁰ ივ. ქ ა ვ თ ა რ ძ ე, დ- და რ- თავსართები ქართულ ზმნებში, უნივერსიტ. შრ., 30—31 b, 1947, გვ. 7—8.

თქუმულ-ი (ნ. დროის საობ. მიმდ.) 'ის, რაც ითქვა, თქმული, წათქვამი': რაფთა ჩუენცა გულისხმა-ვეოთ და შევატყუათ სიტყუაჲ თქუმულთა მაგათ შენტა (სინ. 239,28).

უთქუამ-ს (საობ. ქცევა — თქუამ-ს ზმნისა) 1. ემუქრება: აჰა-ესერა ძმაჲ შენი გითქუამს შენი მოკლვად (დაბ. 27,42); ტანჯვასა და გუემასა და სიკუდილსა უთქუმიდა მთავარი იგი (სინ. 117,40); ავთ თავადი უთქუმიდა და სასტოოდა, რაფთამცა დაათქა იგი (სინ. 105); უთქუმიდა ესავ იაკობს, ძმასა თვსსა, კურთხევისა მისთვს... და თქუა ესავ გონებასა თვსსა... მე მოვკლა იაკობ (დაბ. 27,41); ვიდრე-იგი დგა და მითქუმიდა მე ჩუენებასა მასვე შინა მივიტაცე ქალაქად (სინ. 67,12).

2. როცა სუბიექტად გულ-სიტყვა გვაქვს, მაშინ თქმა ნდომას, სურვილს ნიშნავს: კუალად გულმან მითქუა ლოცვად ადგილთა წმიდათა (სინ. 266,12); მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა გული უთქუმიდა ხილვად რომელსა თქუენ ჰხედავთ, და ვერ იხილეს (მ 13,17).

გავრცელებულია მეტ-ნაკლები სემანტიკური გადახრით თქუ-ძირიდან ნაწარმოები ალ-, აღმო-, გან-, გამო-, მო-, შე- ზმნისწინიანი ფუძეები:

ალთქუ-ა 'წარმოთქვა (პირობა), დაჰპირდა': მიგცე შენ აღნათქუენი, რომელ აღთქუნეს ბაგეთა ჩემთა (სინ. 71,16).

აღითქუ-ეს 'შეჰფიცეს, პირობა დადეს (ერთმანეთს) შეჰპირდნენ': აღითქუეს ურთიერთას აღთქუმაჲ (დაბ. 21,27). საინტერესო შემთხვევაა: ფორმით ორპირიან ზმნას რეალურად სამი სახელი შეეწყობა.

აღუთქუამ-ს 'ჰპირდება': მე აღგითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღნითქუა მამამან ჩემმან სასუფეველი (ლ 22,29); აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულად დრაჰკანი დღესა შინა (მ 20,2); რომელი აღუთქუა კაცმან ფიცით (ლევიტ. 5,4); არა დრაჰკანი ერთი აღგითქუ შენ? (მ 20,13); აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად (ლ 22,5); ესჲ აღმითქვთ, რომელ ჩემდა სიკუდილმდჲ არა განჰმრავლდეთ ადგილსა ამას შინა (ხანძთ. 6,95); ესე აღმითქუამს ღმრთისა, რაფთა წარვიდე მე მუნ (ლიმონ. 49,31).

აღთქუმა-ჲ (მასდარი აღთქუამ-ს, აღუთქუამ-ს ზმნებისა) 'დაპირება': მოქანებად აღთქუმაჲ თვისი წმიდაჲ (ლ 1,72 c); არა სტირსირცხვლისა მის გარდარეულებასა, საქმესა მას ჯერკუალსა და სასყიდელისა მის აღთქუმასა და მიკდასა (სინ. 209,35).

აღთქუმა-ყო 'დაჰპირდა, პირობა დადო': აღთქუმა-ყო მოქმედ-
თა მათ მიმართ თითოჯ სატირი დღისა (მ 20,2 c); აღთქუმა-ეყო ჰუ-
რიათა მათ (ი 9,22 c).

აღნათქუემ-ი 'დანაპირები': შევიდღე სახლსა შენსა მსხუერპლი-
თა და მიგცენ შენ აღნათქუემნი ჩემნი (სინ. 71,15); მოიკსენენ
უფალმან ყოველი მსხუერპლი შენი და აღნათქუემი შენი მან სათ-
ნო იყავნ (ფსალმ. 19,4); მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემ-
თა შეწირვად (შუშ. 22,24).

აღმოთქუ-ა 'წარმოთქვა': ფიცით აღმოთქუა და იტყოდა (სინ.
127,26); აღვლო პირი ჩემი და აღმოვთქუა ქებაჲ (სახისა სიტყ.
42,26); აღმოვთქუათ ერთობით ჩუენ და თქუენ: დიდებაჲ მამისაჲ
და ძისაჲ... (სინ. 114,3); აღმოთქუან და იტყოდინან სიცრუევსა
(ფსალმ. 93,4); ამერითგან მოვაქციო აფრაჲ სიტყვსა ჩემისაჲ და
საეკლესიონი სიტყუანი აღმოვთქუნე (ცხ. გ. მთაწმ. 402,11).

აღმონათქუამ-ი (ნამყო დროის საობ. მიმღ. აღმოთქუა ზმნისა):
აწ ჩუენ ყოველთა წინამდებარე არიან დღითი-დღე საკითხავად
ყოვლად ტკიბლისა მის ენისა მისისა და კეთილად შეტყუელისა აღ-
მონათქუამნი (ქსიფ. 238,31).

განთქუამ-ს 'საქვეყნოდ იტყვის, ცნობილს გახდის': განთქუან
სახელი თქუენი ვითარცა ბოროტთაჲ ძისათვს კაცისა (ლ 6,22);
დამტყიცებულად და დაუბრკოლებელად განვთქუა გამოცხადებისა
თქუენისათვს (სინ. 67,11).

განითქუმები-ს (ვნებ. განთქუამს ზმნისა) 'საქვეყნოდ ითქმება..
ცნობილი გახდება': განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მან ასურეთ-
სა (მ 4,24); მადლი მამისაჲ და ძისაჲ და სულისა წმიდისაჲ განით-
ქუას (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 1,23).

განსათქუმელ- (მყ. დროის საობ. მიმღ. განთქუამ-ს ზმნისა)
'საქვეყნოდ სათქმელი': მივედ და დავიხილე ყანობირი იგი საზღვ
რით დიდ-ვაკე, შუენიერ, განსათქუმელ (სინ. 67,32).

გამოთქუამ-ს 'ამბობს, წარმოთქვამს': რომელი-იგი მან გამოთ-
ქუა, ჩუენ ნუმცა შეურაცხ-ვკყოფთ უფლისა ჩუენისა იესუ ქრის-
ტჳს მიმართ (სინ. 231,5); რომელი იყო წიალთა მამისათა, მან გა-
მოთქუა (ი 1,18).

გამოთქუმაჲ (მასდ. გამოთქუამ-ს ზმნისა): აწ იხილე მახარე-
ბელისაჲ იგი ქეშმარიტად გამოთქუმაჲ (სინ. 97,38).

გამოთქუმელ-ი (უარყ. მიმღ. გამოთქუამ-ს ზმნისა) 'ის, რა-
საც ვერ გამოთქვამენ': არს საიდუმლოჲ ესე მიუწოდომელ, უხილავ-

უცვალეზელ, გამოუთქმელ, მღუმრიად თაყუანის-საცემელ (სინ. 23,9); პირი მტკივანი და საღმობაჲ გამოუთქუმელი (სინ. 119,8).

მო-ს-თქუ-ამ-ს 'მოთქვამს': მოიტყოდა, ვითა ჭირისა-უფალი, მოსთქუმდა (ვისრ. 262,12).

შეითქუ-ნ-ეს 'შეითქენენ': შეითქუნეს არამ და ეფრემ თანად (ესაიაჲსი 7,2); ესე ყოველნი შეითქუნეს ღელესა მას მარლოანსა (დაბ. 14,3); უკუეთუ ორნი თქუნთაგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოველისავეთჳს საქმისა (მ 18,19).

შეთქმულ-ი (ნამყო ღროის საობიექტო მიმღეობა): შეთქმულ იყვნეს ჰურიანი (ი 9,22).

ამრიგად, თქუ- ფუძის ძირითადი მნიშვნელობა „აზრის სიტყვიერად გამოხატვა“, გარდამავალი ზმნა თქუ-ა პირველი სერიის მწკრივებში უპრევერბოდ არ იხმარებოდა. პრევერბის დართვასთან და ლინგვისტური გარემოცვის შეცვლასთან დაკავშირებულია სემანტიკური გადახრები (შდრ.: აღთქუა, განთქუა, შეითქუნეს...).

I სერიის ფუძე ეწარმოებათ, პრევერბიანების გარდა. სასწვისო ქცევის გარდამავალ და ვნებითი გვარის ზმნებს -ამ სუფიქსის დართვათ. საინტერესოა ნამყო ღროის საობიექტო მიმღეობის აღნათქუ-ემ-ი ფუძეში -ემ სუფიქსის გამოვლენა, რომელიც უფრო ძველ ვითარებას ასახავს⁵¹.

თქუ- ფუძე დასტურდება ზანურშიც. იგი ქართულიდან შესულად ივარაუდება⁵². ჰან.: კონქშიში (მალთეში) ოხორის დოთქუ (ყიფშ. ჰ. ტ. 30,10) „მეზობლის ოჯახში თქვა“. მეგრ.: ძალამი ჳგირია თქუ ბოშიქ (ხუბ. 2,29) „ძალიან კარგით თქვა ბიჭმა“.

თქუ- ფუძის შეპირისპირება ქართულისავე ჰ-რქუ-ა და სვანურ რწქჳ || ლწქჳ 'თქვა', ხწქჳ 'ჰრქუა', ლწ-ქჳ-ნსგ 'თქმა' (მასდარი თქუ-ა და ჰ-რქუ-ა ზმნებისა) სიტყვებთან შესაძლებლობას იძლევა ძირად მხოლოდ -ქუ- გამოიყოს. ხოლო თ-←ღ- ფუძეს შეხორცებული პრეფიქსია⁵³. სვან.: ლაჲრაკი ჰა ხრქვა მიჩა ჰაშიშდ (ონიან. 72,29) „საარაკოდ უთქვამს მისი ქმრისათვის“; აღ ქართულ ლწქ-ჳნს ლწქვენხ მწრმე წყება არა მარე (ონიან. 21,17) „ამ ქართულ

⁵¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ზმნის ფუძის საწარმოებელი ზოგი სუფიქსის იტგორიული ფარდობისათვის, ენათმეც. ინსტ. და ხელნაწ. ინსტიტუტის გაერთ. საშეც. სესია, 1961, 14, 15, 17, აპრ. თეზისები, გვ. 6—7.

⁵² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, თსუ შრ, XXV, 1942, გვ. 147.

⁵³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. შრ.; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დ-და რ-თავსართები ქართულ ზმნებში. თსუ შრ., 30—31ბ, 1947.

სალაპარაკოს იტყვიან მეორე წყება რვა კაცი“; ამლა მწ შიდ ზომხა ლადელ ვარა ლქქმს (ონიან. 17,8) „ამიტომ არ შეიძლება კალანდის დღეს უარის თქმა“; ხეწად ალა მიჩა დიწ ლებნარს ი რაქქ (სვ. ტ. 1, 288,2) „დაინახა მისი დედის მძივები და თქვა“.

გ. კლიმოვი სვანურ -ქუ- ფუძეში ქართულ თ-ს კორელატთანხმოვანს დაკარგულად ვარაუდობს და თქუ- მიაჩნია მარტივ ფუძედ (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 96).

ბ-რძუ-ბ 1. უთხრა: იესუ მიუგო და ჰრქუა მათ (მ 11,4); ხოლო მან მრქუა მე (სინ. 240,6); კითხვად არქუ მოყუარეთა ჩუენთა სახელით (კათ. ეპისტ. 97,15); აწ მარქუ ჩუენ (მ 22,17); არა გეტყოდეა თქუენ და გარქუ (დაბ. 42,22); ხოლო მათ ჰრქუეს (მ 2,5); ეტყოდეთ ყურთა ფარაოხსთა და არქუთ (დაბ. 50,4); ვჰრქვ ამას: წარვედ და წარვიდის (მ 8,9); მას ჟამსა შინა ვჰრქუა მათ (მ 7,23); მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელებლით (მ 7,22).

2. უწოდა: თქუენ გარქუ მეგობარ (ი 15,15); ჰრქუეს მას სახელი იესუ (ლ. 2,21 c); არღარა გრქუა თქუენ მონა (ი 15,15 c); არავინ არს ნათესავსა შენსა, რომელსა ჰრქვან სახელი ეგე (ლ 1,61); მუნ აღაშწნეს მონასტერი დედათაჲ, რომელსა აწ ჰრქვან გუნათლის ვანი (ხანძთ. 2,76); იესუ, რომელსა ჰრქვან ქრისტე (მ 27,17).

ამ მნიშვნელობის გამოსაყოფად შეიძლებოდა ფორმალური წესიც დაგვედგინა: თუ პირდაპირი ობიექტი ერთგვარ დეფინიციას წარმოადგენს ირიბი ობიექტისას, მაშინ ზმნა ნიშნავს „უწოდა“, თუ ასეთი მიმართება არაა, მაშინ — „უთხრა“.

ერქუმ-ი-ს (ორპირიანი ვნებითი ჰრქუ-ა ზმნისა): უყუარს... ზირველ მოკითხვად უბანთა ზედა და რადთამცა ერქუა კაცთაგან: მოძლუარ! (მ 23,7); ჰაბუი, რომელსა სახელი ერქუა ბასილი (კიბ. II, 164,4); იყო ვინმე მაშინ ჰყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ისუ ბარაბაჲსი (მ 27,16); არავინ არს ნათესავსა შენსა, რომელსამცა ერქუა სახელი იოჰანე (ლ 1,61 c); ერქუნ მაგას იოჰანე (ლ 1,60 c); ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძლუარ (მ 23,10).

ირქუამ-ს (სათავისო ქცევა ჰრქუა ზმნისა) ‘დაირქმევს, თავის თავს უწოდებს რამეს’: ხოლო თქუენ ნუ ჰირქუამთ თავთა თქუენთა მოძლუარს (მ 23,8 c); მოძლუარს ნუ ირქუამთ თავთა თქუენთა (მ 23,10 c).

რქუმა (მასდარი ჰრქუ-ა ზმნისა) 1. თქმა ვინმესთვის რაიმის: რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუმად: აღდეგ და ვილოდე? (მ 9,5);

2. წოდება, დარქმევა: უყუარნ... მოკითხვაჲ უბნებსა ზედა და რქუმად მათდა კაცთაგან: მოძლუარ! (მ 23,7 c); თუალს-უყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-მე უნდეს სახელი რქუმად მისა (ლ 1,62 c);

მი-ჰ-რქუ-ა 'შეუთვალა': წარსცა ბერისა და მიჰრქუა: ლოცვა ყავ ჩემთვის, წმიდაო მამაო (ლიმონ. 11,30); მან მიწერა წიგნი ვედრებით და ნეტარმან მან არა ისმინა, არამედ მიჰრქუა: უძვრჴსანი განსაცდელნი აღიძრნენ მაგას ზედა". (ხანძთ. 56,62); მიაგვლინნეს სისა ორნი კაცი და მიჰრქუეს, ვითარმედ: ნუ გკონინ მოსლვად ჩუენდა ოდენ (საქმე მცქ. 9,38).

რქუ- ფუძის კავშირის შესახებ თქუ- ფუძესთან იხ. ზემოთ. რ- ისევეა მორფოლოგიური ელემენტი, როგორც თ- თქუ-ში⁵⁴. რქუ- ფუძესთან ეტიმოლოგიურ კავშირშია, აგრეთვე, ე-რქუ-ან-, სა-რქუ- ელ- და და-ა-რქუ-ა 'დაახურა'ს -რქუ- ფუძე⁵⁵.

ზრახხვ-ს 1. ელაპარაკება, ესაუბრება: ერთი ძუელთა ფილა- სოფოზთაგანი ზრახხვს პირით მისით (ი. ოქრობ. ცხ. 62,26); აწ უკუეთუ კეთილისა რაჲმე საქმისათვის გზრახხვს (ბალავ. 75,25): წმიდათა წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა ენითა ჩუენ უფალი გუზრახხვს (ლ.ინ. 11,17); არა ჰზრახხვ ღმრთისასა, არამედ კაცთასა (მ 16,23); მარხვათა ყოვლადვე არავის ზრახხვენ (სინ. 270,11). ჰზრახხვიდა იგი იკონომოსსა ჩუენებისა მისთვის (ღალაქტ. 372,6): იგინი ზრახხვიდეს ურთიერთას და იტყოდეს (მრკ. 8,16); მოიკითხეს ურთიერთას და ვითარცა ზრახხვიდეს, ჰრქუა წმიდამან ეპისკოპოს- მან ბერსა (აბ ნეკრ. 244,2); მივედ და ჰზრახხვედ გუელთა, რაჲთა მიეახლნენ და მოკლან იგი (ქრისტინა 194,6); ოდეს სოფელსა შინა ვიყავ..., მაშინ ვზრახხვედი სავნებელთა სიტყუათა, ხოლო აწ, რა- ჟამს მნებავეს მე მსახურებაჲ ღმრთისაჲ და გალობისა შეწირვაჲ ენითა ჩემითა, მაშინ შევეკრავ, რაჲთა არა ვზრახხვიდე (ლიმონ. 62,12).

2. ფიქრობს, განზრახვა აქვს: იესუ გულის კმა-ყო სულითა. რამეთუ ესრე ზრახხვენ გულთა მათთა (მრკ. 2,8); რაჲსათვის თქუენ ბოროტსა ზრახხვთ გულთა თქუენთა? (მ 9,4); ამას რაჲ ზრახხვიდა

⁵⁴ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი.

⁵⁵ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის... გვ. 96; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. ზმნის ძირითადი კატეგორიები, გვ. 42.

გულსა თვსსა, ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებასა ღამისასა (მ 1,20 D); ზესკენლსა მას ზრახვედით, სადაცა ქრისტჳ მარჯუენით ღმრთისა ზის (სინ. 217,17); ზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს (მრკ. 2,6); გაუწყებდენ შენ, რაჲ უზრახავს უფალსა საბაოს ეგკბტესა ზედა (ესაიაჲსი 19,12).

აზრახ-ა 'უთხრა': ამან არაგის რაჲ აზრახა, არამედ შთავიდა ლავრად და ევედრებოდა წმიდასა საბას (კიმ. II, 176,11); მან აზრახა, რაჲთა მიაველინოს საფლავად წმიდისა მის (ლიმონ. 101,36); ხოლო იყო კაიაფა, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ: უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათვს (ი 18,14).

თანა-ზრახვიდ-ეს 'ესაუბრებოდნენ': ეჩუენნეს მათ მოსე და ელია, თანაზრახვიდეს მას (მ 17,3);

აქედან სასუბიექტო მიმღეობა **თანა-მზრახვალ-ი** 'მრჩეველი': რომელი ჩუენ ვითარცა კეთილი თანა-მზრახვალი გუასწავებს (სინ. 198,2); ძეჲ ვარი მე ასტარგიოსისი, მეფისა თანა-მზრახვალისა (პანტ. 50,27).

იზრახ-ა 'იფიქრა': ხოლო იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო და არა უნდა განმზილებჲჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებად იგი (მ 1,19 D); რომელმან მკეცმან თვსისა მეუღლისათვს ესევეთარი ზრახვაჲ იზ(რა)ხის? (სინ. 215,29).

ეზრახები-ს (ორპირიანი ვნებითი ზრახავ-ს ზმნისა) 'ესაუბრება, ელაპარაკება': მხიარულებით ეზრახებინ და მის თანა ისერებნ (ცხ. პ. კაპეტოლ. 33,2); სადაგთა სიტყუათა და ლიქნითთა ეზრახებოდა მათ (ევესტოქი 157, V,3); მივიდა, ეზრახა მღდელთ მოძღუართა და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა მიჰსცა იგი მათ (ლ 22,4); ხვალე თუსაგან მოვიდე და ვეზრახო მას (ცხ. გ. მთაწმ. 365,34).

ზრახვა-ჲ (ზრახავ-ს ზმნის მასდარი) 1. ლაპარაკი, საუბარი: აგრძნა ქსანთიჲჲ ქმრისა თვსისა იგი ზრახვაჲ აგრიპაჲს თანა (სინ. 246,13); იგი სიტყუასა მას ზედა შეძრწუნდა, რამეთუ უჩუეველ იყო მამათა მიმართ ზრახვასა (სინ. 9,8); მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი (დ. აღმ. 520,10); ნახვად მისა და განხილვად და სმენად ზრახვათა მისთა შეუძლოთ (სინ. 15,13).

2. თქმა, ფიქრი, თათბირი, განზრახვა: განუზრახველად ბოროტთ მთავრისაჲ მის გულის-სიტყუაჲ იგი შეიწყნარა და ესრჳთ გულისა მისისა ზრახვაჲ განკრწნა (სინ. 4,22), რომელმან მკეცმან თვსისა მეუღლისათვს ესევეთარი ზრახვაჲ იზ(რა)ხის? (სინ. 215,29);

აქელთა მათ მცნებათა აქუნდა შინაგანი ზრახვაჲ (სახისა სიტყ. 30,58); სიტყუანი ბაგეთანი და ზრახვაჲ და ძალი საკმარ არს ლუ-
აწლსა (IV მეფ. 18,20); შენ შე-ოდენ-სძრავ ზრახვასა მას გულსა
შიდა და უფალი აღმოიკითხავს (სინ. 211,23); მუნ მოსე შეშინებუ-
ლი, ხოლო აქა თანამდგომარჲ და ზრახვის ზიარი (სინ. 194,14); იც-
ნოდა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი (მ 12,25); რაჲთა გან-
ცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი (ლ 2,35); რამეთუ შინაგან
გულისაგან ზრახვანი კაცთანი უკუეთურნი გამოვლენ, მრუშებანი,
სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი (მრკ. 7,21 c).

ზრახვა-ყო 'მოითათბირა, მოილაპარაკა, განიზრახა': ვითარცა
შოიწია იგი საზღვართა ქართლისათა,... ზრახვა-ყო, რაჲთა აუწყოს
და წინა მიეგებნენ მას (შუშ. 12,10); მოქმედთა მათ ვითარ იხილეს
აქ იგი მისი, ზრახვა-ყვეს ურთიერთას (მ 21,38 c); ზრახვა-ყვეს,
რაჲთა წარწყმიდონ იგი (მ 12,14); ზრახვა-ყვეს მისთვის, რაჲთა სიტ-
ყვთა საფრკჲ უგონ მას (მ 22,15); ზრახვა-ყვეს და თქუეს, ვითარ-
მედ: აღდგა დაფლული იგი (სინ. 58,5).

ზრახება-ა (აზრახება-ს ზმნის მასდარი) 'რჩევა': ხოლო მე ვი-
თარცა კაბუქმან და უგუნურმან შეურაცხ ვყავ ზრახებაჲ მისი და
წარვედ იორდანით კერძო (კიმ. I, 24,28).

მ-ზრახვ-ელ-ი (სასუბ. მიმლ. ზრახავ-ს ზმნისა) 'მეტყველი'.
ხოლო ესმა რაჲ განწყობილსა ლომისაჲ, და ეგრეთვე ყოველსა ერ-
სა ქალაქისასა, კაცობრივითა კმითა მზრახველისაჲ (ზოსიმე 175,
V,7).

მ-ზრახ-ი (სასუბ. მიმლ. ზრახავ-ს ზმნისა): ხოლო პატრეაქმან
ცუდისმზრახთა მათ და ამაოთა კაცთა სკმეონ-წმიდელთა ფრიად
შეპრისხნა (ცხ. გ. მათწმ. 373,18).

მ-ზრახვ-ალ-ი (სასუბ. მიმლ. ზრახავ-ს ზმნისა) 'უმადლესი სა-
სამართლოს საბჭოს წევრი': მოვიდა იოსებ არიმათიელი, შეუენიერი
მზრახვალი (მრკ. 15,43); აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახვა-
ლი, იყო კაცი სახიერი და მართალი (ლ 23,50).

მზრახვალ- ფუძეს ეყრდნობა სტატიკური ზმნა **მზრახვალობ-ს**
'საუბრობს', მასდარი **მზრახვალობა**, და დინამიკური ზმნა —
ე-მზრახვალებ-ი-ს: ზოსიმე რომელსა აქუნდა საყოფელი მისი მთა-
თა შინა მკეცთა ველურთა თანა და არა ხოლო მკვდრობდა მათ თა-
ნა, არამედ მზრახვალობდაცა მათ თანა (ზოსიმე 173, I.5); არცა
მზრახვალობდა თავს-იდვა წმიდისა (ასტიონ. 207,1); ემზრახვალა
ლომი კაცობრივითა კმითა მთავარსა, მეტყუელი „ნუ გეშინინ“
(ზოსიმე 175, V,1); ზღუდეთა მახლობელსა ბჭესა თანა მჭდომარე,

წემავალთა და გამომავალთა ემზრახვალეზინ და ამცნებნ თითოეულსა სულისა სარგებელთა (ღიო. 173, IV,21); მრავალგზის მთად განშორებული დაყუდებასა შინა ტრფიალებით ემზრახვალეზოდ აღმერთსა (იოანი 265,12).

ზრახვ-ს ზმნის საობიექტო მიმღეობებია ნამყო დროისა ზრახულ-ი 'დალაპარაკებული' და მყოფადისა სა-ზრახვ-ი 'სათქმელი': არცა ვინ სადა ზრახულ არს მისდა ერთგულებით (ბალავ. 48,18); იყო შენ ლოცვასა და გალობასა ღმრთისასა ქსნილ და მეტყუელ. ხოლო კაცთა საზრახავისაგან დადუმებულ (ლიმონ. 62,18).

ზრახ- ფუძესთან გვხვდება გან, მო-, შე- ზმნისწინიანი ფორმები:

განაზრახებ-ს 'ურჩევს': ირწმუნე ჩემი, რომელი ესე უმჯობესსა განგაზრახებ (დალაქტ. 360,30); ჩუენ ესრეთ განგაზრახებთ, რამათა ეწიფო საქმესა პირის-პირ (ბალავ. 141,13).

განიზრახვ-ს 1. ჩვეულებრივ, მრავლობითის ფორმით: განიზრახვენ 'ისაუბრებენ, იტყვიან': განიზრახვიდეს ურთიერთას, უკუეთუმცა უყვეს რაიმე იესუს (ლ 6,11); და ვითარცა-იგი ამას განიზრახვიდეს, აგრძნა ქსანთიპე ქმრისა თვისისა იგი ზრახვად აგროპამსთანა (სინ. 246,12).

2. იფიქრებს: განიზრახა ფარულად სივლტოლად თვისით ქუეყანით საღმრთოათა წოდებითა (ხანძთ. 4,2); ნეტართა ამით მეუღლეთა კეთილად განიზრახეს, რათა პირველი ნაყოფი თვისი ღმრთისა შეწირონ (ცხ. გ. მთაწმ. 344,48); ვითარცა ესმა ესე ნერონ კეისარსა, ფრიად დაუკვრდა, განიზრახვიდა მყოვარ ჟამ სასწაულისა მისთვის (სინ. 253,18); ამას ზაქარია განიზრახვიდა ძწოლით (სინ. 26,24); განიზრახვიდა მეფე, თუ რომელსა ადგილსა აღუმენოს სანაწილე (ილარ. 290,18); იგი აღივსო გულისწყრომითა და განიზრახვიდა, რომლითაჲი ღონითა წარწყმიდოს იგი (ქრისტინა 189,3); განიზრახვიდ და ვიტყოდე თავსა შინა ჩემსა (რავახ. 86,8); იგინი განიზრახვიდეს გულთა შინა მათთა და ურთიერთას იტყოდეს (მრკ. 8,16 c); აწ განიზრახავს, რამათა დავადგრე შენ თანა (ბალავ. 53,16); რომელ-იგი მტერთა მათ ზაკუევით განეზრახა (სინ. 120,34).

განზრახვა-ჲ 1. თქმა, ლაპარაკი: პილატუსი იგი დაბანაჲ კელთაჲ, განზრახვად და ცნობაჲ გულისაჲ ძისა ღმრთისაჲ იყო (სინ. 92,35); მი-ლა-ვიდა იგი დედისა განზრახვად, რამცა სთხოვა მას ნიქი (სინ. 209,32); მოისუნის ადგილი იგი, და რეცა თუ ზრახვენ კმითა განზრახვისაჲათა, რომელსა-იგი ჰყეფნ, და აღწყის, ვითარმედ: აქამთ წარსრულ არს ნადირი იგი (ექუს. ილ. აბ. 130,3).

2. ფიქრი, რაიმე აზრის გულში გავლება: ესევეთარი განზრახვა განიზრახა და თქუა (სინ. 212,16).

3. მოთათბირება; შეთანხმება: და ესრჷთ მოიყვანა იგი მერეს. რამეთუ პირველვე განზრახვა ნეტარისა დედისაჲ თანა იყო და შეჰვედრა იგი მას (ხანძთ. 55,46); ესრჷთ იყო ჩვეულებადჲცა მის ქამისა წინამძღუართა მამათაჲ, რამეთუ თვნიერ დედისა ფებრონიას განზრახვისა საქმჷ არა კელუვიან (ხანძთ. 55,53); ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათჳს ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათჳს, რამეთუ თვნიერ განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერთი ძჷ თჳსი დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა (ხანძთ. 42,10); უბრძანა წემოკრებაჲ მძათა ყოველთაჲ, და თეოდორჷს და ქრისტეფორჷს განზრახვითა გამოირჩინა მათ შორის ძმანი ათსამეტნი ხანძთისათჳს საუხუცესოდ (ხანძთ. 30,42).

გან-მ-ზრახვ-ელ-ი (სასუბ. მიმღ. განიზრახვ-ს ზმნისა): იყავ მართლ განზრახველ მოსაჯულისა შენისათჳს ადრე (მ 5,25 c);

მოზრახვ-ს 'მოუწოდებს': დაგიცვეს შენ დედაკაცისაგან უცხოესა და ბოროტისა უკუეთუ შენ სიტყჳთა მიზეზით მოგზახვიდეს, ვითარმედ სარკუმლით სახლისა მისისაჲთ უბანთა გარდამოიჰკრობნ (იგავნი სოლ. 7,6).

შეიზრახ-ნ-ეს 'შეითქვენენ': იგინი შეიზრახნეს ურთიერთას (ლ 20,5); მიერთიგან შეიზრახნეს ჰურიანი, რაჲთა მოკლან იგი (ი 11,53).

ამრიგად, ყველა ზემოგანხილული სიტყვა ზრახ- ფუძეს ეყრდნობა, რომელიც დრო-კილოთა პირველ სერიაში -ავ ან -ებ სუფიქსებს დაირთავს. უსუფიქსო ფუძე პირველ სერიაში დადასტურებული აქვს არნ. ჩიქობავას: მაშინა ზრახდა იგი ბერძელითა ენითა (სევან. 300)⁵⁶.

ზრახ- ფუძეს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში: 1. ლაპარაკი, საუბარი და 2. ფიქრი, განზრახვა. ამოსავალი პირველი მნიშვნელობა ჩანს.

ზრახ- ფუძიდან რ'ს დაკარგვით მიღებულად ითვლება ზახ-ფუძე (ი-ზახ-ის, ზახ-ილ-ი)⁵⁷. არსებობს მოსაზრება ამ ფუძის ირანული წარმომავლობის შესახებ⁵⁸.

⁵⁶ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის... გვ. 33.

⁵⁷ ი ქ ვ ე.

⁵⁸ შზია ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 328.

დაპატებითი სემანტიკური მახასიათებლის მქონე ზმნები გამო-
ხატავენ ა) ხმამაღლა ლაპარაკს: იზახი-ს, კმობ-ს, უკმობ-ს, კმა-ყო,
კმა-უყო, ლალადებ-ს...; ბ) ხმადებლა ლაპარაკს: ჩურჩინი-ს, ჩურჩუ-
ლი-, გ) მეტყველების სხვა რაიმე იერს: ფლაფნა, დურდუნებ-ს,
მოზოპავ-ს, ყივი-ს, წივი-ს, იკრჩხილ-ა, აღელავნ-ეს... დ) აქვე გან-
ვიხილოთ დაძახების გამომხატველი ზმნებს (უწეს-ს, ს-წოდ-ი-ს,
მი-ი-წან-ა, მო-ი-წან-ა, ჰ-ხადი-ს) და მიუგო ზმნასაც.

იზახი-ს 'ხმამაღლა ყვირის, ხმიანობს': ვითარცა იზახის ლომ-
მან გინა ლეკუმან ნადირსა ზედა (ესაიაჲსი 31,4); აწ ეგზომსა ბე-
დითსა რას იზახი...? (ვისრ. 66,31); ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა
შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახებნ ყოველ-
სავე ზედა ოთხფერკსა (მოქც. ქართლ. 111,11);

გავრცელებულია აღ-, და-, მო- ზმნისწინიანი ფორმები:

აღიზახ-ა: იყივლეს და აღიზახეს ერმან მან ისრაჲლისამან (I
მეფ. 17,21).

დაიზახ-ა: დაიზახა ყოველმან ერმან ვითარცა ერთითა პირითა
(I მეფ. 11,7).

მო-ს-ზახ-ი-ს: მრავლითა გინებითა მოსზახდეს და საგორავისა
სიმრავლესა შთამოჰყრიდეს (ძეგლი ერისთ. 351).

ზახება-ჲ, ზახილ-ი (მასდ. იზახი-ს ზმნისა): ძალი ლომისაჲ დ:
კმაჲ ლომისა ძუვისაჲ, ზახებაჲ ვეშაპთაჲ დაშრტა (იობ. 4,10); ამის
სახისათჳს ზახებით იტყუეს (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 25,24); ტირილი
და ზახილი დაიწყო (ვისრ. 52,8); კმა და ზახილი მოაბადისი მესმა
(ვისრ. 137,19).

ზახ- ფუძე ახალ ქართულში გვაძლევს ძახ-'ს. სხვა ქართველურ
ენებში წარმოდგენილია მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატ-
ყვისები: ქან.: ჯოხ-, ჯოხო 'სახელი': მითიქ ვა უჯოხუ (ქან. ტ. I,
1, 45,26) „არავინ არ დაუძახა“; მუ გჯოხონს? ახმედი მჯოხონს
(ქანტ. I, 115,5) „რა გქვია? ახმედი მქვია“; ჯოხო სკანი მუ რენ?
ჯოხო ჩქიმი ჰასან რენ (მარი 119,8) „სახელი შენი რა არის? სახელი
ჩემი ჰასანი არის“. მეგრ.: ძახ- || ჯოხ-: დუძახუ 'დაუძახა', ჯოხო
'ჰქვია'. ართი კოჩქე დიიძახე (ცაგ. 10,16) „ერთმა კაცმა დაიძახა“.
სვ.: ჟახ-ე 'სახელი', ზაჲშხა 'ჰქვია': ეჯ კანს ფუსნაჲ ხაჲშხა ჟახად
(ონიან. 9,20) „იმ ხარს ფუსნაჲ ჰქვია სახელად“.

ძ-ჯ-ე შესატყვისობა ქართველურ ენებში ცნობილია, ამან მის-
ცა საფუძველი გ. კლიმოვს მოსაველად ძახ- ფუძე მიეჩნია საერთო
ქართველურისათვის (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 236).

აკად. არნ. ჩიქობავას აზრით, პირველადია ზახ⁵⁹ (როგორც ეს დადასტურებულია დოკუმენტურადაც), რადგან სევანური ჟახ- სპირანტულ ვარიანტს უკერს მხარს; ქართული სახ-ელ ← ზახ-ელ და ზახ- მომდინარეობს ზრახ- ფორმიდან.

კმობ-ს 'ძახის, ყვირის': უღებებისა მედგრობათაგან ძლეული ვკმობ სულთქუმით (ხანძთ. 7,13); ვკმობ შენდამი დაქირვებული და არა მიქსნი (ამბაკუმ 1,2); რაჟამს შეძრინ ანთრაკი იგი იმღერინ და ვითარც ექუანი ოზრინ და კმობნ (სახისა სიტყ. 29,20); კმობდა წინაშე მისსა ქადაგი (დაბ. 41,42); ხოლო იგი კმობდა: „ნუ მრისხავ მონაო...“ (გარესჯ. 232,4; ღალადებდ და კმობდ რომელსა არა გელმოდა (სახისა სიტყ. 16,20); თუმცა ვკმობდი და ვღალადებდი, დაეყენა ლოცვაჲ ჩემი (გოდ. იერ. 3,38; იწყეს სიმღერად, და კმობდეს და ტყუელვიდეს და ყიოდეს უწესოდ (აპოკრ. 70,21).

კმ-ობ-ს ნაწარმოებია სიტყვიდან **კმა**. სევანურშიც მსგავსი წარმოებია: ჰერ 'ხმა' — ლიჰერ 'ხმობა': ჭ-ეჰრი 'გინხმობს', ლიჰრინე 'დაძახება'.

უკმობ-ს 'უძახის': ელიას უკმობს ესე (მ 27,47); ოთხისა დღისა მკუდარსა უკმო ლაზარეს (სინ. 127,17); დია უზახა და უკმნა, მაგრა არცავეს გაელუიძა (ვისრ. 136,30).

კმობა-ჲ 'ყვირილი, ძახილი': არა ეგების უტყუთა კმობაჲ და პირ მეტყუელთა უმანკოთა დაღუმებაჲ (სინ. 149,14); ქათამმან იწყო კმობად (რავახ. 85,12); ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა კმობადმდე, სამ გზის უვარ-ყო მე (მ 26,34); პირველ ვიდრე ფილიპესა კმობადმდე შენდა, იყავ რაჲ ლელუსა ქუეშე, გიხილე შენ (ი 1,48).

მკმობარ-ი || **მკმობარე** || **მკმობელ-ი** (სასუბ. მიმღ. კმობ-ს ზმნი-სა) 'ის, ვინც კმობს': ვინ მომცეს მე ტრედი მკმობარი სიტყვთა (საკითხ. II, 61,16); ესე გძაგდინ მფრინველთაგან და არა შკამოთ... ღამის მკმობარი და მიმინოჲ და ძენძერუკი (ლევიტ. 11,17); რომელნიმე მკმობარე არიან და მეტყუელ, და რომელნიმე მღუმარე, და რომელნიმე მგალობელ (ექუს. 94,29)' ეძიებდით მუცლით მეზლაპრეთა და ქუეყანით მკმობელთა,... რომელნი მუცლით კმობენ (ესაიახსი 8,19); დაადგრა იგი ესრეთ მკმობარე სამ დღე სუეტსა მას თანა (კიმ. I, 238,15); პირი არა მაქუს ღირსად მკმობარე და გული არა წმიდა არს (მამ. სწ. 231,14); ქადაგი კმითა მალლითა მკმობარე წინაშე მისსა (ექუს. 52,9); მკვეალნი მისნი მოჰყვანდეს, ვითარცა ტრედნი მკმობარენი გულთა შინა მათთა (ნაუმ. 2,8); და

⁵⁹ სახელის ფუძე, გვ. 32.

მეის სული შეჰვედრა ღმრთისა მკმობელმან: „მშკლობით მიითუალე სული ჩემი“ (ორენტ. 323,15).

კმა-ყო 'დაიძახა, დაიყვირა': მეცხრესა ოდენ ჟამსა კმა-ყო კმითა დიდითა და თქუა (მ. 27,46); უპყრა კელი ყრმასა მას და კმა-ყო: ყრმაო, აღდეგ! (ლ 8,54); ქათამმან კმა-ყო (მრკ. 14,72) მე კმა-ყყავ კმითა დიდითა (დაბ. 39,14); კმა-ყყევს მისა მიმართ და თქუეს ერთბამად (სინ. 56,8); კმა-ყყვის და მოუწესნ მამალსა თვსსა (სინ. 225,4).

კმა-უყო 'დაუძახა, დაუყვირა': ამისთვისცა მეის მას ჟამსა კმა-უყო მას,... ღალატ-ყო (სინ. 26,25); დადგა იესუ, კმა-უყო მათ და ჰრქუა (მ 20,32).

კმა-ყოფა (მასღარი კმა-ყო ზმნისა): უღალადა კმა-ყოფით ნუ-გეშინისცემაჲ (აბუს. ტბ. VI,58).

კმობ-ს და კმა-ყო რიგის ზმნები კმა- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია. ამიტომ მასაც აქ განვიხილავთ.

კმა-ჲ 'ის, რაც სმენით აღიქმება, ბგერა': კმა სცა ბრძოლის სახლსა შინა უფლისასა (გოდ. იერ. 2, კთ); იესუ აღუტევა კმაჲ და აღმობერა სული (მრკ. 15,37 c); კმა იყო ღრუბლით გამო (მ. 17,5); მასმინე კმაჲ შენი (იბოლოიტ. თარგმ. ჟბ. 19,22); კმაჲ ჰრამადთ ისმა ტირილისაჲ (მ 2,18 D); აღიმალა კმაჲ ტირილით და ესმა ყოველთა ეგვბტელთა (დაბ. 45,2); მოაკლდა კმასა მას მწნეხართა რისხვისათა (სინ. 261,36); აქუნდა კმისა ნებიერობაჲ (ხანძთ. 33,8); სადა იგი ეკლესიაჲსა საკმარსა სამსა მისცემდა მსახურებასა: ერთსა წიგნის კითხვასა, მეორედ ასურებრისა კმისა თარგმანებასა, მესამედ უფროჲსდა გულსმოდგინედ აღასრულებდა ეშმაკთა განსმასა (კიმ. II, 113,4); კმითა იცნა იგი (სინ. 211,15); კმობდეს კმითა მალლითა (სინ. 276,4); ღალატ-ყო კმითა დიდითა ელისაბეთ (სინ. 13,17); და-ისწავლა დავითი და კმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ (ხანძთ. 2,40); ამას იტყოდა კმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ (ლ 8,8); ყვრილ ყვის კმითა ღალადებისაჲთა (სახისა სიტყ. 25,26); მუნ მფრინველთა ფერად-ფერადთა სახიობით რეცა კმანი, ხოლო აქა წმიდათა ფსალმუნთაგან რჩეულთა გალობანი (სინ. 79,14).

გავრცელებულია იდიომატური გამონათქვამი აღიღო კმაჲ 'ხმა ამოიღო': აღიღო კმაჲ თვისი ებრაელებრითა სიტყვთა (სინ. 241,23); აღ- ვინმე -ილო დედაკაცმან კმაჲ ერსა მას შორის და ჰრქუა მას (ლ 11,27); აღიღეს კმაჲ მათი და ტიროდეს ტირილითა დიდითა (მსაჯ. 21,2).

კმა ფუძე ისეთივე აგებულებისაა, როგორც ქართული ძმ-ა. მისი შესატყვისი უნდა იყოს მეგრულში ხონ-არ- 'ხმა', სადაც -არ ქართული -ა სუფიქსის ეკვივალენტია. ხონ- ძირი კი ქართულში *კამ- ძირს ეტოლება, მეგრული ნ ← მ სუბსტიტუციით⁸⁰. სახე ანგელოზიშ ულუ, ხონარი უგვ მუზიკაშა (ყიფშ. 163,15) „სახე ანგელოზის აქვს, ხმა უგავს მუსიკას“. რაც შეეხება მეგრულ ხგმა, ხუმა 'ხმა' სიტყვებს, ისინი ქართული ნასესხობებია მეგრულში⁸¹, და არა კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი, როგორც ამას გ. კლიმოვი ვარაუდობს (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 266). მეგრულში ხმა'ც დასტურდება: ხმაქ ქუმმასიმუ ანგელოზეფიში ბირა ჯგურაქ (ხუბ. 3,28) „ხმა მომესმა ანგელოზების სიმღერის მაგვარი“ ირი სახენწუფოს გოლგ ხგმაქ (ყიფშ. 73,27) „ყველა სახელმწიფოში გავარდა ხმა“.

ღღღღღღ-ს 'ხმამალა ლაპარაკობს, ყვირის': ესაია ღღღღღღ და იტყვს (სინ. 239,9); ღღღღღღ გულს-მოდგინედ უფლისა მიმართ (სინ. 243,23); ღღღღღღ და კმობდ. რომელსა არა გელმოდა (სახისა სიტყ. 16,20); ხოლო ერი იგი პრისხვიდა მათ, რაათა დაღუმენ, და იგინი უფროჲს ღღღღღღღღ (მ. 20,31); ღღღღღღღღ დათუ ესენი ღღღღღღღღ. ქვანი ღღღღღღღღღღღღ (ლ 19,40); ღღღღღღღღღღ და გლობღღღღ პირნი ჩუენნი ესრჳთ (ხანძთ. 7,29).

ულღღღღღღ-ს 'ხმამალა ეუბნება': ამისთვის სოლომონიცა გიღღღღღღღღღღღღ და გეტყვს (სინ. 226,3); უღღღღღღღღ კმა-ყოფით ნუგეშინისცემამ (აბუს. ტბ. VI, 58).

ღღღღღღ-ყო 'იყვირა': ღღღღღღ-ყო კმითა დიდითა და მწარითა ფრიად და თქუა (დაბ. 27,34); შიშისაგან ღღღღღღ-ყვეს (მ 14,26); სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი და მეყსეულად ღღღღღღ-ყვის და დააკუეთის (ლ 9,39); ხოლო მე ვღღღღღღ-ყავ: „უფალო“... (მოქც. ქართლ. 115,21). ღღღღღღღღღღღღ ჰარმონიულ -ტყ- კომპლექსს: მუნ-ქუესვე ღღღღღღ-ყო მამამან მის ყრმისამან (მრკ. 9,24); ღღღღღღყო კმითა დიდითა (მრკ. 1,26 c); ღღღღღღ-ყვეს და თქუეს (მ 20,30 c);

ღღღღღღღღ-ღ (მასდ. ღღღღღღღღ ზმნისა) 'ხმამალა ლაპარაკი, ყვირილი, ღრიალი': იხილა შფოთი და ტირილი და ღღღღღღღღღღღღ ფრიადი (მრკ. 5,38); იწყო ტირილდ და ღღღღღღღღღღღღ (სინ. 276,22); ყვირილ ყვის კმითა ღღღღღღღღღღღღ (სახისა სიტყ. 25,26).

⁸⁰ მ — ბგერათა სუბსტიტუციის შესახებ ზანურში იხ. ს. ქლენტა, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 160.

⁸¹ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიულა. ფონეტიკის საკითხებო, I, გვ. 41.

ღალადის-ი 'შიკრიკი, მაცნე': აპა-ესერა ღალადისი მოვიდა იობისა და ჰრქუა (იობ. 1,14); მოვიდა სხუაღ ღალადისი და ჰრქუა იობს (იობ. 1,16); მოიწია სხუაღ ღალადისი ნუგეშინის-ცემისაღ იერუსალშმით ყოველსა ქუეყანასა (მოქც. ქართლ. 126,24).

ღალადის-ი წარმოშობით მიჩნეულია მესამე პირის ფორმად, ხოლო -ი პერსმანსივის სუფიქსად⁶². ღალად- წარმოადგენს რედუპლიცირებულ ფუძეს. მის შესატყვისად ზანურში გვაქვს ღარღალ-, სვანურში გარგლა 'ლაპარაკი'. ქან.: ღარღალ-ი, იღარღალუ 'ლაპარაკი': არ ღერის ქოკიბღეს დო ღარღალეს (ყიფშ. ჰ. ტ. 5,15) „ერთადგილას შეგროვდნენ და ილაპარაკეს“; ვარ გიჩქინი, ნა მიღარღალი (მარი 107,61) „არ იცი, რომ მელაპარაკე“; ჩქინი ოღარღალუ დო მეგრელეფიშ ნენა ართი მაჟურას ნუნგაფან (ყიფშ. ჰ. ტ. 4,24) „ჩვენი ლაპარაკი და მეგრელების ენა ერთმანეთს ჰგვანან“. მეგრ.: ღარღალი 'მოსაბეზრებელი ლაპარაკი': მუჰო რე ღარღალანს ნი „როგორაა რომ ლაპარაკობს“. სვან.: წყენწარღლდ გარგლიხ, დემ ტნევეხ (სვ. ტ. I, 12,14) „წყნარად ლაპარაკობენ, არ ყაყანებენ“; ამჟი გარგლა ხაზნახ ზურნლელს ლგქემიშ ი თაშორა ლალგჯარნლჟი (ონიან. 8,9) „ასეთი ლაპარაკი სჩვევიათ ქალებს რძისა და ყველის ვაქრობაზე“; ეჩა ნაგვრგალი სერდღე მამა ხარხ (ონიან., 33,8) „მისი ნათქვამის დარდიც არა აქვთ“.

ზანური და სვანური შეუღარა არნ. ჩიქობავამ⁶³, ზანური და ქართული გ. კლიმოვმა⁶⁴. ზანური და სვანური ფუძეების შესატყვისად ქართულში არნ. ჩიქობავა ასახელებს სიტყვას ღარღალი-ი 'მცირე რამ ჰაზრი' (საბა). ძველი ქართული ენის ძეგლებში ღარღალი-ი ჩვენ არ შეგვხვედრია. დავადასტურეთ მისგან ნაწარმოები სიტყვა უღარღილოდ 'უხმოდ, წარმოუთქმელად': ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავენ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თვისითა (აბო 70,26).

მოცემული უარყოფითი ფორმა ღარღალი სიტყვის ამოსავალ ნიშნენლობად ლაპარაკს, თქმას გვაგარაუდებინებს.

მართებული ჩანს გ. კლიმოვის მიერ *ღარღარ- ფუძის აღდგენა ამოსავალში, ოღონდ არა მარტო ქართულ-ზანურში, არამედ საერთო ქართველური ეპოქისათვის.

ჩურჩნ-ი-ს, ღარჩურჩნ-ი-ს 'ყურში ეუბნება ხმადაბლა, ეჩურჩულება': იხილა რაღ დავით, რამეთუ ჩურჩინდეს რასმე ურთიერთას

⁶² ივ. ქ ა ვ თ ა რ ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიება, გვ. 95.

⁶³ შედ. ლექსიკ, გვ. 346.

⁶⁴ ეტიმ. ლექსიკ. გვ. 201.

მონანი იგი (II მეფ. 12,19); „შაპრომან ვით იკადრა...“ სჩურჩნი-
დეს ერთმანეთსა დიდებულნი (ვისრ. 47,10); სხუა კულა ძმათაგანი
ყოვლადვე ვერვინ იკადრებნ უბნობასა. მეტრაპეზე კულა და ქე-
ლოსანნი, უკუეთუ საჭირო რაამე საქმე იყვის, იღუმალ დაჩურჩნი-
ან (ცხ. იოვ. და ეფთ. 71,4).

ჩურჩნა-ა 'ჩურჩული': არაზომიერად შესცთა საარებული. და
უსიტყუელად თანამიყოლილი მღდელთ-მთავართა და მონაზონთა
ვიეთმე მაცთუნებელთა ჩურჩნათა (თეოდ. განგრ. 290,31).

ფუძეა ჩურჩნ- იგი ფონეტიკური ვარიანტია ჩურჩულ-—*ჩურ-
ჩურ- ფუძისა. ხმაბაძვითი სიტყვა ჩანს.

ჩურჩულება 'ჩურჩული': უკუეთუ სცეს გუელმან არა ჩურჩუ-
ლებით (ეკლ. 10,12). აქ გვაქვს ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი
თანხმოვნის დისიმილაციით⁶⁵.

ფლაფნა 'უკბილოს ლაპარაკი' (საბა): პირსა მისსა კბილი არა
იყო და სიტყუაჲ მისი ფლაფნით იყო (ბალავ. 24,2 გ).

ღურღურებ-ნ (უარყოფითი ემოციური მახასიათებლის შემც-
ველი ზმნა): პირი შენი ცუდად ღურღურებნ (მამ. სწ. 28,20).

ღურ-ღურ- ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია. მეგრულში მას.
შეესაბამება დარ-დარ- ფუძე: დარდალ-ან-ს 'ტლიკინებს', ნინას.
ულარდალუანს 'ენას არატრატებს, ატლიკინებს'.

მო-ჰ-ზოჰ-აჰ-ს- მე, მეფეო, სახელითა ყოვლისა მპყრობელისა-
ჯთა მოვაკუდინე კუროჲ, და ესე მგმობარი სიტყუათა ოდენ მოჰ-
ზოჰავს (ზრონ. 260,5). საბას განმარტებით „მოზოჰვა ცუდის სათქ-
მელის მოამბე“. სხვა კონტექსტი ვერ დავადასტურეთ.

ზოჰ- ფუძე დასტურდება ჭანურში: ოხორჯა ჩქიმი ზოჰონს-ქი—
, არ ფოთინი ქომომილი!“ (ყიფშ., ქ. ტ. 30,18) „ცოლი ჩემი ამბობს,
რომ ერთი ფეხსაცმელი მომიტანე!“.

ჰიზ-ი-ს „შორით ერთისა კაცისა მალალსა უკაფიოსა კმასა
ეწოდების კივილი, ხოლო კმიანითა სიტყვითა დადადისსა ეწოდე-
ბის ყივილი“ (საბა): შვდგზის დააკუეთა ეშმაკმანო მწუხარე იგი
მას ლამესა, და პეროვინ და ილრჰენნ და ყივინ (ცხ. გ. მთაწმ.
351,25); იწყეს სიმღერად, და კმობდეს და ტყუელვიდეს და ყიო-
დეს უწესოდ (აპოკრ. 70,21).

⁶⁵ ე. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ქართვ. ენ. სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტები,
ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 284.

ყივ- ფუძისათვის ძველ ქართულშიც ჩვეულებრივია მამლის ყივილის მნიშვნელობა: მეყსეულად ქათამი ყივა (მ 26,74). ზანურში იგი ამ მნიშვნელობით იხმარება: ემ ვახთის მამულიქ ქოდიყოუ (ქან. ტ. I, 127,10) „ამ დროს მამალმა დაიყივლა“; მეგრ.: მუმულქ მიოყოუ „მამალმა დაიყივლა“ (შედ. ლექსიკ. გვ. 354).

წივი-ს 'ყვირის' (წვირილი ხმით): წიოდე და ლალადებდ და კმობდ ხსაია 54,1).

წი-ივ- ფუძე დასტურდება ზანურში (შედ. ლექსიკ. გვ. 394). ქან.: წი-ავ-ს მეგრ.: წი-ან-ს 'წივის'.

გ. კლიმოვს შესაძლებლად მიაჩნია ამათ დავუჯავშიროთ სვანური წილ- (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 243).

ი-პრჩხილ-ა: ვიხილეთ რაჲ ესე, ვიკრჩხილეთ კმითა სიმწარისაჲთა გოდებით (ცხ. გ. მთაწმ. 405,38). საბას განმარტებით კრჩხილება დიაცთ კივილია.

ქლავ- ფუძისაგან ნაწარმოებია ქლავ-ილ-ი ნაზმნარი სახელი, საბას განმარტებით „შეშინებულთა კმანი“, და პირიელი ზმნის ფორმა აღ-ქლავ-ნ-ეს: მას ჟამსა აღქლავნეს რომელნი იგი გარემოს დგეს ყოვლით მოქალაქითურთ, ლალად-ყვეს და იტყოდეს (კიმ. I, 137,27); იხილა ქლავილი და მტირალნი და მკვობარნი ფრიად (მრკ. 5,38 c); სადა არს მშკდობაჲ და ყუდროებაჲ დიდი, სადა-იგი არა არს ქლავილი დამაბრკოლებელი ცრემლთაჲ (საკითხ. II, 50,3).

უ-წეს-ს 'უხმობს, უძახის': გიწესს თქუენ დედოფალი (სინ. 240,27); ღმერთი ებრაელთაჲ მიწესს ჩუენ (გამოსლვ. 5,3); თვისთა ცხოვართა უწესს სახელითა (ი 10,3).

სვანურში დასტურდება ლი-წხ-ი 'დაპატიყება', რომლის -წხ-ძირი ქართული -წეს- ფუძის შეკუმშული ვარიანტია.

ს-წოდ-ი-ს 'უხმობს': სწოდი და ვერ განგარინოს შენ ღმერთმან (ქრისტ. 193,15).

უწოდა- 1. დაუძახა: მიწოდა მე სახელით სამჯერ (სინ. 64,5); ეგკპტით უწოდო ძესა ჩემსა (მ 2,15).

2. დაარქვა: მივიდეს წინადაცუეთად ყრმისა მის და ვითარცა უწოდეს მას სახელი სახელად მამისა თვისისა ზაქარიაჲსა (ლ 1,59); შვე ძმ და უწოდი სახელი მისი ისმავლ (დაბ. 16,11).

ეწოდა- (ორპირიანი ვნებ. უწოდა ზმნის) 'დაერქვა': ეწოდენ მაგას იოვანე (ლ 1,60).

წოდება 'დაძახება': არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა (მ. 9,13);

მწოდებელ-ი (სასუბ. მიმღ. უწოდებ-ს ზმნისა) 'დამძახებელი': მოიწინეს მწოდებელნი და ჰრქუეს (სინ. 240,27); ესრეთ მოიწინეს მწოდებელნი ჩუენნი (ცხ. გ. მთაწმ. 377,13).

წოდებულ- (ნ. ღროის საობ. პილ.) 'ია, ვინაც უწოდეს': წმიდა უფლისა წოდებულ იყოს (სინ. 244,11);

უწოდებელ-ი (უარყ. მიმღ.) 'დაუძახებელი': თავით თვისით უწოდებელად სართულსა ჩუენსა შემოვიდა (სინ. 28,19).

წოდ- ფუძესთან იხმარება პრევერბები მი-, მო-, შე-:

მიწოდება 'დაძახება': ვიდრე ფილიპეს მიწოდებამდე შენდა, რამეთუ იყავ ლელუსა მას ქუეშე, გიხილე შენ (ი 1,48 c);

მოუწოდ-ა 'დაუძახა, მოუხმო': მოუწოდა მათ აგრიპა და ჰრქუა (სინ. 245,15); მომიწოდნა ჩუენ საბანელსა მას მეორედ შობისასა (სინ. 53,34); წარვედ და მოუწოდე ქმარსა შენსა (ი 4,16); მო-რამ-ვიდეს იგი სახილ, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა (ლ 15,6); სხენედ უბანთა ზედა და მოუწოდედ მოყუასთა თვსთა (მ 11,16); მოუწოდოთ ყრმასა მას და ვჰკითხოთ პირსა მისსა (დაბ. 24,57); ოდეს იხილო ცაჲ, რამეთუ მოაკლდებოდის ნათელსა და მოუწოდდეს ბნელსა, რამთამცა დაძფარა კანნიერებაჲ იგი ჭუარ-ცუმისა მისთვის (სინ. 92,28).

მოწოდება 'დაძახება. მოხმობა': წარავლინნა მონანი თვისნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას (მ 22,3).

შეუწოდ-ა 'შვიგნით შეიხმო, დაუძახა': შვიან ვიდრე შესლვად-მდე ყრმის აღქუმელთა და მაშინლა შემიწოდიან ჩუენ (გამოსლვ. !.19).

წოდ- ფუძე არაა მარტივი ძირი. მკვლევარები მასში გამოყოფენ წ- ძირს, ზანურ ჰან-დ-, ჰ-ან- 'მოწვევა, დაბარება' ფუძეებთან შედარების საფუძველზე არნ. ჩიქობავა⁶⁶, უ-წ-ეს-ს და მეგრ. უ-წ-უ სიტყვებთან შეპირისპირებით ივ. ჭავთარაძე⁶⁷, ბაქ. გიგინეიშვილმა კიდევ ერთი ამავე -წ- ძირიანი ფუძე გამოავლინა -წ-ან-: მიიწან-ა: მიიწანნა მან ყოველნი ძენი მეფეთანი (II მეფ. 12,23); დაუწყუედის ზროხაჲ და ცხოვარი და დიდძალი კრავები და მიუწანებიან ყოველნი ძენი მეფისანი (III, მეფ. 1,25). მოაწან-ა: კარი იგი ღებულ არს, და მსახურნი ასწრაფებენ პირველად დაქშვადმდე კარისა. მოაწანეთ, ნუჟკუე გარეშე ვინმე დაშთეს, და არავინ იყოს, ვინ-

⁶⁶ შედ. ლექსიკ., გვ. 406.

⁶⁷ ივ. ჭავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიები... გვ. 288.

ნცა შეგიყვანა თქვენ (ეფრ. ასურ. ისტ. ქრ. 2. 4,17). როგორც
ბაქ. გიგინეიშვილმა გაარკვია, -ოდ სუფიქსი იგივე ნამყო უსრულის
-ოდ სუფიქსია⁶⁸. უწოდ-ა-სათვის ამოსავალია სამპირიანი ზმნის ში-
ნაარსი. საინტერესოა, ამ ზმნის მიცემითიან ობიექტთან რიცხვში
შეთანხმების შემთხვევა: მომიწოდნა ჩუენ.

ჰ-ხად-ი-ს 1. უძახის, უხმობს, იწვევს: ჩემდამო ჰხადის სეი-
რისგან (ესაიაჲსი 21,11); ოდეს ჰყოფდე სადილსა გინა სერსა ნუ
ჰხადი მეგობართა შენთა (ლ 14,12); ვხადოდე მას და არა მასმინა
მე (ქბ. ქბ. 3,2); ვხადოდე მოყუარეთა ჩემთა. ხოლო მათ შეურაცხ-
ძევეს მე (გოდ. იერ. 1, ით); ჰხადა აგარ სახელსა უფლისასა (დაბ.
16,13); ოდეს ჰყოფდე შენ სადილსა, ჰხადე გლახაკთა უმეცართა,
მკელობელთა, ბრძმათა (ლ 14,13); რაემს ვხადოს ვინმე ქორწილსა,
ნუ დაჰშჯდები პირველსა საინაქესა (ლ 14,8); იცის შესმენაჲ ვედ-
რებისა მათისაჲ, რომელნი ყოვლითა გულითა ჰხადოდინ მას (ცხ.
პ. კაპეტოლ. 28,10).

2. ეძახის, უწოდებს (სახელს): უკუეთუ დავით უფლით ჰხადის
მას, ვითარ ძმ მისი არს? (მ 22,45) (C, E :ხადის); არღარა ხადის მო-
ნად, არამედ ძმად და მეგობრად (სინ. 233,32); მარიამს ღმრთის-
მშობელად ხადით (სინ. 59,31); თქუენ ნუვის ჰხადით მოძღურით
(მ 23,8) (C, E :ხადით); მამით ნუვის ჰხადით თქუენ ქუეყანასა ზე-
და (მ 23,9) (C, E : ხადით); თქუენ მხადით მე: მოძღუარო და უფა-
ლო (ი 13,13) (C :მოძღურით); არა უფლით მხადოდაჲ მე და
ღმრთად აღმიარა? (სინ. 99,3).

ამ მნიშვნელობით **ჰ-ხად-ი-ს** ზმნა სტატიკური ჩანს. რეალური:
პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა მასთან მოქმედებითი და
ვითარებითი ბრუნვების ფორმითაა წარმოდგენილი. ამასთან, იგი
II სერიის დრო-კილოთა ნაკვთებში არ გვხვდება.

ხადა, ხადილ-ი (მასდარი **ჰ-ხად-ი-ს** ზმნისა) 'ძახილი, წოდება':
დადგეს გარე და შეავლინეს ხადად მრსა (მრკ. 3,31 c); ვიდრე ცნო-
ბადმდე ყრმისა მის ხადილსა მამისა გინა დედისა წარმოიღოს ძალი.
დამასკისაჲ (ესაიაჲსი 8,4).

მხადელ-ი (სასუბ. მიმღ. **ჰხად-ი-ს** ზმნისა) 'ის, ვინც დაუძახა.
მიიწვია': არა ნუ უწყოდაა გონებაჲ იგი მხადლისაჲ მის? (სია.
211,3).

-ხად- ფუძესთან გვხვდება გამო-, მი-, მო-, შე- ზმნისწინები:

⁶⁸ ბ. გიგინეიშვილი, -ოდ ელემენტის შამცხელი ერთი ზმნური
ფუძის აგებულებისათვის, საქართველო, სსრ მეცნ. აკად. მოძმე, XXIV, I, 1964,
გვ. 213—220.

გამოჰ-ხად-ი-ს 'გამოუძახებს, გამოუხმობს': გამოჰხადოდეს ლოტს და ეტყოდეს მას (დაბ. 19,5); მოვიდეს ძმანი მისნი და დედა მისი და გარეშე დგეს და მიუვლინეს მას და გამოჰხადოდეს (მრკ. 3,31).

მი-ჰ-ხად-ი-ს 'იწვევს, უძახის': მიჰხადეს იესუს და მოწაფეთა ნისთა ქორწილსა მას (ი 2,2).

მო-ჰ-ხად-ი-ს 'მოუწოდებს, მოუხმობს, დაუძახებს': მივედ და მოხადე ქმარსა შენსა (ი 4,16 ც); მსგავს არს იგი ყრმათა, მსხდომა-რეთა შორის უბნებსა, რომელთა მოხადიან მოყუასთა მათთა (მ 11,16 ც).

მოიხადი-ს (სათავ. ქც. მო-ჰ-ხად-ი-ს ზმნისა) 'უძახის': სხუასა ვისმე ევედრებოს შემწედ და განრინებად მოიხადის მას, რომელმან ყოველი სოფელი შექმნა (სინ. 105,38); სულ-თქუმითა მით მისითა ქრისტესა — ზესკნელსა მას სიძესა მოიხადოდა (სინ. 228,13).

მოუხადი-ს (სასხვისო ქცევა მოჰხადი-ს ზმნისა) 'დაუძახა მისთვის, მოუწვია': გნებავს, თუ მოგიხადო დედაკაცსა მზარდულსა ებრაელთაგანსა და გიწოდებდეს ყრმასა მავას? (გამოსლ. 2,7).

შეხადა 'დაუძახა, შეიპატიჟა, მიიწვია': შეხადა მუნ იესუს (ი 18,33). არა ნუ უწყოდაა გონებაჲ იგი მხადლისაჲ მის? არამედ სულგრძელებით თავს-იდებდა რომელმან-იგი შეხადა (სინ. 211,4).

ხად- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები ჰ-ხად-ა, გამო-ჰ-ხად-ა, მი-ჰ-ხად-ა, შეხად-ა თავისებური კონსტრუქციის ზმნებია: მათ სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში შეეწყობათ, დამატება — მიცემით-ში, მოსალოდნელი სახელობითიანი დამატება კი არა ჩანს. მის ეკვივალენტად ვერ მივიჩნევთ მოიხად-ა და მოუხად-ა ზმნათა სახელობითიან ობიექტს, რადგან ესენი მეორეული, წარმოქმნილი ფორმებია.

ხად- ფუძეს შესატყვისი არ ეძებნება მონათესავე ენებში, ისტორიულად. შესაძლებელია, იგი წარმოქმნილი ფუძე იყოს. მასში გამოყოფენ -ხ- ძირსა და -ად დეტერმინანტ სუფიქსს. -ხ- იმავე სემანტიკურ ოდენობადაა მიჩნეული, რაც გვაქვს *ღ-ხ-არ—თ-ხ-არ (უ-თხარ) ფუძეში⁶⁹.

მიუხამებ-ს 'ვასუხს გასცემს, საპასუხოდ ეუბნება': არცალა სიტყუასა მიუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ? (მ 26,62); ვითარ ასმენდეს მას მღდელთ მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი, არას მიუგებდა იგი (მ 27,12 ც); დედოფალმან მიუგო ჰეშმარიტებისა სიტ-

⁶⁹ ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიები, გვ. 291.

ყუაჲ (სინ. 239,20); მრქუა მე: იხილენა კიშტენი ეგე? და მიუგე: ჰე-
უფალო (სინ. 66,27); მიუგეს მამა-დედათა მისთა და ჰრქუეს (ი-
9,20).

მი-უ-გ-ებ-ს იმავე ძირს ეყრდნობა, რაც გვაქვს სიტყვაში მი-
ა-გ-ებ-ს 'სამაგიეროს მიუზღავს, მისცემს'. საპასუხოდ რაიმეს თქმის.
მნიშვნელობა მას გაუჩნდა შესიტყვებაში „სიტყუასა მიუგებს“.
შემდეგში პირდაპირი ობიექტის დაკარგვით მთელი შესიტყვების
სემანტიკური ფუნქცია ზმნას დაეკისრა. პირდაპირი ობიექტის და-
კარგვის ტენდენცია ძველი ქართულის ფაქტია.

10. ძილი და სიზმარი

ძილ-ი 'სიმშვიდისა და დასვენების ფიზიოლოგიური მდგომა-
რეობა, რომელიც მეორდება დროის გარკვეული მონაკვეთის შემ-
დეგ, და რომლის დროსაც მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება ცნო-
ბიერების მუშაობა': არა ვსცე ძილ თუალსა ჩემსა, არცა რულილ
წამთა ჩემთა (ფსალმ. 131,4); კშირ იყო ძილი იგი, ხოლო არ იყო
ტკბილ ძილი იგი (სინ. 105,20); განყენებულ იყო ძილი თუალთა
ჩემთაგან (დაბ. 31,40); ვიდრე იგი იტყოდა ამას, ძილი საკვრველი
დაედვა მას ზედა (კომ. 1, 156,25); მღვპარებისათჳს იწოდე და შენ
ძილი გერევის (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 2,18); იყოს ვითარცა
სიზმარი ძილსა შინა ღამე (ესაიაჲსი 29,7); აჩუენის ოდესმე ძილსა
შინა და ოდესმე დღისით და ცხადად (აბუს-ტბ. II, 19); ძილსა შინა
ცხენნი ეოცნებიან (ექუს. 41,6); ვიხილჷ ჰრულსა შინა ძილისა ჩე-
მისასა წმიდაჲ მოწამჷ თევდორჷ (რავახ. 85,13); არცა გან-ვინ-
იღვძა, რამეთუ ყოველნი დასულეებულ იყვნეს ძილისა მისგან. რა-
მეთუ თლემულეებაჲ ძილისაჲ დადებულ იყო მათ ზედა (I მეფ.
26,12); აწ განიფრთხვე ძილისა მაგის შენისაგან (ბალავ. 149,6); ხო-
ლო ოდეს დაშურის გუამი უძლურებისაგან და მერმე მიეცის მას
განსუენებაჲ ძილისაგან (კაც. აგებ. 169,15); მიერულა მას ძილითა
კშირითა სიტყუასა მას პავლჷსსა მრავალ ჟამ (საქმე მცქ. 20,9);
პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა (ლ 9,32); მაშინ
დაიძინა სტეფანე ძილითა სულნელითა (სინ. 61,8).

მოძილ-ი 'ძილისაყენ მიდრეკილი, მთვლემარე, მძინარე': ოდეს
იხილის ძმათაგანი ვინმე უდბად და მოძილად ეკლესიისა ლოცვასა,
ჰკითხის, ვითარმედ: „რად გძინავს ეკლესიასა შინა? (ცხ. იოვ. და
ეფთ. 94,1).

უძილ-ი 'უძილო, ფხიზელი, დაუძინებელი': ილოცვენ და უძილ
არიან (ბალავ. 43,26); უძილ ვიყავ და დავადგერ, ვითარცა სირი-

მხოლოდ სართულსა ზედა (ფსალმ. 101,8); ღამე ყოველ უძილ იყვნეს (სინ. 153,14); მარჯულ მამისა არს მღვდარჱ და უძილ (სახისა სიტყ. 4,56); გარდაელჱ ღამჱ იგი უძილოდ შეძრწუნებულმან ურვასა შინა დიდსა საკვრეველებისა მისგან, რომელი ვიხილე (რავახ. 85,8); ამის გამო დაადგრა იგი ღამესა მას უძილად (კიმ. I, 123,15); შემწირველი ცრემლთა წმიდათაჲ უძილთაგან თუალთა შენტა (ხანძთ. 57,15).

უძილება-ჲ || **უძილობაჲ**: ასული მამისა თვისისა დაფარული უძილებაჲ არს და გულის სიტყუათა მათ მისთა განაშორიან ძილი მისი (ისო ზირაქ. 42,9); ღამჱ განთენა უძილობით (ხანძთ. 5,62).

ს-ძინავ-ს: არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე, არამედ სძინავს (ლ 8,52); მივედ მამისა და ისმინე: ჰსძინავს-ძი ანუ ჰღვძავს (ხანძთ. 50,4); სიმონ, გძინავსა? (მრკ. 14,37); მე მძინავს და სულს ჩემსა ჰღვიძავს (ქბ. ქბ. 5,2); რაჟამს სძინავს მღვდარჱ არიედ თუალნი მისნი (სახისა სიტყ. 3,47); სძინავს იგი ვის, არლარა ნუ შესძინისა აღდგომაჲ? (ფსალმ. 38,9); ეძინა ვითარცა კაცსა, შიოდა ვითარცა კაცსა, ღმრთეებ სასწაულსა იქმოდა (სინ. 50,8); იონას ეძინა და ზურინვიდა (სინ. 105,19); ანუ ჩუენებაჲ-მე რაჲ იხილაა მას ღამესა, ანუ უზრუნველად ყუდროდ ეძინა? (მრავალთ. 262,29); იგი ღამე ყოველ იღვტებდეს, და ჩუენ მეძინა (მამ. სწ. 60,31); რაჟამს გეძინოს, გცვიდენ შენ (იგავნი სოლ. 6,22).

დააძინ-ა: სივერაგითა გრძნებისაჲთა დააძინა მას ირა ვიდრე დანთქმამდე ირაკლისა (ელ. ზღაპრ. III, 83). ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ზმნა ობიექტს მიცემით ბრუნვაში შეიწყობს.

დაიძინებ-ს 1. ძილს ეძლევა, ძილის მღგომარეობაში გადადის: ნუცა გრულის, ნუცა დაიძინებთ (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 24,18); იგინი ძოვდენ და დაიძინებოდინ: არა ვინ იყოს მაშინებელ მათა (სოფონია 3,13); დაიძინა მუნ, რამეთუ დაჰვიდოდა მზჱ (დაბ. 28,11); განვიღვტე და კუალად დავიძინე (დაბ. 41,21); მიერულა ყოველთა და დაიძინეს (მ 25,5); ღამჱცა არა დაიძინის გულმან მისმან (ეკლ. 2,23); მე დავწვევ, დავიძინე, განვიღვტე, რამეთუ უფალი მწე მეყო მე (ფსალმ. 3,6).

2. გარდაიცვლება (იხ. გვ. 129).

დაეძინ-ა (ე- თავსართიანი ვნებითი): მას დაეძინა სამ დღე და სამ ღამე (ზანძთ. 85,17).

დაიძინება (მასდარი დაიძინებს, დააძინებს ზმნებისა) 'ძილის მღგომარეობაში გადასვლა, გადაყვანა': უმზადეს მათ სერი და უქმნეს მათ უცომოჲ და ჰამეს ვიდრე დაიძინებამდე (დაბ. 19,3); ამის-

თქსკა უბრძანიან კელოვანთა უსეროდ და გემოუხილველად დაძინებულ (სინ. 109,34).

დაძინებულ-ი (ნ. დროის საობ. მიმღეობა დააძინებ-ს ზმნისა): აღდგენ და აკურთხევდენ ღმერთსა, რომელნი დაძინებულ არიან მიწასა (სინ. 263,21).

დაუძინებელი (უარყ. მიმღ. დაიძინა, დააძინა ზმნებისა) 1. ვისაც ან რასაც არ დაუძინია, — ფხიზელი: ყოველსავე ხედავს დაუძინებელი იგი თუალი (ეჭუს. 87,23); მცველი იგი დაუძინებელი ყოვლადვე მცველ არს შენდა (ხანძთ. 24,29).

2. (გადატ.) მუღმივი: თაყუანის-სკა სანთელმან მან ნათელსა დაუძინებელსა (სინ. 203,38).

მიეძინებ-ის 'ძილი მოუვა, ძილს მიეცემა, ჩაეძინება': მი-რააძ-ვი-დოდეს იგინი ნავითა, მიეძინა (ლ. 8,23); შუვალამეს ოდენ ვითარ მიეძინა ცოლსა მისსა განიპარა წმიდაა აღექსი (კიმ. I, 161,31).

მძინარე (სასუბ. მიმღ.) 'ის, ვისაც (ან რასაც) სძინავს, — ძილში მყოფი, დაძინებული': საცნაურ იყოს მისა შემდგომად ძალი იგი მისი მძინარისა (სინ. 163,17); პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ (მრკ. 14,40); პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ ძალ-გიც ეამ ერთ მღვდარებად ჩემ თანა (მ 26,40); აწ მძინარენო კორციითა და მღვდარენო სულითა მკუდრად შერაცხილნო მკუდართაგან (ხანძთ. 58,8); განალკძებს მკუდართა ვითარცა მძინარეთა და ეტყვის (სინ. 131,11).

მძინარება: იესუ თქუა სიკუდილისა მისისათვის, და მათ ეგონა, ვითარმედ მძინარებისათვის ძილისა თქუა (ი 11,13); მათ ეგრე ეგონა, მძინარებასა ძილისასა ნუ იტყოდა (ი 11,13 ა);

ძ-ინ- || ძ-ილ- ფუძე შესატყვისის გვაძლევს ზანურშიცა და სვანურშიც. ჭან.: ჭ-ან- || ჭ-ირ || ჭ-ინ- 'დაწოლა, ძილი': ჭიმი ბჯან, ჭიმი ბხერ (ჭან. ტ. II, 69,7) „ხან ვწევარ, ხან ვზივარ“: ემსერი ჭუმანი-შაქის ონჯირეს ვარ ანჯირუ (ჭან. ტ. II, 13,22) „იმ ღამეს გათენებამდის საწოლში ვერ დაიძინა“. მეგრ.: ჭ-ან- || ჭ-ირ- 'დაწოლა': ლეხი ჯანუ(ნ) „ავადმყოფი წევს“, ბალანაქ ქილინჯირუ „ბავშვი დაწვა“.

ქართული და ზანურის მონაცემების შეპირისპირებით ძირად გამოიყოფა -ძ- (resp. -ჭ-) და -ინ-, -ილ-, -ან-, -ირ სუფიქსები (შედ. ლექსიკ. გვ. 434). სვანურში ეს ძირი უსუფიქსოდაა წარმოდგენილი: უ-უ 'ძილი'⁷⁰. უ- თავსართი ასახსნელია. ლი-უჟ-ე 'ძილი' (მას-

⁷⁰ В. Т о п у р и я., Некоторые вопросы сравнительной фо�етики: картвельских языков, гл. 7.

დარი), ლი-უჟუ-ნ-ე 'დაძინება': ეჩას ესერ ლივეე ხალატ მწეარ (სვ. ტ. I, 178,3) „მას ძილი უყვარს ძალიან“; ალჟარ ჩუდ ავეენ ი ათხე ჟ'ანაძეცხენე (სვ. ტ. I, 199,36) „ამათ ეძინათ და ახლა გა-აღვიძა“; აშირანს ჩეათუყდა ამი ლულზრჟინ (სვ. ტ. I., 99,13) „ამი-რანს დაეძინა ამის მუხლებზე“.

პრულ-ი 'მცირე რამ ძილი' (საბა): დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ ეყო მას პრული მისი (ხანძთ. 8,14); არა სცა ძილი თუ-ალთა თვსთა. არცა პრული წამთა თვსთა (კიმ. I, 99,16); ვიხილშ პრულსა შინა ძილისა ჩემისასა წმიდაჲ მოწამშ თევდორშ (რევახ. 85,12).

პ-რულ-ი-ს 'თვლემს': ნუ სცემ ძილსა თუალთა შენთა, ნუცა პრულის წამსა შენსა (იგავ. სოლ. 6,4); არა პრულის, არცა დაიძინის მცველმან ისრაჳლისამან (სახისა სიტყ. 40,31); ნუცა გრულის, ნუცა დაიძინებთ (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 24,18); არა პშიო-დის, არცა დაშურენ, არცა პრულოდის, არცა დაიძინონ (ესაია 5,27); არა ვსცე ძილ თუალსა ჩემსა, არცა რულილ წამთა ჩემთა, არცა განსუენებაჲ კორცთა ჩემთა (ფსალმ. 131,4) (ც : პრულის).

დაპრულ-ა 'მიერულა, ჩასთვლიმა': დაპრულა მწყემსთა შენ-თა. მეფემან ასურასტანისამან დააძინა ძლიერთა შენთა (ნაუმისი 3,18).

მიერულეზი-ს 'რული ეკიდება, ეძინება': ჩუენ ყოველთა ვი-თარცა მთრვალთა მიგუერულეზობდა (სინ. 69,20); მიერულა მას ძილითა კშირითა სიტყუასა მას პავლშსსა მრავალ ჟამ (საქმე მცქ. 20,9); იყო დაყოვნებასა მას მის სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს (მ 25,5); ვითარცა მიერულა მეფესა გამოუჩინდა წმიდაჲ ილარიონ (ილარ. 290,28).

მირულეზა (მიერულეზა ზმნის მაადარი): ვიხილე ჩუენებასა 'შინა მცირედსა მას მირულეზასა ჩემსა მეტლთა ზედა (მოქც. ქართლ. 123,21).

მრულალ-ი (სასუბ. მიმღეობა⁷¹) 'ის, ვისაც პრულის': ვინ აღადგინებნ მძინარესა კშირისაგან ძილისა და უთხრობნ იგი მრულალთა რომელი უთხრობნ ცოფსა (ისო ზირაქ. 22,8).

⁷¹ მ - თავსართით პ. რიხელში მხოლოდ სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება ჩვეულებრივ, მართალია, ინკლუზიულ სტატუსურ ზმნათა მ- თავსართიანი მიმღეობა უდრის შესაბამისი ზმნის გრამატიკულ, ობიექტს, მაგრამ რადგანაც იგი რეალურა სუბიექტია, ამიტომ მრულ-ალ-ი მ-ძინ-არ-ი ტიპის მიმღეობებაც სუბიექტურად მიიჩნევა (იხ. ეკ. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრ., ტ. 67, 1957, გვ. 186):

მორულებულ-ი: რამეთუ მრავალ-გზის უჩუენა მმართველ-სა, აფქიონისა ზედა მორულებულსა ღამე ლელვისა მოლოდებასა, და კუალად ოდესმე საბლებისა განმრთხმელთა, და აფრისა მო-ურნეთა (ასტ. ამას. 231,11).

პ-რულ-ი-ს, და-პ-რულ-ა, მი-ე-რულ-ა ფორმით ორპირიანი ზმნებია, რეალურად კი მხოლოდ მიცემითში დასმული სახელი შეეწყობა. სახელობით ბრუნვაში მოსალოდნელი სახელი დაკარგულია და მისი სინტაქსური ფუნქცია სუბიექტისა ეკისრება მიცემითიან სახელს, და ამდენად, ყველა ეს ზმნა ინვერსიულია.

პრულ- სახელის ფუძისა და **-რულ-** ზმნური ფუძის შედარებისას დგება ჰ თანხმოვნის საკითხი. ვფიქრობთ, იგი ძირეულია: და ზმნურ ფუძეებში მის დაკარგვას შეუწყო თვით ჰ ჰგერის არა-წყარმა მდგომარეობამ ქართული ენის ფონემურ სისტემაში და შეორეც, მორფოლოგიურ პრეფიქსთან დამთხვევამ. ასევე ჰ თანხმოვნის გარეშეა ეს ფუძე წარმოდგენილი ზანურშიც: ქან.: ლირ-თვლემა': ნჯირი ქომუხთუ დო ლირტუ (ქან. ტ. I, 86,20) „ძილი ჰოუვიდა და თვლემდა“. მეგრ.: ლურ || რულ- 'ძილი': პატონს ლურსუ დო ვა გააკურცხინუავა (ცაგ. 41,16) „პატონს სძინავს და არ გააღვიძოა“; ქუდარულუ ბოშისგნი, ქოძირუ სიზმარი (ხუბ. 5,28) „ბიქს რომ დაეძინა, ნახა სიზმარი“; ლურქე ქემანდომინუ ძლაბისგ (ყიფშ. 102,30) „ძილი მოუნდა გოგოს“; ლურენჯი კოსე ხამი ქიმიოგე ქორასა (ცაგ. 6,8) „მძინარე კაცს დანა ჩაარტყა მუ-ეელში“.

ქართული **-რულ-** ← **-ლულ-** 'საგან დისიმილაციის შედეგად (შედ. ლექსიკ. გვ. 302). რადგან ჰ ძვ. ქართულში უცხო წარმომავლობის სიტყვებში გვხვდება ჩვეულებრივ (მდრ. ჰაერი, ჰასა-კი, ჰებრაელი...), აქაც ხომ არა გვაქვს საქმე სესხებასთან?

თლემშლეზა-ღ 'თვლემა': არცა გან-ვინ-იღვძა, რამეთუ ყოველნი დასულებულ იყვნეს ძილისა მისგან, რამეთუ თლემშლეზაა ძილისაა დადებულ იყო მათ ზედა (I მეფ. 26,12).

ხურინავ-ს 'მძინარე სუნთქვისას გამოსცემს დაუნაწევრებელ უკანაენისმიერთა მსგავს ბგერებს, ხვრინავს': რაჲსა სძე და ხურინავ? (სინ. 163,17), რაჲსა ხურინავ შენ? აღდეგ და ხადოდე ღმერთსა შენსა (იონა 1,6); ეძინა და ხურინვიდა (იონა 1,5; სინ. 105,19), დააგლო თავი თვისი საკურთხეველსა ზედა და ხურინვიდა იგი (კიმ. I, 314,17).

ფუძეა ხურინ-, -ავ თემატური სუფიქსია. ხურინ- ფუძის შე-სატყვისია მეგრულში ხურხინ- 'ხვრინვა' და სვან. ლი-ხვრტენ-ი ხვრტინი 'ხვრინავს'.

მეგრული და ქართული ფუძეები შედარებულია გ. კლიმოვის მიერ (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 259). იგი გამოყოფს -ინ სუფიქსს და მას მიიჩნევს კაუზატური წარმომავლობისად. ერთპირიან სტატიკურ ზმნაში კაუზატივის სუფიქსის წარმოჩენა მოულოდნელია. -ინ ისეთივე ოდენობა უნდა იყოს, როგორც გვაქვს სიტყვებში ძ-ინ-ავ-ს, ც-ინ- 'იციინს', ე-შ-ინ-ი-ს.

მეგრულ ფუძეში მეორე ხ, კლიმოვის აზრით, მიღებული უნდა იყოს ხურხ- 'ხორხი' ფუძესთან კონტამინაციით.

ასახსნელია სვანური ტ.

ჰ-ლჰძაჰ-ს 'ფხიზელ მდგომარეობაშია, არ სძინავს': მივედ ძამისა და ისმინე. ჰსძინავსძი ანუ ჰლჰძავს (ხანძთ. 50,4); მე მძინავს, და სულს ჩემსა ჰლჰძავს (ქბ. ქბ. 5,2); ვისსა ჯერეთ ელუძია (ვისრ. 134,8).

ჰ-ლჰძავ-ს ინვერსიული ზმნაა. -ს სუფიქსის ფარდი სახელი შესიტყვებაში არ ჩანს.

ილჰძებ-ს 'ფხიზლობს, არ იძინებს': ძმანი ესე ფრიალ შურე-ზიან და ძლიერად იმარხვენ და გარდარეულად ილჰძებენ და ილო-ცვენ (ლიმონ. 61,10); იგი თავადი საფლავად მიეცა და სამარესა შინა ილჰძებდა (იობ. 21,32); უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალ-მან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს, ილჰძებდამცა (ლ 12,39); დასხედით აქა და ილჰძებდით ჩემ თანა (მ 26,38); ილჰძებდით უკუე ყოველსა ჟამსა (ლ 21,36); იგი ღამე ყოველ ილჰძებდეს, და ჩუენ მეძინა (მამ. სწ. 60,31).

ეს ზმნა აგებულებით დინამიკურ გარდამავალი ჩანს. სინამ-ღვილეში კი არც ობიექტი შეეწყობა და შინაარსიც უფრო სტატიკური ზმნისა აქვს: „ფხიზლობს“ და არა „გაიღვიძებს“.

ლჰძება (მასდარი ი-ლჰძებ-ს ზმნისა) 'ფხიზლობა; ფხიზელ, მღვიძარე მდგომარეობაში ყოფნა': ეგოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ ღვძებად ჩემ თანა (მ 26,40 c); ვერ უძლეთ ჟამ ერთ ღვძებად? (მრკ. 14,37 c).

მღვძარე (სასუბ. მიმლ. ჰ-ლჰძავ-ს ზმნისა) 'ის, ვისაც ჰლჰძავს, ფხიზელი, არამძინარე': ვითარ მღვძარე არს აიდონი, რაჟამს აგ-რობნ კუერცხთა (ექუს. 99,30); მეკარესა ამცნო, რაჟთა მღვძარე

იყოს (მრკ. 13,34); რაჟამს სძინავენ მღვდარს არიედ თუალნი მისნი (სახისა სიტყ. 3,47); შემწირველი ცრემლთა წმიდათაჲ უძლითა-გან თუალთა შენთა და მღვდარისაგან სულისა შენისა (ხანძთ. 57,16); ამიერითგან ფრთხილად და მღვდარედ ჳამს თავთა ჩუენთა პყრობაჲ (სინ. 110,3); თუალნი იგი მღვდარენი ხედვენ საიდუმლო-სა გულისა ჩუენისასა (მამ. სწ. 40,13); აწ მძინარენო კორცითა და მღვდარენო სულითა (ხანძთ. 58,8); გამოწერა სახს ადღგომისა ჩუენისაჲ მის თანა მღვდარეთაგან უკუდავთა და ყოველთაგან (სინ. 154,26).

ღვძებულ-ი 'ის, ვინც გააღვიძეს': ხოლო მან, ვითარცა ძი-ლისაგან ღრმისაგან ღვძებულმან, მიუგო (ცხ. გ. შთაწმ. 409,10).

მღვდარება-ჲ 'ღვიძება, ფხიზლად ყოფნა': ესრეთ პნებაჲს დამბადებელსა ყოვლით-კერძო მღვდარებაჲ შენ (ექქუს 89,17); მღვდარებაჲ და ლოცვაჲ ესოდენ შეიტკბო (კიმ. I, 64,6); სიმრთე-ლესა კორცთასა და მღვდარებასა სულთასა გარდააქცევედ და გან-პრყუნიან (სინ. 109,18); მღვდარებისათჳს იწოდე და შენ ძილი გე-რევის (ეფრ. ასურ. ისტ. ქრესტ. 2, 2,18); ჰბაძევედინ იგი წმიდასა ანნას წინაწარმეტყუელსა მარხვითა, მღვდარებითა და ლოცვითა (სინ. 90,16); ესოდენ ვერ ძალ-გიც უამ ერთ მღვდარებად ჩემ თანა (მ 26,40);

აგებულებით სიტყვა წარმოადგენს მღვდარებ-ს ზმნის, რომე-ლიც ტექსტებში არც შეგვხვედრია, მასდარს.

განაღვძებ-ს 'ძილის მღგომარეობიდან გამოჰყავს, ძილს აწყ-ვეტინებს, აფხიზლებს': ვინ არს ესე, რომელი განაღვძებს მკუ-დართა ვითარცა მძინარეთა (სინ. 131,10); ეძინა და განაღვძებ-დეს მას მოწაფენი (მრკ. 4,38); უფალო ამისთვისცა მიგეთხრა შენ განაღვძე გონებაჲ ჩემი (ესაია 38,16); ვაშლსა ქუეშე განგაღვძე შენ (ქბ. ქბ. ოშკ. 8,5); განაღვიძეთ სიყვარული, რაჟამსცა უნდეს (ქბ. ქბ. 2,7); განაღვძის გონებაჲ ლოცვისათჳს (სინ. 113,15); ლა-ზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვა-ღვძო იგი (ი 11,11).

განიღვძებ-ს 'ძილის მღგომარეობიდან გამოდის, ძილს სწყევტს, ფხიზლდება': განიღვძა იოსებ ძილისა მისგან (მ 1,24); განვიღვძე და კუალად დავიძინე (დაბ. 41,21); გან-რაჲ-იღვძეს, იხილეს დიდებაჲ მისი და ორნი კაცნი მის თანა მღგომარენი (ლ 9,32).

„ვისრამიანში“ დასტურდება გან- ზმნისწინის გამარტივებუ- ლი გა- ვარიანტი: რა დილასა გაიღუძოს, მონათა და მკეველთა ითხოვს სამსახურად (ვისრ. 39,13).

განელჳ-ა 'ძილის მდგომარეობიდან გამოვიდა, გამოიფხიზ- ლა': და რაჳამს განელჳჳ, თქუა (ხანძთ. 85,17).

ე- თავსართიანი ვნებითი ამოსავლად სამპირიანი ზმნის ფორ- მას ვარაუდობს, თითონ კი ორი პირი უნდა ახლდეს. განელჳჳ ზმნასთან გვაკლია სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი. იგი განაღჳჳებ-ს ზმნის კონვერსიული ფორმა ვერ იქნება, რადგან მოქ- მედებითი გვარის სახელობითი ბრუნვა ვნებითშიც სახელობითით უნდა გადმოსულიყო.

განღჳჳება (მასდარი განაღჳჳებ-ს, განიღჳჳებ-ს ზმნებისა) 'ძი- ლის მდგომარეობიდან გამოსვლა, ან გამოყვანა, — გამოფხიზლე- ბა: ფხიზელ, მღვიძარე მდგომარეობაში ყოფნა': ვერ უძლეა ჟამი ერთი განღჳჳებად ჩემ თანა? (მრკ. 14,37); ჩუენდა ჳერ არს გან- ჳჳებებად ძილისაგან მწრაფლ (ბოლნ. 7,12).

სიზმარ-ი 'ძილში ნახული წარმოდგენები და სახეები, რაც მძინარეს ესახება, ესიზმრება': იყოს ვითარცა სიზმარი ძილსა ში- ნა ლამე (ესაიაჳსი 29,7); ვითარცა სიზმარი განფრინებული ვერ იპოვა (იობ. 20,8); წარმოუდგინის სიზმარად ლამე საყუარელნი თჳსნი (სინ. 113,7); და თუ დაიძინის, ბოროტთა სიზმართა და შე- მადრწუნებელთა ჩუენებათა შეაძრწუნინან (მამ. სწ. 121,10);

სი-ზმ-არ-ი ნაწარმოები სიტყვაა, შდრ. ჳმან-ებ-ა, ე-ზმ-ან-ა. იგი შესულია ქართულიდან მეგრულში: ქუდარულუ ბოშისგნი, ქო- ცირუ სიზმარი (ხუბ. 5,28) „ბიჳს რომ დაეძინა, ნახა სიზმარი“; ამსერი ძღაბის გიასიზმარუ ნამულა... (ხუბ. 6,9) „ამალამ გოგოს დაესიზმრა რომ“... ჳანურსა და სვანურში გვაქვს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები: ჳან.: იზმ-ოჯ-ე || ე-ზმ-ოჯ-ა: ლომა ლიძგი იზმოჯე მუჳო გიირი (ყიფშ. ჳ. ტ. 22,3) „გუშინ საღამოს სიზმარივით გნახე“. სვან.: ი-ზნ-ა-ჳ, იზნავი. ქართულსა და ჳანურს შორის პარალელი პირველად ნ. მარმა გაავლო⁷².

ჩუენება-ღ 'სიზმარი, ჳმანება': ჩუენებაჳ ვიხილეთ და გამო- მეტყუელ არაეინ არს მისა (დაბ. 40,8); ჩუენებაჳ იხილა არა თუ ძილსა შინა, არამედ ცხადად (ხანძთ. 6,2); დაწვა მას ადგილსა და ჩუენებასა იხილვიდა (დაბ. 28,12); აჳა ჩუენების მხილველი. იგი

⁷² Н. Я. М а р р, Где сохранилось сванское склонение, გვ. 1202.

მოვალს (დაბ. 37,19); ხოლო ნეტარი პეტრე დაადგა მას ღამე ჩუენებით და პრქუა მას (სინ. 249,16); მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით ანგელოზისაგან (მ 2,12).

სიტყვა წარმოადგენს აჩუენებ-ს, უ-ჩუენებ-ს ზმნების მას-ღარს: სხვისთვის რაიმის დანახვის შესაძლებლობის მიცემა — ეს მნიშვნელობაა ძირითადი ამ სიტყვისათვის: მიერიოთგან იწყო იესუ ჩუენებად მოწაფეთა თვსთა, რამეთუ მისლვად იყო იერუსა-ლჴმდ (მ 16,21 c); უკუეთუ არს ხილვაჲ ესე ჩემდა უფლისა მიერ, ჳერ-იჩინენ მეორედცა და მესამედ ჩუენებად (სინ. 66,5).

ეჩუენა 'დაესიზმრა, ეზმანა': ეჩუენა ვინმე ღამე ძილსა (სინ. 249,34); რომელი გუეჩუენა ჩუენ მას ღამესა (სინ. 69,10).

სიტყვა წარმოადგენს 2-პირიან ვნებითს აჩუენებ-ს, უჩუენებ-ს ზმნებისას. სიტყვა გავრცელებულია პირველადი მნიშვნელობითაც: ის მისთვის გახდა დასანახი: არღარავის ეჩუენებოდა იგი მიერ დღითგან (სინ. 271,18); ხოლო აღდგა განთიად პირველსა მას შა-ბათისასა და ეჩუენა პირველად მარიამს მაგდანელსა (მრკ. 16,9); რაჟამს შევიდიან ეკლესიად კრძალვის სახედ ეჩუენნიან (სახისა სიტყ. 21,33).

ჩუენ- ფუძე სიზმრის, ზმანების მნიშვნელობით მონათესავე ნებში არ დასტურდება.

11. გამოყოფის პროცესები

ნერწყუბ-ღ 'ნერწყვი, ფურთხი, ღუეი': ვითარცა ნერწყუაჲ პირისაჲ შეირაცხნეს (ესაია 40,15); მიიღეს მათ ნერწყუაჲ პირი-თა მათითა (სინ. 258,38); უკუეთუ მოგიხდეს ნერწყუაჲ, ნუ გნე-ბავნ წარპოგდებაჲ მისი წინაშე ძმათა (კიმ. I, 230,14); ეძიებდ ნერწყუასა მისსა, თავს იდევ ყურიმლის-ცემაჲ მისთვის (მრავალთ. 301,24); ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიკაჲ ნერწყუსაგან (ი 9,6); ნერწყუთა დაალტვეს სამოსელი მისი (კიმ. I, 84,6); თიკაჲ შექმნა ნერწყუთა და თუალთა მისთა დაჰგოზა (ევსტ. მცხ. 39,1); ვიდრემდე შთავთქნე ნერწყუანი ჩემნი საღმობით (იობ. 7,19).

ჰ-ნერწყუ-ა 'ნერწყვი მიასხა, მიაფურთხა': ჰნერწყუა თუალ-თა მისთა (მრკ. 8,23); ჰსცემდეს მას თავსა ლერწმითა და ჰნერ-წყუვიდეს მას (მრკ. 15,19); ნერწყუთა ბილწებისაჲთა ჰნერწყუევე-ღით მას (სინ. 238,35); ეკიცხევდენ მას, და იგინოს, და ჰნერწყუევი-დენ (ლ 18,32).

აღმო-ჰ-ნერწყუავ-ს წმიდა-ყვნა იგინი სისხლითა, რომელსა აღმოჰნერწყუვიდა (ცხ. პ. კაპეტოლ. 58,21).

და-ჰ-ნერწყუ-ა: ჰბერო თუ ნაკუერცხალსა, აღაგზნე ცეცხლო
და დაჰნერწყუო თუ, დაშირიტო იგი. და ესე ორივე პირისა შენისა-
გან გამოვალს (ისო ზირაქ. 28,13).

შე-ჰ-ნერწყუ-ა: ხოლო წმიდამან ქრისტინა მიხედნა და შეჰ-
ნერწყუა პირსა მისსა (ქრისტინა, 186,35); უკუეთუმცა მამამან
მისმან შეჰნერწყუა პირსა მისსა, არა ჯერ-იყო მისა შეწუხებდა
(მამ. სწ. 40,32); კაცად-კაცადმან გცეს ყურიმალსა და პირსა შეგ-
ნერწყოს (კიმ. I, 85,6).

წარსმო-ნერწყუ-ა: განვსცნეთ ქუეყანისანი, რათა მოვიგნეთ
ზეცისანი და წარმოვჰნერწყუნეთ განხრწნადნი, რათა ვიშუებდეთ
უხრწნელთაგან (ცხ. პ. კაპეტოლ. 32,8); განვედ გარე და წამონერ-
წყუე (კიმ. I, 230,15).

ნერწყუვა (მასდარი ჰ-ნერწყუ-ა ზმნისა) 'ფურთხება': პირი
ჩემი არა გარე-მივიქციო სირცხვლისა მისგან ნერწყვა (ესაია
50,6); იწყეს ვიეთმე ნერწყუვად პირსა მისსა (მრკ. 14,65); პირსა
წინაშე ჩემსა არა მერიდნეს ნერწყუვად (იობ. 30,10); ჩუენ ცოდ-
ვილთათვს ვნებისა და ნერწყუვათა და ყურიმლვათა მიმთუალვე-
ლსა (თეოფ. ვკონომ. 271,28).

სანერწყუველ-ი (მყ. დროის საობ. მიმლ. ჰ-ნერწყუ-ა ზმნისა)
'საფურთხებელი': არა სანერწყუველ იქმნების საზოგადისა მის
კოლისა ზრახვაჲ (სინ. 210,1).

განმნერწყუველ-ი (სასუბ. მიმლ.): სოფლისა ყოველფერთა
შუებათაცა განმნერწყუველმან და განმთხვეელმან მარტოობითი
და დაყუდებითი ცხორებაჲ აღირჩია (თეოდ. განგრ. 289,18). ნე-
რწყუ-ა- ფუძეს შეესატყვისება მეგრულში ლე-რჰყვ-ა, ჰანურში
ლე-მჰყვ-ა, ლე-მშყვ-ა, ლე-ნჰყვ-ა და სვანურში ნაშყუ 'ნაფურთხი',
ნეწუ 'ლეზვი'. სვანურში სიტყვა ნეწუ ქართულიდანაა შესული.
დანარჩენი ფორმები კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისებს
წარმოადგენს. ნე-, ლე-, და ნა- თავსართები მორფოლოგიური ეკ-
ვივალენტებია. ძირია -რწყუ-, იგივე, რაც რწყავ-ს ზმნაში გვაქვს⁷³.
ზანური ფორმებისათვის ამოსავალია -რჰყვ- ძირი, ჰანურში გვაქვს
მ||ნ სუბსტიტუცია რ-სთან. ათინურ კილოკავში ლე-მშყვ-ა მილე-
ბულია ჰ ბგერის სპირანტიზაციით⁷⁴. სვანურშიც სპირანტიზებუ-
ლი ვარიანტი ნაშყუ გვაქვს შესატყვისად (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 147).
-ა სუფიქსითაა გაფორმებული ფუძე ძვ. ქართულსა და ზანურში.

⁷³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართულურ ენათა სატყუარჰოუბოან, თეუ შ., VII, 1938, გვ. 87.

⁷⁴ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 17.

ძველი ქართული ენის ლექსიკონებში (საბა, ივ. იმნაიშვილი) შეტანილია უსუფიქსო ფორმა ნერწყვ-ი. ტექსტებში ჩვენ ის ვერ დავადასტურეთ.

ოფლ-ი 'კანქვეშა ჭირკვლების მიერ გამოყოფილი სითხე'; გადატ.: 'მძიმე შრომა, რომელიც ოფლის ინტენსიურ გამოყოფას იწვევს': ოფლი დიდძალი ქორცთა სდინ (მრავალთ. 307,27); მოეხვნეს ყელსა და ლოჰმნიდეს ოფლსა პირისა მისისასა (ქრისტინა, 194,2); მოჰკოცდეს ოფლსა პირისა მისისასა (კიმ. I, 152,19); აღაშენეს მონასტერი... ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა (ცხ. იოვ. და ეფთ. 23,3); ოფლითა პირისა მათისაჲთა ჰამდეს პურსა მათსა (ბარლაამ. ცხ. 9,10); დავისაჲენით ოფლითა პირისა ჩუენისაჲთა ჰამად პურისა (ექუს. 56,8); რომელი წმიდათა მამათა მრავლითა შრომითა და ოფლითა ძლით დააცხრევს (კიმ. I, 63,31); უტკივრად გაქუს ოფლით ნამუშაქევი (გ. ათონ. 499,5); კელნი სანატრელნი... უბიწოსა გულსა ზედა თვისსა დაიჭუარედნა, და მცირედ ოფლნი გარდაეცნეს (ცხ. გ. მთაწმ. 397,7); ოფლთა და ცრემლთა ნაკადულითა რწყვიდა უდაბნოთა მათ (გარესჯ. 234,17).

ოფლიერ-ი 'ოფლიანი, გაოფლიანებული': არა მოაკლო მორბედმან სრბისაგან თვისისა. ვითარცა ცხენმან ოფლიერმან კვეილსა შინა მისსა (იერ. 8,6).

ოფლიანი: ჯერეთ პირი ოფლიანი და მტუერნიანი ედგა, და კრძალი მისი სისხლიანი ქარქაშსა არა ჩაეგო (ვისრ. 51,34).

ოფ-ლ- ფუძე შესატყვისის იძლევა ზანურშიც და სვანურშიც. სვან.: უფჳ ← ოფ- ← ოფ-, მეგრ.: უფჳ, ჰან.: უფ-ი: მა შქუნათე. უფი ქოგემჩჳ (ი ყ. VI, 44) „მე შიშით ოფლი დამასხა“. მონათესავე ენათა ჩვენების თანახმად, საერთო ძირია ოფ-. ზანური უფ ← ოფ'ისაგან ბაგისმიერთან ასიმილაციის შედეგად. ქართული -ლ და მეგრული -ჳ მორფოლოგიური ეკვივალენტებია. ჰანური -ი მიჩნეულია მეგრული უ-საგან მიღებულად. სვანურს დაუცავს უსუფიქსო ფორმა⁷⁵.

ცრემლ-ი 1. გამკვირვალე სითხე, რომელსაც გამოჰყოფს თვალთან მდებარე ჭირკვლები: მოაკლდა ცრემლი თუალთა ჩემთა (გოდ. იერ. 2, ლგ); ეჰა, სინანული და ცრემლი მწთოლვარძ, რომელმან-იგი სალმობანი ცოდვათანი განკურნის (სინ. 79,28); ვითარ იხილეს მამაჲ გრიგოლ, შეუუძრდეს ცრემლით (ხანძთ. 20,31); დანი

⁷⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის... გვ. 55..

იგი ყოველნი გოდებისა ცრემლითა აღივსნეს (ხანძთ. 38,25); ამან ცრემლითა დააღტვნა ფერკნი ჩემნი (ლ 7,44); მეძავისა ცრემლითა ფერკნი დაიბანნა (სინ. 32,14); იწყეს ლოცვად ღმრთისა მიმართ ცრემლითა მკურვალითა (კიმ. I, 56,6); არცა ცრემლნი გარდამოსთხინა მედგარნი (სინ. 122,31); ზღუდემან ასულისა სიონისამან გარდამოადინენ ვითარცა ნალუარევენი ცრემლნი დღმ და ღამმ (გოდ. იერ. 2, მ); დააბკურენ ცრემლნი ესე ჩემნი ჭელით-წერილსა ცოდვათა ჩემთასა (მამ. სწ. 295,3); გარდამოსთხევედედ თუალნი თქუენნი ცრემლთა და წამნი თქუენნი გამოადინებედ წყალსა (იერ. 9,18): თულთა მისთა აიძულუბდეს მტერი ცრემლთა (ისო ზირაქ. 12,15); დამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი თულთაგან მათთა (მოქც. ქართლ. 104,39).

2. ზოგი მცენარის მიერ გამოყოფილი სითხე, წვეთები, — გომიზი: სხუაჲ არს ცრემლი სპინოხსაჲ და სხუაჲ არს გომიზი ვალსამოჰსაჲ (ექუს. 60,28).

ცრემლოვი-ნ 'ცრემლი სდის': ამისთვისცა ყოველთა პართა უპირატჷს ცრემლოვინ (ისო ზირაქ. 31,15); უწინარჷს საზრდელისა ჩემისა სულთ-თქუმანი მოიწვეიან, ვცრემლოვი შიშითა (იოზ. 3,24); სხუასა და სხუასა ფერსა გომიზსა ცრემლოვიან (ექუს. 60,30); ნუ სტირთ ცრემლით. ნუცა ცრემლოიედ ამათ ზედა (მიქია 2,6); ნეტარი იგი ცრემლოოდა სულთქუმით (ხანძთ. 45,9); მიახნდა სიკუდილსა და ეუწყა ესაიამსგან და ცრემლოოდა იგი (სინ. 227,24); ცრემლოოდა მეფჷ და აღჭდა ქორსა ზედა მის ბქისასა და ტიროდა (II მეფ. 18,33); ქრისტეცა მაშინ ერსა მას ზედა ცრემლოოდა (იპოლიტ. თარგმ. კბ. 13,30); ცრემლევოდა იგიცა არა მოწყულულებისა მისთვის რომლითა სიკუდილსა მიახლებულ იყო, არაჲედ წეტოჰმისა (კიმ. I, 149,15); ცრემლოვოდა და ეტყოდა (კიმ. II, 148,13); ცრემლეოდა ოდესმე უცხოთესლი იგი ერი (ცხ. გ. მთაწმ. 400,5).

ი-ცრემლო-ა 'ცრემლი ღვარა, იტირა': ხოლო კაცმან მან ღმრთისამან მიუთხრობელსა ნიჷსა ზედა ღმრთისასა იცრემლოა (იოანნი 266,4).

ცრემლვა — ცრემლოვა (მასდარი ცრემლოვი-ნ ზმნისა): 'ცრემლის დენა': ცრემლით ცრემლოოდის და გარდამოსთხინენ თულთა თქუენთა ცრემლნი (იერ. 13,17); იწყო დედაკაცმან მან ცრემლვად (კიმ. I, 218,7).

ცრემლ- ფუძის შესატყვისები დაცულია ზანურშიცა და სვანურშიც: ქან. ჩილამ-რ-ე, ჩაღამ-ურ-ე, ჩელამ-რ-ე, ჩელამ-ურ-ე.

ჩილამბ-რ-ე, ჩილამ-ბ-რ-ი, ჩილამ-ბ-ი 'ცრემლი': ხავი-ქომჯონი ხორძას თოლის ჩილამბი ადენ (მარი 100, § 21) „ავ-ქმრიან ქალს თვალზე ცრემლი ექნება“. ქანური ვარიანტებისათვის ამოსაველია ჩილამურე (შედ. ლექსიკ. გვ. 73). მეგრ. ჩილამ-ურ-ი: იმ თვალი დო ჩილამურსუ ოშურეთიშა მომილანს (ყიფშ. 139,23) „მის მოთქმასა და ცრემლს სასულეთში მომიტანს“. სვან. ქიმ⁷⁶, მრ. ქგმრარ: ეჩქას ქგმრარ ჰაყბარჩუნ ახკიმდ' ეჩყინ, ეჩყი ლილგაცალ ქანდსყ' ერე მავ ლაცეს ქგმრარს ხვიკეცანდად (სვ. ტ. 1, 55,29) „მაშინ ცრემლები ლოყებზე მოყვებოდა ისე, ისეთი მასხრობა დაიწყო, რომ ყველანი სიცილისაგან ცრემლებს ვიმშრალეblით“.

ძირია ცრემ- (resp. ჩილამ-), ხოლო ქართ. -ლ და ზან. -ურ (||→-რ) სუფიქსები ფუძის დეტერმინანტებია. სვანურში უსუფიქსო ვარიანტი გვაქვს. მრავლობითი რიცხვის ფუძეში გამოვლენილ რ თანხმოვანს კ. პ. შმიდტი მიიჩნევს მეტათეზისით ფუძის ბოლოს გადასულად და ამოსავალში აღადგენს სვანურისათვის *ჭირემ- და ქართულისათვის *ცირემლ- ფუძეებს ზანური ჩირამურ-ის შესატყვისად (გვ. 150). თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ქიმ- ფუძის ისტორიას ასე წარმოგვიდგენენ: *ქლემრ^o→*ქილემრ-→*ქილმრ-→*ქიმრ-→ქიმ (სონანტთა სისტ., გ). 112!.

ფსელ-ი 'თირკმელების მიერ გამოყოფილი სითხე, — შარდი': შექამონ სკორჭ თვისი და შესუან ფსელი თვისი (ესაია 36,12); მიილო ვრეოს ფსელი მათი კოკითა და დაასხა ზროხის ტყავსა (ელ. ზღაპრ. II,2).

ზანურში ეს ფუძე ქართულიდან უნდა იყოს შესული: მეგრ. ფსელ-ა, ქან. ფსელ-, მსელ-. სვანური ნასანჟ ლისერ ზმნის მიმღობას წარმოადგენს. ქართული ფუძეც ასეთი აგებულებისაა: გამოიყოფა -ფს- ძირი და -ელ სუფიქსი. სხვაგვარი თვალსაზრისისათვის ეტიმ. ლექსიკ. გვ. 192.

ძველ ქართულში დასტურდება ამ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვა ფსელებრივ-ი: ხოლო მრავალგზის ოთხნივე იპოებიან შორის სიხლსა ბალდამნი, ვითარ იგი კელის-ქსნათა, შორის იხილვების, ოდესმე ფსლებრივსა წათხსა დამეტებად მის, ხოლო ოდესმე შავსა ანუ მწითურსა ნავლელსა (ნ. ემეს. 59,7).

აფხაზ-ს: მოსრა სახლისა მის აქაბისა ყოველი, რომელი მიექცეს და აფსმიდეს კედელსა (IV, მეფ. 9,8).

⁷⁶ Н. М а р р, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей... გვ. 34.

შეაფსამ-ს: თუმცა არა მოსრულ იყავ შემთხვევად ჩემდა, არამცა დამეტევა განთენებადმდე ნაბალისი, რომელმანმცა შეაფსა კედელსა (I მეფ. 25,34).

ორივე ზმნა დრო-კილოთა II სერიის ნაკვებში სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობს, ობიექტს მიცემითში, სახელობით ბრუნვიანი ობიექტი კი აკლია.

მფსმელ-ი (სასუბ. მიმლ.) 'ის, ვინც ფსამს': და მოვსრა იერობოამისი მფსმელიცა კედელსა (III მეფ. 14,10).

ძირია -ფს-. იგი ქანურშიც ამ სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მეგრულსა და სვანურში შემორჩენილია მხოლოდ -ს-. გ. კლიმოვი სვანურში -ს-ენ- ძირს ასახელებს, სადაც -ენ ფუძეს შეზრდილი ისტორიული სუფიქსიაო (ეტიმ. ლექსიკ. გვ. 191). ს-ენ ფუძე დღესაც ადვილი დასაშლელია სვანურში. შდრ. ლი-ს-ე-რ, აორ ჩუადსარ, ნასან-ჟ (სუბსტანტივი).

12. ორბანიზმის დამცველი რეაქციები და მასთან დაპაჴვირებაული ცნებები

მრთელ-ი, მრთელთან-ი 'ჯანმრთელი': იყო ხილვითა დიდ. კორცითა თხელ. ჰსაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ. და სულითა უბიწო (ხანძთ. 2,64); რომელი იგი ვერცაღა თვთ მას ცხედარსა ზედა ადვილად შეძრვად შემძლებელ იყო, განქაბუკებულად იხილვებოდა და მრთელად (აბუჯ. 39, XVI, 13); სხეულთა შეზავებისაგან იქმნებიან ესე, რანეთუ მოკვდებიან ბუნებით მრთელთანნი და სნებთანნი შეზავებულებისაგან (ნ. ემეს. 35,21).

გვზვდება მრთელ- ფუძიდან ნაწარმოები შედარებითი ხარისხის ფორმა უმრთელეს-: რათა სულითა უმრთელეს იქმნეს ვინაჲცა კორცი უკუე სენოვანებდეს (პეტრ. ახლ. 205,VI,12).

მრთელობა-ჲ 'ჯანმრთელობა': ოდეს იტყოდეს, ვითარმედ მრთელობაჲ შესაბამ არს ცხორებისა, არა თუ სულისა ცხორებისათვის იტყვს, არამედ სხეულთა-თვის (ნ. ემეს. 38,14).

სიმრთელჴ 'ჯანმრთელობა, სიცოცხლე': სიმრთელჴ და სნეულებაჲ არა ჩუენსა ნებასა და კელმწიფებასა ზედა არს (კიმ. I, 77,28); სიმრთელესა კორცთასა და მღვძარებასა სულთასა გარდააქევედ და განრჴყუნიან (სინ. 109,18); დაყროლდა გუამი მისი და დააკლდა საცნობელთაგან და სიმრთელისა (ტიმ. ანტ. 80,26); უკუეთუ ვინმე აღმოუწყნის თუალნი, აქუს რაჲმე ბუნებისაგან

სამკურნალოდ, რომლისა მიერ სიმრთელედვე მოაქცინის თუალ-
ნი იგი მართუეთა თვსთანი (ექუს. 97,25).

მრთელ- მეგრულში თელ- ფორმას გვაძლევს: გეეთელგ 'გამ-
თელდა, მორჩა, გაცოცხლდა': ვიშო-აში განიილესგ ღურელი გვე-
რენსგ, დო არქოქა გეეთელესგ (ცაგ. 24,6) „იქეთ-აქეთ ვადავიდ-
ნენ მკვდარ გველებზე, და ყველა გამთელდა (გაცოცხლდა)“.

ლონშ- 'ცოცხალი ორგანიზმის ფიზიკური მოქმედების უნა-
რი, კუნთების მოქმედების ძალა, ენერჯია; ხერხი, საშუალება':
ამქუმელმან მან თქუა: რაჲსა განელო შენთვის ღონე? (დაბ. 38,29);
მე ღონშ მაქუს, რომლითა განვთავისუფლდე (ხანძთ. 38,20); ლო-
ნშ სიტყვასაჲ არლარა აქუნდა მეფესა მართლ მხილებისაგან მის
წმიდისა (ხანძთ. 20,29); ესრეთ ღონე იძიის თიქისა მის საკმრად.
რაჲთა დაამყაროს ბუდე თვისი, (ექუს. 97,21); ესევეითარსა ამას
საცთურსა შინა მყოფთა ერთი ხოლო ღონე, თავი ყოველთა ლო-
ნეთაჲ, ვერ მოიპოვეს, რაჲთამცა გულისკმა ყვეს დამბადებელი-
ყოველთაჲ (ექუს. 5,18).

ულონო 'ის, ვისაც ღონე არა აქვს': ყოვლით-კერძო ძნელ არს
და ულონო (კიმ. I, 73,10); ესრეთ ულონო რა იქმნეს მდევარნი
იგი (ზარზმ. 179,4); მამული იგი მონაგები განუყო ობოლთა და
მშიერთა და ულონოთა (კიმ. II, 45,4);

ღონე- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია:

ღონეცემული-ი 'ღონე მიცემული, მოლონიერებული': ღონეცე-
მულ იქმნა ქალაქი იგი და გამოკდა მეფშ იგი და ყოველი ერი ლა-
მე გზასა მას (IV მეფ. 25,4).

ღონის-ძიება 'საშუალება. მოხერხება': რაჲმს არცა ერთი
რაჲ მონაგები აქუნდეს სახლსა შინა თვისსა, მიხედნეს რაჲ კეთი-
ლად ღონის-ძიებასა მას მერცხლისასა (ექუს. 97,18); ყოვლითა
ღონის-ძიებითა ჰკურნებნ თავსა თვისსა ფლომოთა (ექუს. 106,23).

მეგრულში ქართულიდანაა შესული ღონე და ღონიერი: ნდის.
ღონე მიდალალუ, სი ღონე ირიათო მუგაძინუნია დო ნდის მერი-
ებუქია (ხუბ. 4,21) „დევს ღონე წაერთმევა, შენ ღონე სულ მო-
გემატება და დევს მოერევიო“; ბალანა ჯგირი ღონიერო ქოძირეს.
(ყიფშ. 83,30) „ბავშვი კარგი ღონიერი ნახეს“.

ძალ-ი 1. ღონე, ძალა: სიძლიერე, შეძლება: მოწივენულ არს
საღმობაჲ შობადისაჲ. და ძალ არა უც შობად (ესაია 37,3); რაჲ-
დენ მე რაჲ იყო ცრემლთაჲ მათ ძალი, სიტყვთ ხოლო ვერ მიგა-
წიო და გაცნობო (სინ. 103,17); ყოველი ძალი მტერისაჲ განაბნია.

(სინ. 20,35); რამეთუ ფურცელსა ქუეშე მყოფი იგი მარტული, რომელსა მისხონ უწოდენ ვიეთნიმე, ამას აქუს ძალი თესლისაჲ (ექუს. 56,34); ტკბილისა მის ღმრთისა სიტყვსა ძალსა ვადიდებდეთ (სინ. 16,31); ძალის მომცემელი იგი მოლუაწეთაჲ (სინ. 186, 26); მსგავსად ძალისა თანა-ნადები იგი გონიერად შევეწიროთ (სინ. 5,37); სულიერა იყო ძალისა მისგან სიკბაბუკისა (სინ. 122,27); კაცი ბრძენი და ძალითა ძლიერი (I მეფ. 16,18); შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა (მ 22,37 c); მისითა ძალითა ესოდენი კეთილი აღასრულა (სინ. 233,12); ვინ წარგვქცინა ჩუენ ძლით (სინ. 265,1); მოიქსენე, რამეთუ მათ ძლით იშვე შენ (ისო ზირაქ. 7,30); აჰა-ეგერა შენ მოჰკუდუ დედაკაცისა მაგის ძლით (დაბ. 20,3); რომლისა ძლით სამოთხმ წარვიწყმიდეთ (სინ. 119,30).

ბოლო მაგალითებში ძლით ფორმას გამო თანდებულის ფუნქცია უჩანს.

2. ღვთიური ძალა: ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ (სინ. 19,23); შე-ვინ-მე-მახო, რამეთუ ვცან ძალი განსრული ჩემგან (ლ 8,46); ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ (მრკ. 13,25); გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა (ქბ. ქბ. 2,7).

ქმნა ძალისაჲ 'სასწაულის ქმნა, ჩვენება': არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა კელი დასდვა და განკურნა იგინი (მრკ. 6,5); მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი ექმნნეს უმრავლესნი ძალნი მისნი (მ 11,20); სახელითა შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდეთ (მ 7,22).

ძლიერ-ი 'ის, ვისაც ძალა აქვს, ღონიერი, შემძლე, მაგარი': იყო კაცი იგი მკნმ და ძლიერ (IV მეფ. 9,16); მძენარ და ძლიერ არს ლომი (სინ. 108,20); ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეე-შინა (მ 14,30); ვის კელ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად და ჰურჰელი მისი გამოდებად, უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი (მ 12,29); დაჰკნნდეს ძარღუნი კელთა მკლავთა მათთანი კელითა ძლიერთა იაკობის მიერ (დაბ. 49,24); ერნი იგი ძლიერად ღალადებდეს მათოვს და იტყოდეს (სინ. 258,25).

ძლიერება-ჲ 'სიძლიერე': ყო ძლიერებაჲ მკლავითა თვისითა (ლ 1,51 c); ირწუმნეთ აწ, ჰურიანო, და ნულარა აცილობთ ამიერიითგან საღმრთოსა ძლიერებასა (სინ. 73,28).

უძლიერეს (შედ. ხარისხი ძლიერ-ი ზედსართავისა): განვედ-
ჩუენგან, რამეთუ უძლიერეს ჩუენსა იქმენ ფრიად (დაბ. 26,16);
რომელი იგი ჩემსა შემდგომად მოვალს, უძლიერეს არს ჩემსა (მ
2,11 D); აჰა ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა (მრკ. 1,7);

განძლიერდები-ს 'ძლიერი გახდება': მარტკლნი- გამოჩნდებიან.
და ქრისტეს სარწმუნოებითა განძლიერდებიან (სინ. 234,30); ნუ-
ცა განძლიერდებიედ საკრველნი თქუენნი (ესაიაჲსი 28,22); უფ-
როჲს განძლიერდებოდა საღმრთოჲთა შეწევნითა (სინ. 72,27);
იგინი უფროჲს განძლიერდებოდეს და იტყოდეს (ლ 23,5); გან-
ძლიერდა ისრაჲლ (დაბ. 48,2); აღეხუნეს თუალნი მისნი და გან-
ძლიერდა (I მეფ. 14,27).

განძლიერებულ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, ვინც განძლი-
ერდა, — ღონიერი, ძლიერი': ესე ყრმაჲ ხარ და იგი განძლიერე-
ბული კაცი არს და ბრძოლი სიჭაბუკითგან თვისით, ვერ შემძლე-
ბელ ხარ წინა დადგომად მისა (I მეფ. 17,33).

უძლურ 'ის, ვისაც ან რასაც ძალა არა აქვს, — სუსტი, სნეუ-
ლი': იყო იგი უძლურ და სნეულ გუჲმითა ფრიადისა მის მარხვი-
სა მისისაგან (კიმ. I, 2,11); თუალნი ღიაჲსნი უძლურ იყვნეს,
ხოლო რაქელ იყო კეთილ ხილვითა (დაბ. 29,17); უძლურ იქმნა.
ტანჯვისა დათმენად (სინ. 120,26); უღირსნი მონანი შენნი, უკმარი
არსენი და მკარი უძლური (ხანძთ. 62,11); მიუგო უძლურმან მან
(ი 5,7); იხილნეს თავნი თვისნი უძლურად წინაშე მისსა (სინ.
70,10); დავამტყიცნეთ უძლურნი და ვიღუაწნეთ სნეულნი (სინ.
184,5); ყოველთა რაოდენთა ჰქონდეს უძლურნი თითო-სახეთაგან
სენთა, მოიყვანნეს მისა (ლ 4,40); უძლურთა განჰკურნებდით,
კეთროვანთა განსწმედდით (მ 10,8 c); მას შინა ისხა სიმრავლეს
უძლურთაჲ, ბრმები, მკელობელები, განკმელები (ი 5,3); სნეულ-
ნი აღგედგინნეს და მუკლთა უძლურთასა კურნება-გეცა (იობ.
4,4); სიტყუამან შენმან გუჲმნი უძლურთანი გუჲმ ცხოველ ყვნა
(ხანძთ. 38,31); მოაქუნდა უძლურები და ურვილები სულთაგან
არაწმიდათა (საქმე მკქ. 5,16).

უძლურება 'სისუსტე, ავადმყოფობა': არა იყოს უძლურება.
თქუენდა (ი 17,20 c); მსწრაფლ განეშორა საღმობაჲ და უძლურე-
ბაჲ (ხანძთ. 44,27); თვისი იგი უძლურებაჲ და ვნებაჲ ხილულთა
მათ შეახიან (ექუს. 76,1); ესე უძლურებაჲ არა არს სასიკუდინს
(ი 11,4); ოც და ათრვამეტი წელი დაეყო უძლურებასა შინა (ი
5,5); დედაკაცო, განტევებულ ხარ უძლურებისაგან შენისა (ლ
13,12); განჰკურნებდენ ყოველთა სნეულებათა და უძლურებათა.

(მ 10,1); ნეტართა მათ ოხითა ვპოვო ორ კერძოვე ღზინებაჲ უძლურებათა ჩემთაჲ (ხანძთ. 1,23).

არაძლება 'უძლურება': განჰკურნებდა ყოველთა სნეულებათა და ყოველთა არაძლებათა ერისათა (მ 4,23 c);

მოაუძღურებ-ს 'უძლურს გახდის': სულისა მტერნი მოაუძღურნა (ხანძთ. 37,41); გუემეს ნეტარი იგი ყურმილის-ცემითა და მჯიღებითა და ქუსლებითა, ვიდრე სრულიად მოაუძღურეს თავით-გან ფერქტამდის (კიმ. I, 84,6).

მოუძღურდები-ს 'უძლური ხდება': ნუცა სული შენი მოუძღურდებიან ორთა მათგან შეშათა მუგუზთა მკუმოლვარეთა (ესაი: 7,4); არა შეშინდა სიკუდილისაგან, და არცა მოუძღურდა გულს-მოდგინებაჲ მისი (სინ. 275,34); გემოჲ მახილვე მგბრისა მაგის-გან იფქლისა, რამეთუ მოუძღურდი (დაბ. 25,30); სიკუდილითა მით მათითა ყოველნი მოუძღურდეს მდევარი მათნი (სინ. 256,6); მოუძღურდიან კორცნი ესე (სინ. 108,5).

მოუძღურებულ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, ვინც მოაუძღურეს, თუ მოუძღურდა': ჭაბუკნი მათნი იყვნენ მოუძღურებულ (ესაიაჲსი 31,8).

უძლავ-ს 'შეუძლია, ძალა შესწევს': ვითარ იხილა, რამეთუ ვერ უძლავს მისა მიმართ, შეახო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბუშა (დაბ. 32,25); გიძლავს შესუმად სასუმელისა მის, რონელსა მე შევსუმიდე... ჰრქუეს მას: გვძლავს (მ 20,22).

II სერიის ნაკვეთებში უძლავ-ს ზმნას ენაცვლება ეძლო: ვერ ეძლო ეგვპტელთა მათ წყალი იგი მდინარისაჲ მის სუმად (გამოსლვ. 7,21); თუალნი იაკობისნი დამძიმებულ იყვნეს სიბერითა და ვერ ეძლო ხედვად (დაბ. 48,10); იყო იგი დაღონებულ და ვერ ეძლო ზე აღზილვად ყოვლითურთ (ლ 13,11); მისა ძლევად ვერ ეძლო (სინ. 89,1).

(შე)უძლებ-ს 'შესძლებს, ძალა შესწავს, შეუძლია': ვერ შეუძლებს მიწისაგანი ესე ენაჲ ჩემი გამოთქუმად. (სინ. 199,10); არა არს გარეშე კაცისა შემავალი, რომელმანცა შეუძლო მას შებილწებად (მრკ. 7,15 c); მე ვხედვედი სიკუდილსა შვილისა ჩემისასა და ვერ შეუძლე შეუღად მისა (სინ. 240,13); ვერ შეუძლე სედვად მოოკრებასა მის ადგილისასა (სინ. 279,5); ვერ შეუძლეს განკურნებად მისა (მ 17,16); რაჲსათვს ჩუენ ვერ შეუძლეთ განკურნებად მას? (მ 17,19); მაშინლა შეუძლის წამალმან მან განკურნებად და განარინებად სნეულისა მის (სინ. 109,34); ვინაჲ შეუძლო შენ მათ აქა განძლებად პურითა უდაბნოსა ზედა? (მრკ.

8,4 ც); არავინ უძლო დამორჩილებად მისა (მრკ. 5,4 ც); ვერ უძლევს ერთი განღვებად ჩემ თანა? (მრკ. 14,37); ჩუენ რად ვერ უძლეთ განჯად მისა (მ 17,19 ც); ვინ უძლის შესვად სახლსა ძლიერისასა (მ 12,29 ც); უკუეთუ ვინმე უძლოს ქვშაჲ ქუეყანი-საჲ აღრაცხად (დაბ. 13,16). მისი იგი სიმტიცჳ ვითარ-მე უძლო მითხრობად (სინ. 188,14).

შემძლებელ-ი (სასუბ. მიმღ. შეუძლებ-ს ზმნისა) 'ის, ვინც შესძლებს': შემძლებელ ვარ და კელ-მეწიფების განტევებად სტეფანშსა სატანჯველიაგან (სინ. 59,17); ვერვინ შემძლებელ იყო წარსლვად მიერ გზით (მ 8,28 ც);

შესაძლებელ-ი (მყ. დრ. საობ. მიმღ.) 'ის, რასაც შესძლებენ': შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ (ლ 18,27).

შეუძლებელ-ი (უარყ. მიმღ.) 'ის, რაც არ შეიძლება, რასაც არ (ან ვერ) შესძლებენ': არარაჲ შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ (მ 17,20); შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ (ლ 18,27).

ძალ-უც, ძალ-უსხენ (როცა ობიექტი მრავლობით რიცხვშია) 'შეუძლია, უძლავს, ძალა აქვს': თავისა თვისისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად (მ 27,42); უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა (ლ 5,12); ვერ ძალ-მიც აღდგომად (დაბ. 31,35); აწ მე ვინა-ჲთგან ვერ ძალმიც მოუკლებელად ლოცვაჲ (ხანძთ. 1,16); გასმინეთ თქუენ კმაჲ ებნისაჲ, რავდენ ძალ-გუედვა (სინ. 110,33); აღავსენით ძაძანი მავათ კაცთანი საზრდელითა, რავდენ ძალედვას წარლებად (დაბ. 44,1); ორგულნო, ცისა სამე პირი იცით ცნობად ხოლო სასწაულნი ქამთანი ვერ ძალ-გისხენ გულისკმის-ყოფად (მ 16,3 ც).

ამავე -ძალ- ფუძეს ეყრდნობა **ს-ძლ-ევ-ს, მძლავრ-ი, ა-ი-ძულ-ებ-ს** სიტყვებიც. **ძალ-** ფუძე მეგრულში ქართულიდანაა შესული: ძალურიში უნძალაში ირო ქოცოფე (ყიფშ. 22,27) „ძლიერზე ძლიერი ყოველთვის ყოფილა“. კანონზომიერი ფონეტიური შესატყვისი დაცული უნდა გვექონდეს სიტყვაში **მე-ნჯელ-ი 'ლონიერი'**⁷⁷.

სენ-ი 'ავადმყოფობა, სნეულება': არა ლოცვითა და ქველის-საქმითა შენი სენი განკაფა (სინ. 215,3); თუ სნეული ვინმე არს. და სნეულებაჲ იგი მის კაცისაჲ სასიკუდინებელი სენი არს (სახისა სიტყ. 8,15); რაქამს გარდაჰმატის სენმან წამალსა, ჯერ-არნ მოკუეთაჲ ასოჲსაჲ მის განრყუნლისაჲ (ბალავ. 163,36); არა უკმს

⁷⁷ ს. ქლენტო, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, 1960, გვ. 55.

ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან (ლ 5,31); სენისა მისგან წრტიალისა ისწრაფდა სული განსვლად გუამისა მისგან (ხანძთ. 44,11); მკვდრნიცა მის ადგილისანი საესენი სენითა... და დღე-მოკლედ ცხორებულნი (შუშ. 25,14); განკურნებდა ყოველთა სენთა და უძლურებათა ერსა შორის (მ 9,35 c); ჰყვანდა მათ თანა მკელობრები, ბრმები, ყრუნი, ქუეწარ-მძრომელნი და სხუანი მრავალნი თითო სახეთაგან სენთა შეპყრობილნი (მ 15,30).

სენ-ი დასტურდება მეგრულშიც: ქვარა-სენამი სანაკარეფი (ცავ. 76,2) „მუცელ-სენიანი სენაკელები“.

სნეულება-ა 'ავადმყოფობა, დაავადება; სენი': შეხუდეს მაგას სნეულებაჲ გზასა ზედა (დაბ. 44,29); იგი სნეულებაჲ არა არს სასიკუდინე (ი 11,4 c); ქალანდრმან მან შთანთქის საღმობაჲ სნეულეზიასა მის. და დაუცხრის საღმობაჲ იგი და განერის კაცი იგი (სახისა სიტყ. 8,23); ათურამეტი წელი დაეყო სნეულეზასა შინა (ი 5,5 c); ელისე დასნეულდა სნეულეზითა რომლითა მო-ცა-კუდა (IV მეფ. 13,14); მაშინ იმყოფებოდა ულიდ, მძღავრი არაბთაჲ შეპყრობილი სნეულეზითა (ცხ. პ. კაპეტოლ. 49,14); მან უძლურებანი ჩუენნი იტკრთნეს და სნეულეზანი ჩუენნი განკურნნეს (მ 8,17); განიკურნნეს მრავალნი უძლურებათა და სნეულეზათაგან მას დღესა შინა (სინ. 69,24).

სნეულება მეგრულშიც იხმარება: ფერი სნეულება მოჰუ, ჩქიმი სქილადა ვე შილებე (ყიფშ. 119,19) „ისეთი სნეულება მჭირს, ჩემი მორჩენა არ შეიძლება“.

სნება-ა 'სნეულება': ულიდ, ზემოთქმული იგი მთავარი არაბთაჲ, შთავარდა სნებასა (ცხ. პ. კაპეტოლ. 48,12); არა დაშჯად, არცა პატიყის მიკდად, არამედ შეწყალებად მათდა სნებისათვს (ცხ. პ. კაპეტოლ. 46,33).

ნასნებაჲ-ი 'ნაავადმყოფარი, სნება მოხდილი': მეტისა უსუსურობითა ნასნებაჲსა ვჰგავ (ვისრ. 235,1).

დასნეულდა-ა 'სნეული გახდა, დაავადმყოფდა': ელისე დასნეულდა სნეულეზითა, რომლითა მო-ცა-კუდა (IV მეფ. 13,14); მას ჟამსა შინა დასნეულდა აზია ძჳ იერობაამისი სნეულეზითა ძლიერითა ფრიად (III მეფ. 14,1); მცირედ დასნეულდა და ცნა სულითა ღმრთისა-მიერი წოდებაჲ (ხანძთ. 41,4); იწყლა და დასნეულდა და მერმე განიკურნა და განცოცხლდა (სინ. 103,13); დავსნეულდიცა სნეულეზითა ფიცხლითა კალამონისა მონასტერსა (კიმ. I,

24,30); ვითარცა სახედ ვინ დასნეულდის და მოუძღურდის კორცთა ზედა (სინ. 110,9).

დაისნეულ-ა 'დაიავადმყოფა, სნეული გაიხადა თავი': წარვიდა სახედ თვსა შეურვებული საქმისა მისთვის და დაისნეულა თავი თვისი (ბალავ. 90,16).

სენოვანებ-ს 'ავადმყოფობს, დასნეულებულია': შთავარდა სენსა კორცთასა. რათა სულითა უმრთელეს იქმნეს, ვინაჲცა კორცნი უკუე სენოვანებდეს (ცხ. პ. კაპეტოლ. 40,3).

დასნეულებულ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, ვინც დასნეულდა, სნეული': მან არა მიუგო, რამეთუ დასნეულებულ იყო (I მეფე-4,20).

სნეულ-ი 'ავადმყოფი, სენიანი': სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე (მ 25,36); თუ მაკუდინებელ არნ თუ მაცხოვრებელ. სნეულმან მან შეჰკერტნის და ჰხედავენ (სახისა სიტყ. 8,20); მაშინლა შეუძლის. წამალმან მან განკურნებად და განრინებად სნეულისა მის (სინ. 109,35); სნეულისა სიცოცხლისათვის ევედრების (სინ. 122,21); დავამტკიცნეთ უძღურნი და ვილუაწნეთ სნეულნი და გამოვზარდნეთ კუებულნი (სინ. 184,, 5); არა უქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა (მ 9,12); სიკუდიდ განწირულთა სნეულთა სიტყვთ მსწრაფლ განკურნებდა (ხანძთ. 43,11); ნუ გცონინ მიხედვად სნეულთა (ისო ზირაქ. 7,38); ყოველივე იგი სნეულები განკურნა (მ 8,16 c); მოართუმიდეს მას ყოველსა სნეულებსა პირად-პირადითა სენითა (მ 4,24 c).

უსნო- „უვნებელი და უსნო“. უსნო მგონია (საბა): მიჰფინის გულის-სიტყუაჲ გულის-თქუმისაჲ უსნოთა (ესაია 40,29).

სასნეულო-ჲ 'სნეულთა სახლი, საავადმყოფო': დაადგრა იგი სასნეულოსა მას, რომელი ეშენა ევლოკიას (კიმ. I, 17,13).

სალმობა-ღ 'ტკივილი': მოწვევულ არს საღმობაჲ შობადისაჲ (ესაია 37,3); ქალანდრმან მან შთანთქის საღმობაჲ სნეულებისაჲ მის. და დაუცხრის საღმობაჲ იგი და განერის კაცი იგი (სახისა სიტ. 8,23); რაოდენთა აქუნდა საღმობაჲ და შეენხეს, განიკურნებოდეს (მრკ. 3,10); მსწრაფლ განეშორა საღმობაჲ (ხანძთ. 44,26); გიხაროდენ საღმობისა მომლოდესა, რომელსა საღმობაჲ არა გაქუს (სინ. 28,12); აკირებდეს საღმობით ცხორებასა მას მათსა საქმითა მით ფიცხლითა (გამოსლ. 1,14); ყრმასა მას საღმობანი სიკუდილისანი ეწინეს (ხანძთ. 44,11); განიდევნენ საღმობანი,

კუნესანი და მწუხარებანი (იპოლიტ. თარგმ. ქბ. 25,64); სალმობათა შემიპყრეს მე ვითარცა შობადი (ესაიასი 21,3); სალმობათა დედისა შენისათა ნუ დაივიწყებ (ისო ზირაქ. 7,29).

სალმობიერ-ი 'სატკივრიანი, ავადმყოფი': ძნელად შეკდიან ურთიერთას წამალი იგი და ჭამადი; და მათსა მას ბრძოლასა ევნის სალმობიერსა მას (სინ. 109,33).

ალმვ-ი-ს 'ატკენს ხოლმე': თავი ალმვის შეტევებითა ღვნისაძ-თა (სინ. 113,5); სძალო, გული გვალმე ჩუშნ ერთითა ყელისა-საბე-ლითა მძივის შენისათა (ქბ. ქბ. 4,9).

ილმ-ო 'იტკინა': არავინ ილმნა კელნი მას შინა (გოდ. იერ. 4, ობ.); მუცლისა ტკივილი მიზეზ-იდგას და თავი ილმოს (მამ. სწ. 243,3).

ელმ-ი-ს 'სტკივა': თავი ჩემი მელმის (IV მეფ. 4,19); მელმიან წელნი ჩემნი შენთვის (კიმ. I, 145,16); ზღუასა ელმოდა შობად ყოველთათვს პირად-პირადთა მცურვალთა (ექუს. 80,20); არავინ იყო თქუენგანი, რომელსამცა ელმოდა გული ჩემთვის (I მეფ. 22,8); უფალო, მიუდევით, გუელმოდა და ვშევით (ესაია 26,18); გულსა მათსა ელმოდის დიდად სალმობითა მწარითა (გამოცხ. თ. 16,2).

შე-ე-ლმ-ი-ს: უკუეთუ ესმინ მას კმაჲ შემაწუხებელისა მისი-საჲ... აღეტყინის იგი ვითარცა ნაძეძი, და შინაგანი მისი ყოველი შეელმინ (მამ. სწ. 30,27).

ლმობა-ჲ (მასდ. აღმობ-ს ზმნისა) 'ტკივილი': რაჲსა მე გამო-ვედ საშოჲთ ხილვად შრომისა და ლმობისა (იერ. 20,18).

თანაღმობაჲ 'თანაგრძნობა': ნაწლევნი განეკრებოდეს თანა-ღმობითა, ხოლო ცხორებითა მშობლისაჲთა იხარებდა (ცხ. პ. კაპე-ტოლ. 58,3).

ღმობილ-ი (ნ. დროის საობ. მიმღ.) 'ის, ვისაც ელმო, ეტკინა': ნუ ეცინი კაცსა ღმობილსა და განმწარებულსა გულითა (ისო ზირაქ. 7,11).

ღმობიელ-ი 'ის, ვისაც ღმობა, ტკივილი აქვს': ისმინეთ დაშ-თომილთა მაგათ, და ღმობიელთა ისმინეთ (ესაიასი 21,10).

ღმობიერ-ი 'ღმობის მქონე, შემბრალებელი, შემწყნარებელი': ნეტარი იგი ცრემლოოდა სულთქუმით და ღმობიერად კმა ყო (ხანძთ. 45,10); მერმე მოიკითხეს ღმობიერად ნეტარი იგი (კიმ. I, 73,10).

ულმობელად 'უმტკივნეულოდ': შვა დედაკაცმან მან ღირსმან ძე თვისი ულმობელად: რამეთუ არა შეემთხვა მას სალმობაჲ იგი შობადისაჲ (კიმ. I, 218,15).

ტპივილ-ი 'ფიზიკური ტანჯვის, შეწუხების შეგრძნება სხეულის რომელიმე ნაწილში': ფრიად ტკივილ და გლოვა არს (მამ. სწ. 107,27); მწუხარებაა იგი და ტკივილი, რომელსა არა აქუს კურნებაა (მამ. სწ. 122,29); დამღვა მე წყლულებაა დიდი და მის გამო ვიყავ მე ტკივილსა შინა მრავალ დღმ (რავახ. 81,36); ესევეთარისა მის სენისა არცა ერთი რაა კურნებაა იპოვა. არცა ტკივილისა მის ლხინებაა (ტიმ. ანტ. 131,4); ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთის-მსახურისა მის ხელმწიფისა დაცემისათვის (ხანძთ. 13,2); საღმობითა კორციელებრითა და ტკივილითა წინა-დაცუეთისაათა (სინ. 10,39); ძენი იგი და ასულნი, მუცლისა ჩემისა ტკივილნი და საღმობანი (იობ. 2,9); შეურაცხ ჰყვენ კორცთა ტკივილნი (რავახ. 99,3); მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა (ცხ. იოვ. და ეფთ. 33,9); ტკივილთა მათგან იგუემებოდა მწარედ (ხანძთ. 56,26).

ს-ტკივ-ა 'ტკივილს გრძნობს': ამისგან მეშინის და ესე მტკივის (მამ. სწ. 107,17); მცეს მე და არა მტკიოდა (იგავ. სოლ. 23,35).

იტკივნ-ა 'იტკინა': მოაქუნდა რაა ევლოგიაა, დაუბრკოლდა ფერკი მისი და იტკივნა და ტკივილისა მისგან ცრემლოოდა იგი (ილარ. 284,26); მუნით ვენაქშიგან ჩაქდა. თუცა ადგილი ლბილი იყო, ფერკნი ორნივე იტკივნა (ვისარ. 166,36).

მტკივან-ი (სასუბ. მიმღ.) 'ის, რაც ატკენს': მტკივან არს ზამთარი ესე, არამედ ტბილ არს სასუფეველი (სინ. 119,35); კირი მტკივანი და საღმობაა გამოუთქმელი (სინ. 119,7); შთაგაგლო შენ სატანჯველთა მტკივანთა და უწყალოთა (კიმ. II, 10,13).

სატკივარ-ი (მყ. დრ. მიმღ.) 'ის, რაც ეტკინება': ვითარცა გლოვასა საყუარელისასა ყავ თავისა შენისათვის ტყებაა სატკივარი (იერ. 6,26).

უტკივრად (უტკივარ- უარყოფითი მიმღეობიდან ნაწარმოები ზმნისართი): სხუანი იმღერიან და განსცხრებიან ნესტუებითა და ქნარებითა, რაათა კმათა მათთა გემოვნად და უტკივრად თავს იხნენ წყლულებანი (ელ. ზღაპრ. I,2).

ტკივნეულ-ი 'ტკივილიანი': აცადე, ნუ ეტყვ, რამეთუ ტკივნეულ არს (IV მეფ. 4,27); ამას რაა ევედრებოდა იგი სულთქუმით და ცრემლით გულითა ტკივნეულითა (იოან. დამასკ. 163, XIV,3).

ტკივნეულ- ნაწარმოები უნდა იყოს მტკივან- ფუძიდან -ეულ სუფიქსის დართვით. მ- თავსართი დაკარგულია.

უტკივნელ-ი (უარყოფითი მიმღ. იტკივნ-ა ზმნისა): მწრაფლ აღდგა ყრმაა იგი ვითარცა უტკივნელი (მოქც. ქართლ. 143,22).

ტკივ-ილ-, ს-ტკივ-ა, ი-ტკივ-ნ-ა, მ-ტკივ-ან-, სა-ტკივ-არ-, ტკივ-ნ-ე-ულ-, უ-ტკივ-ნ-ელ- სიტყვები ეყრდნობა -ტკივ- ფუძეს. ამ ძირის სიტყვები მონათესავე ენებში არ დასტურდება.

ბანსივმბა-მ (მასდარი განასივებ-ს ზმნისა) 'ქსოვილის პათოლოგიური გადიდება, გაბერვა': წყლით განსივებად მუცლისაჲ (სინ. 109,14).

განსივნ-ა 'ორგანიზმის ქსოვილის ესა თუ ის ნაწილი პათოლოგიურად გადიდდა, გაიბერა, შეშუპდა': განსივნა და განსთქდა შორის, და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი (საქმე მცქ. 1,18); ხოლო იგინი ჰგონებდეს, ვითარმედ განსივნეს და დაეცეს მეყსეულად მკუდარი (საქმე მცქ. 28,6).

განუსივნ-ა (სასხვ. ქცევა განსივნ-ა ზმნისა) 'გაუსივდა': მუნქუესევე სარცხვნელნი მისნი განუსივნეს და მიიწივნეს ვიდრე მუხლის-თავადმდე მისა (კიმ. I, 298,7); დასნეულდა ძე მთავრისაჲ და განუსივნეს სარცხვნელნი მისნი (ილარ. 287,16).

და-უ-სივ-დ-ა 'გაუსივდა': დაუტხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერკნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ად-გილდ (შუშ. 25,21).

განსივებულ-ი (ნამყო დროის საობ. მიმდ.) 'ის, რაც ან ვინც გასივდა, გასივებული': არა წყლულ, არცა ნაგუემ, არცა ბრძკრი განსივებულ (ესაია 1,6); ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული (შუშ. 18,8); აღმოავსებედ უპესა და მუცელსა თვსსა და განსივებულნი კუნესიედ (სინ. 110,19); მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლით განსივებულნი,... პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი(შუშ. 25,14).

მსივანება-ჲ 'სიმსივნე': ვნებაჲ იგი, რომლისაგან მსივანებაჲ შეიქმნის ასოჲსაჲ (კაც. აგებ. 166,9); წყლით განსივებაჲ მუცლი-საჲ, და მსივანებაჲ ანუ ზარის განკდანი კორცთანი (სინ. 109,14).

სიმსივნე 'ორგანიზმის ამა თუ იმ ნაწილის ან ორგანოს ადგილობრივი გადიდება': ხოლო ტყავი იგი, რომელსა შინა სიმსივნე იგი იღვა, სადა არს (კიმ. I, 299,9); დასცხრის სიმსივნე ფერკისა მისისაჲ, რომელი ვნებითა ეშმაკისაჲთა ფრიად აღბერილ იყო (კიმ. I, 249.32); დაუკვრდა დიდძალი იგი სიმსივნეჲ მისი (შუშ. 18,1).

პირ-მსივან-ი: მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი,... პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი (შუშ. 25,16).

გან-სივ-ნ-ა, გან-უ-სივ-ნ-ა, გან-სივ-ებ-ა-ჲ, გან-სივ-ებ-ულ-, მ-სივ-ან-ებ-ა-ჲ, სი-მ-სივ-ნ-ე სიტყვებში ძირია -სივ-. მისი კანონ-

ზომიერი ფონეტიკური შესატყვისობები ორივე მონათესავე ენაში დასტურდება⁷⁸. მეგრული შინ-აფ-ილ-ი 'გასივებული', დო-შინ-დ-უ 'დასივდა', სვანური მგ-ში 'მსივანი', ლი-ში-ე 'გასივება': ამ დროს ახზივდა ჰიშხ, ჩვათშიწან (სვ. ტ. I, 154,3) „ამ დროს ასტკივდა ფენი, გაუსივდა“.

ამავე ძირისად მიიჩნევა კ. ჰ. შმიდტი ქართ. გა-სისინ-ება, მეგრ. გო-შიშინ-აფა 'ძალიან მაძღრისად ჰამა' სიტყვებს. რედუბლიცირებული წარმოებააო (გვ. 132).

შეპიშუებულ-ი 'შეშუებული': განაქურვნის ფრთენი და თუალნი შეპიშუებულნი (სახისა სიტყვ. 12,13).

ტექსტის გამომცემელი ნ. მარი ამ სიტყვას რუსულად თარგმნის როგორც „остановившиеся (глаза)“ და პიშუ- ფუძეს სომხურ ნასესხებად თვლის: *պշամ* „вперяю взор“, ან *բի* 'წირპლი' სიტყვებიდან უნდა იყოსო ნაწარმოები. უკანასკნელ შემთხვევაში „შეპიშუებულნი თუალნი“ უნდა ითარგმნოს „დაწირპლიანებული თუალნი“. სომხურ ტექსტში გვაქვს ზმნა *չխնսլ*. აქაც არმენიზმიაო⁷⁹. ივ. იმნაიშვილსაც „თუალნი შეპიშუებულნი“ ესმის როგორც „დაწირპლიანებული, დამდგარი“⁸⁰.

ჩვენი აზრით, შეპიშუებული ფორმითაც და შინაარსითაც იგივე უნდა იყოს, რაც შეშუებული. ეს უკანასკნელი პირველისაგანაა მიღებული მეტათეზისით. შე-პიშუ-ებ-ულ- სიტყვაში ძირია პიშუ-. ეტიმოლოგიურად იგი უკავშირდება სიტყვას ფიჟვ-ი. შე-პიშუ-ებ-ულ-ი შდრ. დიალექტ. და-ფიჟვ-ინ-ებ-ულ-ი და მეგრ. ფიჟვ-ინ-აფ-ილ-ი.

შეშუებების ცნების კავშირი ფიჟვ- 'ფილტვი' ფუძესთან აღნიშნული აქვს არნ. ჩიქობავას (შედ. ლექსიკ. გვ. 67).

კუნეს-ი-ს 'წუხილის ან ტკივილის გამომხატველ გაბმულ ხმას გამოსცემს, კვნესის': უწინარეს სიტყვსა კუნესის უგუნური (ისო ზირაქ. 19,10); ისმინეთ აწ რამეთუ ვკუნესი. არავინ არს ნუგეშინის-მცემელ ჩემდა (გოდ. იერ. 1, კა); აჰა ესერა სულთ-ვითქუამ და ვკუნესი ფრიალისა მის მწუხარებისაგან (ტიმ. ანტ. 120,21); სადა არა არნ დედაკაცი, მუნ კუნესიედ ვითარცა ცთომილნი (ისო

⁷⁸ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ფონეტ. დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, ბგერით მოვლენათა თანამაღდებრობა, მიომხილველი I, 1926, გვ. 204.

⁷⁹ TP, VI, გვ. XXXVII, გვ. 70.

⁸⁰ ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტ. ქრესტ., I, 1953, გვ. 522.

ზირაქ. 36,27); მთავრობასა უღმრთოთასა კუნესიედ კაცი (იგავ-
ნი სოლ. 29,2); აღმოავსებედ უპესა და მუცელსა თვისსა და განსი-
ვებულნი კუნესიედ (სინ. 110,19); მღელნი მისნი კუნესიან (გოლ.
იერ. 1, დ); კუნესოდეს გლოვითა უჟამოათა (ისო ზირაქ. 16,3).

კუნესა-ა (მასდარი კუნესი-ს ზმნისა): ისმენდა კუნესასა და
ტირილსა დომენტისსა (კსენებ. 92,17); კმითა კუნესისა ჩემისათა
შემკმეს კორცინი ჩემნი ძუალთა ჩემთა (ფსალმ. 101,6); დავწევ კუ-
ნესით და არა ვპოვე განსუენებაჲ (იერ. 45,3); განიდევნეს საღმო-
ბანი, კუნესანი და მწუხარებანი (იპოლიტ. თარგმ. კბ. 25,64).

მკუნესიარე 'ის. ვინც კუნესის': ცისკრისა ჟამსა მტირალსა და
მკუნესიარესა რა ნიავმან იისა და ვარდისა სუნი მომართუას (ვისრ.
209,34).

ქართული კუნეს- ფუძის შესატყვისია ზანურში კუს-. მეგრ.:
აშო. ჩელა, ვიშო ბუსქა! ნება ვა რე, ნგმგ კუსა (ყიფშ. 166,22)
„აქეთ, ჩელა, იქით ბუსქა! ნება არაა, ნუ კუნესი“; ხარგელი დო
ტიბირამი ართო მეკუსანდესია (ყიფშ. 179,16) „დატვირთული და
საცრიანი ერთად მიიხვენეშოდნენო“. ჭან. აკუნტუ დო კუსაპტუ
(ჭან. ტ. I, 68,4) „სტკიოდა და კუნესოდა“.

გ. კლიმოვი ზანურ ვარიანტს ვარაუდობს პირველად. იგი ახ.
ქართულის კ'რ'უს-უნ- ფორმის მსგავსად კუნეს- ფუძეში გამო-
ყოფს კუს- ძირსა და -ენ სუფიქსს. ეს უკანასკნელი შემდეგშია გა-
დასმული ფუძეში: კუნეს+*კუს-ენ (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 117). ახსნა
დამაჯერებელი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ამ სიტყვის ხმაბაძვით
ხასიათსაღ.

სვანურში ეს ფუძე წარმოდგენილია კუეც- ფორმით. ს-ც შე-
სატყვისობა ცნობილია. ასახსნელია ე ხმოვანი. იგი კუნეს- ფუძეს-
თან სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს თითქოს. ისგლმთი ონაქა
მგცხ' ახნდ ი ლიკვეც ადბინე (სვ. ტ. I, 262,19) „შულამის ჟამს
შესცივდა და კუნესა დაიწყო“.

პირ-ი 'ქაფი, დუეი': მერმე იწყო ოთხითავე სლვად, გორვად
და პეროვად და აღავსებნ პერითა⁸¹ მათ წუერთა მისთა (I მეფ.
21,13); ლელვანი ზღვსანი განძნებულნი, რომელნი პერად აღაფ-
რქუევენ თავისა თვისისათვს სირცხვლსა (კათ. ეპისტ. 101,13).

პერო[ვ]-ი-ნ 1. პერი, დეჟი სდის პირიდან: სულმან უკეთურ-

⁸¹ სელნაწერშია პ ი რ ი თ ა. ო, ო 'ს გრაფიკული აღრევა ჩანს, თუ მ-სა
და ე-ს გამასხვავებელი მოკლე ვერტიკალური ხაზი უბრალოდ გადაშლალა და ერ
იკითხება ფოტოპირზე.

მან შეიპყრის იგი და მეყსეულად ღალად-ყვის და დააქუეთის და პეროვინ (ლ 9,39); სადაცა დააპყრის იგი, დააქუეთის, და პეროვინ და ილრქენნ კბილთა და განკმებინ (მრკ. 9,18); საწყალობელად პეროოდა და ვალალებდა (ტიმ. ანტ. 83,19); ვითარცა დაეცა იგი ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა (მრკ. 9,20); მყის დააქუეთა იგი ეშმაქმან ქუეყანასა ზედა, გორვიდა საწყალობელად და პეროოდა (ილარ. 283,20).

2. აფურთხებს: ვითარ ესე ლალ პეროის მძლავრებისა ჩემისა ზედა (ცხ. პ. კაპეტოლ. 43,18).

პეროვა (მასდ. პეროვინ ზმნისა) 'პერის, ღუქის დენა პირიდან': მერმე იწყო ოთხითავე სლვად, გორვად და პეროვად და აღავსებნ პერითა მათ წუერთა მისთა (I მეფ. 21,13).

პეროვან-ი 'ღუქიანი': აწყა ყავ ნებაჲ ჩემი და მოუწოდე ცოფთა და პეროვანთაცა და ყრუთა (ალათანგ. 245, XVIII,10).

პერულ-ი 'ქაფი': ამისთვის აღიძრის ზღუაჲ ქარისაგან და ამალღდის ღელვითა, და ვითარცა შეეახლის იგი ქვშასა ზღვს-პირისასა, დაჰქსნდის იგი და იქმნის პერულ (ექუს. ილ. აბ. 56,17); ზღვს ღელვათაებრ ქართა მღულარეთა და კიდევ მცემარეთა სიბორგილით პერულსა წარმოჰწერწყდეს (ცხ. პ. კაპეტოლ. 41,25); სიმაღლედ დიდად აღვიდიან ღელვანი მისნი, ვინაჲთგან კიდეთა ხოლო ზღვს პირისათა შეეხის, პერულად განილიის და უკუნ იქცის (ექუს. 43,26); ხედვენ წყლის პერულთა მათ აღბერილთა (ექუს. 29,35).

გვხვდება პერულ- ფუძიდან ნაწარმოები ზმნა პერულოვ-ი-ნ: ესე არს არსებაჲ წემისაჲ და რაჲამს პერულოვინ სინოტრე სიმძაფრითა ქართაჲთა, და მერმე დაიჰქრნიან და დიდისა მისგან სიცივისა განყინდიან (ექუს. ილ. აბ. 49,31).

ქანურში პერ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი პაჯ- უნდა გვქონდეს სიტყვაში ზოლა-პაჯ- 'პემზა', სიტყვასიტყვით 'ზღვის ქაფი' (ეტიმ. ლექსიკ., გვ. 152). შესაძლოა, ეგვეე პერ- ფუძე გვქონდეს მეგრულში სიტყვაში პეროჟ||ფვეპურ 'ქაფი'. სვანურშიც პერ ფუძე გვაქვს: პერ 'ღუქი, ქაფი'; ლიპერუე 'აქაფება', პერუე 'პეროვინ'.

სიცხმ 'მაღალი ტემპერატურა; ავადმყოფი სხეულის მაღალი ტემპერატურა': გუშინ მეშვდესა ქამსა დაუტევა იგი სიცხემან (ი 4,52); დაუტევა იგი სიცხემან მან (მ 8,15 c); სიღედრი სიმონისი იღვა სიცხითა (მრკ. 1,30 c); სიღედრი სიმონისი შეპყრობილ იყო სიცხითა დიდითა (ლ 4,38).

სი-ცხ-ე -ცხ- ძირიდან ნაწარმოები სახელია. იგი კანონზომიერ ფონეტ. შესატყვისის გვაძლევს ზანურში: მეგრ. სი-ნ-ჩხ-ე. სადაც -ნ- ფონეტიკური დანართია, და ქან.: ჩხ-ვ-აფ-ა, მ-ჩხ-აფ-ა, მ-ჩხ-ოფ-ა 'ციებ-ცხელება' (შედ. ლექსიკ., გვ. 190). პირველადი მნიშვნელობა აქაც იგივეა, სიციხე: ანდლა ტარონი დიდი ჩხოფა რენ (მარი. 121, § 15, გვ. 17) „დღეს ამინდი დიდი სიციხეა“.

ჩვენთვის საინტერესო შინაარსის გადმოსაცემად სვანურში იხ- მარება ნაითჟი, ათუ 'ცხელი' სიტყვიდან ნაწარმოები ფორმა.

მრეკეპი-ს (ორპირიანი ვნებითი ჰ-რეკ-ა ზმნისა) 'აკანკალებს, კანკალის გამო ერტყმევიანება რაიმე რაიმეზე': კბილნი ერეკებიედ და ძარლუნი განსტქდებიედ (სინ. 119,6); გულს-სიტყუანი მისნი შეაძრწუნებდეს მას. და შემტყიცებულნი იგი წელთა მისთანი დაჰ- კსნდებოდეს. და მუკლნი ერეკებოდეს (დანელ. 5,6).

-რეკ- სხვადასხვა პრევერბთან სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს. ზარის დარეკვა და საქონლის გარეკვა 'ში ერთი და იგივე -რეკ- ძირი გვაქვს' (შდრ. ეტიმ. ლექსიკ., გვ. 155 *rek- და *req-). მისი კანონზომიერი ფონეტ. შესატყვისებია მონათესავე ენებში რაკ- (ქან. ო-რაკ-ალ-უ 'რეკვა') და სვანური რეკ- ერთის მხრით, და მეგრ. რაკ- (გორაკუ 'გერეკა', დორაკუ 'დარეკა, დაფერობა') და სვ. რეყ — მეორის მხრით.

კ-ყ შესატყვისობა დადგენილი აქვს გ. როგავას⁸².

წალა-ღ 'წყალივით სითხე, წყლულიდან რომ გამოდის': სდიოდა წუთხი და წალაჲ (ლიმონ. 121,2); იყო მარცხენე თუალი მისი ვნებულ და დასდიოდა მას წალაჲ (კიმ. I, 304,4); სხუაჲ ვინმე იყო გუემული ფერკითა ორმეოცით წლითგან და სდიოდა მას წალაჲ მყრალი (კიმ. I, 291,2); განწმიდა იგი გუემისა მისგან გამოსლვასათანა წალისასა (კიმ. I, 254,26).

ამავე მნიშვნელობით სვანურში გვაქვს წალ.

წუთხ-ი 'სისხლნარევი ჩირქი': სდიოდა წუთხი და წალაჲ (ლიმონ. 121,2); კაცი ვინმე იყო მრავლით ჟამითგან გუემული ფერკითა, რომელსა მარადის დასდის წუთხი (კიმ. I, 337,27); ძალღნიცა მოვიდიან და ჰლოშნიედ წუთხსა მას წყლულებათა მისთასა (მამ. სწ. 58,29); მოილო იობ კეცი, რაჲთა წუთხსა იხუეტდეს (იობ. 2,8);

⁸² გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რეზისათვის ქართველურსა და აღიღურ ენებში, იკვ. I, 1946, გვ. 2.

პრავალი სიმყრალე დასდიოდა ტვინით მისით წუთხსა თანა (კიმ. I, 321,7); გამოუჩნდა ეთიოპი ვინმე ყოვლად-მყრალი, ყოვლით კერძო სხეულისა წუთხისა მადინებელი (იოანნი 263,39); ნეფსითითა წუთხითა უნებლიეთა მას იობისსა მიმსგავსებულ იყო (ცხ. პ. კაპეტოლ. 29,13).

წუთხ- ფუძეს ეყრდნობა ახ. ქართლის მ-წუთხ-ე 'მლაშე'. სემანტიკური სხვაობა მათ დაკავშირებას ხელს ვერ დაუშლის. ეს ფუძე დასტურდება ზანურშიც: ჰან. 'მწუთხე 'მლაშე', მეგრ. წუთხე (შედ. ლექსიკ., გვ. 243), ამავე ფუძის ა ხმოვნიათი ვარიანტი გვაქვს ქართულშიც წათხი 'მლაშე ბალამი' (საბა), ჰანურში ო-წათხ-უ 'დამარილება' (შედ. ლექსიკ. გვ. 392) და სვანური წათხ 'მლაშე'. ზემოგანხილულ სიტყვებში ჰარმონიული კომპლექსი ბოლო მარცვალში გვაქვს წარმოდგენილი. დასტურდება ამ ფუძის ისეთი ვარიანტებიც, რომელსაც ჰარმონიული კომპლექსი სიტყვის თავშია: წყათ-ი (იმერ.) 'მლაშე', მეგრ. ი-წყათ-უ 'მიზეზობს, ჳირვეულობს, იპრანჭება' (მდრ. ქართ. ამლაშებს 'საქმეს აჳირვებს'), წყითე 'მლაშე'. ჰარმონიულ კომპლექსთა მონაცვლეობის შესახებ ს. ელენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა I, 1960, გვ. 87.

თხრამლ-ი: დაუცხრომლად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერკნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ (შუშ. 25,21); განვბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან (შუშ. 28,19).

თხრამლ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი დაცულია ზანურში: ჰან. თხომურ-ი, თხომრი, თხომბრი, მეგრ. თხომურ-ი 'ჩირქი'. რ თანხმოვანი ზანურში დაკარგულად ივარაუდება (შედ. ლექსიკ. გვ. 74, შმიდტი გვ. 116). გასარკვევია თხრამლ- და სვანურ თხამ 'შურიანი, ჳვარძლიანი ადამიანი' ფუძეთა მიმართება.

დასკვნები

ნაშრომში განხილულია 1043 ლექსიკური ერთეული. ამათგან 250 სიტყვა დაკავშირებულია ადამიანის ანატომიის, დანარჩენი 793 კი ფიზიოლოგიის ლექსიკასთან. ერთ ერთეულადაა დათვლილი სიტყვის ფონეტიკური ვარიანტები, მაგ.: ფრჩხილი || ფრცხილი, შუვა || შუა, პევში || ჳეშვი, აჳკაჳ || აჳკი... და, აგრეთვე, პოლისემი-

ური ტერმინები, მაგ. პირი 'სახე' და პირი 'გარკვეული ადგილი სახეზე', წელი 'ზურგსა და გავის საზღვარი' და წელი 'ნაწლავი'...

48 ტერმინი შესიტყვებას წარმოადგენს, ან კობოზიციითაა მიღებული. ესენია ა) ანატომიის დარგში: ზურგის ძუალნი, მძივნი ზურგის ძუალთანი 'მალები', თავუნი-მყესნი, მომზიდველნი თავუნი, ბარკალ-სხვლი || სხვლბარკალი, ვრცელი ბარკლისაჲ, ფიცარნი გულიაჲ, მკერდის თავი, ბეკ-შაშუალი || ბექთ-საშუალი, გულის ბქენი, პირი მუცლისაჲ, პირის-მბრძოლი, ღძღის ყური, ნავდლის შემწყყნარებელი ბუშტი, წელ-სხვლნი, მუცლის თავი, ყურიმალნი, შემაძარღვ, თანშემკრველი, შუასაძგიდი, შუაზღუდე. ბ) ფიზიოლოგიის დარგში: მოკუდა სიტყვის სინონიმებია: აღმობერა სული, განუტევა სული, აღმოუტევა სული, მისცა სული თჳსი ანგელოზთა, მიუღო სული, წარქდა სული, შეჰვედრა სული, წარვიდა თჳსისა მამისა, დასასრულსა უკუნსცა აღმოფშვნვაჲ, მიიწოდა ზენამან სუფევამან; სიკუდილის სინონიმებია: სულის || სულთა აღმოსლვაჲ, კორცთაგან განსლვაჲ; მომაკვდავის მიმართ ითქმოდა 'სულთა ჰრძავს...', ხნიერი ადამიანია გარდასულ დღეთა, სავსე დღითა; გამრავლების ცნებასთან დაკავშირებით გავრცელებულია გამოთქმები: მუცლად-ღება, მუცელ-ქუმული, მუცელ-ქმნული, დაორსულება, დარსულდა; სუნთქვასთან დაკავშირებით: სულის-კუეთა, სულ[თ]-ქუმა→სუნთქვა, მოიდგნა სული, სულნი უკუნისხუნა, სული ყმიდნის. მხედველობასთან დაკავშირებულია: მიადგნა თუალნი, შეეკერტნეს თუალნი.

ადამიანის ანატომიასთან დაკავშირებული ლექსიკის დანარჩენი 228 ერთეულის საწარმოებლად გამოყენებულია 134 ფუძე. აქედან 17 საკუთრივ ქართულში ნაწარმოები სიტყვებია: სახილველი, სახედველნი, საჩინონი, საყნოსელი, სასმენელი, სასულე, სასძეურნი, სასმეურნი, სარცხენელი, საურველნი, საქსარი, 'ნახმანი, ნაწევარი, შენადგამი, შინაგანი, ნაწლევი. საშოჲ.

ორივე მონათესავე ენაში გვაძლევს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს 40 ფუძე. აქედან 20 დადასტურებულია ან ნაწარმოებ ფუძეში, ან გადახრილი მნიშვნელობით, სემანტიკურად იდენტურია 20 ფუძე:

1. ქ. ტყავ-ი, ზან. ტყებ-ი, სვ. ტუფ 'ტყავი', ტფ 'კანი, ქერქი'.
2. ქ. ფრცხილ-ი||ფრჩხილ-ი, ჰან. ბუცხა, მეგრ. ბირცხა, სვ. ცხა
3. ქ. ტვნ-ი, მეგრ. ტვენ-ი, თვენ-, თვინ-, სვ. თთელ

4. ქ. სისხლ-ი, ჰან. დიცხირ-ი||დინცხირ-ი, მეგრ. ზისხირ-ი||ზისხერ-ი, სვ. ზისხ.

5. ქ. ძარლუ-, მეგრ. ჯერლვ-ი, მა-ჯარლვ-ალია 'მრავალძარლვა', სვ. ჯარლუ

6. ქ. თუალ-ი, ზან. თოლ-ი, სვ. თე

7. ქ. ნიკაპ-ი, ჰან. ნუკუ, ნუნკუ, მეგრ. ნკკვ<ნუკუ, სვ. ნიკ-ფა, ნეპკა

8. ქ. სასა, ზან. ცა, სვ. დეც

9. ქ. ენა, ჰან. ნენა, მეგრ. ნინა, სვ. ნინ

10. ქ. ყელ-ი, ჰან. ყალ-ი, მეგრ. ყალ-, სვ. მყელა

11. ქ. კორჯ-ი, ზან. ხურხ-ი, მეგრ. ყორყელ-ი, სვ. ყგრყ-მჩ

12. ქ. ცერ-ი, მეგრ. ჩანჯ-ი, სვ. ცერ.

13. ქ. წყრთა, მეგრ. ჭყირთა, სვ. ჭითხ, ნა-ჭითხ-ე 'ერთი მკლავი' (შეშა, თივა...)

14. ქ. ქუსლ-ი, ჰან. ქუს-ი||ქურ-ი||ქუ-ი, მეგრ. ქურს-ი||ქურ-ც-ი||ქურ-ი, სვ. ჰა-გუ

15. ქ. მგარ-ი, ჰან. მხუჯ-ი||ფხუჯ-ი||ხუჯ-ი, მეგრ. ხუჯ-ი, სვ. მე-ჯვარ

16. ქ. ღლია, ჰან. ღალა-ჯიჯი, მეგრ. რლია, სვ. ღაღლია||ღაღლია||ღაღლია||ღაღლია, ნანღლაშ, ნალღლაშ

17. ქ. მკერდ-ი, მეგრ. კიღირ-ი||კღღერ-ი, სვ. მუჭუედ-მუჭოდ

18. ქ. ფირტვ, ჰან. ფურფუ, მეგრ. ფირტვ-ი, სვ. პერშუღა

19. ქ. გულ-ი, ზან. გურ-ი, სვ. გუი

20. ქ. წელ-ი, ჰან. ჭულმჭუ, მეგრ. ჭი, სვ. ჭინჭილ.

კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები მონათესავე ენებში გამოვლენილია ან ნაწარმოებ ფუძეში, ან სემანტიკურად გადაბარილია შემდეგ სიტყვებში:

1. ქ. გუამ-ი, მეგრ. გვამ-ი 'ნეხვი, ნაგავი', სვ. გუამ 'მკერდი', გუამი ფიცარ 'გულის ფიცარი'

2. ქ. ცმელ-ი, ზან. ციმუ: ჰან. ციმუ-ლული 'ძალიან მწიფე ლეღვი', ლულ-ციმუ 'თეთრი ლეღვის ჩიში', მეგრ. ციმუ 'გამდნარი ქონი', სვ. ლე-ციშმი 'კარაქი', ნა-ცმ-უნ 'გაუმდნარი ქონი', ცემ-ილ (ლშხ. 'ღორის გვერდების ქონი', ცემ-რა (ბქ.) 'ღორის მუცლის ქონი'

3. ქ. წუერ-ი, მეგრ. წვანჯ-ი||წვანდ-ი 'წვერო', სვ. ჭერე 'წვერი'

4. ქ. ძუალ-ი, მეგრ. ი-ჯგვიჯგ-ინ-ან-ს 'ტლანჭი, უხეში რანგამოიყურება', სვ. ჯიჯუ 'ძვალი'

5. ქ. ღრტ-ილ-ი, მეგრ. ხუტ-ორ-უნ-ს 'ღრღნის', სვ. ფხგტგნ-ილ, ლე-ფხგხტი, ლე-ფხგტ-ინ-ე 'ხრტილი'
6. ქ. მ-ძორ-ი, მეგრ. ძორ-ი, ძელ-ი 'რბილი ხორცი', სვ. ძორ||ძუტერ||ძერ 'ცოცხალი ხორცი', ლუნძუტერ 'ხორცებიანი'
7. ქ. თავ-ი, ქან. თი, მეგრ. თუ-ში 'ურმის კაეები', სვ. შდა 'თავთავი', ჩერ-შდა 'კვირისტავი', შდა-ჟუშ 'მარტო, ცალკე' (შდრ. ძვ. ქ. თვსაგან), მაშდაშა 'მარტოხელა', შდაშუდაეარნლ 'მარტოდმარტო'
8. ქ. პირ-ი, ზან. პიჯ-ი, სვ. პილ. 'პირი' (ანატ.), პილპარ 'ტუჩები'
9. ქ. ნიჩურ-ი, მეგრ. ნიჩვი 'პირი, ტუჩი, ღრუნჩი', სვ. ნიჩუ 'სახე'
10. ნე-სტუ, მეგრ. შვიტ- 'სტვენა', სვ. ნეშტრალ, სტურარ 'ნესტოები'
11. ქ. ყია, მეგრ. ყია 'კუჭის თავი', სვ. ყია 'ყელი'
12. ქ. ლაჭლაჭი-ი 'ბრონქი', მეგრ. ლაჭ-ალ-ი 'გაწყრომა, ყაყა-ნი', სვ. ღაჭა 'ყბის ძირი', კაჭა 'ენატარტალა, კაპასი'
13. ქ. კბილ-ი, ქან. კიბ-ირ-ი||კიბ-ი-ი||კიბ-რ-ი||კიბ-რ-ი||კირბ-ი 'კბილი, ნისკარტი', მეგრ. კიბირ-ი, სვ. კიპნლ 'კბილი' (კინ. ფ.)
14. ქ. კელ-ი, ზან. ხე, სვ. კალ 'სიგრძის საზომი, გაშლილი ხელების მანძილი', კალპარ 'გაშლილი მკლავები'
15. ქ. ბარკალ-ი, მეგრ. ბორკ-ი, სვ. ღვარკლჰ 'წვივშიშველი', ბორკა||ბარკა 'კაჭა', ბრიკ 'ნაბიჯი'
16. ქ. გოჯ-ი, მეგრ. გვაჯ-ა 'პატარა ტანის კაცი' (შდრ. ცეროდენა), გილა-გვაჯ-ან-ს პატარა კაცის, ბავშვის სიარულზე იტყვიან, სვ. გოჯ 'გოჯი'
17. ქ. კოჭ-ი, ქან. კოჭ-ი და მეგრ. კონჭი-ი 'კარის საკეტი', სვ. კოჭ-ა 'ღირე'
18. უღელ-ნი 'ლავიწი', მეგრ. უღუ 'უღელი', სვ. ბარჯა უღუა 'ლავიწი' (სიტყვა-სიტყვით: მხრის უღელი)
19. ქ. ღვძლ-ი, მეგრ. ი-ყვიყ-ინ-ან-ს 'ყვითლად გამოიყურება', სვ. ყვიყე 'ღვიძლი'
20. ქ. ტყირბ-ი, მეგრ. ტყილი, სვ. ნა-ტყერბ-ელ 'ჭორფლი'.

ქართულიდანაა შესული დანარჩენი მონათესავე ენებში სიტყვები: კან-ი — მეგრ. კან-ი — სვ. კან, ნავღელ-ი — მეგრ. ნალმელ-ი — სვ. ნაჭლუღელ||ნანღუღელ||ლანღუღელ, ხატ-ი — მეგრ. ხატი||ხანტი, სვ. ხანტ, რომელიც ქართულშივე წარმოადგენს ნასესხობას.

ანატომიის ლექსიკიდან მხოლოდ სვანურში გვაძლევს შესატყვისის 11 ფუძე: სხეულ-ი — ცხვემილარ||ცხვენილარ 'სხეული, სხეულის ნაწილები'; ასო — ასუ 'ბარძაყის კუნთები', ასუი დასუი 'მთელი სხეული', ნააასურ (ბქ.), ლგასურე (ლენტ.) 'ასოასოდ აქნილი ხორცი'; კირ-ი — კირ 'ჩლიქი; თოკის კვანძი; ცხოველის გადაგვარებული მეხუთე თითი'; კუთ-ი — კუთ; თხემ-ი — თხუმი; გუ-გა — გუიგუ 'გული' (პურის, კაკლის...); ყბა — ჰყბა 'ლოყა', აყ-ბურამ 'უყბო', ყაფ 'ყბა', ყგბ 'ძვლის თავი', ყგბგნილ 'ძვლოვანი წანაზარდი', ყაბ 'ლაქლაქა', ყაბ 'წვერი'; ბეჰ-ი — ბარჯ; ნებ-ი — ნებ-არ 'ხელთათმანები'; ფერკ-ი — ბარკ (უშგ.) 'ნაბიჯი', ნაბარკუ (უშგ.) 'გაღანაბიჯები', ბჰკ 'ნაბიჯი', ლი-ბჰკ-ი 'გაღაბიჯება'; შუბ-ლ-ი — სგუებინ 'წინ'.

მარტო ზანურში გვაძლევს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისის 24 ფუძე. ამათგან ორივე დიალექტში 16 ფუძე დასტურდება, მხოლოდ ჰანურში — 3 და მხოლოდ მეგრულში — 5. ზანურის ორივე დიალექტში გვაძლევს შესატყვისს: თმა — თომა, მეგრ. თუ-მა; წარბ-ი — მეგრ. წაბ-ი||წარ-ი, ჰან. წარ-ი, მ-წარ-ი||ნ-წარ-ი 'ცხენის ან ხარის კულის ძუა'; ჯორც-ი — ხორც-ი; ცხვრ-ი — ჩხვინდ-ი, ჰან. ჩხინდი, მეგრ. ჩხვინჯი; ღაწვ — ღვა 'ლოყა'; ყური — ყუჯი; ღრძილ-ი — ჰან. ჯირჯილ-ი||ღინჯგილი||ღენჯგილი 'ღრძილი; ფუტკრის ნესტარი', მეგრ. ჯირჯილ-ი; იდაყვ — ჰან. ღურყუ||ღუ-ყუ||ხეშ-ღიუ|| ხე-ღული, მეგრ. ღუჯი; თითი — კითი; მტკაველ-ი — ჰან. მტკო||მტუ, მეგრ. ტკუ||ტკუუ||ტკოუ; ციდა — ჰან. მციდა, მეგრ. ცინდა; მჯილი — ჰან. მჯიხი||ნჯიხი, მეგრ. ჯიხი; საქსარ-ი — ჰან. მემცხვერი||მეცხული||მენცხური||მემცხური, მეგრ. სარსხალი; ძუძუ — ჰან. ბუძი, მეგრ. ძუძუ; უბე — ჰან. უმპა||ომპა, მეგრ. ომპა 'სახლის სახურავის ზედა ძელი'; გუერდი — გვერდი 'ნახევარი'.

მხოლოდ ჰანურში დასტურდება კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები შემდეგი სიტყვებისა: წამწამ-ი — კამწამი||წამწამი||წანწამი||წიწინკამი; სადრეკელ-ი — მედრიკონი||მენდრიკონი||მენდიკონი; ფაწალი — ფაწალი||ფანწალი.

მარტო მეგრულში დასტურდება შემდეგი სიტყვების კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები: ნუნა — ნოლი; წამ-ი — წკან-; თიმწკან-ს 'მაშინ, იმ წამს'; ქედ-ი — ქინდირ-ი; მკლავ-ი — კილე; მუკლ-ი — მუხური 'კუთხე';

ადამიანის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 27 შესიტყვებასა და კომპოზიტს წარმო-

ადგენს. დანარჩენი 767 ლექსიკური ერთეული საწარმოებლად იყენებს 115 ძირს. ამათგან საკუთრივ ქართულში ნაწარმოები ტერმინებია: გასრულებული, მოდღევენებული, მიუდგა, მიდგომა, მიდგომილი, მიდგომილებაჲ, უძლები, ნაყოფი||ნაყობი; სადილი, ისადილებს, ისადილების; სამხარი, ისამხრებს; განსთულავს; უბნობ-ს...

ორივე მონათესავე ენაში გვაძლევს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს 33 ძირიდან ნაწარმოები სიტყვები. ამათგან 18-სემანტიკურადაც იდენტურია:

1. -სუნ-, ჰან. -შვან-, მეგრ. -შვანჯ-||-შვანდ-, სვ. -შუმ-

2. -ზარდ-, ზან. -რდ-, სვ. -რდ-

3. -სუ-, ზან. -შუ-, მეგრ. -შუმ- 'თხრობა', სვ. შუ-

4. წოვ-, ჰან. წუფ-, მეგრ. წუნ-, სვ. წობ-

5. სემ-, ზან. სიმ-ინ, სვ. -სემ-, სმინ-

6. სუნ-||სულ-, ზან. შურ-, სვ. ქტინ-

7. გემო, ზან. გემო, სვ. გამ

8. თქუ-, რქუ-, მეგრ. თქუ-, სვ. ქუ-

9. ხურინ-, მეგრ. ხურხინ-, სვ. ხგრტენ-

10. სი-ზმ-არ-, ჰან. ი-ზმ-ოჯ-ე, სვ. ი-სნ-აჟ

11. ნერწყუა, ჰან. ლემქკვა||ლემშკვა||ლენქკვა, მეგრ. ლერქყვა,

სვ. ნაწყუ, ნაესხები ჩანს ქართულიდან ნეწყუ

12. ოფლი, ჰან. უფი, მეგრ. უფუ, სვ. უეფ

13. ცრემლ-, ჰან. ჩილამრე||ჩალამურე||ჩელამრე||ჩელამურე||

ჩილამბრე, ჩილამბრი||ჩილამბი, მეგრ. ჩილამური, სვ. ქიმ

14. ფს-, ჰან. ფსელ-||მსელ-, მეგრ. ფსელ-ა, სვ. ნასანჟ

15. ფს-ამ-, ჰან. ფს-, მეგრ. ს-, სვ. ს-

16. სივ-, ზან. შინ-, სვ. -ში-

17. კუნეს-, ზან. კუს-, სვ. კჷეც-

18. პერ-, ჰან. პაჯ, პეროჟ, მეგრ. ევეპურ, სვ. პერ.

15 ძირის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი დადასტურებულია წარმოქმნილ ფუძეში, ან სემანტიკურადაა გადახრილი:

1. -შევ-, ზან. -სქ- (ჰან. სქ-ირ-ი, სკ-ირ-ი "შვილი", მეგრ. სქ-უ-ა "შვილი"), სვან. -სგ-: გ-მ-სგ-ე (ჩბხ. ლხმ), სგ-ე-ჲ (გზ.) 'ძე, ვაჟი-შვილი'

2. ჩიუ-ილ-, ჰან. ჩუჩქ-უ||ჩიჩქ-უ, მეგრ. ჩქიჩქ-უ||ჩქგჩქგ, სვ. მენ-შგჷ-ე 'რბილი'

3. ბავშვ-, მეგრ. ბოშ-ი 'ბიჭი', სვ. ბეფშუ 'ბავშვი'

4. -წიფ-, ჰან. მონჭაფერი, მეგრ. მონჭა, სვ. მგპი 'მწიფე'

5. ხუ-ცეს-, მეგრ. უ-ჩ-აშ-ი 'უფროსი', სვ. ხ-ო-შ-ა 'უფროსი, დიდი'
 6. -ქამ-, ზან. -შკომ-, -ჰკომ-, სვ. -წმ
 7. -ძელ-, ზან. -ძლ-, სვ. ძლ-ერ 'ცხიმი'.
 8. სი-ყმ-ილ-, ზან. ყომ-ინ, ცუმ-ენ 'წყურვილი', სვ. -ყმ-
 9. ტყუ-, მეგრ. ტყუ-, სვ. ყვლ-ე 'ძახილი'
 10. ზახ- (ზახ-ილ-ი, სახ-ელ-ი), ჰან. ჯოხ- 'ძახილი; სახელი', მეგრ. ძახ- 'ძახილი', ჯოხ-ო 'ჰქვია', სვ. ეახ-ე 'სახელი'; ხაჟ-შხ-ა 'ჰქვია'
 11. ლა-ლად, ღარ-ღილ-, ზან. ღარ-ღალ-, სვ. გარ-გალ-
 12. წივ-, ჰან. წი-აფ-ს, მეგრ. წი-ან-ს 'წივის' (წიწილი), სვ. ლი-წილ-ი 'წივილი'
 13. ძილ-, ჰან. -ჯირ- 'ძილი, წოლა', მეგრ. ჯან-, ჯირ- 'წოლა', სვ. უე 'ძილი'
 14. რეკ- (ერეკების მუკლნი, კბილნი), ჰან. -რაკ- 'რეკვა', მეგრ. -რაყ- 'გარეკვა; დაფერთხვა', სვ. -რედ- 'რეკვა'.
 15. წუთხ-, ზან. მწუთხე, სვ. წათხ. 'მწუთხე, მლაშე'
- მარტო სვანურში პოულობს შესატყვისს 7 ძირი: ესენია: ნთქ-რტყჷ-ნტყჷ-, პოხ- — პეხ-ილ 'მუცლის ქონი', ცოხ- — ჩეხჷ- 'ძონა', -თრ- — ლი-თრ-ე 'სმა', ე-ქუ-ა — ქუინ 'სული', უ-წეს-ს— ლი-წს-ი 'დაპატიეება', წალა — წალ.
- მხოლოდ ზანურში დავადასტურეთ 24 ფუძის ფონეტიკური შესატყვისები, ამათგან 10 ზანურის ორსავე დიალექტში, 2 მარტო ჰანურში და 11 მარტო მეგრულში. ზანურის საერთო ფუძეებია:
1. -ცხ- (ცო-ცხ-ალ, ცხ-ოვ-არ), -ჩხ-: (მ-ჩხ-ურ-ი, შხ-ურ-ი, ჩხ-ოუ)
 2. -კც- (მ-კც-ოვ-ან-), ჰან. ხჩ-ინ-ი||ქჩ-ინ-ი||ქჩ-ინ-ი, მეგრ. რჩ-ინ-უ
 3. -მში-, ჰან. -ჩმ| შქორ-, მეგრ. -შქირ-
 4. გან-გონ-ებ-ა, ჰან. ო-გნ-უ, მეგრ. გე-გონ-უ
 5. -ცად-, ჰან. -ცად- 'ნახვა; გამოცდა', მეგრ. ფცად-ი 'ვცადე', ო-ცად-უ 'ცდილობს'
 6. ყივ-, ზან. -ყივ-
 7. წ-ოდ-, წ-ან-, ზან. -ჰან-დ-
 8. -რულ-, ჰან. -ღირ-, მეგრ. ლურ-, რულ-
 9. სი-ცხ-ე, ჰან. ჩხ-ვ-აფ-ა, მეგრ. სი -ნ-ჩხ-ე
 10. თხრამლ-, ზან. თხომურ-

მართო ჭანურში პოულობს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს ძოვს — ჯვინ-||ჯუფ- და მო-პ-ზოპ-ავ-ს — ზოპ-ონ-ს ფუძეები.

მხოლოდ მეგრულში გვაძლევს შესატყვისებს:

ცხონ-: -ჩხონ-, -კუედ-: ცვილ-; დედაბერ-ი: დედიბი; ფშკ-ს: ფუშ-ან-ს; ჭკრ-, ჭურ-ეტ: ჭვრ-იტ-ე; სერ- (სერი, ისერებს, სერობა): სერ- (ა-სერ-იშ-ე); ხმა: ხონარ-ი; ღურღურ-: დარდალ-; მრთელ-: თელ-; ძალ-: მენ-ჯელ-ი; პიშუტ-: ფიჟე-.

ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ ლექსიკაში გამოვლინდა ნასესხები მასალაც. ყველაზე მეტი წილი ბერძნულზე მოდის, რაც, ცხადია, გამოწვეულია დიდი ლიტერატურული და ენობრივი კონტაქტებით. ბერძნულიდან ნასესხები სიტყვებია: ორდანოჲ, უმენესი, ხონდროჲ, ტენონი, ინო||ინესი, ილნიოჲ, ნევროჲ, ვრონხოჲ, თორაკი, ისქიოჲ, ოსქიოჲ, არტირიაჲ, სტომაქი, პური. ირანული წარმომავლობისაა: ტან-ი, აპკა-ჲ||აპკ-ი, ფერცხალი, ჰასაკ-ი, ჭაბუკ-ი, ბერ-ი, ორძ-ი-ს. სომხურად ივარაუდებულარ-ი და ნახკ-ი, არაბულია ხატ-ი; ნახური ჯგუფის ენებიდანაა ნასესხები კოწოლ-ი, ბაგე.

გვრჩება სიტყვათა ერთი ჯგუფი, რომელთა ისტორიაზეც რაიმე პოზიტიურის თქმა ჯერჯერობით ვერ მოგვიხერხდა.

აბდულმესია — TP, IV, CII6., 1902.

აბ. ნეკრ. — მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, (V—X სს.) ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963.

აბო — აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, II ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ. პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, 1935.

აბუკ. — რომანი „აბუკურა“ და მისი ორი რედაქცია ძველ ქართულ შწერლობაში. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, 1960.

აბუს. ტბ. — ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მათიანე. 1233 წლის ტექსტი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

ათან. კულიზ. — წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ათანასისი, რომელი იწამა ქალაქსა შინა კულიზმას, რომელ არს ეგვიპტისაჲ; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, 1962.

ა. იყალთ. — არსენ მეტყველებს ამათ იყალთოელი, საუნჯე, I, 1960.

ანბაკუზ — E. Graffin, *Patrologia orientalis*, t. XXIX, f. 2. The old georgian version of the propets. Critical edition with a latin translation by Robert Pjerpont Blake professor of History at Harvard university and Canon Maurice Briere prof. à l'Institut Catholique de Paris. Paris, 1961.

ამოს. — წინაწარმეტყუელებაჲ ამოსისი, ოშკის ბიბლია.

ანგეა — იხ. ამბაკუზ.

- აპოკრ. — ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტი გამო-საცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959.
- ასტ. ამას., — წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ასტერი ამასიელ ეპისკოპოსისაჲ შესხმაჲ წმიდისა მღდელ მოწამისა ქრისტესისა ფოკაასი, გამოსცა მ. კახაძემ, ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1944.
- ასტიონ — ღუაწლი წმიდისა მღდელმოწამისა ასტიოასი, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, 1960.
- ასურ. — ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955.
- ალათანგ. — წამებაჲ წმიდისა ალათანგელჭსი, დამასკელ კათალიკოზისა, კეთილად-მძლისა მოღუაწისა, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, 1961.
- ბალავ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1957.
- ბარლაამ. ცხ. — ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წრსა და ნტრისა მამისა ჩრნისა ბარლაამ მოღოაწისაჲ რი იყო მთასა კავკასსა, ЗВОРАО Т. XIII. СПб., 1901.
- ბარუქ. — იხ. ამბაკუმ. f. 4.
- ბაქოზ. — წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ სერგისი და ბაქოზისი, კ. კეკელიძე, ეტიუდები... VIII, 1962.
- ბ. ეზოსმოდღ. — ბასილი ეზოსმოდღარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა. ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1944.
- ბერიძე. — მეგრული (ივერული) ენა. შესავალი და მასალები. I წიგნის I ნაკვეთი. ხელნაწერის უფლებით. თბილისი, 1920.
- ბოლნ. — იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი (X საუკუნის ხელნაწერებიდან), 1911.
- ბორენა. — ბორენა დედოფალი, საუნჯე I, 1960.
- ბულმ. — არსენ ბულმაისიძისძე, გალობაჲ წმიდისა მოციქულისა ნინოასი, ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946.

- გ. ათონელ. — გიორგი ათონელი, გეორგი, საუნჯე I, 1960.
- გალობ. — იხ. ფსალმ.
- გამოსლვ. — გამოსლვათაჲ. იხ. დაბ.
- გამოცხ. — იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ტექსტი გამოაკემად მოაპზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. ა. შანიძის რედაქციით. 1961.
- გამოცხ. თ. — იხ. გამოცხ.
- გარესჯ. — ცხორებაჲ დავით გარესჯელისაჲ; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I. 1963.
- გობრ. — მარტილობაჲ გობრონისი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1963.
- გოდ. იერ. — გოდებანი იერემიასნი, იხ. იერემ.
- გულანდუხტ. — სიმკნჭ და მოლუაწებაჲ ნეტარისა გულანდუხტისი სპარსეთს. კიმენური რედაქცია, კ. კეკელიძე, ეტიუდები... III, 1955.
- გურ. — წამებაჲ წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა გურია, სამონა აბიბოსეთი, რომელნი იწამნეს ქალაქსა ედესისასა, რომელ არს ურაჰაჲ, კ. კეკელიძე, ეტიუდები... VIII, 1962.
- დაბ. — დაბადება, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი 978 წ. ხელნაწერის მიხედვით. ტ. I, ნაკვეთი I, გამოსცა აკაკი შანიძემ. თბილისი, 1947.
- დამასკ. — იოანე დამასკელის ცხოვრება: კ. კეკელიძე, ეტიუდები... VII, 1961.
- დანიელი — იხ. ამბაკუმ. f 5.
- დ. აღმ. — დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, საუნჯე I, 1960.
- დიო — ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დიოქსი, კ. კეკელიძე, ეტიუდები... VI, 1960.
- დიონ — წმიდისა დიონესიოსი ვიდრე საშუალად თავადმდე. ერთი უცნობი კანონიკური კრებული ძველ ქართულ მწერლობაში. კ. კეკელიძე, ეტიუდები... IX, 1963.
- დმტრ. მეფე — დიმიტრი მეფე, საუნჯე I, 1960.
- ევს. სამოსატ. — კსენებაჲ წმიდისა მამისა აღმსაარებელისა ევსევი სამოსატელისა ეპისკოპოსისაჲ. კ. კეკელიძე, ეტიუდები... VI, 1960.
- ევსტ. მცხ. — მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის

- ძეგლები. წიგნი I. ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. 1963.
- ევსტოქი — ლუაწლი წმიდისა მღვდელმწამისა ევსტოქიოასი და შვილთა მისთა პროვისი, ლულისი, ურვასიოასი და გაიანოასი, ძმისწულისა მისისაჲ, კ. კეკელიძე, ეტიუდები. VI, 1960.
- ეზრ. — ეზრასი, ოშკის ბიბლია.
- ეზკ. — იხ. ამბაკუმ. f. 5.
- ეზრა — ეზრა, დასდებელნი წმიდისა ევთვი მოლუაწისანი, საუნჯე I.
- ეკლ. — ეკლესიასტე, ოშკის ბიბლია.
- ელ. ზღაპრ. — ილია აბულაძე, „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე, X, 1941.
- ესაია — იხ. ამბაკუმ, f. 3.
- ესაიაასი — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი 978 წ., ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვ. 2, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1948.
- ეტიმ. ლექსიკ. — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
- ეფრ. ასურ. (ისტ. ქრესტ. 2) — ეფრემ ასური, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია 2. გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა, 1963.
- ეფრ. ასური — საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, 1966.
- ექუს. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ. 1947.
- ექუს. (ილ. აბ.) — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“. X—XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.
- ვაჰან. — ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.) გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. 1939.
- ვისრ. — ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბ., 1962.
- ვ. ტ. — ვეფხისტყაოსანი.
- ზარზმ. — იხ. აბო.

- ზაქარია — იხ. ამბაკუმ.
- ზედაზნ. — ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1963.
- ზოსიმე — ლუაწლი წმიდისა და დიდებულებისა დიდისა მოწამისა ზოსიმესი. კ. კეკელიძე, ეტიუდები... III, 1955.
- თამარ. — თამარიანი, TP, IV C — II, 1902.
- თეოდ. განგრ. — თეოდოსი განგრელის „მოსაკსენებელის“ ქართული ვერსია. კ. კეკელიძე, ეტიუდები... III, 1955.
- თეოფ. კკონომ. — წმიდისა და ზესთადიდებულისა ღმრთისშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამის შუამდგომლობისა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მიმართ აღწოდებაჲ და სინანული, ქმნილი აღმოსავლეთისა სოფლისა, სახელით დანოხსა, ეკლესიისა კკონომისისა თეოფილეს მიერ. კ. კეკელიძე, ეტიუდები... VI, 1960.
- ი. — იოვანე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (397, 937, და 973 წწ.) გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.
- იგავნი სოლ. — იგავნი სოლომონისნი, ოშკის ბიბლია.
- იერემ. — იხ. ამბაკუმ. f. 4.
- ილარ. — ცხორება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა. საუნჯე I, 1960.
- ი. მტბ. — ი. მტბევარი, გალობანი წმიდისა ბასილისნი, საუნჯე, 1960.
- იოან. დამასკ. — წმიდისათვის და ნეტარის მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა აღწერილი მიქაელისაგან ხუცისა სკმონწმიდელისა ენასა ზედა არაბთასა... კ. კეკელიძე, ეტიუდები... VII, 1961.
- იოანნი — იოსებ მონაზონისა ჭურჭელმცველისაჲ — ცხორებისა მიმართ და საკვრელებათა ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნი, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღუარქმნილისათა, კ. კეკელიძე, ეტიუდები... III, 1955.
- იობ. — იხ. ესაიაჲსი.
- იოვ. ურპ. — ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანესი ურპაელი-საჲ, კ. კეკელიძე, ეტიუდები... VII, 1961.
- იოველ წწყლ. — იხ. ამბაკუმ.
- იოვ. ხუც. — იოვანე ხუცესი და პოლობიოს ეპისკოპოსი, ცხორებაჲ ეპიფანე კპრელისაჲ, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1966.

იონა — იხ. ამბაკუმ.

იოს. არიმ. — წიგნი რ'ი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მწფემნ ორისა ჩ'ნისა ი'კ. ქ'შპ'ნ და თბრობაჲ აღშწნებისათჳს ეკ'ლსისა რ'ი იგი არს ლუდიას შ'ნა, ქ'ლქსა წ'დისა დ'ფლისა ჩ'ნისა მ'რმ ღ'თისმშობლისაჲ. TP, II, 1900.

ი. ოქროპ. ცხ. — ილ. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოცხილი ძველ ქართულ მწერლობაში. ენიმკის მოამბე, XIV, 1944.

ი. პეტრიწი II — ი. პეტრიწის შრომები. ტ. II, 1937.

იპოლიტ. თარგ. ქბ. — იპოლიტე, თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ, TP., III, 1901.

ისო ზირაქ. — წიგნი ისო ზირაქისი, ოშკის ბიბლია (ხელნაწერი).

ისტ. საბ. — ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. III, 1913.

ი. ყ. — И, Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке. 1911, МЯЯ III.

ი შავთ. — იოანე შავთელი, გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი, საუნჯე, I, 1960.

კათ. ებისტ. — კათოლიკე ებისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ აკაკი შანიძის რედაქციით. თბ., 1956.

კალენდ. — იოანე ქართველის კალენდარი. კ. კეკელიძე. ეტიუდები... V, თბ., 1957.

კაც. აგებ. — იხ. ექუს. (ილ. აბ.).

კიმ. I. — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი I, კიმენი, I, თბილისი, 1918.

კიმ. II. — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი I, კიმენი, II, თბ., 1946.

კლემაქსი — კლემაქსი. ფოთი, 1902.

კოლაელ. — მარტკლობაჲ ყრმათა კოლაელთაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I (V—X სს.) ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. თბ., 1963.

კონსტ.—კახ. — მარტვილობაჲ კონსტანტი—კახაჲსი. ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I.. 1963.

ლ—ლუკა — იხ. ი.

ლევიტ. — ლევიტელთაჲ, იხ. ესაიაჲსი.

ლიმონ. — იოანე მოსხი, ლიმონარი. ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1960.

- ლიტურგ. — К. Кселидзе, Литергические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908.
- ლ. მრ. — ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. ქართლის ცხოვრება, I, 1955.
- მ. — მათე, იხ. ი.
- მამ. სწ. — მამათა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1955.
- მარი — Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. МЯЯ II, С.-Пб. 1910.
- მარტვ. თეკლ. — მარტვილობაჲ თეკლადსი, ენიმკის მოამბე, VIII, 1940.
- მაქს. — მოთხრობაჲ ლუაწლისა და ვნებულეებათა ღირსისა და აღმსაარებელისა მაქსიმესთა და ანასტასი მოწაფისა მისისათაჲ და ამათ თანა მრავალ-ლუაწლისა რომთა პაპისა მარტინესი. კ. კეკელიძე, ეტიუდები... III, თბ., 1955.
- მეფ. — ოშკის ბიბლია (ხელნაწერი).
- მიქია. — იხ. ამბაკუმ.
- მ. მოდრ. — მიქელ მოდრეკილი, იამბიკონი, საუნჯე I, 1960.
- მოქც. ქართლ. — მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I, 1963.
- მრავალთ. — მრავალთავი, ენიმკის მოამბე, XIV, 1944.
- მრკ. — მარკოზ, იხ. ი.
- მსაჯ. — მსაჯულთაჲ, იხ. ესაიაძისი.
- ნაისერი—Neisser Friedrich, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953.
- ნაუმ. — იხ. ამბაკუმ.
- ნ გულაბ. — ნიკოლოზ გულაბერიძე, გალობანი სუეტისა ცხოველისანი, საუნჯე I, 1960.
- ნ. ემეს. — ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა ბერძნულთაგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ს. რ. გორგაძის გამოცემა. ტფილისი, 1914.
- ნემიასი — ნემიასი, ოშკის ბიბლია.
- ოთხმ. — წამებაჲ წმიდათა ოთხმეოცდახუთთაჲ. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში. II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1966.

- ანიანი — არს. ონიანი ლუშნუ აპზკარ ლელაშხუ შუმი ნინშჳ, პეტროგრადი, 1917.
- ორენტი. — ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა. კ. კეკელიძე, ეტიუდები... IV, 1957.
- პანტი. — წამებაჲ წმიდისა პანტელემონისი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა, 1963.
- პატერიკი — შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები I. ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალიძე. თბ., 1960.
- პეტრ. ახალი — იოანე დამასკელი, სიტყუაჲ ცხორებისა და ღუაწლთა ყოვლად დიდებულისა პეტრე ახლისა მღვდელმორწამისა კაპეტოლელთა ქალაქსა შინა წამებულისათა. კ. კეკელიძე, ეტიუდები... VII, 1961.
- პოვნ. — პოვნაჲ წმიდათაჲ ანანიასი, აზარიაჲსი, მისაელისი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II. გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა. 1963.
- რავახ. — ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმ. დისა ანტონი რავახისი, რ'ი იგი ჰმონებდა შჯულსა ისმაიტელთასა და მერმე იქმნა ქრესტ მოწამე კეთილითა აღსაარებითა და მართლითა სარწმუნოებითა. ХВ. т. II, вып. I, С-Пб., 1913.
- რუთ. — იხ. ესაიაჲსი.
- საკითხ. II — საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა. 1966.
- საკვრვ. — საკუთრველებანი წმიდისა ნიკოლას მთავარებისკობოსისაჲ, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა. 1963.
- სასულ. — ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოცემა, ტფ. 1913.
- საქმე მცქ. — საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. თბ. 1950.
- სახ. ფუძე — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ. 1942.
- სახისა სიტყ. — მკვეთათვის სახისა სიტყუაჲ, ნ. მარის გამოცემა. ТР. VI, С-Пб., 1904.
- სვ. ტ. I — ა. შანიძე და ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, I. ბალსწემოური კილო. 1939.

- სიბრძნე სოლ. — სიბრძნე სოლომონისი, ოშკის ბიბლია.
- სინ. — სინური მრავალთავი 864 წლისა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.
- სონანტთა სისტ. — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- ს. სვნგ. — საბა სვნგელოზი, გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი, საუნჯე, I, 1960.
- ტიმ. ანტ. — ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. ენიმკის მოამბე, VII, 1940.
- ტირიქ. — ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიქანისი საკითხავი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I, თბ., 1963.
- ფილეთ. — ფილეთეოსის მარტვილობა, კ. კეკელიძე, ეტიუდები... VI, 1960.
- ფსალმ. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ. თბ., 1960.
- ქბ. ქბ. — ქება ქებათაჲ, თქმული სოლომონისი. ათონის ბიბლია 978 წლისა. Ал. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I.
- ქბ. ქბ. (ოშკ.) — ქება ქებათაჲ, ოშკის ბიბლია.
- ქონქ. — იოანე ქონქოზის ძე, გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი, საუნჯე I, 1960.
- ქრისტეფ. — წამებაჲ წმიდისა ქრისტეფორტსი და მის თანა მოწამეთა ბევრთაჲ და ორას სამთაჲ და ორთა დედათაჲ კალენიკისი და აკვლინაჲსი, რომელნი იწამნეს დღეთა დეკეოზ მეფისათა. კ. კეკელიძე, ეტიუდები... VIII, 1962.
- ქრისტინა — წამებაჲ წმიდისა ქრისტინაჲსი. კ. კეკელიძე, ეტიუდები... III, 1955.
- ქრონიკ. — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფილისი, 1892. წ. II, ტფ., 1897.
- ქსიფ. — ქსიფილინოსისა მოსაკსენებელი დიდისა მეფისა ალექსის. მიმართ. კ. კეკელიძე, ეტიუდები... V, 1957.

- ლალაქტ. — ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური რომანი მეექვსე საუკუნისა „ლალაქტიონი და ეპისტიმია“, ენიშკის მოამბე, XIV, 1944.
- ყიფშ. — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб., 1914.
- ყიფშ. ჭ. ტ. — ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939.
- შედ. ლექსიკ. — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
- შმიდტი — K. i. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der s'dkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.
- შვდ. ყრბ. — წამებად შვდთა ყრმათა, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა, 1963.
- შუშ. — წამებად შუშანიკისი დედოფლისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. 1963.
- ცაგ. — Мингрельские этюды. I вып. Мингрельские тексты с переводом и объяснениями. Собранные и изданные Ал. Цагарели. С.-Пб., 1880.
- ცხ. გ. მთაწმ. — გიორგი მცირე, ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, საუნჯე, I, 1960.
- ცხ. იოვ. და ეფთ. — გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. 1946.
- ცხ. პ. კაპეტოლ. — [ცხორებად პეტრე კაპეტოლელისა], К. Кекелидзе, Жизнь Петра Нового, мученика Капетолийского. ХВ. т. IV, в. I, 1915.
- ცხ. შიო და ევაგრ. — ცხორებად შიოხის და ევაგრესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I, 1963.
- ძეგლი ერისთ. — ძეგლი ერისთავთა. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. 1954.
- წარტყუნ. — წარტყუნვად იერუსალჴმისა, თქუმული ნეტარისა სტრატეკი მონაზონისა, ნ. მარის გამოცემა. ТР., IX. С-Пб., 1909.
- წწყლ. ამოსისი — ოშკის ბიბლია.
- წწყლ. იოველისი — ოშკის ბიბლია.

წყლ. იონაძის — ოშკის ბიბლია.

წყლ. ოსესი — ოშკის ბიბლია.

კან. ტ. I — არნ. ჩიქობავა, კანური ტექსტები. ნაკვ. I. ხოფურთ-კილოკავი. 1929.

კან. ტ. II — არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. 1936.

ხანძთ. — გ. მერჩული, შრომა და მოღუაწება ღირსად ცხორებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისაჲ და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ. TP. VII. 1911.

ხელმწ. კარის გარიგ. — ხელმწიფის კარის გარიგება, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, 1953.

ხრონ. — ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოლოგიური გიორგი მონაზონისაჲ, ტფილისი, 1920.

ხუბ. — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

კსენებ. — კსენებაჲ და ცხორებაჲ წმიდისა დომენტისი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია II, 1963.

ქართულ ტერმინთა საძიებელი

აგემა 193	ალილო კმაი 230
აგრძნობს 183	ალიჩჩუა 134
აზრაბა 223	ალიხილავს 199
ათქუმევს 218	ალმობერა სული 130
ათქუმევინებს 218	ალმოთქუა 220
ალმვის 259	ალმოიფშენეებს 180
ამშია 169	ალმოიშვა 146
ანგმანი 209	ალმოიცოხნის 163
ანგმნობს 209	ალმონათქუამი 220
აპკაი 12	ალმოპნერწყუაეს 246
აპკი 12	ალმოორძნდა 153
არაძლება 255	ალმოუტევა სული 130
არტირია 107	ალმოფშენვაი 180
ასაკი 133	ალმოფშენვილი 180
ასოა 9	ალმოცოხნაი 164
ასოდ-ასოდ 9	აღნათქუემი 220
ასოვეულად 9	აღორძინება 153
ასმენს 184	აღორძინებელი 153
ასმიეს, ასმია 185	აღორძნდა 152
ასუაის 173	აღორძნებოდა 153
ატყუებს 212	აღელავნეს 234
აფსარ . აა0	აღსასრული 128
აღაორძინა 152	აღსრულებაი 128
აღატყუა 215	აღსრულებადი 128
აღესრულების 128	აღსრულებული 128
აღეტყუა 215	აღუთქუამს 219
აღეხილვების 199	აღუხილავს 199
აღზარდა 151	აღუჩჩუა 134
აღზრდილი 151	აღხილვა 199
აღთქუა 219	აღხოვნებს 123
აღთქუმაი 219	აწოვებს 159
აღთქუმა-ყო 220	აწოვებს 175
აღიზარდა 151	აჭამებს 156
აღიზაზა 228	აჭურეტინებს 204
აღითქუეს 219	ახილული 200
აღიტყუა 214	

- ბაგე 55
 ბაგეს-უყოფს 56
 ბაეშობა 136
 ბარკალი 80
 ბარკალ-სხვლი 81
 ბერი 139
 ბეკი 102
 ბექთსაშუალი 103
 ბექშაშუალი 103
 ბრკალი 85
 ბრკალამდისი 86
 ბრკალთციხელი 86
 ბუშტი 116
 ბჰალი 86
- გაგონება 188
 გაილუიძებს 245
 გამოასხა 150
 გამოზარდა 154
 გამოზრდა 155
 გამოთქუამს 220
 გამოთქუამა 220
 გამოიტყვს 215
 გამომეტყუელი 215
 გამომზრდელი 155
 გამონახვა 201
 გამოსტყუა 217
 გამოსწოვს 175
 გამოუთქმელი 220
 გამოშვის 146
 გამოჰხადის 237
 განაზრახებს 226
 განაპოხა 161
 განასუქა 162
 განალკებს 244
 განაცოცხლებს 120
 განაცხოველებს 122
 განაძლებს 164
 განაჰაბუეებს 139
 განგონება 188
 განგრძნდების 183
 განელჰა 245
 განზარდა 151, 154
 განზრდილი 151
 განზრახვა 226
 განთქუამს 220
- განიგულა 111
 განიზრახავს 226
 განითქუმების 220
 განიპოხა 161
 განისმა 186
 განისუნა 128, 129
 განილკებს 244
 განიცდის 201
 განიძლებს 165
 განიხილა 200
 განმაპოხებელი 161
 განმაძლარი 165
 განმგონებელი 188
 განმზრახველი 227
 განმნერწყუველი 247
 განმფერკველმოფელი 79
 განმწესებული 137
 განმწესნა 153
 განორძნდების 152
 განპოხა 161
 განპოხილი 162
 განპოხნა 161
 განსათქმელი 220
 განსასუნებელი 129
 განსაძლებელი 166
 განსთულავს 204
 განსიეება 261
 განსიეებული 261
 განსიენა 261
 განსმენილი 188
 განსუნებება 129
 განსუქნა 162
 განუსიენა 261
 განუსუნა 128
 განუტევა სული 130
 განუკოხნელი 163
 განფერქული 79
 განფერქულობა 79
 განლკება 245
 განცადა 201
 განცადა 201
 განცოცხლდა 120
 გან-ს-ცოხნი-ს 163
 განცხოველდა 122
 განცხოველება 122
 განძლიერდების 254

განპლიერებული 254
განძღვბა 165
განძღვბის 164
განძღვბა 165
განჯაბუკება 139
განჯაბუკებული 139
განჯაბუკება 139
განჯაბუკის 139
განხილვა 200
განკორციელდა 30
გარდაიცვალა 127
გარდამოიკვრობნ 203
გარდამოხედავს 196
გარდასარულ დღეთა 143
გარდაცვალებული 127
გასრულებული 154
გაუძღომელი 165
გემოა 191
გემოა ახილვა 192
გემოა იხილა 192
გემოა უჩუენა 193
გემოვანი 192
გემოვნება 192
გემოვნებითი 192
გემოვს-ხილვა 192
გოჯი 89
გრძნობა 181
გრძნობადი 182
გუამი 7
გუგა 44
გუერდი 100
გული 109
გული განაწყო 110
გული განიწყო 110
გულითად 111
გულის ბქენი 107
გულის თქუმა 110
გულის წყრომა 110
გულსა აღუშლის 110
გულსა მომიჯდა 110
გულ-ჩჩულ 111
გულწყებული 110

დაათრო 176
დააპოხის 161
დააძინა 239

დააძოვა 159
დაბერდა 140
დაბერებული 140
დაეძინა 239
დათრობა 177
დაიზახა 228
დაითრვა 176
დაისნეულა 257
დაიუბნებს 208
დაიძინა 129, 239
დაიხილავს 200
დაკანებული 12
დაქნერწყუა 247
დაორსულდა 144
დაორსულება 145
დაპრულა 241
დასასრულსა უკუნსცა აღმოფშენვა 1:
დასნეულებული 257
დასნეულდა 257
დასახა 150
დაუბერებელი 140
დაუსიგდა 261
დაუცოხნის 163
დაუძინებელი 240
დაყრუვდება 187
დაჩურჩნის 232
დასცოხნის 163
დაძინება 239
დაძინებელი 240
დაქაბა 158
დედაბერი 140
დლაყვი 116
დურდურებს 233

ებადების 150
ეგემოვნა 192
ეგულების 111
ეზრახების 223
ელმის 259
ემზრახვალების 225
ემთრვალების 177
ენა 61
ენა აღმოყუეთილი 62
ენაბრგუენილი 62
ენამძიმშ 62
ენოვანი 63

- ვრეკების 265
 ვრთვამ 7
 ვრთ-ქელი 69
 ვრქუმის 222
 ვსმის 184
 ვსმინების 186
 ვტყუს 212
 ვუბნების 208
 ვქუა 181
 ვჩუენა 246
 ვძლო 255
 ვწოდა 234
- ვერმადლარი 165
 ვერ-მეტუელი 206
 ვრცელი ბარკლისაჲ 82
 ვრონხოჲ 68
- ზახებაჲ 228
 ზახილი 228
 ზესთქასაკი 133
 ზრახავს 223
 ზრახებაჲ 225
 ზრახეაჲ 223
 ზრახეა-ყო 225
 ზრახული 226
 ზრდა 150
 ჰზრდი-ს 154
 ზრდილობა 151
 ზურგი 101
 ზურგის ძუალნი 21
- თავუნი-მყესნი 32
 თავადი 34
 თავი 32
 თავისა 34
 თანა-ეტყუს 212
 თანა-ზრახედეს 223
 თანაღმობაჲ 259
 თანამზრახელი 224
 თანამოჰასაკე 133
 თანშემკრველი 26
 თეძო 104
 თითი 74
 თირკუმელი 115
 თლემულეზაჲ 242
- თმა-ჲ 15
 თმოსან-ი 15
 თორაკი 96
 სორავს 176
 თუალ-აგნა 43
 თუალთ-ღება 42
 თუალთ-ხუმა 42
 თუალი 40
 თუალ-უყოფ-ს 42
 თუალ-უხუავი 42
 თუალყოფა 42
 თუთმხილველი 199
 თუსაგან 34
 თუსი 34
 თუსისაგან 35
 თქუა 218
 თქუმა 218
 თქუმული 219
 თხემი 36
 თხრამლი 266
 თხრობაჲ 211
 თხრობილი 211
- იგემებს 193
 იგემოვნებს 192
 იგრძნობს 183
 იგულეთ 111
 იგურდიე 100
 იდაყვი 73
 იზარდების 155
 იზარდებოდა 151
 იზახის 228
 იზრახა 223
 ითქუმის 218
 იკრჩხილა 234
 ილმო 259
 იმუქლნა 83
 იშშია 169
 ინესი 28
 ინოჲ 28
 იოგი 27
 იპოხების 161
 ირქუამს 222
 ისადილებს 167
 ისადილების 168
 ისამხრების 168

ისერებს 168
 ისმის 186
 ისმინა 186
 ისუნებს 190
 ისქიო 104
 ისხნა 149
 ისხნა (ცოლნი) 150
 იტკივნა 260
 იტყუს 212
 ჩლნოა 28
 ილუქებს 243
 იუნოსს 189
 იუნოსებს 189
 იუნოსების 189
 იშვა 146
 იცოხნის 163
 იცრემლოა 249
 იკაპების 156
 იკვრობს 203
 იხედავს 195
 იხილავს 198
 იხილვების 198

კანი 11
 კბილი 58
 კერვა 118
 კირი 28
 კოწოლი 15, 16
 კოჭი 90
 კუთი 31
 კუნესა 263
 კუნესის 262

ლარეანი 27
 ლარი 26
 ლობა 259
 ლობიელი 259
 ლობიერი 259
 ლობილი 259

მაკედონელები 125
 მასშენელი 187
 მაცხოვრებელი 124
 მაძლარი 165
 მაძლარი 165
 მაძლრობა 166

მაწონებელი 176
 მგრძობელი 182
 მგრძობელობა 182
 მგრძობელობითი 182
 მეგრინე 182
 მეტყუელებს 214
 მეტყუელება 204
 მეტყუელებითი 214
 მეტყუელი 205
 მეწამწამე 19
 მზირი 202
 მზირი-ნ 202
 მზირ-უყო 202
 მზრახვალი 225
 მზრახვალობ-ს 225
 მზრახვალობა 225
 მზრახველი 225
 მზრახი 225
 მზრდელი 151
 მთრვალი 177
 მთრვალობა 177
 მიადგნა თუალნი 204
 მიდგომა 143
 მიდგომილება 143
 მიდგომილი 143
 მიდგომილობა 143
 მიეთხრა 211
 მიერულების 241
 მიესმა 184
 მიეძინება 240
 მიეზო 194
 მითხრობა 211
 მიიცვალა 127
 მიიძინა 130
 მიიწანა 235
 მიიწოდა ზენამან სუფევამან 131
 მიიხილა 200
 მიმოდაიხილა 200
 მიმოიხილა 200
 მიმოიხედავს 196
 მირულება 241
 მიპრქუა 223
 მისმენილი 188
 მიუგებს 237
 მიუდგა 143
 მიუთხრა 211

- მიულო სული 131
 მისცა სული თვისი ანგელოზთა 130
 მიცვალეზა 127
 მიცვალეზული 127
 მიწიფებული 137, 154
 მიწოდება 235
 მიჰხადის 237
 მიჰხედა 196
 მიხედვა 196
 მკერდი 95
 მკერდის თავი 96
 მკლავი 72
 მკუდარი 126
 მკუდრეთი 126
 მკუნეისიარე 263
 მოაკუდინებს 125
 მოამშია 169
 მოატყუებს 216
 მოაუძღვრებს 255
 მოაყმო 171
 მოაჩჩო 134
 მოაწანა 235
 მოაქამა 158
 მოახილვა 200
 მოგვი 87
 მოდღვენებული 143
 მოეთხრობვის 211
 მოემშია 169
 მოეტყუების 216
 მოეწყურა 172
 მოსზახის 228
 მოჰზოპავს 233
 მოზრახავს 227
 მოსთქუამს 221
 მოიდგნა სულნი 179
 მოიკუდინებს 125
 მოისუნებს 190
 მოიტყვს 215
 მოიცვალა 127
 მოიძარლუა 26
 მოიწიფა 153
 მოიხადის 237
 მოიხილა 200
 მოკუდავეზა 126
 მოკუდავი 126
 მოკუდების 125
 მომატყუებელი 216
 მომზიდველნი თავუნი 32
 მომზირალობა 202
 მომთრეალე 177
 მომთხრობელი 211
 მომკუდარი 126
 მორულებული 242
 მოსიკუდიდი 125
 მოსიკუდილი 125
 მოსუმური 174
 მოსუმურობა 174
 მოუდგნა სულნი 179
 მოუძღვრდების 255
 მოუძღვრებული 255
 მოუწოდა 235
 მოუხადის 237
 მოუმების 171
 მოძილი 238
 მოწოდება 235
 მოსკამს 158
 მოჰხადის 237
 მოჰხედა 196
 მოხედვა 197
 მოხედვა-ყო 197
 მოხილვა 200
 მოხუცებულეზა 142
 მოხუცებული 141
 მოხუცებულეზა 142
 მოჰასაკე 133
 მპოხელი 161
 მრთელი 251
 მრთელოანი 251
 მრთელობა 251
 მრულალი 241
 მსივანეზა 261
 მსიტყუველობს 214
 მსმენელი 187
 მსუმელი 174
 მსუქანე 162
 მსუქანი 162
 მტკაველი 76
 მტკივანი 260
 მუცელი 98
 მუცელ-ქმნული 144

- მუცელ ქუჩული 144
 მუცლად იღებს 144
 მუცლად ღება 144
 მუცლად ღებული 144
 მუკლ-დადგმა 83
 მუკლთ-დაბნევა 83
 მუკლი 82
 მუკლის თავი 83
 მფსმელი 251
 მლქარე 243
 მლქარეზა 244
 მყესი 31
 მმშის 168
 მშიერი 169
 მშობელი 147
 მშობიარე 147
 მშობიერი 147
 მშენველი 179
 მშენვიერებითი 179
 მშენვიერი 180
 მშუმიწვიერი 180
 მძიენი ზურგის ძეალთანი 21
 მძინარე 240
 მძინარეზა 240
 მძოვარი 159
 მძოვი 159
 მძორი 30
 მწოდებელი 235
 მწოვარი 175
 მწუერვალი 17
 მწყსი 137
 მჭამელი 157
 მჭელი 77
 მჭკრობელი 203
 მხადელი 236
 მხედვარეზა 194
 მხედვარეზა 194
 მხედვარეზა-ს 194
 მხედვარი 196
 მხედველი 195
 მხედველობ-ს 194
 მხედველობა 194
 მხედველობითი 195
 მხილვარე 198
 მხილველი 198
 მხოლოდ-შობილი 147
- მხოლოტერტი 85
 მქარი 91
 მკმობარე 229
 მკმობარი 229
 მკმობელი 229
 მკრცოვანი 142
 მკცე 142
 მკცოვანეზა 142
 მკცოვანი 142
 მჭილი 77
- ნაელელი 114
 ნაელის შემწყნარებელი ბუშტი 114
 ნასნეზავი 257
 ნასხმანი 31
 ნაყოზი 145
 ნაყოფი 145
 ნაყროანი 167
 ნაყროვანეზა 167
 ნაყროვნობა 167
 ნაშობი 148
 ნაშუ 148
 ნაწეკარი 88
 ნაწეკაროანი მიმორქუზა 205
 ნაწლევი 116
 ნახევა 200
 ნახკი 85
 ნეზი 73
 ნევროზ 28
 ჰ-ნერწყუ-ა 246
 ნერწყუა 246
 ნერწყუევა 247
 ნესტკ 47
 ნიკაზი 57
 ნიყბერი 58
 ნიჩური 56
 ნუნა 12
- ოთხტერტი 79
 ორენა 62
 ორპირი 53
 ორლანო 10
 ორძის 152
 ოსქიო 106
 ოფლი 248

ოფლიანი 248
ოფლიერი 248

პეეში 76
პერი 263
პეროვა 264
პეროვანი 264
პეროვი-ნ 263
პეროი-ნ 263
პერული 264
პერულოვი-ნ 264
პეში 76
პირი 37, 52
პირი მუცლისაჲ 112
პირის მბრძოლი 112
პირმეტყუელი 205
პირმსივანი 261
პირპუო 148
პირუტყვ 206
პოხ-ს 161
პოხიერება 162
პოხილი 161
პური 167

ჟღავილი 234

კ-რული-ს 241
კ-რქუ-ა 222
რქუმა 223

საანჯნო 209
საგრძნო 182
საგრძნობელი 182
სადილი 167
სადრეკელი 89
სავსე დღითა 143
საზრახავი 226
საზრდელი 155
საკეთე 45
საკუდინელი 126
სალმობაჲ 258
სალმობიერი 259
სამგუთამოვნება 7
სამშენველი 181
სამხარი 168
სანერწყუეული 247
სარცხენელი 105

სააუბნარო 210
სასაჲ 60
სასიკუდინე 126
სასიკუდინებელი 126
სასიკუდინოჲ 126
სასიტყუელი 214
სასმენელი 50, 186
სასმეურნი 98
სასნეულოჲ 258
სასუნენებელი 129
სასულე 67, 106
სასუმადი 174
სასუმელი 174
სასუმური 174
სასძეურნი 97
სატკივარი 260
საუბნარო 210
საურველნი 106
საფრტე 79
საუნოსელი 47, 190
საშოჲ 118
საშუმინველი 180
საჩინონი 43
საცოხნელი 163
საძოვარი 160
საქამადი 157
საქმელი 157
საჭურეტელი 204
სახედელი 43, 196
სახილველი 43, 199
საქელი 70
საქსარი 87
სენი 256
სენოვანებს 257
სერი 168
სერიობაჲ 168
სიბერე 140
სიბრძნის-მეტყუელებს 214
სიზმარი 245
სიკუდილი 124
სიმაძღრე 165
სიმთრვალე 177
სიმრთელე 251
სიძსივნი 261
სიმსუქნე 162
სიმწესე 137

სიორძილი 153
სიპოხ 162
სისხლი 24
სიტყუა 212
სიტყუა-მეცნიერი 214
სიტყუა-პოეზიერი 214
სიტყუას-უგებს 214
სიტყუატებილობა 212
სიტყუაქელოვანი 214
სიტყუერი 205
სიტყვს მიგება 214
სიუზმე 171
სიუმილი 170
სიურმე 136
სიჩჩო 134
სიჩჩოება 134, 135
სიჩჩულ 134
სიცოცხლე 119
სიცხე 264
სიკაბუკე 138
სიკაბუკე 138
სიკელოვანე 70
სმენა 187
სმენილი 187
სნება 257
სნეულება 257
სნეული 258
სტომაქი 111
სუამს 173
სუთქნა 179
სულთა აღმოსლვა 131
სულთა კბრძავს 131
სულთქუმე 178
სულ(თ)-ითქუმს 179
სულთქუმე 178
სული 190
სულის აღმოსლვა 131
სულის კუმთა 178
სული ყმიდნის 179
სულნელი 190
სულნელება 191
სულნი უკუნისუნა 179
სუმა 173
სუნი 190
სუნნელი 190
სუნნელება 191

სხეულ-დიდი 6
სხეულევანი 6
სხეული 6
სხნის 149
სხვლ-ბარკალი 81

ტანი 7
ტენონი 27
ტერფი 84
ტერფმოსილი 85
ს-ტკიე-ა 260
ტკიეილი 260
ტკიენული 260
ტკნი 22
ტუინოანი 23
ტყავი 10
ტყირბი 115
ტუბთ-მშობელი 147
ტუბნი 106
ტუუვის 217

უასაკობა 133
უბნობს 208
უბნობა 209
უგრძნა 183
უგრძნული 182
უკუამო 7
უზმა 171
უზმბული 171
უზმობა 172
უთქუმს 219
უთხრობს 210
უკოპხედა 197
უკუდავი 126
ულმობელად 259
უმენებრივი 13
უმენესი 13
უმზირის 202
უმრთელეს 251
უმუქლო 83
უპხედველო 195
უპე 99
უსამშუნელო 181
უსეროდ 168
უსიტყუელი 206
უსიტყუ 206

უსმენს 185
უსმენელი 187
უსმი 187
უსნო 258
უსუმელი 174
უსხენედ 149
უსხეულო 6
უსხი 149
უსხნა 149
უტიენელი 260
უტივირად 260
უტყკ 206
უტყუება 205
უტყუელი 217
უტყუველი 217
უფერკო 79
ულარლილოდ 207, 232
ულაღადებს 231
ულელნი 95
ულონო 252
უშვა 146
უშობელი 148
უჩჩო 135
უძიღება 239
უძიღი 238
უძიღობა 239
უძღავს 255
უძღები 145
უძღიერეს 254
უძღურ 254
უძღურება 254
უძღებება 166
უძღები 166
უწესს 234
უწოდა 234
უწოდებელი 235
უწოვებს 175
უწურული 17
უკმელი 158
უკმი 158
უკვრობს 203
უკურეტს 204
უხილავს 198
უხილავი 199
უხონდროესი 22
უხუეესი 141

უკელო 69
უკმობს 229
უკასაკო 133
უაჩუნეირო 15
უაწალი 115
უფრდი 101
უფრცხალი 21
უფრკა 78
უფრკჩაღმთუმილი 79
უეკი 67
უფირტკ 108
უფიკარნა გულისა 95
უფლაფნა 207, 233
უფრჩხენ-ს 14
უფრჩხილი 13
უფრცხენ-ს 14
უფრცხილი 13
უფრკიობა 60
უესელი 250
უფსღებრივი 250
უფუშნიერი 118
უფშყ-ს 179
უფშყნეა 179
ქედღადრეკილი 64
ქელი 63
ქედფიცხელი 64
ქმნა ძალიაა 253
ქესეტი 118
ქუსლი 85
ღაღადებს-ს 231
ღაღადება 231
ღაღადისი 232
ღაღად-ყო 231
ღაღატ-ყო 231
ღაწყ 44
ღაკლაკი 68
ღლაა 92
ღმრთის-მეტყუელი 205
ღმრთის-მშობელი 147
ღმრთის-მხიღველი 199
ღონშ 252
ღონეცემული 252

ლონის-ძიება 252
ლრტილი 21
ლრძილი 60
კლკაეს 243
ლკძება 243
ლკძებული 244
ლკძლი 112
ლკძლის ყური 113

ყბა 56
ყელი 64
ყია 66
ყივის 233
ყივილი 66
ყნოსაჲ 189
ყრიმლის ცემაჲ 51
ყრმაჲ 135
ყრმისა აღმქუმელი 136
ყრუ 187
ყური 48
ყურიმალი 51
ყურიმლა 51
ყურიმლის-ცემაჲ 51

შეასმენს 184
შეატყუებს 216
შეაფსაჲს 251
შეახო 193
შეეკერტნეს თუალნი 204
შეელმის 259
შეეშია 169
შეესა 184
შეეტყუების 215
შეეწყურა 172
შეეხო 193
შეკვედრა სული 130
შეთქმული 221
შეიზრახნეს 227
შეითქუნეს 221
შეისმინა 186
შეისუნა 129
შეისუნებს 190
შეიტყუებს 217
შეიკამა 158
შეიხილნეს 200
შემასმენელი 185

შემძლებელი 256
შემკამელი 158
შეკხებულობის მგრძნობელობაჲ 193
შენადგამი 90
შენაწევრებული 88
შეჰნარწყუა 247
შეპიშუებული 262
შესასუმელი 175
შესაქმელი 158
შესაძლებელი 256
შესმენა 185
შესმენილი 185
შესხნა 150
შესუნებული 129
შესუმა 175
შესხნა 150
შეტყუება 215, 216
შეტყული 217
შეუთხრა 211
შეუტყუებელ 216
შეუძლებს 255
შეუძლებელი 256
შეუწოდა 235
შეუკამა 158
შეკყმა 171
შეყმედილი 171
შეშაძარღ 26
შეკამა 158
შეკამა 158
შეხადა 237
შეხება 193
შეხებული 193
შვილთ-სხმა 149
შვილი 148
შვინება 146
შთათქმაჲ 160
შთამჭურკტელი 204
შთანთქამ-ს 160
შთანთქმაჲ 160
შთანთქმული 160
შთაუნთქამი 160
შთაჰხელა 197
შიმშილი 169
შინაგანი 106
შობ-ს 145
შობაჲ 146

- შობადი 146
 შობიერი 147
 შობითგანი 146
 შობილი 147
 შუა 60
 შუაზღუდე 107
 შუასაძგიდი 107
 შუბლი 39
 შუევა 60
 შუმინგაა 180
- ჩუენებაა 245
 ჩურჩნაა 233
 ჩურჩნის 232
 ჩურჩულება 207, 233
 ჩიკლი 133
 ჩიკლეღა 134
- ცერი 75
 ცილი 76
 ცკელი 23
 ცოცხალი 119
 ცოცხლებით 120
 ცოცხლობს 120
 ცოხნაა 163
 ცოხნის 163
 ცრემლვა 249
 ცრემლი 248
 ცრემლოვა 249
 ცრემლოვინ 249
 ცხოველი 121
 ცხოვნდების 123
 ცხოვნებაა 124
 ცხოვრებაა 121
 ცხომდების 123
 ცხორებაა 121
 ცხორებული 121
 ცხვრი 45
- ძალი 252
 ძალ-უხხენ 256
 ძალ-უც 256
 ძარღვ 25
 ძილი 238
 სძინავს 239
 ძლიერებაა 253
- ძლიერი 253
 სძოვს 159
 ძოვნა 159
 ძუალი 20
 ძვრის-მეტყუელი 205
 ძუქუ 96
- წალაა 265
 წამი 15, 18
 წამის ყოფა 19
 წამსა თუალისასა 19
 წამ-უყვნა 19
 წამწამებს-ს 19
 წამწამებაა 19
 წამწამი 15, 19
 წარბი 15, 18
 წარვიდა თვისისა მამისა 131
 წარმოიტყვს 215
 წარმოიჭკრა 204
 წარმომჭკრობელი 203
 წარმონერწყუა 247
 წარმოუთხრა 211
 წარტდა სული 130
 წელი 103, 116
 წელ-სხვლნი 117
 წივის 234
 წინაღწარმეტყუელებს 214
 წინაწარმეტყუელი 205
 წინაწარმეტყუელებს 214
 წინაწარმეტყუელობს 214
 წოდება 235
 წოდებულ 235
 სწოდის 234
 სწოვს 175
- წკვი 84
 წუერ-გამო 17
 წუერი 15, 16
 წუთხი 265
 წუვილნი 105
 წუერილი 172
 სწუერის 172
 წაუერიელი 172
 წუერილი 172
 წყრთა 75

კაბუკი 137
კაბუკროვანი 139
კამ.ს 156
კამადი 156
კამაი 156
კამებული 157
კამული 157
კაპუკი 137
კურობა 203
კურეტა 204

ხადა 235
კ-ხადი-ს 236
ხადილი 236
ხატი 38
კ-ხედაე-ს 195
ხედვა 194
ხედვება 194
ხილვა 197
ხილული 199
ხონდრო 22
ხურიანეს 242
ხუკესი 141
ქელგანპურობით 70
ქელ-ეწიფა 70
ქელთდებულნი 70
ქელთ-იგდო 70
ქელთ-რეენა 70

ქელთ-საქპარი 70
ქელთ-უსაენ 70
ქელი 68
ქელის-ამპურობელი 70
ქელის-წერილი 70
ქელ-იწიფა 70
ქელწიფე 70
ქელოვანი 70
ქელოვნება 70
ქელ-უო 69
კმა 230
კმა-უუო 230
კმა-უო 230
კმა-უოფა 230
კმობ-ს 229
კმობა 229
კორცთაგან განსლვა 131
კორცი 29
კორციელი 30
კორკი 66
კორკის თაეი 67
კკრთი, კკრთი 78

ჭილუი 77

პასაკი 131
პასაკოვანი 133
პრულ 241

წინასიტყვაობა	3
I. აღამიანის ანატომიასთან დაკავშირებული ლექსიკა	
1. სხეულის აღმნიშვნელი სიტყვები	6
2. ქსოვილები	10
ა) ეპითელური ქსოვილი	20
ბ) შემაერთებელი	20
გ) ძრლუ-ტიპის სიტყვები	25
დ) კუნთოვანი ქსოვილი	29
3. თავი	32
4. კიდურები და სახსრები	68
5. ტორსი	91
6. შინაგანი ორგანოები	106
II. ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა	
1. სიცოცხლე	117
2. სიკვდილი	124
3. ასაკი	131
4. გამრავლება	143
5. ზრდა	150
6. კვება	150
7. სუნთქვა	173
8. შეგრძნებები	181
ა) ზოგადი სიტყვები	181
ბ) სმენა	184
გ) ყნოსვა	189
დ) გემო	191
ე) შეხების შეგრძნება	193
ვ) მხედველობა	194
9. მეტყველება:	204
ა) ზოგადი სიტყვები	204
ბ) მეტყველების ზმნები	207
10. ძილი და სიზმარი	233

11. გამოყოფის პროცესები	245
12. ორგანიზმის დამცველი რეაქციები და მასთან და- კავშირებული ცნებები	261
დასკვნები	266
შენიშვნებათა განმარტება	274
საძიებელი	285

ЛАТАВРА ШАЛВОВНА ГЕЛЕНИДЗЕ

ЛЕКСИКА, СВЯЗАННАЯ С АНАТОМИЕЙ И ФИЗИОЛО-
ГИЕЙ ЧЕЛОВЕКА В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ С УЧЁТОМ
ДАНЫХ ДРУГИХ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. კ ა ბ ა შ ე ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი გ. გ ო გ ი ა ვ ა
ტექნიკური ნ. ო კ ე ჯ ა ვ ა
კორექტორი ლ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას; 19. 3. 1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 9. 1974;
ქალაქის ზომა 60×99^{1/16}; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თბახი 19,3;
სააღრიცხვო საგამომცემლო თბახი 15,8
უე 00440; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 783;
ფასი 1 მან. 50 კპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

